ლევან თოდუაძე

საქართველოს პოლიტიკური ისტორია
(1921—1923 წლები)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1999

63.3 (2Г)
947.922
თ 699

წიგნი, მიუხედავად იმისა, რომ მოიცავს საქართველოს ისტორიის შედარებით ხანმოკლე პერიოდს, არის კაპიტალური ნაშრომი, სადაც წარმოჩენილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველი, დრამატიზმით აღსავსე წლები.

ავტორი სრულიად ახლებურად, საბჭოთა ტრადიციული ისტორიოგრაფიისაგან განსხვავებით, განიხილავს ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორიც იყო ამიერკავკასიის ფედერაციისა და საბჭოთა კავშირის შექმნა, ეგრეთ წოდებული „ნაციონალ-უკლონისტების“ მოღვაწეობა და სხვა.

ნაშრომი, რომელშიც მრავალი ახალი დოკუმენტი და მასალაა მოხმობილი, არის დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უახლესი ისტორიის შემსწავლელთათვის.

რედაქტორი დ. სტურუა
რეცენზენტები: რ. გრძელიძე
ვ. გურული

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999

0503000000
თ ————————
608 (06) — 99
ISBN 99928 — 31—23—5

რედაქტორისაგან

ვიდრე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის — ლევან თოიძის წინამდებარე ნაშრომს შევეხებოდე, ჩემს მოვალეობად მივიჩნევ, მოკლედ გავესაუბრო მკითხველს ავტორის შესახებ, იმ ადამიანის შესახებ, რომელიც ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ თავისი მოქალაქეობრივი და კაცური ვალი მოიხადა.

ლევან თოიძე იყო ახალი და უახლესი ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი, ჭეშმარიტი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ახალგაზრდობის აღმზრდელი, სულით პატრიოტი.

დიდად სავალალოა, რომ ამ ღირსეულმა მამულიშვილმა მაშინ დატოვა სარბიელი, როცა საქართველოში ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის საზოგადოებრივ მეცნიერებას, თავისუფალი განვითარების პირობები შეექმნა. დემოკრატიზაციის ვითარებაში ლევან თოიძის მაღალი ნიჭიერება, ღრმა, საფუძვლიანი ცოდნა გამოვლინდა შესანიშნავი მონოგრაფიების შექმნითა და მრავალრიცხოვანი პუბლიკაციებით თანამედროვეობის ყველაზე უფრო აქტუალურ, მწვავე საკითხებზე.

ლევან თოიძე ასზე მეტი მეცნიერული ნაშრომის ავტორია, აქედან თხუთმეტი არის მონოგრაფია და ბროშურა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი წვლილი ბევრი სამეცნიერო პრობლემის ახლებურად გადაწყვეტაში, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში კონფლიქტების სიღრმისეულ სოციალურ-პოლიტიკურ ანალიზში. ამ მხრივ საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი ნაშრომები: „ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც“ (1991), „ავტონომიების ჩამოყალიბება საქართველოში“ („ჟურნალი „Georgica“ №№ 15, 16, 1992, 1993), „ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკური ასპექტები“ (ავტორთა კოლექტივი, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, 1992), „აფხაზეთის კონფლიქტის

ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები“ (ავტორთა კოლექტივი, რუსულ და ინგლისურ ენებზე, 1995), „ოსური ავტონომიის წარმოქმნა საქართველოში“ (რუსულ ენაზე, 1994), „აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხისათვის“ (რუსულ ენაზე, 1996).

ლევან თოიძემ, ვაჟა კეშელავამ და ამ სტრიქონების ავტორმა განახორციელეს სპეციალური მრავალგვერდიანი გაზეთის „კონფლიქტი აფხაზეთში“ გამოშვება რუსულ ენაზე. ეს გაზეთი ეუთოს სამდივნომ ძირითად ევროპულ ენებზე თარგმნა და თავის წევრ 53 ქვეყანას დაუგზავნა. ეს იყო სერიოზული წინ გაჭრა აფხაზ სეპარატისტებთან ინფორმაციულ ომში. ლევან თოიძემ ქართულ, რუსულ და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების პრესაში მრავალი წერილი გამოაქვეყნა აფხაზი და ოსი სეპარატისტებისა და მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ. აქ ის მოგვევლინა როგორც ბრწყინვალე პუბლიცისტი და პოლემისტი, საქართველოს ინტერესებისთვის დაუღალავი მებრძოლი.

რა არის დამახასიათებელი ლევან თოიძის მეცნიერული ნაშრომებისათვის? უპირველესად ყოვლისა, ისტორიული წყაროების ცოდნა, მასალის ღრმა გააზრებისა და განზოგადების უნარი, ფართო სპეციალური და საერთო ერუდიცია, მისაბაძი მეცნიერული კეთილსინდისიერება და ტაქტი.

ისიც უნდა აღინიშნოს საგანგებოდ, რომ ლევან თოიძე მეცნიერების სრულიად ახალი დარგის — კონფლიქტოლოგიის ერთ-ერთი პიონერი და ფუძემდებელია საქართველოში. მეცნიერი აქტიურ მონაწილეობას იღებდა პირველი ქართული ენციკლოპედიის შექმნაში.

მინდა განსაკუთრებით შეეხო ლევან თოიძის უზადო პიროვნულ თვისებებს. ეს იყო განსაკუთრებულად თბილი და კეთილგანწყობილი ადამიანი. არავის მის გარშემო არ აკლდა მისგან ყურადღება, დახმარება, გამოსარჩლება. იყო დახვეწილი, ზედმიწევნით თავაზიანი, თავმდაბალი, უპრეტენზიო, თავდაჭერილი და ზომიერი ყველაფერში. პატივმოყვარეობის ნატამალიც არ გააჩნდა და ბედნიერებას მხოლოდ შრომაში ხედავდა; მაგნიტივით იზიდავდა დიდსა და პატარას, ამიტომაც ბევრი მეგობარი და კეთილმოსურნე ჰყავდა.

* *

წინამდებარე წიგნზე ლევან თოიძემ რამდენიმე წელი იმუშავა. მართალია, ის შეეხება თითქოს მოკლე პერიოდს საქართველოს

ისტორიაში. მაგრამ ეს რამდენიმე წელიწადი იყო განსაცვიფრებლად ტევადი და მნიშვნელოვანი. ამ წლებში შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაცია, საბჭოთა კავშირი, ხორციელდებოდა დრამატული გარდაქმნები ქართველი ხალხის ბედ-იღბალში.

წიგნში მოტანილია მრავალი სრულიად ახალი დოკუმენტი და მასალა, ხოლო ჩვენთვის ცნობილი მოვლენები გააზრებულია ახლებურად და წარმოჩენილია მთელი სისავსით.

ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მართალია, არ ვიზიარებთ ზოგიერთი მოვლენისა და პიროვნების ავტორისეულ შეფასებას, მაგრამ გასაგები მიზეზის გამო, არ ვთვლით ეთიკურად წიგნში რაიმე შესწორების შეტანას.

ის, ვინც მოინდომებს საქართველოს უახლესი ისტორიის საფუძვლიანად შესწავლას, გვერდს ვერ აუვლის ამ კაპიტალურ ნაშრომს; იგი სრულფასოვანი დამხმარე სახელმძღვანელოა საქართველოს ისტორიის შემსწავლელთათვის.

* * *

ლევან თოიძემ ვერ მოასწრო თავისი ამ წიგნის შესავლის დაწერა. ის წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა იმის ნათელი მაგალითი, თუ როგორ უნდა მსახურებდე მამულს, მშობელ ერს — პატიოსნად, უანგაროდ, მოვალეობის სრული შეგნებით, საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმუმით, სულითა და გულით.

დევი სტურუა

პირველი თავი

1. საბჭოთა საგელმწიფოებრიობის შექმნა საქართველოში

საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია. საქართველომ დაკარგა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, თუმცა იგი ფორმალურად 1921 წლის თებერვალ-მარტშივე გამოცხადდა დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. მას ჰყავდა ქართული მთავრობა. საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარებულია რუსეთსა და საქართველოს შორის 1921 წლის 21 მაისს დადებული ხელშეკრულებით. დადასტურებულია იგი საქართველოს სსრ კონსტიტუციაშიც, რომელიც 1922 წლის მარტში მიიღეს. ამავე კონსტიტუციამ საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად ქართული ენა გამოაცხადა (სხვა საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციებში მაშინ სახელმწიფო ენაზე მითითება საერთოდ არ იყო). საბჭოთა საქართველო, როგორც იურიდიული სტატუსის მქონე ქვეყანა, საერთაშორისო ასპარეზზეც გადიოდა (ცხადია, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კონტროლით). ერთხანს საბჭოთა საქართველოში რუსეთისა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფულის ნიშნებთან ერთად ქართული ფულიც (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი ქართული ბონები) ფუნქციონირებდა. მიუხედავად საგრძნობი ინფლაციისა, ქართული ფულის კურსი უფრო მაღალი იყო, ვიდრე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისა. საქართველოს სს რესპუბლიკას ჰქონდა საკუთარი გერბი, დროშა და ა. შ.

საბჭოთა საქართველო იურიდიულად ინარჩუნებდა დამოუკიდებლობის სტატუსს, მაგრამ ყოველივე ეს, რასაკვირველია, არ შეესაბამებოდა და არ ასახავდა რეალურ ვითარებას. საქართველო თავისი მთავრობით მთლიანად და საესებით დამოკიდებული იყო რუსეთზე, მის მთავრობასა და კომუნისტურ პარტიაზე.

მეტ-ნაკლებად ასეთივე მდგომარეობა იყო წითელი არმიის მიერ გასაბჭოებულ სხვა რესპუბლიკებშიც, სადაც ახალი ხელისუფლება რუსულ საბჭოურ ყაიდაზე იქმნებოდა. ამ რესპუბლიკებში უნიფიცირებული იყო საბჭოური ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობა, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოთა სტრუქტურები, საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ეს განპირობებული იყო კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული მოდელით, რომელიც რუსეთის იმპერიის მოდერნიზებას ისახავდა მიზნად და დროთა განმავლობაში, ვითარების შესაბამისად, იხვეწებოდა. ივი აღიარებდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას, რაც იმპერიაში მცხოვრებ არარუს ხალხთა დასაშოშმინებლად იყო გამიზნული. ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებით კომუნისტურმა პარტიამ რუსეთის ახალი სახელმწიფოსა და ვისი მმართველი პარტიის დემოკრატიულობის ილუზია შექმნა, რითაც შეასუსტა არარუს ხალხთა სეპარატისტული ტენდენციები, რაც ახლაეს იმპერიაში მომხდარ ისტორიულ ქარტეხილებს.

მართალია, საბჭოურ სინამდვილეში იმპერიის ძირითადი ნიშნები (ფაქტობრივად ერთიანი საზღვარი, ერთიანი ჯარი, ერთიანი საშინაო და საგარეო პოლიტიკა და ა. შ.) თითქმის უცვლელი დარჩა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთა **თვითგამორკვევის საბჭოური მოდელი მაინც წინგადადგმული ნაბიჯი იყო** ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვებისათვის ბევრი არარუსი ხალხის ბრძოლის გზაზე. ლაპარაკია იმ ხალხებზე, რომლებსაც ადრე არასოდეს ჰქონიათ სახელმწიფოებრიობა და ამა თუ იმ ფორმით მხოლოდ საბჭოურ პერიოდში მოიპოვეს ივი. ცხადია, ეს ვერ ითქმის ქართველ და ზოგიერთ სხვა ხალხზე, რომელთაც მრავალსაუკუნოვანი (თუმცა წყვეტილი) სახელმწიფოებრივი ტრადიციები მოსდგამდათ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით საქართველოში სახელმწიფოებრივი წყობილება შეიცვალა. დემოკრატიული სახელმწიფოს ნაცვლად რუსეთში საბჭოურ თარგზე გამოჭრილი „პროლეტარიატის დიქტატურა“ დამყარდა. სუვერენული პარლამენტური რესპუბლიკის ნაცვლად საბჭოთა რესპუბლიკა შეიქმნა. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისთანავე აქ, როგორც ითქვა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გამოცხადდა. ასეთივე რესპუბლიკები იქმნებოდა წითელი არმიის მიერ იმ დროს ძალდატანებით გასაბჭოებულ სხვა ქვეყნებშიც, თუმცა არც ერთი მათგანი მაშინ „სოციალისტური“ არ იყო. სოციალიზმის აშენება ამ რესპუბლიკებში

სამომავლო მიზნად ითვლებოდა. საქართველო, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა რესპუბლიკა, იმ დროს ფაქტობრივად არც „საბჭოთა“ იყო. საბჭოები მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შეიქმნა აქ. ახალი სახელმწიფოს („სოციალისტური სახელმწიფოს“, „პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს“) პოლიტიკურ ფორმას „საბჭოთა რესპუბლიკა“, „საბჭოთა ხელისუფლება“ წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ რესპუბლიკებს შორის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო, ცხოვრების დონე შედარებით მაღალი იყო, 1921 წლის თებერვალ-მარტში მოსულ ახალ ხელისუფლებას (ბოლშევიკურ ხელისუფლებას) მაინც მძიმე მემკვიდრეობა ერგო. საკმარისია ითქვას, რომ 1921 წლისათვის საქართველოს სახალხო მეურნეობა 1913 წელთან შედარებით ათჯერ შემცირდა, მკვეთრად დაეცა მარგანეცის, ქვანახშირისა და სხვა წიაღისეულის მოპოვება. მოიშალა ტრანსპორტი, ქალაქსა და სოფელს შორის საქონელგაცვლა, შემცირდა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება.

მძიმე იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება. პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა ვერ ეგუებოდა საოკუპაციო რეჟიმს, არ ურიგდებოდა შექმნილ მდგომარეობას და რეპრესიების მიუხედავად, ფარ-ხმალს არ ყრიდა, ბოლშევიზმის, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ფორმებს ეძებდა.

ყოველივე ეს ურთულეს მდგომარეობას უქმნიდა კომუნისტურ პარტიას, რომლის მიმართ ქართული საზოგადოებრიობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით იმ დროს, უნდობლობას იჩენდა. ამის საფუძველს, უმთავრესად, ის ქმნიდა, რომ კომუნისტებმა საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად უცხო ძალა მოიწვიეს, ხელი შეუწყვეს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას. ბევრს ისიც კარგად ესმოდა, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის გასაბჭოების შემდეგ, რუსეთი არაფრით არ შეჩერდებოდა საქართველოს საზღვარზე, საიმისოდ მას ჯარიც ჰყავდა, მატერიალური რესურსებიც ჰქონდა და, რაც მთავარია, საერთაშორისო კონიუნქტურაც ხელს აძლევდა. ასე რომ, რუსის ჯარი საქართველოში ქართველ კომუნისტთა თანხმობის გარეშეც შემოვიდოდა. მაგრამ ეს მაინც არ უხსნიდა პასუხისმგებლობას კომუნისტებს, რომლებსაც ქართველი ხალხის საგრძნობი ნაწილი, სავსებით კანონზომიერად, კოლაბორაციონისტებად მიიჩნევდა.

ქართველი კომუნისტები კი თავს იმით „იმართლებდნენ“, რომ მენშევიკებმა და სხვა სოციალისტურმა პარტიებმა, რომლებიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველ ძალას წარმოადგენდნენ, სოციალიზმის იდეას უღალატეს, ხოლო საბჭოთა ხელისუფლება, პროლეტარიატის დიქტატურა და რუსის ჯარი, მათი აზრით, საქართველოში სოციალიზმის აშენებას დააჩქარებდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ სოციალიზმის იდეა საქართველოში ერთობ პოპულარული იყო. სოციალიზმსა და სამართლიან საზოგადოებას მაშინ სინონიმებად აღიქვამდნენ. კამათი და უთანხმოება მხოლოდ სოციალიზმის მშენებლობის გზებსა და მეთოდებზე ჰქონდათ. კომუნისტებმა ეს კამათი უცხო ძალის დახმარებით „მოიგეს“, თუმცა თავი დიდ უხერხულობაში ჩაიგდეს.

საქმე ის იყო, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევას და საქართველოს დაპყრობას ქართველი ხალხი, ბუნებრივია, ვერ ურიგდებოდა. ხალხს იმის საშუალებაც არ ჰქონდა, აშკარად დაეგმო რუსეთის მუხანათური საქციელი. რუსის ჯარი საქართველოში შემოსვლისთანავე ფაქტობრივად ქვეყნის ერთპიროვნული ბატონ-პატრონი გახდა. ჯარი მორალურად არამტკიცე, დამშეული და ჩაუცმელი იყო. ეს კი ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა ბოროტმოქმედების, უწინარეს ყოვლისა, მარადიორობისათვის. ასეც მოხდა. გაწბილებული ქართველი ხალხი მთელ პასუხისმგებლობას რუსის ჯართან ერთად, ბუნებრივია, ქართველ ბოლშევიკებსაც აკისრებდა. ამ უკანასკნელთ ყოველი ღონე უნდა ეხმარათ მეტად რთული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის განმტკიცებისათვის, რუსის ჯარისა და ქართველი ხალხის „მშვიდობიანი თანაარსებობისათვის“. შეუძლებელს ვინ შეძლებდა მაშინ?

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ვლასა მგელაძის მოგონებიდან: „მტრის მიერ დაპყრობილი თბილისი ნაღვლიანად გამოიყურებოდა. რუსეთის ჯარის შემოსვლას დედა-ქალაქი სამარისებური სიჩუმით შეხვდა, ქართველი ხალხი ქუჩებიდან გაქრა, სახლებში ჩაიკეტა, თეატრები, სინემა, გასართობი ადგილები უცხოელებით გაივსო: ქალაქში ვიგინდარები ურცხვად იღრიჭებოდნენ, ქართველი ბოლშევიკები ნაცნობ ქართველებს დამმარებულნი ეხვეწებოდნენ ქუჩებში გამოდით, თქვენ

ხელს არაეინ გახლებთ, თეატრში იარეთ, რუსის ჯარს დაენახვეთო... ქართველობა ბოლშევიკებს ზიზღით უყურებდა, მათ ერიდებოდა"[1].

კიდევ ერთი ვრცელი ამონარიდი ამავე მოგონებიდან, საიდანაც ნათლად ჩანს წითელარმიელთა დანაშაულებრივი ქმედებანი ოკუპირებულ თბილისში და მისი მოსახლეობის განწყობილება: „რუსეთიდან შემოჭრილი დამშეული ჯარები სახელმწიფო დაწესებულებებში დაბანაკდა, კერძო ბინებზე და ოჯახებში მოთავსდა. მრავალ საუკუნეობით მოწყობილი ოჯახები განადგურდა, სიწმინდე და ზნეობა შეირყვნა... ყოველგვარი ავეჯეულობა და ოჯახის სამკაულები ავტომობილებით თბილისის საგურზე დღიან-ღამიანად გაქონდნენ, ვაგონებში აგროვებდნენ, რუსეთში გზავნიდნენ. ოთახებიდან გამოქონდათ როიალები, რომელთაც თვალცრემლიანი დედები კუთხეში მიკუნჭულები შეშინებული გასცქეროდნენ. ჯარი შეესია სამხედრო საწყობებს, იქიდან ფარაჯები, ფეხსაცმელები გამოიტანეს, თავიანთ დაფლეთილ ფარაჯებს, დაგლეჯილ ფეხსაცმელებს ქუჩაში ხალხის წინ იხდიდნენ, იქვე ყრიდნენ, ახლით იმოსებოდნენ. ოჯახებში მოთავსებული ჯარის კაცები შეშის მაგიერ ბუხრებს მაგიდებით, კამოდებ-ყუთებით ანთებდნენ. ევგენი გეგეჭკორის ბინა აეოხრებინათ, — ბურჟუაზიულ, კონტრრევოლუციონერი მინისტრის არისო. ზოგ ბინაზე კედლებიდან სურათები ჩამოელოთ, ჩუქურთმიანი ხის მოვარაყებული ჩარჩოები დაეწვათ, ხოლო ნოე ჟორდანიას სურათი ჩარჩოდან ამოელოთ, მაღლა ჯერზე ლურსმნით მიეჭედათ, — კარგი წვერიანი, კარგი სახის, „დიადი" არისო, იყოსო, — ჩარჩო კი დაეწვათ.

ნაძალადევის მუშებს ხელისუფლებამ წინადადება მისცა: სოლოლაკში ბურჟუაზიის ბინაზე გადასახლდითო, მარა არც ერთი ოჯახი ამაზე არ დათანხმდა... საავადმყოფოდან და კერძო სამკურნალოდან გაქონდათ ყოველგვარი ხელსაწყოები — საქირურგო დანები, წამლები, თეთრეული და დაღონებული ექიმების წინ უწესრიგოდ ყრიდნენ საბარგო ავტომობილებში, თფილისის საგურზე მიაქროლებდნენ და რუსეთში გზავნიდნენ. თფილისის მდიდარ სააფთიაქო სახელმწიფო საწყობებიდან მიქონდათ ყუთებში ჩაწყობილი წამლები, ყოველგვარი აპარატები, საექიმო ხელსაწყოები. სკიპიდარი, სპირტი, ბამბა, მარლა, ქინაქინა... ქინაქინის, თუ სხვა წამლეულის გადამალვისათვის იჭერდ-

---

[1] ვ ლ ა ს ა მ გ ე ლ ა ძ ე, რუსეთის მობრუნება საქართველოში. ქართული ემიგრაციის არქივიდან. „ცოდნა" „ერთობა". თბ., 1991, გვ. 4—5.

ნენ და ჩეკაში ამწყვდევდნენ. ჩვენი ღირსეული მწერალ-მოღვაწენი დღიან-ღამიანა მუზეუმ-წიგნსაცავებს და უნივერსიტეტს იცავდნენ, ღირსეული სამღვდელოება მარგალიტებით შემკულ ხატების კარიბჭეს ყარაულობდნენ, — რომ ისტორიული, ეროვნული ძეგლები — ძვირფასი განძი შემოსეულ ბარბაროსებისაგან გადაერჩინათ... გაძარცვეს და რუსეთში გაზიდეს თფილისის სამხედრო არსენალი, რკინიგზის სახელოსნო, მისი საუცხოო სახარატო დაზგები, საგანგებო მატარებლები, ორთქმავლები და საბარგო ვაგონები რუსეთში წაიღეს.. არ გადარჩა გაუქურდავი არც ერთი ქარხანა... ყოველგვარი სანოვაგე, ხილეულობა, ყველი, თევზეულობა, საუფლისწულო მამულების განთქმული სარდაფები და კახური ღვინო ბოჭკებით და ბოთლებით გაზიდეს, თბილისის სადგურზე გაიტანეს, რამდენიმე ასეულ ვაგონებში ჩააწყვეს, დაბეჭდეს, ზედ დააწერეს: „თბილისის პროლეტარიატისაგან რუსეთის პროლეტარიატს და მის ბელადს ლენინს საჩუქრათო“[2].

როგორ არ თავსდება ყოველივე ეს იმ წარმოდგენებში, რომლებსაც ჩვენი, საბჭოური ისტორიოგრაფია ამკვიდრებდა ათეული წლების მანძილზე საქართველოში წითელი არმიის შემოსვლასთან დაკავშირებით. ამკვიდრებდა და სათანადო დოკუმენტურ ბაზასაც ეყრდნობოდა. ეს გახლავთ ბოლშევიკი მოღვაწეების ხელიდან გამოსული ტენდენციური დოკუმენტები, რომელთა სანდოობას ჩვენი მკვლევრები საეჭვოდ არ ხდიდნენ, ანგარიშს არ უწევდნენ იმ რთულ წინააღმდეგობებით აღსავსე პოლიტიკურ ვითარებას, რომელშიც ამ დოკუმენტებს (მოხსენებითი ბარათები, დეპეშები და ა. შ.) დაინტერესებული პოლიტიკური მოღვაწეები ქმნიდნენ. ამ „დოკუმენტებში“ ისიც კია ნათქვამი, მაგალითად, რომ ქართველი ხალხი წითელარმიელებს პურმარილით, „ხონჩაზე დალაგებული სურსათ-სანოვაგით“ (?!) ხვდებოდა. აშკარაა, ისტორიული სინამდვილის დადგენა ასეთი ცალმხრივი მასალის მიხედვით შეუძლებელია. ტენდენციურობასა და ცალმხრივობას ვერც ზემოციტირებული მოგონების ავტორი გაექცეოდა. ესეც ბუნებრივად მივიჩნიოთ. მაგრამ ჩვენი ისტორიოგრაფია, მისი წყაროთმცოდნეობითი ბაზა დღეს გაცილებით მეტ შესაძლებლობას აძლევს მკვლევარს, სხვადასხვა წყაროების კრიტიკული შეჯერების საფუძველზე ძირითადად სწორი დასკვნა გააკეთოს. ეს საერთოდ, რაც შეეხება ზემოაღნიშნულ კონკრეტულ ფაქტს, კერძოდ, საქართველოში შემოჯ-

---

[2] ვ ლ ა ს ა მ გ ე ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 7—12.

რილ წითელარმიელთა თავშეუკავებელ, ზოგჯერ აღვირახსნილ და დანაშაულებრივ საქციელს. რასაც ბევრი თვითმხილველი ადასტურებს. წითელარმიელთა მხრივ ძალადობის ფაქტები აღწერილია ყარაიაზის რაიონული რევკომის 1921 წლის 27 აგვისტოს მოხსენებაში, რომელიც კომუნისტური პარტიის თბილისის სამაზრო კომიტეტს წარედგინა. ჯარისკაცებსა და მოსახლეობას შორის სისხლის ღვრის თავიდან აცილების მიზნით, რევკომი მოითხოვდა გაეყვანათ ყარაიაზიდან წითელი არმიის ნაწილები[3].

დასტურდება ისიც,, რომ ზოგიერთი ქართველი ბოლშევიკი იღებდა ზომებს თბილისში წითელი არმიის შემოსვლისას ქალაქი საბრძოლო ოპერაციების ასპარეზად არ გადაქცეულიყო. მაგალითად, შალვა ელიავა, რომელიც თვითონ მოუძღოდა XI არმიას საქართველოს დასაპყრობად, ამ არმიის ნაწილების თბილისში შემოსვლამდე აცნობებდა სერგო ორჯონიკიძეს: „...ყორდანიას საჯაროდ განუცხადებია, რომ წითელ ჯარს თბილისის თითოეული ქუჩის ბრძოლით აღება მოუხდებაო. ეს გარემოება ძალზე მაღელვებს. ვშიშობ, რადგან ეს ნიშნავს ქალაქის განადგურებას"[4].

არა გვაქვს საფუძველი ეჭვი შევიტანოთ შალვა ელიავას გულწრფელობაში. ბუნებრივია, იგი, და სხვა ქართველი ბოლშევიკებიც, დაინტერესებული იქნებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლი და ნგრევა მოჰყოლოდა. ყოველ შემთხვევაში, ეს პრობლემა უდავოდ იდგა მათ წინაშე. „რუსეთის წითელი არმია მშვენივრად შემოვიდა საქართველოში, არავითარი დარბევა არ მოუხდენია"[5] — აცნობებდნენ საქართველოდან 1921 წლის 23 მარტს მიხა ცხაკაიას, რომელიც იმ დროს მოსკოვში იმყოფებოდა. „მშვენივრად შემოსვლა" ალბათ ზუსტად არ ასახავს მდგომარეობას, მაგრამ ქალაქის დარბევა ჯარის შემოსვლის მომენტში (25 თებერვალს) თვალში საცემი ნამდვილად არ ყოფილა. „სამოქალაქო ომის დროს, — წერს ამ ამბების ერთ-ერთი უშუალო მონაწილე, — მე არაერთგზის მომიხდა მედევნებინა თვალყური როგორ იბრძოდნენ წითელი მეომრები; კერძოდ, მე საბრძოლო შეტაკებათა მოწმე ვიყავი

---

[3] პოლიტიკური პარტიების არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 23, ფურც. 36.

[4] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 85, აღწ. 1, საქ. 112, ფურც. 1.

[5] იქვე, ფ. 157, აღწ. 3, საქ. 45, ფურც. 8.

უკრაინაში, ვნახე როგორ დაუნდობლად ურტყამდნენ წითელარმიელები თეთრებს, მაგრამ ახლანდელი ომი (იგულისხმება საბრძოლო ოპერაციები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის — ლ. თ.) არა ჰგავდა არც ერთ წინანდელს. ბრძანებათა შესასრულებლად გამძლეობა და უსასტიკესი დისციპლინა იგრძნობოდა ყოველ საბრძოლო ეპიზოდში — ბრძანებაში კი ნათქვამი იყო: თავი აარიდეთ სისხლისღვრას, თავიდან აიცილეთ ზედმეტი მსხვერპლი"[6].

ამაში, რასაკვირველია, მე-11 არმიაში მომუშავე ქართველი ბოლშევიკების დამსახურებაც იყო. იმავე შალვა ელიავამ ფრონტის ხაზის შემოვლისას შენიშნა, რომ მცველთა რაზმი და რკინიგზის „ჩეკას" მუშაკები უხეშად ეპყრობოდნენ ქართველ ტყვე ჯარისკაცებს, ცუდად იყო დაყენებული მათი კვების საქმეც, რის შესახებაც შალვა ელიავამ აცნობა სერგო ორჯონიკიძეს და მოითხოვა სპეციალური ბრძანების გამოცემა ქართველი ტყვე ჯარისკაცებისადმი თავაზიანი მოპყრობის შესახებ[7].

სხვა ფაქტების დასახელებაც შეიძლება. წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის პირველ დღეებში საქართველოს საბჭოთა მთავრობის (რევკომის) ყველაზე გავლენიანი მოღვაწეები იყვნენ მამია ორახელაშვილი და შალვა ელიავა. ოფიციალურად ისინი „სუვერენული საბჭოთა საქართველოს" მოსკოვის მიერ ხელდასმულ ლიდერებად ითვლებოდნენ, თუმცა წითელი არმიის ხელმძღვანელ ორგანოთა საქმიანობაში უშუალოდ ვერ ერეოდნენ. ხდებოდა პირიქით, არმიის ორგანოები თვითონ ერეოდნენ „სუვერენული საქართველოს" რევკომის საქმეებში. ამის გამო შეილახა რევკომის ავტორიტეტი, რაც ართულებდა ქართველ ინტელიგენციასთან ურთიერთობას. ჯერ კიდევ 1921 წლის 2 მარტს ვ. ი. ლენინს პირდაპირი სატელეფონო საუბრისას მ. ორახელაშვილმა და შ. ელიავამ აცნობეს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად აუცილებელია არმიის ორგანოების „სრული ჩაურევლობა" საქართველოს რევოლუციური კომიტეტის საქმიანობაში. „ჩვენს მიერ მიღებული ზომების გარდა — ატყობინებდნენ ისინი საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურს, — აუცილებელია მოსკოვიდან დაუყოვნებლივ დაუდასტურონ არმიის განსაკუთ-

---

[6] С. Лекишвили, Последние дни меньшевиков, გვ. 24.

[7] იხ. უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 85, აღწ. 1, საქ. 104, ფურც. 1.

რებულ განყოფილებას და სხვა დაწესებულებებს, რომ მთლიანად დაემორჩილონ რევკომს და სრული პატივისცემით მოეკიდონ სუვერენულ ორგანოებს[8].... ორი ლიდერის ეს განცხადება აშკარად მოწმობს, რომ წითელი არმიის ხელმძღვანელობა პატივს არ სცემდა საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს. ვ. ი. ლენინის პასუხმაც არ დააყოვნა. 1921 წლის 10 მარტს მან დეპეშა გამოუგზავნა XI არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს, მასში ნათქვამია: „იმის გამო, რომ მეთერთმეტე არმიის ჯარების ნაწილები საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, წინადადება გეძლევათ სრული კონტაქტი დაამყაროთ საქართველოს რევკომთან და ზუსტად შეუფარდოთ თქვენი მოქმედება რევკომის დირექტივებს, საქართველოს რევკომთან შეუთანხმებლად არ მიიღოთ არავითარი ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ შელახონ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, განსაკუთრებული პატივისცემით მოეკიდოთ საქართველოს სუვერენულ ორგანოებს, განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინოთ ქართველი მოსახლეობის მიმართ. დაუყოვნებლივ მიეცით სათანადო დირექტივა არმიის ყველა დაწესებულებას, მათ შორის განსაკუთრებულ განყოფილებასაც. პასუხისგებაში მიეცით ყველა, ვინც ამ დირექტივებს არღვევს. გვაცნობეთ ხოლმე დარღვევის ყოველი შემთხვევის ან ადგილობრივ მოსახლეობასთან უმცირესი უთანხმოებისა და გაუგებრობის შესახებ“[9].

ვ. ი. ლენინი შემდგომშიც არაერთგზის მიუთითებდა საქართველოს „სუვერენული ორგანოებისა“ და ქართველი მოსახლეობის მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენის აუცილებლობას, მაგრამ საოკუპაციო რეჟიმი, რომელიც თვით ლენინის ხელდასმით დამყარდა საქართველოში, გამორიცხავდა ასეთი მითითებების ბოლომდე შესრულებას. ამასთან დაკავშირებით დავიმოწმოთ ერთი ვრცელი ამონაწერი თვით ფილიპე მახარაძის მიერ 1921 წლის 8 დეკემბერს დაწერილი მოხსენებითი ბარათიდან, რომელიც რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს გადაეცა. იმ დროს ფილიპე მახარაძე საქართველოს სსრ რევკომის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადააყენეს და მოსკოვში გაიწვიეს. იგი წერს:

---

[8] იქვე, აღწ. 15, საქ. 246, ფურც. 1—5.

[9] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 35, გვ. 506.

„1921 წლის დამდეგს, ე. ი. საქართველოს გასაბჭოების მომენტში, აქ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობა უაღრესად სავალალო იყო... და მოხდა ისე, რომ როცა წითელი ჯარების შეტევა დაიწყო, ამ შეტევის მიზნებსა და განზრახვაზე საქართველოში არც ერთმა უჯრედმა კი არა, პარტიის არც ერთმა წევრმაც სრულიად არაფერი იცოდა... ამრიგად, გამოვიდა შემდეგი: ჯერ ერთი, საქართველოს საზღვრებში წითელი ჯარების შესვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ გარედან დაპყრობის ხასიათი მიიღო, რადგან ამ ქვეყანაში ამ დროს აჯანყების დაწყება არც უფიქრია ვინმეს, მეორე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დროს ადგილებზე არც ისეთი პარტიული უჯრედები აღმოჩნდა და არც ისეთი პარტიის ცალკეული წევრები, რომელთაც უნარი ექნებოდათ მოეწყოთ ხელისუფლება და ცხადია, ამ საქმისათვის მეტწილად ხელი უნდა მოეკიდათ საეჭვო ან პირდაპირ დანაშაულებრივ ელემენტებს. აი, სად არის ჩვენი პირველი ცოდვა, აი სად არის ფესვი ბოროტებისა. აქედან დაიწყო ყველა ჩვენი მარცხი თუ სანახევროდ მარცხი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობის საქმეში. შეიძლებოდა თუ არა ანაზდად მოგვეღო ბოლო ყველა ამ შეცდომისა და დეფექტისათვის და სწორი გეზი აგვეღო... **ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან რამდენიმე ორგანო გაჩნდა: ერთი მხრივ, საქართველოს ცენტრალური კომიტეტი და რევოლუციური კომიტეტი, რომლებიც მხოლოდ ნომინალურად იყვნენ ამ ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები; მეორე მხრივ, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო და სრულიად რუსეთის ცენტრალური პროფსაბჭო და XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო, რომლებიც ფაქტობრივად ნამდვილად ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები იყვნენ. ეს უკანასკნელი ორგანოები უმეტესწილად საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა და რევოლუციური კომიტეტისათვის შეუტყობინებლად, უაპელაციოდ წყვეტდნენ ყველა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხს, რომლებიც უშუალოდ საქართველოს ეხებოდა**" (ხაზგასმა ჩემია — ლ. თ.).

როგორც ვხედავთ, აქ დადასტურებულია, ჯერ ერთი, საქართველოში 1921 წლის თებერვალში არათუ არავითარი აჯანყება არ ყოფილა, არამედ წითელი არმიის ნაწილების შემოსვლის შესახებაც არც ერთმა ადგილობრივ მომუშავე კომუნისტმა არაფერი იცოდა და საერთოდ არც არავინ ფიქრობდა აჯანყების მოწყობაზე; მეორე, ფილიპე

მახარაძე აღიარებს, რომ საქართველოში წითელი ჯარის შემოსვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ **გარედან დაპყრობის ხასიათი მიიღო; მესამე**, თავის თეზისს საქართველოს „გარედან დაპყრობის“ შესახებ ფილიპე მახარაძე იმით ასაბუთებს, და ამჯერად ესაა ჩვენთვის უმთავრესი, რომ რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო და მეთერთმეტე არმიის ხელმძღვანელობა ფაქტობრივად არაფერს ეკითხებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს რევკომს.

აი ასეთი სუვერენული სახელმწიფო ჩამოყალიბდა საქართველოში 1921 წელს, ასეთი ურთიერთდამოკიდებულება არსებობდა საქართველოს სახელმწიფო ორგანოებსა და დამპყრობელი წითელი არმიის ორგანოებს შორის, რასაც ზოგიერთი ბოლშევიკი-ლიდერიც არ მალავდა.

კიდევ ერთი მომენტი იმავე ფილიპე მახარაძისა და ვლადიმერ ლენინის მიმოწერიდან, რომელიც საქართველოს ასლადშექმნილ სახელმწიფო ორგანოებთან რუსეთის ცენტრალური დაწესებულებების დამოკიდებულებას ეხება. ფილიპე მახარაძე, როგორც საქართველოს რევკომის თავმჯდომარე, 1921 წლის მარტის დასაწყისში ვ. ი. ლენინს აცნობებდა: „Из разных „центров“ и „главков“ к нам летят бесчисленные «главко» и «особоуполномоченные»... представители спогсшибательными мандатами. Нечего говорить о том, что мы будем относиться к ним очень критически. Конечно, поскольку мы будем иметь дело с действительно опытными, с действительно полезными работниками, они найдут в нас всяческую поддержку и содействие, но поскольку мы будем иметь дело лишь с авантюристами и с преступным элементом, мы будем их в лучшем случае выпроваживать. Я думаю, что этого требуют интересы дела»[10].ეს წერილი ვ. ი. ლენინმა იმავე წლის 12 მარტს წაიკითხა და იმავე დღეს რსფსრ მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ა. გ. გოიხბარგს ასეთი განკარგულება მისცა:

„მცირე საბჭოს. ამხ. გოიხბარგ! წაიკითხეთ საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლის ეს წერილი და განსაკუთრებით ის, რაც ხაზ-

---

[10] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 1767 (დოკუმენტი ციტირებულია ვ. ესაიაშვილის წიგნიდან „В. И. Ленин и Грузия“, თბ., 1970, გვ. 246—247).

გასმულია (გვ. 3) საჭიროა **ახლავე:** 1) **გავატაროთ გაგზავნის აკრძალვა** (მცირე საბჭოს ნება დაურთველად), ხოლო ნებართვა გავცეთ **უდიდესი სიფრთხილით.** 2) **შესრულება შევამოწმოთ სისტემატურად.** 12. III. ლენინი"[11].

როგორც ლენინის ამ განკარგულებიდან ჩანს, მახარაძის ეს წერილი სულ ცოტა 3 გვერდს მაინც მოიცავდა. ლენინს ხაზი გაუსვამს წერილის იმ ადგილისათვის, სადაც მახარაძე გამოთქვამდა აზრს ცენტრიდან, ე. ი. მოსკოვიდან საქართველოში ბევრი რწმუნებულის გამოგზავნის წინააღმდეგ. ლენინს ამ წერილზე წაუწერია აგრეთვე „დამიბრუნეთ". გოიხბარგმა შეასრულა ლენინის დავალება. 1921 წლის 14 მარტს მცირე სახკომსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რითაც ყველა სახალხო კომისარიატს აეკრძალა საქართველოში გაეგზავნა თავისი რწმუნებულები, თუ ყოველი ცალკე შემთხვევისათვის სახკომსაბჭოს განსაკუთრებული ნებართვა არ იქნებოდა[12].

1921 წლის 18 და 19 აპრილს ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინს სწერდა: „ამხ. სტალინ! მე ფომინის წინააღმდეგი ვარ. არ შეიძლება „რუსულად", საჭიროა „ქართულად". შევიტანოთ პოლიტბიუროში. ლენინი"[13]. ეს ბარათი დაწერილია რსფსრ გზათა სახალხო კომისრის მოადგილის ვ. ვ. ფომინის იმ დეპეშის მიღებასთან დაკავშირებით, რომელშიც იგი წინადადებას იძლეოდა „საქართველოსა და აფხაზეთის ნავსადგურების (ბათუმი, ფოთი, სოხუმი) მმართველობა დაქვემდებარებოდა რსფსრ საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს როსტოვში ან ნოვოროსიისკში". ამ წინადადებას არ ეთანხმებოდა საქართველოს რევკომი. ვ. ი. ლენინის მხარდაჭერით ეს საკითხი გადაწყდა „ქართულად". 1921 წლის 19 აპრილს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად „საქართველოსა და აფსაზეთის ნავსადგურების ორგანიზაცია" საქართველოს გამგებლობაში გადავიდა. პოლიტბიურომ დაავალა საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს, ყოველგვარი მატერიალური დახმარება გაეწია ამ ნავსადგურებისათვის[14].

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი, პოლიტბიურო ამ შემთხვევაში გულისყურით მოეკიდნენ საქართველოს

---

[11] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 45, გვ. 67.

[12] იქვე, გვ, 782 (81-შენიშვნა),

[13] იქვე, გვ. 107.

[14] იქვე, გვ. 792 (121-ე შენიშვნა).

რევკომის წინადადებებს და პრაქტიკული ზომებიც მიიღეს მათს განსახორციელებლად. მაგრამ ეს არ ცვლიდა საერთო სურათს — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სუვერენიტეტი მხოლოდ ნომინალური იყო. მას ანგარიშს უწევდნენ მხოლოდ „გარკვეულ ფარგლებში“ და ისიც არა ყოველთვის. საქართველოს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა დამოუკიდებელი იყო იმდენად, რამდენადაც ამას დასაშვებად მიიჩნევდა რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მისი პოლიტბიურო. ამას ის განაპირობებდა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე რესპუბლიკის ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად ითვლებოდა, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებზე აგებული რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) განუყოფელი შემადგენელი ნაწილი იყო და ამდენად მას მხოლოდ იმის გაკეთება შეეძლო, რის უფლებასაც რკპ(ბ) მისცემდა. პარტია და რესპუბლიკის მთავრობა რეალურად დამოუკიდებელი ვერ იქნებოდნენ. თუმცა შექმნილ ვითარებაში საქართველოს კომუნისტებს ეს სავსებით ბუნებრივად მიაჩნდათ. ურიგდებოდნენ ამას ქართველი ე. წ. ნაციონალ-უკლონისტებიც, რომელნიც შედარებით გონივრულად უყურებდნენ ეროვნული პოლიტიკის ზოგიერთ საკითხს, მაგრამ საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას არც ისინი მოითხოვდნენ.

საქართველოს კომპარტიის ზემდგომ პარტიულ ინსტანციას რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურო (შემდეგ — რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი) წარმოადგენდა, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა დამოუკიდებლად არც მას შეეძლო. ეს ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტებიდანაც, რომელნიც წარმოდგენას გვიქმნიან თუ როგორ არჩევდა კავბიურო, მაგალითად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას. 1922 წლის 8 თებერვალს კავბიუროს ხელმძღვანელმა გ. კ. ორჯონიკიძემ ასეთი დეპეშა გაგზავნა მოსკოვში:

„მოსკოვი, კრემლი, რკპ (ბ) ცკ-ს, ასლი ამხ. ლენინს და სტალინს. თბილისი. 8. 11—22.

საბჭოების ყრილობა 25/II გაიხსნება. ამასთან დაკავშირებით დგება მდივნის — სახკომსაბჭოს თავმჯდომარის საკითხი. ვვარაუდობდით გადაგვენაცვლებინა (იგი) სამოკავშირეო საბჭოში. საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ დარჩენაზე ის უარს ამბობს და

არც შეიძლება მისი დატოვება ამ პარტკონფერენციამდე. ვაყენებთ მახარაძის კანდიდატურას. პარტიაში ეს კანდიდატურა ყველაზე პოპულარულია. **სხვა დანარჩენი კანდიდატურები შეიძლება გავიდეს მხოლოდ რკპ ცკ-ის დადგენილებით** (ხაზგასმა ჩვენია, — რედ.). გთხოვთ სასწრაფოდ გვაცნობოთ მიაჩნია თუ არა ცკ-ს შესაძლებლად მახარაძის კანდიდატურის დამტკიცება... ორჯონიკიძე"[15].

ორი დღის შემდეგ, 1922 წლის 10 თებერვალს გ. კ. ორჯონიკიძე კვლავ ატყობინებს მოსკოვს: „25-ში მოწვეულია საქართველოს საბჭოების ყრილობა — დადგება საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის საკითხი. თვითონ ბუდუ კატეგორიულად უარზეა. არც მისცემენ მოსვენებას სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. წამოაყენებენ მახარაძის კანდიდატურას და ალბათ ერთხმად გავა. დანარჩენი კანდიდატურები ყველა იხსნება. **ფილიპეს[16] კანდიდატურა შეიძლება მოიხსნას მხოლოდ რკპ ცკ-ის დადგენილებით** (ხაზგასმა ჩვენია, — რედ.), მაგრამ თავსმომხვევეთ არ გაახარებენ. გენუიდან ბუდუს[17] დაბრუნების საკითხი ფორმალურად შეიძლება გავაჭიანუროთ, მაგრამ შესაძლოა ამ ხნის მანძილზე ფილიპე მოადგილედ წამოაყენონ. რა ვქნათ? ბუდუს გამგზავრებასა და შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ნაზარეტიანის[18] გამოწვევა ზედმეტი ხდება. ამიტომ გთხოვ ნუ დაიჟინებ ამას, ანდა, თუ საშველი არაა, ეს საკითხი ყრილობამდე გადავდოთ.

ეს დღეებია რუსული მანეთის კურსი საშინლად დაეცა — 50—60%-ით. მიზეზი ჯერ არ არის გარკვეული. სვანიძე[19] ამას იმით ხსნის, რომ ჩვენში ფულის ნიშნები დიდი რაოდენობით მოზღვაედა. ერთობ ცუდი მდგომარეობაა. პური 17 ათასიდან 45 ათასამდე გაძვირდა. ყველანი... ჯანდაბას იქით წასულან, გთხოვთ მიპასუხოთ. ორჯონიკიძე"[20].

1922 წლის 14 თებერვალს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს, პირადად გ. კ. ორჯონიკიძეს აცნობეს:

---

15 უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 85, აღწ. 18, საქ. 111, ფურც. 20.

16 ლაპარაკია ფილიპე მახარაძეზე.

17 ლაპარაკია ბუდუ მდივანზე.

18 ლაპარაკია ამაიაკ ნაზარეტიანზე,

19 ლაპარაკია ალექსანდრე სვანიძეზე.

20 უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 85, აღწ. 18, საქ. 111, ფურც. 20.

„14. II—22 წ. ფილიპეს კანდიდატურა არასერიოზულად მიმაჩნია. ფილიპე ყოველთვის საშუალო ტიპის ლიტერატორი იყო და კვლავაც ასეთად რჩება. ის არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება არც პოლიტიკური ხელმძღვანელი, არც ორგანიზატორი, არც პრაქტიკული მოღვაწე. სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ ასეთი კაცის დაყენება საქმის ინტერესების მოშლას ნიშნავს. ფილიპეს შეიძლება ჩააბარო გაზეთი, ჟურნალი ან უკიდურეს შემთხვევაში საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარის პოსტი. ეს მე ჯერ კიდევ შარშან გაზაფხულზე ვთქვი. ეს შენც ალიარე ორახელაშვილთან ერთად, როცა რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის პოსტიდან ფილიპეს გადაყენებას მოითხოვდით. ამას იტყვის ყველა, ვინც ფილიპეს იცნობს. ნაზარეტიანზე მე უკვე ვთქვი, მოსახსნელია-მეთქი. ვფიქრობ, რომ ჭორიკანებისა და მოლაყბეების კიდევ მთელი ჯგუფი უნდა მოვხსნათ. მიიღეთ თუ არა მოსკოვიდან მოწოდება? მგონია, მანეთის კურსის დაცემა რუსეთის ფულის მოზღვავებით აიხსნება, რაც პორტო-ფრანკოთია გამოწვეული. დასკვნა ნათელია. სტალინი“[21].

ამ დეპეშებში ყურადსაღებია არა ის, რომ ხელმძღვანელ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატურის შესასებ ქვემდგომი პარტიული ორგანო ზემდგომს ეთათბირება. აქ მთავარი იმის დადასტურებაა, რომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით საქართველოში ნებისმიერი კანდიდატურის დამტკიცება შეიძლებოდა. ეს ხდებოდა არა მარტო პარტიაში, არამედ მთავრობაშიც. აქ გასაკვირიც არაფერია, რადგან ცენტრალიზმის პრინციპი სწორედ ამას გულისხმობს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეალური სტატუსი ასე განსაზღვრა ი. ბ. სტალინმა, რომელმაც 1921 წელს ჩატარებულ ერთ-ერთ თათბირზე ა. მ. ნაზარეტიანის საპასუხოდ განაცხადა: „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უფლებები უთანაბრდება არა საგუბერნიო კომიტეტის, არამედ საოლქო კომიტეტის უფლებებს, ეს კი სხვა რამეა“[22].

საქართველოს სახელმწიფო ორგანოების თუ მოღვაწეების ოდნავი წინააღმდეგობის შემთხვევაში საკითხი ორგანიზაციული წესით გადაწყდებოდა, რაც, უწინარეს ყოვლისა, ურჩ მოღვაწეთა თანამდებო-

---

[21] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 85, აღწ. 18, საქ. 111, ფურც. 37.

[22] იქვე, ფ. 64, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 220—224.

ბიდან მოხსნით, გადაყენებით თუ პარტიიდან გარიცხვით გამოიხატებოდა. ყოველივე ამას გააკეთებდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც რუსეთის კომუნისტური პარტიის ადგილობრივ ორგანოს წარმოადგენდა. ხოლო თუ საბჭოთა ხელისუფლება ქართველი ხალხის მასშტაბურ წინააღმდეგობას წააწყდებოდა, მაშინ საქმეში რუსეთის წითელი არმია ჩაერეოდა. ამ არმიის უმთავრეს ამოცანას არა მარტო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამხობა წარმოადგენდა, რაც მან უმოკლეს დროში განახორციელა, არამედ, მას საბჭოთა ხელისუფლების დაცვა-შენარჩუნება უნდა უზრუნველეყო. პრაქტიკულად ეს ასეც ხდებოდა. რუსის ჯარს საქართველოს გასაბჭოების პირველ წელსვე ანტისაბჭოთა აჯანყებების ჩაქრობა მოუხდა.

ამრიგად, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციითა და ძალდატანებითი გასაბჭოებით, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართულ მიწაზე მშვიდობა ვერ დამყარდა. საგრძნობი იყო ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგობა, რაც ქართველ კომუნისტებს ახალ საზრუნავს უჩენდა. საქართველოს კომპარტიის ლიდერები საჯარო დაპირებას იძლეოდნენ, რომ უზრუნველყოფდნენ საქართველოს სუვერენიტეტის დაცვას, ხელს შეუწყობდნენ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებას, შექმნიდნენ ქართულ წითელ არმიას, საქართველოდან გაიყვანდნენ რუსეთის ჯარს და ა. შ. დაისახა გარკვეული ამოცანები, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას, ახალი სახელმწიფო ორგანოების — რევოლუციური კომიტეტების შექმნასა და განმტკიცებას.

რევკომების სისტემა (ან რევკომების ორგანიზაცია) საქართველოში. საოკუპაციო რეჟიმის პირველ წელს საქართველოში ხელისუფლების ორგანოებს წარმოადგენდნენ რევოლუციური კომიტეტები („რევკომები“), რომლებიც რესპუბლიკაში საბჭოების როლსა და ფუნქციებს ასრულებდნენ. რევკომები ახალი ხელისუფლების („საბჭოთა ხელისუფლების“, პროლეტარიატის დიქტატურის“) დროებითი, არაარჩევითი საგანგებო ორგანოები იყო. რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებულ ზოგ სხვა რესპუბლიკაში ხელისუფლების ორგანოები იყო საბჭოები. შეიძლება ითქვას, საბჭოები მაშინ პროლეტარიატის დიქტატურის კლასიკურ პოლიტიკურ (სახელმწიფოებრივ) ფორმად ითვლებოდა. საქართველოში კი საბჭოების არჩევნების ჩატარება, თუნ-

დაც საოკუპაციო რეჟიმის პირობებში. მმართველი პარტიისათვის იმ დროს ერთობ სარისკო იყო, რადგან მასში გამარჯვების შანსი კომუნისტებს თითქმის არ გააჩნდათ. გარდა ამისა, არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას გარკვეული დრო სჭირდებოდა. ამიტომაც გადაწყვიტეს საქართველოში არჩევითი საბჭოების ნაცვლად დანიშვნითი ორგანოების — რევკომების შემოღება. იყო გამონაკლისიც. აჭარაში, მაგალითად, იმ დროს ღარიბთა კომიტეტებს ქმნიდნენ. რევკომების სისტემა სხვა რესპუბლიკებშიც არსებობდა.

ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს 1921 წელს საბჭოთა საქართველოში საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტი წარმოადგენდა. იგი ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე შეიქმნა შულავერში 1921 წლის 16 თებერვალს. ოფიციალური ვერსიით ეს ორგანო „საქართველოს მშრომელთა აჯანყების“ სახელმძღვანელოდ შეიქმნა. სინამდვილეში რევკომი საქართველოს მშრომელთა აჯანყებას ვერ უხელმძღვანელებდა, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იმ დროს საქართველოში ასეთი აჯანყება არ მომხდარა, ხოლო იმას, რაც მაშინ საქართველოში ხდებოდა, თავისი ხელმძღვანელი ჰყავდა. ეს იყო საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის ხელმძღვანელობა და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურო. უნდა ითქვას ისიც, რომ რევკომის შექმნის მომენტში მისი ზოგიერთი წევრი შულავერში საერთოდ არ ყოფილა. მაგალითად, რევკომის შემადგენლობაში დასახელებული ბუდუ მდივანი იმ დროს თურქეთში მუშაობდა რუსეთის სფსრ რესპუბლიკის წარმომადგენლად. საქართველოში მომხდარი ამბებისა და იმის შესახებ, რომ იგი შეყვანილი იყო რევკომის შემადგენლობაში, გ. კ. ორჯონიკიძემ მას 1921 წლის 30 მარტის დეპეშით შეატყობინა[23]. ასევე არ იმყოფებოდა იმ დროს შულავერში, და საერთოდ კავკასიაში, რევკომის თვით თავმჯდომარეც კი — ფ. ე. მახარაძე, რომელიც რამდენიმე თვით ადრე მოსკოვში იყო გაწვეული სამუშაოდ. საქართველოს რევკომმა შექმნის დღესვე სთხოვა საბჭოთა რუსეთის მთავრობას სამხედრო დახმარება. ეს იყო მისი საგანგებოდ შექმნის ამოცანა მაშინ. რევკომი კავბიურომ შექმნა. იგი ხალხს არ აურჩევია. ამის გამო უკანონოდ უნდა მივიჩნიოთ პარტიული ორგანოს მიერ დანიშნული რევკომის იურიდიული უფლებამოსილება — მოეწვია უცხო ქვეყ-

---

[23] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 85, აღწ. 15, საქ. 139.

ნის არმია. თუმცა ისიც ფაქტია, რომ წითელი არმია თავიდანვე („მოწვევამდე") მონაწილეობდა „საქართველოს ამბებში".

რევკომის წევრთა სიას ი. ბ. სტალინი 17 თებერვალს გაეცნო. ამასთან დაკავშირებით მან გ. კ. ორჯონიკიძეს აცნობა: „რევკომის შემადგენლობა არ არის კარგი. წინადადებას გაძლევ მიუმატე სიას არაქელა, ცხაკაია, ელისაბედაშვილი, ვინმე თათართაგან და აგრეთვე ფედერალისტთაგან. რევკომს შეუძლია გამოყოს აღმასკომი 5 კაცის შემადგენლობით. მაგალითად, მახარაძე, მდივანი, ელისაბედაშვილი, 1 სომეხი, 1 თათარი... ჟორდანიას შეცდომა — მისი მთავრობა შეღგენილი იყო თითქმის გურულებისაგან, რის გამოც იგი არ სარგებლობს აღმოსავლეთ საქართველოს თანაგრძნობით. ჩვენ არ უნდა გავიმეოროთ ეს. სხვანაირად რევკომი იკოჭლებს"[24]. რევკომის შემადგენლობასთან დაკავშირებით, ი. ბ. სტალინი კიდევ ერთ საგულისხმო შენიშვნას აძლევს გ. კ. ორჯონიკიძეს: „...საჭირო იყო რამდენიმე ადგილის დატოვება ფედერალისტებისა და მემარცხენე მენშევიკებისათვის"[25].

როგორც ვხედავთ, ი. ბ. სტალინს საქართველოს რევკომი რესპუბლიკის მთავრობად ჰყავს წარმოდგენილი. მისი რჩევები შეძლებისდაგვარად გაითვალისწინეს და საქართველოს რევკომი, როგორც რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი უმაღლესი ორგანო (მთავრობა), მუშაობას შეუდგა 1921 წლის 25 თებერვალს (საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს), რის შესახებაც 1921 წლის 26 თებერვლის სპეციალური დეკრეტით აუწყეს ქართველ ხალხს. საქართველოს რევკომმა შექმნა სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები. უწინარეს ყოვლისა, მან გააუქმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი სამინისტროები და ჩამოყალიბდა სახელმწიფო მმართველობის ახალი ცენტრალური ორგანოები — სახალხო კომისარიატები. შეიქმნა სახალხო კომისართა საბჭო, რომელიც ფაქტობრივად იგივე იყო, რაც საქართველოს რევკომი. საქართველოს რევკომის (სახალხო კომისართა საბჭოს) შემადგენლობაში შედიოდნენ სახალხო კომისრები.

გასაბჭოების შემდეგ საქართველოს რევკომის (მთავრობის) პირველი შემადგენლობა ასეთი იყო: რევკომის თავმჯდომარე და მიწათ-

---

[24] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 558, აღწ. 1, საქ. 2056, ფურც. 1—2.

[25] იქვე, საქ. 2055, ფურც. 1.

მოქმედების სახალხო კომისარი — ფილიპე მახარაძე[26], თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი — მამია ორახელაშვილი (პირველ ხანებში ხელმძღვანელობდა განათლების სახალხო კომისარიატსაც), სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი — შალვა ელიავა (პირველ ხანებში ხელმძღვანელობდა საგარეო ვაჭრობის უწყებასაც), შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი — ბესო კვირკველია. ფინანსთა სახალხო კომისარი — ამაიაკ ნაზარეტიანი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის თავმჯდომარე — გიორგი ელისაბედაშვილი და სხვ.

1921 წლის 8 მარტს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა აირჩია პრეზიდიუმი ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით.

რევოლუციური კომიტეტის საკანონმდებლო აქტები ქვეყნდებოდა დეკრეტების სახით. რევკომი უშვებდა აგრეთვე ბრძანებებსა და დადგენილებებს. თავისი საკანონმდებლო მოღვაწეობის ერთი წლის მანძილზე საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა, ბრძანებებისა და დადგენილებების გარდა, გამოსცა 100 დეკრეტი.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებად აღიარებულ იქნა სამაზრო, საქალაქო, სათემო და სასოფლო რევკომები. საქართველოს რევკომმა იმსჯელა მმართველობის სისტემის თაობაზე და მიიღო დადგენილება: „პრინციპულად აღიარებულ იქნას ორგანიზაცია სამაზრო რევკომებისა, რომლებიც ემორჩილებიან საგუბერნიო რევკომებს, საგუბერნიო რევკომი უნდა იყოს სამი: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და აგრეთვე ერთი სოხუმის საოლქო რევკომი — დანარჩენ ადგილებში უნდა დაარსდეს სამაზრო რევკომები"[27].

საგუბერნიო და საოლქო რევკომების სისტემამ საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდა. ამიტომ იქმნებოდა სამაზრო, საქალაქო და სათემო რევკომები. ჯერ კიდევ 25—26 თებერვალს საქართველოს რევკომმა შექმნა თბილისის დროებითი რევოლუციური კომიტეტი, ამავე დროს დაიტოვა ქალაქის მმართველობის ძველი ორგანო — ქალაქის

---

[26] ფ. მახარაძე მოსკოვიდან საქართველოში 1921 წლის 6 მარტს დაბრუნდა, მანამდე საქართველოს რევკომის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა მამია ორახელაშვილი.

[27] ციტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, საქართველო XX საუკუნის 20—30-იან წლებში. ტომის რედაქტორი იური კაჭარავა, თბ., 1976, გვ. 70—71.

გამგეობა, რომელსაც დაევალა განეგრძო მუშაობა „მთელი შტატით და განყოფილებებით". თბილისის რევკომის შესახებ საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 26 თებერვლის დადგენილებაში ნათქვამია, რომ იგი „არის მებრძოლი ორგანო, დამნიშვნელი პოლიტიკური ხელმძღვანელობისა გამგეობის განყოფილებაში კონტროლისათვის". როგორც ვხედავთ, თბილისში ხელისუფლების ძველი ორგანოს მიმართ ახალი ხელისუფლება მხოლოდ კონტროლის უფლებით დაკმაყოფილდა. მსგავსი შემთხვევები საბჭოთა რუსეთშიც ხდებოდა. ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ხელისუფლების ორგანოთა განმტკიცებას ისახავდა მიზნად საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 8 აპრილის დეკრეტი — სამაზრო, საქალაქო და სათემო რევკომების ორგანიზაციის შესახებ, რომელშიც განმარტებული იყო ადგილობრივი რევკომების უფლებამოსილებანი. დებულების თანახმად, თემის, რაიონისა და მაზრის რევკომები იყვნენ უმაღლესი ხელისუფლების ორგანოები. მოცემული ტერიტორიის საზღვრებში. რევკომები ამა თუ იმ სფეროში ხელმძღვანელობდნენ სათანადო სახალხო კომისარიატთა დადგენილებებით. სარაიონო რევკომები იქმნებოდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით, საჭიროების მიხედვით. თემის რევკომის წევრებს ნიშნავდა მაზრის რევკომი, მაზრისა და ქალაქის რევკომების წევრებს — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი. მაზრისა და ქალაქის რევკომები უშუალოდ ემორჩილებოდა საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს, როგორც ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი თვეების მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვანი კონსტიტუციური აქტი იყო საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 21 აპრილის დეკრეტი ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ. დეკრეტში განსაზღვრულია რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ხასიათი, მისი კომპეტენციის სფერო, სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა უფლება-მოვალეობანი, ურთიერთდამოკიდებულება. 21 აპრილის დეკრეტის თანახმად, საქართველოს სსრ რევკომი არის რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და საკონტროლო ორგანო. როგორც ვხედავთ, აქ უარყოფილია ხელისუფლების დაყოფის პრინციპი. ამ დეკრეტის ძალით საქართველოს სსრ რევკომს დაევალა საქართველოს საბჭოების ყრილობის მოწვევა. რევკომი კი ამ ყრილობის წინაშე ანგარიშვალდებული ხდებოდა. საქართველოს

რევკომს უფლება ეძლეოდა მმართველობის ცალკეული დარგების სელმძღვანელობისათვის დაეარსებინა სახალხო კომისარიატები და სხვა უმაღლესი დაწესებულებანი. სახალხო კომისარიატები არ სარგებლობდნენ საკანონმდებლო აქტების გამოცემის უფლებით, მათ შეეძლოთ მხოლოდ საკანონმდებლო აქტების პროექტების წარდგენა რევოლუციურ კომიტეტში დასამტკიცებლად. რევოლუციური კომიტეტი სახალხო კომისარიატებისაგან პროექტების წარუდგენლადაც გამოსცემდა საკანონმდებლო აქტებს[28].

საბჭოთა ხელისუფლება, როცა ძველ სახელმწიფო მანქანას ამსხვრევდა, ბუნებრივია, ვერ მოითმენდა ისეთი დემოკრატიული ინსტიტუტის არსებობას, როგორიც იყო საქართველოს დამფუძნებელი კრება. საქმე ის იყო, რომ დამფუძნებელ კრებაში წარმოდგენილი იყო მრავალი პოლიტიკური პარტია, რომელნიც არ ცნობდნენ საქართველოს საბჭოთა მთავრობას, მიაჩნდა იგი უცხო ძალის მიერ დამყარებულ ხელისუფლებად. საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საქართველოს რევკომისათვის, ცხადია, მომგებიანი იქნებოდა თუკი დამფუძნებელი კრება ახალ ხელისუფლებას აღიარებდა, მაგრამ, თუ იმდროინდელ რეალობას გავითვალისწინებთ, ეს გამორიცხული იყო. ამიტომ საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 24 მარტს მიღებული დადგენილების საფუძველზე საქართველოს დამფუძნებელი კრება დაითხოვა[29]. რასაკვირველია, ეს დადგენილება დემოკრატიზმის წინააღმდეგ მიმართული კიდევ ერთი დასაგმობი აქცია იყო.

დამფუძნებელი კრების დათხოვნამდე ორი დღით ადრე, 1921 წლის 22 მარტის დეკრეტით საქართველოს რევკომმა გააუქმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი სენატი და სხვა სასამართლო დაწესებულებები. შემოღებულ იქნა სახალხო სასამართლოები. სასამართლო „რეფორმა“ ამით არ დამთავრებულა. იმავე წლის 26 ივლისის დეკრეტით გაუქმდა საოლქო სასამართლოები და მომრიგებელი სასამართლო დაწესებულებები. 1921 წლის 28 ოქტომბრის დე-

---

28 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 72—73.

29 საქართველოს რევოლუციური კომიტეტები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში (1921 წლის თებერვალი — 1922 წლის მარტი), დოკუმენტებისა და მასალების კრებული, შემდგენელი ი. ახალაია, სოხუმი, 1963, გვ. 88 (რუს. ენაზე).

კრეტით კი დაარსდა სახალხო მოსამართლეთა დროებითი საბჭო[30]. ამასთან ძველი კოდექსების ნაცვლად სახალხო სასამართლოები სხვადასხვა კანონთა დროებითი ნორმებით ხელმძღვანელობდნენ. ამ დროისათვის საქართველოში არ არსებობდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემუშავებული ახალი, სტაბილურ კანონთა კოდექსები. მაგალითად, სისხლის სამართლის ახალი კოდექსი შემოიღეს რევკომების გაუქმების შემდეგ, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის 15 ნოემბრის დადგენილებით. საბჭოთა კანონმდებლობის ზუსტად გატარებას და სასამართლო ორგანოების სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 27 ნოემბრის დადგენილება სასამართლო რეფორმის შესახებ.

ამრიგად. საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გადადგა პირველი ნაბიჯები ახალი სასამართლო წყობილების შესაქმნელად. რევოლუციური კომიტეტის მიერ დაწყებული მუშაობა განაგრძო საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელმაც შექმნა ახალი სასამართლო წყობილება და მისი აპარატი, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ორგანო[31].

საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც იარაღით ცდილობდნენ მის დამხობას. დადასტურებულ იქნა ჯაშუშობისა და საბოტაჟის ფაქტები. ყოველივე ეს მოულოდნელი არ ყოფილა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, რომელიც ასეთი სახის ქმედებათა აღმკვეთ ზომებს მიმართავდა. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო ზოგჯერ აზვიადებდა კიდეც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიერ ჩადენილ ანტისაბჭოთა აქციების მნიშვნელობას. ამის მიზეზი ის იყო, რომ საბჭოთა დამსჯელ ორგანოებს ხელფეხი გახსნოდათ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. თავისუფალი აზრის გამოთქმისათვის მოქალაქეთა დასჯა, ცხადია, ბევრ მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა, რაც კომუნისტებისათვის კიდევ უფრო არახელსაყრელს გახდიდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას. სულ სხვა

---

[30] საქართველოს რევოლუციური კომიტეტები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში (1921 წლის თებერვალი — 1922 წლის მარტი), დოკუმენტებისა და მასალების კრებული, შემდგენელი ი. ახალაია. —სოხუმი, 1963, გვ. 138—139; 164—165.

[31] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 76.

იყო, თუ პოლიტიკური მოწინააღმდეგენი მხილებული იქნებოდნენ აშკარა ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში, სისხლის სამართლის დანაშაულში. მაშინ მათ წინააღმდეგ რეპრესიების გატარება თითქოს უფრო „ადვილად გასაგები“ ხდებოდა. ამ „წესს“ ყველა ტოტალიტარული რეჟიმი იცავს. გამონაკლისი, ცხადია, ვერც საქართველოში ჩამოყალიბებული რეჟიმი იქნებოდა.

ორგანოს, რომელიც უშუალოდ ებრძოდა პროლეტარიატის დიქტატურის შინაურ და გარეშე მტრებს, საბჭოთა რუსეთში საგანგებო კომისია („ჩრეზვიჩაინაია კომისია“, „ჩეკა“) ეწოდებოდა. ასეთი ორგანო საქართველოში 1921 წლის თებერვალშივე შეიქმნა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის 26 თებერვლის ბრძანებაში ნათქვამია: „1. კონტრრევოლუციასთან, სპეკულაციასთან და საბოტაჟთან საბრძოლველად, როგორც ქ. თბილისში, აგრეთვე მთელ საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტი ა/წ 25-ს დადგენილების თანახმად აარსებს საქართველოს საგანგებო-საგამომძიებლო კომისიას, რომელიც აგრეთვე ებრძვის თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედებას“[32].

საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ დროებით დაინიშნა გ. ელისაბედაშვილი. საქართველოს რევკომმა გააფრთხილა რესპუბლიკის მოქალაქენი, რომ „ყოველგვარი კონტრრევოლუციური მოქმედების, საბოტაჟის და სპეკულაციის წინააღმდეგ წარმოებული იქნება დაუნდობელი ბრძოლა“[33]. „კონტრევოლუციურ მოქმედებებში“, ცხადია, ანტიკომუნისტური და ანტისაბჭოთა ქმედებები იგულისხმებოდა. ამასთან, რევკომი დაპირებას იძლეოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლასთან ერთად, არ დაირღვეოდა უდანაშაულო პირთა მყუდროება.

თავის საქმიანობაში საქართველოს საგანგებო კომისია ფართოდ იყენებდა საბჭოთა რუსეთის საგანგებო კომისიის გამოცდილებას, რომელიც ამ დროისათვის უკვე გამოირჩეოდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ტოტალიტარული ბრძოლის სასტიკი ფორმებითა

---

[32] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში სუიცსა). ფ. 281, აღწ. 1, საქ. 12, ფურც. 1.

[33] იქვე.

და მეთოდებით. საქართველოში ეს ფორმები და მეთოდები თანდათანობით ინერგებოდა.

1921 წლის აპრილ-მაისში საქართველოში შეიქმნა საგანგებო კომისიის ადგილობრივი (სარაიონო, სამაზრო და ა. შ.) ორგანოები — პოლიტბიუროები. შემდეგ ასეთივე ორგანოები შეიქმნა ავტონომიურ ერთეულებში. ჩამოყალიბდა აგრეთვე საგზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისია.

ასე რომ, საგანგებო კომისიების „ფხიზელ თვალს" მთელი საქართველო თავის თვალსაწიერში ჰყავდა მოქცეული. თავდაპირველად მათი საქმიანობა, ძირითადად, პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობის თაობაზე ინფორმაციის შეგროვებითა და „ანტისაბჭოთა ელემენტების" აღრიცხვით შემოიფარგლებოდა. სულ მალე კი საგანგებო კომისიის ორგანოები დაუნდობელ ბრძოლას გააჩაღებენ ყოველივე ანტისაბჭოურის (ნამდვილი თუ მოჩვენებითი) წინააღმდეგ.

ახალი სახელმწიფო ხელისუფლების ჩამოყალიბებაში თავისი როლი შეასრულეს განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილებმა („ჩონი"), რომელთა დაკომპლექტება 1921 წლის სექტემბერში დასრულდა. პროლეტარიატის დიქტატურის ამ განსაკუთრებული არმიის შემადგენლობაში იღებდნენ წარმოება-დაწესებულებებსა და სოფლის მეურნეობაში მომუშავე კომუნისტებსა და კომკავშირლებს. ცოტა მოგვიანებით, 1923 წლის 14 ივლისს, გაზეთი „კომუნისტი" (საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანო) წერდა: „ყოველ პარტიულ ორგანიზაციასთან, იქნება ის საქალაქო თუ სამაზრო კომიტეტი, რაიკომი, თემკომი თუ უჯრედი, არსებობს შეიარაღებული ძალა პარტიული მუშებისა, რომლებმაც ფიცი დასდეს ბოლმდე ემსახურონ ოქტომბრის რევოლუციას".

1921 წლის თებერვალში საქართველოში შეიქმნა „მუშურ-გლეხური მილიცია", როგორც რევოლუციის შეიარაღებული ძალა. 1922 წლის 2 იანვარს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი მუშურ-გლეხური მილიციის ორგანიზაციული სრულყოფისათვის. აღნიშნული დეკრეტით მილიციას მიენიჭა ისეთივე მნიშვნელობა, როგორიც ჰქონდა „განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილებს"[34].

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ჩამოყალიბებას საქართველოს რევკომის დავალებით რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალ-

---

[34] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 75.

ხო კომისარიატი ხელმძღვანელობდა. ხელისუფლების ორგანოთა მუშაობა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპზე იყო აგებული.

ახალ სახელმწიფო მანქანაში საკონტროლო ფუნქციებს ასრულებდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი („მუშგლეხინი"), რომელიც საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 27 აპრილის დეკრეტით შექმნა.

საბჭოთა საქართველოში იმთავითვე იქნა მიღებული ზომები სახალხო მეურნეობის გეგმიან საწყისებზე გადასასვლელად. 1921 წლის 28 თებერვლის დეკრეტით საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა შექმნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭო, ხოლო 5 აგვისტოს მანვე მიიღო დადგენილება უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს შექმნის შესახებ. უმაღლესი ეკონომიკური საბჭო დაარსდა ეკონომიკური ხასიათის სახალხო კომისარიატების მთელი სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის.

საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების ორგანოთა მუშაობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად რევოლუციური კომიტეტის 1922 წლის 10 იანვრის დადგენილება „ხელისუფლების ორგანოთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ", რომელიც აზუსტებდა და ავითარებდა რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 21 აპრილის დეკრეტს. 10 იანვრის დადგენილება იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მან თავისებური გამოხატულება პოვა საქართველოს სსრ პირველ კონსტიტუციაში. ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს რევკომის 1921 წლის 20 მაისის დეკრეტს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გერბისა და დროშის დაწესების შესახებ"[35].

ამრიგად, ახალი სახელმწიფო მანქანა და, საერთოდ, საბჭოთა სახელმწიფოებრიობა 1921 წელს საქართველოს რევკომის დეკრეტებისა და დადგენილებების საფუძველზე ყალიბდებოდა. რევკომის არსებობის პერიოდშივე ჩაეყარა საფუძველი სახალხო მეურნეობისა და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალისტურ (საბჭოთა რუსეთის ყაიდაზე) გარდაქმნას. მაგალითად, საბჭოთა ხელისუფლება დაარსებისთანავე შეუდგა აგრარული რეფორმის გატარებას. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 6 აპრილის დეკრეტი მიწის ნაციონალიზაციის შესახებ. დეკრეტმა დაკანონა მემამულეებისა და ეკლესია-მონასტრების მფლობელობაში

---

[35] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 77—78.

მყოფი მიწების კონფისკაცია, მთელი მიწები „მშრომელი ხალხის საკუთრებად“ გამოაცხადა და აკრძალა მიწის ყიდვა-გაყიდვა. დეკრეტის ძალით გაუქმდა ამიერკავკასიის კომისარიატისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1917 წლის 16 დეკემბრის, 1918 წლის 7 მარტის, 1919 წლის 28 იანვრისა და 1920 წლის 10 თებერვლის კანონები მიწის შესახებ. ამასთან, საქართველოს გლეხობა განთავისუფლდა მიწის გადასახადისაგან.

საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიკური ბაზის შექმნის პირველ ღონისძიებებად უნდა ჩაითვალოს საქართველოს რევკომის დეკრეტები მრეწველობის სხვადასხვა დარგის საწარმო-დაწესებულებათა სოციალისტური ნაციონალიზაციის შესახებ. საგულისხმოა, რომ ამ დეკრეტების ძალა არ ვრცელდებოდა უცხოელთა მიერ საკონცესიოდ ადრე აღებულ საწარმოებზე, აგრეთვე კოოპერაციულ ამხანაგობათა კუთვნილ საწარმო-დაწესებულებებზე.

განხორციელდა ღონისძიებები ქართული კულტურის განვითარებისათვის. საბჭოთა ხელისუფლებამ კონკრეტული იდეოლოგიზებული (საბჭოურ-მარქსისტული) ამოცანები დაუყენა სახალხო განათლებას, მეცნიერებას, ლიტერატურასა და ხელოვნებას. სახალხო განათლების ადრინდელი სისტემის სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად გარდაქმნას ისახავდა მიზნად საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 15 აპრილის დეკრეტი — „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისგან სკოლის გამოყოფის შესახებ“, რომლის ძალით სასკოლო განათლების საქმე მთლიანად გადავიდა სახელმწიფოს ხელში. რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 4 ივლისის დეკრეტის საფუძველზე კი, ფართოდ გაჩაღდა ბრძოლა რესპუბლიკის მოსახლეობას შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის.

რევკომის არსებობის პერიოდში გარკვეული ყურადღება ექცეოდა ერის კულტურულ ღირებულებათა დაცვის საქმეს. 1921 წლის 11 ივლისის დეკრეტით, საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა აკრძალა რესპუბლიკის ფარგლებიდან ერის კულტურული განძეულობის, ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობის ნივთების, აგრეთვე წიგნების, მუსიკალური ინსტრუმენტების, ნოტების, კინემატოგრაფიული მოწყობილობებისა და სხვათა გატანა სათანადო ორგანოების ნებართვის გარეშე. ხოლო 1921 წლის 20 დეკემბრის დეკრეტით რევკომმა აკრძალა საქართველოს ფარგლებიდან ძვირფასი ლითონების, აგ-

რეთვე ძვირფასი ქვების გატანა დადგენილი ნორმის ზევით. გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1921 წლის 21 მაისის ბრძანებით, რესპუბლიკის სამაზრო რევკომებს დაევალათ განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვისათვის.

1921 წლის 1 ივლისის დეკრეტით — „საარქივო საქმეთა რეორგანიზაციისა და ცენტრალიზაციის შესახებ" — რევოლუციურმა კომიტეტმა სახელმწიფო დაწესებულებათა ცალკე საუწყებო არქივები ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდის საკუთრებად გამოაცხადა.

აღსანიშნავია ისიც, რომ კულტურის ფრონტის მუშაკთათვის ნორმალური სამუშაო პირობების შექმნისა და მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საბჭოთა ხელისუფლებამ 1921 წლის 1 დეკემბრიდან ყოველთვიური ფულადი დახმარება დაუნიშნა რესპუბლიკის გამოჩენილ მეცნიერებს, მწერლებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს, თეატრის მუშაკებს. მოქანდაკეებს, პედაგოგებსა და სხვებს, სულ 124 კაცს. მათ შორის იყვნენ ვ. ბარნოვი, დ. კლდიაშვილი, ე. გაბაშვილი, შ. მღვიმელი, შ. არაგვისპირელი, ს. მგალობლიშვილი, შ. დადიანი, გ. ქიქოძე, ო. თუმანიანი, ა. აკოპიანი, დუტუ მეერელი, ა. ერისთავ-ხოშტარია, ბაჩანა და სხვ. მუდმივი სახელმწიფო დახმარება დაენიშნა ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ნიკო ლომოურის, იროდიონ ევდოშვილის, სერგეი მესხის და კოტე ყოფიანის ოჯახებს[36].

ეს ღონისძიებები თავისთავად იმსახურებენ ყურადღებას. მათ ხელი უნდა შეეწყოთ ახალი ხელისუფლების მიერ ავტორიტეტის მოპოვებისათვის, რესპუბლიკაში პოლიტიკური სტაბილიზაციის მიღწევისათვის, რაც, ცხადია, ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული.

ქართული საჯარისო შენაერთების შექმნა. რუსეთის წითელი არმიის გარდა, საბჭოთა ხელისუფლების დამცველი სხვა სამხედრო ძალა საქართველოში არ არსებობდა. გარკვეულ იმედებს ქართული წითელი არმიის შექმნაზე ამყარებდნენ, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების ერთგულად დამცველი ქართული წითელი არმიის ჩამოყალიბება მაშინ ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული. თუმცა ასეთი არმიის შექმნა მაშინ გადაუდებელ ამოცანად იქნა მიჩნეული. ამით თვით მოსკოვიც იყო დაინტერესებული.

---

36 იხ. გაზ. „კომუნისტი", 1921 წლის 29 ივნისი, სუიცსა, ფ. 281, საქ. 176, ფურც. 56, 61.

მივყვეთ მოვლენებს. საქართველოს სსრ რევოლუციურმა კომიტეტმა ჯერ კიდევ 1921 წლის 26 თებერვალს გამოსცა დეკრეტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიისა და გვარდიის საერთო დემობილიზაციის შესახებ. 1921 წლის 2 მარტს ვ. ი. ლენინი გ. კ. ორჯონიკიძეს სწერდა: „პირველი. საჭიროა დაუყვნებლივ შევაიარაღოთ მუშები და უღარიბესი გლეხები და ამნაირად შევქმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია[37]. საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 11 მარტს დაშლილად გამოაცხადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმია და გვარდია. რევკომის მითითებით რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატი (სახალხო კომისარი შალვა ელიავა) შეუდგა ქართული წითელი არმიის შექმნას. 1921 წლის 21 მაისს საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის დაიდო „მუშურ-გლეხური სამოკავშირეო ხელშეკრულება", რომელიც საქართველოსათვის ითვალისწინებდა საბჭოთა რუსეთის მხრივ სამხედრო სასიათის დახმარებას, კერძოდ, დახმარებას ქართული წითელი არმიის შექმნის საქმეში. ამ ხელშეკრულებით ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობდა დაეღოთ დამატებითი შეთანხმება სამხედრო ორგანიზაციისა და სამხედრო სარდლობის გაერთიანების თაობაზე, რაც მოამზადებდა პირობებს საკავშირო-საფარისო შენაერთებში ქართული წითელი არმიის გაერთიანებისათვის. საქართველოს რევკომის 1921 წლის 14 მაისის დეკრეტით თბილისში დაარსდა კურსები, რომლებსაც უნდა მოემზადებინა უმცროს მეთაურთა შემადგენლობა[38]. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1922 წლის 22 თებერვალს მიიღო დადგენილება ქართული წითელი არმიის რიგებში 3000 კომუნისტის გაწვევის შესახებ[39]. საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტით 1922 წლის მაისიდან შემოღებულ იქნა საყოველთაო სამხედრო სწავლება 18—49 წლის ასაკის მამაკაცებისათვის. აშკარაა, ხელისუფლება ზრუნავდა ქართული წითელი არმიის შექმნისათვის.

ასე რომ, საქმე დაიძრა. ქართული წითელი არმიის შექმნის პერსპექტივა თითქმის რეალური გახდა. ჯერ კიდევ 1921 წლის მარტში

---

[37] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 189.

[38] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 73—74.

[39] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 2,

ბათუმში შეიქმნა პირველი ქართული ბრიგადა. მიმდინარეობდა მუშაობა ქართული სამხედრო ნაწილების შესაქმნელად საქართველოს სხვა ადგილებშიც. აპრილში უკვე ჩამოყალიბებული იყო ქართული დივიზია, რომლის შემადგენლობაში ითვლებოდა ქვეითი ჯარის 3 ბრიგადა, 1 ცხენოსანი სანაპირო ბრიგადა, 3 საარტილერიო და 1 ჯავშნოსანი მატარებელი[40].

და ეს ყველაფერი ხდება საქართველოში რუსეთის წითელი არმიის ყოფნის პირობებში. იგი ხომ საქართველოდან არ გაუყვანიათ.

წითელი არმიის საქართველოში დარჩენასთან დაკავშირებით, ვ. ი. ლენინი გ. კ. ორჯონიკიძეს 1921 წლის 29 მარტს ატყობინებდა: „ჩვენ მივიღეთ ნარიმანოვის, ბუნიათ-ზადეს და სერებრიაკოვსკის სასოწარკვეთილი დეპეშა. ისინი სამართლიანად აღნიშნავენ, რომ სრულიად შეუძლებელია მეთერთმეტე არმიის დაბრუნება დამშეულ და გაძარცვულ აზერბაიჯანში. მიიღეთ უაღრესად ენერგიული ზომები, რათა ეს არმია დატოვებულ იქნას საქართველოში[41]. არმიის შესახებ ვ. ი. ლენინი მეორე დღესაც, 1921 წლის 30 მარტსაც უდეპეშებს გ. კ. ორჯონიკიძეს, რომელსაც სთხოვს უაღრესად სერიოზული ყურადღება მიაქციოს ამ საკითხს.[42].

ამ დეპეშიდან ვგებულობთ, რომ მეთერთმეტე არმია საქართველოს გასაბჭოების შემდეგ აზერბაიჯანში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ იმდროინდელი აზერბაიჯანის მატერიალური ხელმოკლეობის გამო ეს შეუძლებლად მიიჩნიეს. გაუგებარი რჩება ერთი რამ: მეთერთმეტე არმიას სავსებით უნდა დაეტოვებინა საქართველო? ან კიდევ მას საბჭოთა აზერბაიჯანში აღარაფერი ესაქმებოდა? ე. ი. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად წითელი არმიის ყოფნა აუცილებელი აღარ იყო? არა, ეს მხოლოდ დეპეშებიდან ჩანს ასე.

საქართველოში წითელი არმიის დარჩენის საკითხი, ბუნებრივია, ქართველი საზოგადოებრიობის მწვავე მსჯელობის საგანი გახდა 1921 წელსვე. თუ საბჭოთა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ რჩებოდა (ეს კი ოფიციალური დოკუმენტებით იყო დადასტურებული, მას საკუთარი არმიაც უნდა ჰყოლოდა. რუსეთის წითელ არმიას კი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის საგრძნობი ნაწილი, სავსებით სა-

---

[40] ვ. ესაიაშვილი, ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები (1895—1924 წწ.), თბ., 1959, გვ. 325.

[41] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 83—84.

[42] იქვე, გვ. 84.

მართლიანად, უცხო ძალად თვლიდა. საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები თავიანთ გამოსვლებში (მშრომელთა კრებებზე, პარტიულ და საბჭოთა ფორუმებზე, პრესაში) თავისებურად ხსნიდნენ, თუ რისთვის შემოვიდნენ წითელი არმიის ნაწილები საქართველოში (მშრომელების წინაშე ინტერნაციონალური მოვალეობის მოხდა), ამასთან არ გამორიცხავდნენ საქართველოდან მათი გაყვანის შესაძლებლობასაც. ასეთ შემთხვევაში გარეშე მომხდურთაგან რესპუბლიკის დაცვა საქართველოს „მუშურ-გლეხურ წითელ არმიას" უნდა ეკისრა.

მთლიანად დავიმოწმოთ ვ. ი. ლენინის 1922 წლის 13 თებერვლის წერილი გ. კ. ორჯონიკიძისადმი:

„ამხ. სერგო!

აბსოლუტურად აუცილებელია, რომ საქართველოს საბჭოების ყრილობამ მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს წითელი არმიის უეჭველი გაძლიერების შესახებ და რომ ეს გადაწყვეტილება **ნამდვილად** შესრულდეს.

უკიდურეს შემთხვევაში, თუ გლეხები წინააღმდეგი არიან, უნდა გატარდეს გადაწყვეტილება თუნდაც უაღრესად ზოგადი სახით: აუცილებლად იქნეს ცნობილი „საქართველოს წითელი არმიის უეჭველი გაძლიერება, მოვუწოდოთ ხელისუფლების ყველა ორგანოს და მთელ მშრომელ მასებს იმუშაონ ამ საქმეზე" და სხვ.

მაგრამ **საქმით** რადაც უნდა დაჯდეს, **დაუყოვნებლივ** უნდა გავადიდოთ და გავაძლიეროთ საქართველოს წითელი არმია. თავდაპირველად დაე იყოს 1 ბრიგადა, თუნდაც უფრო ნაკლები. 2—3 ათასი წითელი კურსანტი, აქედან ათას ხუთასი კომუნისტი, რომ ამ კურსანტებს (როგორც კადრებს) შეეძლოთ არმიად გაშლა, როცა ეს საჭირო გახდება, — ეს აბსოლუტურად აუცილებელია. შესაძლოა სტალინმა დაუბატოს უფრო ვრცლად შესრულების სამხედრო-ტექნიკურ წესებზე.

მე ვჯერდები საქმის პოლიტიკურ მხარეს: ამის შეუსრულებლობისათვის პარტიიდან გაგაგდებთ **მოურიდებლად**. აქ ხუმრობა არ შეიძლება. ეს პოლიტიკურად აბსოლუტურად აუცილებელია, და როგორც თქვენ პირადად, ისე საქართველოს მთელი ცენტრალური კომიტეტი პასუხს აგებთ ამისთვის მთელი პარტიის წინაშე. ველოდები პასუხს. თქვენი **ლენინი**. 13/II. ეს ეხება ამხ. სერგოსაც და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრსაც".

ი. ბ. სტალინის მინაწერი:

ამხ. ლენინის ნათქვამს ვერაფერს დავუმატებ. ვფიქრობ, რომ სერგო და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიხვდებიან ამხ. ლენინის მიერ წამოყენებული ღონისძიების მთელ აუცილებლობას. რაც შეეხება საქმის „სამხედრო-ტექნიკურ" მხარეს, თქვენ ეს ჩემზე და სხვა მოსკოველებზე უკეთ იცით. ი. სტალინი[43].

ვ. ი. ლენინმა ეს წერილი საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობის (1922 წლის 25 თებერვალი — 3 მარტი) წინა დღეებში დაწერა. ამ დროს უცხოეთში (განსაკუთრებით ინგლისში) ფართო კამპანია იყო გაჩაღებული წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ. ამ კამპანიას II და II1/2 ინტერნაციონალთა ბელადები ხელმძღვანელობდნენ. ისინი საქართველოდან წითელი არმიის ნაწილების გაყვანის საკითხს აყენებდნენ.

ქართული წითელი არმიის შექმნით ვ. ი. ლენინის ასეთი დაინტერესება, ცხადია, სწორედ ამ კამპანიით იყო განპირობებული, 1922 წლის დამდეგს ძნელი იყო იმის წინასწარ განჭვრეტა, თუ დროთა განმავლობაში რა სახეს მიიღებდა ეს კამპანია. არ იყო გამორიცხული, რომ იგი კიდევ უფრო გაძლიერდებოდა და ხელს შეუშლიდა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებთან საბჭოთა რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის შედეგად დასუსტებული საბჭოთა რუსეთისათვის. ისიც შეიძლებოდა, რომ საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით ევროპის სახელმწიფოები იძულებული გამხდარიყვნენ მტკიცე სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარების წინაპირობად საბჭოთა რუსეთისათვის საქართველოდან წითელი არმიის გაყვანა მოეთხოვათ. თუ საბჭოთა რუსეთს სხვა გამოსავალი არ ექნებოდა და ამ მოთხოვნის შესრულება აუცილებელი გახდებოდა, მაშინ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში ქართულ წითელ არმიას უნდა დაეცვა.

1922 წლის 2 თებერვალს ი. ბ. სტალინი გ. კ. ორჯონიკიძეს სწერდა: „მეგობრებო! თქვენ ალბათ უკვე მიიღებდით წერილს საქართველოს წითელი არმიის დიახაც გაძლიერებისა და იმის შესახებ, რომ პოლიტიკურად საჭიროა მივიღოთ სათანადო დადგენილება საქართველოს საბჭოების ეროვნულ ყრილობაზე.

---

[43] ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 226—227.

ამას რომ შეგახსენებთ, გირჩევთ ახლავე მიიღოთ ზომები სულისკვეთების შესაბამისად (საქართველოს წითელი არმიის გამოყოფა კავკასიის ცალკე არმიის შემადგენლობიდან, საქართველოს სამხედრო საქმეთა სახალხო კომისიარიატის შენარჩუნება და სხვ.), თორემ ჩვენ ალბათ პირველი შესაძლებლობისთანავე (როგორც კი შეიქმნება საქართველოს წითელი არმია) საქართველოდან გავიყვანთ რუსეთის წითელ არმიას.

კომუნისტური სალმით ი. სტალინი"[44].

როგორც ვხედავთ, ამ დროს ი. ბ. სტალინი არ გამორიცხავდა საქართველოდან წითელი არმიის გაყვანის შესაძლებლობას.

ქართული წითელი არმიის ჩამოყალიბებას საქართველოში რუსეთის წითელი არმიის დარჩენის შემთხვევაში გარკვეული პოლიტიკურ-სააგიტაციო მნიშვნელობა ექნებოდა. ასე რომ, ქართული წითელი არმიის ჩამოყალიბება ყოველმხრივ გამართლებული ჩანდა. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ მიიღო მიმართვა „ქართული წითელი არმიის შესახებ", რომელშიც ძირითად ამოცანად იყო მიჩნეული ქართული საჯარისო შენაერთების უკვე არსებული ბირთვის განმტკიცება.

ქართული წითელი არმიის გაძლიერების შესახებ ვ. ი. ლენინის წინადადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1922 წლის 25 თებერვალს დაამტკიცა[45].

ქართული წითელი არმიის შექმნას დიდი ხარჯები სჭირდებოდა, რაც საქართველოს მოსახლეობას უნდა გაეღო. სირთულეებთან იყო დაკავშირებული არმიის კონტინგენტის შევსებაც. ამას მოწმობს ვ. ი. ლენინის ზემოციტირებული წერილის ის ადგილიც, სადაც მოცემულია რჩევა, როგორ უნდა მოიქცნენ საქართველოს კომუნისტები იმ შემთხვევაში, თუ გამოირკვეოდა, რომ „გლეხები წინააღმდეგ არიან" ქართული არმიის შექმნისა (?!).

ბევრის მთქმელია ეს დეპეშებიც:

„მოსკოვი, კრემლი, ამხ. ლენინს და სტალინს. თბილისი, 23/II—22. თქვენი წერილი საქართველოს არმიის თაობაზე მივიღე. თქვენი დავალების შესრულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლებთ, თუ თა-

---

[44] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 85, აღწ. 12, საქ 111, ფურც. 39.

[45] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., სრ. კრ. (რუს.), ტ. 44, გვ. 588, 170-ე შენიშვნა.

ნახმა იქნებოდით დაგეტოვებინათ ჩვენთვის ერთი მილიონი ოქროს მანეთი. თანხა, რომელიც ცკ-ის დადგენილების თანახმად მოსკოვს უნდა გავგზავნოთ, ჩვენ ყოველმსრივ უზრუნველგვყოფდა. ამ მილიონის წასაღებად უკვე ჩამოსული არიან. მოსკოვიდან მატერიალური დახმარება თუ არ გვექნება, ამოცანის შესრულება შეუძლებელია. გთხოვთ დღესვე მიპასუხოთ, თორემ მილიონი ხვალ უნდა გამოვგზავნო. № 132. ორჯონიკიძე"[46].

მეორე დღესვე, 1922 წლის 24 თებერვალს ი. ბ. სტალინი გ. კ. ორჯონიკიძეს ატყობინებდა, რომ ქართული წითელი არმიის მატერიალური უზრუნველყოფისათვის „ოქრო სულაც არ არის საჭირო. იგი დანიშნულებისამებრ გააგზავნეთ. ეს ჩემი პირადი აზრია. ოფიციალური პასუხი ხვალ იქნება, რადგან დღეს არ შემიძლია გუნება გავუფუჭო ამხანაგებს. სტალინი"[47].

ამის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ე. წ. უკლონისტური შემადგენლობა რეგულარულად მსჯელობდა ქართული წითელი არმიის შექმნის პრობლემაზე. 1922 წლის 12 მაისს, მაგალითად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი საქართველოს სამხედრო უწყების მდგომარეობისა და დამოუკიდებელი ქართული წითელი არმიის შექმნის ღონისძიებათა შესახებ (მომხს. ვ. ჯიქია). პრეზიდიუმმა დაადგინა: „დაევალოს მახარაძეს, ქავთარაძეს და ჯიქიას ხვალვე დაუკავშირდნენ პირდაპირი მავთულით რსფსრ და გაარკვიონ, რამდენად შესაძლებელია დამოუკიდებელი საქართველოს წითელი არმიის შექმნა"[48].

ეს დადგენილება მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც ვ. ი. ლენინმა საკმაოდ მკაცრი წერილი მისწერა საქართველოს კომუნისტებს ქართული წითელი არმიის შექმნის აუცილებლობის შესახებ. რსფსრ მთავრობიდან დამატებითი ნებართვა თითქოს აღარ იყო საჭირო, მაგრამ როგორც ჩანს, ეს აუცილებელი გახდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოყოფილ სამეულს დაევალა ბოლომდე გაერკვია ქართული არმიის სტატუსი. მოსკოვთან საუბ-

---

[46] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 85, აღწ. 18, საქ. 111, ფურც. 40—42.

[47] იქვე, ფურც. 48.

[48] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 192, ფურც. 506.

რისას დაეზუსტებინა, იქნებოდა ქართული წითელი არმია სრულიად დამოუკიდებელი თუ ნაწილობრივ მაინც უნდა დამორჩილებოდა კავკასიის ცალკე არმიას. მოსკოვთან მოლაპარაკების შემდეგაც საკითხი ბუნდოვანი იყო.

1922 წლის 17 ივნისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა კვლავ მოისმინა ვ. ჯიქიას მოხსენება ქართული წითელი არმიის შექმნის შესახებ და დაადგინა:

„1. მსედველობაში გვაქვს რა, ერთი მხრივ, საკვებით ხელსაყრელი პირობები წითელი არმიის შესაქმნელად — აღიძრას შუამდგომლობა რკპ(ბ) ცკ-ის წინაშე ნება დართოს ასეთი ფორმირებისა.

2. საქართველოს წითელი არმიის რაოდენობა შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს გავწვრთნათ ვარგისი სამხედრო ვალდებულების ყოველწლიური კონტინგენტი, რაც 12 ათასამდე იქნება, ხოლო ზურგიანად არმიას ეყოლება 15 ათასამდე კაცი.

3. საქართველოს წითელი არმიის ორგანიზაცია უნდა დაექვემდებაროს საქართველოს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარს, რომელიც ოპერატიული და ინსპექციის მხრივ ექვემდებარება კავკასიის ცალკე არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს.

4. იმის გამო, რომ საქართველოს არსებული ბრიგადისათვის მოსკოვი გვაძლევს 5000 ულუფას, აღიძრას მოსკოვის წინაშე შუამდგომლობა, რომ მოგვცეს დამატებითი ათი ათასი ულუფა საერთოდ წითელი არმიის დასახმარებლად ყველა დანარჩენი კმაყოფის სახეობათა მხრივ.

5. თავის მხრივ საქართველოს კპ ცკ რეალური შესაძლებლობის ფარგლებში დასმარებას აღმოუჩენს საქართველოს წითელ არმიას საქართველოს სსრ-ის რესურსებიდან ყველა არსებული საშუალებით“[49].

ჯერ კიდევ 1922 წლის 12 ივნისს კავკასიის ცალკე არმიის სარდალმა ა. ი. ეგოროვმა და რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრმა გ. კ. ორჯონიკიძემ ოფიციალურად აცნობეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ არასწორად მიაჩნიათ ქართული ბრიგადის გამოყოფა კავკასიის ცალკე არმიის შემადგენლობიდან, რასაც ვ. ჯიქია მოითხოვსო. თუ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ვ. ჯიქიას მოსაზრებას გაიზიარებს და სათანადო და-

---

[49] პოლიტიკური პარტიების არქივი, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 192, ფურც. 602.

დგენილებასაც მიიღებს, — აღნიშნავდნენ ა. ი. ეგოროვი და გ.კ. ორჯონიკიძე, — მაშინ იძულებული ვიქნებით „ვაცნობოთ ეს რკპ(ბ) ცკ-ს და რესპუბლიკის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს და მოვიხსნათ პასუხისმგებლობა, თუკი ასეთი ზომა საქართველოს ჯარის გახრწნას გამოიწვევს. ამასთან საკითხის ასე გადაჭრისას საჭიროა ძირეულად გადავსინჯოთ ზემოთ აღნიშნული შეთანხმება“[50] (იგულისხმება საქართველოს სს რესპუბლიკასა და რუსეთის სფს რესპუბლიკას შორის 1921 წლის 8 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1922 წლის 17 ივნისის დადგენილების შესახებ, ცხადია, აცნობეს რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები მისეულ ოკუჯავა, სერგო ქავთარაძე, ფილიპე მახარაძე, ბუდუ მდივანი და სილიბისტრო თოდრია იმედს გამოთქვამდნენ, რომ სერგო ორჯონიკიძის „განსაკუთრებული აზრი“ ხელს არ შეუშლიდა პრობლემის მოგვარებას[51]. მოსკოვიდან პასუხიც მიიღეს, მაგრამ საკითხი ბოლომდე მაინც არ იყო გარკვეული. ამის გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა 1922 წლის 27 ივნისს კვლავ დაადგინა: „იმის გამო, რომ რკპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს პასუხი ბუნდოვანია, კვლავ ვთხოვთ რკპ ცკ-ს დაგვიჩქაროს საქართველოს კპ ცკ-ის პირველი დეპეშის პასუხი, რომელიც ქართული არმიის საქართველოს დამოუკიდებელ წითელ არმიად გამოყოფას ეხებოდა“[52].

ამრიგად, აშკარად გამოიკვეთა წინააღმდეგობა ქართული წითელი არმიის მშენებლობის გზაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა ერთი ჯგუფი უპირისპირდება რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტს, მის ხელმძღვანელობას, რომელიც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა.

საინტერესო ცნობებს შეიცავს ამავე საკითხზე „ძერჟინსკის კომისიის“ მასალები. ეს კომისია რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1922 წლის მიწურულში შექმნა. მას სათავეში ფ. ე. ძერჟინსკი ჩაუყენეს, რის გამოც ისტორიულ წყაროებში ეს კომისია „ძერჟინსკის კომისიის“ სახელით მოიხსენიება. კომისიის ამოცანა იყო შეესწავლა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს (შემდეგ — ამიერკავკასიის სამხა-

---

[50] პოლიტიკური პარტიების არქივი, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 192, ფურც. 604.

[51] იქვე, ფურც. 603.

[52] იქვე.

რეო კომიტეტი) და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს შორის იმ დროს არსებულ კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები (ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ).

უთანხმოებას ისიც იწვევდა, რომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით (1921 წლის ნოემბერი), ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკაში სამხედრო საქმის ხელმძღვანელობა (ყველა დარგში) რუსეთის სფს რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს გადაეცა მთლიანად.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატმა ეს გადაწყვეტილება მიზანშეუწონლად მიიჩნიეს და მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს საქართველოსა და რუსეთს შორის უკვე გაფორმებული იყო სამხედრო კონვენცია, აღძრეს შუამდგომლობა კავკასიის ცალკე არმიის შემადგენლობიდან ქართული წითელი არმიის ნაწილების გამოყოფის თაობაზე.

რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა უსაფუძვლოდ ჩათვალა საქართველოს სსრ რესპუბლიკის პარტიული და სამხედრო ორგანოების თხოვნა და დაამტკიცა ამ საკითხზე გ. კ. ორჯონიკიძისა და ა. ი. ეგოროვის (კავკასიის ცალკე არმიის სარდალი) დასკვნა, რომლის თანახმად მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული კავკასიის არმიიდან ქართული ბრიგადის გამოყოფა, საქართველოს სსრ სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მისი გადაცემა. ამასთან დაკავშირებით გ. კ. ორჯონიკიძე ი. ბ. სტალინს ატყობინებდა: „ჩემი მხრივ საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ საქართველოს ცკ-ის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ფედერაციის ჩაშლას იწვევს. რადგან თუ სამხედრო საკითხში არ იქნა ნაწილისა და სარდლობის ერთობა, სხვა საკითხებზე ლაპარაკიც არ ღირს“[53].

ერთი სიტყვით, ქართველი ე. წ. ნაციონალ-უკლონისტების აზრით, საქართველოს უნდა ჰყოლოდა თავისი წითელი არმია, რომელიც ცალკე კავკასიის არმიას დაემორჩილებოდა მხოლოდ ოპერატიულ და საინსპექციო დარგებში. პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი კი ეყრდნობოდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს და მოითხოვდა შეექმნათ ქართული ბრიგადა ან დივიზია, რომელიც ყველა

---

[53] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 5, აღწ. 2, საქ. 32, ფურც. 30.

დარგში დაემორჩილებოდა ცალკე კავკასიის არმიას (ეს ასეც გაკეთდა).

ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკასა და საქართველოს სს რესპუბლიკას შორის 1921 წლის 8 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ამ ორი რესპუბლიკის სამხედრო უწყებათა გაერთიანებას, ე. ი. საქართველოს სსრ სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატის გაუქმებას[54].

საბოლოო ანგარიშით, ქართული წითელი არმია, როგორც ასეთი, არ ჩამოუყალიბებიათ. ფაქტობრივად შეიქმნა მხოლოდ რამდენიმე ქართული საჯარისო შენაერთი, რომლებიც შემდეგ მოგვიანებით გააუქმეს.

საბჭოების არჩევნები. სრულიად საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობა.

ახალი სახელმწიფო მანქანა (საბჭოთა სახელმწიფოებრიობა) საქართველოში ზოგიერთ სხვა საბჭოთა რესპუბლიკისაგან განსხვავებულ ვითარებაში ყალიბდებოდა. ერთ-ერთი თავისებურება ის იყო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების გაუქმების შემდეგ, რესპუბლიკის მოსახლეობას თავისი წარმომადგენლობითი არჩევითი ორგანო არ გააჩნდა. დამფუძნებელი კრება რომც არ გაეუქმებინათ, იგი, ბუნებრივია, ტოტალიტარული და არაკანონიერი რეჟიმის სამსახურში ვერ ჩადგებოდა. დამფუძნებელი კრება საბჭოთა რუსეთშიც გარეკეს ბოლშევიკებმა, მაგრამ იქ დამფუძნებელი კრების ფუნქციებს, რამდენადმე მაინც არჩევითი ორგანოები — საბჭოები და საბჭოების ყრილობა ასრულებდნენ. საქართველოში კი ამ დროს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, როგორც ხელისუფლების ორგანოები, არ არსებობდნენ. მათს როლსა და ფუნქციებს აქ მთელი ერთი წლის მანძილზე „პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს საგანგებო, დანიშვნითი ორგანოები“ — რევკომები ასრულებდნენ. საბჭოების არჩევნების სასწრაფოდ ჩატარებას საქართველოს კომუნისტური პარტია და ბოლშევიკური მთავრობა, რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამო, სარისკოდ თვლიდნენ. რადგან კომუნისტთა გამარჯვების იმედი არ ჰქონდათ. უფრო მეტიც, შიშობდნენ, რომ ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიები ბოიკოტის ტაქტიკას გამოიყე-

---

[54] იქვე, ფურც. 72.

ნებდნენ და საერთოდ ჩაშლიდნენ არჩევნებს. ამიტომ მათ მიზანშეწონილად მიიჩნიეს საბჭოების არჩევნების გადადება და დანიშვნითი რევკომების სისტემის შემოღება. რევკომები ამზადებდნენ პირობებს საბჭოების არჩევნებისათვის. ამოცანა ასეთი იყო: მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების არჩევნების შემდეგ უნდა მოეწვიათ სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობა, რომელსაც გადასცემდნენ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს უფლებებს. ამ ამოცანის შესრულებას საქართველოში თითქმის ერთი წლის მოსამზადებელი მუშაობა დასჭირდა.

კომუნისტური პარტიის სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საბჭოების იდეის პოპულარიზაციას. ხშირი იყო შემთხვევა, როცა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი მეტად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტას საბჭოების ყრილობის მოწვევას უკავშირებდა. საქართველოს სს რევოლუციური კომიტეტის მიერ ჯერ კიდევ 1921 წლის 21 აპრილს გამოცემულ დეკრეტში — ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ — ნათქვამია: „რევოლუციური კომიტეტი იწვევს სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობას, რომელსაც უდგენს თავისი მოღვაწეობის ანგარიშს". ამავე დეკრეტში ჩამოთვლილია, თუ რა სახის რევკომები იარსებებენ საქართველოს ტერიტორიაზე ვანამ, სანამ „...საქართველოს საბჭოთა საერთო კრება იქნება მოწვეული"[55]. ასევე, მხოლოდ და მხოლოდ საბჭოების ყრილობის კომპეტენციად მიიჩნევდნენ ისეთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას, როგორიც იყო საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიურ ერთეულებთან ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა[56]. საბჭოების არჩევნებსა და საბჭოების ყრილობის მოწვევას დაუკავშირეს აგრეთვე ამიერკავკასიის რესპუბლიკათა გაერთიანების საკითხი[57] (ამ საკითხებზე დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ).

---

[55] მოამბე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, 1921, № 3, გვ. 9.

იხ. Укрепление Советской власти в Абхазии. Док. и мат., Сухуми, 1957, გვ. 25, 27. პოლიტიკური პარტიების არქივი, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 4, ფურც. 42 აფხაზეთის სახელმწიფო არქივი, ფ. 38, საქ. 74, ფურც. 176.

[57] პოლიტიკური პარტიების არქივი... ფ. 14, აღწ. 1, საქ. 4, ფურც. 38, 107; საქ. 5, ფურც. 179; ფ. 17, აღწ. 1, საქ. 3, ფურც. 3, 18.

გადაწყდა, რომ არჩევნებს ჩაატარებდნენ არა მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ერთბაშად, არმედ მის უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრებში — თბილისსა და ბათუმში. თავდაპირველად თბილისში არჩევნების ჩატარება განზრახული ჰქონდათ 1921 წლის 5 ივნისისათვის, მაგრამ შემდეგ დეკემბრისათვის გადადეს (ნაადრევად მიიჩნიეს).

საარჩევნო კამპანიას, ბუნებრივია, კომუნისტური პარტია ედგა სათავეში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა 1921 წლის 17 ნოემბერს დაადგინა შედგომოდნენ არჩევნებისათვის მზადებას იმ ანგარიშით, რომ 10 დეკემბრისათვის შესაძლებელი ყოფილიყო თბილისის საბჭოს პირველი საზეიმო სხდომის მოწვევა. იმავე დღეს (17 ნოემბერს) პარტიის თბილისის კომიტეტის ბიურომ დაავალა თბილისის რაიონულ კომიტეტებს, უზრუნველეყოთ საარჩევნო კომისიების შექმნა. 19 ნოემბერს საქართველოს სსრ რევკომის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის გაერთიანებულმა სხდომამ სპეციალურად იმსჯელა თბილისის საბჭოს არჩევნების თაობაზე. შეიქმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია[58]. ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ მ. ორახელაშვილი, გ. ყურულაშვილი, მ. კახიანი, ლ. ღოღობერიძე, ნ. ოკუჯავა, ა. გეგეჭკორი, ა. ლალაევა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1921 წლის 24 ნოემბრის დადგენილებით წინადადება მიეცა სათანადო ორგანოებს, არ შეეყვანათ სხვა პარტიების წარმომადგენლები ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში[59]. კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით, საბჭოების საარჩევნო კამპანია უპარტიო მასებში გააჩაღეს.[60]. აგიტატორთა ჯგუფები, ბოლშევიკური პრესა წელებზე ფეხს იდგამდნენ საარჩევნო კამპანიის მათთვის სასურველ ფარგლებში მოქცევისათვის. ამ მხრივ გამოირჩეოდნენ გაზეთები „კომუნისტი" და „პრავდა გრუზიი". 27 ნოემბერს, მაგალითად, ამ გაზეთებმა გამოაქვეყნეს პარტიის თბილისის კომიტეტის თეზისები „საბჭოთა არჩევნებისათვის". თეზისებში განმარტებული იყო საბჭოების მნიშვნელობა, დაგმობილი იყო საბჭოების სისტემისა და დამფუძნებელი კრების შეთავსების „მენშევიკური

---

[58] პოლიტიკური პარტიების არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 4. ფურც. 38, 107; საქ. 5, ფურც. 179; ფ. 17, აღწ. 1, საქ. 3, ფურც. 3, 18.

[59] იქვე, საქ, 5, ფურც, 233,

[60] იქვე, ფ. 17, აღწ. 1, საქ. 4, ფურც. 109.

პროპაგანდა". რაც, თეზისების ავტორთა აზრით, მიზნად ისახავდა „მუშათა მასების შეგნებულ მოტყუებას". თეზისებში ასეთ დემაგოგიურ ფრაზასაც ვკითხულობთ: „მხოლოდ პროლეტარული რუსეთის წითელი ჯარების მოსვლის შემდეგ საქართველოს მასებს მიეცათ რეალური შესაძლებლობა ძალაუფლება აეღოთ ხელში და განეხორციელებინათ თავისი მუშური დიქტატურა"[61]. არჩევნების წინადღეებში გამოქვეყნდა „ინსტრუქცია ქ. თბილისის და მისი რაიონების მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნებისათვის", რომელშიც განმარტებული იყო საბჭოების არჩევნების წესი, მისი ტექნიკა.

ინსტრუქციის თანახმად, საბჭოების არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეეძლო „ყველა ბშრომელს" განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, მუდმივი ბინადრობისა, რომელსაც არჩევნების დღისთვის შეუსრულდებოდა 18 წელი. არჩევნებში მონაწილეობის აქტიური და პასიური უფლება ენიჭებოდა ყველა მოქალაქეს, რომელიც ჩაბმული იყო „საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში", აგრეთვე მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის და სხვა დარგების ყველა კატეგორიის მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც „ცხოვრების საშუალებას იძენდნენ საკუთარი შრომით". ანალოგიური უფლებებით სარგებლობდნენ წითელარმიელები, რომლებიც საგარნიზონო სამსახურს ეწეოდნენ ქ. თბილისსა და მის რაიონებში.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ეძლეოდა „არამშრომელ ელემენტებს", ე. ი. იმ პირთ, რომელნიც მოგების მიზნით სარგებლობდნენ დაქირავებული შრომით და ცხოვრობდნენ უშრომო შემოსავლით (კაპიტალის პროცენტები, შემოსავალი წარმოებიდან, შემოსავალი ქონებიდან და სხვ.); საარჩევნო უფლებას მოკლებული იყვნენ აგრეთვე კერძო ვაჭრები, სასულიერო პირნი, სულით ავადმყოფნი, სასამართლოს მიერ დასჯილნი და ყოფილი მთავრობების, პოლიციისა და საგანგებო რაზმების მოხელენი. ინსტრუქციის მიხედვით, 150-დან 200 ამომრჩეველს უნდა აერჩია საბჭოს 1 დეპუტატი. წარმოება-დაწესებულებებს, ფაბრიკა-ქარხნებსა და სახელოსნოებს, აგრეთვე სამხედრო ერთეულებს, რომელთაც ცალ-ცალკე არ ჰყავდათ 150 ამომრჩეველი, ნება ეძლეოდათ გაერთიანებულიყვნენ საერთო არჩევნებისათვის.

---

[61] გაზ. „კომუნისტი", 1921 წლის 27 ნოემბერი.

დეპუტატთა არჩევნები, როგორც ინსტრუქციაში იყო ნათქვამი, უნდა ჩატარებულიყო ხმის მიცემის ე. წ. ამერიკული სისტემით — ხელის აწევით და იგივე უნდა ჩატარებულიყო მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე ფაბრიკა-ქარხნებში, სარეწავებში, სახელოსნოებში და სამხედრო ერთეულებში, აგრეთვე საბჭოთა მოსამსახურეთა კრებებზე, რომელთა მოწვევა სათანადო პროფკავშირებს ევალებოდათ. საარჩევნო კრება კანონიერად და უფლებამოსილად ჩაითვლებოდა იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველთა ორი მესამედი დაესწრებოდა, ხოლო თუ პირველ კრებაზე სათანადო ქვორუმი არ შედგებოდა, მეორედ მოწვეული კრება კანონიერად ჩაითვლებოდა მიუხედავად დამსწრეთა რაოდენობისა.

ინსტრუქციაში განსაზღვრული იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლება-მოვალეობანი: არჩევნების საკითხთან დაკავშირებული განცხადებებისა და პროტესტების განხილვა, საარჩევნო კრებათა ოქმების ფორმების შემუშავება. არჩევნების დღის დანიშვნა, არჩევნების დამთავრების შემდეგ ყველა მასალის გადაცემა საბჭოს მიერ არჩეულ სამანდატო კომისიისათვის[62].

ასეთი იყო საქართველოში პირველი ბოლშევიკური არჩევნების სისტემა, რომელიც, როგორც ვნახეთ, დემოკრატიულობით არ გამოირჩეოდა. საარჩევნო უფლებათა ისეთი შეზღუდვები, რასაც საბჭოების არჩევნების ბოლშევიკური წესი ითვალისწინებდა, ერთობ არაპოპულარულს ხდიდა მას მოსახლეობაში. მით უმეტეს, რომ ამომრჩევლებს კარგად ახსოვდათ დამფუძნებელი კრების ჯეშმარიტად დემოკრატიული არჩევნები, რაც სულ ორიოდე წლის წინათ, კერძოდ, 1919 წელს ჩატარდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

არჩევნებთან დაკავშირებულ სირთულეებს მოხერხებულად იყენებდნენ ანტისაბჭოთა პარტიები, რომელთა შორის ყველაზე ძლიერი და მრავალრიცხოვანი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) იყვნენ. მენშევიკების პარტიამ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა და ამასთან დაკავშირებით პროკლამაციაც გამოსცა. საბჭოთა არჩევნების წესები მიუღებლად მიიჩნიეს და არჩევნების ბოიკოტის გზას დაადგნენ საქართველოს მეწარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა და სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიებიც.

———————

[62] გაზ. „კომუნისტი", 1921 წლის 27 ნოემბერი; გაზ. „პრავდა გრუზიი", 1921 წლის 26 ნოემბერი.

საბჭოების არჩევნებისადმი ზემოაღნიშნული პარტიებისაგან განსხვავებული დამოკიდებულება გამოიჩინა საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ, რომელიც გამალებულ სამზადისს შეუდგა საბჭოების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად და თავის ოფიციალურ ორგანოს — გაზ. „ტრიბუნას" — ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიებში სასტიკად გმობდა საბჭოების არჩევნების ბოიკოტის ტაქტიკას, თუმცა საარჩევნო ინსტრუქციის ზოგიერთი მუხლი მასაც მიუღებლად მიაჩნდა. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებმა მოისურვეს, რომ თავიანთი წარმომადგენელი ჰყოლოდათ საარჩევნო კომისიაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე 1921 წლის 29 ნოემბერს გაგზავნილ წერილში მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები აღნიშნავდნენ: „დანიშნულია ქ. ტფილისის მუშათა და წითელარმიელთა საბჭოთა არჩევნები. შედგენილია საარჩევნო როგორც ცენტრალური, ისე საუბნო კომისიები. კომისიებში ჩვენი პარტიის წარმომადგენლები არ არიან მოწვეულნი. განსაკუთრებით ცენტრალურ კომისიაში, ხოლო საუბნო კომისიებშიც ჩვენი პარტიის წარმომადგენელი აუცილებლად უნდა იქნან დაშვებულნი... ჩვენი პარტია საესებით დგას საბჭოთა სისტემის ნიადაგზე. როგორც უდიდეს და უძველეს პარტიას, ჩვენ აუცილებლად უნდა მოგვეცეს უფლება როგორც არჩევნებში მუშაობისა, ისე კომისიებში წარმომადგენლების დაშვებისა, რაიც ერთადერთი და აუცილებელი პირობაა არჩევნებში სერიოზული მუშაობის წარმოებისათვის"[63].

მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ეს განცხადება (ხელს აწერდნენ პარტიის დროებითი მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე თ. ღლონტი და მდივანი — ს. ხუნდაძე) 1921 წლის 1 დეკემბერს განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა, რომელმაც, მიუხედავად თავისი ადრინდელი (1921 წლის 24 ნოემბრის) დადგენილებისა — ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სხვა პარტიათა წარმომადგენლების შეყვანის მიზანშეუწონლობის შესახებ წინადადება მისცა სათანადო ორგანოებს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შეეყვანათ მე-

---

[63] გაზ. „ტრიბუნა", 1921 წლის 30 ნოემბერი.

მარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების წარმომადგენელი[64]. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ რევოლუციურმა კომიტეტმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შეიყვანა თ. ელენტი[65]. ეს გამონაკლისი გაპიროვნებული იყო ამ პარტიის, შეიძლება ითქვას, პროსაბჭოური პოზიციით. საქმე ის იყო, რომ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია შეიქმნა 1921 წელს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორ ნაწილად — მემარცხენეებად და მემარჯვენეებად — გათიშვის შედეგად. მემარჯვენეებისაგან განსხვავებით, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებმა საბჭოთა ხელისუფლებისადმი თავიდანვე ლოიალური დამოკიდებულება გამოიჩინეს. პირველ წლებში ისინი მონაწილეობდნენ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში[66]. 1923 წლის 8 ნოემბერს საქართველოს მემარცხენე სოციალისტთა პარტიის ყრილობამ მიიღო დადგენილება პარტიის დაშლისა და კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანების შესახებ[67]. ამ ბოლო აქტიდანაც ნათლად ჩანს კომუნისტებისა და მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების თავისებური ალიანსი, რაც აშკარად იგრძნობოდა ჯერ კიდევ 1921 წელს.

წინასაარჩევნო პერიოდში კომუნისტურმა პარტიამ კიდევ უფრო გააძლიერა ანტისაბჭოთა პარტიების საქმიანობისა და არჩევნებისადმი მათი ბოიკოტის ტაქტიკის კრიტიკა. ვალში არც ანტისაბჭოთა პარტიები რჩებოდნენ. იწყება მოურიდებელი, ურთიერთდამამცირებელი ლანძღვა-გინება. ოფიციალური ორგანოებიდან ამ მხრივ გამოირჩეოდნენ გაზეთები „კომუნისტი“ და „პრავდა გრუზიი“, რომლებიც სისტემატურად, თითქმის ყოველ ნომერში, აქვეყნებდნენ წერილებს არჩევნებთან დაკავშირებით. მათში ნაჩვენები იყო საბჭოების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში. გაზეთები მიზნად ისახავდნენ დაესაბუთებინათ მენშევიკების, ესერებისა და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების „მოღალატური საქმიანობა“. ქვეყნდებოდა ცნობები თბილისის სსვადასხვა რაიონებში საბჭოს არჩევნების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ.

---

[64] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 5, ფურც. 245.

[65] გაზ. „პრავდა გრუზიი“, 1921 წლის 2 დეკემბერი.

[66] შდრ. ბოლშევიკებისა და მემარცხენე ესერების თანამშრომლობა საბჭოთა რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების პირველ ხანს.

[67] გაზ. „ტრიბუნა“, 1923 წლის 13 ნოემბერი.

1921 წლის 1 და 2 დეკემბერს გაზეთებმა „კომუნისტმა“ და „პრავდა გრუზიიმ“ გამოაქვეყნეს განაწესი თბილისის მუშათა და წითელარმიელთა საბჭოს დეპუტატებისათვის, რომელიც შეიმუშავა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა. განაწესი 24 მუხლისაგან შედგებოდა და საბჭოთა დეპუტატისაგან მოითხოვდა: „მტკიცედ და ფხიზლად დგომას პროლეტარული რევოლუციის სადარაჯოზე“, „მუშებისა და გლეხების კავშირის განმტკიცებას ყველა მათზე დამოკიდებული საშუალებებით“ და ა. შ. განაწესი მოითხოვდა დეპუტატებისაგან ბრძოლას ამიერკავკასიის რესპუბლიკების მჭიდრო სამეურნეო და პოლიტიკური გაერთიანებისათვის, ქალაქის კომუნალური მეურნეობის განვითარების, სახალხო მეურნეობის აღდგენის, წითელი არმიის გაძლიერების, მუშათა შრომის ხელფასის გაზრდისა და მშრომელთა სასურსათო და საბინაო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. სათანადო ადგილი ჰქონდა დათმობილი სასკოლო საქმისა და საერთოდ კულტურული მუშაობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვას, სახელმწიფო დაწესებულებებში ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და სხვ. განაწესის ერთ-ერთ მუხლში ვკითხულობთ: „ვირჩევთ რა საბჭოში ჩვენს დელეგატებს, მოვითხოვთ მათგან, დაიჭირონ ფრიად მჭიდრო კავშირი ჩვენთან, მათ ამომრჩევლებთან, ფაბრიკებსა, ქარხნებსა და სხვადასხვა წარმოებებში. ჩვენმა დელეგატებმა უნდა წარმოადგინონ რეგულარული ანგარიშები, ჩვენი საჭიროებანი შეატყობინონ თბილისის საბჭოს“[68].

ამრიგად, კომუნისტური პარტია მიიჩნევდა, რომ 1921 წლის მიწურულისათვის საბჭოების არჩევნები თბილისში მათთვის სასურველ ნაყოფს გამოიღებდა — საბჭოებში აირჩევდნენ მხოლოდ კომუნისტებს, აგრეთვე მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებსა და „პატიოსან უპარტიო მუშებს“. ამასთან, წინასწარ იღებდნენ ზომებს, რომ საბჭოებში „კონტრრევოლუციურ პარტიებს“ დემაგოგიური ხერხებით „უპარტიოობის დროშით“ თავიანთი წარმომადგენლები არ გაეყვანათ საბჭოებში[69]. კომუნისტური პროპაგანდისტული მანქანა სწორედ ამ ამოცანის განხორციელებისათვის იღვწოდა მაშინ.

იმდროინდელი კომუნისტური პროპაგანდის ერთი ნიმუში: „თბილისის მუშებო, წითელარმიელებო და ყველა მშრომელნო! — წერდა

---

[68] გაზ. „კომუნისტი“, 1921 წლის 2 დეკემბერი.

[69] გაზ. „პრავდა გრუზიი“, 1921 წლის 3 დეკემბერი.

გაზ. „კომუნისტი“ 1921 წლის 2 დეკემბრის პირველ გვერდზე ანშლაგით გამოქვეყნებულ მოწოდებაში, — თბილისის მუშათა და წითელარმიელთა საბჭო მშრომელთა დიქტატურის ციხე-სიმაგრეა... ანიტომ იქ ადგილი არ უნდა ექნეს მშრომელთა ინტერესების გამყიდველებს. ვინც მუშათა საბჭო გაამასხარავა და მშრომელთა მტრების სათამაშო ბურთად გახადა, ის თბილისის საბჭოში არ უნდა მოხვდეს! თბილისის საბჭოს მესვეურებად უნდა გახდნენ მშრომელთა საქმისათვის მებრძოლნი, მისთვის თავდადებულნი. ასეთებია კომუნისტები, რომლებმაც დაამტკიცეს თავისი ერთგულება მუშათა კლასისადმი. აირჩიეთ საბჭოში მუშათა და ყველა მშრომელთა ინტერესების დამცველნი — კომუნისტებო! ზურგი აქციეთ და გარიყეთ არჩევნებში მოღალატე მენშევიკები და მათი მაჩანჩალები“.

ასეთი ტონით და ფრაზეოლოგიით დაწერილი სტატიებით აღსავსეა იმდროინდელი ქართულ-რუსული გაზეთები, რომლებიც არჩევნების მიმდინარეობასა და შედეგებსაც აშუქებდნენ.

თბილისის მუშათა და წითელარმიელთა საბჭოს არჩევნები 1921 წლის 3 დეკემბერს დაიწყო და პირველსავე დღესვე კომუნისტები წარმატებას ზეიმობდნენ. ამ დღეს სეილანოვის თამბაქოს ფაბრიკის შენობაში ჩატარდა ენფინჯიანცის, „კომეტას“, დიუბეკის თამბაქოს ფაბრიკებისა და ჰილზების დამამზადებელი ფაბრიკის — „პობედას“ მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული საარჩევნო კრება, რომელსაც 700-ზე მეტი ამომრჩეველი დაესწრო. კრებამ თბილისის საბჭოს წარმომადგენლობაში ერთხმად აირჩია 4 დეპუტატი, აქედან 3 კომუნისტი და 1 უპარტიო, მათ შორის 2 მუშა ქალი. იმავე დღეს „ტოლე“-ს საპნის ქარხნის, თბილისის ავტო-ტრანსპორტის სახელოსნოს, კოლოფების დამამზადებელი ფაბრიკისა და თამბაქოს ფაბრიკების („მირ“, „კავკაზ“, „სალვიე“) მუშა-მოსამსახურეთა კრებებზე, ამომრჩევლებმა თბილისის საბჭოს დეპუტატებად კომუნისტები აირჩიეს[70].

ასეთია ცნობები, რომლებიც იმდროინდელ პრესასა და საარქივო ფონდებშია დაცული. მათს სანდოობაში ეჭვიც არ შეგვაქვს, რადგან საარჩევნო ინსტრუქციად არჩევნების მიმდინარეობისადმი კომუნისტური პარტიის ზედამხედველობა სხვა შედეგს თითქმის გამორიცხავდა.

ისეთ საარჩევნო კრებებზე, სადაც კომუნისტებს საეჭვოდ მიაჩნ-

---

[70] გაზ. „კომუნისტი“, 1921 წლის 2 დეკემბერი.

დათ თავიანთი გამარჯვება, კენჭის ყრის დაწყების წინ პოლიტიკური მოხსენებებით გამოდიოდნენ კომპარტიის ლიდერები, ე. წ. „მძიმე არტილერია“. მიაჩნდათ, და არც თუ უსაფუძვლოდ, რომ მათი გამოსვლები უზრუნველყოფდნენ სასურველ კანდიდატთა არჩევას. ასე მოხდა, მაგალითად, 4 დეკემბერს ბეჭდვითი საქმისა და 7 დეკემბერს სამედიცინო-სანიტარული დარგის მუშაკთა საარჩევნო კრებებზე, რომლებზეც არჩევნების დაწყების წინ მოხსენებებით გამოვიდნენ: სერგო ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი, გიორგი ყურულაშვილი, თედო ღლონტი და სხვები. 4 დეკემბრის კრებამ არ გაიზიარა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წარმომადგენლის მოწოდება არჩევნებისათვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ და საბჭოს დეპუტატებად ერთხმად აირჩია მბეჭდავთა კავშირის კომუნისტური ფრაქციის მიერ წამოყენებული კანდიდატები, მათ შორის, 6 კომუნისტი და 1 მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტი. 7 დეკემბრის კრებაზე, წინანდელი საარჩევნო კრებებისაგან განსხვავებით, კამათში მონაწილეობა მიიღეს მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა და მენშევიკების წარმომადგენლებმა, რომლებმაც დამსწრეებს არჩევნების ბოიკოტის გზა შესთავაზეს, სათანადო დეკლარაციებიც წაიკითხეს და საარჩევნო კრებაც დემონსტრაციულად დატოვეს. მათთან ერთად დარბაზი ხუთიოდე კაცმა დატოვა. დანარჩენებმა კი (დაახლოებით 1600 კაცი) მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში და დეპუტატებად აირჩიეს სამედიცინო-სანიტარული დარგის მუშაკთა კავშირის კომუნისტური ფრაქციის მიერ წამოყენებული კანდიდატები: 6 კომუნისტი, 2 მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტი და 2 უპარტიო მუშა[71].

ამრიგად, ანტისაბჭოთა პარტიების ცდა, ჩაეფუშათ საბჭოების არჩევნები, უშედეგოდ დამთავრდა.

კომუნისტებმა ყველა საარჩევნო კრებაზე სასურველი დეპუტატები აირჩიეს. არჩევნები 8 დეკემბერს დამთავრდა. ამავე დღეს საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმმა განიხილა საარჩევნო კომპანიის მიმდინარეობის საკითხი და აღნიშნა, რომ არჩევნები ყველა რაიონში წარმატებით დამთავრდა[72].

---

[71] გაზ. „ტრიბუნა“, 1921 წლის 10 დეკემბერი, გაზ. „კომუნისტი“, 1921 წლის 9 დეკემბერი.

[72] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 17, აღწ. 1, საქ. 3, ფურცელი 22.

თბილისის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს შემადგენლობაში პირველი (რკინიგზის) რაიონიდან, სადაც არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს ამომრჩეველთა 94 პროცენტმა, აირჩიეს 56 დეპუტატი: 46 კომუნისტი, 10 უპარტიო; მეორე რაიონიდან (არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 73 პროცენტმა) — 57 დეპუტატი: 49 კომუნისტი, 8 უპარტიო; მესამე რაიონიდან (მონაწილეობა მიიღო 82 პროცენტმა) — 48 დეპუტატი: 42 კომუნისტი, 6 უპარტიო; მეოთხე რაიონიდან (არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 57 პროცენტმა) — 91 დეპუტატი: 72 კომუნისტი, 9 უპარტიო და 10 მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტი. წითელარმიელებმა თბილისის საბჭოში 99 დეპუტატი აირჩიეს. მაშასადამე, თბილისის საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 77 პროცენტმა. სულ არჩეულ იქნა 351 დეპუტატი. მათ შორის კომუნისტი — 305 ანუ 87 პროცენტი, უპარტიო — 36 ანუ 10,1 პროცენტი, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტი — 10 ანუ 2,9 პროცენტი. დეპუტატთა შემადგენლობაში 17 ქალი იყო[73].

თბილისის საბჭოს პირველი საზეიმო სხდომა 1921 წლის 10 დეკემბერს ჩატარდა. საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის 1921 წლის 8 დეკემბრის დადგენილების თანახმად, საზეიმო სხდომის გახსნამდე შეიკრიბა საბჭოს კომუნისტური ფრაქცია, რომელმაც ჩამოაყალიბა საკუთარი პლატფორმა სხდომაზე განსახილველი საკითხების მიმართ. სხდომა გახსნა და მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მამია ორახელაშვილმა. თბილისის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ლადო დუმბაძე. იგივე ითვლებოდა თბილისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. საბჭომ აღმასკომის შემადგენლობაში აირჩია 46 დეპუტატი (35 წევრი, 11 კანდიდატი) და სრულიად რუსეთის საბჭოების მეცხრე ყრილობის 15 დელეგატი[74]. დიახ, დელეგატი და არა სტუმარი. ხომ არ მიგვანიშნებს ეს ფაქტი იმაზე, რომ გასაბჭოებულ საქართველოს ფორმალურადაც სრულიად რუსეთის შემადგენლობაში გულისხმობდნენ?

---

[73] პოლიტიკური პარტიების არქივი, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 371, ფურც. 1. დაწვრილებითი ცნობები თბილისის წარმოება-დაწესებულებებში საარჩევნო კრებების შედეგების შესახებ იხ. გაზ. „კომუნისტის“ 1921 წლის დეკემბრის №№ 228, 229, 231, 234; გაზ. „პრავდა გრუზიი“, №№ 229—235.

[74] გაზ. „კომუნისტი“, 1921 წლის 16 დეკემბერი.

თბილისის შემდეგ საბჭოების არჩევნები ბათუმში ჩატარდა. საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაცია აჭარაში საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებულ ვითარებაში მიმდინარეობდა. აჭარის გასაბჭოების შემდეგ რევკომის გვერდით, პირველ ხანებში, არსებობას განაგრძობდა ძველი რეჟიმისაგან მემკვიდრეობით მიღებული მეჯლისი, რომლის დაშლა საბჭოთა ხელისუფლებამ პოლიტიკური მოსაზრებით თავდაპირველად მიზანშეუწონლად ცნო. მხოლოდ 1921 წლის მაისში მოახერხა საბჭოთა ხელისუფლებამ ახალი მეჯლისის არჩევა. მისი პირველი სხდომა 6 ივნისს გაიმართა. ახალი მეჯლისი აჭარის ტერიტორიაზე ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გამოცხადდა და მას მიენიჭა აჭარის რევოლუციური კომიტეტის უფლებები[75]. სულ მალე კომუნისტურმა პარტიამ გადაწყვიტა მეჯლისის შეცვლა სხვა ორგანოთი. ეს კი უმტკივნეულოდ მხოლოდ მაშინ გაკეთდებოდა, თუ მეჯლისის საწინააღმდეგო მოძრაობაში ფართო მასებს ჩააბამდნენ. ამასთან დაკავშირებით, აჭარაში გაჩაღდა მოძრაობა ღარიბ („ფუხარა") გლეხთა კომიტეტების შექმნისათვის. ამ კამპანიაში მრავალი პარტიული და საბჭოთა მოღვაწე იყო ჩაბმული. 1921 წლის შემოდგომისთვის უკვე მთელი აჭარა მოიფინა ღარიბთა კომიტეტებით, ანუ როგორც მაშინ იქ უწოდებდნენ, „ფუხარა" კომიტეტებით. მათი ამოცანა იყო გლეხთა ფართო მასების განთავისუფლება ბეგებისა და მოლების გავლენისაგან, მათ უნდა უზრუნველეყოთ აგრეთვე გლეხთა დარაზმვა მეჯლისის წინააღმდეგ. ღარიბთა კომიტეტების წყალობით, აჭარის მეჯლისმა, როგორც ხელისუფლების ორგანომ, მალე შეწყვიტა არსებობა. იგი დატოვეს როგორც სათათბირო ორგანო, სოფლის საქმეთა დარგში. ხელისუფლება კი მთლიანად გადავიდა რევოლუციური კომიტეტის ხელში. 1921 წლის 7—11 ნოემბერს ქ. ბათუმში ჩატარდა აჭარის გლეხთა ყრილობა, რომელმაც დაშლილად გამოაცხადა მეჯლისი და მისი უფლებამოსილებანი ახლად არჩეულ გლეხთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გადასცა. ყრილობისვე დადგენილებით ამ ორგანოს წითელი მეჯლისი ეწოდა.

„ფუხარა" გლეხთა კომიტეტებმა დიდი მუშაობა გასწიეს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნების დროსაც. ბათუმის საბჭოს არჩევნები 1921 წლის 8 დეკემბერს დაიწყო და 10 დეკემბერს დამთავრდა. კომუნისტების გამარჯვება ბათუმის

---

[75] საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება აჭარაში, ბათუმი, 1958, გვ. 92.

საბჭოში კიდევ უფრო საგრძნობი იყო, ვიდრე თბილისში. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო „ამომრჩეველთა თითქმის 100 პროცენტმა, ყველგან არჩეულ იქნენ კომუნისტები და 15 პროცენტი უპარტიონი“[76]. ბათუმის საბჭოს პირველი, საზეიმო სხდომა 17 დეკემბერს გამართეს. საბჭოს თავმჯდომარედ თენგიზ ელენტი აირჩიეს.

ამრიგად, 1921 წლის დამლევს თბილისსა და ბათუმში, პირველად გასაბჭოებულ საქართველოში, აირჩიეს საბჭოები, როგორც ახალი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოები.

თბილისისა და ბათუმის გამოცდილების შემდეგ, კომუნისტურმა პარტიამ მთელს საქართველოში უზრუნველყო საბჭოების არჩევნები. 1922 წლის თებერვლის პირველ ნახევარში რესპუბლიკაში უკვე შექმნილი იყო სათემო საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები, ჩატარებული იყო საბჭოთა სამაზრო ყრილობები, არჩეულ იყვნენ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტები და სრულიად საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობის დელეგატები.

წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის პირველ წლისთავზე, 1922 წლის 25 თებერვალს თბილისში გაიხსნა სრულიად საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობა, რომელსაც დაესწრო 380 დეპუტატი, ამათგან 307 გადამწყვეტი, ხოლო 73 სათათბირო ხმით. დეპუტატთა რიცხვიდან 272 კომუნისტი იყო[77]. ყრილობა გახსნა და დეპუტატებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს ბოლშევიკების ერთ-ერთმა ლიდერმა ფილიპე მახარაძემ.

ყრილობამ იმსჯელა და სათანადო დადგენილებები მიიღო პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საქართველოს სსრ საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა, სასურსათო და საფინანსო მდგომარეობა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ანგარიში, საქართველოს სსრ კონსტიტუცია, საადგილმამულო პოლიტიკა, ქართული წითელი არმიის შექმნა და სხვ.

საქართველოს საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ ფ. მახარაძის მოხსენებასთან დაკავშირებით, ყრილობამ მიიღო „მოწოდება საქართველოს საბჭოთა ყრილობისა მთელი ქვეყნის მშრომელებისადმი“, რომელიც იმავე დღეს რადიოთი ეცნობა მთელ მსო-

---

[76] გაზ. „კომუნისტი“, 1921 წლის 14 დეკემბერი,

[77] გაზ. „პრაედა გრუზიი“, 1922 წლის 5 მარტი.

ფულიოს. მოწოდება გამიზნული იყო იმ ანტისაბჭოთა კამპანიის საპასუხოდ, რომელსაც მენშევიკები და II ინტერნაციონალის ბელადები საზღვარგარეთ ეწეოდნენ გენუის კონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებით. ყრილობამ მოიწონა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეა. დასახა ღონისძიებები ქართული წითელი არმიის შექმნისა და გაძლიერებისათვის, მოუწოდა ყველა საბჭოთა ორგანიზაციას, მონაწილეობა მიეღოთ სასურსათო გადასახადის დროულად აკრეფის საქმეში, დაადასტურა ფულის რეფორმის აუცილებლობა, რაც ნავარაუდევი იყო ამიერკავკასიის მასშტაბით. აღინიშნა, რომ ფულის რეფორმის შემდეგ, ახალი ფულის 1 მანეთი ეკვივალენტური უნდა ყოფილიყო საქართველოში 1400 000 მანეთის, აზერბაიჯანში — 4 000 000 მანეთისა, ხოლო სომხეთში 8 000 000 მანეთისა[78]. ეს სხვაობა გამოწვეული იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მოქმედი ფულის ნიშნების სხვადასხვანაირი მსყიდველობითი უნარიანობით.

ყრილობამ განიხილა და 1922 წლის 2 მარტს დაამტკიცა საქართველოს სსრ კონსტიტუცია. პროექტის განხილვისას მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა წარმომადგენელმა ს. ხუნდაძემ რამდენიმე შენიშვნა გააკეთა. ერთ-ერთი შენიშვნა ეხებოდა კონსტიტუციის პროექტის იმ მუხლს, სადაც ლაპარაკი იყო პროლეტარიატის დიქტატურაზე. ს. ხუნდაძის აზრით, საქართველოს სინამდვილე, მუშათა კლასის სიმცირის გამო, არ იძლეოდა საშუალებას პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად. ამიტომ იგი მოითხოვდა, რომ კონსტიტუციაში „ნაცვლად პროლეტარიატის დიქტატურისა, შეტანილ იქნეს დიქტატურა მშრომელ ხალხისაო"[79]. საბჭოების ყრილობამ, სადაც უმრავლესობას კომუნისტები შეადგენდნენ, ცხადია, არ მიიღო ეს შესწორება. საქართველოს სსრ პირველ კონსტიტუციას რსფსრ პირველი კონსტიტუციის დებულებები ედო საფუძვლად. თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს საბჭოების I ყრილობაზე მიღებულმა საქართველოს კონსტიტუციამ, როგორც ითქვა, ქართული ენა საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად გამოაცხადა.

საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ იმსჯელა ქართული წითელი არმის მშენებლობის, მისი გაძლიერების შესახებ. როგორც

---

[78] ის. საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა (სტენ. ანტ.), თბ., 1922, გვ. 80—81

[79] იქვე, გვ. 145.

ცნობილია, საქართველოს კომუნისტებს ამ საკითხზე ვ. ი. ლენინის სპეციალური მითითება ჰქონდათ. არმიის მშენებლობაზე ყრილობას მოახსენეს შალვა ელიავამ და სერგო ორჯონიკიძემ. ქართული წითელი არმიის გაძლიერების საკითხი ყრილობის მთავარ საკითხს წარმოადგენსო — განაცხადა სერგო ორჯონიკიძემ ყრილობაზე[80].

ყრილობამ აუცილებლად მიიჩნია რუსეთის წითელი არმიის ნაწილების დატოვება საქართველოში. ამის შესახებ მან რსფსრ მთავრობას მიმართა თხოვნით, რომელშიც ნათქვამი იყო: „...ჩვენ დაჟინებით ვთხოვთ ძმურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას, არ გაიყვანოს ჩვენი საზღვრებიდან წითელი არმია“[81]. ეს გადაწყვეტილება, უმთავრესად, კომუნისტების სურვილს გამოხატავდა და ვერ ვიტყვით შეესაბამებოდა თუ არა იგი ქართველი ხალხის უმრავლესობის ნებას (რეფერენდუმი არ ჩატარებულა). საქართველოს კომპარტიაში იმ დროს ორ ათეულ ათასამდე წევრიც არ ითვლებოდა.

1920—1921 წლების მოუსავლიანობამ ზოგიერთი საბჭოთა რესპუბლიკა სავალალო მდგომარეობაში ჩააყენა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა რუსეთის სფს რესპუბლიკა, რომლის 21 გუბერნიაში შიმშილი მძვინვარებდა. მოუსავლიანობის ნიადაგზე შიმშილობამ თავი იჩინა დასავლეთ საქართველოშიც. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა დამშეულთა დამხმარე კომიტეტები, გამოყოფილ იქნა სათანადო თანხები. გადაწყდა, რომ დამშეულთა დასახმარებლად შეწირულობათა გაღებისათვის ნამდვილი საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიეცათ. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ მოწოდებით მიმართა საქართველოს მშრომელებს, ფართო დახმარება აღმოეჩინათ სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულთათვის — როგორც საქართველოს, ისე რუსეთის დამშეულთათვის. ყრილობამ მოიწონა დამშეულთა დასახმარებლად საქართველოს საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები (განსაკუთრებული გადასახადის დაწესება, შეწირულებათა შეგროვება ფულისა და ნივთების სახით და სხვ.).

საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ თავის ბოლო სხდომაზე, 1922 წლის 3 მარტს აირჩია საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი 95 წევრის შემადგენლობით: იოსებ სტალი-

---

[80] გ. კ. ორ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე. სტატიები და სიტყვები, ტ. I, თბ., 1957, გვ. 283.
[81] საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა (სტენ. ანგ.), გვ. 189.

ნი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, სერგო ორჯონიკიძე, აბელ ენუქიძე, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, ვანო სტურუა, სილიბისტრო თოდრია, არაქელა ოქუაშვილი, მალაქია ტოროშელიძე, სერგო ქავთარაძე, სამსონ მამულია, ალექსანდრე სვანიძე, გიორგი ყურულაშვილი, მიხეილ ჩოდრიშვილი, მიხეილ კახიანი, ალექსანდრე გეგეჭკორი, ამბიაკ ნაზარეტიანი, ნესტორ ლაკობა, ალექსანდრე ჯატიევი, ეფრემ ეშბა, თახსიმ ხიმშიაშვილი, თედო ღლონტი, სიმონ ხუნდაძე და სხვ.

ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში აირჩიეს თბილისის, გორის, შორაპნის, ოზურგეთის, სენაკის, ქუთაისის, ზუგდიდისა და სიღნაღის მაზრების ორ-ორი წარმომადგენელი. დანარჩენი მაზრებიდან — თითო წარმომადგენელი. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში არჩეული იყო აფხაზეთის სს რესპუბლიკის 7, აჭარის ასს რესპუბლიკის 6, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 5 წარმომადგენელი. ცაკ-ის წევრთა შორის 2 უპარტიო იყო, — 3—მემარცხენე სოციალისტ ფედერალისტთა წარმომადგენელი[62].

7 მარტს გაიმართა საქართველოს ცაკ-ის პირველი სხდომა, რომელმაც აირჩია ცაკ-ის პრეზიდიუმი: ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, ა. გეგეჭკორი, ს. თუმანოვი, ე. ეშბა, კ. კაკაბაძე, მ. ტოროშელიძე, ს. თოდრია, ს. ქავთარაძე, ს. მამულია, კ. ცინცაძე, ა. ჯატიევი, ლ. დუმბაძე, თ. ხიმშიაშვილი. საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარედ აირჩიეს ფილიპე მახარაძე. ამავე სხდომაზე შეიქმნა საქართველოს სსრ მთავრობა — სახალხო კომისართა საბჭო.

ამრიგად, სრულიად საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობით დასრულდა საქართველოში საბჭოთა სახელმწიფოებრივი აპარატის ჩამოყალიბების ძირითადი ეტაპი. მთელს რესპუბლიკაში დამკვიდრდა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა — საბჭოები.

---

[62] გაზ, „პრავდა გრუზიი", 1922 წლის 5 მარტი,

მეორე თავი

ავტონომიური ერთეულების ჩამოყალიბება საქართველოში

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ, საქართველოს ტერიტორიაზე ფაქტობრივად სამი ავტონომიური ერთეული ჩამოყალიბდა: აფხაზეთის სსრ. აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. იგი არასოდეს ყოფილა ერთიანი საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა აფხაზეთის სამთავრო, რომლის მფლობელობა დროთა განმავლობაში საქართველოს ზოგიერთ სხვა ნაწილზეც ვრცელდებოდა. აფსაზებს აფხაზეთის გარდა სხვა სამშობლო არ გააჩნიათ და. ბუნებრივია, მათ ერთიან საქართველოს ფარგლებში ავტონომია ეკუთვნით. ამიტომ ქართული საზოგადოებრიობა, პოლიტიკური წრეები, რესპუბლიკის მთავრობა გაგებით ეკიდებოდნენ აფხაზთა მოთხოვნას ავტონომიის შესახებ. **ასე იყო, კერძოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს.** თუმცა ქართველთა და აფხაზთა იმდროინდელი ურთიერთობა შელახულ იქნა, გაჩნდა ზოგიერთი ნეგატიური მომენტი, რის თავიდან აცილება, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. ამ პრობლემას, უეჭველია, თავისი დაღო დაასვა კოლონიურმა პოლიტიკამ, რომელსაც მეფის რუსეთი საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ახორციელებდა „გათიშე და იბატონე"-ს პრინციპით.

ალბათ ზედმეტი არ იქნება გავცდეთ თხრობის ტრადიციულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებს და ორიოდე სიტყვით წარმოვაჩინოთ ქართველთა და აფხაზთა ადრინდელი ურთიერთობის რამდენიმე დამახასიათებელი მომენტი. უწინარეს ყოვლისა, ვაჩვენოთ რუსეთის როლი ქართველებთან აფხაზების დაპირისპირებაში.

ცარიზმი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ სრულიად მოესპო ქართული კულტურის გავლენა, აღმოეფხვრა ყოველგვარი ქართული აფხაზეთში, გაერუსებინა და რუსებით დაესახლებინა იგი. განსაკუთრებით გააქტიურეს მუშაობა ამ მიმართულებით გასული საუკუნის 90-იან წლებში. კავკასიის სამოქალაქო ნაწილის იმდროინდელი მთავარმართებელი თავადი გოლიცინი და ეგზარქოსი ალექსი სინოდის ობერ-პროკურორს სწერდნენ: „Сухумскую епархию, с ее преимущественно абхазским и русским населением, желательно оторвать от весьма нежелательного грузинского влияния. С этой целью—было бы очень полезно присоединить Сухумскую епархию к Кубани. В Кубанском крае насчитывается 1. 716. 245 чисто русского православного населения. В этой массе легко растворится 100.000-ное многоязыковое население Черноморского побережья»[1].

კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის თანამშრომელი ე. გ. ვედენბაუმი დაუფარავად წერდა: „Абхазский язык, не имеющий письменности и литературы, обречен, конечно, на исчезновение в более или менее близком будущем. Вопрос в том: какой язык заменит его? Очевидно, что роль проводника в населении культурных идей и понятий должен был бы играть не грузинский язык, а русский язык. Мне кажется поэтому, что учреждение абхазской письменности должно быть не целью само по себе, а только средством к ослаблению, путем церкви и школы, потребности в грузинском языке и постепенной замене его языком государственным"[2]. (ივულისხმება რუსული ენა — ლ. თ.).

1897 წლის 15 სექტემბრის პატაკში ეი ქუთაისის სამაზრო გუბერნატორის მოადგილე აღნიშნავდა: „Грузинское движение в Сухумском округе служит тормозом к обрусению края"[3].

ამ სამი დოკუმენტიდანაც ამკარად ჩანს, თუ რატომ „უწყობდა ხელს" მეფის რუსეთი აფხაზური დამწერლობის შემოღებას, რატომ

---

[1] თედო სახოკია, რჩეული, თბ., 1969, გვ. 65.

[2] З. Анчабадзе, Очерки этнической истории абхазского народа. სოხუმი, 1976, გვ. 96.

[3] ციტ: ი. აბესაძისა და დ. რევიას სტატიიდან „მხატვრის წერილებით გაცხადებული ისტორია". — გაზ. „თბილისი"., 1990 წლის 10 იელისი.

უპირისპირებდა იგი ერთმანეთს ქართველებსა და აფხაზებს. როგორც ითქვა, ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ განედევნათ აფხაზეთიდან ქართული ენა, ქართული კულტურა, დაენერგათ იქ რუსული ენა და რუსული კულტურა. აფსაზური ენის განვითარება კი უპერსპექტიეო საქმედ მიაჩნდათ.

ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობაში ერთობ უარყოფით როლს ასრულებდა საბჭოთა რუსეთიც, რომელიც ცდილობდა დაპირისპირებინა აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოსათვის. რაც ცარიზმის დროს ვერ მოესწრო, საბჭოთა სინამდვილეში გახდა შესაძლებელი კლასობრივი ბრძოლისა და სოციალისტური რევოლუციის ინტერესების დაცვის საბაბით. როგორც კი დაადგა საქართველო დამოუკიდებლობის გზას, საბჭოთა თუ დენიკინის რუსეთმა მაშინვე გაათამაშეს აფხაზეთის კარტი. მიაღწიეს ქართველთა და აფხაზთა უკიდურეს კონფრონტაციას, რის შედეგადაც აფხაზთა გარკვეული ნაწილი შეაშინა საქართველოს დამოუკიდებლობამ. არადა, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან აფხაზეთის დაპირისპირებისათვის არავითარი ობიექტური საფუძველი არ არსებობდა. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა მარტო ქართველი ხალხისათვის არ გამოცხადებულა. ქართველი ხალხის დიდ სიხარულს მაშინ ჩვენი აფხაზი მოძმეებიც გულწრფელად იზიარებდნენ. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს ბევრ სხვა არაქართველთან ერთად ხელს აწერდნენ უთვალსაჩინოესი აფხაზი მოღვაწეები ვარლამ შერვაშიძე, არზაყან ემხუარი და სხვები.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის პირველსავე მუხლში ვკითხულობთ: „ამიერიდან **საქართველოს ხალხი** (ხაზგასმა ჩემია ლ. თ.) სუვერენულ უფლებათა მატარებელი და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“, როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია არა მხოლოდ ქართველ ხალხზე, არამედ „საქართველოს ხალხზე“, ე. ი. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ხალხზე. იმავე აქტის მე-6 მუხლში კი ნათქვამია: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს“[4]. ეს იყო დაპირება, რომელიც სულ ცოტა ხანში რეალობად იქცა.

---

[4] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918—1921), თბ., 1990, გვ. 4.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ, რომელიც 1921 წლის 21 თებერვალს მიიღეს „საქართველოს განუყოფელ ნაწილს — აფხაზეთს (სოხუმის ოლქი)" მიანიჭა „ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა"[5].

ფაქტობრივად აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებამდეც საკმაოდ ფართო ავტონომიით სარგებლობდა. გავიხსენოთ რამდენიმე ისტორიული ფაქტი. 1918 წლის 9 თებერვალს, ე. ი. მაშინ, როცა საქართველო ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული დემოკრატიულ რესპუბლიკად, თბილისში გაიმართა აფხაზთა სახალხო საბჭოსა და საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელთა მოლაპარაკება. მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის ძალითაც აფხაზეთს საქართველოს შემადგენლობაში ფართო შინაგანი ავტონომია ენიჭებოდა[6]. ამასთან, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ აიღო ვალდებულება, რომ დაეხმარებოდა აფხაზეთს ისტორიული საზღვრების აღდგენაში, კერძოდ, მიიღებდა ზომებს, რათა აფხაზეთისათვის დაებრუნებინათ გაგრის ოლქი, რომელიც 1904 წელს მეფის რუსეთმა ადმინისტრაციულად შაეი ზღვის გუბერნიის სოჭის ოკრუგს დაუქვემდებარა.

1918 წლის ივნისში აფხაზთა სახალხო საბჭოსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელშიც ნათქვამია: „შინაგანი მმართველობა და თვითმმართველობა აფხაზეთში მიეკუთვნება აფხაზთა სახალხო საბჭოს".[7]

ამრიგად, აფხაზეთის ავტონომია საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დაადასტურა თავისი დაარსების პირველსავე დღეებში, სულ რაღაც 10—15 დღეში[8]. დამოუკიდებელ საქართველოს სხვანაირად არ შეეძლო.

---

[5] საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21, ბათუმი, 1921, გვ. 31,

[6] Из истории взаимоотношений грузинского, абхазского и осетинского народов. თბ., 1990, გვ. 11.

[7] ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან. თბ., 1991, გვ. 55.

[8] საქართველოს ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიის დადასტურება, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და აფხაზეთს შორის ხელშეკრულების სასწრაფო გაფორმება, უმთავრესად იმით იყო განპირობებული, რომ აფხაზეთი 1917 წლიდან კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა კავშირში შედიოდა. თუ რას წარმოა-

ბუნებრივია, თვით აფხაზთა სახალხო საბჭო მაშინდელ აფხაზეთს მიიჩნევდა არა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, არამედ საქართველოში შემავალ ავტონომიურ ერთეულად. კონსტანტინოპოლის საერთაშორისო კონფერენციაზე აფხაზეთის წარმომადგენლობის საკითხის განხილვისას აფხაზთა სახალხო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ა. შერვაშიძემ განაცხადა: «Абхазии как государства нет, а потому самостоятельной дипломатической миссии не может быть, но мы можем послать представителя нашего для усиления грузинской дипломатической миссии в качестве советника"[9].

1919 წლის 20 მარტს აფხაზეთის სახალხო საბჭომ ერთხელ კიდევ დაადასტურა საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის, როგორც ავტონომიური ერთეულის შესვლა. აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაციის მოხსენებით ბარათში, რომელიც საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს გაეგზავნა, ამასთან დაკავშირებით ნათქვამია: „...Этим актом отныне положено прочное основание свободной жизни народов Абхазии в пределах свободной Грузии. Отныне можно смело заявить перед лицом всего совета, что демократия Грузии осуществила то, чего не могли до сих пор осуществить даже некоторые сильные государства"[10].

მართალია, აფხაზეთის ავტონომიის კონსტიტუციური წესით გაფორმება დაგვიანდა, მაგრამ ამის მიზეზი თვით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის დაგვიანებით მიღება იყო და არა სხვა რამ. უცილობელი ფაქტია, რომ აფხაზეთი კონსტიტუციის მიღებამდე ავტონომიის უფლებებით სარგებლობდა.

1918 წელს აფხაზეთში შევიდა საქართველოს ჯარი. რასაც გარკვეული გართულება მოჰყვა მაშინაც და რასაც არამართლზომიერ ინტერპრეტაციას აძლევს ახლაც ზოგიერთი აფხაზი ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე.

ამ საკითხზე მსჯელობისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ აფხაზეთში 1918 წელს მეტად რთული პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. ეს განპირობებული იყო ბოლშევიკური თუ პროთურქული ძალების გააქტიურებით. სოხუმის ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს

დგენდა ეს კავშირი, რამ აიძულა აფხაზეთი შესულიყო მასში და რა იურიდიული სტატუსი შეიძლება ჰქონოდა მაშინ აფხაზეთს — ეს ცალკე მსჯელობის საგანია.

[9] აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 39, საქ. 3, ფურც. 21.

[10] იქვე, ფურც. 31,

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, მაგრამ საამისო ძალები არ გააჩნდათ და დახმარებისათვის ეკატერინოდარის (ეხლა კრასნოდარის) ბოლშევიკებს მიმართეს. ამასთან, ითხოვდნენ სოხუმის ოლქის შეერთებას ყუბანის საბჭოთა რესპუბლიკასთან და აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად წითელი არმიის ნაწილების გამოგზავნას.

ეს ერთი. გაჩნდა მეორე საფრთხეც. აფხაზეთის პროთურქულმა ძალებმა, ალექსანდრე შერვაშიძის მეთაურობით, 1918 წლის ივნისში აფხაზეთში თურქეთის 800-კაციანი დესანტი გადმოსხეს. გარდა ამისა, აფხაზეთის მიტაცებას, საქართველოსაგან მის ჩამოცილებას ცდილობდა დენიკინი. აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა ქართული ორიენტაციისა იყო, თუმცა ზემოაღნიშნულ ძალებსაც მცირე, მაგრამ მაინც ჰყავდათ მომხრეები.

რაც შეეხება აფხაზთა სახალხო საბჭოს, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ იგი ყოველ ღონეს ხმარობდა თავიდან აეცილებინა როგორც ბოლშევიკური რუსეთის, ისე დენიკინისა და თურქეთის საფრთხე. სწორედ ამ საბჭოს თხოვნით გაიგზავნა აფხაზეთში საქართველოს მხედრობა, რომელმაც განდევნა აფხაზეთიდან მტრული ძალები. თუმცა ამ ბრძოლების დროს გარკვეული ზარალი ადგილობრივმა მოსახლეობამაც ნახა, რაც მაშინვე გახდა სპეციალური მსჯელობის საგანი. საქართველოს მთავრობას უარი არ უთქვამს ზარალის ანაზღაურებაზე.

კიდევ ერთი მომენტი. 1918 წლის 18 ივლისს აფხაზთა სახალხო საბჭოში საქართველოს წარმომადგენელმა ისიდორე რამიშვილმა განაცხადა, რომ თუ აფხაზთა სახალხო საბჭო მოითხოვს, საქართველოს ჯარი დაუყოვნებლივ დატოვებს აფხაზეთს, რადგანაც გაჭირვება სხვა ფრონტზეც გვაქვსო.

აფხაზთა სახალხო საბჭომ კი ერთხელ კიდევ დაადასტურა მისი წინანდელი გადაწყვეტილებები აფხაზეთში საქართველოს ჯარის ყოფნის აუცილებლობის შესახებ. საბჭოს წევრმა რ. ა. კაკუბავამ განაცხადა: «Нет никакой необходимости уводить войска из пределов Абхазии и повергать ее в пучину анархии". მარშანიამ კი თქვა:„Ни в коем случае отряд не нужно выводить из Абхазии"[11]. ამ საკითხზე აფხაზთა სახალხო საბჭოს მსჯელობა ჰქონდა მეორე დღესაც. იმავე დ. მარშანიამ თქვა: «Изменнических шагов

[11] აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 39, საქ. 3, ფურც. 9.

с нашей стороны быть не может, т. к. грузинские части приглашены для оказания помощи нам в тяжелую минуту и вообще с грузинами мы жили всегда дружно"[12].

1918 წლის 30 ივლისის სხდომაზე კი ხაბიჯ აჯბამ თქვა: „...Кодорский участок не сыграет роли изменников, ибо они вполне сознают помощь, оказанную грузинским народом... Неужели мы способны на удар ножом в спину"[13].

აქედან გამომდინარე, აშკარაა უსაფუძვლობა მტკიცებისა საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ 1918 წელს აფხაზეთის ოკუპაციის შესახებ, რადგანაც, ჯერ ერთი, აფხაზეთი მუდამ შედიოდა ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში, ხოლო 1918 წელს იგი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ავტონომიურ ერთეულს წარმოადგენდა, რაც არათუ უფლებას აძლევდა, არამედ ავალდებულებდა კიდეც საქართველოს მთავრობას, დაეცვა რესპუბლიკისა და მასში შემავალი ავტონომიური ერთეულის მთლიანობა; მეორე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარი მიიწვია აფხაზი ხალხის ნების გამომხატველმა უმაღლესმა ორგანომ — აფხაზთა სახალხო საბჭომ გარეშე მტრებისაგან დასაცავად.

საბჭოთა რუსეთს, მის კომუნისტურ პარტიას აფხაზეთში მუდამ ეგულებოდათ გარკვეული ძალები, რომლებიც მზად იყვნენ ნებისმიერ დროს გამოსულიყვნენ დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ. 1921 წლის 2 იანვარს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს წევრები გ. კ. ორჯონიკიძე და ს. მ. კიროვი ატყობინებდნენ რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს: „Нельзя надеяться, что внутри Грузии произойдет решающий взрыв; без нашей помощи ее советизация невозможна... Повод для нашего вмешательства в дела Грузии имеется. Для этого не нужно открытое нападение на Грузию. Имеем возможность начать движение в Абхазии, Аджарии, в Борчалинском уезде...»[14].

ამ პერიოდში ბოლშევიკებისა და სოციალიზმის დროშას გარკვეული ძალები საფარად იყენებდნენ საქართველოსაგან აფხაზეთის ჩამოცილებისა და რუსეთთან შეერთებისათვის ბრძოლაში.

---

[12] აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 39, საქ. 3, ფურც. 11.

[13] იქვე. ფურც. 24.

[14] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 85, აღწ. 4, საქმ. 115, ფურც. 2.

ამაზე მეტყველებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შედგენილი (არაუადრეს 1920 წლის ოქტომბრისა) ცნობაც, რომელშიც ნათქვამია: „ამგვარად, საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის ზავის ჩამოგდების შემდეგაც... კომუნისტები სოხუმის ოლქში ეწეოდნენ საქართველოს დემოკრატიული წეს-წყობილების და მისი მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციას და აწყობდნენ შეიარაღებულ აჯანყებას. ამ მუშაობას კომუნისტები აწარმოებდნენ არალეგალურად და იმავე დროს კავშირი ჰქონდათ საბჭოთა რუსეთის სამხედრო ძალებთან გაგრის ფრონტზე.

უმთავრესი სამოქმედო ორგანიზაციები იყო: 1) ქალაქ სოხუმში — „სოკი", რომელიც საერთო ხელმძღვანელობას უწევდა დანარჩენ ორგანიზაციებს, იძენდა ასაფეთქებელ მასალას, ეწინააღმდეგებოდა მთავრობის მიერ გამოცხადებულ მობილიზაციას და ფულით დახმარებას უწევდა ხელქვეით ორგანიზაციებს: 2) გაგრაში — გაგრის სამაზრო რევოლუციური კომიტეტი, რომელიც საჯაშუშო[15] მასალებს აწვდიდა საბჭოთა ჯარებს, პროპაგანდით და აგიტაციით ხრწნიდა საქართველოს ჯარისკაცებს და არღვევდა ჩვენს ფრონტს და 3) **აფხაზეთში ავრცელებდნენ აფხაზეთის საქართველოდან ჩამოშორების შესახებ ხმებს, ურჩევდნენ აფხაზებს შეერთებოდნენ რუსეთს** (საზგასმა ჩემია — ლ. თ.) და აწყობდნენ აფხაზეთის შეიარაღებულ აჯანყებას"[16].

წითელი არმიის მიერ საქართველოზე თავდასხმის მე-3 დღეს, 1921 წლის 13 თებერვალს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს წარმომადგენელი ა. საჯაია აფხაზეთის სახალხო საბჭოს „დამოუკიდებელთა" ფრაქციის წევრს მ. ცაგურიას სწერდა: „Надеюсь вы вполне понимаете, что Абхазия имеет, наконец, возможность самоопределиться подобно другим горским народам...

---

[15] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ჯაშუშურ მასალებს აგროვებდა საბჭოთა რუსეთის საელჩო თბილისში, რომელსაც ს. მ. კიროვი მეთაურობდა. მისივე მითითებით ქ. სოხუმში შეიქმნა საგანგებო კომისია (ვ. ივანოვი, ვ. სვერდლოვი, ბ. ვოლხოვსკი, მუზიკანტსკი), რომელსაც ევალებოდა ჯაშუშური ცნობების მიწოდება საბჭოთა რუსეთის საელჩოსათვის თბილისში (იხ. აფხაზეთის ცსა, ფ. 840, აღწ. 1, საქ. 9, ფურც. 142 ციტ: ჯ. გამახარია დასახ. წიგნის მიხედვით, გვ. 112).

[16] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1863, აღწ. 1, საქ. 523, ფურც. 5. (ციტ.: ჯ. გამახარიას დასახ. წიგნის მიხედვით, გვ. 113).

организовавшимся под защитой Советской России в автономные советские республики»[17]

აფხაზეთის საკითხი ერთობ მწვავედ დადგა საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოში. თვით აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება წითელმა არმიამ 1921 წლის 4 მარტს დაამყარა. ამ დროისათვის შექმნილი იყო აფხაზეთის რევკომიც, რომელიც თავიდანვე ინტენსიურად შეუდგა საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობისა და აფხაზეთის სტატუსის გარკვევას.

1921 წლის მარტის დასაწყისშივე აფხაზეთის რევკომის, ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების, XI წითელი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოსა და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს წარმომადგენელთა გაერთიანებულ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ აფხაზეთი გამოცხადდეს დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, ხოლო პარტიულ ორგანიზაციას ეწოდოს აფხაზეთის კომუნისტური პარტია, რომელსაც მოსკოვში საკითხის გარკვევამდე შეუნარჩუნდეს ძველი სახელწოდება. იმავე წლის მარტის შუა რიცხვებში აფხაზეთის პასუხისმგებელ მუშაკთა მეორე თათბირმაც დაადასტურა აფხაზეთის დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადების აუცილებლობა. ამ ორი თათბირის გადაწყვეტილებათა თაობაზე აფხაზეთის რევკომის წევრებმა ე. ეშბამ, ნ. ლაკობამ. პ. აღნიაშვილმა და ნ. აკირტაევამ 1921 წლის 26 მარტს წერილით აცნობეს ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს. ახფაზეთის რევკომის წევრები კითხვას სვამდნენ: „Будет ли Советская Абхазия самостоятельной республикой или административной единицей и какова должна быть общая политика в Абхазии?"[18].

წერილში ჩამოყალიბებული იყო აფხაზეთის რევკომის წევრთა აზრი: «Первое: Абхазия должна быть объявлена социалистической советской Республикой. Второе: Советская Абхазия должна непосредственно входить в общероссийскую федерацию". ამ წინადადებას აფხაზეთის რევკომი იმით ასაბუთებდა, რომ ქართველი მენშევიკების ნაციონალისტური პოლიტიკის წყალობით აფხა-

---

[17] Борьба за Октябрь в Абхазии. Сборник документов, 1917—1921 гг., 1967, გვ. 175.

[18] ციტ.: Б. Сагария. Образование и укрепление советской национальной государственности в Абхазии (1921—1938), სოხუმი, 1981, გვ. 41.

ზეთში ანტიქართულად არიან განწყობილნი და საბჭოთა რუსეთთან უშუალო კავშირს ითხოვენო. «...Объявлением самостоятельности Абхазии, — განაგრძობდნენ წერილის ავტორები, — закрепить освободительный характер борьбы Красной Армии, как в сознании трудовых масс Абхазии, так и в общественном мнении за границей»[19].

ჩვენთვის უცნობია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის უშუალო პასუხი აფხაზეთის რევკომის შეკითხვაზე, მაგრამ, ცხადია, მათს პასუხად უნდა მივიჩნიოთ ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც აფხაზეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ იქნა შემდეგ მიღებული. ყოველ შემთხვევაში, ი. ბ. სტალინის მონაწილეობის გარეშე ეს საკითხი, ბუნებრივია, ვერ გადაწყდებოდა. ხოლო, თუ რა პოზიციას დაიჭერდა ი. ბ. სტალინი აფხაზეთის საკითხში, ეს ნათლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მისი სტატიის მიხედვით, რომელიც „პრავდის“ 1921 წლის 10 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა. ამ სტატიაში ი. ბ. სტალინი წერდა, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში იჩაგრებოდნენ ოსები, აფხაზები, სომხები და საქართველო მეზობლების, კერძოდ, სომხეთისა და თურქეთის ხარჯზე აფართოებდა თავის ტერიტორიას[20]. ასე თავდაყირაა დაყენებული ი. ბ. სტალინის ამ დემაგოგიურ სტატიაში ისტორიაც, პოლიტიკაც, ყოველივე წმინდა ამ ქვეყანაზე. ბუნებრივია, ამ განწყობილების კაცი აფხაზთა ყოველგვარ ანტიქართულ მოთხოვნას დაუჭერდა მხარს, მით უმეტეს, თუ ეს მოთხოვნები რუსეთს აძლევდა ხელს. მაგრამ საბჭოთა რუსეთის მიერ სულ რამდენიმე დღის წინ ოკუპირებულ საქართველოდან აფხაზეთის აშკარად მოკვეთას და რუსეთისათვის მის გადაცემას შეიძლებოდა საერთაშორისო სკანდალი მოჰყოლოდა, რასაც ი. ბ. სტალინიც უნდა მორიდებოდა თვით რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე. უეჭველია, ვ. ი. ლენინიც ანგარიშს უწევდა ამ ვითარებას.

რაც შეეხება დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად აფხაზეთის გამოცხადებას, იგი, რასაკვირველია, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის თანხმობის გარეშე ვერ გადაწყდებოდა. საქართველოს „დასასჯელად“ ესეც საკმარისი ჩანდა მაშინ. ასე რომ- აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადება მა-

---

[19] ბ. საღარიას დასახ. ნაშრომი, გვ. 41—42.

[20] იხ. ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 19.

რტო ვ. ი. ლენინის სახელთან როდი იყო დაკავშირებული, როგორც ამის დამკვიდრებას ცდილობენ დღეს აფხაზურ ისტორიოგრაფიაში. ამაში, ცხადია, ი. ბ. სტალინის ხელიც ურევია. თუმცა ორივეს კარგად ესმოდა აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ დროებითი და ფორმალური ხასიათი. იგი გამიზნული იყო „მენშევიკური ხელისუფლების ნაციონალისტური პოლიტიკით“ განაწყენებული აფხაზი მოსახლეობის დასაშოშმინებლად, თუმცა არაერთ იწუხებდა თავს დაეზუსტებინა, აფხაზი ხალხი (ხალხი და არა ექსტრემისტთა ჯგუფი) მართლაც განაწყენებული იყო თუ არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკით. იბადება კითხვა: ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი არ იყო საკმარისი აფხაზეთისათვის? ავტონომია აფსაზეთს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროსაც ჰქონდა მინიჭებული. აფხაზეთის გარკვეულ პოლიტიკურ წრეებს კი მიაჩნდათ, რომ 1918—1920 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს არსებობისათვის სერიოზული პრობლემების შექმნის საფასურად, აფხაზეთის ერთი საფეხურით უფრო მაღალი სასელმწიფოებრივი სტატუსი მაინც უნდა მიეღო საქართველოს დამპყრობელი ძალისაგან, იმ ძალისაგან, რომლის დაკვეთაც წლების მანძილზე პირნათლად სრულდებოდა აფხაზეთში.

ასეც მოხდა. მივყვეთ მოვლენებს. აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ აფხაზეთის ხელმძღვანელ მუშაკთა 1921 წლის მარტის თათბირების გადაწყვეტილებების თაობაზე ე. ეშბამ აფხაზეთის რევკომის სახელით 1921 წლის 27 მარტს პირდაპირი მავთულით აცნობა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს მდივანს ს. ორჯონიკიძეს, რომელმაც მოიწონა აფხაზეთის გამოცხადება დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, მაგრამ აფხაზ კოლეგებს ურჩია დროებით, მოსკოვში საკითხის გარკვევამდე, თავი შეეკავებინათ გადაწყვეტილების იმ პუნქტის დეკლარირებისაგან, რომელიც რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთის უშუალო შესვლას გულისხმობდა. ე. ეშბა და ს. ორჯონიკიძე შეთანხმდნენ, რომ საკითხის წინასწარი განხილვის მიზნით, ქ. ბათუმში შეკრებილიყვნენ[21].

და აი, 1921 წლის 28—29 მარტს ქ. ბათუმში ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით შედგა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს, საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის

---

[21] იხ. ბ. ს ა ღ ა რ ი ა ს დასხ. ნაშრ., გვ. 42.

რევკომის წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი „აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის სტრუქტურის შესახებ“. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ შ. ელიავა, ს. ქავთარაძე, მ. ტოროშელიძე, ე. ეშბა, ნ. ლაკობა. თათბირმა დაადგინა:

„До съезда Советов Абхазии вопрос о федерации Советской Абхазии с РСФСР и ССРГ остается открытым, и Абхазия объявляется Социалистической Советской Республикой.

Партийная организация до конференции носит название Оргбюро РКП(б) в Абхазии и работает по директивам Кавбюро ЦК РКП(б).

Декреты Ревкома Грузии должны служить для ревкома материалом, чтобы не было противоречий в действиях обоих ревкомов»[22].

ამ თათბირის დადგენილების საფუძველზე აფხაზეთის რევკომმა 1921 წლის 31 მარტს რადიოგრამა გაუგზავნა ვ. ი. ლენინს, ი. ბ. სტალინს, გ. ვ. ჩიჩერინს, კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების რევოლუციურ კომიტეტთა თავმჯდომარეებს, რომლებსაც აუწყებდა: „მშრომელთა ნებით იშვა ახალი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — აფხაზეთი. აფხაზეთის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების პირველი ყრილობა საბოლოოდ გადაწყვეტს ხალხის ბედს“[23].

აფაზეთის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, იმ დროს მიღებულ თითქმის ყველა დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ეს დამოუკიდებლობა ცხადდებოდა დროებით. აფხაზეთის საბჭოების პირველი ყრილობის მოწვევამდე.

აფხაზეთის რესპუბლიკის შექმნა მოიწონა რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმაც[24] და საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმაც, რომელმაც 1921 წლის 14 მაისს განიხილა საკითხი აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ და დაადგინა: „...დადასტურებულ იქნას საქართველოს და აფხაზეთის წარმომადგენელთა ბათუმის თათბირის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ აფხაზეთი რჩება დამოუკიდებელ რეს-

---

[22] Укрепление Советской власти в Абхазии. Сборник документов и материалов (1921—1925 гг.), სოხუმი, 1957, გვ. 27.

[23] იქვე. გვ. 25.

[24] იხ.: ბ. სადარიას დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

პუბლიკად მანამ, სანამ, მოწვეულ იქნება აფხაზეთის საბჭოების ყრილობა, რომელზეც საბოლოოდ უნდა გადაწყდეს საკითხი აფხაზეთის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ"[25].

ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ, აფხაზეთის დამოუკიდებლობა იცნო საქართველოს სსრ რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელმაც ამის შესახებ 1921 წლის 21 მაისს სპეციალური დეკლარაცია გამოაქვეყნა. მასში ნათქვამია: „საკითხი საქართველოს სს რესპუბლიკასა და აფხაზეთის სს რესპუბლიკას შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ საბოლოოდ გადაწყდება, როგორც აფხაზეთის, ისე საქართველოს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების პირველ ყრილობაზე"[26].

აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ საქართველოს სსრ რევკომის დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ, 1921 წლის 28 მაისს, აფხაზეთის მშრომელთა პირველმა ყრილობამ განიხილა საკითხი საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ და აღნიშნა, რომ „ნაციონალური შუღლის აღმოსაფხვრელად და საქართველოსა და აფხაზეთის ძმური კავშირის განსამტკიცებლად — საბჭოთა აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება აღიარებული იქნას სწორად. ყრილობა გამოთქვამს რწმენას, რომ საქართველოსა და აფხაზეთის მუშათა და გლეხთა სრულუფლებიანი საბჭოების პირველი ყრილობა თვით განსაზღვრავს საქართველოსა და აფხაზეთის ძმური თანამშრომლობის საბოლოო ფორმას"[27].

ეროვნულ საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ აფხაზეთის მშრომელთა ყრილობა მიესალმება უმჯიდროესი კავშირისა და ძმური ურთიერთობის დამყარებას ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელებთან, ხოლო „პირველ რიგში, კულტურით, ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობითა და ყოფაცხოვრებით ყველაზე ახლო მდგომ საბჭოთა საქართველოს მუშებთან და გლეხებთან"[28].

ამის შემდეგ მთელი ათი წლის მანძილზე აფხაზეთი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად იწოდებოდა. თითქოს უცნაურ ფაქტთან

---

[25] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 11, ფურც. 22.

[26] Борьба за упрочение Советской власти в Грузии (1921—1925 гг). Сб. док. и мат., თბილისი, 1959, გვ. 58—59.

[27] Укрепление Советской власти в Абхазии. Сб. док. и мат. (1921—1925 гг.), გვ. 48.

[28] იქვე, გვ. 51.

გვაქვს საქმე — საქართველოში ორი თანაბარუფლებიანი (სახელწოდებით ასე იყო) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ჩამოყალიბდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო პოლიტიკური და სამართლებრივი ნონსენსი.

ამ „უცნაურობის" ახსნა გაგვიადვილდება, თუ გავიხსენებთ, რა პირობებში აარსებდნენ რესპუბლიკებს ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ.

რევოლუციას მომხრეები სჭირდებოდა და ლოზუნგებიც ისეთი უნდა ჰქონოდა, ფართო მასების მხარდაჭერას რომ უზრუნველყოფდა. რუსეთის იმპერიის არარუს მოსახლეობაში ერთ-ერთ ასეთ ლოზუნგად ერთა თვითგამორკვევის მოთხოვნა ითვლებოდა და ამიტომაც კომუნისტური პარტიის მიერ სიტყვით აღრიდანვე აღიარებულმა ამ ლოზუნგმა რევოლუციის პერიოდში წინა პლანზე წამოიწია. დამოუკიდებლობის იდეამ მოიცვა დიდი თუ მცირე ერები და ეროვნებები. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს იდეა ერთობ პოპულარული გახდა თვით რუსულ ოლქებშიც კი. 1918 წელს შეიქმნა დონის საბჭოთა მთავრობა, ყუბან-შავიზღვისპირეთის რესპუბლიკა და ა. შ. მოსკოველ მუშაკთა ჯგუფმა 14 გუბერნიის გაერთიანება მოიწადინა და 1918 წლის 20 მარტს ამ გაერთიანების სახკომსაბჭოც შეიქმნა. პეტროგრადში ფუნქციონირებდა ჩრდილოეთის ოლქის სახკომსაბჭო. მალე გაჩნდა მსგავსი გაერთიანება ურალის ოლქის სახალხო კომისართა საბჭოს სახით. მასში შედიოდა უფის, ვიატკის, ორენბურგისა და პერმის გუბერნიები. ასეთი ხელოვნური საოლქო „დამოუკიდებელი" წარმონაქმნები 1918 წლის დამლევამდე რუსეთის სხვა რეგიონებშიც არსებობდა[29].

ბუნებრივია, დამოუკიდებლობის იდეამ დიდი გასაქანი პოვა არარუს მოსახლეობაში, კერძოდ, კავკასიის ხალხებში. ქართველმა ერმა თვით გახახორციელა ეს იდეა — 1918 წლის მაისში დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა აღიდგინა. გაიშალა მუშაობა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისათვის გარკვეული ავტონომიური მმართველობის დასაწესებლად. ცნობილია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და ეროვნულ უმცირესობებს შორის ცალკეული შეხლა-შემოხლაც ხდებოდა ამ ნიადაგზე. აუ-

---

[29] იხ.: Федоров К. Г. ВЦИК в первые годы Советской власти (1917—1920 гг.). М., 1957, გვ. 88—89.

ცილებელი გახდა საკითხის ყოველმხრივ შესწავლა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებაც.

საქართველოს მთავრობის გართულებულ ურთიერთობას ზოგიერთ ეროვნულ უმცირესობასთან, მოხერხებულად იყენებდნენ ქართველი ბოლშევიკები, რომლებიც ყოველგვარ დახმარებას აღუთქვამდნენ ეროვნულ უმცირესობებს მთავრობასთან ბრძოლაში, გამარჯვების შემთხვევაში კი ავტონომიასაც ჰპირდებოდნენ. ხელისუფლებისათვის ბრძოლის პოლიტიკით იყო ეს გაპირობებული. ეროვნული უმცირესობები მენშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ არმიაში ეგულებოდათ ბოლშევიკებს და ამიტომაც გულუხვ დაპირებებსაც არ აკლებდნენ მათ, რაც ხელისუფლების სათავეში ქართველი ბოლშევიკების მოსვლისთანავე საქმედ იქცა. 1921 წლის მარტში, მაგალითად, აფხაზეთი, როგორც ვნახეთ, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა. მოსკოვის, პეტროგრადის, დონის, ყუბან-შავიზღვისპირეთისა და სხვა „დამოუკიდებელ" გაერთიანებათა მაგალითის დამოწმებით გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ „სამოსტიინური" ხასიათის „უცნაურობები" არცთუ ისე იშვიათი იყო თვით სუფთა რუსულ ოლქებშიც კი. რა გასაკვირია, რომ მას ადგილი ჰქონოდა აფხაზეთშიც.

არა, საუბარი იმაზე როდია. ერგებოდა თუ არა აფხაზეთს ავტონომია. ეს კამათს არ იწვევს. საუბარია იმაზე, რომ საბჭოთა სინამდვილეში იმ დროსაც ეროვნული სახელმწიფოებრიობის უმაღლესი ფორმა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა იყო. შემდეგ მოცილოდა სამი ტიპის აუტონომიური ერთეული: ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი და შრომითი კომუნა. რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე შეიქმნა ბაშკირეთის, თათრების, ყირგიზეთის, თურქესტანის, მთის, დაღესტნის, ყირიმის, იაკუტიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები და ჩუვაშეთის, მარის, ყალმუხეთის, ვოტის, კომის, ყაბარდო-ბალყარეთის, ბურიატ-მონღოლეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ოირატის (ალდაის), ადიღეს (ჩერქეზეთის) ავტონომიური ოლქები, აგრეთვე კარელიისა და ვოლგისპირეთის გერმანელთა შრომითი კომუნები. აქ ჩამოთვლილ ხალხთაგან ზოგიერთები მოსახლეობის რაოდენობითა და მათ მიერ დაკავებული ტერიტორიის მოცულობით ჯარბობდნენ აფხაზებს და აფხაზეთს (ზოგიერთი, აფხაზეთის მსგავსად, საზღვრისპირა, ზღვისპირა მდებარეობითაც გამოირჩეოდა), მაგრამ მაშინ ვერც ერთი მათგანი ვერ ჩამოყალიბდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლი-

კად. მხოლოდ აფხაზები და აფხაზეთი ჩათვალეს ასეთ სახელმწიფოებრივი სტატუსის ღირსად. საკითხი ნაჩქარევად გადაწყდა, არსებული რთული ურთიერთობის მოწესრიგება აფხაზეთისათვის შედარებით უფრო დაბალი ტიპის ავტონომიის მინიჭებითაც შეიძლებოდა, მაგრამ მაშინ საქართველო ხომ ნაკლებად „დასჯილი" იქნებოდა. საქართველოს „დასჯა" კი აუცილებელი იყო, რადგან მან გაბედა და 1918 წელს თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა აღიდგინა, ამასთან საქმეს ცუდი პირი არ უჩანდა. თავიდათავი ის იყო, რომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურო და ქართველ კომუნისტთა საგრძნობი ნაწილი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობაში მაშინ წინდახედულობას ვერ იჩენდნენ, მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ილუზორული იდეებით გატაცებულნი, უყურადღებოდ მოეკიდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიის მთლიანობის დაცვას. ამ საკითხზე სერიოზულ ყურადღებას და ზრუნვას დასაგმობ ნაციონალიზმად და კომუნისტისათვის შეუფერებელ საქციელად მიიჩნევდნენ. სუბიექტურად ქართველი ხალხის მტრობა კი არ ჰქონდათ გულში ჩადებული, მაგრამ ეგონათ, რომ რევოლუციის ინტერესებთან შედარებით ეს ისეთი მეორეხარისხოვანი საქმეა, რომლისთვისაც არ ღირდა არაქართულ რეგიონთა „რევოლუციური მასების" განაწყენება.

აი, ამ ფილოსოფიამ განაპირობა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა. მაგრამ საქმე ამით როდი დამთავრდა. გარკვეული ძალები (აფხაზი სეპარატისტები და მათი წამქეზებლები) არ კმაყოფილდებოდნენ აფხაზეთის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნით და ცდილობდნენ აფხაზეთი საერთოდ მოეწყვიტათ საქართველოსაგან. გული რუსეთისაკენ მიუწევდათ. იმპერიული ძალების საუკუნოვანი აგიტაცია თავისას შვებოდა. ეროვნულ სახელმწიფოებრივ მშენებლობაში იმ დროს არსებული განუკითხაობა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას კიდევ უფრო დიდი საფრთხის წინაშე აყენებდა. ამ საფრთხეს, ბუნებრივია, ქართველი ბოლშევიკებიც გრძნობდნენ. აფხაზეთის დაკარგვა საბედისწერო გახდებოდა მათთვის. ამიტომ ცდილობდნენ მიეღწიათ ისეთი შეთანხმებისათვის, რომ აფხაზეთი როგორმე საქართველოს ფარგლებში დარჩენილიყო. უნდა გაეთვალისწინებინათ ისიც, რომ შექმნილ ვითარებაში დრო ცელქი ბავშვივით მოქმედ აფხაზ ლიდერთა სასარ-

გებლოდ მუშაობდა. თუ ღვთის შეწევნით ისინი წყალობას მოიღებდნენ და რუსეთისაგან პირს იბრუნებდნენ (აქ მთავარი, ცხადია, რუსეთის პოზიცია იქნებოდა), მაშინ საქართველო-აფხაზეთის სახელმწიფოებრივი კავშირის ფორმაც გამოსაძებნი იქნებოდა. აფხაზეთი ხომ უკვე დამოუკიდებელ რესპუბლიკად იყო გამოცხადებული და ოფიციალურად ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს ვინღა აკადრებდა. სხვა რა გზა უნდა გამოენახათ? ფედერაცია? კონფედერაცია? საბოლოოდ შეჩერდნენ სასელშეკრულებო რესპუბლიკაზე.

თუმცა რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, თვით რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ 1921 წლის 5 ივლისს მიიღო დადგენილება, რომლითაც მოუწოდა პარტიულ ორგანიზაციებს გაეწიათ მუშაობა იმ მიმართულებით, რომ აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის ფორმით შესულიყო საქართველოს შემადგენლობაში[30].

1921 წლის 23 ივლისს კი სოსუმში გაიმართა რკპ(ბ) აფხაზეთის ორგბიუროს, აფხაზეთის რევკომის წევრებისა და სხვა პასუხისმგებელი მუშაკების თათბირი (ესწრებოდა რკპ(ბ) ცკ-ის კავბიუროს წევრი ა. ნაზარეტიანი). რომელმაც მოისმინა ნ. ლაკობას მოხსენება „საბჭოთა აპარატის გარდაქმნისა და ფედერალიზმის" შესახებ. აფხაზეთის „ეთნოგრაფიული, ისტორიული და ყოფაცხოვრებითი პირობების გამო", ნ. ლაკობა აუცილებლად მიიჩნევდა საქართველოსა და აფსაზეთის ფედერირებას. თათბირზე აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ რევკომმა აფხაზ ხალხს „მაქსიმალური ავტონომიური უფლებების გარანტია" მისცა, ამასთან თათბირმა პრაქტიკულად განუხორციელებლად მიიჩნია აფხაზეთის სრული დამოუკიდებლობა და გამოთქვა რწმენა, რომ აფხაზეთის მშრომელების ყრილობა ახლო მომავალში დაადასტურებდა აფხაზეთისა და საქართველოს ფედერაციული კავშირის აუცილებლობას[31]. ამავე საკითხებზე იყო მსჯელობა რკპ(ბ) აფხაზეთის ორგბიუროს, აფხაზეთის რევკომის წევრებისა და სხვა პასუხისმგებელ მუშაკთა 1921 წლის 15 ოქტომბრის თათბირზე, რომელმაც მოიწონა აფხაზეთის დამოუკიდებლობა და ამავე დროს აღნიშნა აფხაზეთის მოსახლეობის მცირერიცხოვნობა (პირველ რიგში გულისხმობდნენ თვით აფხაზ მოსახლეობას), მისი ისტორიული და ზნე-

---

[30] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 64, აღწ. 2, საქ. 105, ფურც. 58.

[31] იხ.: ტ. გამახარიას დასახ. ნაშრ., გვ. 123—124.

ჩვეულებითი კავშირი ქართველ ხალხთან. თათბირმა საჭიროდ მიიჩნია საქართველოსა და აფხაზეთს შორის ბტკიცე კავშირის სასწრაფოდ დამყარება ხელშეკრულების დადების გზით. ამ მიზნით თათბირმა თბილისს მიაელინა ე. ეშბა და ს. კუხალეიშვილი. 1921 წლის 21 ოქტომბერს ე. ეშბამ სპეციალური წერილი გაუგზავნა რკპ(ბ) ცკ-ის კავბიუროს, რომელსაც საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობის საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტას სთხოვდა[32].

საქართველოსა და აფხაზეთის რესპუბლიკებს შორის სპეციალური ხელშეკრულების დადების საკითხი, ზოგიერთი აფხაზი მოღვაწის წინააღმდეგობის მიუხედავად, საბოლოოდ გადაწყვიტა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ, რომელმაც 1921 წლის 1 ნოემბერს ორჯონიკიძის, კიროვის, მიასნიკოვის, ნაზარეტიანის, ფიგატნერის, მრაველიანისა და ეშბას მონაწილეობით იმსჯელა საქართველო-აფხაზეთის ურთიერთდამოკიდებულებაზე და დაადგინა:

„1. Считать необходимым приступить к выработке проекта договора о взаимоотношениях между Грузией и Абхазией. 2. Для разработки проекта договора выбрать комиссию в составе т. т. Эшба, Элиава, Леграна под председательством тов. Леграна. 3. Разработанный проект договора представить на утверждение Президиума Кавбюро ЦК РКП. 4. Работа комиссии должна быть закончена к 10 ноября»[33]

როგორც ვიცით, იყო აგრეთვე აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის საქართველოსათვის კიდევ უფრო მიუღებელი ვარიანტიც. 1921 წლის 16 ნოემბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურო, რომლის

---

[32] იქვე. კავბიურო აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობით დაინტერესდა. რკპ(ბ) აფხაზეთის ორგბიურომ 1914 წლის მონაცემები მიაწოდა მას. ამ მონაცემებით აფხაზეთის მთელი მოსახლეობა 181382 კაცს შეადგენდა. მათ შორის იყვნენ:

1 ქართველური ტომები — 70114, ანუ მთელი მოსახლეობის 38,5%.

2 მთიელები და აფხაზები — 45705, ანუ 25%.

3 სხვადასხვა აზიური ხალხები — 20196, ანუ 11,1%.

4 რუსები — 18097, ანუ 9,9%.

5 სხვა ევროპული ხალხები — 13784, ანუ 7,6%.

6 სომხები — 13038, ანუ 7,5%,

7 ებრაელები — 448, ანუ 0,3%. (იხ.: ᲧᲐ. გამახარიას დასახ ნაშრ. გვ. 124).

[33] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 64, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 85; იქვე. აღწ. 2, საქ. 7, ფურც. 27.

სხდომას ესწრებოდნენ, ფიგატნერი, ნაზარეტიანი, ელიავა. მდივანი, მარკოვი, მირონოვი, ეგოროვი, ეშბა და სხვები, იძულებული გახდა მიელო ასეთი გადაწყვეტილება:

„1.Считать экономически и политически нецелесообразным существование независимой Абхазии. 2. Предложить тов. Эшба представить свое окончательное заключение о вхождении Абхазии в состав федерации Грузии на договорных началах или на началах автономной области в РСФСР"[34].

ქართველ ხალხს ასლაც არაფერს ეკითხებოდნენ. რაც შეეხება „საქართველოს ფედერაციაში" აფხაზეთის დარჩენას, ეს, საფიქრებელია, საბოლოოდ იმან გადაწყვიტა, რომ თუ აფხაზეთი რუსეთის სფს რესპუბლიკაში შესვლას დაიჟინებდა, მას, როგორც ვნახეთ, მხოლოდ ავტონომიური ოლქის უფლებებს ანიჭებდნენ. ეს კი ორი საფეხურით დაბალი იყო იმ სტატუსთან შედარებით, რასაც აფხაზეთს „საქართველოს ფედერაციაში" სთავაზობდნენ. გაუგებარია, რა პრინციპით ეძლეოდა აფხაზეთს ერთ ფედერაციაში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ან სახელშეკრულებო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსი, ხოლო მეორეში — მხოლოდ ავტონომიური ოლქისა. თუ კრიტიკულად მივუდგებით კავბიუროს ზემოაღნიშნულ დადგენილებას, დავინახავთ მასში საქართველოს თავისებურ დისკრიმინაციას, თუმცა აშკარაა საქართველოსათვის ამ დადგენილების დადებითი შედეგებიც. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ დადგენილების მიღებამდე ორი დღით ადრე, კერძოდ, 1921 წლის 14 ნოემბერს, ე. ეშბამ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს მიმართა წერილით, რომელშიც აყენებდა წინადადებას, რომ აფხაზეთი საქართველოს გვერდის ავლით, უშუალოდ შესულიყო ამიერკავკასიის ფედერაციაში[35] (იმ დროს უკვე ოფიციალურად იდგა საკითხი ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ).

კავბიუროს ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე, 1921 წლის 16 დეკემბერს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის დაიდო სამხედრო, პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური ხელშეკრულება (კავშირი), რომლის მიხედვით გაერთიანდნენ ამ ორი რეს-

---

[34] იქვე, ფურც. 89; იქვე, აღწ. 2, საქ. 7, ფურც. 35.

[35] იხ. ჯ. გამახარია. დასახ. ნაშრ., გვ. 125.

პუბლიკის ბევრი სახალხო კომისარიატი და უწყება: სამხედრო, საფინანსო, სახალხო მეურნეობის, ფოსტა-ტელეგრაფის, იუსტიციის, საზღვაო ტრანსპორტის, საგანგებო კომისია, მუშათა და გლეხთა ინსპექცია (მუშგლეხინი). ხელშეკრულებაში საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ საგარეო საკითხები მთლიანად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამგებლობაში რჩებოდა. რკინიგზები გადადიოდა ამიერკავკასიის რკინიგზების სამმართველოს უშუალო გამგებლობაში, საგარეო ვაჭრობა — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობის გაერთიანებულ სამმართველოს გამგებლობაში. ხელშეკრულებაში ასევე საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ ყველა სამსარეო გაერთიანებაში, კერძოდ, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციაში აფხაზეთი შედის საქართველოს მეშვეობით. საქართველო აფხაზეთს აძლევდა თავისი ადგილების ერთ მესამედს. ხელშეკრულებას საქართველოს მხრიდან ხელს აწერდა ს. ქავთარაძე, აფხაზეთის მხრიდან — ნ. აკირტავა და ს. კარტოზია[36].

ამის შემდეგ აფხაზეთს დაუმკვიდრდა სახელშეკრულებო რესპუბლიკის სახელწოდება. იგი 16 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე შედიოდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში. ეს დაადასტურეს ამ რესპუბლიკათა საბჭოების ყრილობებმა. საქართველოს სსრ პირველ კონსტიტუციაში, რომელიც საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ მიიღო 1922 წლის 2 მარტს, ნათქვამია: „საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში თავისუფალ თვითგამორკვევის საფუძველზე შედიან: აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი[37] და აფსაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა; უკანასკნელი უკავშირდება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას — ამ რესპუბლიკათა შორის დადებულ, განსაკუთრებულ საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე"[38].

აფსაზეთის სახელშეკრულებო რესპუბლიკას საკავშირო, ცენტრალური ხელისუფლება ფაქტობრივად ავტონომიური რესპუბლიკების

---

[36] Борьба за упрочение Советской власти в Грузии. თბილისი, 1959, გვ. 80.

[37] კონსტიტუციის მიღების დროს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა ჯერ კიდევ არ იყო ოფიციალურად გამოცხადებული.

[38] საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია, თბ., 1922, გვ. 3.

მწკრივში განიხილავდა და ეს აისახა სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაში, სადაც აფხაზეთი ავტონომიურ რესპუბლიკად არის მოხსენიებული:

„აჭარისა და აფსაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები, — აღნიშნულია სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაში, — და სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღისა და ნახიჩევანის ავტონომიური ოლქები ეროვნებათა საბჭოში გზავნიან თითო წარმომადგენელს“[39].

აფხაზეთი ფაქტობრივად ავტონომიურ რესპუბლიკად არის ნაგულისხმევი ზოგიერთ იმდროინდელ პარტიულ დოკუმენტშიც. 1922 წლის 27 თებერვალს, მაგალითად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი: «О числе мест в ЦИК, представляемом Центру, автономным республикам, Армии...“ და დაადგინა: „Предоставить: Центру 35, автономным республикам Абхазии, Аджаристана и Южной Осетии по 3 места“[40].

როგორც ვხედავთ, აქ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ავტონომიურ რესპუბლიკებად არიან დასახელებული. და აქ ოქმის შემდგენლის დაუდევრობასთან კი არ უნდა გვქონდეს საქმე მხოლოდ, არამედ საერთო ტენდენციასთან — აფხაზეთს, აჭარასა და სამხრეთ ოსეთს ამ შემთხვევაში ერთი ტიპის ავტონომიურ (!!) ერთეულებად განიხილავენ.

აფხაზეთს დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკად არ მიიჩნევდა რკპ(ბ) კავკასიის ბიურო არც საქართველო-აფხაზეთის 1921 წლის 15 დეკემბრის ხელშეკრულებამდე, არც მის შემდეგ. კავბიუროს 1921 წლის 2—3 ივლისის პლენუმმა აუცილებლად მიიჩნია „ამიერკავკასიის რესპუბლიკების (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) დამოუკიდებლობის გატარება“. პლენუმმა ამ რესპუბლიკების გვერდით აფხაზეთი არ დაასახელა[41].

კავბიუროს ინიციატივით, 1921 წლის აგვისტოში შეიქმნა კავკასიის ეკონომიკური ყრილობა. შემდეგ — ამიერკავკასიის ეკონომიკური

---

[39] История Советской Конституции (1917—1956 гг.), მ., 1957, გვ. 463.

[40] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი). ფ. 14, აღწ. 1, საქ. 137, ფურც. 280.

[41] იქვე, საქ. 37. ფურც. 80.

ბიურო, რომელთა შემადგენლობაში შედიოდნენ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს წარმომაღგენლები. აფხაზეთის, როგორც ცალკე ერთეულის წარმომადგენელს, იქ ადგილი არ ჰქონია.

საბჭოთა რუსეთს თავისი წარმომადგენლები ჰყავდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში, ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან — საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ამავე რესპუბლიკებს თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდათ რუსეთში. რუსეთსა და აფხაზებს შორის წარმომადგენლების გაცვლა არ მომხდარა. რუსეთს არც ხელშეკრულება გაუფორმებია აფხაზეთთან. მან მხოლოდ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სუვერენიტეტი ცნო. აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისაგან განსხვავებით, არასოდეს არ ყოფილა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. და ეს იმიტომ, რომ აფხაზეთი არ წარმოადგენდა რეალურად არსებულ დამოუკიდებელ (თუნდაც საბჭოური გაგებით) რესპუბლიკას. მისი „დამოუკიდებლობა" თავიდანვე დროებით და ფორმალურ ხასიათს ატარებდა. და ამას, როგორც ვნახეთ, არ ფარავდნენ აფხაზეთის დამოუკიდებლობის შემოქმედი ბოლშევიკი ლიდერები.

„როცა აფხაზეთმა დამოუკიდებლობა მოითხოვა, — აღნიშნავდა გ. კ. ორჯონიკიძე, — ჩვენ აფხაზეთის კომუნისტებს მივუთითებდით, რომ ასეთ პატარა სახელმწიფოს დამოუკიდებლობა შეუძლებელია, მაგრამ დაეთანხმდით ამაზე. ჩვენ ვამბობდით: თუ აფხაზი ხალხისათვის მიყენებული ჭრილობები ჯერ კიდევ არ მოშუშებულა. დაე, აფხაზეთი დამოუკიდებელი იყოს. დაე, მოიშუშოს მენშევიკებისაგან მიყენებული ჭრილობები, მაგრამ შემდგომში აფხაზები თვითონ დარწმუნდებიან საბჭოთა მეზობელთან — საქართველოსთან მჭიდრო გაერთიანების აუცილებლობაში"[42].

აფხაზეთის დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად („დამოუკიდებელ აფხაზეთად") გამოცხადებას თავიდანვე დროებით მოვლენად მიიჩნევდა აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მეთაური ნესტორ ლაკობა. 1922 წლის იანვარში აფხაზეთის პირველ საოლქო პარტიულ კონფერენციაზე იგი აღნიშნავდა:

---

[42] გ. კ. ორჯონიკიძე, ამიერკავკასიის შესახებ, თბ., 1986, გვ. 164.

«Когда мы, ответственные работники Абхазии, сказали нашим старшим товарищам по партии, что для того, чтобы среди мелких народностей, как например, абхазской, сохранить идею Советской власти — это очень важно, нужно на минуту (подчеркнуто нами — Л. Т.) объявить Абхазию независимой республикой, — нам ответили: «Объявляйте себя независимой республикой, лишь бы это помогло укреплению советской идеи, укреплению советского строя в этой крошечной Абхазии». А советская Абхазия, просуществовав как независимая республика, говорит: исторические и экономические условия требуют того, чтобы Абхазия и Грузия составляли одно целое...» [43]

1922 წლის მაისში იგივე ნესტორ ლაკობა ამბობდა: „Мы суверенное государство, правда, советское государство, но не независимое. В этом отношении нам надо было не забываться, мы должны были сказать, что эти политические формы, объявление независимости и т. д. — чепуха. Этим соблазняться не надо было. Нам нужна была вывеска, но преклоняться перед вывеской (подчеркнуто нами — Л. Т.)) не надо было“[44].

აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ დროებით ხასიათზე ლაპარაკობდა თვით ეფრემ ეშბა: „После того, как советские войска вошли в Сухуми, на заседании ответственных работнков как местных, так и российских, и работников Грузии, мы единодушно остановились на том, что для изживания национальной розни необходимо, хотя бы временно до съезда Советов (подчеркнуто нами — Л. Т.) объявить независимость Абхазии. Против этого не протестовал никто, хотя это было и несколько неожиданным. Даже мы, которые двигались оттуда, с севера, думали, что Абхазия будет существовать как составная часть Советской Грузии, но когда мы сюда приехали и разобрались, в какую атмосферу мы попали, мы вынуждены были такую форму независимости Абхазии принять. Против этого не протестовал никто, не протестовали и

---

[43] Н. А. Лакоба. Статьи и речи. სოხუმი, 1987, გვ. 24.

[44] პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის არქივი, ფ. 1, აღწ. 1, საქ. 56, ფურც. 38.

наши высшие партийные органы, как Грузии, так и России"[45].

მაშ ასე, თვით აფხაზ მოღვაწეთა აღიარებით, აფხაზეთის დამოუკიდებლობა გამოცხადებულ იქნა „დროებით", „ერთი წუთით", „აბრისათვის" და ა. შ., მაგრამ აფხაზეთი რეალურად არც „ერთი წუთით", არც „დროებით" არ ყოფილა დამოუკიდებელი. აფხაზეთი იმ 10 წლის მანძილზეც (1921—1931 წწ.) სავსებით დამოკიდებული იყო საქართველოზე, რომელიც თავისთავად ოკუპირებული იყო საბჭოთა რუსეთის მიერ და, ცხადია, დამოკიდებული იყო მასზე, შემდეგ — სსრ კავშირზე. აფხაზეთის ბიუჯეტი საქართველოს ბიუჯეტის ნაწილს წარმოადგენდა. აფხაზეთის მთავრობა, პარტიული ორგანოები ანგარიშვალდებულები იყვნენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე. აფხაზეთი არა ცალკე, არამედ მხოლოდ საქართველოს მეშვეობით შედიოდა ამიერკავკასიის ფედერაციასა და სსრ კავშირის შემადგენლობაში. როგორც საქართველოს, ისე საკავშირო ორგანოები აფხაზეთს მუდამ განიხილავდნენ როგორც ავტონომიურ რესპუბლიკას.

როგორი იყო ვ. ი. ლენინის დამოკიდებულება აფხაზეთის საკითხისადმი? ვ. ი. ლენინმა, რასაკვირველია იცოდა, რომ აფხაზეთი 1921 წლის მარტში საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა და, რომ იმავე წლის დეკემბრიდან იგი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე. ვ. ი. ლენინმა ისიც იცოდა, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა ფორმალურ სახითა ატარებდა, რომ საბჭოთა რუსეთმა აფხაზეთი საქართველოს განუყოფელ ნაწილად აღიარა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულებით. ვ. ი. ლენინს არასოდეს მოუხსენიებია აფხაზეთი საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ ცალკე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. 1921 წლის 14 აპრილს ვ. ი. ლენინმა სპეციალური წერილი გაგზავნა კავკასიის კომუნისტებს. წერილი განკუთვნილი იყო აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთის რესპუბლიკის ბოლშევიკებისა-

---

ციტ.: Б. Е. Сагария. Образование и укрепление советской национальной государственности в Абхазии (1921—1938). სოხუმი, 1981, გვ. 44.

ღმი. ამ რესპუბლიკების გვერდით ვ. ი. ლენინმა აფხაზეთი არ დაასახელა. 1921 წლის 28 ნოემბერს ვ. ი. ლენინმა დაწერა პროექტი ამიერკავკასიის რესპუბლიკების — აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის — ფედერაციის შესახებ. ვ. ი. ლენინმა არც ამ დოკუმენტში მოიხსენია აფხაზეთი როგორც დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ვითომ გამორჩა? არა, რასაკვირველია, ვ. ი. ლენინი ასახელებს რეალურად არსებულ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს, აფხაზეთი კი ასეთი არასოდეს ყოფილა[46].

ამრიგად, 1921 წლის მარტში აფხაზეთი დროებით და ფორმალურად გამოცხადდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. ქართველმა საზოგადოებრიობამ ეს აქტი საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის ხელყოფად აღიქვა. ფაქტობრივად აფხაზეთი მთელი 10 წლის მანძილზე (1921—1931) საქართველოში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით სარგებლობდა[47]. აფხაზეთი ყველა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეგიონალურ თუ საკავშირო გაერთიანებაში მხოლოდ საქართველოს მეშვეობით შედიოდა. აფხაზეთს საქართველოში შემავალ ავტონომიურ ერთეულად მიიჩნევდნენ რუსეთისა და სსრ კავშირის პარტიული, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები. აფხაზეთი ავტონომიურ რესპუბლიკად არის მოხსენიებული სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაში. აფხაზეთი როგორც დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ვ. ი. ლენინის არც ერთ დოკუმენტში არ არის დასახელებული.

———————

[46] ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. ჯ. გამახარიას დასახ. ნაშრომი, გვ. 115—130.

[47] 1931 წელს აფხაზეთის სახელმეკრულებო რესპუბლიკა ოფიციალურად გარდაიქმნა საქართველოში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკად. ეს იყო არა ი. ბ. სტალინისა და ლ. პ. ბერიას მიერ აფხაზეთის საკითხის ლენინური გადაწყვეტის წინააღმდეგ გალაშქრება, როგორც ამას ზოგიერთი თანამედროვე აფხაზი ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე აცხადებს, არამედ ვ. ი. ლენინის სიცოცხლეში ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინის, სხვა ბოლშევიკ-ხელმძღვანელთა მიერ აფხაზეთის საკითხის არასწორად გადაწყვეტისათვის თავის დროზე აქ დაშვებული დიდი შეცდომის მოგვიანებით გამოსწორება. 1931 წლის აქტით აფხაზეთის რეალური სტატუსი არ დადგენილა, მან ის სახელწოდება მიიღო ოფიციალურად, რასაც აფხაზეთი რეალურად წარმოადგენდა. ამასთან ამ აქტს რაიმე სერიოზული გართულება არ მოჰყოლია მაშინ. აფხაზეთის დამოუკიდებლობა ხომ დროებით იყო გამოცხადებული. განვლილი 10 წელი (1921—1931) საკმარისად იქნა მიჩნეული მტრული ძალების მიერ ხელოვნურად გამწვავებული ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოწესრიგებისათვის.

აჭარის ავტონომიაც განსაკუთრებულ ვითარებაში შეიქმნა. მას საფუძველად ეროვნული ნიშანი არ დასდებია. საბჭოთა სინამდვილეში ეს იყო უნიკალური შემთხვევა, როცა მთელ ერს და მის შემადგენელ ნაწილს ერთ რესპუბლიკაში ცალ-ცალკე რესპუბლიკები შეუქმნეს. აჭარის ავტონომიის ჩამოყალიბება რელიგიური და საგარეოპოლიტიკური ფაქტორებით იყო გაპირობებული. საქმე ისაა, რომ აჭარა — საქართველოს განუყოფელი ნაწილი და ქართული ეთნოსის ერთ-ერთი უძველესი კერა — ისტორიული ბედუკუღმართობის შედეგად თურქეთის სამსაუკუნოვან მფლობელობაში მოექცა და მხოლოდ რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომში რუსეთის გამარჯვების შედეგად დაუბრუნდა სამშობლოს (ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს რუსეთის ამ ამაგს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ რუსეთი მაშინ საკუთარი იმპერიის გაფართოებისათვის ზრუნავდა და არა საქართველოსათვის). თურქეთის ბატონობამ, ცხადია, გარკვეული დაღი დაასვა აჭარელთა ყოფასა და კულტურას. მუსლიმური რელიგიის მიღების შემდეგ აჭარა თურქეთისა და, საერთოდ, მუსლიმური აღმოსავლეთის იდეოლოგიურ ზემოქმედებას განიცდიდა. მიუხედავად ამისა, აჭარის ადგილობრივმა ქართულმა მოსახლეობამ შეინარჩუნა ქართული ეროვნული თვითშეგნება, ქართული ენა, ცხოვრების ქართული წესი, ტრადიციები. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აჭარამ საბოლოოდ დაალწია თავი თურქეთის გავლენას. აქ კი მთავარი რელიგიური ფაქტორია. აჭარელთა ეროვნული თვითშეგნება ქართულია. ეს იმითაცაა გაპირობებული, რომ აჭარა ისტორიულად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართველ ტომთა კონსოლიდაციასა თუ ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება-განმტკიცებაში.

აჭარაში თურქეთისა და რუსეთის მონაცვლეობითმა ბატონობამ, მათმა ანტიქართულმა საქმიანობამ, გარკვეული ნიადაგი მოუმზადა ავტონომიის იდეას აჭარელთა ცალკეულ ფენებში. ავტონომიის იდეა აჭარაში პირველი მსოფლიო ომის დროს მომწიფდა. მას ეროვნულ თუ რელიგიურ ფაქტორებს უდებდნენ საფუძვლად. თურქეთმა 1918 წელსაც სცადა აჭარის ხელმეორედ მიტაცება. მან აქ შექმნა თურქოფილური ორგანიზაცია, რომელიც აჭარის კვლავ თურქეთის მფლობელობაში გადასვლას მოითხოვდა. თურქოფილურ ძალებს დაუპირისპირდა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი, რომელმაც საქართველოს ფარგლებში ავტონომიის ჩამოყალიბების საკითხი დააყენა.

აჭარის ავტონომიის იდეა შეიძლებოდა ჩასახულიყო და ჩაისახა კიდეც ქართველი ხალხის, პირველ რიგში, აჭარის მკვიდრი მოსახლეობის არაკეთილმოსურნეთა თეორიულ სამზარეულოში. ამიტომაც მან გასავალი ნახა აღგილობრივი ფეოდალურ-სასულიერო ფენების მხოლოდ ელიტურ ნაწილში, ფართო მასებს, მშრომელ მოსახლეობას და პატრიოტულად განწყობილ ინტელიგენციას ავტონომიის იდეა არც გაუთავისებია და, სამწუხაროდ, არც გადაჭრით უარუყვია, რაც იმ დროის ეროვნული ცნობიერების უმწიფრობაზე მიგვანიშნებს[48]. მიუსედავად ამისა, საქართველოში 1917—1918 წლებში მოქმედი პოლიტიკური პარტიები ანგარიშს უწევდნენ პოლიტიკურ რეალობებს და აღიარებდნენ აჭარის ავტონომიის აუცილებლობას. ქართველი ხალხისადმი საქართველოს ეროვნული საბჭოს 1917 წლის 6 დეკემბრის მიმართვაში (ეროვნულ საბჭოში კი გაერთიანებული იყო ყველა პოლიტიკური პარტია ბოლშევიკების გარდა) ნათქვამია: „ეროვნულმა ყრილობამ დაავალა ეროვნულ საბჭოს მოითხოვოს და განახორციელოს სრული ეროვნულ-თეორიული საკანონმდებლო თვითმმართველობა სამაჰმადიანო საქართველოს ფართო თვითმმართველობის აღიარებით"[49].

აჭარის ავტონომიის საკითხი რეალურად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს დადგა. ამ ლოზუნგს თავგამოდებით იცავდნენ რუსეთიდან გამოქცეული და აჭარაში თავშეფარებული რუსი ჩინოვნიკები, რომელნიც „რუსული ეროვნული საბჭოს" (ხელმძღვანელი კადეტი მასლოვი) გარშემო იყვნენ დარაზმული. „რუსული ეროვნული საბჭო" მაჰმადიან ქართველობას ავტონომიურ მმართველობას ჰპირდებოდა „საერთო რუსეთის" შემადგენლობაში. „რუსული ეროვნული საბჭოს" მესვეურთა აზრით, დენიკინის რუსეთში აჭარის ავტონომიის საფუძველი რელიგიური და ეთნიკური სხვაობა უნდა ყოფილიყო. აჭარის ავტონომიის იდეის ერთგული დამცველი იყო თურქეთის მთავრობა და მისი მომხრეები, რომელნიც „მუსლიმანთა საბჭოში" მოღვაწეობდნენ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამხობისათვის ბრძოლაში აჭარის ავტონომიის ლოზუნგს ჩაებღაუჭნენ ქართველი და არაქართველი ბოლშევიკები.

---

[48] იხ. დ. ხახუტაიშვილი. რა მისცა ავტონომიამ აჭარას? — გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1991 წლის 12 ივლისი.

[49] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1823, აღწ. 3, საქ. 1, ფურც. 1.

აჭარის ავტონომიის მომხრეებს ერთი მიზანი ამოძრავებდათ — საქართველოს დასუსტება-დანაწევრება. აჭარელთა ინტერესების დაცვა, რისთვისაც ეს ძალები ვითომ იბრძოდნენ, წმინდა წყლის დემაგოგია იყო. აჭარის ავტონომიის ლოზუნგს სხვადასხვა პოლიტიკური ძალები აყენებდნენ მაშინ, როცა ბათუმის ოლქი ინგლისელებს ეკავათ. თუ ინგლისელების წასვლის შემდეგ აჭარას თურქეთი მიისაკუთრებდა, მაშინ გარკვეული პოლიტიკური ძალები მოითხოვდნენ აჭარის ავტონომიას თურქეთის შემადგენლობაში. მოტივი: ეთნიკური განსხვავებულობა. ხოლო თუ აჭარა საქართველოს დარჩებოდა, მაშინ საქართველოს შემადგენლობაში აჭარის ავტონომიის საფუძველი რელიგიური განსხვავებულობა უნდა გამხდარიყო. ასეთ ვითარებაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას დროულად უნდა გამოეკვეთა თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, მიეღო დროის შესაფერისი გადაწყვეტილება, რაც გააადვილებდა საქართველოს შემადგენლობაში აჭარის დარჩენისათვის ბრძოლას. იმ დროს კი აჭარის ავტონომიის აღიარება აუცილებელი ჩანდა[50]. ამიტომ 1919 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა (დამფუძნებელმა კრებამ) მიიღო რეზოლუცია, რომლითაც სამაჰმადიანო საქართველოს, კერძოდ, აჭარას ავტონომიას პირდებოდა (ცხადია, მას შემდეგ, რაც ის საქართველოს დაუბრუნდებოდა). აჭარის ავტონომია საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ კონსტიტუციური წესითაც დაადასტურა 1921 წლის თებერვალში, მაგრამ რეალური განხორციელება ვერ მოესწრო.

აჭარის ავტონომია რეალობად იქცა საბჭოთა სინამდვილეში. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით, რომელმაც ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ აჭარის ტერიტორიაზე გამოაცხადა აჭარის მეჯლისი. დეკრეტში აღნიშნული იყო, რომ მეჯლისი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ რჩება აჭარის ასსრ საბჭოების პირველი ყრილობის მოწვევამდე. მეჯლისს, რომელიც მაშინ

---

50 დ. სასუტაიშვილის დასახ. სტატია.

აჭარის რევოლუციური კომიტეტის უფლებებით მოქმედებდა, დაეყალა „...ადგილობრივი საბჭოების მოწყობა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საბჭოების პირველი ყრილობის მოწვევა ახლო მომავალში"[51].

აჭარაში ავტონომიური მმართველობის დაწესება წინასწარ იყო გადაწყვეტილი რუსეთის სფს რესპუბლიკისა და თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით[52].

თუმცა, ამ ხელშეკრულებაში არ იყო დაკონკრეტებული აჭარის ავტონომიის ფორმა და ამდენად შეიძლებოდა არჩევანიც გაკეთებულიყო, უფრო დაბალი ტიპის ავტონომია დაარსებულიყო (ი. ფუტკარაძე). ავტონომიური მმართველობის შემოღება კი გარდაუვალი ჩანდა. რადგან ამ იდეას მაშინ აჭარელთა საგრძნობი ნაწილიც თანაუგრძნობდა. აქვე უნდა ითქვას, რომ აჭარელთაგან მაშინაც იყვნენ ისეთები, რომელნიც გაუმართლებლად მიიჩნევდნენ დედა-სამშობლოსთან აჭარის ავტონომიური გზით დაკავშირებას.

1922 წლის აპრილში საქართველოში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიც შექმნეს, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა პოლიტიკური სიტუაცია რესპუბლიკაში. ქართული საზოგადოებრივი აზრი უარყოფითად შეხვედა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დაარსებას. ეთნიკური განსხვავებულობა და კომპაქტური დასახლება არ ქმნიდა საქართველოში მცხოვრებ ოსთათვის ავტონომიის მინიჭების საფუძველს. საქართველოში სხვა ერთა წარმომადგენლებიც სახლობდნენ კომპაქტურად, მაგრამ მათთვის ავტონომიის მიცემაზე არავის უფიქრია. საქმე ისაა, რომ ამ ეროვნულ უმცირესობებს (ეთნიკურ ჯგუფებს) თავიანთი ნამდვილი, ისტორიული სამშობლო საქართველოს ფარგლებს გარეთ აქვთ. საქართველოს ტერიტორიაზე მათი დასახლება გარკვეულ პოლიტიკურ და საერთაშორისო სიტუაციებმა განაპირობეს. ტერიტორია, რომელზეც საქართველოს ეროვნული უმცირესობები სახლობენ დღეს, საქართველოს კი არ დაუპყრია, ამ ეროვნულ უმცირესობათა სამშობლოსათვის კი არ წაურთმევია, არამედ ისტორიულად საქართველოს ეკუთვნოდა და დროთა განმავლობაში ამ ხალხებმა დაიკავეს. ამიტომ, თუ საკითხს ისტორიული სამართლიანობის პრინციპით მივუდგებოდით, მათ საქართველოში ერგებოდათ არა პოლიტი-

---

[51] მოამბე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, 1921, № 12, გვ. 3.

[52] Документы внешней политики СССР, Მ., 1959, ტ. 3, გვ. 598.

კური, არამედ კულტურული ავტონომია. ყოველ შემთხვევაში ქართული საზოგადოებრივი აზრი ავტონომიის საკითხის ასეთ გადაჭრას მიიჩნევდა სამართლიანად.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა არაკანონიერ საფუძველზე, ხელოვნურად, ამ რეგიონში მცხოვრები მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ნების უგულებელყოფით, სრულიად საქართველოს ინტერესების საზიანოდ. გაუმართლებელი იყო ისიც. რომ შიდა ქართლში (სამაჩაბლო, საფალავანდო, ქსნის საერისთავო) ოსებით დასახლებულ ტერიტორიას სამხრეთ ოსეთი დაარქვეს. საქართველოში არ შეიძლება არსებობდეს ოსეთი, ისევე როგორც ოსეთში არ შეიძლება არსებობდეს საქართველო, რუსეთში — ჩინეთი და ა. შ. საქართველოში არსებობს ოსებით დასახლებული ქართული მიწები, კონკრეტულად, ოსებით კომპაქტურად დასახლებული შიდაქართლის ტერიტორია, რომლისათვისაც სხვა ქვეყნის სახელწოდების მიკუთვნება გაუმართლებელია. სახელწოდება „სამხრეთ ოსეთი", როგორც გეოგრაფიული გარემოს აღმნიშვნელი ტერმინი, ხელოვნურია. თუმცა იგი პირობითად რევოლუციამდეც იხმარებოდა. სამხრეთ-ოსეთის ავტონომია კი, ოფიციალურად საბჭოთა ხელისუფლებამდე არ არსებობდა.

ოსებს შესაძლებლობა ჰქონდათ საუკუნეების მანძილზე ზიარებოდნენ მდიდარ ქართულ კულტურას (თუმცა ამ შესაძლებლობას ბოლომდე როდი იყენებდნენ), განუწყვეტლივ ეზრუნათ მშობლიური ენის, კულტურის განვითარებისათვის, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის. არსად დედამიწის ზურგზე ოსებს მსგავსი შესაძლებლობანი სხვაგან არა ჰქონიათ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათ საკუთარი წვლილი შეჰქონდათ ქვეყნის საერთო განვითარებაში.

ქართველთა და ოსთა ურთიერთობა სერიოზულად შეილახა 1918—1920 წლებში. სწორედ ამ დროს დაიღვარა სისხლი მათ შორის. ყველამ უწყის, რომ ეს მოხდა არაქართველთა ინიციატივით. მაშინდელი ჭრილობები დღესაც მოუშუშებელია.

აღნიშნულ პერიოდში ქართველთა და ოსთა ურთიერთობას საბჭოური ისტორიოგრაფია არაობიექტურად აშუქებდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ შიდა ქართლში მოსახლე ოსების ბრძოლას იგი ყალბად გაგებული კლასობრივი პოზიციებიდან განიხილავდა. ამ ბრძოლაში დაღვრილი სისხლისათვის პასუხისმგებლობას მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და მის შეიარაღებულ ძალებს აკისრებდა. იგივე

ითქმის აფხაზეთის აჯანყების შესახებაც. საქმე ის გახლავთ, რომ აჯანყებული ოსებიცა და აფხაზებიც საბჭოთა ხელისუფლებისათვის იბრძოდნენ. მათ სწამდათ, რომ ეს ხელისუფლება არსებულზე უფრო პროგრესული იყო. ამის უფლებას მათ ვერავინ წაართმევდა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ბრძოლა ინსპირირებული იყო საბჭოთა რუსეთის მიერ, მას კომუნიზმის იდეების ფანატიკურად ერთგული ქართველი ბოლშევიკები წარმართავდნენ, არც ის, რომ აფხაზ და ოს მეამბოხეთა შორის ქართველი გლეხებიც ერივნენ. ეს ყველაფერი რეალობაა. მაგრამ რეალობაა ისიც, რომ აჯანყებულებმა პირველებმა აღმართეს ხელი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში განა ამიერკავკასიის კომისარიატს (ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო 1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის მაისამდე), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და მათს შეიარაღებულ ძალებს აღარ ჰქონდათ თავდაცვის უფლება? ჰქონდათ, რასაკვირველია, და გამოიყენეს კიდეც. ამას ის მოჰყვა, რომ ოსთა მიერ დაღვრილ სისხლს, შემდეგ ქართველთა მიერ დაღვრილი სისხლიც მიემატა. არ აღმოჩნდა გონიერი ორგანიზებული ძალა, რომელიც ხალხებს ამ უბედურებას ააცდენდა. თავიდათავი ის იყო, რომ ოსი გლეხების კლასობრივი ბრძოლის ფორმით მოვლენილ დრამატულ (ფაქტობრივად ანტიქართულ) აქციებს მესვეურობდნენ პოლიტიკურ სიბრძნეს მოკლებული პირები, რომლებმაც, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ ხალხს ავნეს. ამიერკავკასიის კომისარიატისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მანძილზე, შიდა ქართლის ოსებმა სამჯერ მოაწყეს აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით. სამივეჯერ აყენებდნენ საკითხს საქართველოსაგან ე. წ. სამხრეთ ოსეთის ჩამოცილებისა და საბჭოთა რუსეთთან შეერთების შესახებ. სამივე ეს აჯანყება საბჭოთა რუსეთისა და მისი ბოლშევიკური პარტიის მიერ იყო ინსპირირებული და დაფინანსებული. დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში აჯანყებულ ოსებს წითელი არმიის ნაწილებიც ეხმარებოდნენ. ამ აჯანყებებს თან ახლდა ქართველთა დარბევა და სისხლისღვრა. შემდეგ — ოსთა სოფლების გადაწვა და ოსთა ლტოლვილობა. ეს აჯანყებები არათუ შეცდომა, არამედ ქართველი და ოსი ხალხების წინაშე ჩადენილი დიდი დანაშაულიც იყო, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა მთლიანად აჯანყებათა მოთავეებს ეკისრებათ. შიდაქართლის ოსთა აჯანყების ერთი მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი ეროვნული მომენტი იყო (ამ თე-

ზისს სოციალ-დემოკრატ-მენშევიკთა ზოგიერთი ლიდერი საკამათოდ ხდიდა). ისიც უეჭველია, რომ აჯანყებების გამომწვევ მიზეზთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა კლასობრივ-იდეოლოგიურ, სოციალურ ფაქტორებსაც. საქმე ისაა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავისი ხანმოკლე არსებობის მეტად რთულ საშინაო და საგარეო პირობებში, ბუნებრივია, ვერ მოასწრო საჭირბოროტო სოციალური პრობლემების საბოლოოდ გადაჭრა. ეს მოსახლეობის გარკვეული ფენების უკმაყოფილებას იწვევდა, რასაც მოხერხებულად იყენებდნენ მთავრობის მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალები, უწინარეს ყოვლისა, ბოლშევიკები, რომლებიც მომხიბველელი ლოზუნგების მეშვეობით ახერხებდნენ უკმაყოფილო გლეხთა ნაწილის თავიანთ მხარეზე გადაბირებას და მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაში ჩაბმას. ასე ხდებოდა არა მარტო, ვთქვათ, აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებშიც: რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, დუშეთში და სხვ. საქართველოს მთავრობა რეპრესიებს მიმართავდა ქართველ აჯანყებულთა წინააღმდეგ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციით, რომელიც 1921 წლის 21 თებერვალს იქნა მიღებული, ავტონომიური მმართველობა გათვალისწინებული იყო აფხაზეთის, აჭარისა და ზაქათალისათვის. სამხრეთ ოსეთის ავტონომიაზე ამ კონსტიტუციაში საერთოდ არ ყოფილა ლაპარაკი. ე. წ. სამხრეთ ოსეთისათვის ავტონომიის მინიჭების საკითხი საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ დაისვა რეალურად.

1921 წლის თებერვალ-მარტში, როცა საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოება ხდებოდა, საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში 1920 წელს გადასული ოსთა შეიარაღებული რაზმები დაბრუნდნენ და წითელი არმიის ნაწილებთან ერთად (მათს შემადგენლობაში) აქტიურად იბრძოდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. მათ შორის იყვნენ რევოლუციურ ფრაზებს ამოფარებული ექსტრემისტები, რომელნიც თავს სოციალიზმისათვის მებრძოლებად ასაღებდნენ, სინამდვილეში კი „რევანშისტულ“ მიზნებს ისახავდნენ და სოციალიზმს დროშად იყენებდნენ. წითელი არმიის ნაწილებს საქართველოდან 1920 წელს გახიზნული ყველა ოსი არ შემოჰყოლია. ნაწილი ჩრდილო კავკასიაში დარჩა და ცოტა მოგვიანებით დაბრუნდა ე. წ. სამხრეთ ოსეთში, რამაც კიდევ უფ-

რო გაამწვავა ქართველთა დ ოსთა ურთიერთობა. სათანადო ორგანოებმა ვერ გაითვალისწინეს ის სავალალო შედეგები, რაც ოსთა არაორგანიზებულ დაბრუნებას უნდა მოჰყოლოდა. დავიმოწმოთ ადგილებ., ქართული სოფლების: სვერის, ქემერტის, მინდიანის, ყაფლანის, კასრანისა და მონასტრის მცხოვრებთა 1921 წლის 25 აპრილის ერთობლივი განცხადებიდან: „...გვაქვს მეტად ცუდი მდგომარეობა. დღეს ჩვენ ვიმყოფებით ლტოლვილებად, ვართ ჩვენს სახლებს მოწყვეტილნი. ოსების შემოსვლის შემდეგ... გამოქცეული ვართ სახლებიდან... ცხინვალში დაგვიწვეს 70—80 სახლი და რაც გადარჩა საქონელი. აეეჯი და ჯირნახული წაიღეს ჯავის რაიონისაკენ... როცა ვთხოვთ, ცემითა და მუქარით გვიპასუხებენ. ამ დროს ამოხოცეს 32 კაცი, მათ შორის ზოგი დაწვეს და ზოგიც დახოცეს. გააუპატიურეს ქალები, დედები, პატარები... გთხოვთ უმორჩილესად, მოგვცეთ იარაღი, რომ დავიცვათ ჩვენი თავი და მივიდეთ ჩვენს სახლებში, ან მოგვცეთ ქართული ჯარი, რომელიც ჩადგებოდა საზღვარზედ, თორემ არ შეგვიძლია ჩვენ აქ ცხოვრება, რადგანაც მუდამ დღე ხდება დაცემა, იტაცებენ თუ რაიმე დარჩა ამ აოხრებულს სოფლებში, ანგრევენ სახლებს და მიაქვთ ოსებისაკენ...“[53].

ასეთმა ძალადობამ კიდევ უფრო დაამძიმა ქართველი ხალხის გულისტკივილი, საქართველოს ოკუპაციით რომ იყო გამოწვეული. ამას დაემატა ისიც, რომ სულ მალე სერიოზული მუშაობა გაჩაღდა შიდა ქართლში მცხოვრები ოსების ეროვნული თვითგამორკვევის ფორმის შესარჩევად. ამ საკითხის გადაწყვეტა თვით ბოლშევიკებსაც კი გაუჭირდათ, რადგან გასარკვევი იყო ისიც, თუ რომელ ტერიტორიაზე მიენიჭებინათ ოსებისათვის ავტონომია.

1917—1920 წლებში ე. წ. სამხრეთ ოსეთის მესვეურები ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის (მაზრის, ერობის) შექმნას მოითხოვდნენ. იყო ლაპარაკი კანტონის შექმნაზეც. საბჭოთა ხელისუფლების დროს მათ, რასაკვირველია, მეტის მოთხოვნის „უფლება“ ჰქონდათ. ე. წ. სამხრეთ ოსეთი ხომ შეუნელებლად იბრძოდა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ.

და აი, 1921 წლის 6-8 სექტემბერს გამართულმა სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტისა და პარტიული კომიტეტის გაერთიანებულ-

---

[53] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 285, აღწ. 1, საქ. 130, ფურც. 4.

7. სხლომამ განიხილა „სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევისა და პოლიტიკური მოწყობის საკითხი“ და დაადგინა:

«1. Признать необходимым образование Социалистической советской республики Юго-Осетии с центром в Цхинвали. 2. Социалистическая советская республика Юго-Осетии добровольно вступает в федеративную связь с Социалистической советской республикой Грузии. Настоящее постановление представить объединенному заседанию Кавбюро РКП. ЦК КП Грузии и Ревкома Юго-Осетии для окончательного разрешения данного вопроса“[54].

ამ დადგენილებაში სამი ისეთი საკითხია დაყენებული, რომელთაც არ შეიძლებოდა ქართველი ხალხის გულისწყრომა არ გამოეწვია. ეს გახლავთ თვითგამორკვევის ფორმის (სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა), რესპუბლიკის დედაქალაქის (ცხინვალი) და ტერიტორიის საკითხები (სამხრეთ ოსეთის საზღვრებში, ამ დადგენილების დანართის მიხედვით, მრავალი ქართული სოფელი უნდა შესულიყო).

საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის მოთხოვნა კიდევ უფრო მიუღებელი და შეუსაბამო იყო, ვიდრე აფხაზეთისა, რაზედაც უკვე ვილაპარაკეთ. ასეთი რესპუბლიკა ჩრდილო კავკასიაში მდებარე ნამდვილ ოსეთშიც არ შექმნილა (მაშინ, სხვათა შორის, ჩრდილო ოსეთში არც ავტონომიური რესპუბლიკა და არც ცალკე ოლქი არსებობდა). ნამდვილად კურიოზული იყო ეს მოთხოვნა, იმდენად კურიოზული, რომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროც ვერ დააკმაყოფილებდა მას.

სამხრეთ ოსეთის რევკომისა და პარტკომის 1921 წლის 6—8 სექტემბრის სხდომამ დაამტკიცა აგრეთვე „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი“ და „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრების პროექტი“. საზღვრების პროექტში სათითაოდაა ჩამოთვლილი სოფლები, რომლებიც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში უნდა გაეერთიანებინათ. მათ შორის მოჰყვა ბევრი ქართული სოფელიც (ქართული და შერეული მოსახლეობით) გორის, დუშეთის, რაჭისა და შორაპნის მაზრებიდან.

---

[54] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფ. 231, აღწ. 2, საქ. 3, ფურც. 164.

სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური მოწყობის საკითხში გადამწყვეტი სიტყვა, ცხადია, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს ეკუთვნოდა. 1921 წლის 31 ოქტომბერს მან მოისმინა შალვა ელიავას მოხსენება ამ საკითხზე და დაადგინა:

„1. Предоставить Южной Осетии права автономной области; 2. Предложить Ревкому Грузии совместно с Южно-Осетинским исполкомом определить границы Южной Осетинской автономной области“[55].

კავბიუროს დადგენილებაში ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული ცენტრის შესახებ არაფერია ნათქვამი. ეს საკითხი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა 1921 წლის 17 ნოემბერს, როცა ალექსანდრე ჯათიევისა და მამია ორახელაშვილის მოხსენების საფუძველზე დაადგინა:

«Принципиально признать гор. Цхинвали входящим в Южно-Осетинскую автономную область как административный центр последней»[56].

აღსანიშნავია, რომ 1922 წელს ქ. ცხინვალში ოსები შეადგენდნენ მოსახლეობის 13, 5 პროცენტს[57].

მაშ ასე, გადაწყდა, რომ იქმნება სამხრეთ ოსეთის არა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და არც ავტონომიური რესპუბლიკა, არამედ ავტონომიური ოლქი. ამ საკითხს რაიმე გართულება არ გამოუწვევია. უთანხმოება მოჰყვა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ ცენტრად ქართული ქალაქის ცხინვალის გამოცხადებასა და ოლქისათვის ქართული სოფლების გადაცემას.

საარქივო ფონდებში დაცულია უამრავი მასალა, რომელშიც ასახულია ქართველ გლეხთა გულისწყრომა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ქ. ცხინვალისა და ქართული სოფლების გაერთიანების გამო. დავიმოწმებთ მხოლოდ ერთს.

ქართული სოფლის ძარწემის მცხოვრებთა 1921 წლის 25 დეკემბრის კრების ოქმიდან: „...რისთვის უნდა ვიყოთ მოქცეულნი ოსეთის

---

[55] უახლესი პერიოდის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 64, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 85; იქვე, აღწ. 2, საქ. 7, ფურც. 27.

[56] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 8, ფურც. 7.

[57] იხ. Закавказье. Статистико-экономический сборник. Издание Высшего экономического Совета ЗСФСР, Тифлис, 1925, გვ. 156—157.

ფარგლებში ეროვნებათა თვითგამორკვევის აღსასრულებლად. მით უმეტეს, რომ მათი ენა ჩვენთვის სრულიად გაუგებარია და უცხო". ქართული სოფლის ქორდის გლეხთა 1921 წლის 25 დეკემბრის კრების ოქმიდან: თუ ჩვენს მოთხოვნაზე უარს ვვეტყვით „...მთავრობამ მაშინ მოგვცეს ბინა და გადაგვასახლოს შორს სადმე, რომ ჩვენს თვალსა და ყურს ვერ მოსწვდეს ჩვენი ადგილების კვნესა". ქართული სოფლების ზემო ნიქოზის, ქვემო ნიქოზის, ზემო ხვითის, ქვემო ხვითის მცხოვრებთა 1921 წლის 21 დეკემბრის კრებამ იმედი გამოთქვა, რომ „მთავრობა შეიწყნარებს ჩვენს სამართლიან მოთხოვნას და თავს არ მოგვახვევს იმას, რაც ხალხს არ სურს". ბევრი ამ სოფელთა მცხოვრებთაგან კი ამბობდა: „სჯობს ცოცხლად დაგვხოცოთ, სანამ აქედან გადაგვასახლოთ, ვიდრე ოსეთის ხელისუფლების ქვეშ დაგვტოვოთო". თვით ცხინვალის რევკომის საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს აცნობებდა: ცხინვალისა და რამდენიმე ქართული სოფლის გლეხობა აცხადებს, თუ მთავრობა ჩვენს მდგომარეობას არ გაეცნობა და ცხინვალს ოსეთს გადასცემს „ამ შემთხვევაში სჯობს ყველანი დავიხიცოთო"[58].

ასეთი იყო ქართული მოსახლეობის აზრი. მას იზიარებდა ქართველ კომუნისტთა ერთი ნაწილი, რომელიც ნაციონალ-უკლონისტების სახელითაა ცნობილი. ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბესარიონ კვირკველია 1922 წლის 27 სექტემბერს შედგენილ მოხსენებით ბარათში წერდა: „სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფა სამაზრო ერთეულის უფლებებით გეოგრაფიული და ეკონომიკური მოსაზრებით, საკითხის დეტალურად შესწავლის შემდეგ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს შეუძლებლად მიაჩნია. სამხრეთ ოსეთი, როგორც მთლიანი გეოგრაფიული ერთეული, არ არსებობს. არის მხოლოდ ოსებით დასახლებული ცალკე რაიონები, რომელთაც ურთიერთშორის არავითარი დამოკიდებულება არ აქვთ არც გეოგრაფიულად და არც ეკონომიურად. თვითეული ამ რაიონთაგანი წარმოადგენს განუყოფელ ორგანულ ნაწილს სხვადასხვა გეოგრაფიულ და სამეურნეო პროვინციებისას. ეს რაიონები ერთმანეთისაგან დაშორებული არიან გარდუვალი მთებით. ...იგინი ერთიმეორეს მოწყვეტილნი არიან წლის გან-

---

[58] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 81.

მაგლობაში რამდენიმე თვით და თვითეული მათგანი ეკონომიურად დამოუკიდებელია იმ ველთან, რომელთანაც დაკავშირებულია გეოგრაფიულად"[59].

მოხსენებითი ბარათი იწერება მაშინ, როცა სამხრეთ ოსეთის რევკომი და პარტკომი სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის საკითხს აყენებდა. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს კი შეუძლებლად მიაჩნდა არათუ სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ან ავტონომიური რესპუბლიკის, ან თუნდაც ავტონომიური ოლქის შექმნა, არამედ საერთოდ ამ რეგიონის ცალკე სამაზრო ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფაც. „ოსების მიერ დასახლებული რაიონები მოკლებული არიან გეოგრაფიულ მთლიანობას და შეადგენენ გეოგრაფიულად და ეკონომიურად სხვადასხვა პროვინციების ნაწილებს. ასეთი ჩამონაჭრებიდან ხელოვნურად შემდგარ ადმინისტრაციულ ერთეულის შემქნა განუხორციელებლად უნდა ჩაითვალოს ტოპოგრაფიული პირობების გამო"[60]. ასკვნიდა ბესარიონ კვირკველია.

მიუხედავად ყოველივე ამისა, 1922 წლის 20 აპრილს მაინც შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც, ოსურ სოფლებთან ერთად, „გადავიდა 40 ქართული სოფელი და 1 ქალაქი, სადაც ოც ათასამდე ქართველია, ხოლო ოსთა რაოდენობა უდრის 1100 სულს"[61].

აი, ასე ხელოვნურად შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რასაც ქართული მოსახლეობის უკმაყოფილება მოჰყვა. მაგრამ საოკუპაციო რეჟიმმა, რომელიც მაშინ საქართველოში მძვინვარებდა, ოსური პრობლემის მხოლოდ ასეთი გადაწყვეტა მიიჩნია შესაძლებლად.

საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა ხელოვნური და უკანონო იყო არა მარტო იმიტომ,

---

[59] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ 1, საქ. 10, ფურც. 121.

[60] იქვე, საქ. 10, ფურც. 122.

[61] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 284, 1, საქ. 2, ფურც. 85—86.

რომ შიდაქართლში მცხოვრებ ოსურ მოსახლეობას, როგორც ისეთ ეთნიკურ ჯგუფს, რომელსაც ნამდვილი, ისტორიული სამშობლო სხვა-გან აქვს, საქართველოში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ავტო-ნომია არ ეკუთვნოდა, არამედ იმიტომაც, რომ ამ ავტონომიურ ერ-ოეულში ძალით გააერთიანეს ძირძველი ქართული სოფლებიც, და ეს მაშინ, როცა ზოგიერთი ქართული პოლიტიკური პარტია ქართველ ხალხს საბჭოთა ხელისუფლებასთან შეურიგებლობისაკენ მოუწოდებ-და, ხოლო საბჭოთა რუსეთსა და კომუნისტურ პარტიას, სავსებით სამართლიანად, საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის დარღვევას საყვედურობდა. დამახასიათებელია ამ მხრივ საქართველოს დემო-კრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის, ცნობილი მენშევიკი მოღვაწის, გრიგოლ ლორთქიფანიძის გამონათქვა-მი, რომელსაც აქვე უცვლელად დავიმოწმებთ:

„ჩამოჭრილი ტერიტორიების გარეშე დარჩენილი საქართველო ფორმალურად გამოცხადებულ იქნა საქართველოს საბჭოთა დამოუ-კიდებელ რესპუბლიკად. მაგრამ თვით ეს საქართველოც ძლიერ დასერა და დასჭრა რუსეთმა პოლიტიკურად და ტერიტორიულად. ამ მიზნით მან გამოაცხადა აფხაზეთის ჯერ დამოუკიდებელი, შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკა. ასეთივე რესპუბლიკა აჭარაში და ავტო-ნომიური ოლქი სამხრეთ ოსეთისა. ყველა ამ ე. წ. რესპუბლიკების შე-ქმნა და მათი საქართველოსადმი დაპირისპირება და მისგან მაქსიმა-ლურად გამოთიშვა ძველი რუსიფიკატორული პოლიტიკის ახალ ფო-რმაში გაგრძელებაა. აფხაზეთის რესპუბლიკა რუსეთს სჭირია, რო-გორც საქართველოში შემოსავალი ჭიშკარი და საკოლონიზაციო პოლიტიკისათვის დასაყრდნობი პლაცდარმი. ასეთსავე პოლიტიკურსა და სტრატეგიულ როლს აკისრებს მოსკოვის იმპერიალიზმი ე. წ. სამხრეთ ოსეთს. ნამდვილი ოსეთი კავკასიონის ქედს გადაღმაა, კასრის ხეობის იქეთ, მაგრამ იქ რუსეთმა სრულიადაც არ დაინახა საჭიროდ, შეექმნა წმინდა ოსური სახელმწიფოებრივი ორგანიზმი ჩრდილო ოსე-თისა ან სხვა რამ ამგვარი სახელწოდებისა. იქ ოსები, ინგუშები და სხვები ერთ ატონომიურ მთის რესპუბლიკაში დატოვა, ხოლო საქარ-თველოში, სადაც ოსობა წარმოადგენს ხიზნებსა და კოლონისტებს, მათთვის ოთხი მაზრიდან (გორი, დუშეთის, შორაპნისა და რაჭის) ხე-ლოვნურად გამოსჭრა ოსური ავტონომია მრავალ წმინდა ქართული

სოფლების შიგ ჩართვით. ეს ზომაც მიმართული იყო, რასაკვირველია, იქითკენ, რომ ოსურ-ქართული შური გაელვივებია და საქართველოში შენოსასვლელი ჭიშკრები მოსკოვის ხელში ყოფილიყო სავსებით და ამ მიზნისათვის, ასე წარმოიდგინეთ, იმდენად აწამეს და აჭახრაკეს ავტონომიური ოსეთის საზღვარი, რომ მის ფარგლებში მამისონის გადასავალიც კი მოაქციეს რაჭის მხრიდან"[62].

ამ გამონათქვამში, უნდა ვაღიაროთ, ძირითადად სწორად არის განმარტებული საბჭოთა საქართველოში ავტონომიების შექმნის ნამდვილი მიზნები და ამოცანები. წინამდებარე ნაშრომში მოხმობილი და გაანალიზებული ფაქტობრივი მასალაც, ვფიქრობთ, ადასტურებს ზემონათქვამს.

საქართველოს ტერიტორიული დანაკარგები

საქართველოს ტერიტორიის დანაწილება მის ტერიტორიაზე ავტონომიური ერთეულების ჩამოყალიბებით არ დასრულებულა. გასაბჭოების პირველ ხანებში ქართული მიწების საგრძნობი ნაწილი იქნა გასხვისებული. „დაიპყრეს თუ არა საქართველო, — აღნიშნავს იგივე გრიგოლ ლორთქიფანიძე, — მაშინვე შეუდგნენ მის განაწილებას, ოსმალეთს მიეცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი შავშეთ-ერუშეთ-არტაანი-ფოცხოვით. სომხეთსაც და აზერბაიჯანსაც მიუჭრეს საქართველოს მიწა-წყლის საგრძნობი ნაწილი. სომხეთს მიეცა ეგრეთწოდებული ნეიტრალური ზონა ალავერდის მადნითა და ქარხნებით, ხოლო აზერბაიჯანს სიღნაღისა და ტფილისის მაზრების ნაწილები ყარაიას ველის აღმოსავლეთ ნახევრითა და დავით გარეჯის რაიონით... რუსეთმა თვითონაც მიიჭრა და მიიზომა საქართველოს ტერიტორია ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, სახელდობრ. გაგრის ოლქის დასავლეთი ნახევარი ცივი წყალიდან მდინარე ფსოუმდე. ესე იგი, დაარღვია ის საზღვარი, რომელიც 7 მაისის[63] ხელშეკრულებით დაუდო საქართველოს"[64].

ამავე საკითხს ეხება უცხოეთში მოღვაწე ქართველი ისტორიკოსი ალექსანდრე მანველიშვილი, რომელიც წერს:

---

[62] გ რ ი გ ო ლ ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფიქრები საქართველოზე (ხელნაწერი), გვ. 270—271.

[63] ივულისხმება რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება.

[64] გ რ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს დასახ. ნაშრ., გვ. 270.

„ის მხარე, რომელიც ბოლშევიკებმა ოსმალეთს გადასცეს შეიცავს:

ართვინის ოლქს: — 3,339 კვ. კილ; მოსახ. — 61000
ფოცხოვის თემს: — 588 —„ —; — " — 15000
არტაანის ოლქს: — 5.137 —„—; —"— 56000
ოლთისის ოლქს: — 3.051 —„—; —" — 32000
სულ: — — 12. 115 — „ —; — " — 164000

გარდა აღნიშნული მხარეებისა, ბოლშევიკებმა გაასაჩუქრეს საქართველოს ადგილები აღმოსავლეთითაც და სამხრეთ-აღმოსავლეთითაც. სახელდობრ, ბორჩალოს მაზრის ნაწილი 3812 კვ. კილომეტრი და ზაქათალას ოლქი 3. 564 კვ. კილომეტრი.

ამგვარად, ბოლშევიკებმა თურქეთს, აზერბაიჯანს და სომხეთს დაუთმეს საქართველოს ტერიტორიის 19. 491 კვ. კილომეტრის სიერცე"[65].

გასაბჭოების შემდეგ საქართველომ, მართლაც, დაკარგა კუთვნილი ტერიტორიის ნაწილი. ქართული მიწები, თურქეთის გარდა, მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებსაც გადაეცა. დრო იყო მეტად რთული, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მდგომარეობა — მძიმე. მათი სახელმწიფოებრივი მოწყობისათვის აუცილებელი იყო სასაზღვრო საკითხის მოგვარება. დამოუკიდებლობის წლებში ამ საკითხს ზოგჯერ იარაღითაც „წყვეტდნენ", გასაბჭოების შემდეგ კი ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სასაზღვრო გამიჯვნა მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მოლაპარაკების საფუძველზე ხდებოდა. თუმცა იგი ხშირად ქცეულა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლებს შორის მწვავე კამათის საგნად, როცა ზოგი ისტორიულ პრინციპს ანიჭებდა უპირატესობას, ზოგიც — ეთნიკურს. ცხადია. ანგარიში უნდა გაწეოდა საკითხის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარეს.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიული საკითხების მოგვარების მიზნით, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს 1921 წლის 2 მაისის პლენუმმა შექმნა სპეციალური კომისია, რომლის სხდომები იმავე წლის 25—27 ივნისს მიმდინარეობდა ქ. თბილისში.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ ს. მ. კიროვი (თავმჯდომარე), სვანიძე, თოდრია (საქართველოს სსრ წარმომადგენლები), ჰუ-

---

[65] ალ. მანველიშვილი. საქართველოს საზღვრები. პარიზი, 1938, გვ.18. მოსახლეობის რაოდენობა ავტორს 1916 წლის სტატისტიკური მონაცემებით აქვს დადგენილი.

სეინოვი, გაჯინსკი, რასულ-ზადე, ომარ ფაიკი (აზერბაიჯანის სსრ წარმომადგენლები), ბეკზადიანი (სომხეთის სსრ წარმომადგენელი). დავიმოწმოთ ერთი ადგილი კომისიის სხდომათა საოქმო ჩანაწერიდან: „სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ ბეკზადიანს, რომელმაც განაცხადა, რომ მოსკოვის ხელშეკრულების დადების შემდეგ (იგულისხმება საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის 1921 წლის მარტში დადებული ხელშეკრულება—ლ. თ.). სომხეთის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მან თავისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი დაკარგა ეკონომიკურ რესურსებიანად — უმდიდრესი მარილის და ქვანახშირის მაღაროები და ყარსის, სარიყამიშის, ოლთის და ყაგიზმანის ტყიან-საძოვრიანი რაიონები... გარდა ამისა, ამ ბოლო ომის წყალობით ლტოლვილთა რაოდენობა 410 ათასამდე ავიდა. მათ ადგილი უნდა მივუჩინოთ, მიწა უნდა მივცეთ და მშვიდობიანი შრომა დავუბრუნოთ. ქვეყნის ასეთი მდგომარეობა უთუოდ მეტად მძიმე, კრიზისულ მდგომარეობად უნდა მივიჩნიოთ. ახლა სომხეთს არც საკმარისი ტერიტორია აქვს და არც ტყისა და სხვა ფონდები — სახელმწიფო სახსრების უმთავრესი წყარო, ამიტომ იგი, როგორც პოლიტიკურად დამოუკიდებელი ერთეული, ვერ შეძლებს არსებობას. ამ გარემოებათა გამო ამხ. ბეკზადიანს უაღრესად საჭიროდ მიაჩნია, რომ მეზობელ აზერბაიჯანისა და საქართველოს რესპუბლიკებს ჩამოეჭრათ ტერიტორია სომხეთის სასარგებლოდ. როცა მოსკოვში ამხანაგებმა მიასნიკოვმა და ბეკზადიანმა ამხ. სტალინი ინახულეს, ამ უკანასკნელმა ეს თვალსაზრისი სავსებით გაიზიარა.

ყოველივე ზემონათქვამის საფუძველზე სომხეთის დელეგაცია სთხოვს ამხანაგ ქართველებს და თათრებს გაითვალისწინონ სომხეთის განსაკუთრებული მდგომარეობა და საერთო სოლიდარობისათვის ერთხელ და სამუდამოდ უაღრესად გულწრფელი, მეგობრული ურთიერთდამოკიდებულებისათვის დაგვთანხმდნენ გარკვეული ტერიტორიების დათმობას, ამასთან კომპაქტური სომხური მოსახლეობით დასახლებულ რაიონებში“[66].

სომხეთის მძიმე მდგომარეობას რომ ახასიათებდა, ა. ბეკზადიანი სიმართლეს ამბობდა, ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის სომხეთს,

---

[66] სომხეთის უახლესი პერიოდის ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 128, აღწ. 1, საქ. 1420, ფურც. 15; კომისიის სხდომათა საოქმო ჩანაწერი შესრულებულია სომხეთის სსრ წარმომადგენლის მდივნის ვ. მურადიანის მიერ. იგი გადმოგვცა პროფესორმა ს. ხანმანდარიანმა, რომელსაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

მართლაც, ყველაზე მეტად უჭირდა, რაც, უწინარეს ყოვლისა, სასიცოცხლო მნიშვნელობის ტერიტორიის დაკარგვით იყო განპირობებული. ამიტომ, შექმნილ ვითარებაში, საბჭოთა სომხეთის წარმომადგენელი ტერიტორიულ დათმობებს ითხოვდა საქართველოსა და აზერბაიჯანისაგან. ამ რესპუბლიკებს მან კონკრეტული წინადადებებითაც მიმართა. მაგალითად, საქართველოს მიმართ სომხეთის პრეტენზია ასეთი იყო: „ახალქალაქის მაზრა სომხეთის შემადგენლობაში უნდა შევიდეს (მოსახლეობის 72 პროცენტი სომხობაა), ამასთან, ამ მაზრაში უნდა ჩაერთოთ ორი სომხური სოფელი: მოლიტი და ყიზილ-კილისი, რომლებიც ტაბაწყურის ტბის ჩრდილოეთითაა არჯევანის ქედამდე. ამასთან, აღნიშნულ რაიონს უნდა გამოაკლდეს ხიზაბავრის ქართულ-მოსახლეობიანი უბანი“.

აშკარაა, სომხეთის წარმომადგენელი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ქვეყნისათვის ზრუნავდა და ანგარიშს არ უწევდა საქართველოს მდგომარეობას. ვერ ვიტყვით, რომ იგი არ ცნობდა ამ მიწებზე საქართველოს ისტორიულ უფლებას; ისტორიაში კარგად ერკვეოდნენ. ყველასათვის იყო ცნობილი, თუ როგორ, როდის და ვისი ხელისშეწყობით გაჩნდა ახალქალაქის მაზრაში სომეხთა კომპაქტური დასახლება. შეუძლებელი იყო იმის უარყოფაც, რომ ახალქალაქის მაზრა სავსებით კანონზომიერად იყო მოქცეული საქართველოს შემადგენლობაში. მიუხედავად ამისა, სომხეთის დელეგაციამ მაინც მიიჩნია შესაძლებლად ასეთი თხოვნით მიემართა საქართველოსათვის. თხოვნა არავის ეკრძალება, მაგრამ საგულისხმოა, რომ საბჭოთა საქართველოს იმდროინდელმა ზედმეტად ინტერნაციონალისტმა მესვეურებმაც კი იგი მიუღებლად მიიჩნიეს. „გამიჯვნის შემოთავაზებული ვარიანტი ამხანაგი ქართველი დელეგატებისათვის მიუღებელია და ისინი პოლიტიკური მოსაზრებით აყენებენ იმ საკითხს, რომ არ დაიშვას რაიმე ტერიტორიების ჩამოჭრა“ — ნათქვამია იმავე საოქმო ჩანაწერში.

ამრიგად, საქართველოს დელეგაცია მოითხოვდა, რომ ახალქალაქის მაზრაში უცვლელად დაეტოვებინათ არსებული მდგომარეობა (სტატუს ქვო). საოქმო ჩანაწერში ვკითხულობთ: „ამხანაგ კიროვსაც მიაჩნია, რომ პოლიტიკური მოსაზრებით ამჟამად კრინტიც არ უნდა დაეძრათ ტერიტორიების ჩამოჭრაზე, რის გამოც ახალქალაქის მაზრის საკითხი სომხეთის დელეგაციის ამ წინადადებაში სრულიად იხსნება“.

კომისიის 25 ივნისის სხდომაზე, საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლებს მსჯელობა ჰქონდათ ლორეს ნეიტრალურ ზონაზეც. სომხეთის წარმომადგენელი მოითხოვდა ეს ზონა მთლიანად სომხეთს გადაეცესო. საქართველოს დელეგაცია კი წინადადებას იძლეოდა, რომ „ნეიტრალურ ზონაში მოეწყოს ახალი ადმინისტრაციული დაყოფა და... გაიყოს ორ სექტორად — აღმოსავლეთ და დასავლეთ სექტორებად. ამხანაგი ქართველები უარყოფენ ჩამოჭრის პრინციპს და ამავე დროს ნეიტრალურ ზონას — სადავო რაიონს ყოფენ ორ ნაწილად, ნებაყოფლობით უარს ამბობენ სომხეთის სასარგებლოდ მის აღმოსავლეთ სექტორზე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სომხურია, მაგრამ კატეგორიულად მოითხოვდნენ მეორე სექტორს, რომელშიც შედის უდავოდ სომხეთის ტერიტორიიდან შემდგარი რაიონი შერეული სომხურ-რუსული მოსახლეობით (ამასთან ფართობი სომხეთისთვის დატოვებული სექტორის ოდენაა). მეორე საკითხზე დელეგატებმა მეგობრულ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და საკითხი ღიად დატოვეს“.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის შინა საზღვრების განმსაზღვრელი კომისიის მეორე სხდომა 1921 წლის 26 ივნისს გაიმართა. კომისიის წევრებს გარდა მას. გ. კ. ორჯონიკიძე, მ. დ. ორახელაშვილი და შ. ზ. ელიავაც დაესწრნენ. სხდომაზე ამ სამი, იმ დროს გავლენიანი ქართველი მოღვაწის მიწვევა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო. იმედოვნებდნენ, რომ მათი ავტორიტეტი ხელს შეუწყობდა სადავო საკითხების უმტკივნეულოდ მოგვარებას, რაც წინა დღეს ვერ მოხერხდა. მივუბრუნდეთ საოქმო ჩანაწერს: „კომისია გადადის მორიგი საკითხის — საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვრის გაელების საკითხის განხილვაზე. მცირედი კამათის შემდეგ ორივე რესპუბლიკის წარმომადგენლებმა სადავო საკითხზე — ზაქათალის ოლქისა და ყარაიაზის უბნის საკითხზე შემდეგი მოღუსი შეიმუშავეს: პოლიტიკური მოსაზრებით აზერბაიჯანის სსრ პრეტენზიას არ აცხადებს, რომ აღნიშნული რაიონები მას შეუერთონ, მაგრამ მოითხოვს, საქართველომ იურიდიულად ცნოს და დაუმტკიცოს თათარ გლეხებს, რომ მათ უდავოდ უფლება აქვთ ფაქტობრივად ისარგებლონ იმ მიწებით (საძოვრებითა და სხვა სავარგულებით), რომლებსაც მეფის და მენშევიკების რეჟიმის დროს ფლობდნენ. ამასთან, საქართველო პოლიტიკური ძალაუფლების გარდა ყველა სხვა ძალაუფლებას მთლიანად ანიჭებს მოსახლეობას და ვალდებულებას კისრულობს არავითარი განკარგულება არ გამოსცეს კაზახის გვერდის ავლით. იმ მიწების ზუსტად გამიჯვნი-

სათვის, რომლებითაც აზერბაიჯანელმა გლეხებმა უნდა ისარგებლონ, ინიშნება საგანგებო შერეული კომისია".

საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლები ამ სხდომაზე განაგრძობდნენ მოლაპარაკებას ლორეს ნეიტრალური ზონის შესახებ. ოქმში ეკითხულობთ: „იმის წყალობით, რომ ამხ. კიროვმა ჩამოჭრის საკითხი სავსებით მოხსნა და კომისიის მუშაობა იფარგლება მხოლოდ და მხოლოდ არსებული საზღვრების გასწორებით ან, უფრო სწორად, გამოსწორებით, ამხ. ბეკზადიანი აყენებს კონკრეტულ წინადადებას — კომისიამ მუშაობა შეწყვიტოს და საზღვრების ყველა საკითხი გადატანილ იქნეს ამიერკავკასიის კონფერენციაზე, რომელიც უახლოეს პომავალში უნდა გაიმართოს. წინადადება არ მიიღეს. ნეიტრალური ზონის საკითხზე ამხ. ქართველებმა ახალი წინადადება წამოაყენეს: სომხეთის აღმოსავლეთი სექტორი სომხეთს დარჩეს, დასავლეთ სექტორში კი მოეწყოს რეფერენდუმი, ამასთან არ უნდა იყოს რაიმე წინასწარი აგიტაცია ამა თუ იმ მხარის... სასარგებლოდ. სომხეთის დელეგაცია დაეთანხმა ამ წინადადებას, როგორც უკიდურეს დათმობას".

საქმეს თითქოს კარგი პირი უჩანდა. თითქოს მოინახა რესპუბლიკებისათვის მისაღები მოდუსი, მაგრამ საბოლოო შეთანხმება მაინც ვერ მოხერხდა, რაც აშკარა გახდა კომისიის მუშაობის მესამე დღეს (27 ივნისის სხდომაზე). „საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგატებმა ერთმანეთს გუშინდელი შეთანხმების თაობაზე კონკრეტული დადგენილებები წარუდგინეს, მაგრამ აზერბაიჯანის წარმომადგენელმა მიერ ნახმარი იმ გამოთქმის გამო, რომ ადგილებზე მთელი ხელისუფლება ყარაიაზელ გლეხებს უნდა გადაეცესო, ამხანაგმა ქართველებმა ენერგიული პროტესტი განაცხადეს და მხარეთა კამათი გაჭიანურდა, რასაც გარკვეული შედეგები არ მოჰყოლია. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამხ. კიროვი იძულებული გახდა სხდომაზე მოეწვია შეთანხმების დამსწრე ამხანაგები ორჯონიკიძე და ორახელაშვილი. მან აღნიშნა, რომ მუშაობას და ერთ პარტიაში შემავალ ამხანაგებს შორის გამართულ კამათს უკიდურესად არასასურველი და არასასიამოვნო ხასიათი აქვს და კატეგორიულად განაცხადა, დაუშვებელია კომისიაში მომხდარი ამბებიო, სახელდობრ ის, რომ წინა დღეს გარკვეულ შეთანხმებამდე მისული მხარეები მეორე დღეს გამოთქმის ფორმის გამო მკვეთრად დაშორდნენ ერთმანეთს. საჭიროდ მიმაჩნია ვაცნობო ეს კავბიუროსო. ორახელაშვილის მოსვლის მერე გაუგებრობა გაირკვა და აზერბაიჯანის დელეგაციის მიერ შემუშავებული დადგენილება მი-

იღეს, ოღონდ „მთელი ძალაუფლება“ გაასწორეს ასე: „მთელი ძალაუფლება გარდა პოლიტიკურისა“. ამას ისიც დაემთხვა, რომ გამიჯვნის კომისიაში კავბიუროს წარმომადგენელიც მიიწვიეს. შემდეგ წაიკითხეს ნეიტრალური ზონის საკითხზე საქართველოს დელეგაციის მიერ შემუშავებული დადგენილების პროექტი, საიდანაც ჩანს, რომ ამხანაგმა ქართველებმა რაიონს. სადაც რეფერენდუმი უნდა მოეწყოს, მიუმატეს უდავოდ სომხური ტერიტორიის რაიონი (ჯელალ-ოღლი-გერგერი და სხვ.). მაშინ, როცა ახალქალაქის საკითხი პოლიტიკური მოსაზრებით და ვითომდა მომენტის მოთხოვნით მათვე განზე გადასდეს. სომხეთის დელეგაციის ბობოქარი პროტესტის მიუხედავად, ამხანაგმა ქართველებმა მაინც კატეგორიულად დაიჩემეს თავიანთ მოთხოვნათა მიზანშეწონილება, რასაც საფუძვლად იმას უდებენ, რომ აღნიშნული უდავო რაიონი ერთ დროს ხელთ უგდია მენშევიკებს (არსებითად ეს გახდა უმთავრესი საბაბი ლორეს უკანასკნელი აჯანყებისა) და როგორც თბილისის გუბერნიის ნაწილი, უდავოდ საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაა. სომხეთის დელეგაცია იძულებული ხდება მკვახედ უპასუხოს ამას, უარს აცხადებს მსგავს ატმოსფეროში მოლაპარაკების გაგრძელებაზე და სადავო საკითხები გადასაწყვეტად კავბიუროში გადააქვს. სხდომა შეწყდა“[67].

საოქმო ჩანაწერებში ძირითადად სწორად არის გადმოცემული თითოეული სადავო ტერიტორიული საკითხისადმი ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების დამოკიდებულება.

როგორც ვნახეთ, ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის შინასაზღვრების განმსაზღვრელმა (დამდგენმა) კომისიამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა რკპ(ბ) ცკ-ის კავბიუროს მიანდო. კავბიუროს გადაწყვეტილება საკალდებულო იქნებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კომუნისტური პარტიებისათვის. და აი, 1921 წლის 7 ივლისს, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ ი. ბ. სტალინის მონაწილეობით განიხილა საქართველოსა და სომხეთის შიდა საზღვრების საკითხი. კავბიუროს სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო საქმეთა სახალხო კომისრები ა. სვანიძე და ა. მრავიანი. კავბიურომ დაადგინა, რომ ლორეს ყოფილი ნეიტრალური ზონა შეუერთდეს სომხეთის სს რესპუბლიკას. რაც შეეხება ახალქალაქისა და ხრამის რაიონების სომხეთისათვის გადაცემის

---

[67] სომხეთის უახლესი პერიოდის ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 128, აღწ. 1, საქ. 1420; ფურც. 15.

საკითხს, იგი განსახილველად გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომლის დასკვნა შემდეგ კვლავ კავბიუროს პლენუმს უნდა განეხილა[68].

ლორეს ნეიტრალური ზონის, ახალქალაქისა და ხრამის რაიონების სომხეთისათვის გადაცემის საკითხზე კავბიუროს დადგენილების თანახმად, 1921 წლის 16 ივლისს იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლად შექმნილმა პოლიტბიურომ (არსებობდა 1921 წლის ივლის-აგვისტოში). მთლიანად დავიმოწმოთ პოლიტბიუროს ოქმის ნაწილი, რომელიც ტერიტორიულ საკითხს ეხება:

ო ქ მ ი № 1

საქ. კპ- ცკ-ის პოლიტბიუროს სხდომისა. 1921 წლის 16 ივლისი.
ესწრებოდნენ ფ. მახარაძე, ბ. მდივანი, მ. ორახელაშვილი.
დღის წესრიგი:

1) ნეიტრალური ზონის საკითხი

2) ახალქალაქისა და ხრამის რაიონების საკითხი

მოისმინეს	დაადგინეს
ნეიტრალური ზონის შესახებ	1. დადასტურდეს რკპ(ბ) ცკ-ის კავბიუროს დადგენილება საბჭოთა სომხეთისათვის ამ ზონის გადაცემის შესახებ (მხარი დაუჭირეს მახარაძემ, ორახელაშვილმა. ამხ. მდივანს მიაჩნია, რომ ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია კავბიუროს დადგენილებით. ასე რომ არ იყოს, იგი მიზანშეწონილად ჩათვლიდა მოსახლეობის გამოკითხვას (პლებისციტს).
2. იმის შესახებ, რომ ახალქალაქისა და ხრამის რაიონები გადაეცეს საბჭოთა სომხეთს გადასახლება-დასახლების ფონდისათვის	2. პოლიტიკური მოსაზრებებისა და იმის საფუძველზე, რომ ახალქალაქის რაიონი ეკონომიკურად თბილისთან არის დაკავშირებული, სომხეთის წინადადება მიუღებლად ჩაითვალოს[69].

[68] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 6, ფურც. 41.

[69] იქვე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს 1921 წლ
3 აგვისტოსაც მოუხდა ამ საკითხზე მსჯელობა. მისი პოზიცია ნა
ლად ჩანს ამ დოკუმენტიდანაც:

ოქმი № 28

საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმის სხდომისა. 1921 წ. 3 აგვისტო.

ესწრებოდნენ: ცკ-ის წევრები ამხ. ამხ. ორახელაშვილი, ოკუჯა
ნაზარეტიანი, მახარაძე, მდივანი, ცინცაძე, ელიავა, ქავთარაძე, კანდ
ლაკი, მარიამ ორახელაშვილი, ფიგატნერი, ღოლობერიძე.

სხდომა გაიხსნა საღამოს 8 ს. 45 წ.

მოისმინეს	დაადგინეს
4. ნეიტრალური ზონის შესახებ	1. დადასტურდეს პოლიტბიუროს დადგენილება (ოგულისხმება საქართველოს კპ ცკ-ის პოლიტბიურო — ლ. თ.), რომელსაც საფუძვლად უდევს კავბიუროს დადგენილება, რომ ნეიტრალური ზონა გადავიდეს სომხეთის შემადგენლობაში. ხმა მისცა 5-მა, წინააღმდეგი იყო 4. 2. იმის გამო, რომ ნეიტრალური ზონის საკითხის განხილვის დროს კავბიუროში არ ჰქონიათ საქართველოს კპ ცკ-ის აზრი, ეთხოვოს კავბიუროს ხელახლა განიხილოს ეს საკითხი. თავის მხრივ ცკ-ს საჭიროდ მიაჩნია რეფერენდუმების მოწყობა აღნიშნულ ზონაში. ხმა მისცა 5-მა, წინააღმდეგი იყო 5 (ცკ-ში გამართული კენჭისყრის შედეგები ეცნობოს კავბიუროს).
5. სომხეთისათვის ახალქალაქისა და ხრამის რაიონების მიერთების შესახებ	დადასტურდეს პოლიტბიუროს დადგენილება იმის შესახებ, რომ ამხ. სომხებს უარი ეთქვათ სომხეთის სსრ-თვის ახალქალაქის და ხრამის რაიონების დათმობის წინადადებაზე[70].

[70] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1. საქ. ფურც. 1.

როგორც ვხედავთ, ლორეს ნეიტრალური ზონის საკითხში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის პოზიციაზე, საქართველოს დელეგაციისათვის (სვანიძე, თოდრია) ადრე მიცემულ დირექტივაზე და პარტიული დისციპლინის წესით დამორჩილებოდა ზემდგომი პარტიული ორგანოს — კავბიუროს გადაწყვეტილებას.

როგორ გადაწყდა ზაქათალას საკითხი? ამ ისტორიული ქართული მიწის შემოერთებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დაიწყო, რასაც წარმატება არ მოჰყოლია. წარუმატებლად დამთავრდა იგი საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც. ეჭვს გარეშეა, ამაში გარკვეული როლი შეასრულა „დიდმა პოლიტიკამ", რაც მუსლიმური აზიისადმი საბჭოთა ქვეყნის კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას ეფუძნებოდა.

1921 წლის იელისის დამდეგამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა მაინც იმედოვნებდნენ, რომ ლორეს ნეიტრალური ზონა და ზაქათალას ოლქი საქართველოს გადმოეცემოდა. ამას ისინი, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ გადაწყდა ლორეს საკითხი. 5 ივლისს კი საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციათა კონფერენციაზე გაირკვა, რომ ზაქათალა აზერბაიჯანის შემადგენლობაში რჩებოდა და ეს ოფიციალურადაც უნდა ყოფილიყო დეკლარირებული. წინასწარ შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოსა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების რევკომის თავმჯდომარეებმა ფილიპე მახარაძემ და ნარიმან ნარიმანოვმა[71] 1921 წლის 15 ნოემბერს კი საქართველოსა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების სახელმწიფო საზღვრების თაობაზე შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს სსრ რევკომის თავმჯდომარემ ბუდუ მდივანმა და აზერბაიჯანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ მუხტარ გაჯიევმა. ცოტათი ადრე, 1921 წლის 6 ნოემბერს ბუდუ მდივნისა და ალექსანდრე მიასნიკოვის მიერ ხელმოწერილი იქნა დოკუმენტი, რომლის მიხედვით დადგინდა საქართველოსა და სომხეთის სს რესპუბლიკების სახელმწიფოს საზღვარი. ამ ოფიციალური შეთანხმებით ხორცი შეესხა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს გადაწყვეტილებას

---

[71] იხ.: კ. შ ე ლ ი ა. ვ. ი. ლენინი და საბჭოთა ხელისუფლების პირველი ღონისძიებანი საქართველოში, თბ., 1980, გვ. 49.

სომხეთის სსრ რესპუბლიკის შემადგენლობაში ლორეს ყოფილი ნეიტრალური ზონის, ხოლო აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის შემადგენლობაში ზაქათალის (როგორც ითქვა, შეთანხმება მიღწეულ იქნა საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციათა კონფერენციაზე) დატოვების შესახებ.

1921 წელსვე დადგინდა საქართველო-თურქეთის ახალი სახელმწიფო საზღვარი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა თითქმის დასრულებული ჰქონდა საბჭოთა რუსეთს, როცა 1921 წლის 16 მარტს ქ. მოსკოვში ხელშეკრულება დადო თურქეთთან. ამ ხელშეკრულებით განისაზღვრა თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი. საბჭოთა რუსეთმა უარი თქვა ართვინ-არტაანის (არდაგანის) და ყარსის ოლქებზე — ისტორიულად ქართულ და სომხურ მიწებზე — რომლებიც 1878 წლის ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით თურქეთს ჩამოერთვა და რუსეთს გადაეცა. მე-20 საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს კი საერთაშორისო კონიუნქტურა იცვლება. რუსეთი იძულებული ხდება ყარსი და არდაგანი უკან დაუბრუნოს თურქეთს. ბათუმს კი არ თმობს.

საბჭოთა რუსეთს ბათუმი თურქეთისათვის არ ემეტებოდა საქართველოს გასაბჭოებამდეც. იგი ხომ საქართველოს დაპყრობას ამზადებდა და ცდილობდა ბათუმში საბჭოთა საქართველოს, ე. ი. ფაქტობრივად საბჭოთა რუსეთისათვის შეენარჩუნებინა. ჯერ კიდევ 1920 წლის 10 დეკემბერს რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გ. ვ. ჩიჩერინი საქართველოში რსფსრ სრულუფლებიან წარმომადგენელს ა. ლ. შეინმანს უდეპეშებდა:

„По всем признакам, попытка примирения между Антантой и кемалистами не налаживается. Англия отказывает в требуемых уступках, и у кемалистов усиливается опять советская ориентация. По всем сведениям, наш престиж среди масс Турции настолько велик, что правое крыло кемалистов не могло бы в настоящий момент резко повернуть политику против нас и может только интригами и вредными для нас дипломатическими действиями нам мешать.

Это не избавляет нас от возможности возникновения более серьезной опасности с этой стороны в будущем. В частности переход Батума в руки турок неприемлем (подчеркнуто нами — Л. Т.). Мы не должны покидать нашу линию

дружественной политики относитльно кемалистов, удерживая их в то же время от нежелательных для нас действий. Слишком много причин продолжает еще толкать их к дружбе с нами, но надо проявлять твердость.

О возобновлении выдачи оружия и золота инструкции даны Серго (подразумевается Г. К. Орджоникидзе — Л. Т.). В частности, поскольку у Вас золото, выдавайте его постепенно, руководствуясь указаниями Серго. Чичерин"[72].

1921 წლის 18 იანვარს კი, როცა საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილების საქართველოში შემოჭრამდე 1 თვეც კი აღარ რჩებოდა, იგივე ჩიჩერინი კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს სერგო ორჯონიკიძეს ატყობინებდა:

„Пусть тов. Мдивани (подразумевается Буду Мдивани, работавший тогда представителем РСФСР в Турции — Л. Т.) особенно налегает на необходимость вывести Армению из катастрофического положения. Турки не только не оказывают содействия Советской братской республике, но блокируют ее, грабят, осуждают на голод. Дело всякой советской республики есть наше дело и мы были бы не верны себе, если бы равнодушно смотрели на гибель братской Советской республики.

Пусть тов. Мдивани успокоит турок и насчет переговоров с Англией, он знает, в чем дело. **Если бы заговорили о Батуме, пусть он не забывает, что мы не можем согласиться на взятие турками Батума, но все территориальные вопросы мы разрешим в Москве** (подчеркнуто нами — Л. Т.). **Аккуратность дальнейшей выдачи** оружия находится в Ваших руках, но пусть Мдивани наладит технику.

Мы сообщаем туркам о наших переговорах с Англией; пусть они держат нас в курсе своих переговоров с Антантой и Константинополем. Пусть Мдивани позаботится о нашей связи с Ангорой; мы не отвечали на турецкие ноты потому, что не получали их. Чичерин»[73].

---

[72] Документы внешней политики СССР. ტ. III, 1 июля 1920 г. — 18 марта 1921, ə., 1959, გვ. 374,

[73] იქვე, გვ. 479.

ამავე საკითხს ეხება კიდევ ერთი დოკუმენტი. 1921 წლის 9 მარტს, როცა მოსკოვში თურქეთისა და რუსეთის დელეგაციების კონფერენცია მიმდინარეობდა (1921 წლის 16 თებერვალი — 16 მარტი), ვ. ი. ლენინი გ. ვ. ჩიჩერინს სწერდა: „ამხ. ჩიჩერინ, მეტად შეშფოთებული ვართ იმით, რომ თურქები აჭიანურებენ ბათუმის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას, დროს იგებენ, სანამ მათი ჯარები ბათუმისაკენ მიდიან. ასეთი გაჭიანურების საშუალება არ უნდა მივცეთ. განიხილეთ ასეთი ღონისძიება: თქვენ ნახევარი საათით შეწყვეტთ თქვენს კონფერენციას ჩემთან ლაპარაკისათვის, ხოლო სტალინი ამ დროს გულსადილად მოელაპარაკება თურქეთის დელეგაციას, რათა გაირკვეს საქმე და დღესვე მიყვანილ იქნეს ბოლომდე. ლენინი“[74].

ეს დოკუმენტები თვალნათლივ ადასტურებენ, რომ: 1. საბჭოთა რუსეთი ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალა თურქეთისათვის ბათუმის დაკავებაში; 2. საბჭოთა რუსეთი ფინანსურ და სამხედრო დახმარებას უწევდა თურქეთს.

თურქეთისადმი რუსეთის დახმარება გაპირობებული იყო ანტანტის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებით. ამ ბრძოლაში თურქეთს გარკვეული როლი ეკისრებოდა. დახმარება საკმაოდ სოლიდური იყო. 1920 წლის ზაფხულში, მაგალითად, თურქეთმა საბჭოთა რუსეთიდან მიიღო: 6000 შაშხანა, 5 მილიონზე მეტი ვაზნა, 18 ათასამდე საარტილერიო ჭურვი. საბჭოთა რუსეთმა თურქეთს ფულადი დახმარებაც აღმოუჩინა — 5 მილიონი მანეთი ოქროთი.

1920 წლის სექტემბერში რსფსრ მთავრობამ თურქეთის წარმომადგენლებს ერზრუმში გადასცა 200,6 კგ ოქრო ზოდებით[75]. 1920 წლის 27 დეკემბრიდან 1921 წლის 9 იანვრამდე კავკასიის ფრონტის სარდლობამ ტუაფსეში თურქეთის მისიას გადასცა 6 ქვემეხი და 9 ათასი ყუმბარა. აქედანვე 1921 წლის 14 თებერვალს (დავაკვირდეთ თარიღებს) თურქეთში ზღვით გაიგზავნა 3733 შაშხანა და 5 მილიონზე მეტი ვაზნა[76]. 1921 წლის 14 თებერვალს საბჭოთა რუსეთს უკვე დაწყებული ჰქონდა ომი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასაპყრობად. ამ პერიოდში კი მას ასეთი ბევრისმთქმელი ალიანსი ჰქონდა თურქეთთან.

---

[74] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 45, გვ. 65.

[75] იხ.: А. Р. Ю с у п о в. Стамбул. М., 1970, გვ. 119; Документы внешней политики СССР, ტ. III, გვ. 675.

[76] იქვე, გვ. 112.

საბჭოთა რუსეთის და თურქეთის დაახლოება ამ ორ ქვეყანას შორის ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულებით დაგვირგვინდა. იგი, როგორც ითქვა, 1921 წლის 16 მარტს დაიდო. ამ ხელშეკრულებით საბჭოთა მთავრობამ ოფიციალურად ცნო თურქეთის დამოუკიდებლობა. უარი თქვა ამ ქვეყნის მიმართ მეფის რუსეთის ყველა განსაკუთრებულ პრივილეგიაზე და დაუტოვა მას ვრცელი ტერიტორია, რომელიც რუსეთის იმპერიაში შედიოდა. ამავე დროს მხარეები შეთანხმდნენ, რომ საბჭოთა რუსეთი თურქეთს საჩუქრად გადასცემდა 10 მლნ მანეთს (ოქროთი) და გაუძლიერებდა მას საომარი საჭურვლით დახმარებას. ამ მოლაპარაკების თანახმად საბჭოთა რუსეთმა თურქეთს მხოლოდ 1921 წელს გადასცა 6,5 მლნ მანეთი (ოქროთი), 33275 შაშხანა, 327 ტყვიამფრქვევი, 58 ათასამდე ვაზნა, 54 საარტილერიო ქვეინ 129 ათასზე მეტი ყუმბარა, 20 ათასი აირწინაღი და სხვ. 1921 წლის 3 ოქტომბერს თურქეთს გადაეცა ორი სამხედრო-საზღვაო გემი — „ჟივოი" და „ჟუტკი". თურქეთისადმი რუსეთის დახმარება გრძელდებოდა მომდევნო წლებშიც. 1922 წელს თურქეთს საბჭოთა რუსეთმა გადასცა 3,5 მლნ მანეთი (ოქროთი) და საომარი საჭურველიც[77].

რუსეთ-თურქეთის მოსკოვის ხელშეკრულებით ბათუმის ბედიც გადაწყდა. იგი საქართველოს უნდა დარჩენოდა, მაგრამ ქართულ ჯარებს გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით ამის შემდეგაც მოუხდა ბრძოლა ბათუმის განთავისუფლებისათვის. ბათუმი საქართველომ შეინარჩუნა. ამაში გარკვეული როლი შეასრულა მოლაპარაკებამ, რომელიც 1921 წლის 17—18 მარტს ქ. ქუთაისში გაიმართა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და საქართველოს სსრ რევკომის წარმომადგენლებს შორის. შეიქმნა დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერდნენ საქართველოს რევკომის რწმუნებული მამია ორახელაშვილი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებული გრიგოლ ლორთქიფანიძე. მოლაპარაკება მიმდინარეობდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის აბელ ენუქიძის თავმჯდომარეობით. მასში მონაწილეობდა, აგრეთვე, საბჭოთა რუსეთის მეორე წარმომადგენელი ალექსანდრე სვანიძე.

მხარეები შეთანხმდნენ: 1. მოხდეს დაუყოვნებლივ ლიკვიდაცია საომარი მოქმედებისა. 2. დემოკრატიული მთავრობა ხსნის თავის

---

[77] იხ.: Документы внешней политики СССР. ტ. III, გვ. 675; ა. რ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს დასხ. ნაშრ., გვ. 120.

ფრონტს საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, სცლის საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც მას უჭირავს და საშუალებას აძლევს რევოლუციური კომიტეტის განკარგულებაში მყოფ ჯარებს, შევიდეს ბათუმის ოლქში მის დასაკავებლად და დასაცავად გარეშე მტრის შემოსევისაგან... 3. არაუგვიანეს ვიდრე 15 მარტისა თანრთვით ქ. ბათუმსა, მის რაიონსა და რკინიგზის ლიანდაგზე საჯავახოდან ვიდრე ბათუმამდე და საერთოდ იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს უკავია დემოკრატიულ მთავრობას, რჩება ამ უკანასკნელის ადმინისტრაცია და ხელისუფლება; 4. რევკომის განკარგულებაში მყოფი ჯარები შედიან ბათუმის ოლქში, როგორც მეგობრულად განწყობილი ძალა დემოკრატიული მთავრობის და მის მხედრობისადმი..."[78].

იქვე გადაწყდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც უკვე ბათუმში იმყოფებოდა და საზღვარგარეთ გასახიზნად ემზადებოდა, სპეციალურად გამოგზავნიდა ცარიელ ვაგონებს, რომ რკინიგზით დაჩქარებულიყო წითელი არმიის ნაწილების შეყვანა ბათუმში. ეს აუცილებელი იყო თურქი ასკერებისაგან ბათუმის განთავისუფლების დასაჩქარებლად. თურქეთის ჯარის ნაწილები ბათუმში დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თანხმობით შემოვიდნენ, მაგრამ შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ თვით დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადამწყვეტი ზომები თურქეთის ჯარისაგან ბათუმის გასათავისუფლებლად.

ქუთაისის მოლაპარაკების საქმის კურსში, ცხადია, ვ. ი. ლენინიც იყო. ამ მოლაპარაკების შედეგებზე იგი პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე (1921 წლის 11 აპრილი), რომელზეც კონცესიების საკითხი განიხილეს, აღნიშნავდა: „ერთი ცნობით საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ადრე დადო კონცესია, რომელიც საერთოდ ჩვენთვის მისაღებია. წინასწარ მე მხოლოდ ის შევძელი, რომ დავუკავშირდი ქართველ ამხანაგებს და ვესაუბრე ამხ. ენუქიძეს, სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანს, თვითონაც ქართველს, რომელიც იქ იყო და საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან დადო ერთი, მართალია, არასაკონცესიო ხელშეკრულება იმის თაობაზე, რომ ისინი ჩვენ წინააღმდეგობის გაუწევლად გვაძლევენ საქართველოს 1/6 ნაწილს და ინარჩუნებენ ხელშეუხებლობის გარანტიას. ამხ.

---

[78] სუ ი ცსა, ფ. 281, საქ. 168, ფურც. 12.

ენუქიძის მონაწილეობით ხელმოწერილ ამ ხელშეკრულების შემდეგ მათ მაინც ამჯობინეს, მიუხედავად ხელშეუხებლობის გარანტიისა, თვითონ ბათუმიდან კონსტანტინოპოლს გამგზავრებულიყვნენ, ასე რომ დადებითიც მოვიგეთ და უარყოფითიც — ისიც, რომ შევიძინეთ ტერიტორია — არა რუსეთისათვის, არამედ საბჭოთა საქართველოსათვის — ბათუმი და მისი მიდამოები, და ისიც, რომ დავკარგეთ კონსტანტინეპოლს გამგზავრებული მენშევიკები, არც თუ მცირე რაოდენობისა"[79].

როგორც ვხედავთ, ვ. ი. ლენინი ადასტურებს, რომ საბჭოთა მთავრობამ „ხელშეუხებლობის გარანტია" შესთავაზა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, რომელმაც შესაძლებლობა მისცა წითელ არმიას წინააღმდეგობის გაუწევლად დაეკავებინა ტერიტორია საჯავახოდან ბათუმამდე (შდრ. ვ. ი. ლენინი — „საქართველოს 1/6 ნაწილი").

რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების საფუძვლად დაედო ყარსის ხელშეკრულება („მეგობრობის ხელშეკრულება"), რომელიც იმავე წლის 13 ოქტომბერს გაფორმდა თურქეთსა და ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის.

ყარსის მოლაპარაკება (კონფერენცია) 1921 წლის 25 სექტემბრიდან 13 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა. საქართველოს მხრიდან მას რესპუბლიკის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი შალვა ელიავა და რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და ფინანსთა სახალხო კომისარი ალექსანდრე სვანიძე ესწრებოდნენ. თურქეთის მხარე (თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობა) წარმოდგენილი იყო დიდი ეროვნული კრების დეპუტატის, აღმოსავლეთის ფრონტის სარდლის ქიაზიმ ყარა-ბექირ-ფაშას სახით (ესწრებოდნენ სხვებიც) რუსეთის მხრიდან მოლაპარაკებას ესწრებოდა იაკობ განეცკი — რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში.

„მეგობრობის ხელშეკრულება" შედგებოდა 20 მუხლისა და 4 დამატებისაგან. მან გაუქმებულად და ბათილად მიიჩნია ადრე არსებული მთავრობის მიერ სხვა მთავრობებთან დადებული ყველა ხელშეკრულება. გაუქმდა „კაპიტულაციების რეჟიმი" თურქეთში. საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი არ ცნობდნენ არც ერთ საზავო

---

[79] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 42, გვ. 312—313.

ხელშეკრულებას, რომელიც მიუღებელი იქნებოდა თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობისათვის. თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი შეთანხმდნენ იმაზე, რომ ნახიჭევანის ოლქი მიიღებდა ავტონომიური ტერიტორიის სტატუსს აზერბაიჯანის მფარველობის ქვეშ.

„მეგობრული შეთანხმების" რამდენიმე მუხლი უშუალოდ ეხებოდა საქართველოს. დავიმოწმოთ ზოგიერთი მათგანი[80].

ხელშეკრულების მე-5 მუხლში, მაგალითად, ვკითხულობთ: „თურქეთი თანხმდება დაუთმოს საქართველოს სიუზერენიტეტი ქალაქსა და ნავსადგურ ბათუმს და ტერიტორიაზე, რომელიც ამ ხელშეკრულების IV მუხლით მითითებული საზღვრის ჩრდილოეთით ძევს და შეადგენს ბათუმის ოლქის ნაწილს, იმ პირობით, რომ:

1. მოსახლეობა იმ ადგილებისა, რომლებიც ამ მუხლშია მითითებული, ისარგებლებს ფართო ადგილობრივი ავტონომიით ადმინისტრაციული თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფს თითოეული თემისათვის მის კულტურულ და რელიგიურ უფლებებს, და მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა, დაადგინოს მითითებულ ადგილებზე მიწის კანონი, რომელიც შეესატყვისება მის სურვილებს.

2. თურქეთისათვის უზრუნველყოფილი იქნება ყოველგვარი საქონლის თავისუფალი ტრანსპორტი, რომელიც გაიგზავნება თურქეთში და თურქეთიდან, ბათუმის ნავსადგურის გავლით, უბაჟოდ, რაიმე შეფერხების გარეშე და ყოველგვარი გადასახადით მათ დაუბეგრავად, თურქეთისათვის ბათუმის ნავსადგურით სარგებლობის უზრუნველყოფით ამაზე სპეციალური გამოსაღებების გადაუხდელად...".

ხელშეკრულების მე-7 მუხლში ნათქვამია: „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა და თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობა თანხმდებიან გაუადვილონ სასაზღვრო ზონის მოსახლეთ საზღვრებზე გადასვლა, საბაჟო, პოლიტიკური და სანიტარული წესების დაცვის პირობით, რომელთაც შერეული კომისია დააღგენს ამ მიმართებით".

მე-8 და მე-9 მუხლებში ვკითხულობთ: „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა და თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობა, ყურად იღებს რა ორივე ქვეყნის სასაზღვრო

---

[80] Документы внешней политики СССР, მ., 1959, ტ. 3, გვ. 598. — თარგმანი ეკუთვნის პროფესორ ნოდარ კიკვაძეს (იხ.: მისი პუბლიკაცია „კიდევ ერთხელ ყარსის ხელშეკრულების შესახებ". — გაზ. „დრონი", 1992, 21 აგვისტო.

ადგილების მოსახლეთათვის საზაფხულო და საზამთრო საძოვრებით სარგებლობის აუცილებლობას, რომლებიც საზღვრის მეორე მხარეს ძევს, შეთანხმდნენ მისცენ ამ მოსახლეთ უფლება საზღვარზე გადასვლისა მათი საქონლის ფარებით და ჩვეულებრივი საძოვრებით სარგებლობისა, საბაჟო წესები, ისევე როგორც პოლიციური, სანიტარული და სხვა ღონისძიებანი საზღვრის გადასვლის თაობაზე, დადგინდება შერეული კომისიის მიერ".

„რათა უზრუნველყოფილი იქნეს სრუტეების გახსნა და მათში ყველა ხალხის სავაჭრო გემების გასვლის თავისუფლება, თურქეთი და საქართველო თანხმდებიან გადასცენ შავი ზღვისა და სრუტეების საერთაშორისო სტატუსის საბოლოო შემუშავება სანაპირო სახელმწიფოთა დელეგატების მომავალ კონფერენციას, იმ პირობით, რომ მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებანი არ მიაყენებენ ზიანს თურქეთის სრულ სუვერენიტეტს, ისევე როგორც თურქეთისა და მისი დედაქალაქის კონსტანტინოპოლის უშიშროებას".

ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოთა ურთიერთობის საყურადღებო პრინციპს შეიცავდა მე-10 მუხლი:

„ხელისმომწერი მხარეები ვალდებულებას იღებენ არ დაუშვან თავის ტერიტორიაზე შექმნა და ყოფნა ორგანიზაციებისა ან ჯგუფებისა, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ სხვა (მეორე) ქვეყნის ან მისი ტერიტორიის ნაწილის მთავრობის როლზე, ისევე როგორც ჯგუფების ყოფნა, რომელთაც მიზნად აქვთ ბრძოლა მეორე ქვეყნის წინააღმდეგ".

16 როგორც ითქვა, ყარსის ხელშეკრულებამ დაადასტურა მოსკოვის 16 მარტის ხელშეკრულების ის ნაწილიც, რომელიც ქართული ტერიტორიის — არდაგანის თურქეთის მფლობელობაში დარჩენას ეხებოდა[61]. ისიც უნდა ითქვას, რომ თურქეთმა მოიწადინა ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან — საქართველოსთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან — ცალ-ცალკე ხელშეკრულებები დაედო, მაგრამ ეს ვერ განახორციელა, რადგან დიდი იყო წინააღმდეგობა როგორც ამ რესპუბლიკათა მთავრობების, ისე რკპ(ბ) ცკ-ის კავბიუროს მხრივ. ამით ერთხელ კიდევ გაესვა ხაზი ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფიქტიურ დამოუკიდებლობას.

---

[61] ეს ფაქტი ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა, ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, უარყოფითად შეაფასა,

საქართველოს რესპუბლიკის იმ ნაწილების მოსახლეობისა და ფართობის ოდენობა, რომლებიც გადაეცა აზერბაიჯანის სსრ-ს, სომხეთის სსრ-ს, რსფსრ-ს და თურქეთს 1921-დან 1928 წლამდე, აგრეთვე აღნიშნული რესპუბლიკების იმ ნაწილებისა, რომლებიც საქართველოს სსრ-ს გადაეცა დროის იმავე პერიოდში.

№№ რიგზე	ადგილის დასახელება	ფართობი კვ. კმ-ობით	მოსახლეობის რაოდენობა	ვის ვადაეცა	აქტი, რომლის ძალითაც მოხდა ადგილის გადაცემა	შენიშვნა
1	ყოფ. ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი (მაჭახელა, ბორჩხა და მაკრიალი)	936,15	16380	თურქეთს	ყარსის 1921 წ. ხელშეკრულება	მოსახლეობის რაოდენობა აღებულია 1917 წლის კავკასიის კალენდრიდან. ფართობი გამოთვლილია „ამსტერდამ-ის სისტემის ბლანიმეტრით 5-ვერსიანი მასშტაბის რუკაზე
2	ართვინის ოლქი	3388,82	56480			
3	არდაგანის ოლქი	5644 74	58869			
4	ვორონცოვ-ლორის რაიონი (ბორჩალოს მაზრის სამხ. ნაწილი)	2367,44	37800	სომხეთის სსრ-ს	საქართველოს რევკომის 1921 წ. დეკლარაცია	
5	ზაქათალის ოლქი	3993,89	92608	აზერბაიჯანის სსრ-ს		
6	გარეჯის ველი და ქვემო ყარაბაზის სექტორი (ტ.ბილისის მაზრისა)	658,84	მოსახლეობა არ არის		საქ. სსრ და აზ. სსრ რევკომების შეთანხმება და ამიერკავკასიის ცაკის დადგენილება	
7	ელდარი (სოლნაღის მაზრისა)	546,69			სსრკ ცაკის 1925 წ. დადგენილება	
8	ლოკ-ლაღვარის ქედის ჩრდ. ფერდობი (ბორჩალოს მაზრა)	207,94		სომხეთის სსრ-ს		
9	პილენკოეო (აფხაზეთი)	268.15	3500	რსფსრ-ს	სსრკ ცაკის 1927 წ. დადგენილება	
10	მელხესტი და ცეკარო (დუშეთის მაზრისა)	166.78	1600			
11	წინა მინდორი (ალაზნისპირა ველი, ზაქათალის მაზრისა)	188,44	მოსახლეობა არ არის	საქართველოს სსრ-ს	ამიერკავკასიის ცაკის 1923 წლის ღადგენილება	
12	ჩათმა (ველი, კაზახის მაზრისა)	132,66			ამიერკავკასიის ცაკის 1927 წლის დადგენილება	

ყარსის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციამ დააყენა საკითხი, რომ თურქეთს თავისი საზღვარი სოფლების სარფისა და ქავთარეთის სამხრეთით გადაეწია. თურქეთი ამ მცირე დათმობაზეც არ წავიდა.

გასაბჭოების პირველ წლებში საქართველოს ტერიტორიული ცვლილებების შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მომდევნო გვერდზე დამოწმებული ცხრილი, რომელიც შედგენილია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოში 1937 წელს[82].

გარკვეული ტერიტორიული ცვლილებები საქართველოში შემდეგაც ხდებოდა. მაგალითად, პილენკოვო (ამჟამად განთიადი) ერმოლოვკათი (ამჟამად ლესელიძე) 1929 წელს საქართველოს გადმოეცა[83]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 1921—1928 წწ., აგრეთვე მომდევნო წლებში საქართველოს მიერ დაკარგული ტერიტორიის მოცულობისა, თუ მოსახლეობის რაოდენობის შესახებ სხვადასხვა წყაროში ოდნავ განსხვავებულ ცნობებს ვხვდებით. მათი დაზუსტება, აგრეთვე ცხრილში დასახელებული დოკუმენტების (ამიერკავკასიის სს რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის დადებული ყარსის ხელშეკრულება, ამიერკავკასიის სს რესპუბლიკათა რევკომების დეკლარაციები და შეთანხმებანი, ამიერკავკასიის სფსრ და სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთა დადგენილებანი) კრიტიკული ანალიზი და მიუკერძოებელი შეფასება ჩვენი ისტორიოგრაფიის გადაუდებელი ამოცანაა.

---

[82] ამ მასალის მოძიებაში დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებ პროფესორ ეარნაოზ ლომაშვილს, დოცენტ ენვერ თვარაძეს და საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორს ლევან დალაქიშვილს.

[83] З. В. Анчабадзе, Очерки этнической истории абхазского народа, სოხუმი, 1976, გვ. 124.

მესამე თავი

საქართველო ამიერკავკასიის სს რესპუბლიკათა ფედერაციულ გაერთიანებაში

1. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეა ამიერკავკასიელ ბოლშევიკებს ეკუთვნოდათ

რუსეთის მიერ დაყპრობილი საქართველო, ცხადია, დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღარ წარმოადგენდა, თუმცა, როგორც ითქვა, იგი სუვერენულ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად იწოდებოდა. საქართველოს ეს ფორმალური სუვერენულობა სულ მალე ახალი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა — 1921 წელსვე გაჩაღდა კაპპანია ამიერკავკასიის სს რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანებისათვის, რაც 1922 წლის მარტში ამიერკავკასიის ფედერაციის, ხოლო იმავე წლის დეკემბერში ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შექმნით დამთავრდა. ამ სახელმწიფოებრივმა გაერთიანებამ კიდევ უფრო შეზღუდა საბჭოთა საქართველოს ისედაც მოჩვენებითი „დამოუკიდებლობა“.

უწინარეს ყოვლისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ არც ერთ პოლიტიკური თუ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხს არ გამოუწვევია ისეთი ცხარე კამათი, როგორიც ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა და შენარჩუნებისათვის ბრძოლას მოჰყვა. დამახასიათებელია ისიც, რომ დისკუსიის ცალკეულმა მონაწილეებმა (უმთავრესად კომუნისტთა რიგებიდან), ყოველთვის ვერ გამოავლინეს პოლიტიკური დისკუსიის კულტურის სათანადო დონე. აზრთა ჭიდილს, ცხარე დავას, რაც წლების განმავლობაში მიმდინარეობდა, ხშირად თან სდევდა დაპირისპირებულ მხარეთა ურთიერთლანძღვა და პირადი შეურაცხყოფა, რამაც, რასაკვირველია, კიდევ უფრო გაართულა

ისედაც მწვავე პრობლემის გადაწყვეტა. ამას საბჭოთა ისტორიოგრაფიაც ადასტურებს[1].

დავა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის თაობაზე თვით კომუნისტურ პარტიაში გაჩაღდა. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეას ცალსახად იწონებდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო (შემდეგ — რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი) სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით. მას წინააღმდეგობას უწევდა კომუნისტთა ერთი ჯგუფი ბუდუ მდივნის მეთაურობით.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბებულია არგუმენტები, რომელთა მიხედვით რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების მომხრე პოლიტიკური მოღვაწეები (შემდეგ — ისტორიკოსებიც) ცდილობდნენ დაესაბუთებინათ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის აუცილებლობა. „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში" ნათქვამია, რომ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების აუცილებლობა ნაკარნახევი იყო ქვეყნის საშინაო და საგარეო ხასიათის შემდეგი ფაქტორებით: 1. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მძლავრი ანტისაბჭოთა პარტიების მოღვაწეობით, რაც საფრთხეს უქმნიდა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას ქვეყნის შიგნით; 2. იმპერიალისტური ინტერვენციის საფრთხით, განსაკუთრებით თურქეთის მხრივ, რომელსაც აქეზებდნენ და მხარს უჭერდნენ ანტანტის ქვეყნები საბჭოთა ამიერკავკასიის წინააღმდეგ; 3. იმპერიალისტური და სამოქალაქო ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის აუცილებლობით, რომლის გარეშეც შეუძლებელი იყო მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცება და სოციალიზმის მშენებლობა ამიერკავკასიაში; 4. ამიერკავკასიის ხალხთა შორის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მიერ ჩათესილი შუღლისა და უნდობლობის აღმოფხვრის, ეროვნული მშვიდობიანობის შექმნისა და განმტკიცების აუცი-

---

[1] საქართველოსა და ამიერკავკასიის უახლესი პერიოდის ისტორიოგრაფიაში ბევრი როლი მოიძებნება ისეთი თემა, რომელსაც მკვლევართა ესოდენ ცხოველი ინტერესი გამოეწვიოს — ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის ისტორია მრავალი საბჭოთა თუ უცხოური ავტორის ნაშრომშია გაშუქებული. პრობლემის მრავალისმომცველობითაც იყო განპირობებული, რომ ამ თემაზე დაიწერა ბევრი სტატია, ბროშურა, წიგნი, დისერტაცია თუ მონოგრაფია, მათს ისტორიოგრაფიულ მიმოხილვას წინამდებარე ნაშრომში ადგილი ვერ დაეთმობა. ამიერკავკასიის ფედერაციის ისტორიოგრაფიის დაწერა ავტორთა კოლექტივის სამომავლო საქმედ უნდა მივიჩნიოთ.

ლებლობით; 5. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ურთიერთდახმარებისა და სოციალისტური თანამშრომლობის აუცილებლობით.

„ნარკვევების“ ავტორთა აზრით, ამიერკავკასიაში ანტისაბჭოთა ფრონტის ლიკვიდაცია, საგარეო უშიშროების უზრუნველყოფა, სახალხო მეურნეობის აღდგენა, ეროვნული მშვიდობიანობის დამყარება და სოციალისტური თანამშრომლობის განვითარება ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, გარდუვალს ხდიდა შემდეგ კონკრეტულ ამოცანათა განხორციელებას: 1. შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გაერთიანება (რამდენიმე ანტისაბჭოთა პარტია მოქმედებდა ამიერკავკასიის მასშტაბით, მათ ცალკეულ რესპუბლიკებში ჰქონდათ ფართოდ განშტოებული არალეგალური ორგანიზაციები). 2. წითელი არმიის ეროვნული ნაწილების შექმნა და საერთო სარდლობისადმი მისი დამორჩილება, საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან ურთიერთობის დამყარება სამხედრო კონვენციის საფუძველზე; 3. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობათა მიერ დაფლეთილი ამიერკავკასიის რკინიგზების გაერთიანება; 5. ამიერკავკასიაში ფულის ერთიანი სისტემის შემოღება; 6. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბაჟოებისა და სხვა შემზღუდავ ღონისძიებათა გაუქმება; 7. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შორის საზღვრების მოწესრიგება; 8. ეროვნულ რესპუბლიკათა ეკონომიკური ღონისძიებების ერთიანი ეკონომიკური გეგმით წარმართვა ურთიერთდახმარებისა და სოციალისტური თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად; 9. ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ღონისძიებათა გაერთიანება პარტიულ-პოლიტიკური მუშობის ერთიანი გეგმით[2].

ამიერკავკასიის ფედერაციის მომხრენი სხვა ფაქტორებსაც ასახელებდნენ, მაგრამ აქ ჩამონათვალიც ნათლად მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობის ამოცანათა განხორციელებას აკისრებდნენ ისინი ამიერკავკასიის ფედერაციას, ისე გამოჰყავდათ, თითქოს, თუ ამიერკავკასიის ფედერაცია არ შეიქმნებოდა, ამიერკავკასიის რესპუბლიკები განადგურდებოდნენ, მათ შინაური და გარეშე მტრები[3] მოუღებდნენ ბოლოს. არადა ამიერკავკასიის ფედერაციის შენარ-

---

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. VII, საქართველო XX საუკუნის 20—30-იან წლებში. ტომის რედაქტორი იური კაჯარავა. თბ., 1976, გვ. 80—81.

[3] ამასთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ფართო პროპაგანდას უწევდნენ ცნობას, რომ 1921 წლის ივნისში პარიზში ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ყოფილმა ხელმძღვანელმა პარტიებმა — მენშევიკებმა, დაშნაკებმა და მუსავატე-

ჩუნებისათვის ბრძოლამ ისე გახლიჩა რუსეთის მიერ დაპყრობილი და დამოუკიდებლობაწართმეული საქართველოს საზოგადოებრიობა და საქართველოს კომპარტია, რომ იგი თვით საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვისაც საზიანო გამოდგა.

ბუნებრივია, თავიანთ არგუმენტებს იშველიებდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის მოწინააღმდეგენი, რომლებიც ნაციონალ-უკლონისტთა სახელით მონათლეს. მათ მიაჩნდათ, რომ ამიერკავკასიის ფედერაციაში შეიზღუდებოდა საქართველოს სს რესპუბლიკის საბჭოური დამოუკიდებლობა (საქართველოს ნამდვილ დამოუკიდებლობაზე არც ისინი ფიქრობდნენ). ხოლო ზემოჩამოთვლილ ამოცანათა რეალიზება უფეღერაციოდაც თავისუფლად შეიძლებოდა.

იმთავითვე აშკარა გახდა, რომ სერგო ორჯონიკიძესა და მის თანამოაზრეებს (ამიერკავკასიის ფედერაციის მომხრეებს) მხარს უჭერდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკათა კომუნისტური პარტიების წევრთა უმრავლესობა, ნაციონალ-უკლონისტებს (ამიერკავკასიის ფედერაციის მოწინააღმდეგეებს) — რესპუბლიკის ქართული მოსახლეობის უმრავლესობა. სერგო ორჯონიკიძის მომხრეთა მტკიცებით, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეა ვ. ი. ლენინს ეკუთვნოდა. ნაციონალ-უკლონისტებს საეჭვოდ მიაჩნდათ ეს თეზისი. საერთოდ, როგორც ერთი, ისე მეორე მხარე ყველაზე მთავარ „არგუმენტს" ვ. ი. ლენინის გამონათქვამებში ეძებდა. თუკი რომელიმე მათგანი ვ. ი. ლენინის ნაწერებში მისთვის სასარგებლო გამონათქვამს აღმოაჩენდა, საკითხიც გადაწყვეტილად მიაჩნდა. ვ. ი. ლენინის აზრისადმი ოფიციალურად დაპირისპირებას კომუნისტთაგან მაშინ ვერავინ ბედავდა, თუმცა მისი აზრის „თავისებურად გაგებას", ფაქტობრივად დამახინჯებას, ნაკლებად ერიდებოდნენ. ეს განსაკუთრებით ითქმის რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს მხარდამჭერებზე, რომლებიც, როგორც ითქვა, ამიერკავკასიის ფედერაციას ვ. ი. ლენინის „პირმშოდ", მისი ინიციატივით შექმნილ სახელმწიფო გაერთიანებად მიიჩნევდნენ. ერთი სიტყვით, ამ მეტად მწვავე პოლიტიკურ ბრძოლაში ბევრი ვ. ი. ლენი-

---

ლებმა. დადეს ხელშეკრულება საბჭოთა ამიერკავკასიის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით. გალაშქრების მოწყობის შესახებ. მიუთითებდნენ იმაზეც, რომ გააქტიურა პოლიტიკური საქმიანობა საზღვარგარეთ შექმნილმა ე. წ. „გაერთიანებული აჯანყების კავკასიის ცენტრალურმა კომიტეტმა. (იხ.: Очерки Коммунистической партии Грузии. Часть вторая. თბილისი., 1983, გვ. 26).

ნის სახელს ეფარებოდა. ამ დროს ამიერკავკასიელ კომუნისტებში, მათ შორის ქართველ კომუნისტებში, ერთობ ძლიერად იყო დანერგილი ვ. ი. ლენინის კულტი.

ამიტომ ჩვენ, მრავალ დოკუმენტზე დაყრდნობით, განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ ამიერკავკასიის შექმნისა და შენარჩუნებისათვის ბრძოლაში ვ. ი. ლენინის როლის გარკვევას, თვით ამიერკავკასიის ფედერაციის რაობას საბჭოთა სახელმწიფოებრივ სისტემაში.

წინასწარ ვგრძნობთ საზოგადოებრიობის ზოგიერთი წარმომადგენლის შენიშვნას: ამიერკავკასიის ფედერაციის 14-წლიანი ისტორია ძირითადად ნეგატიურია და ღირს კი მისი დაწვრილებით შესწავლა და განზოგადება?

მართალია, საბჭოური პერიოდის საქართველოს ისტორიაშიც აევრია ნეგატიური მომენტი, მაგრამ ეს ჩვენი ისტორიაა და იგი ობიექტურ შეფასებას მოითხოვს, რაც ეპოქის ღრმად შესწავლისა და დიდძალი ფაქტობრივი მასალის გაანალიზება-განზოგადების გარეშე შეუძლებელია. **გარდა ამისა, საბჭოური ტოტალიტარიზმის პირობებშიც ქართველმა ხალხმა თავგანწირული შრომის შედეგად მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.** კარგი იყო თუ ცუდი, შიშით თუ ადმინისტრირებით, ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ გაიყოლია საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელსაც სჯეროდა, გულწრფელად სწამდა, რომ უკეთესი მერმისისათვის იბრძოდა. ამ ბრძოლას, მის შედეგებს (მათ შორის ნეგატიურსაც) ობიექტური ასახვა სჭირდება. უამისოდ გავალარიბებთ ჩვენს ისტორიას.

ობიექტური მკვლევარი ვერასოდეს აუვლის გვერდს თემას „ლენინი და საქართველო", რადგანაც სწორედ ლენინი (სხვებთან ერთად) იყო მოთავე საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობისა. სწორედ მან დასახა ძალადატანებით გასაბჭოებულ საქართველოში „სოციალისტური მშენებლობის გეგმა". ამასთან, სწორედ იგი დაუდგა ქომაგად ქართველ ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებს", რომლებიც სულით და ხორცით ბოლშევიკები იყვნენ, მაგრამ სტალინ-ორჯონიკიძის თანამოაზრეთაგან განსხვავებით, შედარებით გონივრული ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისათვის იღვწოდნენ.

მიუხედავად იმისა, თუ როგორი იყო ვ. ი. ლენინის დამოკიდებულება რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა და ქართველ ე. წ.

„ნაციონალ-უკლონისტებს“ შორის ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხზე არსებული კონფლიქტისადმი, ქართული ეროვნული ისტორიოგრაფია ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის არსებობას დადებითად ვერ შეაფასებს. მაგრამ, მაინც უაღრესად მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ ამ საქმეში ვ. ი. ლენინის ჯეშმარიტი როლის ჩვენება.

დავიწყოთ იმით, თუ ვისი ინიციატივით შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაცია. ვიმეორებთ, წლების მანძილზე ისტორიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული იყო მოსაზრება, რომ ეს საამიერკავკასიო სახელმწიფოებრივი გაერთიანება ვ. ი. ლენინის ინიციატივით დაარსდა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეა ვ. ი. ლენინს ეკუთვნოდა. ამ მოსაზრებას ზოგიერთი მკვლევარი დღესაც უჭერს მხარს. ვფიქრობთ, ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების იდეა არა ვ. ი. ლენინს, არამედ ამიერკავკასიელ მოღვაწეებს ეკუთვნოდათ. ამის დასამტკიცებლად მოვიხმოთ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შექმნილი დოკუმენტები და მასალები.

1921 წლის 1 მარტს (თუმცა ეს ის დროა, როცა მთელ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება — ჯერ კიდევ ბოლომდე არაა მიყვანილი) აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის საგანგებო სრულუფლებიანი წარმომადგენელი ბეიბუთ შახტატინსკი ვ. ი. ლენინს სწერდა, რომ მთელს ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ „мы стоим перед проблемой создания условий мирного сожительства трудящихся элементов Закреспублик и вступления их в Российскую Федерацию. Настало время, когда эта идея должна получить конкретную форму. Справедливо разрешить все спорные территориальные, экономические и прочие вопросы между новообразовавшимися республиками Закавказья является делом весьма трудным, а порою и невозможным, ибо территория со смешанным населением дает весьма широкую возможность толкования принципа самоопределения народов. Раз же принцип самоопределения народов не везде может быть применим полностью, то та республика, для которой это выгодно, пускает в ход новые «принципы» — историческое право, экономические условия, защита границы государства, принцип естественных границ и прочее. Даже более или менее целе-

собразная форма разрешения этих споров может нанести обиду не только одной из этих республик, но и всем вместе и отсюда недовольство, протесты и в результате ориентация на Англию, Турцию и прочее. По крайнему моему разумению из всех возможных форм разрешения территориально-экономических и других споров Закавказья наиболее выгодной, приемлемой и целесообразной во всех отношениях представляется **объединение всех закавказских республик, включая сюда и Дагестан с горцами в одну Кавказскую республику** (ხაზგასმა ჩვენია—ლ. თ.) и вступление в Российскую Федерацию.

P. S. Я, конечно, не буду настивать на включении Дагестана в Кавказскую республику, если против этого будут какие-либо возражения или осуществление этого вопроса будет сопряжено с какими-либо затруднениями»[4].

როგორც ვხედავთ, ბ. შახტატინსკის წერილში სწორად არის დახასიათებული ამიერკავკასიაში იმ დროს არსებული რთული მდგომარეობა, რასაც, უმთავრესად, სასაზღვრო საკითხი ქმნიდა, მაგრამ წინადადება კავკასიის რესპუბლიკის შექმნისა და რუსეთის სხვ რესპუბლიკაში მისი შესვლის შესახებ, ცხადია, რუსული ველიკოდერჟავნიკული შოვინიზმის აშკარა გამოხატულება იყო და ამდენად მიუღებელი. ამიტომ ბ. შახტატინსკის მოსაზრება სავსებით სამართლიანად არის გაკრიტიკებული სამეცნიერო ლიტერატურაში[5]. ჩვენთვის კი ამჯერად ეს წერილი იმ მხრივაა საინტერესო, რომ იგი აშკარად შეიცავს საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციისა“ (ჯერ კიდევ 1921 წელს) და კავკასიის (ამიერკავკასიის) ფედერაციის იდეას.

ბ. შახტატინსკის წერილი უყურადღებოდ არ დარჩა. მასზე იმსჯელა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1921 წლის 16 მარტს (ესწრებოდნენ: ვ. ი. ლენინი, ლ. დ. ტროცკი, გ. ე. ზინოვიევი, ი. ბ. სტალინი, მ. ი. კალინინი, ვ. მ. მოლოტოვი). პლენუმის დღის

---

[4] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 461, აღწ. 1, საქ. 32018, ფურც. 1 (ციტ.: ს. კ. ხარმანდარიანის წიგნის; Ленин и становление Закавказской Федерации 1921—1923 (ერევანი, 1969, გვ. 96—97) — მიხედვით.

[5] იხ.: ს. ვ. ხარმანდარიანის დასახ. წიგნი, გვ. 97—98.

წესრიგში საკითხი ასეა ფორმულირებული: „ასსრ საგანგებო სრულუფლებიანი წარმომადგენლის წინადადება კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ". მკითხველის ყურადღებას ერთხელ კიდევ მივაპყრობთ განსახილველი საკითხის ფორმულირებას: „...კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ". პლენუმმა შექმნა კომისია ი. ბ. სტალინის, ბ. ფ. ვლადიმირსკისა და გ. ვ. ჩიჩერინის შემადგენლობით, რომელსაც დაავალა, უმოკლეს ვადაში შეესწავლა საკითხი და თავისი აზრი მოეხსენებინა პოლიტბიუროსათვის[6]. უნდა ვიგულისხმოთ, კომისიამ დაიწუნა ბ. შახტატინსკის პროექტი, რადგან მის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს შემდეგ აღარ უმსჯელია.

ასეთი ბედი ეწია კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების ადრინდელ პროექტს, რომლის ავტორი ერთ-ერთი ამიერკავკასიელი მოღვაწე იყო. ფედერაციის იდეა კვლავ ცოცხლობს. მას პირველ რიგში ისევ და ისევ ამიერკავკასიელი მოღვაწეები აყენებენ. ქრონოლოგიურად მივყვეთ მოვლენებს. დავიმოწმოთ ცნობილ ამიერკავკასიელ მოღვაწეთა დამახასიათებელი გამონათქვამები. ასე მაგალითად, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის აუცილებლობაზე ლაპარაკობდნენ მ. დ. ორახელაშვილი და ა. ბეკზადიანი (საქართველოსა და სომხეთის სს რესპუბლიკების წარმომადგენლები) თავიანთ მისასალმებელ სიტყვებში სრულიად აზერბაიჯანის საბჭოების პირველ ყრილობაზე, რომელიც 1921 წლის 6 მაისს გაიმართა[7]. სამი დღის შემდეგ, 1921 წლის 9 მაისს ა. თ. მიასნიკოვი სომხეთის კპ(ბ) და პროფკავშირების ერევნის ორგანიზაციის გაერთიანებულ სხდომაზე აღნიშნავდა: „... Когда мы станем на ноги, мы создадим Закавказскую Федерацию... Кавказ будет связан с Советской Россией такими же братскими узами, как Башкирская, Татарская, Туркменская и другие небольшие советские республики»[8].

1921 წლის 28 მაისს სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ა. თ. მიასნიკოვს, დაეცვა რკპ(ბ) ცკ-ის კავბიუ-

---

[6] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი., ფ. 17, აღწ. 2, საქ. 62, ფურც. 4.

[7] Первый Всеазербайджанский съезд Советов. Стенотчет. ბაქო, 1922. გვ. 8—9.

[8] А. Ф. Мясникян (Мясников). Избранные произведения. ერევანი, 1965, გვ. 338—339.

როში სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის თვალსაზრისი კავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ[9].

საქართველოს კპ(ბ) თბილისის ორგანიზაციის პირველ ლეგალურ კონფერენციაზე 1921 წლის 5 ივნისს ა. თ. მიასნიკოვი ამბობდა: „...Сила наших республик не в том, чтобы замыкаться в свои рамки, а в том, чтобы кавказские республики еще теснее сплотились между собой и в ближайшем будущем образовали единую Закавказскую Советскую Социалистическую Республику и потом связались бы тесными узами с нашей великой Советской Россией“[10].

გ. კ. ორჯონიკიძემ კომკავშირის საკავკასიო თათბირზე, რომელიც 1921 წლის 15 ივლისს გაიმართა, აღნიშნა, რომ კავკასიის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირების გაერთიანება და მათი შერწყმა რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირთან აუცილებელია „как внушительная демонстрация и первый сигнал по пути к объединению Кавказских республик и между собой и с РСФСР“[11].

ამიერკავკასიელ მოღვაწეთა მსგავსი გამონათქვამების დამოწმება კიდევ შეიძლება, მაგრამ აღნიშნულიდანაც აშკარად ჩანს, რომ ამიერკავკასიის შექმნის იდეას ამიერკავკასიელი მოღვაწეები აყენებდნენ. მათი წარმოდგენით, ამიერკავკასიის ფედერაციის მიზანშეწონილობა კიდევ უფრო ნათელი გახადა ყარსის კონფერენციამ (1921 წლის სექტემბერ-ოქტომბერი), რომელზეც საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციები ერთიანი ფრონტით დაუპირისპირდნენ თურქეთის დელეგაციას. ამ ფაქტს კი გარკვეული მნიშვნელობა ნამდვილად ჰქონდა. ერთი სიტყვით, 1921 წლის შემოდგომისათვის ამიერკავკასიელ მოღვაწეთა აზრით, ფედერაციის საკითხი სავსებით მომწიფებული იყო.

და აი, 1921 წლის 3 ნოემბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს პლენუმმა ერთხმად მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის

---

[9] А. Н. Мнацаканян. Александр Мясников (Мясникян). ერევანი, 1957, გვ. 231.

[10] პოლიტიკურ პარტიათა არქივი (ქ. თბილისი), ფ. 17, აღწ. 1, საქ. 1. ფურც. 8.

[11] Г. К. Орджоникидзе. Статьи и речи, ტ. I, გვ. 191.

ფედერაციის შექმნის შესახებ[12]. პლენუმი ქ. ბაქოში შედგა. მასში ვ. მ. მოლოტოვიც მონაწილეობდა. კავბიუროს სწორედ ამ დადგენილებამ დაუდო სათავე ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისათვის რეალურ ბრძოლას.

ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს დადგენილება „ზემოდან", ვ. ი. ლენინის მიერ იყო რეკომენდებული? დოკუმენტური მასალა ასეთი ვარაუდის საფუძველს არ იძლევა (თუმცა, როგორც ცნობილია, ეს დადგენილება არ ეწინააღმდეგებოდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის, პირადად ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინისა და სხვათა აზრს). 8 ნოემბერს გ. კ. ორჯონიკიძემ აცნობა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს, კავბიუროს პლენუმმა მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ, რეზოლუცია ამ საკითხზე გამოგზავნილია და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დასკვნა გვაცნობეთო[13].

რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა პრინციპში მოიწონა კავბიუროს დადგენილება მაგრამ, ვიდრე თავის დასკვნას მისცემდა, კავბიუროს დამატებითი ცნობები მოსთხოვა. ამ საკითხზე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1921 წლის 17 ნოემბერს იმსჯელა. სხდომას ვ. ი. ლენინიც ესწრებოდა. საკითხი გ. ვ. ჩიჩერინმა გაიტანა. პოლიტბიურომ დაადგინა: „Послать Кавбюро следующую телеграмму: „Немедленно сообщите, что именно **Вы постановили по вопросу о создании Закавказской Федерации** (გაზგასმა ჩვენია — ლ. თ.) и как представляете себе взаимоотношение Союзного Совета Закавказской Федерации с РСФСР. Заключение ЦК будет вынесено по получении от Вас материалов»[14].

ამ დოკუმენტში ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვები ცხადყოფენ, რომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს, მათ შორის ვ. ი. ლენინსაც, არ ჰქონდათ ზუსტი წარმოდგენა, თუ კონკრეტულად რა შინაარსის დადგენილება მიიღო კავბიურომ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ და ამიტომაც იმ ეტაპზე თავი შეიკავეს დასკვნისაგან.

---

[12] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 85, აღწ. 18, საქ. 328, ფურც. 10.

[13] იქვე, საქ. 58, ფურც. 39.

[14] იქვე, საქ. 328, ფურც. 1.

კავბიუროს დეპეშა ჩვიდმეტშივე მიიღო. პასუხი კი გ. კ. ორჯონიკიძემ 24 ნოემბერს გაგზავნა. რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ვ. მ. მოლოტოვს გ. კ. ორჯონიკიძემ დაწვრილებით დაუსახელა ის პრინციპები, რომლითაც უნდა ემუშავა ამიერკავკასიის ფედერაციას და ერთხელ კიდევ შეახსენა, რომ საბჭოთა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დასკვნა ამ საკითხზე: «Просим заключения ЦК РКП» — სწერდა გ. კ. ორჯონიკიძე ვ. მ. მოლოტოვს. დეპეშაში აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია რუსეთის სფს რესპუბლიკასთან ისეთივე კავშირს დაამყარებდა, როგორსაც უკრაინა[15].

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი დასკვნას მაინც არ იძლევა. ვ. მ. მოლოტოვი კვლავ უგზავნის დეპეშას კავბიუროს: „В телеграмме Орджоникидзе № 675 от 24. XI говорится о взаимоотношениях внутри федерации, но до сих пор ЦК не получил основные резолюции Пленума Кавбюро о **мотивах образования Федерации** (ხაზგასმა ჩვენია — ლ. თ.). Вторично просим ускорить присылку этой резолюции"[16].

მაშასადამე, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი მანამდე არ იძლევა დასკვნას, ვიდრე არ დარწმუნდება იმაში, რომ მოტივები, რომელთა მიხედვით კავბიუროს მიზანშეწონილად მიიჩნია ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა, მოსკოვისთვისაც მისაღები იქნება.

ეს დეპეშა კავბიუროს 26 ნოემბერს მიიღო. გ. კ. ორჯონიკიძემ 26 ნოემბერსვე გაუგზავნა ვ. მ. მოლოტოვს სათანადო მასალები. თანაც დასძინა: «Прошу срочно сообщить **нет ли принципиального возражения со стороны ЦК РКП**".[17] (ხაზგასმა ჩვენია — ლ. თ.).

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დასკვნა მაინც არ ჩანს. 30 ნოემბერს გ. კ. ორჯონიკიძე კვლავ აცნობებს ვ. მ. მოლოტოვს: „Пятого созывается Краевое совещание парторганизации для рассмотрения проекта договора федерации Закавказских республик, посланного на заключение ЦК 26. XI. Весьма желательно совещанию получить заключение ЦК РКП"[18].

---

[15] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 85, აღწ. 18, საქ .328, ფურც. 2—4.

[16] იქვე, ფურც. 5—6.

[17] იქვე, ფურც. 6—7,

[18] იქვე, ფურც. 14.

დაბოლოს, გ. კ. ორჯონიკიძე იღებს ი. ბ. სტალინის პასუხს: „Ответ можете получить не раньше понедельника“.[19].

ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეა ვ. ი. ლენინს კი არ ეკუთვნის, არამედ ამიერკავკასიელ მოღვაწეებს, მით უფრო ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თითქოს ამიერკავკასიის ფედერაცია ვ. ი. ლენინის ინიციატივით შეიქმნა, პირიქით, ერთი შეხედვით, დამოწმებულმა დოკუმენტურმა მასალამ შეიძლება ვინმეს ისიც კი აფიქრებინოს, რომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი, ვ. ი. ლენინი, თავდაპირველად ეჭვის თვალით უყურებდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის მიზანშეწონილობას და ამიტომაც აჭიანურებდნენ დასკვნის მიცემას. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში კი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი, პირადად ვ. ი. ლენინი არ იყვნენ წინააღმდეგი ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა, მათ საბოლოო ჯამში აშკარად დაუჭირეს მხარი ამიერკავკასიელი მოღვაწეების წინადადებას საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ფედერაციული გაერთიანების შესახებ, მაგრამ ამ საკითხის პრინციპული გადაწყვეტისათვის დამატებით განმარტებებსა და სხვა მასალებს მოითხოვდნენ, ეს ნამდვილად ასე იყო. ჩვენ კი ასე დაწვრილებით იმიტომ შევჩერდით ამ საკითხზე, რომ გვეჩვენებინა მცდარობა ისტორიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული დებულებისა, თითქოს ამიერკავკასიის ფედერაცია ვ. ი. ლენინის ინიციატივით შეიქმნა, ან კიდევ ამ ფედერაციის იდეა ვ. ი. ლენინს ეკუთვნოდა.

კიდევ ერთი მთავარი საბუთი ჩვენი მოსაზრების განსამტკიცებლად: პარტიის XII ყრილობაზე 1923 წლის 18 აპრილს მ. დ. ორახელაშვილმა განაცხადა: „Москва не ставила вопроса о Закфедерации, — это была инициатива наших закавказских организаций, — и Москва только потом санкционировала все эти решения, возникшие стихийно на месте, в процессе работы в своеобразных условиях Советского Закавказья»[20].

მ. დ. ორახელაშვილმა საქმის ფაქტობრივი მდგომარეობა ძალზე კარგად იცოდა. ამიტომ მის ამ გულწრფელ აღიარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მით უმეტეს, რომ იგი პარტიის XII ყრილობაზე

---

[19] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფურც. 4.

[20] Двенадцатый съезд РКП (б). 17—25 апреля 1923 года. Стенографический отчет. М., 1968, გვ. 167.

გაკეთდა. ამ ყრილობაზე კი, როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის ფედერაციის მომხრეებმა და მოწინააღმდეგეებმა უმწვაესესი კამათი გააჩაღეს (ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ). მ. დ. ორახელაშვილს ამიერკავკასიის ფედერაციის შენარჩუნების მომხრეთა შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა. მიუხედავად ამისა, მან ამჯერად „მოსკოვს", ვ. ი. ლენინს არ მიაწერა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეა, თუმცა კარგად იცოდა, რომ თუ ამიერკავკასიის ფედერაცია ვ. ი. ლენინის ინიციატივით შექმნილ სასელმწიფო გაერთიანებად გამოცხადდებოდა, მაშინ მის წინააღმდეგ ბრძოლას ოპონენტები შეიძლება მორიდებოდნენ კიდეც. მ. დ. ორახელაშვილმა ამჯერად სინდისს არ უღალატა. მწვავე ბრძოლაში ჩაბმული ზოგიერთი კაცის მაცდუნებელ ლოგიკას არ გაჰყვა და სიმართლე თქვა[21]. ოღონდ, გაუგებარია, თუ რა შინაარსს დებდა მ. დ. ორახელაშვილი მის შემდეგრდოინდელ გამონათქვამებში: «Родительские права Закавказской Федерации принадлежат Ленину», ან კიდევ: «Закавказская Федерация является детищем Ленина"[22].

თუ აქ ის იგულისხმება, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეა, რომელიც ამიერკავკასიელმა მოღვაწეებმა და მხარის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა წამოაყენეს, ვ. ი. ლენინის მხარდაჭერის გარეშე ვერ განხორციელდებოდა და მხოლოდ ამდენად ეკუთვნის ვ. ი. ლენინს ამიერკავკასიის ფედერაციის „მშობლის უფლება", ან კიდევ, იმიტომ არის ამიერკავკასიის ფედერაცია ვ. ი. ლენინის „პირმშო", მაშინ ზემოაღნიშნულ გამონათქვამებში სინამდვილეა ასახული. წინააღმდეგ შემთხვევაში მ. დ. ორახელაშვილის ეს დებულება არასწორია, და, რაც მთავარია, პარტიის XII ყრილობაზე თავის გამონთქვამს ეწინააღმდეგება.

ჩვენ განვიხილეთ რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც მთელს ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ არის შექმნილი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციულ გაერთიანებაზე რეალური ლაპარაკი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეიძლებოდა. თუმცა კარგად ვი-

---

[21] თუმცა ცდუნებას ყოველთვის ვერ უძლებდა, რაც ზოგჯერ იმავე ყრილობაზეც იჩენდა თავს. ეს ძირითადად იმით უნდა აიხსნას, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის შენარჩუნების საკითხში მისი არასწორი პოზიციის არგუმენტირებული დაცვა ჭირდა, ძალიან ჭირდა...

[22] М. Д. Орахелашвили. В. И. Ленин и ЗСФСР (материалы), თბილისი, 1925, გვ. 13.

ცით, რომ ამიერკავკასიელი ბოლშევიკი მოღვაწეები ამიერკავკასიის (ან კავკასიის) ფედერაციის იდეას ადრეც აყენებდნენ. «Наиболее разумным и целесообразным было бы создание Всекавказской Федерации, связанной тесными экономическими узами с Россией, в противном случае, мелкие рыбки, которые не могут существовать порознь, подвергнутся опасности быть проглоченными щуками»[23] — განაცხადეს სომეხმა ბოლშევიკებმა 1918 წლის 3 სექტემბერს სომხეთის პარლამენტშიც.

1920 წლის 5 დეკემბერს „პრავდაში" გამოქვეყნდა კომინტერნის აღმასკომის მისალმება სომხეთის რევკომისა და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების გამო (ხელს აწერდნენ კომინტერნის აღმასკომის წევრები ა. სულთან-ზადე (მიქაელიანი) და მიხა ცხაკაია), რომელშიც აღნიშნული იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და კავკასიის ფედერაციის შექმნის აუცილებლობა.

რიდის შეეხო ვ. ი. ლენინი პირველად ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების საკითხს? ქრონოლოგიურად ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიელ მოღვაწეებს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გაერთიანების იდეა უკვე წამოყენებული ჰქონდათ. ერთ-ერთ პირველ დოკუმენტად, რომელშიც ვ. ი. ლენინს საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ერთ ჯგუფში ჰყავს მოქცეული, შეიძლება ვიგულისხმოთ რსფსრ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობისათვის 1920 წლის 21 დეკემბერს გაგზავნილი ბარათი. ამ ბარათში ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, რომ „რსფსრ სქემატურ ადმინისტრაციულ რუკაზე" განსხვავებული (მწვანე) ფერით გამოეყოთ ისეთი ტერიტორიები როგორიცაა:

α დასავლეთის „ფრონტი (ფინეთი, ესტლანდია, ლატვია, პოლონეთი, რუმინეთი).

β ყირიმი

γ საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი.

δ შუა აზია, ბუხარა.

ε შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა

ξ შორეული აღმოსავლეთის საზღვრები...[24].

---

[23] Великая Октябрьская социалистическая революция и победа Советской власти в Армении. Сб. док., ერევანი, 1957, გვ. 230.

[24] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 45, გვ. 23—24.

ეს დოკუმენტი, ცხადია, არ გამოდგება იმის საბუთად, თითქოს ვ. ი. ლენინს იმ დროს საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად ესახებოდა (თუნდაც პერსპექტივაში), რადგან ასეთი ლოგიკით იგივე უნდა ვიგულისხმოთ ფინეთის, ესტონეთის, ლატვიის, პოლონეთის და რუმინეთის (აგრეთვე სხვა ტერიტორიების) მიმართაც, რომლებიც ვ. ი. ლენინს ასევე ერთ ჯგუფში აქვს მოცემული. ეს კი არავითარ ლოგიკას არ ემორჩილება.

შემდეგ 1921 წლის 21 თებერვალს დაწერილ სტატიაში ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ" ვ. ი. ლენინი ეხება გოელროს გეგმის მიხედვით ქვეყნის ტერიტორიაზე ელსადგურების განლაგების საკითხს და აღნიშნავს, რომ ამ გეგმაში „კავკასია აღებულია მთლიანად, სხვადასხვა რესპუბლიკის ეკონომიკური შეთანხმების ვარაუდით"[25].

ცხადია, არც ეს გამონათქვამი ნიშნავს იმას, რომ ვ. ი. ლენინი უკვე აყენებს ამიერკავკასიის ფედერაციის იდეას. პ. ი. პოპოვისადმი 1921 წლის 17 ოქტომბერს გაგზავნილ ბარათში ვ. ი. ლენინმა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად, „კავკასიის რესპუბლიკაც"[26]. დაასახელა, რაც აშკარად მოწმობს იმას, რომ ამჯერად მან პესპექტივაში ეს ტერიტორია ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად მიიჩნია.

რაც შეეხება ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ცალკეულ სამეურნეო დარგთა გაერთიანებასა და ერთიანი საოლქო სამეურნეო ცენტრის შექმნას, ეს საკითხი ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ 1921 წლის აპრილში დააყენა. „აზნავთის" თავმჯდომარის ა. პ. სერებროვსკისადმი 1921 წლის 2 აპრილს გაგზავნილ წერილში ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: საჭიროა საოლქო სამეურნეო ცენტრი, რომელიც პასუხს უნდა აგებდეს ბაქოსათვის, ბათუმისათვის და ა. შ."[27].

ხოლო 1921 წლის 9 აპრილს ვ. ი. ლენინი გ. კ. ორჯონიკიძეს სწერდა: „დაბეჯითებით მოვითხოვ შევქმნათ საოლქო სამეურნეო ორგანო მთელი ამიერკავკასიისათვის..."[28]. 18 აპრილს კი ვ. ი. ლენინი გ. კ. ორჯონიკიძეს ურჩევდა შეენარჩუნებინათ საქართველოს ბანკი, გადაექცია იგი მთელი ამიერკავკასიის ბანკად „ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკურ გაერთიანებასთან დაკავშირებით, რის პრო-

---

[25] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 163.

[26] იქვე, ტ. 45, გვ. 393.

[27] იქვე, გვ. 88.

[28] იქვე, ტ. 35, გვ. 310.

ექტიც მუშავდება“[29]. იგივე აზრი გამოთქვა ვ. ი. ლენინმა სრულიად რუსეთის პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე 1921 წლის 11 აპრილს: „ახლა საქართველო საბჭოთა გახდა. საქმე ეხება კავკასიის რესპუბლიკების — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების გაერთიანებას ერთ სამეურნეო ცენტრად. ნავთობს აწარმოებს აზერბაიჯანი, იგი უნდა გავიტანოთ ბათუმიდან, საქართველოს ტერიტორიით, ასე რომ იქნება ერთიანი სამეურნეო ცენტრი“[30] — განაცხადა ვ. ი. ლენინმა.

ერთი სიტყვით, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო გაერთიანების (ერთიანი საოლქო სამეურნეო ორგანოს შექმნის) იდეა ნაწილობრივ ეკუთვნოდა ვ. ი. ლენინს. აქ ნამდვილად შეიძლება ვილაპარაკოთ ვ. ი. ლენინის ინიციატივაზე. მაგრამ, ცხადია, აქედან სრულებით არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის იდეაც მისი იყო. როგორც საბჭოთა სინამდვილე ადასტურებს, რესპუბლიკათა სახელმწიფოებრივი გაერთიანება ყოველთვის როდი იწყება მათი ცალკეული სამეურნეო დარგების გაერთიანებით. უფრო ზუსტად, რესპუბლიკათა ცალკეული სამეურნეო დარგების გაერთიანებას ყოველთვის როდი მოსდევს მათი სახელმწიფოებრივი გაერთიანება (ფედერაცია).

სავსებით აშკარად გამოავლინა ვ. ი. ლენინმა თავისი უაღრესად დადებითი დამოკიდებულება ამიერკავკასიის ფედერაციისადმი 1921 წლის ნოემბერში. როგორც ცნობილია, ამ საკითხზე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტიც მან შეადგინა 28 ნოემბერს. მასში ნათქვამია:

„1) ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა აღიარებულ იქნეს პრინციპულად აბსოლუტურად სწორად, რაც უეჭველად უნდა განხორციელდეს, მაგრამ დაუყოვნებლივ პრაქტიკული განხორციელების მხრივ ნაადრევად, ე. ი. მისი განხორციელება მოითხოვს დროის განსაზღვრულ პერიოდს განხილვის, პროპაგანდისა და საბჭოურად ქვევიდან გატარებისათვის.

2) წინადადება მიეცეს (კავბიუროს მეშვეობით) საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ცენტრალურ კომიტეტებს ფედერაციის საკითხი დააყენონ უფრო ფართოდ განსახილველად პარტიისა და

---

[29] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 45, გვ. 153.
[30] იქვე, ტ. 42, გვ. 312.

მუშათა და გლეხთა მასების წინაშე. ენერგიული პროპაგანდა გააჩაღონ ფედერაციის სასარგებლოდ და **გ ა ი ყ ვ ა ნ ო ნ** იგი თითოეული რესპუბლიკის საბჭოების ყრილობებზე; დიდი ოპოზიციის შემთხვევაში ზუსტად და დროულად ეცნობოს ეს რკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს[31].

ეს არის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტის საბოლოო ვარიანტი. მასში გათვალისწინებულია ი. ბ. სტალინის შესწორებაც. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ დოკუმენტების მიღების შემდეგ (კავბიურომ გაუგზავნა) ი. ბ. სტალინმა წერილობით აცნობა ვ. ი. ლენინს თავისი მოსაზრებები ამიერკავკასიის ფედერაციის თაობაზე. საფიქრებელია, ი. ბ. სტალინის წერილი პოლიტბიუროს დადგენილების პროექტის გარკვეულ მონახაზსაც შეიცავდა. ამას გვაფიქრებინებს ვ. ი. ლენინის ბარათი, რომელიც მან ი. ბ. სტალინს გაუგზავნა 28 ნოემბერს «Тов. Сталин! Я согласен с Вами в основном. Но думаю надо формулировать чуточку иначе"[32].

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წინადადების თავდაპირველი ვარიანტი ვ. ი. ლენინმა 1921 წლის 27 ნოემბერს დაწერა[33]. ამ ვარიანტს 27 ნოემბერსვე გაეცნო ი. ბ. სტალინი, რომელმაც იმავე დღესვე აცნობა ვ. ი. ლენინს: „ამს. ლენინ. თქვენი რეზოლუციის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუ დათანხმდებით მიიღოთ შემდეგი შესწორება: ნაცვლად სიტყვებისა: „მოითხოვს რამდენიმე კვირას განხილვისათვის" I პუნქტში ითქვას: „მოითხოვს დროის გარკვეულ პერიოდს განხილვისათვის" და სხვ., თანახმად თქვენი რეზოლუციისა. საქმე ის არის, რომ ფედერაციის „გატარება" საქართველოში „ქვემოდან" „საბჭოთა წესით" „რამდენიმე კვირაში" შეუძლებელია,

---

[31] ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., თხზ., ტ. 33, გვ. 134.

[32] ეს ბარათი დართული ჰქონდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტს, რომელიც, როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინის მიერვე იყო დაწერილი. ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-4 გამოცემაში კი დაიბეჭდა მხოლოდ პოლიტბიუროს დადგენილების პროექტი (იხ. ტ. 33, გვ. 134. აღნიშნული ბარათი პროექტით პირველად მთლიანად გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრულ კრებულში (მე-5 გამოც.). იხ. ტ. 44, გვ. 255 (რუს.).

[33] Ленин В. И., ПСС, т. 44, зв. 692.

რადგან საქართველოში საბჭოები მხოლოდ ახლა იქმნებიან. ისინი ჯერ კიდევ არ არიან მთლად შექმნილნი. ერთი თვის წინათ ისინი სულაც არ ყოფილან და იქ „რამდენიმე კვირაში“ საბჭოების ყრილობის მოწვევა წარმოუდგენელია, — ხოლო ამიერკავკასიის ფედერაცია საქართველოს გარეშე ქაღალდზე არსებული ფედერაცია იქნება. ვფიქრობ, საჭიროა 2—3 თვე გადავდოთ იმისათვის, რომ ფედერაციის იდეამ გაიმარჯვოს საქართველოს ფართო მასებში“[34].

ი. ბ. სტალინის ამ ბარათს ვ. ი. ლენინმა 28 ნოემბერს მიაწერა: „Я принимаю эту поправку т. Сталина“[35].

28 ნოემბერს ვ. ი. ლენინმა აცნობა ვ. მ. მოლოტოვს: «Я принимаю поправку Сталина к моей поправке»[36].

---

[34] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 253 (ი. ბ. სტალინის ეს წერილი ოდნავ განსხვავებული რედაქციით და, საეჭვრებელია, არასრულად (?!) მოყვანილია ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის (მე-5 გამოცემის) 44-ე ტომის საცნობარო აპარატში (გვ. 566); სადაც ვკითხულობთ: „Получив проект резолюции Ленина. Сталин писал ему: «Т. Ленин! Против Вашей резолюции не возражаю, если согласитесь принять следующую поправку. Вместо слов «требующей несколько недель обсуждения» (пункт 1) сказать: «требующей известного периода времени для обсуждения и т. д. согласно Вашей резолюции». (აქ წყდება ციტატა და წყაროდ მითითებულია არა პარტიის XII ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, სადაც ი. ბ. სტალინმა პირველად გამოაქვეყნა ეს წერილი, არამედ სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). როგორც ვხედავთ, აქ ციტირებულ წერილს აკლია სწორედ ის ადგილი, სადაც ი. ბ. სტალინი ლაპარაკობს იმაზე, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა „რამდენიმე კვირაში“ „ქვემოდან“ „საბჭოთა წესით“ შეუძლებელია და „რამდენიმე კვირის“ ნაცვლად, მოითხოვს 2—3 თვის ვადას წინასწარი სამუშაოების ჩატარებისათვის (პარტიის XII ყრილობაზე გამოქვეყნებული ვარიანტის მიხედვით). თუ ი. ბ. სტალინმა ვ. ი. ლენინს 1921 წლის 27 ნოემბერს ზუსტად ის წერილი გაუგზავნა, რომელიც მან პარტიის მე-12 ყრილობაზე გამოაქვეყნა (იხ. ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 253); Двенадцатый съезд РКП (б). 1—25 апреля 1923 г. Стеног. отч. М., 1968, с. 202—203 და ჩვენც ახლახან დავიმოწმეთ, მაშინ, ცხადია აჯობებდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის 44-ე ტომის საცნობარო აპარატის შემდგენლებს მთლიანად მოეყვანათ იგი, თუკი მათ მიაჩნდათ, რომ ი. ბ. სტალინმა პარტიის XII ყრილობაზე ოპონენტებთან კამათის გაადვილების მიზნით, ხრიკს მიმართა, შეეცადა წერილის შინაარსი და მისთვის სასარგებლო მომენტები შეეტანა შიგ, მაშინ ესეც უნდა ვთქვათ.

[35] Ленин В. И., ПСС, т. 44, гв. 692.

[36] ციტ.: ს. ე. ხარმანდარიანის დასახ. წიგნიდან, გვ. 206.

როგორც ვხედავთ, ი. ბ. სტალინის შესწორება, რომელიც ვ. ი. ლენინის პოზიციას პრინციპში არ ეწინააღმდეგებოდა, მეტად მნიშვნელოვანია. იგი მიმართული იყო აჩქარებისა და ადმინისტრირების წინააღმდეგ ამ საკითხში და საკმაო დროსაც უტოვებდა პარტიულ ორგანიზაციებს ფედერაციის იდეის პოპულარიზაციისათვის[37].

ასეთი იყო მოკლედ ვ. ი. ლენინის დამოკიდებულება ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხისადმი 1921 წელს. ასეთივე დარჩა იგი 1922 წელსაც, ყოველ შემთხვევაში, სსრ კავშირის შექმნამდე.

2. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნით საქართველო გარკვეულწილად უნდა დაჩაგრულიყო

ამიერკავკასიის რესპუბლიკები ნამდვილად დამოუკიდებელი ქვეყნები რომ ყოფილიყვნენ, მაშინ მათი ფედერაციული გაერთიანება ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების წინაპირობადაც კი შეიძლებოდა ქცეულიყო, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, 1921—1922 წლებში, აერთიანებდნენ წითელი არმიის მიერ ოკუპირებულ და დამოუკიდებლობადაკარგულ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. ამ გაერთიანების დროს თითქმის ქრებოდა ან საგრძნობლად იზღუდებოდა ის ფორმალური დამოუკიდებლობაც კი, რომელიც მათ სიტყვიერად ჰქონდათ მინიჭებული. სარგებლობა ამ გაერთიანებას, თუნდაც სამხედრო თვალსაზრისით, ამიერკავკასიის ხალხებისათვის, კერძოდ,

---

[37] „პრავდის" 1988 წლის 8 ივლისის პუბლიკაციაში, რომელიც საერთოდ გამოირჩევა მდიდარი და საინტერესო დოკუმენტური ბაზით, ვხვდებით ზოგიერთ დასაზუსტებელ ადგილს. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ პოლიტბიუროს დადგენილების პროექტის ირგვლივ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მიმოწერის თაობაზე ავტორები ასკვნიან. «Слова «известного периода времени» являются сталинской правкой первоначального ленинского текста «несколько недель», которую Владимир Ильич принял. Это по сути соответствовало ленинской позиции. Но Сталину зачем-то понадобилось на XII съезде партии в искаженном виде представить весь этот эпизод, приписав именно себе стремление не торопиться с созданием Закфедерации» (ხაზგასმა ჩვენია — ლ. თ.).

მაგრამ, როგორც ვნახეთ, ი. ბ. სტალინი ხომ ნამდვილად უფრო მეტ დროს („2—3 თვე") მოითხოვდა ფედერაციის მოსამზადებლად, ვიდრე ვ. ი. ლენინის ტექსტის თავდაპირველი ვარიანტი ითვალისწინებდა („რამდენიმე კვირა" (?!), ეს ხომ აშკარად ჩანს ზემოციტირებულ მიმოწერიდან?

ქართველი ხალხისათვის, არ მოუტანია და ვერც მოუტანდა, რადგან ამიერკავკასიას მაშინ ეროვნულ რესპუბლიკათა ჯარები კი არა, არამედ რუსეთის (შემდეგ — სსრ კავშირის) წითელი არმია იცავდა.

და მაინც, ამიერკავკასიის ფედერაციის დაარსებას სსრ კავშირის შექმნამდე ასე თუ ისე შეიძლება გარკვეული გამართლება მოუძებნოს, რადგან მას საგრძნობი როლი უნდა ეთამაშა (დროებით მაინც) ეკონომიკურ სიძნელეთა დაძლევაში, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სამეურნეო შესაძლებლობების გადანაწილებაში. ასეთი იყო ბოლშევიკების ამოცანა და მის განხორციელებაში ამიერკავკასიის ფედერაციის როლი საგრძნობი უნდა ყოფილიყო. სსრ კავშირის შექმნის შემდეგ კი იმ ამოცანების განხორციელება, რის გამოც ბოლშევიკებმა ამიერკავკასიის ფედერაცია შექმნეს, თავისუფლად შეეძლო სსრ კავშირსაც. ამიტომ, ამიერკავკასიის ფედერაცია, მისი აპარატი ზედმეტ ტვირთად აწვა ამიერკავკასიის ხალხებს.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებში იმ დროს ბევრი ეკონომიკური სიძნელე იგრძნობოდა. ერთობ გამწვავებული იყო ერთაშორისი ურთიერთობის (განსაკუთრებით სასაზღვრო, საძოვრებითა და წყლებით სარგებლობის და სხვ.) საკითხები. ამ რესპუბლიკებში სხვადასხვანაირი იყო ცხოვრების დონეც. საქართველო აზერბაიჯანთან და განსაკუთრებით, სომხეთთან შედარებით, უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. დავიმოწმებთ მხოლოდ ერთ ფაქტს. 1921—1922 წლებში ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს (საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს) თავთავიანთი ფულადი სისტემა ჰქონდათ. ქართული ფულის (ბონის) კურსი ამ დროს გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე რუსულის, აზერბაიჯანულისა და სომხურის. 1921 წლის დამლევისათვის აზერბაიჯანული და სომხური ფულის ნიშნები რუსული საბჭოთა ფულის ნიშნების ღირებულების 25 პროცენტს უდრიდა, ქართული ფულის ნიშნების ღირებულება კი ამ დროს რუსული ფულის ნიშნების ღირებულებაზე 50 პროცენტით, ხოლო 1922 წლის გაზაფხულზე 75 პროცენტითაც უფრო მაღალი იყო[38]. 1923 წლის დამდეგს, როცა ერთიანი საამიერკავკასიო ფულის ნიშნები შემოიღეს, ამ ფულზე ქართული, აზერბაიჯანული და სომხური ფულის ნიშნების გაცვლის ასეთი კურსი დააწესეს: ერთიანი საამიერკავკასიო საბჭოთა ფულის 1 მანეთი გაიცვლებოდა ქართული ბონის ერთ მანეთზე. აზერბა-

---

[38] იხ. ს. გ. ხარმანდარიანის დასახ. წიგნი, გვ. 292.

იჯანული საბჭოთა ფულის 100 მანეთზე და სომხური საბჭოთა ფულის 150 მანეთზე[39]. უფრო მეტი. ბუდუ მდივნის მოწმობით, 1922 წლის 8 თვის მანძილზე ქართული ბონი თავისი სიმტკიცით ტოლს არ უდებდა აშშ დოლარსა და ინგლისის ფუნტ სტერლინგს[40].

ასეთი იყო ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების რეალური მდგომარეობა ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფაქტორის (ფულის კურსის) მისედვით. თითქმის ანალოგიური ვითარება იყო ზოგიერთი სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვითაც. ცხადია, საქართველო თვითონ არ იქნებოდა დიდად დაინტერესებული ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სამეურნეო გაერთიანებით, რადგან უამისოდაც შედარებით ადვილად გაიტანდა თავს. მაგრამ იმის გამო, რომ გაერთიანება სხვებისათვის იყო აუცილებელი, საქართველო გარკვეულ „დათმობაზე" უნდა წასულიყო. მართალია, ამ გაერთიანებით იგი გარკვეულწილად უნდა „დაჩაგრულიყო", მაგრამ საჭირო მომენტში მომმე ხალხებისათვის ხელის გამართვა ქართველ ხალხს ოდითგანვე მოსდგამდა. თუმცა არც ის არის დიდად გასაკვირი, თუ ქართველი ხალხი აღტაცებით არ შეხვდებოდა ისეთ გაერთიანებას, რომელიც მათგან გარკვეულ „მსხვერპლს" მოითხოვდა. „მსხვერპლი" კი ნამდვილად უნდა გაეღო საქართველოს. მოვუსმინოთ რუსეთის სფს რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილეს მ. ი. ფრუმკინს, რომელიც კარგად იყო გარკვეული ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური ურთიერთობის ნიუანსებში .

«Единство Закавказья и РСФСР неизбежно, — ამბობდა იგი —неизбежны и некоторые экономические жертвы для этого со стороны Грузии, но и во имя объединения на это надо пойти»[41].

ამიერკავკასიის ფედერაციის პირობებში რომ საქართველო გარკვეულ „პრივილეგიებს" კარგავდა, ეს აღიარა პარტიის XII ყრილობაზე თვით ი. ბ. სტალინმა, რომელიც ამიერკავკასიის ფედერაციის შექ-

---

[39] სუიცსა, ფ. 612, აღწ. 1, საქ. 142, ფურც. 2.

[40] Второй съезд коммунистических организаций Закавказья. 19—23 марта 1923 г. Стенографический отчет, თბილისი, 1923, გვ. 48. (ბუდუ მდივნის ეს განცხადება (ფაქტობრივი სისწორის თვალსაზრისით) ყრილობის მონაწილეებს საკამათოდ არ გაუხდიათ).

[41] პოლიტიკურ პარტიათა არქივი (ქ. თბილისი), ფ. 13, აღწ. VI, საქ. 23, ფურც. 6.

მნისა და შენარჩუნებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი სულის-ჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო[42].

ცნობილი „ნაციონალ-უკლონისტი" სერგო ქაუთარაძე ერთ-ერთ ბოლოდროინდელ მოგონებაში აღნიშნავს: „... При одной встрече со Сталиным и разговоре о Закавказье он, лукаво улыбнувшись, посмотрел на меня и сказал; „А армяне малость на федерации заработали...»[43]

3. უთანხმოება ამიერკავკასიის სს რესპუბლიკათა გაერთიანების ტაქტიკისა და მეთოდების გამო

ახლა ვნახოთ, თუ რა დამოკიდებულებას იჩენდნენ ე. წ. ნაციონალ-უკლონისტები ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანებისადმი სსრ კავშირის შექმნამდე ან თვით სსრ კავშირის შექმნის იდეის წარმოქმნამდე. წინასწარ ვიტყვით, რომ ისინი ამ პერიოდშიც აშკარად არ გამოდიოდნენ ფედერაციული გაერთიანების იდეის წინააღმდეგ. უფრო მეტი, დოკუმენტურად მტკიცდება, რომ ბუდუ მდივნის ჯგუფი ოფიციალურად იწონებდა კიდეც ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეას, მაგრამ მისი განხორციელებისათვის საჭიროდ თვლიდა სერიოზულ მოსამზადებელ შუშაობას, მასების დარწმუნებას, ამ საქმეში ადმინისტრირების გამოვლენათა აღმოფხვრას და ა. შ.

თუმცა, მათი მოწინააღმდეგე ჯგუფის წარმომადგენლები, კერძოდ. გ. კ. ორჯონიკიძე, მ. დ. ორახელაშვილი, შ. ზ. ელიავა, ა. თ. მიასნიკოვი და სხვები, აღნიშნავდნენ სხვადასხვა პარტიულ ფორუმებზე, რომ უკლონისტები, პირადად ბუდუ მდივანი, ამიერკავკასიის ფედერაციის იდეის წინააღმდეგაც გამოდიოდნენ ამ პერიოდში. საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობაზე (1923 წლის მარტი), მაგალითად. გ. კ. ორჯონიკიძემ განაცხადა: „Тут говорили разногласия были в темпе: одни рвались вперед, а другие говорили: давайте постепенно это делать. Националистическое чувство имеется, его сразу не вышибешь... и Махарадзе и Мдивани были про-

---

[42] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 261, 283.

[43] პოლიტიკურ პარტიათა არქივი (ქ. თბილისი), ფ. 6, აღწ. 15, საქ. 284. ფურც. 653.

тив федерации. Тов. Мдивани говорил: „Зачем федерироваться, никакого единства между Азербайджаном и нами нет». Мы указали, что есть. Тогда они говорили: и с Румынией... у нас есть общее, так идите федерируйте с ними», Этого не было тогда записано. Тов. Филипп Махарадзе говорил недавно «что такое союзный совет—это труп и гальванизировать его вам не удастся“[44].

მსგავს განცხადებებს სხვებიც აკეთებდნენ და ეს აზრი დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაშიც. ქართველი ე. წ. ნაციონალ-უკლონისტები კი იმავე პარტიულ ფორუმებზე ამტკიცებდნენ, რომ ისინი არც აღნიშნულ პერიოდში არ გამოდიოდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის თვით იდეის წინააღმდეგ.

დაეიმოწმოთ რამდენიმე მასალა: საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობაზე ფ. ე. მახარაძე აღნიშნავდა: «Мы были против способов объединения, но не против объединения. Мы против такого скоропалительного, без всякого обсуждения проведения объединения. Объединение нужно было строить на других началах· Надо было создать почву, чтобы произвести то, что можно было произвести“[45]. შემდეგ ფ. ე. მახარაძე ამავე ყრილობაზე გამოთქვამს თავის აზრს არა მარტო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული კავშირის, არამედ ცოტა მოგვიანებით (1922 წლის დეკემბერში შექმნილი ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შესახებაც: „Закавказская федеративная республика... приводит к тому, что на деле совершенно отрицается самостоятельное существование республик. Если это не отрицается на словах, то отрицается на деле. Никто из нас не отрицает, что федерация должна быть, но она должна не уничтожать своей ежедневной практической... этой самостоятельности, что это приводит к столкновениям, это приводит к трениям»[46], — ასკვნიდა ფ. მახარაძე.

---

[44] პოლიტიკურ პარტიათა არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 486. ფურცელი 402.

[45] იქვე.

[46] იქვე, ფურცელი 405.

კ. მ. ცინცაძე ე. წ. ქართველ ნაციონალ-უკლონისტთა ჯგუფს ეკუთვნოდა: აი რას ამბობდა იგი იმავე, საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობაზე: „Тут говорят, что мы были против федерации. Пусть наши товарищи укажут хоть одно выступление наше против федерации. Всегда вопрос шел о том, каким образом проводить федерацию? Мы были только против способа ее проведения, но после постановления, не оставалось ничего, как только подчиниться... Здесь, кажется, в этом белом зале, заседала Закавказская конференция, которая установила срок проведения федерации 21 января 1922 года. Против такого назначения срока мы протестовали»[47].

სიმართლე რომ ვთქვათ, არ შეგვსეედრია ქართველ, ე. წ. ნაციონალ-უკლონისტთა მიერ შექმნილი ოფიციალური დოკუმენტი (თუნდაც მათი გამოსვლა რომელიმე ფორუმზე), საიდანაც ჩანდეს, რომ ისინი ამიერკავკასიის ფედერაციის იდეის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ[48]. სულ პირველად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს 1921 წლის 3 ნოემბრის დადგენილებაზე ოფიციალური მსჯელობა 1921 წლის 14 ნოემბერს გამართა. ამ დღეს პლენუმი მოიწვიეს. მას მ. დ. ორახელაშვილი თავმჯდომარეობდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებიდან პლენუმს ესწრებოდნენ: მ. ს. ოკუჯავა, პ. გ. (ბუდუ) მდივანი. ს. ი. ქავთარაძე, შ. ზ. ელიავა, ლ. ფ. ღოღობერიძე, ლისოვსკი, ბოლექაძე და ღამბაროვი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე მ. ვ. ფრუნზე, გ. ორჯონიკიძე, ა. შ. ნაზარეტიანი და სხვები.

პლენუმმა დაადგინა: „1) Постановление Кавбюро ЦК РКП от 3. XI—21 г. о федеративном объединении Закавказских

---

[47] პოლიტიკურ პარტიათა არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 480, ფურც. 428--429.

[48] თუმცა, სავარაუდოა, რომ „ნაციონალ-უკლონისტები“ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის თვით იდეის წინააღმდეგიც იყვნენ, მაგრამ ტაქტიკური მოსაზრებებით ამას აშკარად არ აცხადებდნენ, სათანადო დოკუმენტების შექმნას ერიდებოდნენ. ფიქრობდნენ, ამით თავიდან აიცილებდნენ ბრალდებას „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების“ ღალატში.

республик считать обязательным и приступить к немедленному ее выполнению. 2) Провести соответствующую агитацию и поручить т. т. Элиава, Кавтарадзе, Орахелашвили и Гогоберидзе в 2-х дневный срок выработать тезисы по означенному вопросу"[49].

პლენუმმა დაადგინა:

ეს დადგენილება ერთხმად მიიღეს. უფრო მეტი, ს. ი. ქავთარაძე (ე. წ. ნაციონალ-უკლონისტი) იმ კომისიაშიც კი შეიყვანეს, რომელსაც 2 დღის ვადაში ფედერაციის საკითხზე თეზისები უნდა მოემზადებინა. ამ თეზისებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა 1921 წლის 17 ნოემბერს იმსჯელა. პრეზიდიუმის სხდომას, რომელსაც მ. დ. ორახელაშვილი თავმჯდომარეობდა, ესწრებოდნენ: მ. ს. ოკუჯავა, პ. გ. (ბუდუ) მდივანი, ს. ი. ქავთარაძე, შ. ზ. ელიავა (პრეზიდიუმის წევრები), მ. გ. ტოროშელიძე, დ. ე. დუმბაძე, ლ. დ. ღოლობერიძე (ცენტრალური კომიტეტის წევრები).

პრეზიდიუმმა დაადგინა: «1) Тезисы принять как основу. 2) По отдельным вопросам тезисы конкретизировать обоснованным материалом, разработать каковые поручить главам комиссариатов, подлежащих объединению, до чего политкампания в беспартийных массах не начинать»[50].

როგორც ვხედავთ, აქ უკვე პრეზიდიუმი სიფრთხილეს იჩენს. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისათვის პოლიტიკური კამპანიის დაწყება უპარტიო მასებში მხოლოდ სათანადო მომზადების შემდეგ მიაჩნია მას შესაძლებლად. ბუდუ მდივნის მომხრეებს მიაჩნდათ რომ აჩქარება საქმისათვის საზიანო იქნებოდა. ამიტომ ისინი აშკარად გამოდიოდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის დაჩქარებული ტემპით შექმნის წინააღმდეგ. ეს თვალნათლივ დაადასტურა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1921 წლის 23 ნოემბრის სხდომამ (პრეზიდიუმის შემადგენლობაში შედიოდნენ: მ. დ. ორახელაშვილი (თავმჯდომარე), შ. ზ. ელიავა, მ. ს. ოკუჯავა, პ. გ. (ბუდუ) მდივანი და ს. ი. ქავთარაძე), რომელზეც ბუდუ მდივანმა რიგგარეშე განცხადება გააკეთა ამიერკავკასიის ფედერაციის გატარების ტემპის შენელების. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროსთან

---

[49] პოლიტიკურ პარტიათა არქივი, (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 5, ფურც. 268.
[50] იქ ვ ე, საქ. 8, ფურც. 27.

ურთიერთობისა და სხვა საკითხებზე. მთლიანად დავიმოწმოთ პრეზიდიუმის სხდომის საოქმო ჩანაწერის ის ადგილი, რომელიც ბუდმდივნის მიერ წამოყენებულ საკითხებსა და მათზე მიღებულ დადგენილებებს ეხება:

Слушали	Постановили
3. Внеочередное заявление т. Мдивани по поводу созыва пленума ЦК и постановки вопроса о федерации.	1. Не приостанавливая кампании по вопросу объединения закавказских республик созвать 25 ноября в 8 часов вечера Пленум ЦК с ответственными работниками, где поставить вопрос о форме и методах проведения в жизнь постановления Кавбюро ЦК РКП.
	Поручить секретариату ЦК составить персональный список ответственных работников и представить на утверждение президиума ЦК.
а) Предложение т. Мдивани поставить на обсуждение Пленума ЦК вопросы:	
1. Добиться свободной дискуссии в руководящих партийных кругах;	
2. Постараться замедлить темп проведения решения и приурочить его к созыву (съезда) Советов;	Отвергнуть (голосовали за Мдивани, Кавтарадзе, против — Орахелашвили и Элиава воздержался т. Окуджава).
3. Протестовать против такого проведения такого важного вопроса и довести до сведения ЦК РКП;	
4. Изменение состава Кавбюро ЦК РКП;	
5) Протестовать против издевательства над грузинскими коммунистами;	

Слушали	Постановили
б) Предложение т. Мдивани поставить на обсуждение Пленума вопрос об изменении системы составления Кавбюро	Принять (голосовали: 4 — за, против 1) (тов. Орахелашвили)
в) Предложение т. Мдивани ходатайствовать перед ЦК РКП о персональном изменении состава Кавбюро	Отвергнуть (голосовали: за —Мдивани. Кавтарадзе, против — Элиава. Орахелашвили, воздержался — т. Окуджава)[51],

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვიდრე პრეზიდიუმის სხდომაზე ამ საკითხებს ოფიციალურად დააყენებდნენ, ბუდუ მდივანსა და მის მომხრეებს პირადი საუბრებიც ექნებოდათ კავბიუროს წარმომადგენლებთან, პირველ რიგში გ. კ. ორჯონიკიძესთან. ბუნებრივია, ეს საუბრები, ბევრ სხვა საკითხთან ერთად, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ფორმებსა და მეთოდებსაც[52] შეეხებოდა. პრეზიდიუმის სხდომაზე გაკეთებული რიგგარეშე განცხადება იმის მომასწავებელია, რომ ბუდუ მდივნის თანამოაზრენი და კავბიუროს ხელმძღვანელობა ვერ შეთანხმდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ტაქტიკურ საკითხში. პირადი საუბრების დროს, როგორც ჩანს, ურთიერთშეურაცხყოფასაც არ ერიდებოდნენ[53]. და ამიტომაც გაილაშქრა ბუდუ მდივანმა მის მომხრეთა აბუჩად აგდების წინააღმდეგ, მოითხოვა ხელმძღვანელ პარტიულ წრეებში თავისუფალი დისკუსიის დაშვება, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს შემად-

---

[51] პოლიტიკურ პარტიათა არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ: 8, ფ: 31,

[52] სხვათაშორის პრეზიდიუმის დადგენილების პირველი მუხლის თავდაპირველი ვარიანტის მიხედვით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 25 ნოემბრის პლენუმს უნდა ემსჯელა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს დადგენილების განხორციელების არა მარტო ფორმისა და მეთოდების, არამედ ვადის შესახებაც. მაგრამ საბოლოო ვარიანტში მ. დ. ორახელაშვილის (სხდომას ის თავმჯდომარეობდა) ხელით წაშლილია სიტყვები „и сроке".

[53] ქვემოთ დავრწმუნდით, რომ ერთმანეთის პირად შეურაცხყოფას შემდეგში ოფიციალურ ფორუმებზედაც არ ერიდებოდნენ.

გენლობის შეცვლა და ა. შ. როგორც ვნახეთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ბუდუ მდივნის მხოლოდ ერთი წინადადება გაითვალისწინა, დანარჩენი — უარყო. უარყოფილ იქნა ბუდუ მდივნის ის წინადადებაც, რომ შეენელებინათ კავბიუროს დადგენილების განხორციელების ტემპი და ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა საბჭოების ყრილობის მოწვევისათვის დაეკავშირებინათ (საქართველოში საბჭოები მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდნენ), ყოველ შემთხვევაში ბუდუ მდივანი და მისი მომხრეები ფედერაციის წინააღმდეგ არც ამ სხდომაზე გამოსულან. ამის შემდეგ ისინი ფედერაციის წინააღმდეგ ოფიციალურად მით უმეტეს ველარ გამოვიდოდნენ, რადგან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა (პ. გ. (ბუდუ) მდივნის, ს. ი. ქავთარაძისა და მ. ს. ოკუჯავას მონაწილეობით) აუკრძალა პარტიის წევრებს კრებებზე ამიერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ გამოსვლა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1921 წლის 24 ნოემბრის სხდომის საოქმო ჩანაწერში ვკითხულობთ:

Слушали	Постановили
4. Предложение т. Орджоникидзе о недопустимости членам партии выступать на собраниях против принятого решения о федерации Закавказских республик	Вопрос об объединении считать уже решенным и ни один член партии не может выступить против существующего решения. Вопрос о формах и методах проведения федерации вырешить на заседании Пленума ЦК, каковое решение, разумеется, будет обязательным для каждого члена партии.
5. Заявление т. Орджоникидзе о статьях в Батумских известиях, направленных против решения Кавбюро ЦК РКП	Автора статей снять немедленно. Вопрос об исключении автора из партии решить на заседании Пленума ЦК.

ასეთი დადგენილების შემდეგ, დადგენილებისა, რომელიც პარტიის რიგით წევრებსაც კი უკრძალავდა ფედერაციის წინააღმდეგ გამო-

სელას, ძნელი დასაჯერებელია. რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს ბუდუ მდივანს ფედერაციის იდეის წინააღმდეგ გაელაშქრა (კვლავ ლაპარაკია სსრ კავშირის შექმნამდე პერიოდზე). ამიერკავკასიის ფედერაციის იდეის წინააღმდეგ გალაშქრებად არ ჩაითვლება არც ის საუბარი, რომელიც ბუდუ მდივანს ჰქონდა იოსებ სტალინთან 1921 წლის 25 ნოემბერს (პირდაპირი მავთულით)[54].

ვიდრე ამ საუბრის შინაარსს გავეცნობოდეთ, გავიხსენოთ, რომ თავდაპირველად რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა განზრახული ჰქონდა საბჭოების არჩევნებამდე, ე. ი. საგანგებო ორგანოების — რევკომების არსებობის პერიოდში. სწორედ ამის წინააღმდეგ გაილაშქრა ბუდუ მდივანმაც. ეს კარგად ჩანს 25 ნოემბერს ი. ბ. სტალინთან პირდაპირი მავთულით მისი საუბრიდან. მდივანი ატყობინებდა სტალინს („გაცნობებ პირადად შენ" — ნათქვამია დოკუმენტში), რომ „Кампания по созданию федерации протекает ненормально и принимает страстный характер. Совершенно неожиданно для ЦК партии Грузии Кавбюро решило по еще более неожиданному докладу Ш. Элиавы создание союзного совета. До сообщения об этом решении ЦК КП Грузии Кавбюро опубликовало его в газете, из которой только и узнали даже и секретари ЦК... Мое предложение с практическим предложением подождать до съезда Советов, от имени коего и объявить эту федерацию, было отвергнуто. Кампания началась и никто пока не представляет ясно что и как. Страсти разгорелись и дело дошло до того, что Серго публично стал обвинять грузинских коммунистов в шовинизме... Сама же кампания начата в такой момент, когда меньшевики, которых мы основательно потрепали в глазах беспартийных масс за попытку устроить всеобщую забастовку, снова получают возможность, благодаря нетактичному вопросу без ЦК Грузии — обо всем этом здесь, к сожалению, все знают—оживить свою работу и затруднить привлечение масс к нам, тем более, что наша работа проте-

---

54 პოლიტიკურ პარტიათა არქივი, (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 8, ფ. 32.

кает без советов, с которыми я хотел связать судьбу федерации, чтобы выбить у противников еще одно оружие против нас, получив решение столь важного вопроса так называемым демократическим путем. Это было бы выгодно и для самой федерации... Содержания речей защитников федерации настолько трафаретны, полны пошлой фразеологии и общих мест, совершенно лишены хотя бы малейшей попытки учета сил и конкретных условий, что абсолютно не дают ровнехонько ничего для воспитания ни партийных, ни беспартийных масс"[55].

გარდა ამისა, ბუდუ მდივანი აღნიშნავდა, რომ მას არ მისცეს სიტყვა ერთ-ერთ დიდ კრებაზე, რომ დაძაბული ურთიერთობა აქვს გ. კ. ორჯონიკიძესთან, რის გამოც მიზანშეუწონლად მიაჩნია მასთან ერთობლივი მუშაობა და ამიტომაც მოითხოვა კავბიუროს პერსონალური შემადგენლობის შეცვლა (თუმცა იქვე მიუთითებს, რომ საქართველოს კომპარტიაში კავბიუროს წევრებიდან მხოლოდ გ. კ. ორჯონიკიძე და ს. მ. კიროვი სარგებლობენ მორალური ავტორიტეტით) და სხვ.

როგორც ვხედავთ, ეს დოკუმენტიც იმას მოწმობს, რომ ბუდუ მდივანი საერთოდ ამიერკავკასიის ფედერაციის იდეის წინააღმდეგ კი არ გამოდიოდა, არამედ მას მიზანშეწონილად მიაჩნდა ეს იდეა საბჭოების არჩევნების შემდეგ განხორციელებულიყო. როგორც ჩანს, ი. ბ. სტალინმა გაიზიარა ეს აზრი. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, 27 ნოემბერს იგი უკვე ასეთივე რჩევას ვ. ი. ლენინს აძლევს.

ბუდუ მდივნის წინადადება მიღებულ იქნა. 25 ნოემბერსვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა:

„1. Немедленно приступить к выборам в Советы во всех районах, где за нами обеспечено успешное проведение их. 2. Связать с выборной кампанией вопрос о федерации Закавказских республик...»[56]

---

[55] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 85, აღწ. 18, საქ. 101, ფურც. 11—12.

[56] Борьба за упрочение Советской власти в Грузии. (1921—1925 гг.). Сборник документов и материалов. составители Качарава Ю. М. и др., თბილისი, 1959, გვ. 72.

ამ დადგენილებით ამოიწურა უთანხმოება ამიერკავკასიის ფედერაციის მშენებლობის ტემპის საკითხში. ეს კარგად ჩანს ი. ბ. სტალინისადმი 26 ნოემბერს გაგზავნილი დეპეშიდან, რომელსაც ხელს აწერდნენ ორივე მოკამათე მხარის წარმომადგენლები: მდივანი, ქავთარაძე. ნაზარეტიანი, ორახელაშვილი, დუმბაძე, ორჯონიკიძე, ელიავა, ცინცაძე და შურდალაშვილი. დეპეშაში ნათქვამია: „Ознакомившись с телеграммой Мдивани от 25 ноября, ЦК КП Грузии констатирует: 1—полное соглашение по спорным вопросам о проведении федеративного объединения достигнуто вполне на заседании вечером 25 ноября Пленума ЦК с многочисленными ответственными работниками: как-то члены ТК, члены райкомов Тифлиса, члены горревкома, Грузревкома, члены съезда предуездревкомов, наркомы, замнаркомы и члены коллегии наркоматов, члены ЦК комсомола, члены бюро Совпрофа Грузии и т. д. 2—проведенные в полдень 25 ноября широкие митинги на всех крупных предприятиях Тифлиса прошли успешно, резолюции наши о федерации принимались всюду почти единогласно. Выступление противников федерации из лагеря меньшевиков и правых федералистов имели место на нескольких митингах. Если телеграмма Мдивани сообщена ЦК РКП, просим сообщить и содержание этой телеграммы“[57].

ამრიგად, მტკიცება, რომ ბუდუ მდივნის ჯგუფი თითქოს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეის წინააღმდეგ გამოდიოდა, ოფიციალური დოკუმენტებით არ დასტურდება. მხედველობაში გვაქვს ბუდუ მდივნის, მისი მომხრეების გამოსვლები პარტიულ, საბჭოთა და სხვა ფორუმებზე, ოფიციალურ შეხვედრებზე. ეს ჯგუფი იმ პერიოდში მოითხოვდა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისას მეტი სიფრთხილე და ტაქტი გამოეჩინათ, არ აჩქარებულიყვნენ, ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხი საბჭოების არჩევნებთან დაეკავშირებინათ. საბოლოოდ ეს ასეც მოხდა. ბუდუ მდივნის ეს წინადადება, როგორც ვნახეთ, გათვალისწინებულ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც 1921 წლის 25 ნოემბერს და რკპ(ბ) ცენტრალური

---

[57] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი. ფ. 85, აღწ. 18, საქ. 101, ფურც. 1.

კომიტეტის პოლიტბიუროშიც 1921 წლის 29 ნოემბერს, როცა საბოლოოდ გადაწყდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საკითხი.

ამის შემდეგ თითქოს დავაც უნდა ამოწურულიყო, მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა (მისი უმრავლესობის) და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს ურთიერთდამოკიდებულება თანდათან იძაბება. გაჩნდა იმის სიმპტომები, რომ ამ ორ პარტიულ ორგანოს შორის ადრიდანვე არსებული არცთუ მაინცდამაინც კოლეგიური ურთიერთობა, ამჯერად დიდ უთანხმოებაში გადაიზრდებოდა. იწყებოდა დიდი კონფლიქტი, რომელიც არათუ ვერ ჩააქრეს, არამედ უკიდურესადაც გაამწვავეს. ამაში ნაკლებმნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმანაც, რომ პრინციპულ საკითხებზე დავისას, როგორც ითქვა, ვერც ერთი მხარე ვერ იჩენდა სიდინჯეს, არ თაკილობდა მოწინააღმდეგეთა პიროვნულ შეურაცხყოფას, სხვადასხვა ოდიოზური იარლიყების მიკერებას, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა საქართველოში იმ დროს არსებული საერთო პოლიტიკური სიტუაცია.

როგორც უკვე ვიცით, ბუდუ მდივანი 1921 წლის 25 ნოემბერს ატყობინებდა იოსებ სტალინს, რომ სერგო ორჯონიკიძემ ქართველ კომუნისტებს (იგულისხმებიან ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტები") საჯაროდ დასდო ბრალი შოვინიზმში. ისიც გავიხსენოთ, ბუდუ მდივანი ადრე კავბიუროს შემადგენლობის შეცვლას მოითხოვდა. სერგო ორჯონიკიძისა და ბუდუ მდივნის ურთიერთდამოკიდებულება დღითიდღე უარესდება. ამაზე ნათლად მეტყველებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1921 წლის 2 დეკემბრის სხდომის შემდეგი საოქმო ჩანაწერები:[58].

Слушали	Постановили
...б) заявление т. Орджоникидзе о его решении уехать в Москву	ЦК КПГ постановляет довести до сведения ЦК РКП, что ввиду создавшихся обстоятельств ЦК считает невозможным отъезд из Грузии т. Орджоникидзе и просит т. Орджоникидзе до получения ответа от ЦК РКП не приво-

[58] პოლიტიკურ პარტიათა არქივი, (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 8, ფურც. 39—40.

Слушали	Поставили
	дить в исполнение своего решения.
Заявление т. Орджоникидзе по поводу слов т. Мдивани будто весь состав ЦК КПГ за исключением 3-х членов считает т. Орджоникидзе „злым гением“ Кавказа и считает необходимым его отозвание отсюда.	Из присутствующих 9 членов ЦК, 8 считают себя неприкосновенными к подобному заявлению.
	Поручить секретариату персонально опросить остальных членов ЦК, высказывали ли они подобный взгляд на роль т. Орджоникидзе.

აქ მთავარი ის არის, რომ 1921 წლის დამდეგს უთანხმოება უკვე ოფიციალურად დაფიქსირდა. სერგო ორჯონიკიძე მაშინ ამიერკავკასიიდან არ გაუწვევიათ. პირიქით, მისი პოზიციები ი. ბ. სტალინის მხარდაჭერით არნახულად განმტკიცდა. მოვლენები ისე განვითარდა, რომ ცოტა ხნის შემდეგ საქართველოდან სერგო ორჯონიკიძის მოწინააღმდეგე ჯგუფის რამდენიმე წევრი გაიწვიეს. იქამდე კი წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში კვლავ გრძელდებოდა დავა იმავე ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხებზე.

მიუხედავად ამისა, რუსეთის კომუნისტურმა (ბ) პარტიამ და მისმა შემადგენელმა ნაწილებმა — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კომუნისტურმა პარტიებმა დაწყებული საქმე პოლომდე მიიყვანეს — ამიერკავკასიის ფედერაცია ჩამოაყალიბეს.

4. ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის (ამიერკავკასიის ფედერაციის) შექმნა და მისი გარდაქმნა ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკად

ამიერკავკასიის სს რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების პროცესი ძირითადად ასე მიმდინარეობდა: გააერთიანეს რკინიგზები, რესპუბლიკათა საგარეო ვაჭრობა. შეუდგნენ სასაზღვრო კორდონების, საბაჟოების ლიკვიდაციას, ფულადი სისტემის უნიფიცირებას და ა. შ.

უმთავრესი ყურადღება რესპუბლიკათა სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანებას ექცეოდა. ამ საქმეში ვ. ი. ლენინის უშუალო მითითებებით ხელმძღვანელობდნენ. 1921 წლის 9 აპრილს ვ. ი. ლენინი მოითხოვდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის შეექმნათ „საოლქო სამეურნეო ორგანო", რომელიც ხელს შეუწყობდა ამიერკავკასიის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. „მივიღე თქვენი დაშიფრული დეპეშა, რომ სურსათის მხრივ ამიერკავკასიაში საშინელი მდგომარეობაა. ჩვენ მივიღეთ მთელი რიგი ღონისძიებანი, ცოტაოდენი ოქრო მივეცით სომხეთს, დავადასტურეთ სასურსათო კომიტეტისათვის მოცემული ყოველგვარი დავალებანი. მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ აქ ძალიან გვიჭირს და ვერ შევძლებთ დაგეხმაროთ. დაბეჯითებით მოვითხოვ შექმნათ საოლქო სამეურნეო ორგანო მთელი ამიერკავკასიისათვის" — სწერდა ვ. ი. ლენინი გ. კ. ორჯონიკიძეს[59]. ამასთან ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ კავკასიის რესპუბლიკათა „მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს"[60].

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სამეურნეო ღონისძიებების გაერთიანების თაობაზე იმსჯელეს და სათანადო დადგენილებებიც მიიღეს რკპ(ბ) ცკ-ის კავბიუროს 1921 წლის 3 ივლისის პლენუმმა (ი. ბ. სტალინის მონაწილეობით), 1921 წლის 12 აგვისტოს კავკასიის სამხარეო პარტიულმა თათბირმა. 1921 წლის 16 აგვისტოს კი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ მიიღო გადაწყვეტილება კავკასიის ეკონომიკური ბიუროს შექმნის შესახებ.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს 1921 წლის 3 ივლისის გაფართოებულმა პლენუმმა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა, კერძოდ, საქართველოს საბჭოური დამოუკიდებლობის შესახებაც იმსჯელა. იგი ს. მ. კიროვმა გახსნა. გ. კ. ორჯონიკიძემ მსჯელობის ძირითადი საკითხი ასე განსაზღვრა: „На этом совещании выяснить основной вопрос о независимости Грузинской республики, который при практическом осуществлении породил ряд недоразумений и недоговоренностей. Совещание должно дать ответ на вопросы:

---

[59] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 510.
[60] იქვე, ტ. 32, გვ. 397.

1. В каком смысле мы понимаем независимость Кавказских республик. 2. Можно ли рассматривать независимость в буржуазном понимании. 3. Могут ли быть Закавказские советские республики независимы от РСФСР. 4. Могут ли быть Закавказские советские республики независимы друг от друга»[61].

გ. კ. ორჯონიკიძემ მეტად აქტუალური საკითხები დააყენა, თანაც თავისი აზრი არ გამოუთქვამს. სხვებს კი შესაძლებლობა ჰქონდათ თავისუფლად გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებანი. მონაწილენი გულწრფელად ლაპარაკობდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ თუ თათბირი გ. კ. ორჯონიკიძის მიერ დაყენებულ საკითხებს გაარკვევდა, ეს დიდად შეუწყობდა ხელს ეროვნული პოლიტიკის საკითხებზე არსებული უთანხმოების მოსპობას.

მივყვეთ საოქმო ჩანაწერს: „**Слово Буниат-заде:** тов. **Буниат-заде** отмечает, что вопросы здесь поставлены правильно и на них надо дать исчерпывающий ответ, так как в Азербайджане они неоднократно возбуждались. По вопросу о назначении представителя ВЧК на Кавказе он говорит: «Надо поставить вопрос, доверяет ли РКП здешним ответственным работникам, я думаю, что и здесь найдутся такие Русановы, которые сумеют ответить перед РКП» и считает, что появление такого представителя ВЧК подрывает доверие крестьян. Тов. Буниат-заде находит для более успешной борьбы с врагами объединить работу, но сказать открыто, что нет самостоятельности — нельзя.

Слово т. **Буду Мдивани:** Прав тов. Серго, когда говорит, что существует разное понимание независимости. У нас есть свое понимание независимости и есть своя цель, чего мы хотим, и надо уяснить ту политическую цель, почему нам это нужно. Нам надо завоевать массы, и вырывание этих масс из противных нам партий есть самая определяющая наша цель. Грузия культивирована меньшевиками, здесь они пре-

---

[61] პლენუმი ფაქტობრივად წარმოადგენდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის ბაქოსა და თბილისის კომიტეტების, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის, კავკასიის ცალკე არმიის რევოლუციური საბჭოსა და გორსკის კომიტეტის წევრთა თათბირს.

обладают и имеют доминирующую роль и грузинские массы настолько распропагандированы ими, что при вырывании этих масс наталкиваешься на непреодолимые препятствия. Национальная независимость необходима для завоевания этих масс, хотя это очень опасная вещь. Но тут, чтобы не увлекаться, есть узда—партийная дисциплина, и никто нас не может заподозрить в национализме, ибо это необходимо для завоевания масс, а нам прежде всего надо перестать разговаривать о национализме. Если на ж. д. не выходит объединение, то виноваты вы, ибо вы без подготовки, без агитации объединение создали так, что вместо объединения получилось разъединение. Также и с внешторгом, массу не распропагандировали и не дали ей переварить, и все выходит, как будто это из Москвы. И этим вы усиливаете национальные чувства. И я подчеркиваю: полная независимость в государственном смысла, для вырывания масс и самая тесная связь с партией, полное единение с РКП.

Слово т. **Одилавадзе:** т. Одилавадзе указывает, что объединение ж. д. произошло без предварительной подготовки, профсоюзов не спрашивали, а после факта сказали — исполняй. Он говорит, что в профсоюзе было свое понимание этого вопроса, и это было сказано на конференции профсоюзов. Сначала полагали сорганизоваться на местах, устроить участковые съезды допр (неразборчиво), потом съезд Грузии и затем съезд закавказских ж. д., и таким образом постепенно подготовить вопрос, но это не было сделано.

Далее тов. **Одилавадзе** указывает, что работников обвиняют в саботаже, но это не верно, мы только говорили, что когда диктуют сверху, то без всякой подготовки пойти в массы, над которыми имеют влияние меньшевики, — нельзя. И вот, когда перебрасывают работников и смещают — это вызывает трения среди рабочих. Мы говорили, что надо подойти осторожно, учитывать объективные условия, в которых мы находимся.

Слово тов. **Думбадзе:** Объединение ж. д. произошло без предварительного обсуждения и без предварительного пар-

тийного мнения, и поставило нас перед фактом, и это создало недоразумения. Мы не знали, как думали в Азербайджане, в Армении и не знали мнения ЦК КПГ, и естественно, что мы все подходили кто как понимал, и не имея определенного мнения, мы разбрелись, одни пошли в Федерацию, другие в национализм, а третьи в слишком сильный интернационализм. Этого разброда могло бы и не быть. Создание единого Управления ж. д. сначала даже подняло массы, они ожидали больших благ, вот, мол, пойдут вагоны прямо и будет хлеб, но, когда этого не оказалось, решили, что объединение только помешало. У нас линии не было, а было мнение отдельных товарищей, а саботажа тут не было, а было непонимание. Я надеюсь, что в дальнейшем мы определим линию и избегнем столкновений, которые сейчас имели место. Если бы мы с самого начала созвали это совещание и выяснили взаимоотношения, то разногласий не было бы, но мы руководства не имели, не сумели создать тактику. Приезд представителя ВЧК со страшным мандатом вызвал разногласия; нужен ли представитель и какие должны быть его полномочия. (Об объединенном Внешторге не записано).

Я не совсем понимаю, будет „полный" контакт с РКП и полная национальная независимость. Мы гордимся, что все получаем от РКП, но будем протестовать против вмешательства представителей РСФСР. Наша масса еще не доросла, нужна еще самодеятельность в практической жизни, самостоятельность, но не национальная независимость. Нетактичное ведение объединения в 70% портило дело, приезжали товарищи с мандатами, не являлись никуда, а прямо шли в районы и производили работу. Это, безусловно, раздражало массы.

Слово тов. **Мравьяна**: Отмечает, что недочеты в работе чувствуются всеми и о них надо говорить и устранить. При разрешении национального вопроса требуются не только уступки, но и борьба, и констатирует, что во внутренней работе 3-х республик этой борьбы против диких форм национализма не было.

Далее указывает на политику, ведущуюся т. т. грузинами по отношению к Армении, например, по вопросу о существующих границах, напоминает историю с картиной, которую грузины не отдали для выставки в Армении, о том, что Грузия реагировала на факт перехода ж. д. имущества другим республикам и не учитывала тех благ, которые сама получала от соседних республик. Отмечает незнакомство т. т. с армянской контрреволюцией, которая под диктовку Антанты готовит создание новой Армении в Турции.

Тов. Мравьян, отвечая тов. Мдивани, говорит, что у нас должна быть своя самостоятельность, и если по всем вопросам обращаться в РКП, это будет мешать самостоятельности.

Слово тов. Махарадзе: тов. Махарадзе констатирует, что основной вопрос, который надо разрешить, это — как мы понимаем независимость и самостоятельность Спрашивает, изменилась ли по этому вопросу политика Москвы. Если действительно тактика РСФСР изменилась, то официальное существование на Кавказе представителей ВЧК и других наркоматов не допустимо. Это может быть осуществлено не официально, только через партийные органы.

Слово тов. Сталина: Прежде всего разъясню вопрос тов. Назаретьяна. Права ЦК Грузии приравниваются не к губкому, а областному, а это нечто другое. Отвечу тов. Филиппу: „Изменила ли РКП политику" — нет, не изменила, резолюция 10-го съезда должна проводиться и до следующего съезда изменить нельзя.

Прения здесь ведутся хаотически. Говорили все обо всем, у кого что наболело. Все, о чем говорилось, разделю на 4 вопроса: 1) об отношении независимых республик Закавказья к РСФСР, 2) об отношении республик Закавказья друг к другу, 3) о характере партийной работы в Закавказье, 4) о порядке администрирования.

Первое: отношение республик Закавказья к РСФСР выражается в независимости в смысле государственной незави-

симости своей государственной формы, при наличии полного партийного контакта.

Примеры:

Первая ступень чисто административная, автономия. Вторая ступень автономные республики, тут предполагается автономия не только административная, но и политическая. Во главе стоит СНК, издающий декреты. Наркоматы хозяйственные и военные автономных республик связаны с наркоматами РСФСР и получают соответствующие распоряжения. Например, Бакреспублика, Укрреспублика. Третья ступень: договорность республик. Во внутреннем отношении независимы, но в известных отношениях договариваются с РСФСР, например, Украина, Белоруссия, все наркоматы автономны от РСФСР. Четвертая ступень: полная независимость, напр.: Армения, Грузия, Хива, ДВР, хотя последняя зависит в военном отношении.

ЦК РКП в отношении Грузии и Армении сохранил полную форму независимости. На одном из совещаний Москвы т. Наримановым был возбужден вопрос о том, что автономия Азербайджана нужна только до совещания[62] Грузии и Армении, но после опыты показали, что это не соответствовало действительности. Полная независимость Грузии, Армении и Азербайджана была нами признана при 2 соображениях: 1) эти республики отличаются от остальных тем, что 3-х летнее существование национального правительства наложило свой определенный отпечаток, следы воспитания остались и советизацией сразу не изживешь, и потому пришлось идти окольными путями. Этим они кардинально отличаются от всех остальных республик. 2) Признание независимости в Армении и Грузии после освобождения Батума — извест(ного) порта, могущего быть связанным с иностранными фирмами, которые психологически открыто и свободно торговать с Россией не могут, потому, что они обижены Рос-

---

[62] В документе так. Очевидно должно быть „советизации".

сией и что гораздо удобнее открыть дорогу через Грузию, надо использовать Грузию как свободную дорогу к иностранным фирмам. Признавая полную независимость Грузии, тем легче будет вести торговлю.

Обвинения в национализме неправильны, никакого национализма нет, если будет объявлена полная независимость при наличии тесной связи с партией.

Признание РКП независимости Грузии, Армении и Азербайджана должно быть проведено до конца. Целесообразно ли посылать представителей ВЧК и др. наркоматов, я полагаю, что можно согласиться, что и не целесообразно, а если вы здесь решите, что это лишнее, то РКП будет считаться. Надо подтвердить необходимость полной советской независимости Грузии, Армении и Азербайджана, сохраняя полную духовную связь с партией и Интернационалом, полную связь и зависимость.

Следы национализма в массах должны быть, т. к. массы вскормлены и отравлены меньшевиками. Больше 18 лет ведется национальная политика, она получила полное оформление. Следы эти безусловно остались. Грузия — государство советское, беспартийное. Партия только руководит ответственными работниками. Наркомы могут быть и беспартийными. Почему мы отслаиваем профсоюзы от партии, чтобы не отпугнуть беспартийную массу, а ответственные работники профсоюзов руководятся партией.

Независимость не есть наше нежелание принять помощь от России. Независимость мы сохраняем, а поддержку оказываем и о всех фактах помощи надо говорить громко, и тут национальный вопрос потерпит поражение, и это значительно облегчит разрешение национальных вопросов. Предполагается, что советская республика должна оказать помощь другой сов(етской) респ(ублике) работниками, сырьем, хлебом, топливом и др. и это должно делаться не по-товарищески, а официально, взаимная помощь по добровольному соглашению, как разных единиц. Это должно делаться для облегчения борьбы с национализмом.

Об отношении друг к другу.

Вопрос о федерации не должен быть поставлен так, чтобы освободить себя от всяких недоразумений, но вопрос об объединении хозяйственных органов поставить надо.

Например Внешторг: — взаимная услуга необходима. Если это тормозится боязнью коммунистов, что их обвинят в продаже Грузии, Армении или Азербайджана, все равно от этого не избавиться, и придется в пользу своих соседей делать уступки, хотя тут и будут неудобства и недоразумения, но на этом останавливаться нельзя, нужно руководствоваться взаимным облегчением создать торговый орган, нужно, не изменяя интересам республики.

Объединение железных дорог также было необходимо. Взаимные отношения должны определяться взаимными услугами"[63].

უთუოდ საინტერესო დოკუმენტია. მასში შესანიშნავადაა დახატული იმდროინდელი მდგომარეობა და მთელ რიგ ხელმძღვანელ მუშაკთა განწყობილებები.

ყურადღებას იპყრობს რამდენიმე მომენტი:

1. როგორც გ. კ. ორჯონიკიძის შესავალი სიტყვიდან ჩანს, თათბირის (პლენუმის) მიზანი იყო გაერკვია „მთავარი საკითხი" საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ. საქართველოს ასეთი „გამოცალკევება" ალბათ იმით უნდა აიხსნას, რომ სწორედ საქართველოში შეხვდა უფრო მეტი წინააღმდეგობა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს კურსს, რომელიც ვერ ითვალისწინებდა ეროვნული საკითხისადმი ფაქიზი დამოკიდებულების აუცილებლობას და სათანადო მოსამზადებელი მუშაობის გარეშე, ადმინისტრირების წესით ცდილობდა რესპუბლიკის სუვერენიტეტთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას. ეს კი რესპუბლიკის ხელმძღვანელთა დაუფარავ გულისწყრომას იწვევდა.

---

[63] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 64. აღწ. 1, საქ. 2, ფურც, 220—224, ი, ბ, სტალინის გამოსვლის ბოლო ნაწილი (ერთი აბზაცი პროფკავშირთა გაერთიანების შესახებ) აქ არ მოგვყავს. იგი წინა გვერდებზე დავიმოწმეთ. დოკუმენტიდან ჩანს, რომ თათბირზე გამოვიდნენ მ. დ. ორახელაშვილი და ა. მ. ნაზარეტიანი, მაგრამ მათი გამოსვლის ტექსტი ოქმში არ არის დაფიქსირებული.

ამიტომაც ითქვა შესავალ სიტყვაში, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის პრაქტიკული განხორციელების დროს ბევრი უმსგავსობა წარმოიშვაო.

ასეა თუ ისე, ეს პლენუმი (თათბირი) ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებისთვისაც მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან მან ყველასათვის საჭირბოროტო საკითხებზე იმსჯელა.

2. თათბირის მონაწილენი მოურიდებლად ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ როგორ ესმით მათ საბჭოთა დამოუკიდებლობა. ქართველი მოღვაწეები კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამენ კავკასიის ბიუროს მისამართით, აღნიშნავენ, რომ აჩქარებას ჰქონდა ადგილი რკინიგზების გაერთიანებისას და სხვ. თუმცა მათი გამოსვლები, როგორც ვნახეთ, ერთხელ კიდევ ადასტურებენ, რომ ისინი, კერძოდ, „ნაციონალ-უკლონისტები“ ძირითადად ბოლშევიკების ეროვნული პროგრამის აპოლოგეტები არიან, საქართველოს ნამდვილ დამოუკიდებლობაზე მათ არასოდეს უფიქრიათ. ნამდვილი დამოუკიდებლობა მათ საქართველოსათვის დამღუპველადაც მიაჩნდათ. ვიწრო ბოლშევიკურ წრეში ისინი იმის აღიარებასაც კი არ ერიდებიან, რომ საქართველოს სუვერენული უფლებების გაზრდაზე ლაპარაკი აუცილებელია მოსახლეობაზე მენშევიზმის გავლენის შესასუსტებლად, ხალხის დასაშოშმინებლად და ა. შ.

ამიერკავკასიის სს რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების გზაზე გადამჭრელი ნაბიჯი გადადგა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს 1921 წლის 3 ნოემბრის პლენუმმა, რომელმაც, როგორც ითქვა, მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის ფედერაციის შესახებ, დადგენილებაში ნათქვამია: «Обособленное государственное существование закавказских республик обесценивает их перед лицом капиталистических и буржуазных стран; тесный политический союз послужит прочной гарантией от всяких покушений на них со стороны контрреволюционных сил и укрепит Советскую власть на рубежах Ближнего Востока.

Политическое объединение даст возможность республикам на деле установить между собой тесный хозяйственный союз. попытки к заключению которого делались неоднократно. Между тем, разобщенность республик углубляла и без того тяжелое экономическое положение Закавказья, нищету и разорение народных масс и вызвала целый ряд недоразумений между республиками. Закавказье представляет из себя единое хозяйственное целое, и его экономическое развитие мо-

жет идти лишь под знаком общекавказского хозяйственного объединения.

Наконец, существование многочисленных наркоматов и учреждений в трех республиках поглощает много сил и средств, создает ненужный параллелизм в работе во многих органах. Поэтому администрирование общими усилиями в главных и важнейших отраслях государственной жизни усилит и оплодотворит советскую работу.

Исходя из этого, Кав(казское) бюро считает неотложно необходимым заключение федеративного союза между республиками, прежде всего в области военной, хозяйственной и финансовой работы и иностранной политики»[64].

კავბიუროს 3 ნოემბრის პლენუმმა გამოჰყო კომისია შალვა ელიავას ხელმძღვანელობით, რომელსაც დაევალა შეემუშავებინა ამიერკავკასიის სს რესპუბლიკათა „სამოკავშირეო საბჭოს“ კონსტიტუციის პროექტი.

კავბიუროს 3 ნოემბრის პლენუმის დადგენილებას მხარი დაუჭირა საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტმა. მის გადაწყვეტილებაში, რომელიც მიღებულ იქნა არაუგვიანეს 22 ნოემბრისა, ნათქვამია:

«Совместное заседание пленума ТК с ответственными работниками Тифлисской организации, заслушав доклад о федеративном объединении советских республик Закавказья, всецело присоединяется к постановлению Кавбюро ЦК РКП, подтвержденному ЦК КПГ по этому вполне назревшему вопросу. Находя это решение в обстановке международного и внутреннего положения Грузии политически вполне правильным и своевременным, а экономически целесообразным и насущно необходимым, собрание поручает ТК под руководством ЦК немедленно провести кампанию в партийной и беспартийной массе о союзном объединении советских республик Закавказья»[65].

1921 წლის 22 ნოემბერს რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნდა სა-

---

[64] Борьба за упрочение Советской власти в Грузии (1921—1925 гг.). Сб. док., თბილისი, 1959, გვ. 65; მსჯელობა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის დასასაბუთებლად რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს 1921 წლის 3 ნოემბრის დადგენილებასა და სხვა ოფიციალურ მასალებში ჩამოყალიბებული არგუმენტების აე-კარგის შესახებ მომდევნო პარაგრაფში გვექნება.

[65] იქვე.

ქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისები ამიერკავკასიის ფედერაციის შესახებ.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ სპეციალურად იმსჯელა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1921 წლის 25 ნოემბერს. პლენუმის რეზოლუციაში ვკითხულობთ:

«1) Немедленно приступить к выборам в Советы во всех районах, где за нами обеспечено успешное проведение их.

2) Связать с выборной кампанией вопрос о федерации Закавказских республик.

3) Немедленно приступить к подготовке и фактическому проведению в жизнь уже принятого решения о федерации: объединение народных комиссариатов финансов, Индел и Воен., формально сохранив республиканские комиссариаты, созыв совещания представителей республик для обсуждения формы организации Советского Союза и выделения временной комиссии на правах Союзного Совета.

4) Формальное и официальное декларирование провести через Всегрузинский съезд Советов до официального декларирования»[66].

ამიერკავკასიის კპ (ბ) თბილისის კომიტეტმა მოწოდებით მიმართა საქართველოს მუშებს, გლეხებს, წითელარმიელებს, ყველა მშრომელს.[67]

ნოემბერ-დეკემბერში კომუნისტურმა ორგანიზაციებმა საქართველოს ყველა რაიონში გააჩაღეს კამპანია ამიერკავკასიის ფედერაციის მხარდასაჭერად. კრებებზე მიღებული რეზოლუციები არ გამოირჩეოდნენ არგუმენტაციის სიღრმით, თუმცა მათ ფართოდ აქვეყნებდა რესპუბლიკური პრესა. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის აუცილებლობა დაადასტურა საქართველოს კომპარტიის პირველმა ყრილობამ (1922 წლის იანვარი), საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ (1922 წლის თებერვალ-მარტი). ბევრმა სხვა საბჭოთა თუ კომუნისტურმა ფორუმმა.[68]

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა აუცილებლად მიიჩნია ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების პირველმა ყრილობამ,

---

[66] Борьба за упрочение Советской власти в Грузии (1921—1925 гг.), Сб. док. გვ. 72.

[67] იქვე. გვ. 73—75.

[68] იქვე, გვ. 75—85, 106—110.

რომელიც 1922 წლის აპრილში გაიმართა. კამპანიას სათავეში ედგნენ: გ. კ. ორჯონიკიძე, ს. მ. კიროვი, ა. თ. მიასნიკოვი, მ. დ. ორახელაშვილი და სხვები.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების იდეის პოპულარიზაციის მიზნით, თბილისში და საქართველოს რაიონებში ტარდებოდა მიტინგები. თბილისში ჩატარდა 30, მაზრებში — 45 მიტინგი.[69] კამპანიაში აქტიურად ჩაებნენ პროფკავშირები, კომკავშირი, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ამიერკავკასიის ფედერაციის საბჭოურ იდეას არ იწონებდნენ საქართველოს სხვა პოლიტიკური პარტიები,[70] რომლებიც, ისევე როგორც ქართველი ე. წ. ნაციონალ-უკლონისტები, საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსის შეზღუდვად მიიჩნევდნენ მას. მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის კომუნისტებმა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის,[71] პირადად ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინის, ვ. მ. მოლოტოვისა და სხვების ხელმძღვანელობით ბოლომდე მიიყვანეს დაწყებული საქმე.

გაერთიანების იდეა მოიწონეს სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოების ყრილობებმაც, რომლებმაც, ისევე როგორც საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ, აირჩიეს სრულუფლებიანი წარმომადგენლები ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების დასადებად. ეს ხელშეკრულება 1922 წლის 12 მარტს დაიდო. ეს დღე ითვლება ამიერკავკასიის ფედერაციის — ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის შექმნის თარიღად, ხელშეკრულებაში ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის აუცილებლობა მოტივირებულია რესპუბლიკათა შორის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირის აუცილებლობით, თავდაცვისა და სამეურნეო შშენებლობის ინტერესთა ერთიანობით. უმაღლესი ხელისუფლება მთელს ამიერკავკასიის ფედერაციაში ეკუთვნოდა „სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციას“, აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა ამ კონფერენციის მიერ გამოყოფილი „სამოკავშირეო საბჭო“, დაარსდა აგრეთვე

---

69 იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 87—88.

70 ამის შესახებ იხ. სპეციალურ პარაგრაფში.

71 რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1922 წლის 3 აპრილს კვლავ მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის ფედერაციის აუცილებლობის შესახებ (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 92—93).

„უმაღლესი ეკონომიური საბჭო“, რომელიც მოქმედებდა, როგორც „სამოკავშირეო საბჭოს“ მუდმივი კომისია. „უმაღლესი ეკონომიური საბჭოს“ დადგენილება სავალდებულო იყო გაერთიანებულ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოებისათვის. „სამოკავშირეო საბჭო“ და მისდამი დაქვემდებარებული ორგანოები ანგარიშვალდებული იყვნენ „სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციის“ წინაშე. კონფერენცია უფლებამოსილი იყო, შეეჩერებინა ან გაეუქმებინა „სამოკავშირეო საბჭოს“ და „უმაღლესი ეკონომიური საბჭოს“ დადგენილებანი. სამოკავშირეო ხელშეკრულებაში განსაზღვრული იყო აგრეთვე საბჭოთა რუსეთთან ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ურთიერთობის საფუძველი და პირობები, კერძოდ, ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კავშირი საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობას ამყარებს სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე[72].

1922 წლის დამლევისათვის ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კომუნისტურმა პარტიებმა მომზადებულად მიიჩნიეს ნიადაგი ამიერკავკასიის სს რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის (ამიერკავკასიის ფედერაციის) ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკად გარდაქმნისათვის. 1922 წლის ნოემბერში შედგა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა თათბირი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობის მოწვევის შესახებ. „ამიერკავკასიის ფედერაციამ თავისი არსებობის 8 თვის მანძილზე, — ნათქვამია თათბირის გადაწყვეტილებაში, — დაამტკიცა არა მარტო თავისი სიცოცხლისუნარიანობა, არამედ მისწრაფება ამიერკავკასიის ხალხთა შორის კიდევ უფრო მჭიდრო კავშირისაკენ, აგრეთვე მისწრაფება სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან მათი ძმური ერთიანობისაკენ“.[73]

ამიერკავკასიის საბჭოების პირველი ყრილობა 1922 წლის 10 დეკემბერს გაიხსნა ქ. ბაქოში. ყრილობამ მოიწონა ამიერკავკასიის უფრო მჭიდრო შეკავშირების იდეა და შექმნა ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკა. ყრილობაზე აირჩიეს ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში

---

72 იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VIII, გვ. 91—92.

73 Образование СССР, გვ. 305.

შევიდნენ: ი. ვაცეკი, ა. გეგეჭკორი, ა. გიორგაძე, გ. დევდარიანი, შ. ელიავა, მ. კახიანი, ს. კიროვი, ს. მამულია, ფ. მახარაძე, ს. მოგილევსკი, ა. მიასნიკოვი, ნ. ნარიმანოვი, მარიამ ორახელაშვილი, მამია ორახელაშვილი, ს. ორჯონიკიძე, ვ. სტურუა, ს. ქავთარაძე, ლ. ღოღობერიძე, მ. ცხაკაია, მ. ჩოდრიშვილი და სხვები, — სულ 150 წევრი და 50 კანდიდატი. აირჩიეს ავრეთვე საბჭოების პირველ საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატები. ყრილობამ დაამტკიცა ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). ამასთან დაკავშირებით, სათანადო ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს სს რესპუბლიკის პირველ კონსტიტუციაში.

ამ დროისათვის საბჭოთა სინამდვილეში სულ რესპუბლიკათა ორი ფედერაციული გაერთიანება არსებობდა: რუსეთის სფს რესპუბლიკა და ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკა (ადრე — ამიერკავკასიის ფედერაცია). ამ ორ ფედერაციას შორის არსებითი განსხვავება იყო. რუსეთის ფედერაციაში რესპუბლიკები და ოლქები ე. წ. „ავტონომიზაციის" ფორმით გაერთიანდნენ, სხვანაირად რომ ვთქვათ, რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს წარმოადგენდნენ ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები. ამიერკავკასიის ფედერაციის სუბიექტები კი იყვნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები (ე. წ. სუვერენული რესპუბლიკები). ამიერკავკასიის რესპუბლიკებს — საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს — ფედერაციის შემადგენლობიდან ცალმხრივი აქტით გასვლის უფლება არ ჰქონდათ[74]. აფხაზეთის სახელშეკრულებო სს რესპუბლიკა ამიერკავკასიის ფედერაციაში საქართველოს მეშვეობით შედიოდა.

1922 წლის დეკემბრის თვეში შექმნილ სსრ კავშირში საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი შედიოდნენ არა ცალ-ცალკე, არა როგორც მოკავშირე რესპუბლიკები, არამედ როგორც ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკები. ეს, რასაკვირველია, ზღუდავდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სახელმწიფოებრივ სტატუსს, რის წინააღმდეგაც სავსებით სამართლიანად იბრძოდნენ „ნაციონალ-უკლონისტები". საქართველოს კომპარტიაში, როგორც ვნახავთ, კამათი ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის დაარსებიხ შემდეგაც გრძელდებოდა.

---

74 იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 96.

5. ამიერკავკასიის სფს რესაუბლიკა — ზედმეტი რგოლი საბჭოთა სახელმწიფოებრივ სისტემაში

(ამიერკავკასიის ფედერაციის მომხრეთა არგუმენტების კრიტიკა)

თუ იმ არგუმენტების მიხედვით ვიმსჯელებთ, რომლებითაც ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის შექმნის გამართლებას ცდილობდნენ, შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია მართლაც ზედმეტი რგოლი იყო საბჭოთა სახელმწიფოებრივ სისტემაში. ფედერაციას არ გადაუჭრია არც ერთი პრობლემა, რომელთა მოსაგვარებლადაც მას ქმნიდნენ. ფედერაციული რესპუბლიკა 14 წელი (1936 წლამდე) აჯახირეს, თუმცა აშკარად იგრძნობოდა, რომ უკვე 30-იანი წლების დამდეგს მას წყალი ჰქონდა შეყენებული.

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული იყო აზრი, რომ ამიერკავკასიის ფედერაციამ 30-იანი წლების მეორე ნახევრისათვის ამოწურა თავისი მისია და ამიტომაც გააუქმესო. ეს დებულება არ არის სწორი. ჯერ ერთი, ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკას რაიმე გამამართლებელი, კეთილი მისია არასოდეს ჰქონია, იგი გარკვეულწილად თავიდანვე უფუნქციო იყო. „ფუნქციები", რომლებიც მას დააკისრეს, თავისუფლად შეიძლებოდა განხორციელებულიყო უფედერაციოდაც და, ცხადია, ფედერაციის პირობებშიც, მაგრამ არა მის მიერ, არამედ უფრო ძლიერი, ტოტალიტარული სსრ კავშირის მიერ. მეორე, ზემოაღნიშნული დებულების („ფედერაციამ ამოწურა თავისი მისია და გააუქმეს") ავტორებს ისე გამოუდით, თითქოს ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის არსებობას მისი ორგანიზატორები თავიდანვე დროებით მოვლენად მიიჩნევდნენ, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. საქმე ისაა, რომ ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის არსებობა სანმოკლე დროისათვის არ იყო გამიზნული. ამიერკავკასიის საბჭოების პირველ ყრილობაზე (1922 წლის 10-13 დეკემბერი) ამიერკავკასიის ფედერაციის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი სერგო ორჯონიკიძე ამბობდა: «Тов. Глонти тут говорил, что звезда федерации (იგულისხმება ამიერკავკასიის ფედერაცია — ლ. თ.) поблекла. Я думаю, что звезда федерации не может поблекнуть, она может поблекнуть тогда, когда поблекнут все государства вообще, когда мы их совершенно изживем»[75].

---

[75] Первый съезд закавказских Советов. Стеногр. отч., თბილისი, 1923, გვ. 82.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისათვის მეორე თავგამოდებული მებრძოლი მამია ორახელაშვილი წერდა, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია будет «отмирать» лишь после победы социализма во всем мире, будучи звеном мировой советской федерации в период диктатуры пролетариата в странах победившего Октября»[76].

მაშასადამე, ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმებას მისი ორგანიზატორები შესაძლებლად მიიჩნევდნენ არა 30-იანი წლების მეორე ნახევარში, არამედ „მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ", „საერთოდ ყველა სახელმწიფოს გაუქმების" შემდეგ.

ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია ფაქტობრივად სამი არარუსული რესპუბლიკისაგან შემდგარი ერთი რუსული პროვინციის შექმნის მცდელობა იყო. ყოველ შემთხვევაში, ამიერკავკასიის ფედერაციას სწორედ ასე აღიქვამდა ზოგიერთი ქართული პოლიტიკური პარტია[77]. რუსულ პროვინციად ამიერკავკასიის გადაქცევა იმ პირობებში ადვილად განსახორციელებელ მიზნად მიაჩნდათ (ამ მიზანს, ბუნებრივია, ვერ გაამხელდნენ). საქმე ის არის, რომ ამიერკავკასიის გაერთიანებული არაქართულ, არასომხურ, არააზერბაიჯანულ სახელმწიფოში ვერც ერთი ადგილობრივი მკვიდრი ერის ენა ვერ შეასრულებდა ერთაშორისი ურთიერთობის, ან სახელმწიფო ენის როლს. ასეთი როლი მხოლოდ რუსულ ენას უნდა შეესრულებინა. აქედან გამომდინარე, საქმის წარმოება ჯერ ამიერკავკასიის საფედერაციო ორგანოებსა და დაწესებულებებში, შემდეგ, შესაძლოა, ყველგან მხოლოდ რუსული უნდა ყოფილიყო. ეს თავისთავად მნიშვნელოვან დაღს დაასვამდა საკადრო პოლიტიკას, რაც, ცხადია, ამიერკავკასიის მკვიდრი ერებისათვის საზიანო იქნებოდა. რუსული ენის გაბატონებას ბუნებრივად მოჰყვებოდა (ისე როგორც წინა საუკუნეში) თავისთავად ერთობ მდიდარი, მაგრამ ამიერკავკასიის ერებისათვის უცხო რუსული კულტურის დანერგვა, რაც ბარიერებს შეუქმნიდა ასევე მდიდარი და თვითმყოფი ეროვნული კულტურების განვითარებას მხარეში. ასეთი იყო სამი არარუსული რესპუბლიკისაგან შემდგარი „რუსული პროვინციის" პერსპექტივები, რომლებზედაც, როგორც ითქვა, აშკარად არ ლაპარაკობდნენ. ამიერ-

---

[76] Орахелашвили М. Д. Готовить вторую пятилетку — пятилетку бесклассового социалистического строя, თბილისი, 1932, გვ. 22.

[77] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 8, აღწ. 5, საქ. 348.

კავკასიის ფედერაციის დაარსების გამართლებას კი სულ სხვა, შეიძლება ითქვას, თითიდან გამოწოვილი, ულიმლამო, წინააღმდეგობების შემცველი მოტივებით ცდილობდნენ.

ასლა შევეხებით ამიერკავკასიის ფედერაციის მომხრეთა იმ „მთავარ" არგუმენტებს, რომლებსაც ოფიციალურად იშველიებდა ზოგიერთი იმდროინდელი პოლიტიკური მოღვაწე, შემდეგ — მკვლევრებიც.

დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ თითქოს **ეკონომიკურად ერთგვაროვანი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ცალ-ცალკე არსებობა მიზანშეუწონელი იყო.** («Закавказье представляет из себя единое хозяйственное целое, и его экономическое развитие может идти лишь под знаком общекавказского хозяйственного объединения» (რკპ (ბ) კავბიუროს 1921 წლის 3 ნოემბრის დადგენილებიდან).

ჯერ ერთი, ეკონომიკური ერთგვაროვნობა ყოველთვის როდი შეიძლება სახელმწიფოთა გაერთიანების საფუძველი გახდეს, სახელმწიფოთა გაერთიანებას სულ სხვა ფაქტორები განაპირობებენ.

მეორე, მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ალბათ ძნელად მოიძებნებოდა ეკონომიკურად არაერთგვაროვანი ისეთი სხვა სამი რესპუბლიკა, როგორიც ამიერკავკასიის რესპუბლიკები იყვნენ. საქართველოსთვის დამახასიათებელია — სიმინდი, ხორბალი, ვაზი თამბაქო, სუბტროპიკული მცენარეები, ტყე, მარგანეცი, ქვანახშირი; აზერბაიჯანისათვის — ხორბალი, ბრინჯი, ბამბა, მესაქონლეობა, მეთევზეობა, ნავთი; სომხეთისათვის — ხორბალი, ქერი, ღვინო, მარილი, სპილენძი. განა უკრაინა და ყირიმი ან დონი, ყუბანი და ბელორუსია ბევრად უფრო მეტად ერთფეროვანი არ არიან, ვიდრე ამიერკავკასიის რესპუბლიკები? ხოლო უზბეკეთის, თურქმენეთისა და ყირგიზეთის ეკონომიკურ ერთფეროვნებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ იქ ფედერაციაზე კრინტიც არავის დაუძრავს.

მიუთითებდნენ **ამიერკავკასიის რესპუბლიკათა გეოგრაფიულ და ტოპოგრაფიულ ერთიანობაზე,** მაგრამ ეს ხომ ყოვლად შეუსაბამო არგუმენტი იყო. მართალია, მთელი ამიერკავკასია მოსკოვისათვის და მოსკოვიდან კავკასიის ქედს გადაღმა მდებარეობს, მაგრამ ყველაფერი, რაც მოსკოვიდან „მთებისა და ზღვების" იქეთ ძევს, გეოგრაფიულად და ტოპოგრაფიულად ერთფეროვანი როდია; მაგალითად, საქართველო და აზერბაიჯანი ტოპოგრაფიისა და ჰაერის მხრივ არანაკლებ განს-

ხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვიდრე საქართველო ყუბანისა და ყირიმისაგან. ხოლო ის გარემოება, რომ საქართველო და სომხეთი დასერილია მთებით, სრულებით არ მიუთითებს მათი ფედერირების აუცილებლობაზე. ამა თუ იმ ქვეყნის ტოპოგრაფიულ და გეოგრაფიულ ერთფეროვნებაზე თუ ვილაპარაკებთ, მაშინ განა უკრაინა, ბელორუსია და რუსეთი ან თურქესტანი ბევრად უფრო ახლო არ არიან ერთმანეთთან?

საქართველო, როგორც ზღვისპირა სასელმწიფო, თუ ცალკე იარსებებს, ხელს შეუშლის სომხეთსა და აზერბაიჯანს ნავსადგურებით სარგებლობაშიო. ასეთ საშიშროებას ხედავდნენ, მაგრამ ეს ხომ აშკარა უაზრობაა — ჯერ ერთი, საბჭოთა სინამდვილეში საქართველოს ვინ გახდიდა ზღვის ერთპიროვნულ პატრონად. ზღვა, მიწა, ჰაერი — ყველაფერი ფაქტობრივად ხომ სსრ კავშირის კუთვნილება იყო და საქართველოს ძალიანაც რომ მოენდომებინა, ვერაფრით ვერ შეძლებდა ხელი შეეშალა სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის საქართველოს ნავსადგურებით სარგებლობაში. და აქ არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა იმას, იარსებებდა ამიერკავკასიის ფედერაცია თუ არა. მის ფუნქციას სსრ კავშირი შეასრულებდა. მეორე, განა მაშინ ვინმეს უთქვამს, რომ რუსეთი გზას ულობავს უკრაინას თეთრი ან ბალტიის ზღვებისაკენ? ან უკრაინა რუსეთსა და ბელორუსიას არ გაუშვებს შავი ზღვისაკენ და ამიტომ მათთვის სსრ კავშირის შიგნით კიდევ ერთი ფედერაციული რესპუბლიკა შეექმნათო?

იმასაც ამბობდნენ, **ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა საერთაშორისო ვითარებით არის გაპირობებული, რადგან საბჭოთა კავშირი, კერძოდ, ამიერკავკასია გარშემორტყმულია ბურჟუაზიული სამყაროთი, რომელსაც ნებისმიერ მომენტში შეუძლია საბჭოთა რესპუბლიკებზე თავდასხმა განახორციელოსო.**

ე. ი. თუ ამიერკავკასიის ფედერაცია შეიქმნებოდა, კაპიტალისტური სამყარო საბჭოთა რესპუბლიკებზე თავდასხმას ველარ გაბედავდა? ესეც ისეთი არგუმენტი იყო, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. ჯერ ერთი, კაპიტალისტური სამყარო გარს ერტყმოდა არა მარტო ამიერკავკასიას, არამედ, ვთქვათ, რუსეთს, უკრაინას და ბელორუსიასაც. განსხვავება ის იყო, რომ ამიერკავკასიას ესაზღვრებოდა სსრ კავშირის მეგობარი ქვეყანა — ათა-თურქის თურ-

ქეთი: რუსეთს, უკრაინასა და ბელორუსიას კი საბჭოთა ქვეყნისადმი არამეგობრულად განწყობილი პოლონეთი და რუმინეთი. ასე რომ, ამიერკავკასიის სამხრეთ საზღვრიდან ნაკლები საშიშროება იყო მოსალოდნელი, ვიდრე სსრ კავშირის დასავლეთი საზღვრიდან. მიუხედავად ამისა, აერთიანებდნენ არა რუსეთს, უკრაინასა და ბელორუსიას, არამედ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. მ ე ო რ ე, ვთქვათ, და, სწორედ ამიერკავკასიას დასხმოდა თავს უცხო ქვეყანა. ვის უნდა მოეგერიებინა ეს თავდასხმა? ამიერკავკასიის ფედერაციის ჯარებს? მაგრამ საბჭოთა სინამდვილეში ასეთი ჯარები ხომ არ არსებობდა. ამიერკავკასიაში იდგა წითელი არმია, რომელმაც მხარე ფედერაციის შექმნამდე დაიკავა და შემდეგაც არ დაუტოვებია იგი. როგორ, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები, თუ ამიერკავკასიის ფედერაცია არ იარსებებდა, არ მოიგერიებდნენ აგრესორის შემოტეხას? ეს ხომ საკმაოდ ანეკდოტური სიტუაცია იქნებოდა.

აცხადებდნენ, **ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის გაერთიანება სამმართველო ხარჯებს შეამცირებსო.** ჯ ე რ ე რ თ ი, მმართველობის საქმეში ეკონომიისათვის განა დასაშვები იყო ისედაც მოჩვენებითი დამოუკიდებლობის კიდევ უფრო მეტად შეზღუდვა? მ ე ო რ ე, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნით სამმართველო ხარჯები კი არ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდეც, რაც არაერთხელ დაუდასტურებიათ ამიერკავკასიის ფინანსისტებს სხვადასხვა ფორუმზე. თვითონ განსაჯეთ, რა სახსრები დასჭირდებოდა ახლად შექმნილ „ზაკსოვნარკომს", „ზაკსოვნარხოზს", „ზაკჩეკას", „ზაკტაბაკს" და სხვა ბევრ „ზაკს".

ერთ-ერთ არგუმენტად ისიც მოჰყავდათ, **ამიერკავკასიის ფედერაცია მსჯელობენ ეროვნულ მშვიდობიანობას უზრუნველყოფსო.**

ისევე, როგორც ყველგან, ამიერკავკასიაშიც ეროვნული მშვიდობიანობის დაცვა, მართლაც უპირველესი მნიშვნელობის საქმე იყო და ამიერკავკასიელ ხალხთა პროგრესულ ძალებს ყველაფერი უნდა ეღონათ მის უზრუნველსაყოფად, უწინარეს ყოვლისა, უნდა შეემუშავებინათ ეროვნული მშვიდობიანობის დაცვის მწყობრი სისტემა. მაგრამ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაარსება სისტემის ვერც ერთ რგოლადაც ვერ გამოდგებოდა.

ეროვნული მშვიდობიანობის დაცვა, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს, ამა თუ იმ რესპუბლიკაში ეთნიკური შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილებას, ეს შეუძლებელი იქნებოდა, თუ კონფლიქტის მონა-

წილე მხარეებს არ დაუპირისპირდებოდა მათზე უფრო ძლიერი შეიარაღებული ძალა, რომელიც დააშოშმინებდა, დააშინებდა კიდეც მებრძოლ მხარეებს. ასეთი ძალა მთელს ამიერკავკასიაში რუსეთის, შემდეგ — სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები იყო. ერთადერთ ამ ძალებს შეეძლოთ აღეკვეთათ ან გაეღვივებინათ ნებისმიერი კონფლიქტი, რომელიც შესაბამისად მათ მიერ არ იყო ან იყო ინსპირირებული. ასე რომ, ეთნიკური კონფლიქტების ჩაქრობაზე ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდა, რადგან მას, ისევე როგორც საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს ცალ-ცალკე, არავითარი სამხედრო ძალა არ გააჩნდა. ამიერკავკასიის რესპუბლიკებს საკუთარი, წითელი არმიისაგან დამოუკიდებელი, ან მასთან დაპირისპირებული არმიები არ ჰყავდათ და ბუნებრივია, ვერც მათი გაერთიანება მოხდებოდა. ამიერკავკასიის ფედერაცია მორალურ ზეგავლენას ვერ მოასდენდა ეთნიკური კონფლიქტის მონაწილეებზე, რადგან იგი არა ეროვნული, არამედ ზეეროვნული სახელმწიფო იყო და ამდენად მისთვის არ არსებობდნენ არც „თავისიანები" (რომლებსაც ურჩევდა, გააჩუმებდა, გააჩერებდა და ა. შ.) ან „სხვისიანები".

ამიერკავკასიაში იმ დროსაც მწვავედ იდგა სასაზღვრო საკითხი, რომლის მოგვარებას ამიერკავკასიის ფედერაციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიიჩნევდნენ (სასაზღვრო საკითხი ხომ ეროვნული შშვიდობიანობის დაცვის საკითხის ნაწილია).

მაგრამ როგორ უნდა მოეგვარებინა ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკას სასაზღვრო საკითხი? პრინციპში ამ რესპუბლიკასაც ხომ არაფერს ეკითხებოდა მოსკოვი, ყველაფერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი წყვეტდა (იგულისხმება სადავო პრინციპული საკითხები).

გარდა ამისა, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სასაზღვრო საკითხის „მოგვარება" დაიწყეს და ძირითადად დაამთავრეს კიდეც 1821 წელს, ე. ი. ამიერკავკასიის ფედერაციის დაარსებამდე. სასაზღვრო საკითხთან დაკავშირებული მწვავე პრობლემები ამიერკავკასიის ფედერაციას არ მოუგვარებია და ვერც მოაგვარებდა.

სხვა ამბავია, თუ ამიერკავკასიაში გააუქმებდნენ ყველა რესპუბლიკას, გააუქმებდნენ იმ კუდმოკვეცილ ავტონომიასაც, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს რომ მიანიჭეს, და მათს ნაცვლად დააარ-

სებდნენ ერთიან საამიერკავკასიო რესპუბლიკას. საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს თავთავიანთი საზღვრები აღარ ექნებოდათ და ქართველი სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხები ამას შეურიგდებოდნენ, მაშინ, რასაკვირველია, სასაზღვრო საკითხიც აღარ იარსებებდა და არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნებოდა იმაზე დავას, თუ ვისთვის მიეკუთვნებინათ მთიანი ყარაბაღი, ნახიჩევანი, ზაქათალა, ზანგეზური, ლორე თუ ახალქალაქი. მაგრამ ეს საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა იქნებოდა? სინამდვილეში კი რესპუბლიკები თავთავიანთი ავტონომიებით, სადავო თუ არასადავო საზღვრები დატოვეს (კიდევ კარგი!). მაშ რატომ აღარ შეიძლებოდა სასაზღვრო საკითხი კვლავ სადავო გამხდარიყო ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დროსაც.

ამიერკავკასიაში ეროვნული მშვიდობიანობის დაცვა, ცხადია, იმასაც გულისხმობდა, რომ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის შეიარაღებული შეტაკებები არ ნომხდარიყო. ნუთუ ვინმეს ეგონა, ამიერკავკასიის ფედერაცია რომ არ ყოფილიყო, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთს ომს დაუწყებდნენ და მათი გამშველებელი არავინ აღმოჩნდებოდა? იმდროინდელ სინამდვილეში, როცა სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი საბჭოთა კავშირი და მისი შეიარაღებული ძალები მთლიანად აკონტროლებდნენ ამიერკავკასიის ტერიტორიას, ასეთი რამ გამორიცხული იყო. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები 3 ნაწილად დაიყოფოდნენ და ერთმანეთს დაუწყებდნენ ომს? ასეთ ანეკდოტურ სიტუაციას წითელი არმია არასოდეს ქმნიდა[78].

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, თუ ამიერკავკასიის ფედერაცია არ იარსებებდა, საქართველო ბაქოს ნავთობს ვერ მიიღებდა. ყოველად შე-

---

78 ამიერკავკასიის ფედერაციის მომხრეთა აქ განხილული არგუმენტების კრიტიკისას გამოყენებულია ქ. სუზდალის საგანგებო ბანკის საპყრობილის 4 ქართველი სოციალ-დემოკრატი პოლიტიკური პატიმრის კალისტრატე გოგუას, ზაქარია გურიელის, ალექსანდრე დგებუაძისა და ელადიმერ ჯიბლაძის უალრესად საინტერესო ფაქტებითა და ლოგიკური მსჯელობებით აღსავსე პოლემიკური წერილი, რომელიც 1925 წლის 1 მაისს გაეგზავნა მიხეილ კალინინს (იხ. პოლიტიკური პარტიების არქივი, (ქ. თბილისი), ფ. 8, აღწ. 5, საქ. 348) და ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ იქნა გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ 1993 წლის მაის-ივნისის ნომრებში სათაურით „ალტერნატიული ისტორია“.

უძლებელია ამ აზრის გაზიარება. ბაქოს ნავთობს საქართველო იღებდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნამდე, ამიერკავკასიის ფედერაციის პერიოდში და ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმების შემდეგაც. ნავთობს, ცხადია, გვაძლევდნენ გარკვეული საფასურით და არა საჩუქრად. თუ ფედერაცია არ იარსებებდა, რატომ არ უნდა მოვყიდა ნავთობი აზერბაიჯანს ჩვენთვის? რა, მტრობა გექონდა მასთან? უფრო მეტიც, სსრ კავშირის შექმნის შემდეგ, როცა ჩამოყალიბდა ერთიანი საკავშირო სამეურნეო მექანიზმი, ვინ ეკითხებოდა აზერბაიჯანს, საქართველოს ან თუნდაც თვით რუსეთის ფედერაციას ვისთვის რა ზიეყიდა. ასეთ საკითხებს ხომ საკავშირო ორგანოები წყვეტდნენ. ამიერკავკასიის ფედერაციის დაარსების მომხრეთა ვერც ერთი არგუმენტი ვერ დაგვარწმუნებს, რომ აუცილებელი იყო ამ სასელმწიფო გაერთიანების შექმნა. ამიერკავკასიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ვერც ეროვნული შუღლის მოსპობას შეუწყო ხელი, ვერც სასალხო მეურნეობის აღდგენას, ვერც „მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას“ და ა. შ.

ამიერკავკასიის ფედერაცია არც ქართული იყო, არც სომხური, არც აზერბაიჯანული. მისი დაარსებით სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა ამიერკავკასიის რუსიფიკაციის გზაზე. ფაქტობრივად სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანება.

ამიერკავკასიის ფედერაციის დაარსებაში გარკვეული როლი ითამაშა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს (შემდეგ — რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის) მესვეურთა ამბიციურობამ: ცალ-ცალკე რესპუბლიკები „პატარა სამწყსოდ“ ეჩვენებოდათ. სამხარეო პარტიული ხელმძღვანელობის არსებობამ განაპირობა სამხარეო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შექმნა. მხარის ფაქტობრივ ხელმძღვანელს რკპ (ბ) სამხარეო კომიტეტი წარმოადგენდა. რესპუბლიკათა კომიტეტები ნომინალურად ითვლებოდნენ მმართველ ძალად. ასევე ნომინალური იყო როგორც სამხარეო, ისე რესპუბლიკური საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ძალაუფლება. როგორც სამხარეო კომიტეტი, ისე რესპუბლიკათა კომპარტიები წარმოადგენდნენ ერთიანი და დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებზე აგებული რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) განუყრელ ნაწილებს აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

6. „ნაციონალ-უკლონისტთა“ საქმიანობის ზოგადი დახასიათებისათვის

საბჭოურ ისტორიოგრაფიაში „ნაციონალ-უკლონისტთა“ საქმიანობა, ძირითადად, უარყოფითად იყო შეფასებული. მათ მრავალ პოლიტიკურ ბრალდებას უყენებდნენ, ოდიოზური იარლიყებითაც ამკობდნენ.

ეს ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტები“ საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველოს ნომინალური მმართველი ძალის — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობას შეადგენდნენ (1921—1922 წწ.). მათ შორის გამოირჩეოდნენ ბ. მდივანი, ფ. მახარაძე, ს. ქავთარაძე, მ. ოკუჯავა, კ. ცინცაძე და სხვ. ბოლშევიკური პარტიის ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების საკითხებში ქართველ კომუნისტთა ეს ჯგუფი მკვეთრად დაუპირისპირდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს, შემდეგ — რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს (ს. ორჯონიკიძე, ა. მიასნიკოვი, ს. კიროვი, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა სხვ.). დავა პრინციპულ საკითხებს, კერძოდ, საქართველოს ისედაც კუდმოკვეცილი საბჭოური სუვერენიტეტის შენარჩუნებას ეხებოდა. „ნაციონალ-უკლონისტებს“ ამ დავაში უფრო სწორი, გონივრული, შედარებით უფრო ეროვნული პოზიცია ეკავათ. ისინი ილაშქრებდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ისეთი გაერთიანების წინააღმდეგ, რასაც საქართველოს უფლებებისა და ინტერესების შელახვა მოჰყვებოდა.

კავბიუროს მესვეურებმა სწორედ ამაში დაინახეს ქართველ კომუნისტთა ამ ჯგუფის მიერ მარქსიზმისაგან, ბოლშევიზმის ეროვნული პოლიტიკისაგან ნაციონალისტური გადახრა („უკლონ“) და სწორედ ამიტომ ისინი „ნაციონალ-უკლონისტებად“ მონათლეს. ეს იარლიყი თვით „ნაციონალ-უკლონისტებსაც“ ეთაკილებოდათ[79].

———

[79] აი რას ამბობდა საქართველოს კომპარტიის II ყრილობაზე „ნაციონალ-უკლონისტთა“ ერთ-ერთი ლიდერი კოტე ცინცაძე: «Когда появилась впервые группа «уклонистов», это означало, что данные товарищи уклонились от марксизма. Противоположная группа била в эту одну точку и действительно создали такое впечатление у партийных товарищей, что некоторые из наших товарищей вдруг отошли и откололись от марксизма. Эти речи

„ნაციონალ-უკლონისტთა“ მრავალმხრივ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ საქმიანობაში უნდა გამოიკვეთოს ორი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება: პირველი — ბრძოლა ი. ბ. სტალინის „ავტონომიზაციის პროექტის“ წინააღმდეგ. ე. ი. ბრძოლა იმისათვის, რომ საბჭოთა რესპუბლიკები რუსეთის ფედერაციაში კი არ შესულიყვნენ (როგორც ავტონომიური რესპუბლიკები), არამედ შექმნათ ისეთი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელშიც ყველა საბჭოთა რესპუბლიკას თანაბარი უფლებები ექნებოდა, საქართველო კი შეინარჩუნებდა „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტს“. მეორე — ბრძოლა იმისათვის, რომ სსრ კავშირის შემადგენლობაში საქართველოს ჰქონოდა ისეთი სახელმწიფოებრივი სტატუსი, როგორიც აქვნდათ რუსეთის ფედერაციას, უკრაინას, ბელორუსიას, ტაჯიკეთს, თურქმენეთს და ა. შ. ეს ბრძოლა ფაქტობრივად მიმართული იყო წინააღმდეგ ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკისა (ამიერკავკასიის ფედერაციისა, რომელიც, საკუთრივ სამართლიანად, ზედმეტ რგოლად მიიჩნევდათ საბჭოთა სახელმწიფოებრივ სისტემაში) იმ კონკრეტული მასალის გაანალიზების საფუძველზე, რომელიც წინა პარაგრაფებშია მოხსენებული, შეიძლება დავასკვნათ, რომ „ნაციონალ-უკლონისტების“ მოღვაწეობა ამ ორი ეროვნული პრობლემის გადაჭრისათვის, უთუოდ გამართლებული იყო. ხოლო ამ სამართლიანი ბრძოლის გზაზე მათ გარკვეული ტაქტიკური შეცდომებიც რომ დაეშვათ, ეს ვერ შეცვლის იმ საქმიანობის დადებით შეფასებას, რომელსაც ისინი აღნიშნული სტრატეგიული მიმართულებებით ეწეოდნენ.

ი. ბ. სტალინის „ავტონომიზაციის პროექტი“ შედარებით ადვილად „ჩააგდეს“. აქ თვით ვ. ი. ლენინის ავტორიტეტმა ითამაშა გადამწყვეტი როლი. „ნაციონალ-უკლონისტებს“ ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმებისათვის ბრძოლაშიც ვ. ი. ლენინის იმედი ჰქონდათ. ვ. ი. ლენინი მართლაც სპეციალურად სწავლობდა ამ საკითხს, ამზადებდა გამოსვლას პარტიის ყრილობაზე, მაგრამ მას აღარ დასცალდა საქმის ბოლომდე მიყვანა. აქ ი. ბ. სტალინისა და გ. კ. ორჯონიკიძის მომხრეებმა „გაიმარჯვეს“ და ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკა 1936 წლამდე შეინარჩუნეს.

———————

везде и всюду заявлялись даже среди беспартийных, говорилось о том, что они изменники большевизма и марксизма» (პოლიტიკური პარტიების არქივი, (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 486, ფურც. 426).

ქართველი ხალხისთვის მიუღებელი იყო როგორც რუსეთის ფედერაციაში შესვლა („ავტონომიზაციის პროექტი"), ისე სსრ კავშირში გაერთიანებაც. აშკარაა, გაერთიანების ორიეე ეს ფორმა იმპერიის აღდგენის ცდა იყო: პირველი — უხეში, დაუფარავი, მეორე — შედარებით დახვეწილი, შენიღბული. მაგრამ დაპყრობილი საქართველოსათვის, რომელსაც თითქმის გადაწურული ჰქონდა უახლოეს ხანში დამოუკიდებლობის აღდგენის იმედი, სსრ კავშირში მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით შესვლა, ცხადია, შედარებით ნაკლები ბოროტება იყო, ვიდრე რუსეთის ფედერაციის ავტონომიად გარდაქმნა. აი ამ „ნაკლები ბოროტებისათვის" იბრძოდნენ ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები", თუმცა სსრ კავშირს ისინი არავითარ ბოროტებასთან არ აკავშირებდნენ. ასეთივე იყო ვ. ი. ლენინის პოზიციაც. სსრ კავშირის სასით მაშინ ხომ ფაქტობრივად შეიქმნა ერთიანი საბჭოთა სახელმწიფო, რომელშიც რუსეთის მიერ დაპყრობილი ყველა რესპუბლიკა გაერთიანდა. ასე რომ, ახალი, მოდერნიზებული იმპერია ტერიტორიებს არ კარგავდა. ვ. ი. ლენინისათვის კი ეს იყო მთავარი. თანაც სსრ კავშირი შექმნის პერიოდში „თავისუფალ ერთა თავისუფალ კავშირად" გარდაქმნის ილუზიებსაც ქმნიდა.

ეს ზოგადად. სსრ კავშირში მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით შესვლა სხვა არაერთ კონკრეტულ სარგებლობასაც იძლეოდა პოლიტიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისით. რად ღირს თუნდაც ის, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს სსრ კავშირიდან გამოსვლის უფლება ჰქონდათ. ეს კონსტიტუციით იყო ასე. სინამდვილეში რესპუბლიკებს ამ უფლებით სარგებლობის საშუალებას არავინ აძლეოდა. მაგრამ ეს უფლება ოდნავ მაინც ააღვილებდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. ყოველივე ამას ითვალისწინებდნენ და ამიტომაც სსრ კავშირის დაარსებას იმდენი წინააღმდეგობა არ მოჰყოლია საქართველოში, როგორც ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის შექმნას.

ამიერკავკასიის ფედერაციის მოთმენა სსრ კავშირის შექმნამდე ასე თუ ისე მაინც შეიძლებოდა. სსრ კავშირის შექმნის შემდეგ კი ამიერკავკასიის ფედერაციის შენარჩუნება თვით საბჭოთა სახელმწიფოებრივი სისტემისთვისაც საზიანო იყო.

მთავარი საყვედური, რომელსაც ამიერკავკასიის ფედერაცია იმსახურებს, ის არის, რომ მისი არსებობის პერიოდში, ე. ი. 1922—1936 წლებში, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი მოკავშირე რესპუბლიკებად არ ითვლებოდნენ, ისინი სსრ კავშირის შემადგენლობაში

არა უშუალოდ, არამედ ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით შედიოდნენ.[80]

ეს იმას ნიშნავდა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკები ისეთი სახელმწიფოებრივი სტატუსით არ სარგებლობდნენ, როგორიც სსრ კავშირში უშუალოდ შემავალ რუსეთის ფედერაციას, უკრაინასა და ბელორუსიას ჰქონდათ. ე. ი. საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსი სსრ კავშირის შემადგენლობაში უფრო დაბალი იყო, ვიდრე დასახელებული და ზოგიერთი სხვა რესპუბლიკებისა, ამასთან, თუ კულტურას, ისტორიასა და სახელმწიფოებრივ ტრადიციებს გაითვალისწინებდნენ, მაშინ არც ერთ მათგანს საქართველოზე უფრო მაღალი სახელმწიფოებრივი სტატუსი არ ეკუთვნოდა. იქნებ ტერიტორიას ან მოსახლეობის რაოდენობას მიანიჭეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მაგრამ ბელორუსიას სსრ კავშირში შესვლის დროს საქართველოზე ნაკლები ტერიტორია ეჭირა და მოსახლეობაც ნაკლები ჰყავდა. იგი ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი ტრადიციებითაც არ გამოირჩეოდა. მაშინ როცა საქართველოსა და სომხეთს ჩვენი წელთაღრიცხვამდელი პერიოდიდან მოსდგამდათ სახელმწიფოებრივი ტრადიციები. მათ საკუთარი დამწერლობაც ჰქონდათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სულ რაღაც ორი წლის წინ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში დამოუკიდებელი რესპუბლიკები არსებობდნენ. უფრო მეტი, სსრ კავშირში შემავალი რესპუბლიკებიდან საქართველო ის სახელმწიფო იყო, რომლის დამოუკიდებლობა იცნო თვით საბჭოთა რუსეთმა. გარდა ამისა, რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს შორის, საქართველო ერთადერთი სახელმწიფო იყო, რომელიც როგორც ფაქტობრივად, ისე იურიდიულად ცნეს ევროპის სახელმწიფოებმა. თვით საბჭოთა რუსეთიც კი ამ ქვეყნებმა უფრო მოგვიანებით იცნეს.

ყოველივე ეს თითქოს განსაკუთრებით გამორჩეულ მდგომარეობას უქმნიდა საქართველოს იმ აზრით, რომ, თუკი რომელიმე რესპუბლიკას უნდა მიეღო მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი, უწინარეს ყოვლისა, იგი საქართველოს (სომხეთსა და აზერბაიჯანთან ერთად) უნდა რგებოდა. მიუხედავად ამისა, ეს რესპუბლიკები 1922—1936 წლებში, ე. ი.

---

[80] თავს ვალდებულად ვთვლით წინასწარ მოვუხადოთ ბოდიში მკითხველს ყველა მოსალოდნელი, იძულებითი აზრობრივი გამეორებისათვის, რაც პარაგრაფის სპეციფიკით უნდა აიხსნას.

ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის პერიოდში, როგორც ითქვა, სხვა რესპუბლიკებზე დაბალი სახელმწიფოებრივი სტატუსით სარგებლობდნენ.

20-იანი წლების II ნახევრიდან, მოკავშირე რესპუბლიკებად გარდაიქმნენ უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და ა. შ. საქართველოს მდგომარეობა უცვლელი რჩებოდა. ე. ი. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, საქართველო ამ რესპუბლიკებზეც დაბლა იდგა. ყველა ჩამოთვლილ რესპუბლიკას, როგორც მოკავშირე რესპუბლიკებს, მინიჭებული ჰქონდათ სსრ კავშირიდან გამოსვლის უფლება. საქართველოს კი სსრ კავშირიდან ცალმხრივი აქტით გამოსვლის უფლება არა ჰქონია და ეს კონსტიტუციით იყო გაფორმებული.

სომხეთი და აზერბაიჯანი ამის გამო დიდ გულისტკივილს მაშინ არ გამოთქვამდნენ (ყოველ შემთხვევაში ოფიციალურად), აზერბაიჯანში თავდაპირველად იყო გარკვეული მოძრაობა, მაგრამ შემდეგ აღარ განვითარდა. ეს მოძრაობაც გარკვეულწილად დედაქალაქის საკითხს ეხებოდა, მოითხოვდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის დედაქალაქი თბილისი კი არა, ბაქო იყოსო. საქართველოში კი ქართველ კომუნისტთა ერთმა ჯგუფმა (სხვათა შორის ამ ჯგუფში ზოგიერთი აფხაზი და სომეხი მოღვაწეებიც შედიოდნენ), ჯერ პარტიული კარიერა გასწირა, შემდეგ, საბოლოო ანგარიშით, ამ ჯგუფის ერთ ნაწილს ეს ბრძოლა სიცოცხლის ფასადაც დაუჯდა.

ასეთი იყო ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობასთან დაკავშირებული ფაქტობრივი მდგომარეობის ერთ-ერთი ასპექტი. ასეთი ამიერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ იბრძოდნენ ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები". ეს ბრძოლა მათი დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ მას გარკვეული დადებითი შედეგი მაინც მოჰყვა. სწორედ „ნაციონალ-უკლონისტთა" ბრძოლამ განაპირობა ის, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია ვერ გადაიქცა ზეცენტრალისტურ სახელმწიფოდ, რომელიც შეძლებდა მასში შემავალი რესპუბლიკების (სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს) ბოლომდე კულტურულ-ეკონომიკურ გაუფერულებას, მხარის საბოლოო რუსიფიკაციას.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის დროს საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში სახალხო მეურნეობის, კულტურის, ეროვნული ინსტიტუტების განვითარებისათვის თითქმის ისეთივე პირობები იყო შექმნილი, როგორიც უკრაი-

ნაში, ბელორუსიასა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში. ე. ი. მხარეში ყველაფერი ვითარდებოდა იმ ტემპით და იმ მიმართულებით, რაც საბჭოთა წესწყობილებისათვის იყო დამახასიათებელი. ამ მხრივ ამიერკავკასიაში რაიმე განსაკუთრებული არ ხდებოდა. საქმე ისაა, რომ საბჭოთა იმპერიის მთავრობა, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შემდეგ, შეიძლება ითქვას, იძულებული იყო გარკვეული სიფრთხილე გამოეჩინა, რათა ზედმეტი საბაბი არ მიეცა „ნაციონალ-უკლონისტური" ოპოზიციის ახალი გააქტიურებისათვის.

1923 წლის მარტში ი. ბ. სტალინმა გ. კ. ორჯონიკიძეს ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: «Я узнал от Куйбышева и Каменева, что при организации Закреспублик ЗакСНК отобрал у национальных СНК почти все комиссариаты кроме пяти или шести бытовых комиссариатов. Я считаю эту комбинацию вместе с Каменевым и Куйбышевым неправильной и незаконной. Федерацию Закреспублик надо составить так, чтобы у национальных СНК остались кроме шести бытовых еще пять хозяйственных вместе с РКИ. Нельзя ставить национальные республики Закавказья в худшее положение, чем Крымскую или Якутскую. Эту ошибку надо исправить обязательно и немедленно. Сталин»[81].

ვ. კუიბიშევი და ლ. კამენევი 1923 წლის მარტში, საქართველოს კომუნისტური პარტიის II ყრილობის მუშაობის დღეებში იყვნენ მოვლინებული თბილისში, რათა დეტალურად შეესწავლათ რუსეთის კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა და ქართველ „ნაციონალ-უკლონისტთა" შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის მიზეზები და ადგილზევე მიეღოთ ზომები მხარეთა მორიგებისათვის. მათ, ბუნებრივია, შესვედრები ჰქონდათ „ნაციონალ-უკლონისტებთანაც". ზემოციტირებული დეპეშა „ნაციონალ-უკლონისტთა" მიერ ვ. კუიბიშევისა და ლ. კამენევის წინაშე დაყენებულ საკითხებზე ი. სტალინის თავისებურ რეაგირებად უნდა მივიჩნიოთ. იგი იმაზეც მიგვითითებს, თუ როგორ ნაჩქარევად, არაკომპეტენტურად წყვეტდნენ სახელმწიფოებრივი მშენებლობის მნიშვნელოვან საკითხებს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისას.

საბჭოური ისტორიოგრაფია, მცირე გამონაკლისის გარდა (ამ გამონაკლისს წარმოადგენს გ. ჟვანიას წიგნი), ნეგატიურად აფასებდა

---

81 უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 85, აღწ. 24, საქ. 115, ფურც. 1—2.

„ნაციონალ-უკლონისტთა“ პოზიციებს არა მარტო ამიერკავკასიის ფედერაციისა და სსრ კავშირის შექმნის საკითხებში, არამედ გმობდა „ნაციონალ-უკლონისტთა“ თითქმის მთელ საქმიანობას 1921—1922 წლებში.

ზოგიერთი იმდროინდელი კომუნისტი ლიდერი, შემდეგ მკვლევარნიც „ნაციონალ-უკლონისტებს“ საყვედურობდნენ, რომ ისინი თითქოს სსრ კავშირის შექმნის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, მაგრამ როცა ნასეს არაფერი გამოუვიდოდათ, იძულებული გახდნენ ბრძოლა შეეწყვიტათ (ბ. ლომინაძე). ნაშრომის სათანადო ადგილებში გაანალიზებული დოკუმენტური მასალა, ეფიქრობთ, ნათელს ჰფენს „ნაციონალ-უკლონისტთა“ პოზიციას სსრ კავშირის შექმნის საკითხში, ამიტომ მასზე აქ აღარ შევჩერდებით, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ კომუნისტურ პარტიაში მაშინ ასეთ ბრალდებებს სათაკილოდ მიიჩნევდნენ. დემაგოგიურად მიუთითებდნენ იმაზეც, რომ „ნაციონალ-უკლონისტები“ ამიერკავკასიის ერთა მეგობრობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, საქართველოსათვის პრივილეგიებს მოითხოვდნენ და სხვა მრავალი. ასეთი გამოგონილი ბრალდებებით ცდილობდნენ სახელი გაუტეხათ „ნაციონალ-უკლონისტებისათვის“ კომუნისტურ მასებში, რასაც თვით „ნაციონალ-უკლონისტებიც“, თავიანთი მრწამსის გამო, ერთობ განიცდიდნენ.

არასწორ ინტერპრეტაციას აძლევდნენ „ნაციონალ-უკლონისტთა“ მიერ განხორციელებულ იმ ღონისძიებებსაც, რომლებსაც ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდათ, მაგრამ ყალბად გაგებული „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ ტყვეობაში მყოფი პოლიტიკური მოღვაწეები და მკვლევრებიც ამ ღონისძიებებს დაუშვებლად, „მებრძოლი ნაციონალიზმის“ გამოვლენად მიიჩნევდნენ.

„ნაციონალ-უკლონისტებისადმი“ წაყენებული ზოგიერთი ბრალდება იმდენად დემაგოგიური და უსუსურია (ვთქვათ, „უკლონისტები“ ამიერკავკასიის ერთა მეგობრობის წინააღმდეგ გამოდიოდნენო და მისთანანი), რომ მათზე სპეციალური მსჯელობა დროს დაკარგვა იქნება, მაგრამ ზოგიერთ მათგანზე შედარებით ვრცლად უნდა შევჩერდეთ.

საქმე ის არის, რომ თავის დროზე ასეთი ბრალდებებით ცდილობდნენ ჩირქი მოეცხოთ არა მარტო „ნაციონალ-უკლონისტებისათვის“, არამედ მათთან ერთად მთელი ქართველი ხალხისათვისაც. რკპ (ბ)

XII ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიშიდან ნათლად ჩანს, თუ რიგორი ირონიით უყურებდა ყრილობის რუსული ნაწილი ქართველ „ნაციონალ-უკლონისტებს“, როგორ ხარხარებდა დელეგატთა საქმეში ჩაუხედავი ნაწილი ქართველ „ნაციონალ-უკლონისტთა“ ვითომდა „ნაციონალისტურ შემოქმედებაზე“. ასეთ განწყობილებას დღესაც ბევრი ამჟღავნებს. ამიტომ, აუცილებელია მასზე სათანადო რეაგირება.

ძალზე მოკლედ დავახასიათოთ საქართველოს საგარეო და საშინაო ვითარება, შევეხოთ მხოლოდ ძირითად მომენტებს, რაც აუცილებელია ისტორიული პროცესის სწორად აღქმისათვის.

დავიწყოთ საგარეო პირობებით. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას ევროპის საზოგადოებრივი აზრი, როგორც ცნობილია, უარყოფითად შეხვდა. გარკვეულწილად ეს იმით იყო განპირობებული, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ თავიდანვე განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ II ინტერნაციონალის ბელადები. ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც 1920 წლის შემოდგომაზე კაუცკი, ვანდერველდე, მაკდონალდი, ჰიუსმანსი და სხვები საქართველოს ეწვივნენ. საქართველო მაშინ ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც სოციალ-დემოკრატები მმართველ პარტიას წარმოადგენდნენ. ინტერნაციონალის ბელადთა სტუმრობა განპირობებული იყო სურვილით — საკუთარი თვალით ენახათ, თუ პრაქტიკულად როგორ ხორციელდებოდა სოციალ-დემოკრატიული იდეები. ცნობილია ისიც, რომ სტუმრები ძირითადად კმაყოფილი დარჩნენ საქართველოში ნანახით. რამზეი მაკდონალდმა ინგლისში ბროშურა გამოსცა, რომელშიც ნათქვამია, ნეტავ ინგლისში დამყარდეს ისეთი წესწყობილება, როგორიც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაშიაო.

ჯერ კიდევ 1921 წლის თებერვლის ბოლოს ქ. ვენაში ჩატარებულმა სოციალ-დემოკრატთა საერთაშორისო კონფერენციამ გამოჰყო სპეციალური კომისია კარლ კაუცკის მონაწილეობით, რომელსაც უნდა შეესწავლა ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის საკითხი.

II ინტერნაციონალის აღმასკომმა 1921 წლის ზაფხულში მხარი დაუჭირა ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) თხოვნას, გამოეყოთ საერთაშორისო სპეციალური კომისია, რომელიც უზრუნველყოფდა საქართველოში რეფერენდუმის მოწყობას იმის გასარკვევად, თუ ქართველ ხალხს რომელი სახელმწიფო წყობილება სურდა.

ამასთან, II ინტერნაციონალის აღმასკომის სახელით რამზეი მაკდონალდმა საბჭოთა საქართველოს მთავრობას შეატყობინა, რომ სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტური მოძრაობა სულ უფრო მეტ დაინტერესებას გამოიჩენს საქართველოს საკითხითო.[82]

იმ პერიოდში მსოფლიოში სულ 3 ინტერნაციონალი არსებობდა. 1922 წლის აპრილში ქ. ბერლინში გამართულ სამივე ინტერნაციონალის კონფერენციაზე II ინტერნაციონალის დელეგაცია ყოველნაირად ცდილობდა, რომ III ინტერნაციონალს მიეღო დადგენილება საბჭოთა სახელმწიფოდან საქართველოს გამოყოფის თაობაზე.[83]

ცნობილია ისიც, რომ საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებში ვ. ი. ლენინი დაკინებით მოითხოვდა, სერიოზული კონტრაგიტაცია გააჩაღეთ და დაასაბუთეთ, რომ წითელი არმია საქართველოს მოევლინა არა როგორც დამპყრობელი, არამედ როგორც განმათავისუფლებელი და ა. შ.

ახლა ასევე მოკლედ (და იმავე ასპექტით) საქართველოს იმდროინდელ საშინაო მდგომარეობაზე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, ბუნებრივია, მტრულად შეხვდა ყველა ანტისაბჭოთა პარტია, მათ შორის, ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი მენშევიკების პარტია. არც ერთი მათგანი, გარდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებისა, არ თანამშრომლობდა საქართველოს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობასთან. ამასთან, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებიც ილაშქრებდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ ჯერ კიდევ 1921 წლის თებერვალში „საქართველოს ხალხის მოღალატეებად" გამოაცხადა საქართველოს რევკომის წევრები (მათ შორის მომავალი „ნაციონალ-უკლონისტებიც"), რომლებიც მოუძღოდნენ „რუსეთის საბჭოთა ლაშქარს საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ".[84]

გასაბჭოების პირველ წლებში იმდენად რთული იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია, რომ საქართველოს საბჭოთა მთავრობამ ვერ გაბედა აეკრძალა 26 მაისის დღესასწაული. ეს ის დრო იყო, როცა განიხილებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სასაზღვრო

---

[82] ვაზ. „კომუნისტი", 1922 წლის 10 თებერვალი.

[83] Ленин В. И. ПСС, т. 44, გვ. 585.

[84] გაზ. „ერთობა", 1921 წლის 23 თებერვალი.

გამიჯვნის საკითხი. გამიჯვნის შედეგებმა ქართული საზოგადოებრივი აზრის უკმაყოფილება გამოიწვია და ეს ბუნებრივია. ამავე პერიოდს დაემთხვა შიმშილობა რუსეთში, კერძოდ, ვოლგისპირეთში;. ამასთან დაკავშირებით საქართველოში შეიქმნა რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტი, რომელიც აგროვებდა სახსრებს დამშეულთათვის გადასაცემად, რაც საზოგადოების გარკვეული ნაწილის უკმაყოფილებას იწვევდა.

რაც შეეხება ამიერკავკასიის ფედერაციის იდეას, მისი ხსენებაც არ უნდოდა არც ერთ ანტისაბჭოთა პარტიას. ამის თაობაზე მენშევიკებმა არალეგალური ფურცლები გამოუშვეს, პროტესტებით მიმართეს სხვადასხვა ინსტანციებს. კომუნისტებს საქმეს ისიც ურთულებდა, რომ არგუმენტები, რომელთაც ამიერკავკასიის ფედერაციის მომხრეები იშველიებდნენ, ვერავითარ სერიოზულ კრიტიკას ვერ უძლებდა, ოპონენტები ადვილად ახერხებდნენ მათს გაბათილებას. ქართველ ბოლშევიკებს ქართული მოსახლეობის უმრავლესობა უნდობლობით ეკიდებოდა. მათ ერთადერთ დასაყრდენს რუსეთის საოკუპაციო არმია წარმოადგენდა.

საქართველოს იმდროინდელი საგარეო და საშინაო ვითარების ასეთი სქემატური დახასიათებაც კი ნათელჰყოფს, თუ რა რთულ პირობებში უხდებოდათ მოღვაწეობა ქართველ ბოლშევიკებს გასაბჭოების პირველ წლებში. მათი მთავარი საზრუნავი უნდა გამხდარიყო, როგორმე გამოენახათ საერთო ენა ქართველ ხალხთან, განსაკუთრებით ინტელიგენციასთან. მით უფრო, რომ ზოგიერთი პოლიტიკური პარტია ქართველ ხალხს საბჭოთა ხელისუფლებასთან შეურიგებლობისაკენ მოუწოდებდა, ხოლო კომუნისტურ პარტიას, არცთუ უსაფუძვლოდ, საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის დარღვევასა და, საერთოდ, ეროვნული საკითხისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას საყვედურობდა.

ქართველ კომუნისტთა უმრავლესობა ყოველივე ამას ურიგდებოდა, ლოგიკას მოკლებული არგუმენტებითა და დემაგოგიით ცდილობდა ოპონენტთა მოგერიებას. ქართველ კომუნისტთა მხოლოდ ერთმა ჯგუფმა, კერძოდ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის „ნაციონალ-უკლონისტურმა“ შემადგენლობამ გადაწყვიტა ეჩვენებინა, რომ მისთვის უცხო არ არის ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები. იგი შეეცადა გარკვეული გაკვეთილები გამოეტანა მძიმე, ზოგჯერ ღანაშაულის ტოლფასი შეცდომებისაგან, ამჯერად გა-

ითვალისწინა საქართველოს ისტორიული სახელმწიფოებრივი ტრადიციები და თავისსავე პარტიულ-იდეოლოგიური დოქტრინის ფარგლებში შედარებით (!) გონივრული ეროვნული პოლიტიკის განხორციელება მოინდომა. ქართველ ბოლშევიკთა ამ პოზიციაზე არ შეიძლება თავისებური გავლენა არ მოეხდინა იმ ფაქტსაც, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. მართალია, ისინი ებრძოდნენ ამ დამოუკიდებლობას, გმობდნენ მას, მაგრამ მათ ხომ კარგად იცოდნენ (იცოდნენ, მაგრამ სახალხოდ, ღია პრესაში არ აღიარებდნენ), რომ ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას.

საოკუპაციო რეჟიმს, რასაც კიდევ უფრო ამძიმებდა რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ველიკოდერჟავული პოლიტიკა, საქართველო შეიძლება სრულ კატასტროფამდე მიეყვანა. ამას გრძნობდნენ „ნაციონალ-უკლონისტები", რომლებმაც ს

ობდნენ ეროვნულ საკითხზე ბოლშევიკებსა და სხვა პოლიტიკურ პარტიებს შორის ადრე (იგულისხმება 900-იანი წლები) გამართულ კამათში. ამდენად ისინი იმ დროს არც არაფერს ჰპირდებოდნენ ხალხს. სხვა ბოლშევიკები ამ მხრივ განსაკუთრებულ მდგომარეობაში იყვნენ. მათ მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ, რადგან ხალხი სწორედ მათ იცნობდა ეროვნულ საკითხზე გამოქვეყნებული სტატიებით (ფ. მახარაძე და სხვ.), ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელოვანი მეთაურის, დიდი ილიას წინააღმდეგ წრესგადასული ბრძოლით. საქართველოს ძალდატანებით გასაბჭოების მომენტისათვის ყოველივე ეს ქართველ ხალხს მივიწყებული როდი ჰქონდა. მაგალითად, ფილიპე მახარაძეს ამის შესახებ კვლავ შეახსენეს გასაბჭოების დღესაც — გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნდა სტატია „ფილიპე მახარაძე", რომელშიც ნათქვამია, რომ ფილიპე მახარაძეს ხელები ილია ჭავჭავაძის სისხლში აქვს გასვრილი. ავტორს ამის დამამტკიცებელი დოკუმენტი სტატიაში არ მოუტანია, მაგრამ არ შეიძლება ყოველივე ამას თავისებური გავლენა არ მოეხდინა საქართველოს რევკომის ზოგიერთი წევრის საქმიანობასა თუ ფსიქოლოგიურ განწყობაზე. ბოლშევიკური კრედო არ შეუცვლიათ, არც არაფერი მოუნანიებიათ, მაგრამ რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია აიძულებდა მათ, შედარებით მეტი პასუხისმგებლობით მოკიდებოდნენ ეროვნულ საკითხს. ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ ამის აუცილებლობა „ნაციონალ-უკლონისტებმა" სხვა ქართველ ბოლშევიკებზე უფრო მეტად იგრძნეს და ამიტომაც ილაშქრებდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ. საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე ფილიპე მახარაძემ განაცხადა: «Мы не возражаем против объединения, но нужно считаться с грузинским народом, перед которым мы обязаны»[85].

1922 წლის 16 სექტემბერს კი იგივე ფილიპე მახარაძე ვლადიმერ ლენინს სწერდა: «Должен откровенно сказать, что Грузию нельзя мерить ни азербайджанским, ни туркестанским аршином, но есть «левые» коммунисты, для которых никакой разницы не существует»[86].

85 პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 17, აღწ. 1, საქ. 102, ფურც. 26.

86 უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 461, აღწ. 1, საქ. 31005.

ახლა „ნაციონალ-უკლონისტებისადმი“ წაყენებული ზოგიერთი კონკრეტული ბრალდების თაობაზე. დავიწყოთ კორდონების შესახებ დეკრეტის, ანუ საზღვრების ჩაკეტვისა და საქართველოში ლტოლვილთა შემოშვების აკრძალვის საკითხი, რომელსაც ყველაზე მეტად იყენებდნენ ქართველ კომუნისტთა ერთი ჯგუფის ნაციონალისტობის დასამტკიცებლად.

მაშ ასე, ვის ჩაუკეტეს „ნაციონალ-უკლონისტებმა“ საზღვრები და რომელი ლტოლვილები არ შემოუშვეს საქართველოში? საიდან გაჩნდნენ საერთოდ ეს ლტოლვილები?

20-იანი წლების დამდეგს საქართველოს ძირითადად ორი სახის ლტოლვილები ეძალებოდნენ: 1) იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების შედეგად გადარჩენილი ლტოლვილები და 2) რუსეთში (ვოლგისპირეთში) შიმშილის შედეგად საკუთარი მიწა-წყლიდან ნებაყოფლობით აყრილი ლტოლვილები.

ლტოლვილთა მოძრაობა საქართველოში დიდი ხნის წინათ იყო შემჩნეული. საქმე ისაა, რომ თურქების მიერ დეენილი სომხები თავშესაფარს საქართველოში ეძებდნენ. საქართველო მათთვის უფრო მახლობელი და უსაფრთხო იყო. ლტოლვილთა მასობრივი შემოსევა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 1915 წლის აგვისტოდან, რაც ოსმალეთის ფრონტზე მომხდარი ამბებით იყო განპირობებული. ამ დროს 250 ათასზე მეტი სომეხი იძულებული გახდა მიეტოვებინა საკუთარი მიწა-წყალი და მოდებოდა საქართველოს ან შიდა რუსეთს. ლტოლვილთა შორის იყვნენ ღატაკები, რომელთათვისაც სულ ერთი იყო სად იცხოვრებდნენ, ოღონდ არსებობის სახსარი ჰქონოდათ. იყო ლტოლვილთა შედარებით შეძლებული ნაწილი, რომელმაც საქართველო სპეკულაციისა და ადვილად გამდიდრების წყაროდ გაიხადა. ის საერთოდ არ ფიქრობდა საქართველოდან წასვლაზე.

ლტოლვილთა შენახვა მძიმე ტვირთად აწვა საქართველოს და, რაც დრო გადიოდა, ეს კიდევ უფრო ამწვავებდა ისედაც რთულ სასურსათო და საბინაო მდგომარეობას.

1922 წელს საქართველოში სომეხ ლტოლვილთა რიცხვი 30 000 უდრიდა. ისინი დაქსაქსული იყვნენ ქ. თბილისში და მის ახლო მდებარე მაზრებში (თბილისი, გორი, ბორჩალო, ახალქალაქი და ახალციხე).

ლტოლვილები სხვადასხვა მხრიდან შემოდიოდნენ საქართველოში. ეს ის დროა, როცა ვოლგის მხარის დამშეული მასა თავისი მუდმივი

საცხოვრებელი ადგილიდან აიყარა და ჩრდილო კავკასიისაკენ დაიძრა. ჩრდილო კავკასიაში კი ისედაც მრავლად იყვნენ ლტოლვილი სომხები და ბერძნები, რომლებიც ვოლგისპირელთა შემოსვლის შემდეგ იძულებული გახდნენ სხვა ადგილები მოეძებნათ საცხოვრებლად, ან სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. ორივე შემთხვევაში ამ მასას საქართველოზე უნდა გაევლო.

ამრიგად, ჩრდილო კავკასიაში მყოფ 150 ათასზე მეტ ლტოლვილს ვოლგისპირეთის დამშეულები დაემატნენ. მათგან ბევრმა ჩამოაღწია საქართველოში. მათივე განცხადებით აქეთკენ კვლავ ბევრი ლტოლვილი მოეშურებოდა.

საქართველოში უკვე მყოფი ლტოლვილები, ბუნებრივია, სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს და კრიმინოგენულ ვითარებას ქმნიდნენ — ადვილი წარმოსადგენია, თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა ქვეყანაში ლტოლვილთა ახალი მასის შემოჭრას.

ნებისმიერი ქვეყნის გონიერი ხელისუფლება უყურადღებოდ ვერ დატოვებდა ამ საკითხს და, ბუნებრივია, მიიღებდა საჭირო ზომებს მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად.

ჯერ კიდევ 1921 წლის 30 ივნისს, საქართველოს რევკომმა მიიღო დადგენილება, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან ცენტრალური საევაკუაციო სამმართველოს („ცენტროევაკი") დაარსების შესახებ. სამმართველოს საქართველოში მყოფ ლტოლვილთა სამშობლოში ორგანიზებულად დაბრუნება უნდა უზრუნველეყო. მალე, სახსრების უქონლობის გამო, იძულებული გახდნენ, შეემცირებინათ საევაკუაციო სამმართველოსათვის გამოყოფილი თანხა (ბიუჯეტში, შტატები) — საქმე ისე გართულდა, რომ უკვე რესპუბლიკაში მყოფ ლტოლვილებსაც ვერ ეხმარებოდნენ (ვერ აძლევდნენ ფულს, სურსათ-სანოვაგეს, ბინას, სამსახურს და ა. შ.) და, ცხადია, ლაპარაკიც არ შეიძლებოდა ლტოლვილთა ახალი მასის მიღებასა და დახმარებაზე.

ამიტომ, 1922 წლის 16 იანვარს, საქართველოს ცენტრალურმა საევაკუაციო სამმართველომ, თხოვნით მიმართა რსფსრ ცენტრალურ საევაკუაციო სამმართველოს, რომ შეეჩერებინა ლტოლვილთა მოძრაობა ჩრდილო კავკასიიდან და უკან დაებრუნებინათ ის ლტოლვილებიც, რომლებმაც მოასწრეს საქართველოში შემოსვლა. აქვე ვიტყვით, ლტოლვილები მოკალათებულნი იყვნენ რკინიგზის ვაგონებში,

ნაწილი დღისით მათხოვრობდა, ღამით სამართალსაწინააღმდეგო ქმედებებს ჩადიოდა.

ლტოლვილთა მასის შეჩერებაზე რუსეთში არავინ ფიქრობდა. 4 დღის შემდეგ, 20 იანვარს კელავ გაიგზავნა დეპეშა მოსკოვში, ამჯერად გზათა სახალხო კომისარიატში, და „ცენტროევაკში", როსტოვში — გზათა მიმოსელის ოლქში, აგრეთვე კავკასიის „ცენტროევაკში". ითხოვდნენ, საქართველოს „ცენტროევაკის" ნებადაურთველად ლტოლვილებს ნულარ გამოუშვებთო. მდგომარეობა მაინც უცვლელი დარჩა. პირიქით, აქეზებდნენ კიდევ ლტოლვილებს — საქართველოში წადით, იქ „კარგი ცხოვრებააო".

საქართველოს ცენტრალური საევაკუაციო სამმართველოს თხოვნით, ამიერკავკასიის განსაკუთრებული ჯარის საგანგებო სამხედრო-სანიტარულმა კომისიამ შეისწავლა ლტოლვილთა არსებობის შედეგად რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობა და აუცილებლად მიიჩნია, საზღვრებზე კორდონების დაწესება (ე. ი. საზღვრების ჩაკეტვა?!), რაც იმას ნიშნავდა, რომ რესპუბლიკის საზღვრებს სპეციალური ნებართვის გარეშე ვერავინ გადმოლახავდა.

1922 წლის თებერვალ-მარტში ლტოლვილთა მოძრაობამ კიდევ უფრო მეტად სტიქიური ხასიათი მიიღო. ლტოლვილები შემოდიოდნენ რკინიგზით, ზღვით, საქართველოს სამხედრო გზით და ა. შ. სამხედრო-სანიტარულმა კომისიამ სხვადასხვა ეპიდემიურ დაავადებათა გავრცელების საშიშროებაც დაინახა. არასრული ცნობებით 1921—1922 წლებში მხოლოდ ხერსონის გუბერნიაში ქოლერამ 20 000-მდე კაცი იმსხვერპლა[87]. ასევე არასრული ცნობებით, საქართველოში ქოლერით დაავადება პირველად 1921 წლის 12 ივნისს შენიშნეს, უკანასკნელად — 1 ოქტომბერს. სულ ქოლერით დაავადებული იყო 1240 კაცი.[88]

ძნელია თქმა, რამდენად სანდოა ეს საარქივო ცნობა, მაგრამ იმდროინდელ საქართველოში რომ ეპიდემიების გავრცელების დიდი საშიშროება იყო, ეს აშკარაა. ბუნებრივია, ყოველივე ეს კიდევ უფრო გადაუდებელს ხდიდა ლტოლვილთა საკითხის მოგვარებას. გარდა ამისა, რესპუბლიკის მესვეურები ეპიდემიების გავრცელების საშიშროებასთან ერთად, სხვა რამ სატკივარს არ უნდა შეეწუხებინათ? განა

[87] იხ. გაზ. „იზვესტია", 1970 წლის 17 სექტემბერი.

[88] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფ. 282, აღწ. 1, საქ. 170, ფურც. 208.

იმაზეც არ უნდა ეფიქრათ, რომ 30 000 ლტოლვილის დამატებით კიდევ ათი ათასობით ლტოლვილის დამკვიდრება რესპუბლიკის ტერიტორიაზე კიდევ უფრო გაამწვავებდა ისედაც არასახარბიელო ეროვნულ-დემოგრაფიულ სიტუაციას? ჩრდილო კავკასიაში ხომ 150 ათასამდე სომეხი ლტოლვილი ეძებდა თავშესაფარს და საქართველოში იმდენი შემოვიდოდა, რამდენსაც შემოუშვებდნენ.

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემა ძნელი იყო მაშინ, ძნელია დღესაც. ეს არის კითხვა ლტოლვილთა ბედის შესახებ. რა უნდა ექნათ მათ? ვინმეს ხომ უნდა შეეკედლებინა ეს მართლაც დაჩაგრული, მაშინ ბედისაგან განწირული, თავისუფლებისმოყვარე და პატიოსანი ხალხი. ხომ არ შეიძლებოდა ყველას ხელი ეკრა მათთვის? ჯეშმარიტი ინტერნაციონალიზმის მაღალ პრინციპებს რომ თავი დავანებოთ, უბრალო ადამიანური დამოკიდებულება ხომ უნდა გამოეჩინათ მათ მიმართ? შიმშილითა და ღია ცის ქვეშ ხომ არ უნდა დახოცილიყვნენ?

რკპ(ბ) XII ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქმეში ჩაუხედავ კაცს შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს საქართველოს იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ, კერძოდ „ნაციონალ-უკლონისტებმა“ შოვინისტური პოლიტიკა განახორციელეს, გაჭირვებაში მყოფ ხალხს დახმარების ხელი არ გაუწოდეს. სწორედ ამას ამტკიცებდა ყრილობის ქართველ დელეგატთა ერთი ნაწილი (ს. ორჯონიკიძე, მ. ორახელაშვილი და სხვ.). ყრილობაზე „ნაციონალ-უკლონისტებიც“ გამოვიდნენ (ბ. მდივანი, ფ. მახარაძე, მ. ოკუჯავა, კ. ცინცაძე და სხვ.), მაგრამ დელეგატთა უმრავლესობამ ყურად არ იღო მათი განმარტებები და ს. ორჯონიკიძის პოზიციას დაუჭირა მხარი.

თუ საქმის არსს ღრმად ჩავწვდებით, ვნახავთ, რომ „ნაციონალ-უკლონისტებს“ არავითარი საძრახისი საქციელი არ ჩაუდენიათ.

მაინც როგორ უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი? ალბათ ყველაზე უმჯობესი იქნებოდა, ლტოლვილები თავიანთ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ და იქ აღმოეჩინათ მათთვის შესაძლო დახმარება. თუ ეს ვერ მოხერხდებოდა, მაშინ ის მაინც გაეკეთებინათ, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს გაეყოთ მისაღებ ლტოლვილთა რაოდენობა.

ფაქტობრივად საკითხი ასე წყდებოდა. აზერბაიჯანმა და სომხეთმა მალე შეწყვიტეს ლტოლვილთა მიღება. 1922 წლის 25 თებერვალს

აზერბაიჯანის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არ შეუშვან არავინ, გარდა სამსახურის გამო მივლინებული პირებისა. სომხეთში შესვლას მოითხოვდნენ: მესოპოტამიიდან, ჩრდილო კავკასიიდან, ბაქოდან, თურქესტანიდან, სპარსეთიდან. სომხეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა კი 1922 წლის 4 აგვისტოს დაადგინა: „ვიღებთ რა ხელმძღვანელობაში, რომ: 1) სომხეთში მოგროვდა ლტოლვილთა დიდძალი რიცხვი, რომელიც აქამდე არ არის დაკმაყოფილებული მიწით, ასეთის უქონლობის გამო და 2) სომხეთის ეკონომიკურ პირობებს, — ლტოლვილთა მასობრივი შემოსვლა და ჩასახლება სომხეთში ცნობილ იქნას ყოვლად დაუშვებლად".[89]

ყოველივე ეს ხდება მაშინ, როცა ჩრდილო კავკასიაში მყოფი ათეულათასობით ლტოლვილი სომეხი ამიერკავკასიაში შემოჭრას ცდილობს და აქეთკენ მოუწოდებდა მათ მთიელთა რესპუბლიკაც, სხვა ადმინისტრაციული ერთეულებიც. ამასთან, თბილი დღეების დადგომასთან დაკავშირებით, იმდენად გაძლიერდა ლტოლვილთა მოძრაობა, რომ მოსალოდნელი იყო ასლო მომავალში თვით საქართველო ჩავარდნილიყო უფრო ცუდ მდგომარეობაში, ვიდრე ის ადგილები, საიდანაც ეს ლტოლვილები მოდიოდნენ.[90] მარტო ქ. ბათუმში 10 000 ლტოლვილი შემოიჭრა ჩრდილო კავკასიიდან. აქ იყვნენ ბერძნებიც, რომელთაც საბერძნეთში დაბრუნება სურდათ. მათი სამშობლოში დაბრუნება საქართველოს მთავრობას უნდა უზრუნველეყო, მაგრამ ამ დროს საბერძნეთს ომი ჰქონდა თურქეთთან, რომელიც საბჭოთა რუსეთის მეგობარი ქვეყანა იყო. საბერძნეთში ბრძოლისუნარიანი ბერძნების გაგზავნას ქემალ ფაშა (ათა თურქი) თურქეთის საწინააღმდეგო აქციად მიიჩნევდა. ამიტომ სათანადო ორგანოებმა საბერძნეთში გამგზავრების უფლება მხოლოდ მოხუცებსა და ბავშვებს მისცეს. ეს ოჯახების განცალკევებას იწვევდა, რის გამოც ბერძნებმა საერთოდ უარი თქვეს გამგზავრებაზე. ეს პრობლემა გარკვეული დროის მანძილზე მოუგვარებელი დარჩა. ბათუმში მყოფ სომეხ ლტოლვილებს კი ახალციხეში ჩასახლების უფლება მისცეს, მაგრამ მათ უარი განაცხა-

---

[89] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი). ფ. 8, აღწ. 5. საქ. 347, ფურც. 11—12.

[90] იქვე, ფურც. 1—8.

დეს. მაშინ ლტოლვილები ადმინისტრაციული წესით, სახელმწიფოს ხარჯზე ჩასვეს ტრანსპორტში და გაამგზავრეს. სულ მალე ლტოლვილთა ნაწილი კვლავ ბათუმს დაუბრუნდა.

აი, ასეთ ვითარებაში მზადდებოდა პროექტი დეკრეტისა, საქართველოს საზღვრებზე კორდონების დაწესების შესახებ, რომელიც ოფიციალურად არც მიუღიათ, თუმცა 1922 წლის 31 მარტს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ფილიპე მახარაძისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მიხეილ ოკუჯავას ხელმოწერით როსტოვში, ნოვოროსიისკში, კავკავში, ბათუმში, სოხუმში და სხვაგან ასეთი შინაარსის დეპეშა გაიგზავნა:

„ვინაიდან დღეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა განიცდის დიდ სასურსათო კრიზისს შიმშილისა და იმ მიზეზების გამო, რომ აქ ისედაც მრავლად მოგროვილ ლტოლვილებს ყოველდღე ემატება ჩრდილოეთის მხრივ ზღვით თუ რკინიგზით ლტოლვილთა რიცხვი, რა მიზეზითაც ბათომში მოიყარა თავი ათი ათასზე მეტმა ლტოლვილმა, რომლებიც მოკლებულნი არიან ყოველგვარ ცხოვრების წყაროს, ხელს უშლიან ტრანსპორტის ნორმალურად წარმოებას და ამასთანავე წარმოადგენენ დიდ საშიშროებას სხვადასხვა ეპიდემიურ ავადმყოფობის გავრცელების მხრივ, — გეცნობებათ: დღეიდან საქართველოს რესპუბლიკის საზღვრები ცხადდება დახურულად და შემოშვება შემდეგში ლტოლვილებისა აკრძალულია. გთხოვთ სწრაფს და შესაფერ განკარგულებებს სათანადო ორგანოებისადმი. თხოვნა — გვაცნობოთ ამ დეპეშის მიღება“.[91]

«Ростов-Дон. Исполкому, копия Центроэваку; Новороссийск, Исполком, копия Начэваку; Владикавказ: ПредЦИК Горской республики, копия Предсовнаркому: Батум, Предсовнаркому Аджаристана, копия Предисполкому. ПредЗакЧК, Наркомвнудел Грузии, ПредЧК Грузии, начальник желдорог Закреспублики. ПредЦИКа Абхазии, Наркоминдел Грузии: «От сего числа границы республики Грузии объявляются закрытыми, и дальнейший пропуск беженцев на территорию ССР Грузии прекращен. Просим срочно зависящих распоря-

---

[91] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 8, აღწ. 5, საქ. 347. ფურც. 9.

жений соответственным органам. Просьба подтвердить получение настоящей телеграммы»[92].

რკპ (ბ) ყრილობის წინაპერიოდში და, განსაკუთრებით, თვით ყრილობაზე (1923 წლის აპრილი) ეს დოკუმენტი პოლიტიკური ბრძოლის მიზნებით, ქართველ „ნაციონალ-უკლონისტთა“ დისკრედიტაციისათვის გამოიყენეს. აქვე დავძენთ, აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელმძღვანელობა ზემოციტირებული დადგენილებებისათვის არც ყრილობაზე, არც შემდეგ არავის გაუკრიტიკებია. ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები“ კი ლამის ჯვარს აცვეს.

„ნაციონალ-უკლონისტები“ არაერთგზის მიუთითებდნენ, რომ კორდონების შესახებ დეკრეტი ოფიციალურად არ იყო მიღებული. მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი კოტე ცინცაძე საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობაზე აღნიშნავდა: «Я утверждаю, что декреты о кордонах были созданы в тот момент, когда нужно было доказать наш национализм... Нас называли меньшевиками, социалистами и прочее. Так было дело: был наплыв беженцев в Грузию и не удивительно, что правительство приняло против этого меры. Такие меры принимались в центральных губерниях России и я сам принимал участие, чтобы в Терской области не было наплыва. Как будто бы специально были посланы люди в Батум. Там было заседание с полномочным представителем РСФСР, с одной стороны, — ЧЕКА, с другой... На этом заседании решили, что такой наплыв беженцев, что мы можем стать перед катастрофой. Поэтому постановили: тех, кто явится в Батум без определенных занятий, арестовать и высылать обратно. Обращались в Москву, спрашивали: пропускать заграницу. Отвечали — нет. Беженцы были греки и это значило бы снабжать Грецию солдатами. Мы телеграфировали из Батума и просили Совнарком принять меры, чтобы оградить Грузию от наплыва беженцев, тогда Совнарком поручил Наркомвнудел в лице тов. Гегечкори предпринять что-нибудь, чтобы остановить наплыв. Через 2 дня тов. Гегечкори приносит декрет. Я лично выступал против него и предложил воспользоваться такими организациями, как ЧЕКа и милицейские, которые существуют. На другой день опять повторяется то же. Наплыв беженцев, нажим на Совнарком. Все меры принимаются и преподносится проект декрета. Но он не был опубликован.

---

[92] იხ.: Двенадцатый съезд РКП (б). 17—25 апреля 1923 года. Стенографический отчет. М., 1968, зз. 175.

Пока Цека познакомится с ним, как Мамия Орахелашвили постановил, что завтра должен быть декрет о кордонах. Я удивился и спросил — о каких кордонах. Дело было о беженцах. Вопрос стал в ударном порядке, был поставлен в порядок дня и послан в Комиссариат Юстиции, оттуда дали заключение и после Сережа Кавтарадзе должен был подписать и выпустить, а он очутился в руках Мамия Орахелашвили на другой же день. Таким образом, ночью в 2 часа, звонят т. Орахелашвили, что есть такой декрет и выпускать его или нет. Мамия остановил дело. Но главным образом, он не был подписан председателем Совнаркома. Каким образом очутился он в руках Орахелашвили. Спрашиваем Совнарком: Вы дали, нет. Спрашиваем комиссариат Юстиции: Вы дали, нет. Каким образом очутился декрет (у Орахелашвили) я не знаю.

Я говорю, что вопрос о кордоне является вопросом очень сомнительным и я прошу съезд установить комиссию, чтобы раз и навсегда было установлено — к каким мерам прибегали, чтобы оскандалить...»[93]

საქართველოს საზღვრებზე კორდონების დაწესების შესახებ დეკრეტის პროექტს ასევე საეჭვო დოკუმენტად მიიჩნევდა „ნაციონალ-უკლონისტთა“ ერთ-ერთი ლიდერი ფილიპე მახარაძე. რკპ (ბ) XII ყრილობაზე იგი აღნიშნავდა: «Товарищи, я хочу еще устранить одно недоразумение, о котором сегодня т. Сталин тоже упоминал. Товарищи, я имею в виду этот знаменитый отныне проект декрета о кордонах. Товарищи, я опять заявляю, что этот прооект, принадлежащий перу интернационалиста Гегечкори, у нас, в Закавказье и в Грузии, не увидел света и пропал. Но благодаря некоторому положению, которым некоторые злоупотребляют, этот проект в конечном счете удостоился чересчур большой чести. Он опубликован в Центральном Органе нашей партии, он здесь оглашался, и он же попал целиком в наш бюллетень. Я нахожу, товарищи, это недостойным для нашего съезда»[94].

ამასვე ამტკიცებდა ფილიპე მახარაძე თავის განცხადებაში, რომელიც რკპ(ბ) XII ყრილობის პრეზიდიუმს გაუგზავნა 1923 წლის

---

[93] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 486, ფურც. 432—433.

[94] Двенадцатый съезд РКП(б). 17—25 апреля 1923 г. Стеногр. отчет, გვ. 516.

19 აპრილს. იგი წერდა: «...Проект о кордонах был составлен НКВД Грузии Гегечкори, который является единомышленником т. Орджоникидзе; ЦК же Грузии, против которого пытается использовать Орджоникидзе этот документ, ознакомившись с его содержанием, немедленно, не дожидаясь чьих-либо указаний, аннулировал его, благодаря чему проект Гегечкори не был утвержден. Все приведенные факты отлично известны и самому Орджоникидзе; тем не менее в групповых целях на протяжении шести месяцев, на каждом партийном собрании эти документы демонстрируют в целях дискредитирования старых партийцев в глазах партийной массы, что несколько раз вынуждало нас просить его о передаче этих материалов в особую комиссию для выяснения обстоятельства их возникновения, но, к сожалению, просьба наша им до сего времени не удовлетворена»[95].

ამრიგად, ფილიპე მახარაძემ ფაქტობრივად უარყო „ნაციონალ-უკლონისტთა" მონაწილეობა კორდონების შესახებ დეკრეტის პროექტის მომზადებაში, აღნიშნა, რომ ისინი საერთოდ წინააღმდეგი იყვნენ ამ დეკრეტისა და ამიტომაც არ გამოიცა იგი. სერგო ორჯონიკიძე სხვა აზრისა იყო. ფილიპე მახარაძის განცხადების საპასუხოდ იმავე პრეზიდიუმში იმავე დღეს გაგზავნილ განცხადებაში იგი აღნიშნავდა: «Декрет о кордонах составлен на основании распоряжения т. т. Махарадзе и Окуджава и принят на пленарном заседании Совнаркома Грузии от 29 сентября 1922 г. под председательством т. Кавтарадзе... Указанное постановление не получило силы закона, повторяю, только благодаря категорическому запрету секретаря Заккрайкома т. Орахелашвили»[96].

რაც შეეხება ფილიპე მახარაძისა და მიხეილ ოკუჯავას ხელმოწერით 1922 წლის 31 მარტს სხვადასხვა პუნქტში გაგზავნილ დეპეშას (განკარგულებას) საქართველოს საზღვრების ჩაკეტვის შესახებ, დელეგატებმა ამ საკითხზეც აზრთა სხვაობა გამოავლინეს. „ნაციონალ-უკლონისტები" დეპეშის გაგზავნის ფაქტს, ბუნებრივია, არ უარყოფდნენ, ოღონდ მიუთითებდნენ, რომ იგი განპირობებული იყო

---

[95] Двенадцатый съезд РКП(б), 17—25 апреля 1923 г. Стеногр. отчет, 239.

[96] იქვე. გვ. 240.

შექმნილი მდგომარეობითა და მოსკოვიდან ჩამოსული სპეციალისტების რჩევით.

რკპ (ბ) XII ყრილობის პრეზიდიუმში გაგზავნილ ზემოციტირებულ წერილში ფ. მახარაძე ამ საკითხთან დაკავშირებით წერდა:

«Относительно закрытия границ для беженцев. — Неправда, что границы были закрыты для голодающих Поволожья. Наоборот, Грузия, сама в то время голодающая, широко открыла свои двери нескольким тысячам голодающих Поволжья...

Границы были закрыты для беженцев греков и армян, направлявшихся через Батум в Константинополь, ввиду категорического предложения Наркоминдела РСФСР не пропускать их в Константинополь, вследствие чего в Батуме скопилось до 12 тыс. беженцев, разместившихся по улицам и площадям за абсолютным отсутствием помещений для их размещения, что создавало серьезную угрозу распространения эпидемических заболеваний. Дальнейший приток волны беженцев с Северного Кавказа грозил превратить Батум: с его укрепленным районом в очаг заразы, которая могла захлестнуть расположенные там части Красной Армии, на что было обращено начальником Батумского укрепленного района т. Ремезовым внимание находившейся там в то время Полномочной комиссии ЦК РКП, во главе с т. Серебряковым, по распоряжению которой и была разослана та телеграмма о закрытии границ для этих беженцев, которая в полемических целях была оглашена на партсъезде т. Орджоникидзе. Эти факты могут подтвердить, если понадобится, т. т. Серебряков и Менжинский»[97].

სერგო ორჯონიკიძემ ფილიპე მახარაძის განცხადების არც ეს ნაწილი დატოვა უპასუხოდ. ყრილობის პრეზიდიუმს იგი აცნობებდა: «Границы Грузии, согласно распоряжению предЦИКа т. Махарадзе и зампредсовнаркома т. Окуджава, были закрыты абсолютно для всех беженцев, в том числе, конечно, и для голодающих из Поволжья и Северного Кавказа. Смешно говорить о том, что армяне из Советской России и Советского Закавказья бегут через Батум к туркам в Константинополь. Полагаю, всем известно,

---

[97] Двенадцатый съезд РКП(б). 17—25 апреля 1923 года. Стеногр. отчет, зз. 238—239.

что как раз происходит обратное: армяне бегут из Константинополя от турок к нам, спасая себя от резни в Турции»[98].

კომენტარებისაგან თავს ვიკავებთ, რადგან ამ საკითხებზე უკვე გვქონდა მსჯელობა. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ უმრავლესობისაგან გასხვავებით, ზოგიერთმა არაქართველმა დელეგატმა უთანაგრძნო კიდეც ქართველ „ნაციონალ-უკლონისტებს". რომ არაფერი ვთქვათ ნიკოლოზ ბუხარინზე, კარლ რადეკმა, მაგალითად პირდაპირ განაცხადა: «Не подлежит ни малейшему сомнению, что когда т. Серго Орджоникидзе бросает упрек: «Вы закрыли Грузию для беженцев», — он ничего не доказывает этим: он должен был доказать, что они могли прокормить беженцев и по национальным соображениям не пустили их. Надо ведь направлять поток беженцев целесообразно»[99].

იოსებ სტალინი კი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი პოზიციისა. მიუხედავად იმისა, რომ მან ყველაფერი კარგად იცოდა. აი რა თქვა მან ყრილობაზე: «Это не случайность, товарищи, что такой дикий декрет о кордоне вырабатывается именно в Грузии. Теперь эту вину взваливают на Серебрякова. Допустим. Но ведь родился-то он в Грузии, а не в Азербайджане и не в Армении. Это не случайность, что был такой декрет, которым хотели регулировать отношение населения для того, чтобы задержать кое-что в пользу Грузии и дать возможность Грузии использовать то выгодное географическое положение, которое она имеет безусловно и которое она в лице уклонистов терять не хочет»[100].

როგორც ვხედავთ, იოსებ სტალინმა თითქოს დაუჯერა „ნაციონალ-უკლონისტებს", რომ საზღვრების ჩაკეტვის განკარგულება (სტალინი მას მაინც დეკრეტს ეძახის) რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სრულუფლებიანი კომისიის ხელმძღვანელის სერებრიაკოვის რჩევით გაიცა. ყოველ შემთხვევაში, მან ეს დასაშვებად მიიჩნია, მაგრამ, მისი აზრით, შემთხვევით არ მოხდა ის, რომ დეკრეტი (ისევ დეკრეტი!) სწორედ საქართველოში „დაიბადა". რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ? მხოლოდ ის, რომ ასეთი „დეკრეტი" სწორედ საქართველოში უნდა მომზადებულიყო თუნდაც იმიტომ, რომ მხოლოდ საქართველოში

---

[98] იქვე, გვ. 239—240.

[99] Двенадцатый съезд РКП(б). 17—25 апреля 1923 года. Стеногр. იქვე, გვ. 618.

[100] იქვე, გვ. 489.

იყო შექმნილი მეტად მძიმე, შეიძლება ითქვას, კატასტროფული მდგომარეობა (ამის შესახებ ზემოთ ითქვა) და არც ერთ სხვა რესპუბლიკაში, თუმცა ისიც კარგად ვიცით, თუ ამ შემთხვევაში როგორ მოიქცნენ მეზობელი რესპუბლიკები.

სტალინი აღნიშნულით როდი დაკმაყოფილდა. ყრილობაზე მან ფაქტობრივად, მხოლოდ ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები" ამოიღო მიზანში და მისი აზრით, პოლემიკურ ბრძოლაში „დაასამარა" კიდეც ისინი. იოსებ სტალინის აზრით, ძირითადი მოტივები, რომელთა გამო ქართველ „ნაციონალ-უკლონისტებს" არ უნდოდათ ამიერკავკასიის ფედერაციის შენარჩუნება, ასეთია:

— ამიერკავკასიის ფედერაციაში ყოფნა საქართველოს ართმევს იმ პრივილეგირებული მდგომარეობის წილს, რაც მას შეეძლო დაეკავებინა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით. საქართველოს აქვს თავისი ნავსადგური — ბათუმი, საიდანაც შემოდის დასავლეთის საქონელი, საქართველოს აქვს ისეთი სარკინიგზო კვანძი, როგორიც არის თბილისი, რასაც ვერ ასცდებიან სომხები, ვერ ასცდება აზერბაიჯანი, რომელიც თავის საქონელს ბათუმიდან ღებულობს. საქართველო ცალკე რესპუბლიკა რომ იყოს, იგი ამიერკავკასიის ფედერაციაში რომ არ შედიოდეს, მას შეეძლო ერთგვარი პატარა ულტიმატუმი წაეყენებინა სომხეთისათვისაც, რომელიც უთბილისოდ ვერ გაძლებს და აზერბაიჯანისთვისაც, რომელიც უბათუმოდ ვერ გაძლებს. აქ ერთგვარი სარგებლობა იქნებოდა საქართველოსათვის.

— თბილისი საქართველოს დედაქალაქია, მაგრამ იქ ქართველებია არა უმეტეს 30%, სომხები არანაკლებ 35%. „ესეც თქვენ საქართველოს დედაქალაქი". საქართველო ცალკე რესპუბლიკას რომ წარმოადგენდეს, იქ შეიძლებოდა მოსახლეობის ერთგვარი გადანაცვლება, — მაგალითად, სომეხი მოსახლეობისა თბილისიდან. „აკი მიიღეს საქართველოში ცნობილი დეკრეტი, თბილისში მოსახლეობის „რეგულირების" შესახებ. რაზედაც ამხ. მახარაძემ განაცხადა, იგი სომხების წინააღმდეგ არ ყოფილა მიმართულიო. გათვალისწინებული იყო მოსახლეობის ერთგვარი გადანაცვლება მოეხდინათ ისე, რომ სომხები წლითი-წლობით ნაკლები აღმოჩენილიყვნენ თბილისში, ვიდრე ქართველები და, ამრიგად, თბილისი გადაექციათ ნამდვილ ქართულ დედაქალაქად. აი ეს სარგებლობა გეოგრაფიული მდებარეობის მხრივ, რაც ქართველ უკლონისტებს არ სურთ დაკარგონ და არახელსაყრელი მდგომარეობა თვითონ თბილისში, სადაც ქართველები სომხებზე ცოტანი

არიან, აიძულებენ „ნაციონალ-უკლონისტებს“, იბრძოლონ ფედერაციის წინააღმდეგ.

— მენშევიკები პირდაპირ ასახლებდნენ თბილისიდან სომხებსა და თათრებს. ახლა კი, საბჭოთა ხელისუფლების დროს, გადასახლება არ შეიძლება. ამიტომ საჭიროა გამოეყო ფედერაციას, და მაშინ იურიდიული შესაძლებლობა გექნება დამოუკიდებლად მოახდინო ზოგიერთი ისეთი ოპერაცია, რომლებიც გამოიწვევენ იმას, რომ ქართველების ხელსაყრელი მდგომარეობა სავსებით გამოყენებული იქნება აზერბაიჯანისა და სომხეთის წინააღმდეგ. ყოველივე ამის შედეგად შეიქმნებოდა ქართველების პრივილეგიური მდგომარეობა ამიერკავკასიის შიგნით.

— ჩვენ არ შეგვიძლია უგულებელვყოთ ნაციონალური მშვიდობიანობის ინტერესები ამიერკავკასიაში და შევქმნათ ისეთი პირობები, როდესაც ქართველები პრივილეგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების მიმართ.[101]

შემდეგ, იოსებ სტალინი აღნიშნავს: „...ქართულმა შოვინიზმმა, რომელიც გადავიდა სომხებისა და აზერბაიჯანელების წინააღმდეგ მიმართულ შეტევაზე, ფეხზე დააყენა საქართველოს კომპარტია. სავსებით გასაგებია, რომ საქართველოს კომპარტია, რომელსაც თავისი ლეგალური არსებობის დროიდან ორი ყრილობა ჰქონდა, ყოველთვის ერთსულოვნად უარყოფდა ამხანაგ უკლონისტთა პოზიციას, ვინაიდან ამიერკავკასიის ფედერაციის გარეშე ახლანდელ პირობებში მშვიდობიანობის შენარჩუნება კავკასიაში არ შეიძლება. შეუძლებელია დავუშვათ, რომ ერთი ერი უფრო პრივილეგიური იყოს, ვიდრე მეორე... აი რატომ არის, რომ ორი წლის ბრძოლის განმავლობაში მდივანის ჯგუფი წარმოადგენს ერთ მუჭა ხალხს, რომელსაც პარტია ერეკება თავისი რიგებიდან თვით საქართველოში“.[102]

იოსებ სტალინის მოხსენებიდან დამოწმებული ეს ამონაწერები ნათლად გვიჩვენებენ, რომ იგი გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ამიერკავკასიის ფედერაციას, ცალმხრივად აფასებდა „ნაციონალ-უკლონისტთა“ საქმიანობას და გამოგონილ ბრალდებებსაც უყენებდა მათ. კომენტარებისაგან თავს შევიკავებთ, რადგან ზემოთ გვქონდა ამ საკითხებზე მსჯელობა. ის კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ

---

[101] იხ. ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 279—281.

[102] იქვე, გვ. 284.

ხელისუფლებაში „ნაციონალ-უკლონისტების“ ყოფნის დროს საქართველომ საგრძნობი დახმარება აღმოუჩინა ლტოლვილებსა და ვოლგისპირეთის დამშეულებს. მიუხედავად იმისა, რომ 1921 წელს საქართველოში მძიმე ეკონომიკური პირობები იყო, ქართველმა ხალხმა ვოლგისპირეთსა და ყირიმში დამშეულთა დასახმარებლად 33 ვაგონი სურსათი გააგზავნა.[103] საქართველომ შეიფარა 1200 ვოლგისპირელი უპატრონო ბავშვი, რომელთათვისაც გამოყოფილ იქნა კეთილმოწყობილი შენობები თბილისში, მანგლისში, ლაგოდეხში, ახალ ათონში. საქართველოში შექმნილი იყო ვოლგისპირეთის დამშეულთა დამხმარე სპეციალური ორგანო, რომელსაც თვით ფილიპე მახარაძე ხელმძღვანელობდა. რსფსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულმა დამშეულთა დამხმარე ცენტრალურმა კომიტეტმა 1922 წლის აგვისტოში მაღალი შეფასება მისცა ვოლგისპირეთის დამშეულთა დასახმარებლად საქართველოში გაწეულ მუშაობას.[104]

„ნაციონალ-უკლონისტებს“ იმასაც აბრალებდნენ, თბილისიდან არაქართველების გასახლებას მოითხოვდნენო. ეს აღინიშნა რკპ(ბ) XII ყრილობაზე, გამეორებულია სხვადასხვა ავტორის შრომებში. გულისხმობდნენ „ნაციონალ-უკლონისტების“ დროს გამოცემულ დეკრეტს, რომელიც სერგო ორჯონიკიძემ, ისევ და ისევ „ნაციონალ-უკლონისტების“ დისკრედიტაციის მიზნით გაზეთ „პრავდის“ მკითხველებს რკპ(ბ) XII ყრილობის დღეებში გააცნო და ყრილობაზეც გაიმეორა. ამ დეკრეტში ნათქვამია: «Рабочие, которые не пробыли в профессиональных союзах 6 месяцев, не имеют права жительства, а немедленно высылаются из Грузии»[105].

მაგრამ ეს ხომ გარკვეული კატეგორიის პირებს ეხებოდა, რომელთა უმრავლესობას, ბუნებრივია, არაქართველები შეადგენდნენ. ეს ეხებოდა იმ ლტოლვილებს, რომელთა ორგანიზებული გასახლებისათვის, როგორც ითქვა, სათანადო რესპუბლიკებში სპეციალური საევაკუაციო სამმართველოები იყო მოწყობილი. ხოლო იმის შესახებ, თუ

---

[103] იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1922 წლის 15 ივნისი; გაზ. „წითელი არმიელი“, 1922 წლის 26 სექტემბერი.

[104] Очерки истории Коммунистической партии Грузии. Часть вторая. თბილისი, 1983, გვ. 12—13.

[105] Двенадцатый съезд РКП(б). 17—25 апреля. 1923 года. Стеногр. отчет, გვ. 175—176

რატომ უნდა გაესახლებინათ ამ კატეგორიის პირები საქართველოდან, ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

სერგო ორჯონიკიძემ რკპ (ბ) XII ყრილობაზე ასეთი განცხადებაც გააკეთა: «Дальше, товарищи, государственное творчество наших товарищей из группы Махарадзе—Мдивани можно иллюстрировать еще следующим документом. Вот вам декрет «О гражданстве социалистической Советской Республики Грузии»:

«Гражданство Грузии теряют: грузинская гражданка в том случае, если она выйдет замуж за иностранца».

Сомнительный документ т. Махарадзе? Случись, к примеру, такое несчастье, что грузинка влюбилась в армянина, татарина или русского и вышла замуж за него, вот и перестает она за это быть гражданкой Грузии. (Аплодисменты). Говорят, нас сжимают. Какого черта сжимают? Если бы мы вас сжимали, товарищи, этих документов не было бы. (Аплодисменты)»[106].

როგორც სტენოგრაფიული ანგარიშიდან ჩანს, ს. ორჯონიკიძის ამ გამოსვლას ყრილობის უმრავლესობა ტაშით შეხვდა. მაგრამ იგი ხომ წმინდა წყლის დემაგოგია იყო? თვითონ განსაჯეთ. დეკრეტში გარკვევით ეწერა, რომ საქართველოს მოქალაქეობას ჰკარგავს „საქართველოს მოქალაქე ქალი, რომელიც უცხო მოქალაქეს მისთხოვდება“.[107] რა არის აქ მიუღებელი? რატომ წარმოიდგინა სერგო ორჯონიკიძემ „უცხო მოქალაქედ“ („ინოსტრანეცად“) საქართველოში მცხოვრები სომეხი, თათარი ან რუსი? ასეთი კანონის მიღების აუცილებლობა იქნება მართლაც საკამათო იყოს, მაგრამ 1922 წლის საქართველოსათვის ყველა სომეხი, თათარი და რუსი „ინოსტრანცები“ იყვნენ? ან სხვა ქვეყნებში ასეთი კანონი არ მიუღიათ? განა თვით საბჭოთა კავშირში (ი. ბ. სტალინის დროს) მსგავსი კანონი არ გამოუციათ? გარდა ამისა, 1924 წელს, როცა „ნაციონალ-უკლონისტები“ ხელისუფლებაში აღარ იყვნენ, საქართველოს მოქალაქეობის დეკრეტში იგივე არ გაიმეორეს?

„ნაციონალ-უკლონისტებს“ აკრიტიკებდნენ იმის გამოც, რომ მათ ბათუმის ნავთობის რეზერვუარები საბჭოთა აზერბაიჯანის ნაცვლად,

---

[106] Двенадцатый съезд РКП(б). 17—25 апреля 1923 года. Стеногр. отчет. гр. 177.

[107] „მოამბე“, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, 1922 წლის სექტემბერი, № 39.

ინგლისის ფირმას — „სტანდარტ-ოილს“ დაუთმესო. ფაქტობრივი მდგომარეობა ასეთი იყო. საქართველოს რევკომმა 1921 წლის ივლისში სპეციალური დეკრეტით საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა რეზერვუარი სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა, ე. ი. მათი ნაციონალიზაცია მოხდა. ბათუმში იმ დროს რამდენიმე უცხოური სააქციო საზოგადოება არსებობდა, მათ შორის ინგლისური „სტანდარტ-ოილიც“. საზოგადოებებმა პროტესტი განაცხადეს, ეს დეკრეტი ჩვენზე არ უნდა გავრცელდესო. საქართველოს მთავრობამ შეისწავლა საქმის ვითარება და სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით, შესაძლებლად მიიჩნია გარკვეული შეღავათები მიეცა მათთვის. „სტანდარტ-ოილს“ მიწის იჯარის (არენდის) ვადაც გაუგრძელეს.

1921 წლის 10 აგვისტოს საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველობიდან ასეთი დოკუმენტი გაიგზავნა:

«Заведывающему наливной станцией общества для хранения в баках и перевозки нефти гражданину Ю. Шевалье (Батум) и доверенному Британско-Бакинского торгового и пароходного общества гражданину В. Фуксу (Батум).

В ответ на Ваше отношение от 30 июля с/г Наркомвнудел, согласно заявления Совнархоза от 6 августа за № 7295. доводит до вашего сведения, что склады Общества для хранения в баках и перевозки нефти из Британско-Бакинского торгового и пароходного общества — освобождены от национализации, о чем уже сообщено отделению Совнархоза в Батуме»[108].

1921 წლის 31 აგვისტოს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ ასეთივე შინაარსის დოკუმენტი გაუგზავნა სახალხო მეურნეობის საბჭოს ბათუმის განყოფილებას: «Постановлением Президиума ВСНХ от 30 августа с. г. нефтехранилища и резервуары Британско-Бакинского торгового и пароходного о-ва и Общества хранения в баках и для перевозки нефти в Батуме денационализированы, о чем сообщается руководству к сведению»[109].

---

[108] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 194, ფურც. 173.

[109] იქვე, ფურც. 171.

ვაზეთ „პრავდა გრუზიის“ 1921 წლის 3 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შემდეგი დადგენილება: «Президиум Высшего Совета Народного хозяйства ССР Грузии, руководствуясь п. 5 Декабря Ревкома ССР Грузии от 5 июля 1921 года о национализации нефтехранилищ, по соображениям государственной целесообразности постановил: нефтехранилища, находящиеся в Батуме и принадлежащие «Британско-Бакинскому торговому и пароходному Акционерному Обществу» и «Американскому Акционерному обществу хранения в баках и перевозки нефти», с ограниченной ответственностью освободить вовсе от национализации».

ასეთი იყო ოფიციალური დამოკიდებულება ბათუმის რეზერვუარებისადმი საერთოდ, რასაც თავდაპირველად საქართველოში უთანხმოება თითქმის არ გამოუწვევია. საქმე ის იყო, რომ უცხო ფირმები რეზერვუარებით სარგებლობისათვის საქართველოს ვალუტას უხდიდნენ. გარდა ამისა, იმ დროს საბჭოთა რუსეთ-ინგლისის სავაჭრო მოლაპარაკება იყო დაწყებული და ფიქრობდნენ, რომ რეზერვუარების ნაციონალიზაცია ხელს შეუშლიდა მოლაპარაკების წარმატებით დაგვირგვინებას (ყოველ შემთხვევაში, „ნაციონალ-უკლონისტები“ ამ არგუმენტსაც აყენებდნენ). თუმცა ისიც აშკარა იყო, რომ ბათუმის რეზერვუარების დენაციონალიზაცია ხელს არ აძლევდა „აზნეფტს“, რომელსაც მიაჩნდა, რომ საბჭოთა საქართველოს პირველ რიგში საბჭოთა აზერბაიჯანისათვის უნდა გაემართა ხელი.

საქართველომ „აზნეფტს“ დროებითი სარგებლობისათვის ნავთობის ჩასასხმელი სადგური „ოლეუმი“ გადასცა. ამასთან, საქართველოს მთავრობამ აზერბაიჯანის მთავრობის წინაშე დააყენა საკითხი სპეციალური ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, რის შემდეგაც „აზნეფტს“ შიბაევისა და მანთაშოვის სადგურებიც გადაეცემოდა. მაგრამ ვიდრე ეს საკითხი ოფიციალურად მოგვარდებოდა, ბათუმში რთული მდგომარეობა შეიქმნა. ბათუმის რეზერვუარებში ბაქოდან მიღებული ნავთობის მოთავსება გაჭირდა. ამასთან დაკავშირებით, „აზნეფტის“ ხელმძღვანელობამ დააყენა საკითხი ბათუმის რეზერვუარების მისთვის გადაცემის თაობაზე. საქართველოს მთავრობას საკითხის ამდაგვარი გადაწყვეტა მიზანშეუწონლად მიაჩნდა. საქმეში საბჭოთა რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ჩაერია. 1922 წლის 8 ივნისს, აბელ ენუქიძის მონაწილეობით, საქართველოს მთავრობის

დაუკითხავად, მიიღეს დადგენილება ბათუმის ყველა რეზერვუარის „აზნეფტისათვის“ გადაცემის შესახებ. საქმე ჭიანურდებოდა. 1922 წლის 6 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა: «Телеграмма Сталина о необходимости расторжения арендного договора по сдаче в аренду резервуаров Батума». პრეზიდიუმმა გადაწყვიტა შეექმნათ იურისტთა კომისია, რომელიც დეტალურად შეისწავლიდა საქმის ვითარებას და გამოარკვევდა უცხო ფირმებთან საქართველოს მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულების დარღვევის შესაძლებლობას.[110]

1922 წლის 18 დეკემბერს კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა: «1) Предложить ВСНХ, отменив свое постановление о денационализации нефтехранилищ, принадлежащих «Британско-Бакинскому торговому и пароходному Акционерному обществу и «Американскому Акционерному обществу хранения в баках и перевозки нефти» в Батуме национализировать согласно общего положения о национализации нефтехранилищ. 2) Предложить СНК выяснить каким образом были освобождены от национализации вышеуказанные общества и свои соображения по этому вопросу представить Президиуму ЦК»[111].

საბოლოოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, ბათუმის ყველა რეზერვუარი „აზნეფტის“ სარგებლობაში გადავიდა. სერგო ორჯონიკიძე და „ნაციონალ-უკლონისტთა“ სხვა ოპონენტები თავიდანვე ყოველივე ზემოთქმულის საქმის კურსში იყვნენ, მაგრამ მაშინ არავითარი რეაგირება არ მოუხდენიათ. ეს ფაქტი მხოლოდ შემდეგ, ურთიერთობის გამწვავების პირობებში გამოიყენეს პოლიტიკური ბრძოლის მიზნით. „ნაციონალ-უკლონისტების“ ქმედებაში კი აქაც ძნელია რაიმე საძრახისი დავინახოთ.

რაც შეეხება საფინანსო რეფორმებისადმი „ნაციონალ-უკლონისტთა“ დამოკიდებულებას, საქმის ფაქტობრივი მდგომარეობა ასეთი იყო. 20-იანი წლების დამდეგს, როცა ამიერკავკასიის პარტიულმა ხელმძღვანელობამ და სამხარეო ხელისუფლებამ ერთიანი საამიერ-

---

[110] იხ. პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 194, ფურც. 133.

[111] იქვე. ფურც. 165.

კავკასიო საბჭოთა ფულის ნიშნის შემოღება გადაწყვიტეს, ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები" ცდილობდნენ ამ ფულის საფუძველი (ბაზა) ქართული ბონები გამხდარიყო (იგულისხმება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი ფულის ნიშნები, რომლებიც ცოტა ხნით საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც იყო ხმარებაში). მაგრამ ეს იმან განაპირობა, რომ ქართული ბონების კურსი როგორც ცნობილია, გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებისა.

საქართველოს კომპარტიის II ყრილობაზე ბუდუ მდივანი აღნიშნავდა: «Я заявляю, товарищи, проект закавказских бон с применительным курсом на грузинские боны, потому, что грузинские боны были более устойчивы, если бы армянские боны были бы более устойчивыми, мы бы закавказские боны выпустили бы применительно к армянскому курсу. Это наш проект, проект товарища Сванидзе, он был принят Заккрайкомом, но когда приехал из России тов. Сокольников, то по его предложению этот проект отвергли и постановили закавказские боны выпустить применительно к совдензнакам и уничтожили все. Я признаюсь, грешный человек, поехал в Москву, имел счастье разговаривать с тов. Лениным, дай бог, еще раз говорить с ним (ему стало лучше). Когда я об этом вопросе с ним говорил, когда он узнал в каком положении может очутиться страна, он назначил комиссию из т. т. Орджоникидзе, Сокольникова и меня, и я снова предложил единые закавказские боны с применительным курсом на грузинские боны и это опять прошло, потому, что грузинские боны заслужили известное отношение к себе, конечно, дальше воспользовались нашим проектом таланты ваших финансистов, но основание кто положил? — Мы положили»[112].

ამავე ყრილობაზე ფინანსების საკითხს შეეხო კოტე ცინცაძეც. მან თქვა: «Еще в 1921 году Ревком Грузии издал приказ, что все деньги имеют одинаковое хождение в Грузии. ...Через два месяца мы очутились перед катастрофой, стал вопрос, что нам делать и Орджоникидзе и Сванидзе НКФин ломали себе голову, даже была снаряжена комиссия в Батуме, с одной стороны, там были забастовки, с другой стороны, недовольство. В чем дело, какие причины. В конце концов прии-

---

[112] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 486, ფურც. 453.

ли к заключению, что этот декрет Ревкома является всему причиной и на одном из собраний Центрального Комитета в присутствии Кавбюро, приехавшего целиком, предложение тов. Сванидзе объявить свободный курс на остальные дензнаки, принимается. Почему тогда ни т. Орджоникидзе, ни Мясников не имели смелость сказать ни одного слова против его предложения, потому что нельзя было, потому что эта была жизненная стихия. Против объединения никто не говорит, но объединяться нужно так, чтобы мы не очутились перед катастрофой, как было в июле месяце 1921 г. Нам, конечно, не верили и поэтому мы обратились в ЦК и вопрос был разрешен в нашем духе»[113].

„ნაციონალ-უკლონისტებს" შეცდომად ან დანაშაულადაც უთვლიდნენ იმასაც, რომ მათ ვერ მოაგვარეს მიწის საკითხი, ვერ განახორციელეს აგრარული რევოლუციური რეფორმა, ისინი არ იწონებდნენ რეპრესიებს მენშევიკებისა და სხვა ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა წინააღმდეგ, გმობდნენ მამულებიდან მემამულეთა იძულებით გაძევებას და ა. შ.

მამულებიდან მემამულეთა იძულებით გაძევებას, რაც 20-იანი წლების დამდეგს ხდებოდა საქართველოში, „ნაციონალ-უკლონისტები" მართლაც ეწინააღმდეგებოდნენ, მიაჩნდათ, რომ იგი კარგს არაფერს მოიტანდა (თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ისინი ყოველთვის გმობდნენ მსგავს („ულტრარევოლუციურ" ღონისძიებებს), აამოძრავებდა „გლეხურ სტიქიას", რომლის დაშოშმინება ძნელი იქნებოდა (ფ. მახარაძე, ს. თოდრია და სხვ.). „ნაციონალ-უკლონისტთა" ეს პოზიცია დასაგმობი ნამდვილად არ იყო. არადა, ს. ორჯონიკიძემ სწორედ „ნაციონალ-უკლონისტების" დისკრედიტაციის მიზნით რკპ(ბ) XII ყრილობაზე განაცხადა: «Два года существует Советская власть в Грузии, а в деревнях князья и помещики живут и берут налог за пользование землей с крестьян, подати берут с крестьян... До какого скандала доходило дело, — видно из того, что у горийского помещика служит секретарь коммунистической ячейки прислугой, и когда комиссия по чистке была в этом доме, этот секретарь на вопрос комиссии: «Ты что здесь делаешь?», ответил: «Дай бог здоровья нашему князю»

---

113 პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 486, ფურც. 426—429.

без него я с голода сдох бы». Вот, т. Махарадзе, какие у нас порядки в грузинской деревне. (Аплодисменты)»[114]

შემდეგ ს. ორჯონიკიძე განაგრძობს: «Тов. Мдивани давал на отсечение правую руку, если вы найдете хоть клочок земли в Грузии, не переданный крестьянам, или одного помещика. А т. Махарадзе заявил: вы, мол, вызываете крестьянскую стихию. Посмотрим, как вы с ней справитесь. А другой мудрец, бывший наркомзем, т. Тодрия говорил в присутствии т. т. Куйбышева и Каменева: что же вы выгоняете бывших помещиков и дворян, а куда они пойдут? (смех). Тов. Махарадзе говорил: вы разрушаете производительные силы деревни... Тов. Махарадзе считает передачу земли помещиков крестьянам за левизну из левизны?.. Дальше о меньшевиках. Мы, товарищи, при вступлении в Грузию объявили амнистию всем и вся. Этого требовала и внешняя наша политика, этого требовали и т. Ленин, и наш ЦК. Но дальше, товарищи, случилось так, что меньшевики стали организовывать и организовываться, и те, которые раньше удрали, вернулись обратно. Что же, арестовывать этих меньшевиков или нет? Мы сказали, что надо вести решительную борьбу, меньшевистская амнистия кончилась, и надо их сажать, а наши противники в этом вопросе колебались»[115].

ხელისუფლებაში „ნაციონალ-უკლონისტების“ ყოფნის დროს მიწის რეფორმა მართლაც ვერ დამთავრდა, მაგრამ ბოლომდე იგი მომდევნო 3—4 წელიწადშიც (ე. ი. „ნაციონალ-უკლონისტების“ გადადგომის შემდეგაც) ვერ მიიყვანეს. ამის მთავარი მიზეზი საქართველოს მცირემიწიანობა იყო და არა ის, რომ ისინი თითქოს ამ რეფორმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ საერთოდ. სხვათაშორის, მიწის შესახებ საქართველოს რევკომის 1921 წლის 6 აპრილის დეკრეტის ავტორები სწორედ „ნაციონალ-უკლონისტები“ იყვნენ. შეიძლება ისიც დავადასტუროთ, რომ „ნაციონალ-უკლონისტები“ იმ დროს შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო უფრო მეტად ეროვნული საკითხით იყვნენ დაკავებული.

რკპ (ბ) XII ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიშიდან ზემოციტირებული ამონარიდები თავისთავად მეტყველებენ იმაზე, რომ „ნა-

---

[114] Двенадцатый съезд РКП (б). 17—25 апреля 1923 года. Стеногр. отчет, зз. 177—178.

[115] იქვე, зз. 117—179.

ციონალ-უკლონისტები“ სხვა საკითხებშიც (თუნდაც მენშევიკებისადმი დამოკიდებულების საკითხში) ნამდვილად უფრო გონივრულ და დემოკრატიულ პოზიციებზე იდგნენ, რაც უფრო ნათლად ჩანს დღევანდელი გადასახედიდან.

მცირე კონფლიქტი პროფკავშირების საკითხშიც ჰქონდათ. 1922 წლის ივლისის დასაწყისში საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ მიიღო საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს წესდების პროექტი, რომელიც 11 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა. პროექტის თანახმად, საქართველოს პროფკავშირთა უმაღლეს ორგანოდ საქართველოს პროფსაბჭო და პროფკავშირთა სრულიად საქართველოს ყრილობა ითვლებოდა. გარდა ამისა, საქართველოს ცალკეული პროფკავშირები სათანადო სარუსეთო გაერთიანებებში პირდაპირ კი არ უნდა შესულიყვნენ (ისე, როგორც ეს სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში ხდებოდა), არამედ საქართველოს პროფსაბჭოს მეშვეობით. 40 ხმით 23 ხმის წინააღმდეგ საქართველოს პროფსაბჭოს ფრაქციამ გადაწყვიტა, რომ საქართველოს პროფსაბჭო უშუალოდ შესულიყო პროფინტერნში, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს გვერდის ავლით. ეს პოზიცია ეწინააღმდეგებოდა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს საერთო წესდებას.

1922 წლის 21 ივლისს რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა აუცილებლად ჩათვალა, რომ საქართველოს თითოეული პროფკავშირი სათანადო სარუსეთო პროფკავშირში შესულიყო უშუალოდ და არა საქართველოს პროფსაბჭოს მეშვეობით. სამხარეო კომიტეტმა საქართველოს პროფსაბჭოს წესდების გადასინჯვა სპეციალურ კომისიას დაავალა. 1922 წლის 6 სექტემბერს რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, შეეცვალა საქართველოს პროფსაბჭოს ხელმძღვანელობა (კერძოდ, ოდილავაძე) და შეედგინა მისი ახალი ბიურო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის „ნაციონალ-უკლონისტურმა“ შემადგენლობამ არავითარი რეაგირება არ მოახდინა ამ დადგენილებაზე, ხოლო ოდილავაძე განაგრძნობდა მუშაობას საქართველოს პროფსაბჭოში. რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ამიერკავკასიის ბიურომ კვლავ დაადგინეს ოდილავაძის მოხსნა და მის ადგილზე ბახუტოვის დანიშვნა. ამის შემ-

დეგ კონფლიქტში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი ჩაერია. მან დაადგინა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების პროფკავშირები, მათ შორის საქართველოსიც, პროფინტერნში შედიან არა დამოუკიდებლად, არამედ საერთო წესით, ე. ი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მეშვეობით. ამით ყველაფერი დამთავრდა. ოდილავაძე მოსკოვში გაიწვიეს სამუშაოდ.[116]

პროფმობრაობის ქართველ ხელმძღვანელთა ეს პოზიცია ასახულია სრულიად რუსეთის ცენტრალური პროფსაბჭოს ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარის ვინზბურგის შემდეგ დეპეშაში:

«Москва ЦК РКП. Копия ВЦСПС Томскому.

Между Кавбюро ВЦСПС и Грузсовпрофом возникли разногласия принципиального характера на почве принятия Устава союзов Грузии. Совпроф Грузии настаивает на принятии особых уставов союзами Грузии со значительными отступлениями от нормального Всероссийского. Первое, вместо названия Республиканский отдел Все(российского) профсоюза именоваться Всегрузинский Союз. Второе, вхождение во Всероссийский Союз не непосредственно, а через Совпроф. Третье, непосредственное вхождение Совпрофа Грузии и Профинтерн. Четвертое. ЦК Всероссийских Союзов сносится с соответствующими союзами Грузии только через Совпроф. Пятое. Верховный орган Союза Всегрузинский съезд и Грузсовпроф. Шестое, директивы и постановления ЦК союзов передаются Грузсоюзом через Совпроф, обязательность их обусловливается санкцией последнего. Седьмое. Постановления ЦК могут приостанавливаться, изменяться, отменяться по усмотрению Совпрофа, споры ЦК с Совпрофом решаются ВЦСПС. Кавбюро ВЦСПС согласилось на принятие особых Уставов с некоторыми отступлениями от нормального, не меняющими существа взаимоотношений с Российским профдвижением. Первое, согласны установить название Всегрузинский Совет, оговорив при этом, что он является частью соответствующего Всероссийского. Второе. Непосредственное

ეს.: С. В. Харамандарян. Ленин и становление Закавказской федерации (1921—1923). ერევანი, 1969, გვ. 252—253;

ამ საკითხზე იხ. აგრეთვე პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 13, აღწ. 1, საქ. 148, ფურც. 48.

вхождение Совпрофа в Межсовпроф. Третье. Верховный орган Союза Всероссийский съезд, ЦК и съезд Грузии, выносящий решения на основе постановления Всероссийского. Четвертое, сношения ЦК Грузсоюзами, непосредственное вхождение во Все(российский) профсоюз. Пятое, в отдельных случаях в зависимости от местных условий решения ЦК могут приостанавливаться Совпрофом с доведением до сведения ВЦСПС и ЦК. Наши предложения приняты единогласно комиссией, выделенной фракцией Президиума Совпрофа, отвергнуты фракцией и были переданы на рассмотрение Президиума ЦК КПГ, принявший предложения фракции Совпрофа. Считая, что принятие Устава с редакцией ЦК КПГ и СПСГ означает установление федеративных взаимоотношений с Российским Профдвижением, не вызываемых объективными условиями, искусственно культивируемых и резко расходящихся с общей политикой Российского профдвижения, с постановлениями закавказских партийных и профессиональных съездов, а также грузинских. Кавбюро ВЦСПС просит ЦК РКП в срочном порядке отменить постановление Кавбюро ВЦСПС, предложить СПСГ через ЦК КПГ в вопросах организационных взаимоотношений с Российским профдвижением всецело подчиняться постановлениям Кавбюро ВЦСПС, не расходящимся с директивами ВЦСПС, Всероссийских профсъездов.

Предзакбюро ВЦСПС Гинзбург»[117].

ვფიქრობთ, კომენტარიც არ სჭირდება ამ დოკუმენტს, საიდანაც აშკარად ჩანს საქართველოს პროფკავშირთა ხელმძღვანელების გონივრული პოზიცია. აბა ვინ იტყვის, რომ ქართველ პროფკავშირულ ხელმძღვანელთა ზემოაღნიშნულ მოთხოვნებში რაიმე, თუნდაც იოტისოდენა, ნაციონალისტურია. და თუ ამას ნაციონალიზმი ჰქვია, იგი უკუსაგდები არ არის. საკითხავი ის არის, თუ რატომ დასჭირდათ ქართველ მოღვაწეებს ამ საკითხების დაყენება და მათი გადაწყვეტისათვის ბრძოლა. ვთქვათ, საბჭოთა დამოუკიდებელი საქართველოს პროფკავშირთა უზენაესი ორგანო რომ სრულიად საქართველოს (და არა რუსეთის) პროფკავშირთა ყრილობა და საქართველოს პროფკავშირთა საბჭო უნდა ყოფილიყო, განა ეს საკამათოდ უნდა ქცეულიყო?

---

[117] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 195, ფურც. 24.

(მით უმეტეს საქართველოს იმდროინდელი საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში?). ან კიდევ, საქართველოს პროფკავშირთა ხელმძღვანელი ორგანოს სრულიად რუსეთის პროფკავშირთა რესპუბლიკურ განყოფილებად გამოცხადება რომ ველიკოდერჟავნიკული პოლიტიკის გამოვლენა იყო და რომ გარკვეულ უხერხულობას (რბილად რომ ვთქვათ) შექმნიდა, ამას განა დიდი მიხვედრა სჭირდებოდა? თუ სხვა რესპუბლიკები მსგავს საკითხებს არ აყენებდნენ, საქართველოც უნდა გაჩუმებულიყო?

ყოველივე ეს, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ მაშინ საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციის" იდეას პარტიულ მუშაკთა ფართო წრეებში დიდი გასავალი ჰქონდა. ამ იდეის თანახმად ხომ ყველა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებად უნდა ქცეულიყო და, რა გასაკვირია, თუ „ავტონომიზაციის" მომხრენი რესპუბლიკათა პროფკავშირებსაც რუსეთის პროფკავშირთა ქვეგანყოფილებებად მიიჩნევდნენ. ეროვნულ საკითხზე სწორედ ასეთმა წარმოდგენებმა განაპირობეს ის, რომ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროსა (შემდეგ — რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის) და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს კავბიუროს ხელმძღვანელობამ, საქართველოს პარტიულ და პროფკავშირულ მუშაკთა ერთი ჯგუფის მოთხოვნებში ნაციონალიზმის გამოვლენა დაინახეს. თუმცა, როგორც ზემომოყვანილი დოკუმენტიდან ჩანს, ზოგიერთი რამ ქართველ პროფკავშირულ მუშაკთა მოთხოვნილებიდან სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს კავბიურომაც მისაღებად ჩათვალა.

პროფკავშირების გაერთიანებასთან დაკავშირებით, ერთობ საინტერესოა ი. ბ. სტალინის აზრი, რომელიც მან 1921 წლის ივლისში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს პლენუმზე (თათბირზე) გამოთქვა: «Об объединении профсоюзов мы должны рассуждать так: предоставить волю самим профсоюзам, если хотят объединяться, пусть объединяются, если не хотят, не принуждать. Теперь каким путем объединяться — через ВЦСПС или межсовпроф—это все равно, разницы никакой нет. С насе-

лением считаться придется, т. к. населения около 3 миллионов, а коммунистов около 15 тысяч, это мало»[118].

როგორც ვხედავთ, თვით ი. ბ. სტალინიც აშკარად არ გმობს ამ კონკრეტულ საკითხში საქართველოს პროფსაბჭოს ხელმძღვანელთა („ნაციონალ-უკლონისტთა“) აზრს.

ამრიგად, „ნაციონალ-უკლონისტთა“ მოღვაწეობაში ნამდვილად იყო რაღაც ისეთი, რომელიც მკვეთრად განასხვავებდა მათ სხვა ქართველი თუ არაქართველი ბოლშევიკებისაგან. ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისათვის საქართველოს ბოლშევიკების მრავალწლიანი ბრძოლის ისტორიაში შედარებით ნათელ ფურცელს სწორედ „ნაციონალ-უკლონისტთა“ 1921—1922 წლების ის საქმიანობა წარმოადგენს, რომელიც განზოგადებული სახით წინამდებარე პარაგრაფშია წარმოჩენილი.

---

[118] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 64, აღწ. 2, საქ. 146, ფურც. 5.

მეოთხე თავი

სსრ კავშირის შექმნა და საქართველოს სს რესპუბლიკის შესვლა მის შემადგენლობაში

1. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ეროვნული პოლიტიკის, თეორიისა და პრაქტიკის ზოგადი დახასიათებისათვის

ბოლშევიკებს შესანიშნავად ესმოდათ, რომ ეროვნული საკითხის მოგვარებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მათ მიერ დაარსებული სახელმწიფოს განმტკიცებისათვის, მისგან ბევრად იყო დამოკიდებული ქვეყნის ყოფნა-არყოფნის ბედი. ეს მათ ავალდებულებდა, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, მრავალეროვანი სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გაეთვალისწინებინათ ყველა ერისა და ეროვნების ინტერესები, შეექმნათ ნორმალური პირობები მათი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარებისათვის.

ეს აუცილებელი იყო არა მარტო იმიტომ, რომ სოციალისტური და ეროვნული სამართლიანობის პრინციპებისადმი თავისი ერთგულება დაედასტურებინა რუსეთის ახალ მმართველ ძალას — კომუნისტურ პარტიას, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით მჩაგვრელი ერი. სხვა ხალხებთან ერთად, ახალი საზოგადოების მშენებლობას შეუდგა (სიტყვით კომუნისტურ პარტიას ამ პრინციპებისადმი ერთგულება არასოდეს უარუყვია). ეს საჭირო იყო იმიტომაც, და ეს მთავარია, რომ რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ არარუს ხალხთა თანადგომისა და ახალი საზოგადოების მშენებლობაში მათი უაქტიურესი მონაწილეობის გარეშე თვით ბოლშევიკების მიერ წამოწყებული საქმე წარმატებით ვერ დაგვირგვინდებოდა.

ამ პრობლემის თეორიული ასპექტის გაცნობიერება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, მთავარი იყო მისი პრაქტიკული განხორციელება, რისთვისაც ბოლშევიკებს უნდა გამოენახათ ეროვნული საკითხის გადაჭრის ისეთი მოდელი, რომელიც შეახამებდა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთისა" და ეროვნული სამართლიანობის დაცვის მომხრეთა ინტერესებს.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებ არარუს ხალხთა ეროვნული სახელმწიფოებრივი მოწყობისათვის. ყოველივე ეს, როგორც ითქვა, თვით რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესებითაც იყო ნაკარნახევი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლშევიკებს, როგორც ხელისუფლებისათვის მებრძოლ ერთ-ერთ პოლიტიკურ პარტიას, თვით ცხოვრება აიძულებდა შეემუშავებინა ეროვნული საკითხის გადაჭრის საკუთარი პროგრამა. საქმე ის გახლავთ, რომ მოსახლეობის 1997 წლის აღწერის მიხედვით, რუსეთის იმპერიაში 146 ენა და დიალექტი ითვლებოდა. იმპერიაში შემავალი არარუსი ერები აუტანელ ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდნენ. ცარისტული რუსეთი მართებულად ითვლებოდა ხალხთა საპყრობილედ. ეროვნული საკითხი მთელს რუსეთში ერთობ მწვავედ იდგა და, ბუნებრივია, ხელისუფლებისათვის მებრძოლი პოლიტიკური პარტიები მას უყურადღებოდ ვერ დატოვებდნენ.

ბოლშევიკებმა ეროვნულ საკითხში მთავარ მოთხოვნად ერთა თვითგამორკვევის უფლება წამოაყენეს, რაც აისახა რსდმპ პირველსავე პროგრამაში (1903 წ.). მომდევნო წლებში ბოლშევიკების პროგრამა ცვლილებებს განიცდიდა, მაგრამ ერთა თვითგამორკვევის უფლება, ენისა და ერების თანასწორუფლებიანობა, ბოლშევიკთა პროგრამულ მოთხოვნად რჩებოდა. ერთა თვითგამორკვევის უფლების ბოლშევიკური გაგების თავისებურება ის იყო, რომ პროგრამულ დოკუმენტებში ისინი აღიარებდნენ, თითოეული ერის უფლებას თვითონ გადაეწყვიტა თავისი ბედი, თვითონ განესაზღვრა — დარჩენილიყო მრავალეროვანი სახელმწიფოს შემადგენლობაში, თუ გამოყოფოდა მას და დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო შეექმნა. მაგრამ ერთა თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას ბოლშევიკები, პირადად

ვ. ი. ლენინი, მჯიდროდ უკავშირებდნენ გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მიზანშეწონილობას. მათი აზრით, ამ საკითხის გადაწყვეტისას ერებს უნდა ეხელმძღვანელათ პროლეტარიატის კლასობრივი და სწორადგაგებული ეროვნული ინტერესებით. აეწონ-დაეწონათ, რა აჯობებდა მათთვის — გამოყოფა თუ მრავალეროვან სახელმწიფოში დარჩენა და ეროვნული თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა. მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოდან გამოყოფას კი ბოლშევიკები ერებს არ ურჩევდნენ, თუმცა, როგორც ითქვა, გამოყოფის უფლებას აღიარებდნენ. ამ უფლებას ისინი ცარიზმის დამხობისა და სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში ყველა ერის შეკავშირებას იდეურ-პოლიტიკურ საფუძვლად მიიჩნევდნენ.

ერთა თვითგამორკვევის უფლების ამდაგვარი გაგების გამო ბოლშევიკები, არცთუ უსაფუძვლოდ, ხშირად ხდებოდნენ სხვა, არარუსულ პოლიტიკურ პარტიათა კრიტიკის ობიექტი.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რუსეთის ხალხთა სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხში ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა. დროებითი მთავრობა მტკიცედ ადგა ერთიანი და განუყოფელი რუსეთის თვალსაზრისს. მან მიუღებლად მიიჩნია უკრაინის ავტონომია, გარეკა ფინეთის სეიმი და ა. შ. ვ. ი. ლენინის იმდროინდელი ნაწარმოებებიდან კი აშკარად ჩანს, რომ მომავალი რუსეთი მას წარმოდგენილი ჰქონდა როგორც „თავისუფალ რესპუბლიკათა კავშირი"[1].

ეროვნულ საკითხში თავიანთი პოლიტიკური ლოზუნგებისა და მოთხოვნების პრაქტიკული განხორციელების საშუალება ბოლშევიკებს, ცხადია, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მიეცათ. ამ დროს, როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე მრავალი რესპუბლიკა აღმოცენდა. ბოლშევიკები იღებდნენ ზომას ამ რესპუბლიკათა შეკავშირებისათვის. ამას მოითხოვდა რუსეთის საგარეო-პოლიტიკური ინტერესები, ქვეყნის თავდაცვის ამოცანები. ბოლშევიკებმა თავიანთ თავზე აიღეს მისია — ქვეყნის მრავალფეროვნება სისუსტის წყაროდან ძლიერების წყაროდ გადაექციათ. როგორ შეიძლებოდა ამის მიღწევა? მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ ზედმიწევნით გაითვალისწინებდნენ ჩაგრული ერების ინტერესებს, მიანიჭებდნენ და

---

[1] ვ. ი. ლენინი., ტ. 25, გვ. 30.

შეუნარჩუნებდნენ მათ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა უზრუნველეყოთ რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ხალხთა ერთობლივი ბრძოლა „ახალი საზოგადოების“ აშენებისათვის.

რთული იყო ეს გზა. ამ გზაზე პრაქტიკულად უნდა შემოწმებულიყო ბოლშევიკების ეროვნული პროგრამა, რაც, ფაქტობრივად, რუსეთის იმპერიის მოდერნიზებას ისახავდა მიზნად.

ოქტომბრის გადატრიალებას, რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე საბჭოთა რესპუბლიკების აღმოცენებასა და რუსეთიდან ზოგიერთი მხარის ჩამოშორებას, ბუნებრივია, მტრულად შეხვდნენ ძალაუფლებას მოკლებული პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლისა და „ერთიანი და განუყოფელი“ რუსეთის აღდგენისაკენ მოუწოდებდნენ რუს ხალხს. არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ რუსი ხალხის საგრძნობი ნაწილი თანაუგრძნობდა რუსეთის იმპერიის „დაქუცმაცების“ მოწინააღმდეგეებს.

საპირისპირო განწყობა შეინიშნებოდა არარუსულ რესპუბლიკათა მოსახლეობაში, რომელიც ძველის გავლენით კვლავ უნდობლობას იჩენდა ყოველივე იმისადმი, რაც ცენტრიდან, რუსეთიდან მოდიოდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ბოლშევიკებს იმ პერიოდისათვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის გამოცდილება არ გააჩნდათ, საკითხის მოგვარებისათვის ზრუნვა კი ნამდვილად ნელდებოდა. ჯერ კიდევ 1919 წლის ივნისში სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა შექმნა კომისია დ. ბ. კამენევის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაეკალა რსფსრ და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების კონკრეტული ფორმის შემუშავება. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ნ. კრესტინსკი, რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისარი დ. ი. კურსკი (კომისიის მდივანი), უკრაინის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ხ. გ. რაკოვსკი. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე დ. მ. კარახანი, რსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ი. რიკოვი, რსფსრ რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. მ. სკლიანსკი. კომისიამ იმსჯელა გაერთიანების „მუდმივ და დროებით“ ფორმებზე[2]. გადაიდგა გარკვე-

---

[2] პრავდა, 1988 წლის 8 ივლისი.

ული პრაქტიკული ნაბიჯებიც. საკითხი ბოლომდე გადაჭრილად, ცხადია მაინც ვერ ჩაითვლებოდა.

საბჭოთა რესპუბლიკების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა იყო თვით ბოლშევიკურ პარტიაშიც. ცხარე დავას იწვევდა კონკრეტული სახელმწიფო ფორმებისა და იმ პოლიტიკური ინსტიტუტების ძიება. რომლებითაც, ფორმალურად მაინც, სორცი უნდა შესხმოდა ბოლშევიკთა ეროვნული პროგრამის ზოგად მოთხოვნებს. ზოგი საერთოდ წინააღმდეგი იყო ერთა თვითგამორკვევის პრინციპებისა. ასეთ შეხედულებას იცავდნენ ოქტომბრის გადატრიალებამდე და მის შემდეგაც. ზოგმა კონფედერაცია მოითხოვა.

არ შეიძლებოდა ყოველივე ამას, თავისებური ნიუანსი არ შეეტანა ეროვნული საკითხის გადაწყვეტისათვის ბრძოლაში.

როგორც ვსედავთ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესი უპრობლემობით არ გამოირჩეოდა, წინააღმდეგობებს შეიცავდა. უწინარეს ყოვლისა. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ „ცენტრისა“ და „ადგილების“ (ე. წ. „განაპირა მხარეების“) ურთიერთობის პრაქტიკა მოუწესრიგებელი, ზოგჯერ ქაოსურიც იყო, იწვევდა კონფლიქტებს, ფიქციად აქცევდა ერთიან ფედერაციულ სახალხო მეურნეობას, აფერხებდა ყოველგვარ სამეურნეო საქმიანობას საერთო საროსეთო მასშტაბით (ი. სტალინი).

1921—1922 წლებში ყოფილი რუსეთის ტერიტორიაზე რამდენიმე საბჭოთა რესპუბლიკა ჩამოყალიბდა. თითოეულ მათგანს თავისი სახკომსაბჭო, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სხვადასხვა დარგის სახალხო კომისარიატები ჰყავდა. მათთვის ფორმალურად არ იყო სავალდებულო რუსეთის სფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსა და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი, რადგანაც ეს რესპუბლიკები თავიანთი კონსტიტუციების თანასწორად, დამოუკიდებლად იწოდებოდნენ. მიუხედავად ამისა, რუსეთის ცენტრალური დაწესებულებები ზოგჯერ აშკარად ერეოდნენ სხვა რესპუბლიკათა კომპეტენციებში, აუქმებდნენ მათს დადგენილებებს, რასაც რესპუბლიკები „მოსკოვის ცენტრალური დაწესებულებების უკანონო მოქმედებად“ მიიჩნევდნენ და აპროტესტებდნენ კიდეც. პროტესტებს განიხილავდნენ რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში, რომლის გადაწყვეტილებები საბოლოო კი იყო, მაგრამ, ცხადია, რომელიმე

მხარე მუდამ განაწყენებული რჩებოდა, უმთავრესად — რესპუბლიკები. ეს კი ალიზიანებდა ადგილობრივ კომუნისტებს (ი. სტალინი). საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, მაგალითად, ნება დაერთო ოტომანთა ბანკს (ინგლის-საფრანგეთის კაპიტალი), თავისი განყოფილება გაეხსნა თბილისში. რსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ეს იმის საფრთხედ მიიჩნია, რომ ამიერკავკასია ფინანსურად თურქეთს დაექვემდებარებოდა. იმასაც კი მიუთითებდნენ, თბილისსა და ბათუმში უკვე თურქული ლირა გაბატონდა და ბაზრიდან ქართულ და რუსულ ფულს აძევებსო. რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გადაჭრით დაგმო ეს აქცია (საკითხი რსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარმა ა. სოკოლნიკოვმა დააყენა). მან ქართველ კომუნისტთა იმ ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია, რომელსაც თბილისში ოტომანთა ბანკის განყოფილების გახსნა ეკონომიკურად სასარგებლო წამოწყებად მიაჩნდა.

მსგავსი შემთხვევები სხვა რესპუბლიკებშიც ხდებოდა. „განაპირა მხარეების"სამეურნეო საქმიანობაში სულ უფრო მეტად იგრძნობოდა დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვა. „ცენტრი" ერთობ რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა. სამოქალაქო ომის პერიოდში იგი იძულებული იყო მეტი „ლიბერალიზმი" გამოეჩინა რესპუბლიკების მიმართ. მდგომარეობა იყო სხვანაირი, საგანგებო. 20-იანი წლების დასაწყისში კი მთავარი ყურადღება დამოუკიდებლობისაკენ (უმთავრესად სამეურნეო საქმიანობაში) რესპუბლიკათა ლტოლვის დაოკებაზე გადაიტანეს, რასაც ქვეყნის განვითარების საერთო ინტერესებით ამართლებდნენ. რესპუბლიკათა უფლებების მკვეთრი შეზღუდვა და „ნაციონალების" წყენინებაც საშიში იყო. საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებაც აუცილებელი ჩანდა. ყოველივე ამას დრო სჭირდებოდა. ბოლშევიკებს შორის კამათი იყო არა ეროვნული პროგრამის ზოგადი პრინციპების შემუშავებაზე, არამედ ამ პრინციპების პრაქტიკული განხორციელების ფორმებზე.

ერთი კი აშკარა იყო, სამოქალაქო ომის დროს დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის არსებული კავშირი (სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვ.) აშკარად არასაკმარისად მიიჩნიეს. საჭიროდ ჩათვალეს მისი გამრავალფეროვნება და გაძლიერება. ამის შესახებ ხშირად იყო მსჯელობა როგორც „ცენტრში", ისე „ადგილებზე" (უკრაინა, ბელორუსია, ამიერკავკასია).

2. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების „ავტონომიზაციის" პროექტი

1922 წლის აგვისტოში რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაავალა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მოემზადებინა საკითხი დამოუკიდებელი რესპუბლიკებისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ: ვ. ვ. კუიბიშევი (თავმჯდომარე), ი. ბ. სტალინი, გ. კ. ორჯონიკიძე, გ. ი. სოკოლნიკოვი, ხ. გ. რაკოვსკი, რესპუბლიკათა ოფიციალური წარმომადგენლები — გ. ი. პეტროვსკი (უკრაინა), ა. გ. ჩერვიაკოვი (ბელორუსია), ს. ა. აღა-მადი-ოღლი (აზერბაიჯანი), ა. თ. მიასნიკოვი (სომხეთი), პ. ვ. (ბუდუ) მდივანი, ი. თ. იანსონი (შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა) და ა. ხოჯაევი (ხორეზმი)[3]. კომისიას საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთდამოკიდებულების, მათი შეკავშირების ყველა შემოთავაზებული ფორმის ავ-კარგზე უნდა ემსჯელა და ყველაზე კონსტრუქციული ვარიანტი შეერჩია. ეს იმასაც უნდა გაეადვილებინა, რომ კომისიის შემადგენლობაში რესპუბლიკათა წარმომადგენლებიც შედიოდნენ. გარდა ამისა, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს თავიანთ მოსაზრებებს ატყობინებდნენ სხვა პასუხისმგებელი პარტიული მუშაკები, რომლებიც კომისიის წევრები არ იყვნენ.

ამ მხრივ დამახასიათებელია უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის დ. მანუილსკის წერილი, რომელიც 1922 წლის 4 სექტემბერს გაუგზავნა ი. სტალინს. დ. მანუილსკი ადასტურებდა, რომ უკრაინაში ხშირი იყო კონფლიქტები „ცენტრთან" და კონფლიქტების მოწესრიგებას პასუხისმგებელი მუშაკები თავიანთი დროის სამ მეოთხედს უთმობდნენ. მისი აზრით, „ცენტრსა" და „ადგილებს" შორის დამყარებული ურთიერთობის პრაქტიკა აუცილებლად უნდა შეცვლილიყო. რადგან იგი უკვე არ პასუხობდა დროის მოთხოვნებს. დ. მანუილსკიმ საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთდამოკიდებულების ფორმის თავისი ვარიანტიც წამოაყენა. ეს იყო რესპუბლიკათა დამო-

---

[3] უახლესი ისტორიის დოკუმენტთა შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 3, აღწ. 1, საქ. 2479, ფურც. 147 (დადგენილება კომისიის შექმნის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო 1922 წლის 10 აგვისტოს, კომისიის შემადგენლობა კი განსაზღვრა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიურომ იმავე წლის 11 აგვისტოს).

უკიდებლობის მოსპობა და მათთვის ფართო რეალური ავტონომიის მინიჭება, უფრო კონკრეტულად ეს იმას ნიშნავდა, რომ საგარეო საქმეების, საგარეო ვაჭრობის და სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობა ცენტრიდან უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ ცალკეულ რესპუბლიკათა ინტერესებიც უნდა გაეთვალისწინებინათ. დ. მანუილსკი ცდილობდა საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთდამოკიდებულების ამ ფორმის მიზანშეწონილობა არა მარტო პრაქტიკული, არამედ თეორიული მოსაზრებებითაც დაეასაბუთებინა. იგი წერდა „განაპირა მხარეებში" ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სახკომსაბჭოების მქონე დამოუკიდებელი რესპუბლიკების შექმნა შეესაბამებოდა ჩვენი რევოლუციის გარკვეულ ეტაპს, რომლისთვისაც „ეროვნული" ეტაპის დარქმევა მთლად ზუსტი ვერ იქნებოდა, მაგრამ სწორედ ამ პერიოდში მოუხდა პროლეტარულ დიქტატურას, წამოეწია ეროვნული საკითხი. ეს გარდაუვალი დათმობა ეროვნული სტიქიისადმი, რომელიც რევოლუციამ აამოძრავა და რომელიც, გლეხთა მასების უკმაყოფილებაზე დაყრდნობით შეიძლებოდა უსერიოზულეს ვანდეად ქცეულიყო".

დ. მანუილსკის აზრით, ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლამ დაამშვიდა სოფელი, ნიადაგი გამოაცალა პოლიტიკურ სეპარატისტებს, რომელნიც სწორედ ეკონომიკის გამოყენებას ცდილობდნენ თავიანთი მიზნებისათვის. ამიტომ განაგრძობდა იგი, უკრაინის დამოუკიდებლობის შეცვლას ავტონომიით. საბოლოო ჯამში არავითარი სერიოზული ეროვნული მოძრაობა (ამ კურსისადმი ოპოზიციის აზრით) არ მოჰყვებოდა, უკრაინის ინტელიგენციას საამისო ნიადაგი არა აქვს, უკრაინელ „მუჟიკს" კი ეროვნული საკითხი არ აინტერესებს და პოლიტიკური ბანდების მოძრაობაში მონაწილეობის მიღება აღარ სურსო[1].

როგორც ვხედავთ, წერილის ავტორი არწმუნებდა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს, მის მიერ გამოყოფილ სპეციალურ კომისიას, რომ უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გარდაქმნას ავტონომიურ რესპუბლიკად უკრაინაში არავითარი სერიოზული გართულება არ მოჰყვებოდაო. მართალია, პარტიის ცენტრალური კომიტეტის კომისიის წევრი ს. რაკოვსკი, რომელიც უკრაინის წარმომადგენელი იყო, ავტონომიზაციის წინააღმდეგ გამოდიოდა, მაგრამ უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის

---

[1] Известия ЦК КПСС, 1989, № 9, გვ. 193—194.

დ. მანუილსკის აზრს არ შეიძლება გარკვეული გავლენა არ მოეხდინა პარტიის ცენტრალური კომიტეტის კომისიის გადაწყვეტილებაზე. ამრიგად, დ. მანუილსკის ზემოაღნიშნული წერილი შეიძლება საბჭოთა რესპუბლიკების ავტონომიზაციის იდეის ერთ-ერთ პირველწყაროდაც მივიჩნიოთ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ეს იდეა მაშინ საკმაოდ პოპულარული იყო ბოლშევიკთა პარტიაში. ამას მოწმობს ი. ბ. სტალინის წერილიც, რომელიც ჯერ კიდევ 1922 წლის 13 იანვარს გაეგზავნა ვ. ი. ლენინსა და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ბოლიტბიუროს სხვა წევრებს, „Некоторые товарищи предлагают, — აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი, — добиться в кратчайший срок объединения всех независимых республик с РСФСР на началах автономии» и что, «вполне разделяя эту последнюю точку зрения», считает однако невозможным ее воплощение в жизнь из-за недостатка времени до открытия Генуэзской конференции»

ამავე საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა აგრეთვე ი. სტალინის დეპეშა, რომელიც 1922 წლის 29 ივვისტოს გაეგზავნა მან ბ. ელივანსა და ს. ორჯონიკიძეს: „რკპ ამიერკავკასიის სამხედრო კომიტეტი. გაშიფრული ჩაბარეთ ბუდუ მდივანს, ასლი — ამხ. ორჯონიკიძეს. საჭიროთ ვფიქრობთ ორჯონიკიძეს და კიროვს, რომ საჭიროა შეექმნათ რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებულ ტერიტორიაზე ნამდვილად ერთიანი სამეურნეო ორგანიზმის მოსაწყობად. ორგანიზმისა, რომლის ხელმძღვანელი ცენტრი მოსკოვში იქნება. ჩემი აზრით, ამისათვის საჭიროა გავაერთიანოთ საგარეო ურთიერთობა და ერთ მოელად შევაკავშიროთ სამეურნეო ორგანოები, გავაერცელოთ მოსკოვის სახკომსაბჭოს, თავდაცვის საბჭოს, სრულიად რუსეთის ცაკ-ის კომპეტენციები ყველა საბჭოთა რესპუბლიკაზე“[6]. აშკარაა, ეს დოკუმენტიც შეიცავს საბჭოთა რესპუბლიკების ავტონომიზაციის იდეის ელემენტებს.

ასე რომ, 1922 წლისათვის ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა საკმაოდ გავლენიანი ნაწილი (ი. ბ. სტალინი, დ. ზ. მანუილსკი, ს. კ. ორ-

---

[5] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 3, აღწ. 1, საქმე 2224, ფურც. 1--2 (ციტირებულია მ. ი. კულინენკოს წიგნის, Образование и развитие Союза ССР, გამ. „პაესტანი“, ერევანი, 1982, გვ. 232. მისედვით).

[6] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 13, საქ. 19, ფურც. 18.

ჯონიკიძე, ს. მ. კიროვი და ბევრი სხვ.) საბჭოთა რესპუბლიკების ავტონომიზაციის იდეას ემხრობოდა. ეს კურსი მაშინ აშკარად გამოკვეთილი იყო. ყოველივე ეს იმაზეც მიუთითებს, რომ არ შეიძლება საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციის“ იდეა მხოლოდ ი. ბ. სტალინს მივაწეროთ, თუმცა ისიც აშკარაა, რომ ი. ბ. სტალინი ამ იდეის ერთ-ერთი მთავარი დამცველი იყო.

მკითხველის ყურადღება გვინდა საგანგებოდ შევაჩეროთ ერთ დეტალზე, რომელსაც, ვფიქრობთ, გარკვეული მნიშვნელობა აქვს. საქმე ეხება რკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1922 წლის აგვისტოში გამოყოფილი კომისიის სახელწოდებას, უფრო ზუსტად ამოცანას. როგორც ითქვა, კომისიას დაევალა შეემუშავებინა რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასთან სხვა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების დამოკიდებულების ფორმა. იმ ეტაპზე პრაქტიკულად ლაპარაკი იყო არა ისეთი სახელმწიფოებრივი ვაერთიანების შექმნაზე, რომელშიც თანაბარი უფლებებით შეეიდოდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკა, არამედ იმაზე, თუ კონკრეტულად როგორი დამოკიდებულება უნდა დაკანონებულიყო „ცენტრსა“ და „ადგილებს“ („განაპირა მხარეებს“), უფრო სწორად, რუსეთის ფედერაციასა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის (ე. ი. სსრ კავშირის შექმნის იდეა მაშინ პრაქტიკულად არც არსებობდა)[7]. კომისიას, რასაკვირველია, არ ეკრძალებოდა საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთკავშირის სხვადასხვა ფორმასა თუ ვარიანტზე მსჯელობა. იგი ასევე მოიქცა — კომისიის შექმნის პროცესში და ადრე შემოთავაზებული რამდენიმე ვარიანტიდან (რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის მოსპობა, მათი სრული დამოუკიდებლობა, კონფედერაცია და სხვ.) ერთგვარი საშუალო ხაზი აირჩია: არც სრული დამოუკიდებლობა, არც „დამოუკიდებლობის“ სრული მოსპობა. ასე გაჩნდა საბჭოთა რესპუბლიკების ავტონომიზაციის ოფიციალური პროექტი, რომელიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს უნდა განეხილა. პროექტი, ი. ბ. სტალინის მიერ იყო შემუშავებული. მის თავდაპირველ ვარიანტში ნათქვამია: «Признать необходимым формальное вступление независи-

---

[7] ამ დროს უკვე თითქმის მივიწყებული ჰქონდათ ვ. ი. ლენინის მიერ 1919 წლის ივლისში მკაფიოდ ჩამოყალიბებული დებულება: ახალი საზოგადოების მშენებლობის პროცესში ათეულ და ასეულ მილიონობით ადამიანი გაერთიანდა „ჯერ ერთ სოციალისტურ სახელმწიფოდ. შემდეგ კი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირად (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 500.).

мых Советских республик: Украины, Белоруссии, Азербайджана, Грузии и Армении в состав РСФСР»[8].

კომისიის გადაწყვეტილების თანახმად, დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების (უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის) საგარეო საქმეთა, საგარეო ვაჭრობის, სამხედრო საქმეთა და ფინანსთა სახალხო კომისარიატები, რკინიგზები და ფოსტა-ტელეგრაფი უნდა გაერთიანებულიყვნენ რსფსრ სათანადო სახალხო კომისარიატებთან, მომარაგების, შრომისა და სახალხო-სამეურნეო დარგის სახალხო კომისარიატებისათვის, აგრეთვე კონტრრევოლუციასთან ბრძოლის ორგანიზებისათვის სავალდებულო უნდა ყოფილიყო რსფსრ სათანადო სახალხო კომისარიატების (კონტრრევოლუციასთან ბრძოლის ორგანოებისათვის — რსფსრ სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს) დირექტივები: დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ აღნიშნულ რესპუბლიკათა მხოლოდ იუსტიციის, განათლების, შინაგან საქმეთა, მიწათმოქმედების, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატები[9].

ვიდრე ამ პროექტზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი იმსჯელებდა, იგი განსახილველად[10] დაეგზავნა საბჭოთა რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს. 1922 წლის 11 სექტემბერს იგი მოიწონა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ და პრეზიდიუმმა. დაადგინეს: «Признать необходимым в настоящий момент немедленное вхождение Азербайджана в общероссийскую федерацию на началах широкой автономии»[11].

(„ამჟამად აუცილებლად იქნას მიჩნეული, რომ აზერბაიჯანი დაუყოვნებლივ შევიდეს საერთო სარუსეთო ფედერაციაში ფართო ავტონომიის საწყისებზე".) იმავე დღეს „ავტონომიზაციის" პროექტი მოიწონა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმაც, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა აზერბაიჯანი ფაქტობრივად გაერთიანებული იყო საბჭოთა რუსეთთან. მაგრამ „сейчас мо-

---

[8] Известия ЦК КПСС, 1989, № 9, გვ. 192.

[9] იქვე, გვ. 198.

[10] მალე გამოირკვა, რომ რესპუბლიკებისაგან მოითხოვდნენ (მოელოდნენ) პროექტის მოწონებას და არა მის განხილვას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

[11] ციტ.: ს. ვ. ხანმანდარიანის დასახ. წიგნიდან, გვ. 370.

мент требует формального закрепления единства Азербайджана с Россией на началах широкой автономии»[12].

სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ს. დ. ლუკაშინმა 1922 წლის 16 სექტემბერს რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს უდევნა (აცნობა), რომ „ავტონომიზაციის“ თეზისებს ერთხმად დაუჭირა მხარი სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ერევნის კომიტეტის გაერთიანებულმა პლენუმმა და პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირმა[13].

ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაადგინა: «Считать целесообразным установление отношений между комиссариатами Белоруссии и комиссариатами РСФСР аналогичных с отношениями, установленными между РСФСР и Украиной»[14].

უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს იმ პერიოდში(სექტემბერში) „ავტონომიზაციის პროექტი“ არ განუხილავს. 1922 წლის 3 ოქტომბერს კი უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა საკითხი რსფსრ და დამოუკიდებელი რესპუბლიკების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ და დაადგინა:

«1. Категорически высказаться за принятую последним Пленумом ЦК КПУ резолюцию о взаимоотношениях между РСФСР и УССР, признавшую необходимость сохранения независимости УССР и оформления взаимоотношений, принятых комиссией тов. Фрунзе[15] с оговорками, фактическое централизованное руководство независимыми республиками может быть вполне достигнуто соответствующими по партийной линии.

2. В случае если ЦК РКП примет, однако, необходимость вхождения УССР в состав РСФСР, не настаивать на сохра-

---

[12] Известия ЦК КПСС. 1989, № 9. გვ. 195.

[13] იქვე. გვ. 197 (სომხეთის კპ ცკ-ის რეზოლუციის ტექსტი არ არის აღმოჩენილი).

[14] იქვე.

[15] იგულისხმება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ 1922 წლის მაისში გამოყოფილი კომისია (ხელმძღვანელი შ. ფ. ფრუნზე), რომელსაც ევალებოდა მოერეგულირებინა რსფსრ-სა და უკრაინის ურთიერთდამოკიდებულება.

нении формальных признаков политической самостоятельности УССР, а определить отношения на основе практической целесообразности»[16].

3. „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებით“

დამახასიათებელია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება, რომელიც 1922 წლის 15 სექტემბერს მიიღეს. მასში ვკითხულობთ: „ამხ. სტალინის თეზისების საფუძველზე შემოთავაზებული გაერთიანება დამოუკიდებელი რესპუბლიკებისა ავტონომიზაციის ფორმით ნაადრევად ჩაითვალოს.

სამეურნეო ღონისძიებებისა და ზოგადი პოლიტიკის გაერთიანება საჭიროდ მიგვაჩნია, ოღონდ დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებით“[17].

საქართველოს კომუნისტების ერთი ნაწილის მიერ საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნების მოთხოვნას, და ისიც 1922 წელს, დისონანსი შეაქონდა იმდროინდელ საერთო პარტიულ განწყობილებაში. ამ დადგენილებას მოწინააღმდეგე ჰყავდა თვით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტშიც. იგი ერთხმად არ მიუღიათ, ზოგმა თავიც შეიკავა, ეს იმიტომ, რომ რუსეთის ფედერაციაში საქართველოს სს რესპუბლიკის შესვლაზე უარის თქმა და დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნების მოთხოვნა ზოგიერთებმა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოვლენად მიიჩნიეს. ბურჟუაზიული ნაციონალისტის იარლიყს კი ქართველი ბოლშევიკები ყოველთვის, განსაკუთრებით იმ პერიოდში, ერთობ ოდიოზურად მიიჩნევდნენ. არც ის არის უგულებელსაყოფი, რომ მათზე გარკვეულ გავლენას ახდენდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის იმ ხელმძღვანელ მუშაკთა პირადი ავტორიტეტი, რომელნიც საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციის“ იდეას აყენებდნენ და იცავდნენ.

ენასოთ კონკრეტულად ვინ ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 15 სექტემბრის სხდომას და

---

[16] Известия ЦК КПСС, 1989, № 9, გვ. 214.

[17] პოლიტიკურ პარტიათა არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 189 ფურც. 15.

პერსონალურად ვინ რა პოზიცია დაიკავა განსახილველ საკითხში. თავდაპირველად ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობის შესახებ. 15 სექტემბრის სხდომის ოქმში დასახელებულია არა მარტო იმათი-გვარები, ვინც ესწრებოდა, არამედ იმათიც, ვინც არ ესწრებოდა და ეს იმიტომ, რომ დაადგინეს გამოკითხვის წესით დაეზუსტებინათ ცენ-ტრალური კომიტეტის იმ წევრთა აზრი, ვინც სხდომებს არ ესწრებო-და და პერსონალურადაც მიუთითეს მათი გვარები. ამ საოქმო ჩანაწე-რში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენ-ლობა წარმოდგენილია 21 კაცით: 15 წევრი (ფ. ე. მახარაძე, პ. ა. სა-ბაშვილი, პ. გ. (ბუდუ) მდივანი, ს. ვ. თოდრია, ს. ი. ქავთარაძე, შ. ზ. ელიავა, მ. დ. ორახელაშვილი, ე. ა. ეშბა, მ. გ. ტოროშელიძე, თ. კალანდაძე. გოგია, ა. ა. გეგეჭკორი, მ. ს. ოკუჯავა, ლ. ე. დუმბაძე და კ. მ. ცინცაძე) და 6 წევრობის კანდიდატი: ი. ჯორბენაძე, დ. პ. სუ-ხიშვილი, ი. ბ. ბოლქვაძე, დ. ბ. მიროტაძე, დ. ნასარიძე და შ. ს. ვარა-მაშვილი[18].

15 სექტემბრის სხდომას ესწრებოდნენ: ფ. ე. მახარაძე (თავმჯდო-მარეობდა), პ. ა. საბაშვილი, პ. გ. (ბუდუ) მდივანი, ს. ე. თოდრია, ს. ი. ქავთარაძე, შ .ზ. ელიავა (წევრები), ი. ჯორბენაძე, ლ. პ. სუხი-შვილი, ი. ბ. ბოლქვაძე. ლ. ბ. მიროტაძე, დ. ნასარიძე, მ. ს. ყარალა-შვილი (კანდიდატები), ე. ი. ცენტრალური კომიტეტის შემადგენლო-ბის 12 წარმომადგენელი. ამათგან ი. ბ. სტალინის „ავტონომიზაციის" თეზისებს მხოლოდ შ. ზ. ელიავამ დაუჭირა მხარი. შემდეგ, გამოკი-თხვის წესით „ავტონომიზაციის" თეზისებს მხარი დაუჭირეს აგრეთ-ვე, მ. დ. ორახელაშვილმა და ა. ა. გეგეჭკორმა, რომელნიც არ ესწრე-ბოდნენ 15 სექტემბრის სხდომას. ამ სხდომაზე, როგორც ზემომო-ყვანილი სიიდან ჩანს, არ ესწრებოდნენ აგრეთვე საქართველოს კომ-პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდეგი წევრები: ე. ა. ეშბა, მ. გ. ტოროშელიძე, თ. კალანდაძე, გოგია, მ. ს. ოკუჯავა, ლ. ე. დუ-მბაძე და კ. მ. ცინცაძე, რომლებმაც ასევე გამოკითხვის წესით გამო-თქვეს თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება ი. ბ. სტალინის „ავ-ტონომიზაციის" თეზისებისადმი.

---

[18] სავარაუდოა, რომ ეს შემადგენლობა არასრულია (შდრ. „Очерки истории Коммунистической партии Грузии, часть вторая, 1921—1970», Тб., 1983: с. 22). იგი ჩვენ განვსაზღვრეთ ოქმში დასახელებული გვარების მიხედვით. თუმცა ტექნიკურ მდივანს ა. აფანასიევას შეიძლებოდა გამორჩენოდა კიდეც ვინმე.

15 სექტემბრის სხდომას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და კანდიდატების გარდა, ესწრებოდნენ და კენჭისყრაშიც მონაწილეობდნენ (!) აგრეთვე „Орджоникидзе, Миха Цхакая, Киров, А. Енукидзе, Сокольников, секретарь Т. К. Кахиани, члены ЦКК Чихладзе, Кварацхелия, Ртвеладзе, секретарь ЦК КСМ Девдариани, члены ревиз. комиссии: Талаквадзе, Каландадзе, Джугели, Н. Окуджава, Свапидзе, Квирквелия, Цулукидзе, Чхеидзе, Вашадзе, Окуашвили Аракел, Бахтадзе". (მოგვყავს საოქმო ჩანაწერის მიხედვით). აქ დასახელებული 21 კაციდან ი. ბ. სტალინის „ავტონომიზაციის" თეზისებს მხარი დაუჭირეს გ. კ. ორჯონიკიძემ, ა. ს. ენუქიძემ, ს. მ. კიროვმა, გ. ი. სოკოლნიკოვმა, ლ. დ. ღოლობერიძემ, მ. ი. კახიანმა. სულ ექვსმა კაცმა თავი შეიკავა მ. გ. ცხაკაიამ. უნდა ითქვას, რომ ლ. დ. ღოლობერიძე ოქმში დამსწრეთა შორის არ არის დასახელებული. იგი მხოლოდ კენჭისყრის მონაწილეთა შორის ჩანს. ოქმის ამ ნაწილში სხვა უზუსტობაც არის. კერძოდ, მასში აღნიშნულია, დამსწრეთა შორის (იგულისხმება დამსწრეთა ის ნაწილი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში არ შედიოდა) 19 კაცმა მხარი დაუჭირა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასო, რაც ზუსტი არ არის, რადგან ოქმის მიხედვით, სხდომას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობის გარდა, როგორც ვნახეთ, ესწრებოდა 21 კაცი და მათგან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას მხარი დაუჭირა 6 კაცმა, ერთმა თავი შეიკავა. ე. ი. მომხრეთა შორის რჩება 14 კაცი, ოქმში დასახელებული ციფრი „19" კი კორექტურულ შეცდომაზე ან კიდევ ოქმის შემდგენლის დაუდევრობაზე მიგვანიშნებს.

ეს „წვრილმანი" დაგვეხმარება, კარგად წარმოვიდგინოთ სხდომაზე შექმნილი კონკრეტული ვითარება, გავარკვიოთ, ვინ გადაწყვიტა დადგენილების მიღების ბედი. მით უფრო, რომ ამ საკითხზე არა გვაქვს მკვლევართა ერთიანი აზრი. პროფესორი მ. ი. კულიჩენკო, მაგალითად, აანალიზებს ამ ოქმში მოყვანილ მონაცემებს და ასკვნის: „...принятое решение все же нет оснований считать эталоном взглядов национал-уклонистов. Целесообразно в связи с этим несколько подробнее остановиться на результатах голосования резолюции. Из приведенного в протоколе заседа-

ния ЦК Компартии Грузии списка присутствовавших видно, что в голосовании участвовало 38 чел. Правда, в списке названо только 34 фамилии. Но если даже исходить из этого списка то важно отметить, что в группу Мдивани из них входило лишь 15 человек, и, следовательно, неправильно было бы считать, что решение принято большинством голосов этой группы. (ხაზგასმა ჩვენი — ლ. თ.). Из результатов голосования видно, что его поддержали также 15 человек, которые не являлись национал-уклонистами"[19].

ამასთან დაკავშირებით, რამდენიმე შეკითხვა პროფესორ მ. ი. კულიჩენკოს: თუ სიაში (ოქმში) 34 გვარია დასახელებული, საიდან ვიცით, რომ კენჭისყრაში 38 კაცმა მიიღო მონაწილეობა: იმის გამო, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას (ი. ბ. სტალინის „ავტონომიზაციის" პროექტის ნაადრევობის შესახებ) საქართველოს კპ სკ-ის წევრებს გარდა მხარი დაუჭირა კიდევ 15 კაცმა, რომელნიც არც „ნაციონალ-უკლონისტები" იყვნენ და არც საქართველოს კპ ცკ-ის შემადგენლობაში შედიოდნენ, განა შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეს დადგენილება ცენტრალური კომიტეტის წევრთა ან კიდევ ბუდუ მდივნის ჯგუფის წევრთა ხმის უმრავლესობით არ ყოფილა მიღებული? განა ძნელი მისახვედრია, რომ ამ 15 კაცის ხმებს, ხმებს მუშაკებისა, რომლებიც საქართველოს კპ ცკ-ის წევრები არ იყვნენ, არ შეეძლოთ გადაეწყვიტათ საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილების ბედი? შეიძლებოდა მათი ხმები სათვალავში მიეღოთ? ხომ საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ამა თუ იმ პარტიული კომიტეტის დადგენილება მიღებულად ითვლება ამ კომიტეტის წევრთა ხმების უმრავლესობით? ამდენად განა საკამათოა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილება მიღებულ იქნა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა ხმების უმრავლესობით და ამ დადგენილების ბედზე ვერაფრით ვერ იმოქმედებდა იმ 15 კაცის ხმა, რომელნიც საქართველოს კპ ცკ-ის წევრები არ იყვნენ? (ყოველივე ეს ხომ შესანიშნავად ჩანს ოქმიდან, სადაც ცალკეა დათვლილი სხდომაზე დამსწრე იმ მოღვაწეთა ხმები, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის წევრები არ იყვნენ. თუმცა,

---

[19] М. И. Куличенко. Образование и развитие Союза ССР. გამ. „პაიასტანი", ერევანი, 1982, გვ. 237.

აქვე უნდა ითქვას, რომ გაუგებარია თვით ფაქტი კენჭისყრაში მათი მონაწილეობისა).

დასკვნა ერთია: ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, ცხადია, მიღებულ იქნა ცენტრალური კომიტეტის წევრთა ხმების უმრავლესობით (ეს უმრავლესობა კი ე. წ. ნაციონალ-უკლონისტური იყო), ხოლო ეს დადგენილება მოიწონა ბევრმა სხვა მუშაკმა, რომელნიც სხდომაზე იყვნენ მიწვეულნი.

მაინც როგორ უნდა შევაფასოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნული დადგენილება?

უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ მან დადებითი როლი შეასრულა რესპუბლიკათა გაერთიანების ფორმის შერჩევაში, დასაშვებია, რომ იგი საფუძვლად დაედო ავტონომიზაციის იდეის ლენინისეულ კრიტიკას. უფრო მეტიც, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება რომ არა, ავტონომიზაციის იდეის გატარებას, ვინ იცის, წინ, იქნებ, არც არაფერი დასდგომოდა. ეს მით უფრო დასაშვებია, რომ რუსეთის ყოფილ იმპერიაში მცხოვრები ზოგიერთი ხალხისათვის, რომლებსაც დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკები ჯერ კიდევ არ შეექმნათ, იმ ეტაპზე ავტონომიის მიღებაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. ავტონომიზაციის მომხრეებს საფუძველი ჰქონდათ ეს არგუმენტიც მარჯვედ მოეშველიებინათ, მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიცია ამ საკითხში უფრო სამართლიანი აღმოჩნდა. მთავარია ისიც, რომ ამ პოზიციას მხარი დაუჭირა ვ. ი. ლენინმა, ხოლო თუკი ავტონომიზაციის ფორმით რუსეთის სფს რესპუბლიკაში შესვლა ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ერთსულოვანი მოთხოვნა იქნებოდა, მაშინ საკითხი ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე გადაწყდებოდა და ალბათ საქმეში ვ. ი. ლენინის ჩარევაც აღარ იქნებოდა საჭირო. განა შეიძლება დაჟინებით ვამტკიცოთ, რომ ვ. ი. ლენინი ყველა საბჭოთა რესპუბლიკის კომპარტიათა მოთხოვნის წინააღმდეგ გაილაშქრებდა? სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ის ხომ იმ თეზებში შეუძლოდ იყო. ეს კი ფაქტობრივად იმას ნიშნავდა, რომ თუ ქართველ კომუნისტთა განსხვავებული პოზიცია არ იქნებოდა, დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების ავტონომიზაციის იდეა მართლაც გაიმარჯვებდა.

აი, როგორი მნიშვნელობა ჰქონდა რეალურად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 15 სექტემბრის და-

დგენილებას ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ურთიერთკავშირის ფორმის ძიების პროცესში.

საგულისხმოა, რომ 1922 წელს საქართველოს სსრ პირველ კონსტიტუციაში შეტანილ იქნა მუხლი, რომლის თანახმად, რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოცხადდა. კაცმა რომ თქვას, გასაკვირიც არაფერია, მაგრამ თუ სხვა საბჭოთა რესპუბლიკების იმდროინდელ კონსტიტუციებს გადავხედავთ, მსგავს მუხლს ვერ შეეხვდებით. ეს გარკვეულ პრობლემას ქმნიდა, კამათს იწვევდა, რასაც ის მოჰყვა, რომ საბჭოთა საქართველოს დადებითი გამოცდილება ზოგიერთმა სხვა რესპუბლიკამაც გადაიღო.

არის აქ რაღაც ისეთი, რომელსაც სერიოზულად უნდა ჩავუფიქრდეთ. საქმე ის არის, რომ ეროვნულზე უფრო ძვირფასი დასაცავი არც ერთ ხალხს არასოდეს არაფერი ჰქონია. ამას თვალნათლივ ადასტურებს კაცობრიობის ისტორია უხსოვარი დროიდან დღემდე. ამიტომ სწორად გაგებული ეროვნული ინტერესების დაცვას პოლიტიკოსი არასოდეს არ უნდა მოერიდოს, რაგინდ რთულ ვითარებაშიც არ უნდა იმყოფებოდეს. არც იმის უნდა შეეშინდეს, რომ გარკვეულ ეტაპზე შეიძლება ვერ გაუგონ, სხვადასხვა იარლიყიც მიაკერონ. საბოლოოდ სიმართლე, ჭეშმარიტება ოდესმე მაინც იზეიმებს, მომავალი თაობები განსასჯელს სწორად განსჯიან. ეს, იმედი უნდა ასულდგმულებდეს დიადი საქმისათვის ყველა თავდადებულ მებრძოლს. უამისოდ ბრძოლას აზრი აღარ ექნებოდა. ამით ცხოვრებას თვითდინებაზე მივუშვებდით და კარგსაც ვერაფერს მოვიმკიდით.

ყოველივე ეს გარკვეული აზრით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნული დადგენილების ავტორებსაც ეხება. თუმცა, მათი პოზიცია თავის დროზე ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოვლენად მიიჩნიეს. სინამდვილეში კი ეს დადგენილება არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, ცუდი გაგებით, გამოვლენა. და აი რატომ, ჯერ ერთი, ავტონომიის უფლებებით რუსეთის ფედერაციაში საქართველოს სს რესპუბლიკის შესვლის წინააღმდეგ ვამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ის წევრები, რომელნიც ადრე ყბადაღებული „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ იდეებისადმი ზედმეტ ერთგულებას იჩენდნენ. 900-იან წლებში მაგალითად, საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგაც გამოვიდნენ, რასაც, ძირითადად, ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტის შენარჩუნების ინტერესე-

ბით ამართლებდნენ. ზოგიერთი მათგანი სერიოზულ შეცდომას უშ-ვებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელოვანი მე-თაურის—დიდი ილიას შემოქმედებისა და პრაქტიკული საქმიანობის შეფასებაში. სოციალ-დემოკრატთა ერთი ჯგუფის ეს სამწუხარო შე-ცდომა მეტად ძვირი დაუჯდა ქართველ სოციალ-დემოკრატიას, მის ბოლშევიკურ ფრთას. სათანადო დასკვნა მაინც ვერ გააკეთეს. ილიასა-დმი გაუმართლებელი მტრული დამოკიდებულება გრძელდებოდა რე-ვოლუციამდე, მის შემდეგაც, თვით 30-იანი წლების მეორე ნახევრამ-დე.

ლაპარაკია იმ მოღვაწეებზე, რომლებმაც 1918 წელს საბჭოთა რუსეთიდან საქართველოს ჩამოშორების წინააღმდეგ გაილაშქრეს. გა-ილაშქრეს აშკარად, ოფიციალურად, წერდნენ ამის შესახებ გაზეთებ-ში და ა. შ. აქაც ძველ გზას ვერ ასცდნენ, პროლეტარული ინტერნა-ციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულების თავიანთ წარმოდგენებს ვერ უღალატეს. ცარიზმის წინააღმდეგ კი თაეგანწირვით იბრძოდნენ.

ამიტომ, ძნელი დასაჯერებელია, რომ ქართველ ბოლშევიკთა ეს ჯგუფი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირვე-ლივე წლებში ნაციონალიზმის (ან კიდევ ნაციონალ-უკლონიზმის) პო-ზიციებზე დაეშვა და მხოლოდ ამიტომ ილაშქრებდა ჯერ ამიერკავკა-სიის ფედერაციის შექმნის, შემდეგ კი რუსეთის ფედერაციაში საქართ-ველოს შესვლის წინააღმდეგ.

ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქართველ ბოლშე-ვიკთა ეს ჯგუფი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შე-მდეგ რესპუბლიკის მმართველი პარტიის ხელმძღვანელი ბირთვი გა-ხდა, ადრინდელზე მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდა ეროვნულ სა-კითხს და მიიღო ისეთი დადგენილება, რომელმაც ავტონომიზაციის იდეის კრიტიკის საფუძველი შექმნა. საქართველოს კომპარტიის ცენ-ტრალური კომიტეტის უმრავლესობამ ამჯერად სწორი პოზიცია დაი_ კავა.

მეორე, არ იყო ეს დადგენილება ნაციონალისტური არც იმის გა-მო, რომ იგი დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნების მოთხოვნას შეიცავს. აქ მთავარი ყურადღება იმას უნდა მივაქციოთ, რომ დადგენილებაში აღიარებული იყო სამეურნეო ღონისძიებებისა და საერთო პოლიტიკის გაერთიანების აუცილებლობა. ე. ი. დადგენი-ლების ავტორები, უნდა ვიგულისხმოთ, დამოუკიდებლობის აბსოლუ-ტურად ყველა ელემენტის შენარჩუნებას კი არ მოითხოვდნენ, არამედ

მხოლოდ ისეთებისას, რომელთა გარეშე დამოუკიდებლობა, მათი აზრით, გაქრებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სამეურნეო ღონისძიებებისა და საერთო პოლიტიკის გაერთიანების წინააღმდეგაც გამოვიდოდნენ.

უნდა ითქვას, რომ საერთოდ გაერთიანების წინააღმდეგ ქართველ ბოლშევიკთა ეს ჯგუფი პრინციპში არც ადრე გამოდიოდა. ამ მხრივ დამახასიათებელია 1922 წლის მარტში მიღებული საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუცია, რომელიც ძირითადად აღნიშნული ჯგუფის შემოქმედებად უნდა მივიჩნიოთ. კონსტიტუციაში ვკითხულობთ: „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა აცხადებს თავის მტკიცე გადაწყვეტილებას — შევიდეს მთლიან საერთაშორისო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ოჯახში, როგორც კი ამისთვის შეიქმნება სათანადო პირობები. ამასთან ერთად, იგი აღიარებს თავის სრულ სოლიდარობას ამჟამად არსებულ საბჭოთა რესპუბლიკებთან და თავის გადაწყვეტილებას — იქონიოს მათთან: ა) მჭიდრო მეგობრული პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა სოციალიზმის საბოლოოდ გასამარჯვებლად და ბ) უახლოესი თანამშრომლობა კომუნისტურ აღმშენებლობაში საერთაშორისო მასშტაბით“[20].

ამჯერად თავს შეეიკავებთ კონსტიტუციის ამ მუხლის ანალიზისაგან. იგი დავიმოწმეთ მხოლოდ იმის დასაღასტურებლად, რომ ქართველ ბოლშევიკთა აღნიშნული ჯგუფი არასოდეს არ გამოდიოდა საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების წინააღმდეგ, ოღონდ გაერთიანების ისეთ ფორმას მოითხოვდა, რომელშიც რესპუბლიკები თანაბარუფლებიანი და დამოუკიდებლები იქნებოდნენ (ლაპარაკია, რასაკვირველია, არა ნამდვილ დამოუკიდებლობაზე, არამედ ისეთ დამოუკიდებლობაზე, რომელიც საბჭოთა სინამდვილეში დამკვიდრდა). მართალია, სახელმწიფოთა ყოველგვარი გაერთიანება გარკვეულწილად ზღუდავს მათს დამოუკიდებლობას, მაგრამ ზღუდავს და კი არ სპობს. თუ ეს შეზღუდვა სახელმწიფოსათვის ასატანია, მაშინ ის დარჩება სახელმწიფოთა კავშირში, თუ არა — გამოვა ამ კავშირიდან. ხოლო თუ სახელმწიფო სხვებთან გაერთიანების შემდეგაც დამოუკიდებლად რჩება, მას დამოუკიდებლობის ატრიბუტებიც უნდა ჰქონდეს. ატრიბუტი ხომ

---

[20] საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამოცემა. ტფილისი, 1922, გვ. 4.

საგნის, მოვლენის (ამ შემთხვევაში საბჭოთა დამოუკიდებლობის) არსებითი, მუდმივი თვისება და განუყოფელი კუთვნილებაა. ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნული დადგენილების ავტორები, როცა სამეურნეო ღონისძიებებისა და ზოგადი პოლიტიკის გაერთიანებასთან ერთად დამოუკიდებლობის შენარჩუნებასაც მოითხოვდნენ, ბუნებრივია, მათ დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებაც უნდა მოეთხოვათ.

დადგენილების შინაარსი არ იძლევა საშუალებას, ზუსტად გავარკვიოთ კონკრეტულად დამოუკიდებლობის რომელი ატრიბუტების შენარჩუნებას მოითხოვდნენ მისი ავტორები. ცხადია, ისინი აქ ვერ იგულისხმებდნენ სრულ დამოუკიდებლობას სამეურნეო ღონისძიებებისა და საერთო პოლიტიკის საკითხებში, რადგან თვითონ აღიარებდნენ ამ დარგთა გაერთიანების აუცილებლობას. ამასთან, მათ ასეთი გაერთიანების შემდეგაც შესაძლებლად მიაჩნდათ რესპუბლიკებისათვის დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნება. ამაში ისინი წინააღმდეგობას არ ხედავდნენ. იქნებ საკუთარი არმიისა და საკუთარი ფულის შენარჩუნებას მოითხოვდნენ? ასეთი ვარაუდისათვის ერთგვარ საფუძველს შეიძლება ისიც ქმნიდეს, რომ მაშინ, 1922 წელს, როგორც ცნობილია, საქართველოში ვ. ი. ლენინის დაჟინებული მოთხოვნით, გარკვეული მუშაობა მიმდინარეობდა ქართული წითელი არმიის შესაქმნელად. გარდა ამისა, იმდროინდელ ამიერკავკასიაში რუსული საბჭოთა ფულის გვერდით, ფუნქციონირებდა ეროვნული ფულის ნიშნებიც (ქართული ფულის კურსი უფრო მაღალიც კი იყო). იქნებ ეს კონკრეტული სიტუაცია აირეკლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნულ დადგენილებაში. აქ რისამე გადაჭრით თქმა ძნელია. მაგრამ ასეც რომ იყოს, ეს დადგენილება წინააღმდეგობრივი მაინც არ არის, რადგან, როგორც საბჭოთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის შემდგომმა პრაქტიკამ გვიჩვენა, საკუთარი არმია და საკუთარი ფული არ ჰქონიათ საბჭოთა რესპუბლიკებს, მაგრამ ისინი, სიტყვით მაინც, დამოუკიდებელ რესპუბლიკად იწოდებოდნენ[21]. ამას თვალნათლივ ადასტურებს თითოეული მათგანის კონსტიტუცია.

---

[21] იგულისხმება საქართველოს კპ ცკ-ის 1922 წლის 15 სექტემბრის დადგენილების ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებაზე".

ამრიგად, დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნების მოთხოვნა შეცდომად, დანაშაულად კი არა, დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს საქართველოს კომპარტიის მაშინდელ ცენტრალურ კომიტეტს. აღსანიშნავია, რომ ოფიციალურმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ მხოლოდ ათეული წლების შემდეგ დაადასტურა ეს. გაზეთ „პრავდის“ 1988 წლის 8 ივლისის პუბლიკაციაში: „В. И. Ленин. Вместе и наравне...“, ვკითხულობთ: «Обычно эта последняя фраза в резолюции Грузинского ЦК рассматривается как ошибочная — именно так под сталинским давлением расценила ее в своем решении комиссия Оргбюро[22]. Однако сегодня, располагая документами, можно утверждать, что ЦК КП Грузии не выступал против объединения и речь об атрибутах независимости шла в рамках ленинского понимания демократического централизма».

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება არც სსრ კავშირის შექმნის იდეის წინააღმდეგ გამოსვლად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ეს იდეა მაშინ ოფიციალურად, პრაქტიკული ვადაწყვეტის თვალსაზრისით, ფაქტობრივად არც არსებობდა და, გარდა ამისა, დადგენილება თვით შეიცავს სსრ კავშირის შექმნის იდეის ელემენტებს.

ამ დადგენილების ნამდვილი ნაკლი ის არის, რომ რუსეთის ფედერაციაში საბჭოთა რესპუბლიკების შესვლას იგი ნაადრევად მიიჩნევდა და არა საერთოდ მიუღებლად. თუმცა ესეც ალბათ იმდროინდელი საერთო პარტიული განწყობილებისათვის გარკვეული ხარკის გაღებად უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამავე დადგენილებაში იყო ასეთი მუხლიც: „დროებით თავი შეიკავოთ ფართო პარტიულ მასებში აღნიშნული საკითხის გადატანისაგან“[23]. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ცენტრალური კომიტეტი თავს არიდებდა გართულებებს, რაც შეიძლება პარტიულ მასებში ამ საკითხის განხილვას მოჰყოლოდა. გარდა ამისა, შიშობდნენ ზემდგომ ინსტანციებს მათ-

---

[22] იგულისხმება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს მიერ 1922 წლის აგვისტოში გამოყოფილი კომისია.

[23] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 13, აღწ. 1, საქ. 79, ფ. 3.

თვის პარტიული დისციპლინის დარღვევაში არ დაედოთ ბრალი. ვნახოთ როგორ განვითარდა მოვლენები 1922 წლის სექტემბრის შემდეგ.

16 სექტემბერს „ავტონომიზაციის" პროექტი მოიწონა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა, რომელმაც ამასთან აღნიშნა („ცნობად მიიღო"), რომ „ავტონომიზაციის" იდეა მოწონებულია აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტის მიერ. სამხარეო კომიტეტმა იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიციაზეც. მან პერსონალური პასუხისმგებლობა დააკისრა ფ. მახარაძეს, ს. ქავთარაძესა და პ. საბაშვილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 15 სექტემბრის დადგენილების იმ მუხლის შესრულებისათვის, რომლის თანახმად ამ დადგენილების შინაარსი, კერძოდ ის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არ მოიწონა „ავტონომიზაციის" პროექტი, მასებისათვის არ გამხდარიყო ცნობილი. უფრო მეტი, პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შეემზადებინა პარტიული მასები სტალინის თეზისების („ავტონომიზაციის" პროექტის) მხარდასაჭერად[24].

4. ვ. ი. ლენინი და „ავტონომიზაციის" პროექტი

საკითხის საბოლოო გადაწყვეტაში მთავარი როლი შეასრულა ვ. ი. ლენინმა, რომელიც ავადმყოფობის მიუხედავად, 1922 წლის სექტემბრის დამდეგს აქტიურად ჩაერია საქმეში. როგორც ცნობილია, ავადმყოფობის პირველმა მწვავე შეტევამ (გორკი, 1922 წლის 25—27 მაისი) ვ. ი. ლენინს შეუსუსტა მარჯვენა ხელისა და მარჯვენა ფეხის მოძრაობა, რამდენადმე გაუძნელდა მეტყველება. ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იგი გორკაში დარჩა კიდევ 4 თვე (1922 წლის 2 ოქტომბრამდე). ამ ხნის განმავლობაში ვ. ი. ლენინს რამდენიმე შეხვედრა ჰქონდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1922 წლის აგვისტოში გამოყოფილი კომისიის წევრებთან, სხვა პარტიულ და საბჭოთა მუშაკებთან. ასე, მაგალითად, 1922 წლის აგვისტო-სექტემბერში (საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების მისაღები ფორმის ყველაზე ინ-

---

[24] იხ.: Известия ЦК КПСС, 1989, № 9, გვ. 198.

ტენსიური ძიების პერიოდში) ვ. ი. ლენინი გორკაში ესაუბრა გ. ი. პეტროვსკის, გ. კ. ორჯონიკიძეს (7 აგვისტო), ი. ბ. სტალინს (9, 14; 23; 30 აგვისტო, 12, 19, 26 სექტემბერი), ს. ა. ადა-მალი-ოღლის (11 აგვისტოს), ხ. გ. რაკოვსკის (25 აგვისტო), გ. ი. სოკოლნიკოვს (25 სექტემბერი), პ. ს. (ბუდუ) მდივანს (27 სექტემბერი), მ. ს. ოკუჯავას, დ. ე. დუმბაძეს, კ. მ. ცინცაძეს, ა. თ. მიასნიკოვს, (29 სექტემბერი) და სხვ. ეს ის მოღვაწეები არიან, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ რუსეთის სფს რესპუბლიკასთან სხვა საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ფორმის ძიებაში. ამ მოღვაწეებთან ვ. ი. ლენინის საუბრების თარიღები მოცემულია ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიული ქრონიკის მე-12 ტომში. სამწუხაროდ, მასში მეტად ძუნწი ცნობებია ამ საუბართა შინაარსის შესახებ, უმთავრესად საუბართა თემაც (აგვისტო-სექტემბრის პირველი ნახევარი) უცნობია (მისი დადგენა მკვლევართა დამატებით მუშაობას საჭიროებს). ამიტომ, ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, შეუძლებელია იმის გარკვევა, ჰქონდა თუ არა ვ. ი. ლენინს ამ მოღვაწეებთან საუბარი საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების საკითხებზე (ლაპარაკია კვლავ 1922 წლის აგვისტოსა და სექტემბრის პირველ ნახევარზე). ვიცით მხოლოდ ის, რომ 1922 წლის 22 სექტემბერს ვ. ი. ლენინმა გორკადან ბარათი გაუგზავნა ი. ბ. სტალინს და სთხოვა ეცნობებინა, თუ როგორ წყდებოდა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი.

რას უნდა ნიშნავდეს ეს? იმას, რომ 22 სექტემბრამდე ვ. ი. ლენინი არ იყო საქმის კურსში? იგი აქამდე არ იცნობდა საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციის" პროექტს? და თუ იცნობდა არ იწონებდა მას?[25].

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ვიმეორებთ, აქ რისამე გადაჭრით თქმა ძნელია. სავარაუდოდ კი შეიძლება ითქვას, რომ 22 სექტემბრისათვის ვ. ი. ლენინს უკვე გაგებული აქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 15 სექტემბრის ზემოაღნიშნული დადგენილების შესახებ და სწორედ ქართველი კომუ-

---

[25] „პრავდა" 1988 წლის 8 ივლისის პუბლიკაციაში: «В. И. Ленин: Вместе наравне»., გამოთქმულია ვარაუდი, რომ ი. ბ. სტალინის პროექტის ძირითადი დებულებები ვ. ი. ლენინს გაეცნო უკრაინის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ხ. გ. რაკოვსკიმ ჯერ კიდევ 1922 წლის 25 აგვისტოს.

ნისტების განსხვავებულმა პოზიციამ გამოიწვია მისი ასეთი დაინტერესება ამ საკითხით. იყო თუ არა ვ. ი. ლენინი საქმის კურსში ადრე და იცნობდა თუ არა იგი აქამდე „ავტონომიზაციის“ პროექტს, ბიოგრაფიული ქრონიკიდან არა ჩანს. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით, ერთობ საინტერესოა ი. ბ. სტალინის ბარათი, რომელიც 1923 წლის 27 თებერვალს გაუგზავნა დ. ა. ფოტიევას. მოვიყვანოთ იგი მთლიანად: «**Тов. Фотиева!** Посылаю Вам, согласно Вашей просьбе, мой набросок тезисов по вопросу об объединении республик. Его нельзя назвать тезисами, ибо он не разработан, не отшлифован, да я его и не называл никогда тезисами. Свою разработку и оформление этот набросок получил сначала в известном постановлении Пленума ЦК в октябре 1922 г., а потом в тезисах моих, принятых за основу Пленумом ЦК в феврале 1923 года и подлежащих (по решению этого Пленума) решающей оценке тов. Ленина. Набросок этот сделал я, кажется, в августе 1922 г. по просьбе тов. Орджоникидзе, Кирова и Мясникова в присутствии этих товарищей. Он известен т. Ленину и одобрен им в бытность мою у Ленина в Горках, кажется в конце августа прошлого года.

И. Сталин. 27/II—23».[26]

ეს დოკუმენტი ფაქტობრივად ვ. ი. ლენინს გაეგზავნა. ამიტომ ის მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ იმისათვის, რომ ამომწურავად შეფასოთ იგი, საჭიროა წინასწარ გავარკვიოთ: 1) როდის (ზუსტად) და რასთან დაკავშირებით მოსთხოვეს ი. ბ. სტალინს თეზისების (თუ თეზისების მონახაზის) გაგზავნა; 2) თეზისების (თეზისების მონახაზის) რომელი ვარიანტი გაუგზავნა ი. ბ. სტალინმა დ. ა. ფოტიევას, რა შინაარსისა იყო იგი? რატომ აღარ მოსწონს ეს ვარიანტი თვით ი. ბ. სტალინს (ამბობს: ბოლომდე დამუშავებული არ არის, დასახვეწიაო)? ეს იმ დოკუმენტის აუთენტურია, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1922 წლის 15 სექტემბერს განიხილა (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, განსახილველ დოკუმენტს

---

[26] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 3, აღწ. 1, საქ. 5189, ფურც. 1.

„სტალინის თეზისები“ ჰქვია), თუ ადრინდელი, ან მერმინდელი? ამის გარკვევა იმიტომაც არის აუცილებელი, რომ ვიცოდეთ ი. ბ. სტალინის მიერ შედგენილი რომელი დოკუმენტი მოიწონა ვ. ი. ლენინმა 1922 წლის აგვისტოს დამლევს (როგორც ამას ი. ბ. სტალინი გვაუწყებს). 3) გვაძლევს თუ არა ეს დოკუმენტი საფუძველს ვამტკიცოთ, რომ ვ. ი. ლენინი თავდაპირველად (აგვისტოში) დაეთანხმა ი. ბ. სტალინის, გ. კ. ორჯონიკიძის, ს. მ. კიროვისა და ა. თ. მიასნიკოვის აზრს (ინიციატივა ამიერკავკასიაში მომუშავე ხელმძღვანელი მუშაკებისაგან მოდიოდა) რუსეთის ფედერაციაში საბჭოთა რესპუბლიკების ავტონომიური უფლებებით შესვლის შესახებ, ხოლო შემდეგ (სექტემბერში), როცა ქართველ კომუნისტთა ერთი ნაწილის პოზიციას გაეცნო, უარყო იგი?

როგორც ითქვა, ვ. ი. ლენინმა 1922 წლის 22 სექტემბერს სთხოვა ი. ბ. სტალინს ეცნობებინა, თუ როგორი პოზიცია ეკავა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთდამოკიდებულების საკითხში. იმავე დღეს, 22 სექტემბერს ი. ბ. სტალინმა ვ. ი. ლენინს გაუგზავნა წერილი, რომელშიც გაშუქებულია რუსეთის სფს რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებებთან სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობა, გაანალიზებულია კონფლიქტური სიტუაციები, ზოგჯერ რომ წარმოიშობოდა მათ შორის, წამოყენებულია წინადადებები. ამ წერილში განვითარებული ზოგიერთი დებულება ჩვენ უკვე დავიმოწმეთ ნაშრომის დასაწყისში. გავეცნოთ ი. ბ. სტალინის სხვა მოსაზრებებსაც. იგი წერდა: «Одно из двух: либо действительная независимость и тогда — невмешательство Центра, свой НКИД, свой Внешторг, свой концессионный Комитет, свои железные дороги, причем вопросы общие решаются в порядке переговоров равного с равным, по соглашению, а постановления ВЦИК, СНК и СТО РСФСР не обязательны для независимых республик; либо действительное объединение советских республик в одно хозяйственное целое с формальным распространением власти СНК, СТО и ВЦИК РСФСР на СНК, ЦИК и экономсоветы независимых республик, т. е. замена фиктивной независимости действительной внутренней автономией республик в смысле языка, культуры, юстиции, внудел, земледелия и прочее.

Следует иметь в виду, что:

1. Формально решения СНК, СТО и ВЦИК РСФСР необязательны для независимых республик, причем эти учреждения сплошь и рядом отменяют постановления Центральных учреждений независимых республик, что вызывает протесты последних против «незаконных действий» Центральных учреждений Москвы;

2. Вмешательство Цека РКП в таких случаях происходит обычно после того, как Центральные учреждения окраин уже дали свои декреты, отменяемые потом Центральными учреждениями Москвы, что создает политику и тормоз в хозяйственных делах и вызывает на окраинах недоумение среди беспартийных и раздражение среди коммунистов.

3. За четыре года гражданской войны, когда мы ввиду интервенции вынуждены были демонстрировать либерализм Москвы в национальном вопросе, мы успели воспитать среди коммунистов, помимо своей воли, настоящих и последовательных социал-независимцев, требующих настоящей независимости во всех смыслах и расценивающих вмешательство Цека РКП, как обман и лицемерие со стороны Москвы.

4. Мы переживаем такую полосу развития, когда форма, закон, Конституция не могут быть игнорированы, когда молодое поколение коммунистов на окраинах игру в независимость отказывается понимать как игру, упорно признавая слова о независимости за чистую монету и также упорно требуя от нас проведения в жизнь буквы Конституции независимых республик.

5. Если мы теперь же не постараемся приспособить форму взаимоотношений между Центром и окраинами к фактическим взаимоотношениям, в силу которых окраины во всем основном безусловно должны подчиняться Центру, т. е. если мы теперь же не заменим формальную (фиктивную) независимость формальной же (и вместе с тем реальной) автономией, то через год будет несравненно трудно отстоять фактическое единство советских республик.

Сейчас речь идет о том, как бы не «обидеть» националов: через год вероятно речь пойдет о том, как бы не вызвать раскол в партии на этой почве, ибо «национальная» стихия работает на окраинах не в пользу единства советских республик, а формальная независимость благоприятствует этой работе...

Мой план:

1. Вопрос о Бухаре, Хиве и ДВР (которая еще не советизирована) оставить пока открытым, т. е. пока их не автономизировать.

2. В отношении остальных пяти независимых республик (Украина, Белоруссия, Грузия, Азербайджан и Армения) признать целесообразным автономизацию с тем, чтобы к Всероссийскому съезду Советов ЦИК и эти республики сами добровольно изъявили свое желание вступить в более тесные хозяйственные отношения с Москвой на началах автономии (я имею уже заявления Азербайджанского и Армянского Цека Компартии о желательности автономизации, и заявление Грузинского Цека Компартии о желательности сохранения формальной независимости). Комиссию Цека по определению отношений с окраинами созовем, должно быть, 23 или 24 (не все еще съехались). Большинство членов комиссии за автономизацию, в числе них и т. Сокольников...

P. S. На всякий случай посылаю Вам для сведения письмо «липового» национала т. Мануильского. Сообщаю для сведения, что отнюдь „нелиповый" украинец т. Раковский, как говорят, высказывается против автономизации»[27].

უნდა ითქვას, რომ ვიდრე საქმეში ვ. ი. ლენინი ჩაერეოდა, საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების საკითხი ამ წერილში წამოყენებული გეგმის მიხედვით წყდებოდა. ამის დამადასტურებელია ოქმები რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1922 წლის აგვისტოში გაფოყოფილი კომისიის სხდომებისა, რომლებიც ამავე წლის 23 და 24 სექტემბერს გაიმართა. საქართველოს წარმომადგენლის პ. გ. (ბუდუ) მდივნის ავადმყოფობის გამო 23 სექტემბრის სხდომას სათათბირო

---

[27] Известия ЦК КПСС, 1989, № 9, зз. 198—200.

ხმით კ. მ. ცინცაძე ესწრებოდა. საერთოდ კი კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ და ამ სხდომებს ესწრებოდნენ: ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, გ. კ. ორჯონიკიძე, გ. ი. სოკოლნიკოვი, გ. ი. პეტროვსკი (უკრაინა), ა. გ. ჩერვიაკოვი (ბელორუსია), ა. თ. მიასნიკოვი (სომხეთი), ს. აღა-მალი-ოღლი (აზერბაიჯანი), ა. მ. ნაზარეტიანი, პ. გ. (ბუდუ) მდივანი, (კ. მ. ცინცაძე), (საქართველო), ფაიზულა ხოჯაევი (ბუხარა). ვ. ვ. კუიბიშევის შეებულებაში ყოფნის გამო სხდომებს თავმჯდომარეობდა ვ. მ. მოლოტოვი, მდივნობდა ა. მ. ნაზარეტიანი. სხდომების მონაწილეთა შორის არ ჩანს ხ. გ. რაკოვსკი, რომელიც ამ კომისიის შემადგენლობაში იყო შეყვანილი 1922 წლის აგვისტოში. ბუდუ მდივნის გარდა, 23 სექტემბრის სხდომას არ ესწრებოდნენ: რაკოვსკი, აბდურახმან ხოჯაევი (ხორეზმი) და იანსონი (შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა).

23 სექტემბრის სხდომაზე ერთხმად მიიღეს ი. ბ. სტალინის რეზოლუციის პროექტი საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციის" შესახებ (სათათბირო ხმის მქონე კ. მ. ცინცაძემ თავი შეიკავა) და უარყვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 15 სექტემბრის ზემოაღნიშნული დადგენილება, რომელსაც სხდომის მონაწილეთაგან მხოლოდ კ. მ. ცინცაძემ დაუჭირა მხარი[28]. მას შემდეგ, რაც კომისიის სხდომის 10 მონაწილიდან ცხრამ ძირითადად მოიწონა ი. ბ. სტალინის პროექტი, დაიწყეს მისი მუხლობრივი განხილვა. ამ მხრივ საინტერესოა 24 სექტემბრის სხდომა, რომელზეც საქართველოს წარმომადგენელი პ. გ. (ბუდუ) მდივანი თითქმის ყოველთვის უმცირესობაში რჩებოდა.

კომისიის სხდომაზე კიდევ უფრო გამოიკვეთა საქართველოს წარმომადგენლის პოზიცია. იგი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შენარჩუნების თვალსაზრისზე იდგა და ავტონომიურ რესპუბლიკათა უფლებებით რუსეთის ფედერაციაში მათი შესვლის წინააღმდეგ გამოდიოდა. ბუდუ მდივანი ერთადერთი იყო კომისიის წევრებიდან, რომელიც სტალინის პროექტის თითქმის არც ერთ მუხლს არ უჭერდა მხარს და ეს არც არის გასაკვირი, რადგან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პრინციპში უარყო საბჭოთა რესპუბლიკების ავტონომიზაციის სტალინისეული პროექტი და გაუგებარიც კი იქნებოდა მის წარმომადგენელს ამ პროექტის ცალკეული

---

[28] Известия ЦК КПСС, 1989, № 9, გვ. 200.

მუხლები მოეწონებინა. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც კომისიამ ძირითადად მიიღო ი. ბ. სტალინის მიერ შემუშავებული პროექტი, ბუდუ მდივნის შემდგომ მონაწილეობას კომისიის მუშაობაში ერთი შეხედვით აზრიც აღარ ჰქონდა, რადგან კომისია ხომ უმთავრესად იმაზე მსჯელობდა, თუ რესპუბლიკათა რომელ სახალხო კომისარიატს შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა და რომელი სახალხო კომისარიატი დამორჩილებოდა რსფსრ შესატყვისი სახალხო კომისარიატის დირექტივებს. საქართველოს წარმომადგენელი კი ბოლომდე აქტიურად მონაწილეობდა კომისიის მუშაობაში, თითოეული მუხლის განხილვასა და კენჭისყრაში. ეს კი იმას ნიშნავს, იგი შეურიგდა კომისიის გადაწყვეტილებას და შექმნილ ვითარებაში ცდილობდა მომავალ ავტონომიურ რესპუბლიკათა სტატუსი გაეფართოვებინა და დამოუკიდებლობის მქონე სახალხო კომისარიატთა რაოდენობის გაზრდისთვის ებრძოლა.

როგორც მომავალი ამბები დაადასტურებენ, შერიგებაზე ლაპარაკი უსაფუძვლოა. ყველაფერი ეს 24 სექტემბერს ხდება. ამ საკითხთან დაკავშირებით, 27 სექტემბერს საქართველოს წარმომადგენელი ვ. ი. ლენინმა მიიღო. არ არის გამორიცხული, რომ ეს ბ. მდივანმა იმ დღესვე იცოდა. იქნებ ამიტომაც მონაწილეობდა ასე აქტიურად კომისიის მუშაობაში. გრძნობდა, ვ. ი. ლენინთან საუბრისას კომისიის მუშაობის თითოეულ დეტალს დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. უმცირესობაში დარჩენილმა საქართველოს წარმომადგენელმა (კენჭისყრისას ბუდუ მდივანთან ერთად ზოგჯერ უმცირესობაში რჩებოდნენ გ. ი. პეტროვსკი, ა. გ. ჩერვიაკოვი და ს. აღა-მალი-ოღლი) დააყენა წინადადება, რომ რესპუბლიკებში შექმნილიყო სპეციალური აპარატი, რომელიც უხელმძღვანელებდა ეროვნული არმიების შექმნას. ეს წინადადება განხილვიდან მოხსნეს. ბ. მდივანს მხარი დაუჭირა მხოლოდ ს. აღა-მალი-ოღლიმ.

კომისიამ თავდაპირველად ერთხმად დაადგინა, რომ განიხილოს ამიერკავკასიის ფედერაციის შემდგომი არსებობისა და რუსეთის სფს რესპუბლიკასთან მისი დამოკიდებულების საკითხი, მაგრამ შემდეგ ასევე ერთხმად გადაწყვიტა, რომ ამ საკითხზე არ იმსჯელოს მანამ, სანამ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი არ დაამტკიცებს ჩვენს დადგენილებებსო.

ასეთი დადგენილების მიღება იმით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ კომისია მთავარი საკითხის („ავტონომიზაციის“ პროექტი) გადაწყვეტას ელოდებოდა. სავარაუდოა, რომ თუ რკპ(ბ) ცენ-

ტრალური კომიტეტი „ავტონომიზაციის“ პროექტს მოიწონებდა, მაშინ კომისია ქართველი კომუნისტების (ე. წ. ნაციონალ-უკლონისტთა) თხოვნას გულისხმიერად მოეკიდებოდა — მხარს დაუჭერდა ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმებას (მით უფრო, რომ თვით „ავტონომიზაციის“ პროექტი არ გულისხმობდა ამიერკავკასიის ფედერაციის შენარჩუნებას), ხოლო თუ „ავტონომიზაციის“ იდეა დამარცხდებოდა და ეს ქართველი ე. წ. ნაციონალ-უკლონისტების გარკვეული მონაწილეობის გარეშე, რასაკვირველია, არ მოხდებოდა, მაშინ კომისია ურჩ ქართველ კომუნისტთა (ე. წ. ნაციონალ-უკლონისტთა) „დასჯის“ სანქციას მიმართავდა — მხარს არ დაუჭერდა ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმების მოთხოვნას.

ამის შემდეგ ბ. მდივანმა კიდევ ერთი წინადადება შეიტანა. მას სურდა მიეღწია იმისათვის, რომ კომისიის გადაწყვეტილებები ჯერ რესპუბლიკათა პარტიული ორგანიზაციების ზედაფენებს განეხილათ და მხოლოდ ამის შემდეგ გაეტანათ ისინი პლენუმზე განსახილველად. ეს იყო ბ. მდივნის კიდევ ერთი ცდა, მოებრუნებინა საკითხი. იმედოვნებდა, რომ რესპუბლიკათა პარტიული ორგანიზაციები ახლა მაინც აღარ დაუჭერდნენ მხარს „ავტონომიზაციის“ იდეას.

კომისიამ უარყო საქართველოს წარმომადგენლის ეს წინადადებაც. კომისიის წევრთა უმრავლესობის პოზიციაც გასაგებია: არ უნდა საქმის გაჭიანურება, რადგან მის გადაწყვეტილებებს მაშინ ექნება უფრო მეტი ძალა, თუ მათ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების სახეს მისცემს. რესპუბლიკათა პარტორგანიზაციებში საკითხის განხილვას კი ვინ იცის რა შეიძლება მოჰყვეს, იქნებ გართულდეს კიდეც საქმე, იქნებ საქართველოს მაგალითისათვის სხვა რესპუბლიკებსაც მიებაძათ. ამიტომაც ცდილობდა კომისია, რომ მისი გადაწყვეტილება ჯერ რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს დაემტკიცებინა, ხოლო პარტიულ ორგანიზაციებს შემდეგ ემსჯელათ მასზე. აქ უკვე პარტიულ დისციპლინასა და დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს (შემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა სავალდებულობა ქვემდგომი ორგანოებისათვის) უნდა ემოქმედა კომისიის წევრთა უმრავლესობის სასარგებლოდ. ერთი სიტყვით, აღარ სურდათ ადრინდელი „შეცდომა“ გაემეორებინათ: საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციის“ პროექტი, ვიდრე მას პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი დაამტკიცებდა, კომისიამ უშუალოდ დაუგზავნა რესპუბლიკებს განსახილველად. საქართველოში კი იგი დაიწუნეს და ს

ქმეც სახათაბალო გახდა. ეს პროექტი რომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ თავიდანვე ყოფილიყო სანქციირებული, მაშინ იქნებ ვეღარ გაებედათ მისი დაწუნება, ხოლო თუ მაინც არ მოიწონებდნენ, მაშინ პარტიული სანქციების გამოყენებაც შეიძლებოდა. შექმნილ ვითარებაში კი ეს უკანასკნელი ოფიციალურად გამორიცხული იყო. აშკარად ჩანს, რომ უკვე აღარ უნდოდათ „ავტონომიზაციის" პროექტის ბედი რესპუბლიკებისათვის მიენდოთ. ამით უნდა აიხსნას ისიც, რომ კომისიამ უარყო უკრაინის წარმომადგენლის გ. ი. პეტროვსკის წინადადებაც — კომისიის გადაწყვეტილებები განეხილათ თუნდაც რესპუბლიკათა კომპარტიების საგუბერნიო კომიტეტების ბიუროთა სხდომებზე. სწორედ ამის შემდეგ ჩაიწერა კომისიის 24 სექტემბრის სხდომის ოქმში გ. ი. პეტროვსკის თხოვნით, რომ უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს რუსეთის სფს რესპუბლიკასთან დამოკიდებულების საკითხი არ განუხილავს[29].

მიღებულ იქნა დადგენილება „კომისიის ოქმების შესახებ", რომელიც სპეციალურად ეხება ი. ბ. სტალინის რეზოლუციის მე-6 მუხლს. კომისიის სხდომის ოქმში ამ მუხლის შინაარსი არ არის მოცემული. ოქმების შესახებ კომისიამ დაადგინა: «Размножить без шестого пункта, раздать только членам комиссии, указав им, что до решения всех обсужденных в комиссии вопросов на Пленуме ЦК, таковые не подлежат распространению. Постановление комиссии вручается членам комиссии и без шестого пункта, являющегося строго секретным»[30].

---

[29] აქვე დაეძენთ: უკრაინის წარმომადგენლები ცდილობდნენ ამ საკითხის განხილვა საერთოდ გაეჭიანურებინათ. სავარაუდოა, რომ ისინი ვ. ი. ლენინის გამოჯანმრთელებასა და მოსკოვში დაბრუნებას ელოდნენ, მოსკოვში ვ. ი. ლენინის ჩამოსვლა 2 ოქტომბრისთვის იყო ნავარაუდევი. იქნებ ამითაც იყო გაპირობებული, რომ ხ. გ. რაკოვსკი და გ. ი. პეტროვსკი ვ. ვ. კუიბიშევს ჯერ კიდევ აღრე (16-დან 19 სექტემბრამდე) სთხოვდნენ, კომისიის სხდომა 23 სექტემბრის ნაცვლად 15 სექტემბერს მოეწვიათ. სხდომის გადადება შეუძლებლად იქნა მიჩნეული. ამის შესახებ დროულად აცნობეს უკრაინის წარმომადგენლებს ი. ბ. სტალინის თანაშემწემ ა. მ. ნაზარეტიანმა და ვ. ვ. კუიბიშევმა (იხ. „პრავდა", 1988 წლის 8 ივლისი), ყველაფრიდან ჩანდა, რომ კომისიის ხელმძღვანელობა მოწადინებული იყო, რაც შეიძლება სწრაფად (საქმეში ვ. ი. ლენინის აქტიურ ჩარევამდე) დაემთავრებინათ საკითხის განხილვა.

[30] Известия ЦК КПСС, 1989, № 9, გვ. 203.

მკითხველს უთუოდ დაეინტერესებს შინაარსი რეზოლუციის პროექტის ამ მე-6 მუხლისა, რომელსაც ასე გულმოდგინედ ასაიდუმლოებდნენ და ასე განსაჯეთ, კომისიის დადგენილების იმ ეგზემპლარებშიც კი არ შეჰქონდათ, რომლებიც თვით კომისიის წევრებისათვის იყო განკუთვნილი. ამჯერად ეს მუხლი ღია პრესაშია გამოქვეყნებული. აი ისიც:

«Настоящее решение, если оно будет одобрено Цека РКП, не публикуется, а передается национальным Цека как циркулярная директива, для его проведения в советском порядке через ЦИКи, или съезды Советов упомянутых выше республик до созыва Всероссийского съезда Советов, на котором декларируется оно, как пожелание этих республик"[31].

ამ მუხლის გასაიდუმლოების აუცილებლობა აშკარაა: ეროვნული საკითხის დემოკრატიული გადაწყვეტის ვერავითარ ნიმუშს ვერ იძლეოდა ივი[32].

1922 წლის 25 სექტემბერს ვ. ი. ლენინმა ი. ბ. სტალინის მიერ 1922 წლის 22 სექტემბერს დაწერილ ზემოაღნიშნულ წერილთან ერთად მიიღო და წაიკითხა საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებასთან დაკავშირებით იმ პერიოდში შექმნილი სხვა ძირითადი პარტიული დოკუმენტებიც: რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1922 წლის აგვისტოში შექმნილი კომისიის 1922 წლის 23 და 24 სექტემბრის სხდომათა ოქმები (№ 1 და № 2), აგრეთვე ამ ოქმების დანართები, კერძოდ, ი. ბ. სტალინის რეზოლუციის ის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის შესვლას რუსეთის სფს რესპუბლიკაში ავტონომიის უფლებებით (თავდაპირველი ვარიანტი და მისი საბოლოო რედაქცია); ამონაწერი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 15 სექტემბრის სხდომის ოქმიდან, რომლიდანაც აშკარად ჩან-

---

[31] Ленин В. И. ПСС, т. 45, გვ. 557–559.

[32] აღსანიშნავია, რომ ვ. ი. ლენინის მითითებების საფუძველზე გადამუშავებულ რეზოლუციის ტექსტში, რომელიც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის ოქტომბრის პლენუმს წარუდგინეს, ეს მუხლი აღარ არის. არც იმის მტკიცება შეიძლება, რომ რეზოლუციის პროექტიდან იგი ვ. ი. ლენინის მითითებით ამოიღეს, რადგან იმ წერილში, რომელიც ვ. ი. ლენინმა 1922 წლის 26 სექტემბერს გაუგზავნა ლ. ბ. კამენევს, ამ მუხლის შესახებ არაფერია ნათქვამი. თუმცა ისიც აშკარაა, რომ მას შემდეგ, რაც საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციის" პროექტი სსრ კავშირის შექმნის იდეით შეიცვალა, ასეთი მუხლის შენარჩუნება აღარ იყო საჭირო.

და, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უარყო ი. ბ. სტალინის რეზოლუციის პროექტი; აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების რეზოლუციები, რომლებშიც მოწონებული იყო ი. ბ. სტალინის რეზოლუციის პროექტი.

25 სექტემბერს ვ. ი. ლენინი დაახლოებით 3 საათი ესაუბრა ამ საკითხებზე კომისიის წევრს გ. ი. სოკოლნიკოვს. მეორე დღეს (26 სექტემბერს) ამავე საკითხებზე 2 საათი და 40 წუთი ესაუბრა ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინს. ასე რომ, 1922 წლის 25—26 სექტემბერს ვ. ი. ლენინი უკვე საქმის კურსშია, იგი იცნობს საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებასთან დაკავშირებით შექმნილ ყველა ძირითად პარტიულ დოკუმენტსა და მასალას, ესაუბრა კომისიის რამდენიმე წევრს. ი. ბ. სტალინთან საუბრის შემდეგ, იმავე დღეს (26 სექტემბერს) ვ. ი. ლენინი წერილს უგზავნის ლ. ბ. კამენევს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის. წერილში გაკრიტიკებულია რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს კომისიის რეზოლუციის პროექტი, რომელსაც საფუძვლად „ავტონომიზაციის" გეგმა ედო. აი, სწორედ ამ წერილში წამოაყენა ვ. ი. ლენინმა პრინციპულად განსხვავებული, ახალი საკავშირო სახელმწიფოს შექმნის იდეა — დამოუკიდებელი რესპუბლიკების, მათ შორის რუსეთის სფს რესპუბლიკის ნებაყოფლობითი გაერთიანება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ასეთ სახელმწიფო გაერთიანებაში ყველა რესპუბლიკას თანაბარი უფლებები უნდა ჰქონოდა. «Важно, чтобы мы не давали пищу «независимцам», не уничтожали их независимости, а создавали еще новый этаж, федерацию равноправных республик»[33] — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი.

ვ. ი. ლენინის ეს წერილი პირველად 1959 წელს, ლენინის ოცდამეთექვსმეტე კრებულში გამოქვეყნდა. იგი მრავალმსრივაა საინტერესო. მკითხველს მოვაგონებთ მხოლოდ ზოგიერთ ადგილს: «т. Каменев! Вы, наверное, получили от Сталина резолюцию его комиссии о вхождении независимых республик в РСФСР», — ნათქვამია წერილში.

ვ. ი. ლენინის ეს ფრაზა ბევრისმეტყველია. ჯერ-ერთი, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს კომისიას, რომლის თავმჯდო-

---

[33] В. И. Ленин, ПСС. т. 45. გვ. 212.

მარედ ოფიციალურად ვ. ვ. კუიბიშევი იყო დანიშნული, ვ. ი. ლენინი სტალინის კომისიას უწოდებს („მისი კომისიის რეზოლუცია"). ეს იმაზე მიუთითებს, რომ ვ. ი. ლენინისათვის კარგად იყო ცნობილი ი. ბ. სტალინის განსაკუთრებული როლი ამ კომისიის მუშაობაში. მეორე, ყურადღებას იპყრობს ისიც, თუ როგორ აღიქვა ვ. ი. ლენინმა ი. ბ. სტალინის რეზოლუციის არსი. რეზოლუციის ოფიციალური სათაური, როგორც ვიცით, ასეთი იყო: „დამოუკიდებელ რესპუბლიკებთან რუსეთის სფს რესპუბლიკის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ". ვ. ი. ლენინი კი მას, სავსებით სამართლიანად, ასე ნათლავს: „რუსეთის სფს რესპუბლიკაში დამოუკიდებელი რესპუბლიკების შესვლის შესახებ". ამით ვ. ი. ლენინმა ზუსტად გადმოსცა სტალინის რეზოლუციის არსი[34].

«Завтра буду видеть Мдивани» (грузинский коммунист, подозреваемый в «независимости»), — სწერს ვ. ი. ლენინი ლ. ბ. კამენევს.

ამ ერთი წინადადებით ჩვენთვის აშკარა ხდება, რომ ვ. ი. ლენინი 1922 წლის 26 სექტემბერს (ე. ი. ჯერ კიდევ ბუდუ მდივანთან გასაუბრებამდე) არ თვლის ბუდუ მდივანს პარტიის ეროვნული პოლიტიკის დამმახინჯებლად. ვ. ი. ლენინი ბუდუ მდივანს ქართველ ნაციონალ-უკლონისტს კი არ უწოდებს, არამედ „ქართველ კომუნისტს", რომელიც ეჭვმიტანილია («в независимости»). ამ სიტყვის წინწკლებში ჩასმით ვ. ი. ლენინმა აგრძნობინა ლ. ბ. კამენევსა და პოლიტბიუროს სხვა წევრებს, რომ ეს ეჭვი მას სამართლიანად არ მიაჩნია, ბუდუ მდივნისადმი წაყენებულ ბრალდებას იგი იურიდიულად დამტკიცებულად არ თვლის. ამრიგად, ეს წერილი ქრონოლოგიურად ჩვენთვის ცნობილი პირველი ლენინური დოკუმენტია, რომლიდანაც აშკარად ჩანს, რომ მისი ავტორი ბუდუ მდივნის (და, უნდა ვიგულისხმოთ, მისი ჯგუფის) პოლიტიკურ საქმიანობას არ გმობს და არასწორად მიაჩნია მისთვის ნაციონალ-უკლონისტის იარლიყის მიკერება.

«По-моему, вопрос архиважный. Сталин немного имеет устремление торопиться. Надо Вам (Вы когда-то имели намерение заняться этим и даже немного занимались) подумать хорошенько; Зиновьеву тоже», — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი.

---

[34] „პრავდა", 1988 წლის 8 ივლისი.

აქედან აშკარად ჩანს, რომ ვ. ი. ლენინი გარკვეულ უკმაყოფილებას გამოთქვამდა ი. ბ. სტალინის აჩქარებით. სასარგებლოდ მიიჩნევდა ამ საქმეში კამენევისა და ზინოვიევის ჩაბმას, ამ არქიმნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრისათვის მუშაობაში მეტი სიდინჯის გამოჩენას. აქ მინიშნებულია კამენევისა და ზინოვიევის კომპეტენტურობაც (!?) ეროვნულ საკითხში. ასე რომ, ი. ბ. სტალინს განაწყენებისათვის საკმაოზე მეტი საფუძველი ჰქონდა.

ამ დოკუმენტიდან ისიც ჩანს, რომ ი. ბ. სტალინმა ვ. ი. ლენინთან საუბრის დროსაც არ აღიარა თავისი დიდმპყრობელური პოზიციის მცდარობა. იგი მხოლოდ ერთ დათმობაზე წასულა: «Одну уступку Сталин уже согласился сделать. В § I сказать вместо «вступления» в РСФСР — «формальное объединение вместе с РСФСР в союз советских республик Европы и Азии».

Дух этой уступки, надеюсь, понятен: мы признаем себя равноправными с Украинской ССР и др. и вместе и наравне с ними входим в новый союз, новую федерацию, «Союз Советских республик Европы и Азии»[35],—ვკითხულობთ ვ. ი. ლენინის წერილში.

ამ „დათმობას“ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი კარდინალურად ცვლიდა რეზოლუციის არსს. რუსეთის ფედერაციაში დამოუკიდებელი რესპუბლიკების შესვლის ნაცვლად, ვ. ი. ლენინის მითითების საფუძველზე გადაკეთებული რეზოლუცია უკვე ქმნიდა შესაძლებლობას, რომ ყველა დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რუსეთის სფს

---

[35] როგორც ეხედავთ, ვ. ი. ლენინი მიზანშეწონილად მიიჩნეოდა, რომ ახალ სახელმწიფო გაერთიანებას ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი დარქმეოდა. ამასთან დაკავშირებით, მკითხველისათვის ალბათ საინტერესო იქნება ერთი ადგილი გ. კ. ორჯონიკიძის მოხსენებიდან, რომელიც მან ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მეორე კონფერენციაზე გააკეთა: «Тов. Ленин предложил назвать этот Союз республик не Союзом Совет/ских/ соц/иалистических/ республик, а Союзом Советских Республик Европы и Азии. Из этого вы видите, что т. Ленин не очень большой противник такого объединения, но он полагает, что нужно создать такой тип объединения, в который могли бы войти все государства... Но тов. Сталин заметил, не стоит говорить Европа и Азия, а то, пожалуй, Америка и Австралия не смогут войти...» (პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 13, აღწ. 1, საქ. 10, ფურც. 34).

რესპუბლიკასთან ერთად და თანაბარი უფლებებით, გაერთიანებულიყო ახალ, საკავშრო სახელმწიფოდ — ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირად.

მაგრამ, ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ ამ „დათმობით" დაკმაყოფილება არ შეიძლებოდა. საჭირო იყო მის შესაბამისად გადამუშავებულიყო რეზოლუციის ყველა მუხლი. თავისი ვარიანტებიც შეიმუშავა (მოცემულია წერილში), აცნობა მათს შესახებ ლ. ბ. კამენევსა და პოლიტბიუროს სხვა წევრებს. სთხოვდა მათ გულისსმიერად მოკიდებოდნენ საკითხს.

სხვა ცვლილებებთან ერთად, ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, რომ რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გვერდით, დაარსებულიყო საერთო-ფედერალური, ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

«Это мой предварительный проект. На основании бесед с Мдивани и др. товарищами буду добавлять и изменять. Очень прошу и Вас сделать то же и ответить мне»[36], — ამბობს ვ. ი. ლენინი.

აი, რა მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი ბუდუ მდივნისა და სხვა პრაქტიკოსების აზრს. მთავარი მაინც ის არის, რომ ბუდუ მდივანთან საუბრის შემდეგ ვ. ი. ლენინს იმედი ჰქონდა რაიმე კონსტრუქციულ წინადადებას წამოაყენებდა. არა, ნამდვილად არ თვლიდა ვ. ი. ლენინი ბუდუ მდივანს ნაციონალისტად, პარტიის ეროვნული პოლიტიკის გამმრუდებლად. პირიქით, იგი მიაჩნდა ანგარიშგასაწევ კომუნისტად.

მიუხედავად იმისა, კარგია თუ ცუდი ეს, ბუდუ მდივანი და მისი მომხრეები მართლაც არ იყვნენ ნაციონალისტები.

«Сталин согласился, — სწერს ვ. ი. ლენინი ლ. ბ. კამენევს,— отложить внесение резолюции в Политбюро Цека до моего приезда. Я приезжаю в понедельник 2/X. Желаю иметь свидание с Вами и с Рыковым часа на 2 утром, скажем, в 12—2, и, если понадобится, вечером, скажем, 5—7 или 6—8»[37].

და მაინც, ვ. ი. ლენინს დაპირება არ შეუსრულეს. პოლიტბიუროს სხდომები უიმისოდ ჩაატარეს 1922 წლის 27 და 28 სექტემბერს. ახ-

---

[36] Ленин В. И. ПСС, ტ. 45, გვ. 213.

[37] Там же, გვ. 212.

ლახან ცნობილი გახდა (გამოქვეყნდა ღია პრესაში) ლ. ბ. კამენევისა და ი. ბ. სტალინის მიმოწერა პოლიტბიუროს 28 სექტემბრის სხდომაზე, ე. ი. ლ. ბ. კამენევის მიერ ვ. ი. ლენინის ზემოაღნიშნული წერილის მიღების მესამე დღესვე.

«Каменев: Ильич собрался на войну в защиту независимости. Предлагает мне повидаться с грузинами. Отказывается даже от вчерашних поправок. Звонила Мария Ильинична.

Сталин: Нужна, по-моему, твердость против Ильича. Если пара грузинских меньшевиков воздействуют на грузинских коммунистов, а последние на Ильича, то, спрашивается, при чем тут «независимость?»

Каменев: Думаю, раз Владимир Ильич настаивает, хуже будет сопротивляться (подчеркнуто Л. Б. Каменевым — ред.).

Сталин: Не знаю. Пусть делает по своему усмотрению»[38].

ეს მიმოწერა ნათელს ჰფენს ბევრ რამეს. უწინარეს ყოვლისა, იგი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ლენინისეული კრიტიკის შემდეგაც ი. ბ. სტალინი მთლიანად ვერ თმობს იმ პრინციპებს, რომელთადმი ზედმეტმა ერთგულებამ საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციის" გეგმამდე მიიყვანა. ბუდუ მდივნის ჯგუფის ბრძოლას საქართველოს სს რესპუბლიკის სუვერენიტეტის გაზრდისათვის, იგი ქართველ კომუნისტებზე მენშევიკების ზემოქმედებით ხსნის; მიაჩნია, რომ ვ. ი. ლენინი ქართველ ე. წ. ნაციონალ-უკლონისტთა გავლენის ქვეშ მოექცა, არასწორ პოზიციაზე დგას და საჭიროა მის წინააღმდეგ „სიმტკიცის" გამოჩენა. ეს ხომ იმის აშკარა აღიარებაც არის, რომ ი. ბ. სტალინის აზრით, ვ. ი. ლენინი ქართველ ე. წ. ნაციონალ-უკლონისტებს უჯერს მხარს.

არ შეიძლება ვ. ი. ლენინის მიმართ გარკვეული ირონია არ დავინახოთ კამენევის ბარათის პირველ ფრაზაშიც («собрался на войну»). შემდეგ, ეს ბარათი ადასტურებს, რომ ვ. ი. ლენინი კიდევ უფრო მეტი ცვლილებების შეტანას მოითხოვს რეზოლუციის პროექტში, ვიდრე

---

[38] Известия ЦК КПСС. 1989, № 9, გვ. 208—209.

ეს წინადღეს გააკეთა. რა მოხდა ამ ერთ დღეს? რატომ ცდილობს ვ. ი. ლენინი ასე სასწრაფოდ (ტელეფონით, დის საშუალებით და არა წერილით) შეატყობინოს თავისი აზრი ლ. ბ. კამენევს?

სავარაუდოა, რომ ვ. ი. ლენინი ასრულებს პირობას — ბუდუ მდივანთან საუბრის საფუძველზე, ჩემს წინასწარ პროექტში კიდევ შეეტანა დამატებებს და ცვლილებებსო. ბუდუ მდივანს კი ვ. ი. ლენინი ნამღვილად შეხვდა გორკაში 27 სექტემბერს. თუმცა, არ ვიცით, თუ კონკრეტულად პროექტში შესატან რა ცვლილებებზე ჰქონდათ საუბარი.

საფიქრებელია აგრეთვე, რომ რეზოლუციაში შესატანი ცვლილებები, რომელთა გათვალისწინებას ვ. ი. ლენინი ლ. ბ. კამენევს სთხოვდა, დაახლოებით ისეთივე იქნებოდა, როგორიც მოცემულია ვ. ი. ლენინის მიერ ამ თემაზე ცოტა მოგვიანებით (1922 წლის 30 და 31 დეკემბერი) დაწერილ ნაშრომში „ეროვნებათა საკითხისათვის" ანუ „ავტონომიზაციის შესახებ". ამ ნაშრომში კი ვ. ი. ლენინი საბჭოთა რესპუბლიკების სახალხო კომისარიატთა უმრავლესობისათვის უფრო მეტი დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხს აყენებს (რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი).

საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების თაობაზე საინტერესო მოსაზრება ჩამოყალიბებულია ბარათში[39], რომელიც ლ. ბ. კამენევმა, არაუგვიანეს 1922 წლის 27 სექტემბრისა, ვ. ი. ლენინს გაუგზავნა. ლ. ბ. კამენევი წერდა: «Вл. Ил. — По-моему или не трогать совсем вопроса о «независ(имости)» (что, видимо, уже невозможно), или провести Союз так, чтобы максимально сохранить формальную независимость, т. е. приблизительно по приложенной схеме.

Договор о Союзе должен заключать обязательно:

а) Пункт о праве одностороннего выхода из Союза;

б) Точное распределение областей ведения.

Л. Каменев»[40].

ამ ბარათს ლ. ბ. კამენევმა დაურთო საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გაშლილი სქემა (ფორმა), რასაც აქვე გთავაზობთ.

---

[39] Известия ЦК КПСС, 1989, № 9, გვ. 206.

[40] იქვე, გვ. 208.

პოლიტბიუროს 27 და 28 სექტემბრის სხდომებზე ვ. ი. ლენინის იმ შენიშვნებზეც იმსჯელეს, რომლებიც ფინანსთა, სასურსათო, შრომისა და სახალხო კომისარიატების სტატუსის განსაზღვრას ეხებოდა. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა ამ ორგანოების საერთაშორისო (ფედერალურ) სახალხო კომისარიატებად გარდაქმნას. ი. ბ. სტალინი თავდაპირველად არ იზიარებდა ამ იდეას. ამასთან დაკავშირებით დამახასიათებელია ფრაზა, რომელსაც შეიცავს 1922 წლის 27 სექტემბრის წერილი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისადმი: «По-моему, — აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი, — товарищ Ленин «поторопился», потребовав слияния наркоматов финансов, продовольствия, труда и народного хозяйства в федеральные наркоматы. Едва ли можно сомневаться в том, что эта «торопливость» «даст пищу независимцам» в ущерб национальному либерализму т. Ленина»[41].

აქ ყურადღებას იპყრობს ი. ბ. სტალინის შეუნიღბავი განაწყენებული ტონი. სიტყვები: «поторопился», «торопливость», «даст пищу независимцам» ი. ბ. სტალინმა წინწკლებში ჩასვა, რითაც საქმეში ჩახედულ ხალხს მიანიშნა, რომ ამ გამოთქმებს იგი ვ. ი. ლენინის წერილიდან იღებს. იგულისხმება ლ. ბ. კამენევისადმი ვ. ი. ლენინის 1922 წლის 26 სექტემბრის ჩვენ მიერ ზემოთ განხილული წერილი, რომელშიც ი. ბ. სტალინის მისამართით გაკეთებული შენიშვნებისათვის ვ. ი. ლენინი სწორედ ამ ტერმინოლოგიას იყენებს. სსრ კავშირის შექმნისათვის ბრძოლის პერიოდში. ვ. ი. ლენინის მიერ დაკავებულ პოზიციას კი ი. ბ. სტალინი „ეროვნულ ლიბერალიზმს“ უწოდებს.

ვ. ი. ლენინისაგან განსხვავებით, ი. ბ. სტალინი არ თვლიდა მიზანშეწონილად საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ხელისუფლების საერთო-ფედერალური ორგანოს დაარსებას. ასეთად მას სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ესახებოდა. თუ ხელისუფლების ცალკე საერთო ფედერალური (საერთო-საკავშირო) ორგანო შეიქმნებოდა, მაშინ ი. ბ. სტალინის აზრით, აუცი-

---

ბარათი წარმოადგენდა პასუხს ვ. ი. ლენინის ზემოციტირებულ წერილზე, რომელიც ლ. ბ. კამენევს 1922 წლის 26 სექტემბერს გაეგზავნა.

ლებელი გახდებოდა, ცალკე ჩამოყალიბებულიყო რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტიც. ამას მოჰყვებოდა რუსეთის ფედერაციიდან 8 ავტონომიური რესპუბლიკის გამოსვლა (თათრეთის, თურქესტანისა და სხვა რესპუბლიკები) და მათი დამოუკიდებელ რესპუბლიკებად გამოცხადება უკრაინისა და სხვა დამოუკიდებელი რესპუბლიკების მსგავსად. საჭირო გახდებოდა აგრეთვე მოსკოვში ორი პალატის (რუსეთისა და საერთო-ფედერალური) დაარსება და სხვა ღრმა გარდაქმნები, რაც, ი. ბ. სტალინის აზრით, არავითარი საშინაო თუ საგარეო პირობებით არ იყო ნაკარნახევი.[42]

პოლიტბიუროს 28 სექტემბრის სხდომაზე ი. ბ. სტალინისა და ლ. ბ. კამენევის ზემოციტირებული მიმოწერიდან ჩანს, რომ ვ. ი. ლენინთან საკამათო საკითხში ლ. ბ. კამენევიც ი. ბ. სტალინის თანამოაზრეა, ოღონდ ტაქტიკური მოსაზრებების გამო მას მიზანშეუწონლად მიაჩნია წინააღმდეგობის გაწევა. სიტყვას «сопротивляться» ლ. ბ. კამენევმა სამჯერ გაუსვა ხაზი.

ი. ბ. სტალინის პასუხშიც მკითხველი აშკარად შენიშნავს განაწყენებულ ტონს.

პოლიტბიუროს 1922 წლის 27 და 28 სექტემბრის სხდომებს, რომლებზეც სსრ კავშირის შექმნის საკითხი განიხილეს, ვ. ი. ლენინი არ ესწრებოდა, თუმცა დაპირება იყო, რომ მოსკოვში მის დაბრუნებამდე პოლიტბიუროს სამსჯელოდ ამ საკითხს არ გაიტანდნენ. მთავარი ოპონენტის დაუსწრებლობამ გარკვეული დაღი დაასვა პოლიტბიუროს სხდომების მიმდინარეობას, მაგრამ საკითხის გადაწყვეტაზე მას არსებითად არ უმოქმედია. პოლიტბიურომ გაითვალისწინა ვ. ი. ლენინის წერილობითი შენიშვნები, მათს საფუძველზე გადააკეთა რეზოლუციის პროექტი (ფაქტობრივად პროექტის ახალი ვარიანტი შეიქმნა), რომელიც დაეგზავნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებსა და წევრობის კანდიდატებს სტალინის, მოლოტოვის, ორჯონიკიძისა და მიასნიკოვის ხელმოწერით.

ვ. ი. ლენინი ამის შემდეგაც არ ტოვებს უყურადღებოდ სსრ კავშირის შექმნის საკითხს, ხვდება რესპუბლიკათა წარმომადგენლებს, ემზადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმისათვის. 29 სექტემბერს იგი ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს. მ. ს. ოკუჯავას, ლ. ე. დუმბაძესა და

---

[42] Известия ЦК КПСС. 1989, № 9. გვ. 208.

ჯ. მ. ცინცაძეს (ამავე დღეს ესაუბრა იგი სომხეთის წარმომადგენელს ა. თ. მიასნიკოვს).

ქართველ კომუნისტებთან ვ. ი. ლენინის 29 სექტემბრის საუბარს ასე გადმოგვცემს ლ. ე. დუმბაძე:

„სექტემბერში, 1922 წელს, საქ. ცენ. კომიტეტის დადგენილებით, ჩვენ, სამი ამხანაგი: მიშა ოკუჯავა, კოტე ცინცაძე და მე გაგზავნილი ვიყავით მოსკოვში ზოგიერთი კითხვების გამოსარკვევად. დავალებული გვქონდა, თუ ეს მოსასერხებელი იქნებოდა, პირადათ გვენახა ამხ. ლენინი და მასთან ერთად გამოგვერკვია ყველა ის კითხვები, რაც დავალებული გვქონდა...

ერთი კვირის ლოდინის შემდეგ ამხანაგ კამენევის დახმარებით ამხ. ლენინთან წასვლა მოახერხა ამხ. ბ. მდივანმა. ჩვენც ვისარგებლეთ ბუდუს წასვლით და გავატანეთ მას სამივეს ხელმოწერილი პატარა ბარათი, რომელშიც ვთხოვდით საქ. ცეკას სახელით, როგორც წარმომადგენლები, მივეღეთ რამდენიმე წუთით, თუ ეს მოსახერხებელია და მისთვის საძნელო არ იქნებოდა. მეორე დღესვე მივიღეთ დასტური ჩვენს თხოვნაზე და თან ავტომობილი წასასვლელად. წაგვიყვანა ამხ. პელენკიმ. აგარაკზე რომ მივედით მიგვიღო ამხ. ლენინის დამ და გვთხოვა ცოტა დაგვეცადა, სანამ ლენინს ეტყოდა ჩვენ მისვლას. ამ მოლოდინის დროს ამხ. მიასნიკოვიც მოვიდა ამხ. ლენინის სანახავად. ჩვენ გვეგონა ამხ. ლენინი ერთად მიგვიღებდა, მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ ჩამოვიდა ამხ. ლენინის და, ბოდიში მოიხადა ლენინის მაგიერ მიასნიკოვის წინაშე, რომ მას ცოტა ხნით დაცდა დასჭირდება და ჩვენ მიგვიპატიჟა ზემო სართულში. ჩვენ ვიცოდით, რომ ამხ. ლენინი მორჩენილი იყო, მარა, თუ ასე სავსებით, არ გვეგონა და როდესაც ის კარებში შემოგვეგება, ყოჩაღათ და ჩვეულებრივი ღიმილით, ჩვენს სიხარულს და განცვიფრებას საზღვარი არ ქონდა. თავის ხელით დაგვიდგა სკამები, საფერფლე მოგვიტანა და გვითხრა: „მე პაპიროსს არ ვწევ და სამწუხაროთ არც მაქვს. ალბათ თქვენ თითონ გექნებათ არ დაგერიდოთ, მე არ მწყენს, მოსწიეთო“.

უნდა გამოვტყდეთ იმაშიაც, რომ ჩვენ ერთნაირად როლებიც გვქონდა განაწილებული იმის შესახებ, თუ ვის რაზე უნდა ელაპარაკა. ამხ. მიშას უნდა დაეწყო, მერე ამხ. კოტეს უნდა ელაპარაკა და ბოლოს მე.

ჩვენი პლანები ერთბაშად ჩაიშალა, რადგან ამხ. ლენინი პირდაპირ კითხვებზე გადავიდა. იმდენი კითხვები დაგვისვა, რომ ძლიეძლივობით ვასწრებდით პასუხის მიცემას. სულ პატარ-პატარა და მარტივ

კითხვებს გვიყენებდა, მაგალითად, „როგორი არის გლეხების განწყობილება საბჭოთა ხელისუფლებისადმი“, — როდესაც ვუპასუხეთ, რომ კარგი არისო, — შეგვეკითხა: „რით მოიმადლიერეთ გლეხობაო“. ჩვენ ვუპასუხეთ: იმით, რომ არხები გავიყვანეთ; თეთრი პურის შოვნა შეუძლიათ რამდენიც უნდათ. დიდძალი მანუფაქტურა და სხვა საქონელი შევიდა ბათუმიდან სოფელშიო.

ამაზე გვიპასუხა: „ეს თუ მიიღო გლეხობამ, მაშინ გასაგებია მათი კმაყოფილებაო“.

„გლეხს შეუძლია, მაგალითად, შორაპანში ქართულად იყიდოს რკინის გზის ბილეთიო?“:

ჩვენ ვუთხარით, რასაკვირველია, შეუძლია, რადგან ბილეთის და სადგურის სახელი, სადაც მას უნდა წასვლა, ერთნაირად გამოითქმის ქართულადაც და რუსულადაც.

„ეს მაგას არ გეკითხები, მე გეკითხები „ჩინოვნიკი“ იმ სადგურზე ქართველია თუ სხვა ვინმეო“. ჩვენ ვუპასუხეთ: ისიც არის და ისიც...

ყველაზე უფრო დაინტერესა ამხ. სტალინის თეზისებმა „ავტონომიზაციის“ შესახებ.

„თქვენი ცეკას აზრი როგორია ამ თეზისების შესახებო. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ცეკა ნაადრევათ სთვლის თეზისების ვატარებას ჯერ-ჯერობითო.

„მეც ამ აზრისა ვარო“.

„თქვენი ცეკას აზრი როგორია ისეთი კავშირის შექმნაზე, სადაც ყველა საბჭოთა რესპუბლიკები შევლენ და ერთ დიდ კავშირს წარმოადგენენო“.

ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ეს ახალი კითხვა არის და ცეკაში ამაზე არ გვქონია მსჯელობა, ამიტომ ცეკას აზრს ვერ გეტყვით, მარა ჩვენ თითონ ძალიან მიზანშეწონილად მიგვაჩნია და დარწმუნებულიც ვართ, რომ ცეკაც ასეთი აზრისა იქნებაო. ამას გარდა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამისთვისაც ერთი დიდი წინასწარი პოლიტიკური კამპანია იქნება საჭირო, რომ კარგათ გავაგებიოთ მთელ მასებს ასეთი კავშირის შექმნის სიდიადე და ერთხელ და სამუდამოთ გამოვგლიჯოთ საბჭოთა ხელისუფლების მტრებს ხელიდან საპროვოკაციო იარაღიო“[43].

ამრიგად, ვ. ი. ლენინი ავადმყოფობის მიუხედავად, ცდილობდა შეესწავლა საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებისათვის ბრძოლის ყვე-

---

[43] რევოლუციის მატიანე, № 1 (6), 1924, გვ. 36—38.

ლა ასპექტი. მან მოუსმინა ორივე მხარეს: „ავტონომიზაციის“ მომხრეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც. საქართველოდან, მაგალითად, როგორც ვნახეთ, „ავტონომიზაციის“ მოწინააღმდეგე 4 კომუნისტი მიიღო (პ. გ. (ბუდუ) ზდივანი, ლ. ვ. ღუმბაძე, მ. ს. ოკუჯავა, და კ. მ. ცინცაძე)[44]. პრაქტიკოს მოღვაწეებთან საუბრებმა ვ. ი. ლენინს კიდევ უფრო განუმტკიცა ადრინდელი აზრი „ავტონომიზაციის“ იდეის მიუღებლობის შესახებ. ჰქონდა აგრეთვე საუბრები „ავტონომიზაციის“ მომხრეებთან: ი. ბ. სტალინთან, გ. კ. ორჯონიკიძესთან, ა. თ. მიასნიკოვთან, გ. ი. სოკოლნიკოვთან და სხვ. თავის მოსაზრებებს ვ. ი. ლენინი აცნობებდა ყველას, ვისაც საკითხის გადაწყვეტა ევალებოდა, პირველ რიგში, მითითება მისცა კომისიის წევრებს. მათ ვ. ი. ლენინის მითითებების თანასმად, გადაამუშავეს რეზოლუციის პროექტი და წარუდგინეს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის ოქტომბრის პლენუმს. კომისია ხომ ამ პლენუმის რეზოლუციის პროექტის შესამუშავებლად იქნა გამოყოფილი იმავე წლის აგვისტოში.

ვიდრე ოქტომბრის პლენუმამდე მიაღწევდა, ი. ბ. სტალინის „ავტონომიზაციის თეზისების“ პირველმა მუხლმა საგრძნობი ცვლილებები განიცადა, რაც უმთავრესად იმით იყო გაპირობებული, რომ „თეზისები“ არ მოიწონეს ქართველმა „ნაციონალ-უკლონისტებმა“, სხვა რესპუბლიკათა ზოგიერთმა წარმომადგენელმა და, რაც მთავარია, ვ. ი. ლენინმა.

---

[44] „პრავდის“ 1988 წლის 12 აგვისტოს პუბლიკაცია „ქართული ინციდენტი“ (მოამზადეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გ. ვ. ყურავლიოვმა და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. პ. ნენაროკოვმა), რომელშიც ადრინდელი პუბლიკაციებისაგან განსხვავებით, სწორად არის გადმოცემული ე. წ. ქართველი ნაციონალ-უკლონისტებისადმი ვ. ი. ლენინის დამოკიდებულება, მაინც არ არის ბოლომდე თავისუფალი ძველი სტერეოტიპისაგან. ასე, მაგალითად, პუბლიკაციაში ეკითხულობთ: „სხვათა შორის, მდივანთან, სხვა ქართველ ხელმძღვანელებთან საუბრის ჟროს 1922 წლის სექტემბერში (ბაზგასმა ჩვენია — ლ. თ.), ვლადიმერ ილიას ძემ უკომპრომისოდ მიეთითა მათ ნამდვილ შეცდომებზე, მოთმინებით უსწორებდა ამხანაგებს, აფრთხილებდა არ გაეზვიადებინათ ეროვნული მომენტი ინტერნაციონალიზმის. მომძმე რესპუბლიკების თანამეგობრობის ინტერესების საზიანოდ“.

კატეგორიულად შეიძლება ითქვას: ჯერჯერობით ცნობილი არ არის არც ერთი ლენინისეული დოკუმენტი, რომლიდანაც ჩანდეს, რომ 1922 წლის სექტემბრის შეხვედრების დროს ვ. ი. ლენინს „უკომპრომისოდ მიეთითებინოს“ ქართველ ე. წ. ნაციონალ-უკლონისტთა „ნამდვილ შეცდომებზე“, გაეფრთხილებინოს ისინი „არ გაეზვიადებინათ ეროვნული მომენტი ინტერნაციონალიზმის, მომძმე რესპუბლიკების თანამეგობრობის ინტერესების საზიანოდ“.

მკითხველს ახსოვს ი. ბ. სტალინის „ავტონომიზაციის თეზისების“ (წარმოდგენილ იქნა არა უადრეს 1922 წლის 11 აგვისტოს) პირველი მუხლი:

«1. Признать целесообразным формальное вступление советских республик: Украины, Белоруссии, Азербайджана, Грузии и Армении в состав РСФСР...»[45]

სწორედ ამ მუხლის გამო ეწოდა თეზისებს „ავტონომიზაციის“ პროექტი, რადგან იგი აუქმებდა საბჭოთა რესპუბლიკებს და მათ რუსეთის ფედერაციის ავტონომიებად გარდაქმნას უქადდა. სწორედ ამიტომ არ მოიწონეს ქართველმა „ნაციონალ-უკლონისტებმა“ ეს პროექტი. ამასთან, ამ პროექტში ამიერკავკასიის ფედერაცია ნახსენები არ არის. საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, როგორც რუსეთის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკები, ცალ-ცალკე არიან დასახელებული.

1922 წლის 24 სექტემბერს „თეზისების“ პირველმა მუხლმა ასეთი სახე მიიღო:

«1. Признать целесообразным заключение договора между советскими республиками Украины, Белоруссии, Азербайджана, Грузии, Армении и РСФСР о формальном вступлении первых в состав РСФСР...»[46]

როგორც ვხედავთ, ეს რეზოლუცია ფაქტობრივად იმეორებს 11 იანვრის დოკუმენტს. ორივე იწონებს „ავტონომიზაციის თეზისებს“ და არც ერთ მათგანში არ არის ლაპარაკი ამიერკავკასიის ფედერაციაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ საბჭოთა რესპუბლიკები რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შეიდოდნენ (ე. ი. „ავტონომიზაციის პროექტი“ განხორციელდებოდა), მაშინ ი. ბ. სტალინსა და კომისიის სხვა წევრებს ამიერკავკასიის ფედერაციის შენარჩუნება აუცილებლად არ მიაჩნდათ.

2 დღის შემდეგ, 1922 წლის 26 სექტემბერს, საქმეში ვ. ი. ლენინისა და ლ. ბ. კამენევის (შეიძლება სხვებისაც) ჩარევის შემდეგ, ი. ბ. სტალინის პროექტი საგრძნობ ცვლილებას განიცდის. დოკუმენტში, რომელიც 26 სექტემბერს ი. ბ. სტალინის, გ. კ. ორჯონიკიძის, ა. თ. მიასნიკოვისა და ვ. მ. მოლოტოვის ხელმოწერით დაეგზავნა

---

[45] Известия ЦК КПСС. 1989. № 9. გვ. 192.

[46] იქვე. გვ. 203.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებსა და წევრობის კანდიდატებს, ვკითხულობთ: «Мы считаем, что резолюция комиссии Цека по вопросу об отношениях между РСФСР и независимыми республиками (она роздана членам и кандидатам ЦК) в основе правильная и безусловно приемлемая, нуждается в уточнении некоторых пунктов, касающихся главным образоом строения общесоюзных центральных органов и отчасти их функций. В этом убедили нас беседы с некоторыми членами Цека и с рядом нацнонапов с мест. Сообразно с этим мы вносим в ЦК следующую несколько измененную, более точную формулировку решения Комиссии ЦК: «1. Признать необходимым заключение договора между Украиной, Белоруссией, Федерацией Закавказских Республик и РСФСР об объединении их в «Союз Социалистических Советских Республик» с оставлением за каждой из них права свободного выхода из состава «Союза»...[47]

რა შეიძლება ითქვას ამ დოკუმენტზე?

ჯერ ერთი, „პროექტის“ ავტორებმა — ი. ბ. სტალინმა, გ. კ. ორჯონიკიძემ, ა. თ. მიასნიკოვმა და ვ. მ. მოლოტოვმა — არაფერი თქვეს იმის შესახებ, რომ „პროექტი“ გადაკეთებულ იქნა ვ. ი. ლენინის, აგრეთვე ლ. ბ. კამენევის შენიშვნების საფუძველზე (იხ. ვ. ი. ლენინის 1922 წლის 26 სექტემბრის წერილი ლ. ბ. კამენევისადმი და ლ. ბ. კამენევის წერილი ვ. ი. ლენინისადმი) არა უგვიანეს 1922 წლის 27 სექტემბრისა.

მეორე, პროექტის პირველ მუხლში ხელშეკრულების დამდებ რესპუბლიკებს შორის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაცვლად, მოხსენიებულია ამიერკავკასიის ფედერაცია, რაც ძირეულად ცვლის მუხლის შინაარსს, მის პოლიტიკურ მნიშვნელობას.

მესამე, პროექტის წინანდელი ვარიანტებისაგან განსხვავებით, 26 სექტემბრის დოკუმენტში ლაპარაკია არა რუსეთის ფედერაციაში საბჭოთა რესპუბლიკების შესვლაზე, არამედ რუსეთის ფედერაციასთან ერთად „სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში“ მათს გაერთიანებაზე და „კავშირის“ შემადგენლობიდან მათი თავისუფალი

---

[47] Известия ЦК КПСС, 1989, № 9, გვ. 205—206.

გამოსვლის უფლებაზე. ეს ცვლილება პროექტის ვარიანტში ვ. ი. ლენინის მითითებით იქნა შეტანილი. სწორედ ამ ცვლილებამ განაპირობა „ავტონომიზაციის“ იდეის კრახი და საბჭოთა კავშირის შექმნის ლენინისეული გეგმის გამარჯვება, მან თავდაყირა დააყენა საერთოდ „ავტონომიზაციის“ პროექტი. ამიტომ არ არიან სწორი „პროექტის“ ავტორები, როცა ამბობენ, რომ 26 სექტემბრის ვარიანტში მოცემულია „ცენტრალური კომიტეტის კომისიის გადაწყვეტილების ოდნავ შეცვლილი, უფრო ზუსტი ფორმულირება“ ეს აკნინებს სახეშეცვლილი პროექტის მნიშვნელობას.

მ ე ო თ ხ ე, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს დოკუმენტი პროექტის ის ვარიანტია, რომელიც მცირეოდენი რედაქციული ჩასწორებით მიიღო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის ოქტომბრის პლენუმმა.

ი. ბ. სტალინმა 1922 წლის 27 სექტემბერს ლ. ბ. კამენევისადმი ვ. ი. ლენინის 1922 წლის 26 სექტემბრის წერილის საპასუხოდ საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების კიდევ ერთი, ქართველი „ნაციონალ-უკლონისტებისათვის“ ერთობ მისაღები ვარიანტი შესთავაზა ვ. ი. ლენინსა და პოლიტბიუროს წევრებს: ზინოვიევს, კალინინს, კამენევს, მოლოტოვს, რიკოვს, ტომსკის, ტროცკის. ი. ბ. სტალინის ამ წერილზე ზემოთ გვქონდა საუბარი. ამჯერად მისი პირველი მუხლი დავიმოწმოთ:

«1. По параграфу I резолюции комиссии, по-моему, можно согласиться с предложением т. Ленина, формулируя ее так: «Признать целесообразным формальное объединение советских социалистических республик Украины, Белоруссии, Грузии, Азербайджана и Армении с РСФСР в Союз Советских Республик Европы и Азии»[48].

როგორც ვხედავთ, ამ ვარიანტში ამიერკავკასიის ფედერაცია უკვე აღარ არის ნახსენები. საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი პროექტის ავტორის აზრით, ცალ-ცალკე უნდა შესულიყვნენ ევროპისა და აზიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში. ამასთან ი. ბ. სტალინი ამ ცვლილებას ვ. ი. ლენინის სახელს უკავშირებს («Можно согласиться с предложением т. Ленина»), რაც უთუოდ ყურადსაღებია.

---

[48] Известия ЦК КПСС, 1989. № 9. გვ. 208.

ამ ვარიანტმა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 6 ოქტომბრის პლენუმამდე ვერ მიაღწია. პლენუმმა, როგორც ცნობილია, ძირითადად 26 სექტემბრის ვარიანტი დაამტკიცა. მასში კი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შესვლა სსრ კავშირში გათვალისწინებული იყო არა ცალკე, არამედ ამიერკავკასიის ფედერაციის სახით.

რაც შეეხება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი გაერთიანების სახელწოდებაში „ევროპისა და აზიის" დასახელებას (გამოთქმა ვ. ი. ლენინს ეკუთვნის), იგი, ცოტა მოგვიანებით, როგორც გ. კ. ორჯონიკიძე გადმოგვცემს, თვით ი. ბ. სტალინმა მიიჩნია მიზანშეუწონლად.

5. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის ოქტომბრის პლენუმი და ამიერკავკასიის ფედერაცია

პლენუმი 5—6 ოქტომბერს მიმდინარეობდა. 5 ოქტომბრის სხდომებს ვ. ი. ლენინიც ესწრებოდა და გამოვიდა კიდეც ლ. ურკარტთან წინასწარი საკონცესიო ხელშეკრულების დამტკიცების წინააღმდეგ. ამ საკითხზე კამათის დროს ჩანაწერებიც გააკეთა. ამავე სხდომაზე განიხილეს აგრეთვე ამიერკავკასიაში ფულის რეფორმის საკითხიც[49].

პლენუმის 6 ოქტომბრის სხდომას, რომელზეც „რუსეთის სფს რესპუბლიკასთან დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი" განიხილეს, ავადმყოფობის გამო ვ. ი. ლენინი ვერ დაესწრო, მაგრამ პლენუმის მუშაობაში ვ. ი. ლენინის არაპირდაპირი მონაწილეობა აშკარა იყო პლენუმის ყველა მონაწილისათვის. მას დაწვრილებით ინფორმაციას აწვდიან სხდომის შესახებ. ამის შედეგი უნდა იყოს ისიც, რომ იმავე დღეს პლენუმის დამთავრებამდე ვ. ი. ლენინი მკითხველისათვის კარგად ცნობილ და, შეიძლება ითქვას, მრავლისმეტყველ ბარათს უგზავნის ლ. ბ. კამენევს: „ველიკორუსულ შოვინიზმს ვუცხადებ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, როგორც კი განვთავისუფლდები ამ წყეული კბილისაგან, ჩემივე საღი კბილებით დავგლეჯ მას.

---

[49] Владимир Ильич Ленин. Биографическая хроника. Том 12, декабрь 1921—январь 1924. з. 1982, зз. 399.

საჭიროა ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ დაჟინებით მოვითხოვოთ, რომ კავშირის ცაკ-ში რიგრიგობით თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ო ბ დ ნ ე ნ

რუსი

უკრაინელი

ქართველი და სხვ.

ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ!"[50].

ი. ბ. სტალინმა ამ ბარათს მიაწერა: „სწორია"![51].

3. ი. ლენინის ეს ბარათი აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ პლენუმის მონაწილეები ადვილად როდი თმობდნენ ველიკორუსული შოვინიზმის პოზიციებს.

კომისიის რეზოლუციის პროექტში პლენუმმა რედაქციული შესწორებებიც[52] შეიტანა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ვ. ი. ლენინის მითითების თანახმად იგი გულისხმობდა საბჭოთა რესპუბლიკების შესვლას არა რუსეთის ფედერაციაში, არამედ ახალ სახელმწიფო გაერთიანებაში — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში. ამ სახელმწიფო გაერთიანებით რუსეთიც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად მათი თანაბარი უფლებებით შედიოდა.

კომისიის რეზოლუციის პროექტი პლენუმმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივად ჩათვალა. საბოლოოდ მან ასეთი სახე მიიღო: «1. Признать необходимым заключение договора между Украиной, Белоруссией, Федерацией Закавказских республик и РСФСР об объединении их в «Союз Социалистических Советских Республик» с оставлением за каждой из них права свободного выхода из состава «Союза».

2. Высшим органом «Союза» считать «Союзный ЦИК», составляющийся из представителей ЦИКов РСФСР, Закавказской Федерации, Украины, Белоруссии, пропорционально представляемого им населения.

3. Исполнительным органом «Союзного ЦИКа» считать «Союзный Совнарком», назначаемый «Союзным ЦИКом».

---

[50] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 438.

[51] იქვე.

[52] ეაგ., რეზოლუციის მე-4 მუხლის შენიშვნაში სიტყვა „მიზანშეწონილად" შეცვალეს სიტყვით „აუცილებლად".

4. Индел, Внешторг, Наркомвоен, НКПС и Почтель республик и федераций, входящих в состав «Союза», слить с таковыми «Союза Советских Социалистических Республик» с тем, чтобы у соответствующих наркоматов «Союза Республик» имелись в республиках и федерациях свои уполномоченные с небольшим аппаратом, назначаемые наркомами «Союза» по соглашению с ЦИКами федераций и республик.

Примечание: Считать необходимым привлечение представителей заинтересованных республик в соответственные заграничные представительства НКИД и НКВТ.

5. Наркоматы финансов, продовольствия, народного хозяйства, труда и инспекции республик и федераций, входящих в состав «Союза Республик», равно как и центральные органы борьбы с контрреволюцией, подчинить директивам соответствующих наркоматов и постановлениям Совнаркома и СТО «Союза Республик».

6. Остальные наркоматы входящих в состав «Союза» республик, как-то: юстиции, просвещения, внудел, земледелия, народного здравия и социального обеспечения считать самостоятельными»[53].

პლენუმმა შექმნა კიდევ ახალი კომისია (ი. ბ. სტალინი, ლ. ბ. კამენევი, მ. ი. კალინინი, ა. ი. რიკოვი, გ. ლ. პიატაკოვი, გ. ვ. ჩიჩერინი, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები), რომელსაც დაევალა ამ დირექტივის ცხოვრებაში გატარებისათვის პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება[54].

ამ კომისიამ 1922 წლის ნოემბერში სპეციალურად იმსჯელა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის წესზე და წინადადება მისცა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს სახელმწიფოებრივი წესით გაეფორმებინათ ამიერკავკასიის ფედერაცია, კერძოდ, ამიერკავკასიის საბჭოების მომავალ ყრილობაზე შეექმნათ

---

[53] КПСС в резолюциях... том второй, 1917—1922, მ., 1983, გვ. 599—600.

[54] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 17, აღწ. 2, საქ. 84, ფურც. 1, 3.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სახკომსაბჭო[55].

მაშასადამე, ამიერკავკასიის ფედერაცია ახალ ძალას იკრებდა, სულ მალე იგი ფედერაციულ რესპუბლიკად უნდა გარდაქმნილიყო. ამის წინააღმდეგ ქართველ ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტები“ უკვე აშკარად გამოდიან და სიმართლე უეჭველად მათს მხარეზე იყო.

გავიხსენოთ, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 6 ოქტომბრის პლენუმს ვ. ი. ლენინი არ დასწრებია. სავარაუდოა, რომ სწორედ ეს ფაქტი ასულდგმულებდა ქართველი ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტების“ ბრძოლას ამიერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ, რადგან მიაჩნდათ, რომ თუ ვ. ი. ლენინი მათს არგუმენტებსა და მოსაზრებებს მოისმენდა, მაშინ იგი უფრო მეტად გამოიდებდა თავს ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმებისათვის.

ბუნებრივად ისმის კითხვა: იცოდა თუ არა ბუდუ მდივანმა ვ. ი. ლენინის აზრი სსრ კავშირის შექმნის შემდეგ ამიერკავკასიის ფედერაციის ბედის შესახებ და საერთოდ ჰქონდათ თუ არა მათ საუბარი ამ თემაზე 1922 წლის 27 სექტემბრის შეხვედრისას?

არავითარი დოკუმენტური მასალა ამ კითხვაზე კატეგორიული პასუხის გასაცემად არ გაგვაჩნია, მაგრამ თითქოს ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ, რომ ვ. ი. ლენინთან საუბრისას ბუდუ მდივანი აუცილებლად წამოჭრიდა ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხს. დასაშვებია ისიც, რომ იმ ეტაპზე „ავტონომიზაციის“ პროექტის უკუგდებით დაკმაყოფილდა და დანარჩენზე თავი შეიკავა. იქნებ ყოველივე ამას ვ. ი. ლენინის რჩევით აკეთებდა? იქნებ „ავტონომიზაციის“ მომხრეთა (ასეთები კი ბევრნი იყვნენ და მათ პარტიაში დიდი გავლენაც ჰქონდათ) სრული განაწყენება, პლენუმზე მათთან კონფრონტაცია საქმისათვის საზიანოდ მიიჩნიეს?

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ი. ბ. სტალინის დეპეშა, რომელიც მან ბაქოში ს. მ. კიროვს გაუგზავნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დამთავრების 10 დღის შემდეგ, 1922 წლის 16 ოქტომბერს: «Предложение ЦК Грузии о преждевременности объединения и сохранения независимости Пленумом ЦК

---

[55] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 3, აღწ. 1. საქ. 2479. ფურც. 118—119,

отвергнуто единогласно, представитель ЦК Грузии Мдивани ввиду такого единодушия Пленума вынужден был отказаться от предложения ГрузЦК. Пленумом принято без всяких изменений предложение членов комиссии Сталина, Орджоникидзе, Мясникова и Молотова о сохранении Закфедерации и объединении последней с РСФСР, Украиной и Белоруссией в «Союз Социалистических Советских Республик». Текст резолюций следует согласовать с тов. Орджоникидзе. ЦК РКП (б) не сомневается, что его директива будет проведена с энтузиазмом»[56].

ამ დეპეშის ზოგიერთი ადგილი მთლად ზუსტად არ ასახავს საქმის ნამდვილ ვითარებას. ჯერ ერთი, პლენუმს არ შეეძლო უარეყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადება „გაერთიანების ნაადრევობის“ შესახებ, რადგან ასეთი წინადადება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს არ წამოუყენებია. სინამდვილეში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ნაადრევად მიიჩნია არა გაერთიანება საერთოდ, არამედ ისეთი გაერთიანება, რომელსაც ი. ბ. სტალინის მიერ შემოთავაზებული თეზისები („ავტონომიზაციის პროექტი“) გულისხმობდა; მეორე, პლენუმმა ყოველგვარი შესწორების გარეშე და ერთხმად დაამტკიცა კომისიის არა თავდაპირველი წინადადება („ავტონომიზაციის პროექტი“), არამედ ვ. ი. ლენინის შენიშვნების საფუძველზე გადაკეთებული პროექტი. მასში კი გათვალისწინებული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ე. წ. უკლონისტური შემადგენლობის ძირითადი მოთხოვნაც. მესამე, ი. ბ. სტალინი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა ბედი ეწია გაერთიანების იმ ვარიანტს, რომელიც თვითონ მან წარუდგინა ვ. ი. ლენინსა და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს 1922 წლის 27 სექტემბერს. ამ ვარიანტის მისედვით კი, როგორც ვნახეთ, ამიერკავკასიის რესპუბლიკები ცალ-ცალკე უნდა შესულიყვნენ სსრ კავშირში და არა ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით.

საქმის ნამდვილი ვითარება, ჩვენი აზრით, უფრო სწორად არის გადმოცემული წერილში, რომელიც ბუდუ მდივანმა მოსკოვიდან

---

[56] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 558, აღწ. 1, საქ. 4004, ფურც. 1.

1922 წლის 8 ოქტომბერს გამოუგზავნა სერგო ქავთარაძეს თბილისში:

«Дорогой Сережа. Я должен ехать к Кемалю по постановлению Пленума ЦК. Надо окончательно установить, куда гнет Кемаль и что следует делать нам, если он серьезно замыслил сговориться с Антантой. Не знаю, удастся ли мне все выяснить, но время для работы в Грузии я потеряю примерно два месяца и затем подойдет съезд советов России. Должно быть и мне придется участвовать, опять потеря времени и т. д.

Из приложенных документов (по моему возвращению ты их мне должен вручить) ты увидишь, какие фазы прошли наши вопросы. Сначала (без Ленина) нас били по-держимордовски, высмеивая нас, а затем, когда вмешался Ленин после нашего с ним свидания и подробной информации, дело повернулось в сторону коммунистического разума.

По финансовому вопросу — курс приравнен грузбону, по вопросу о взаимоотношениях принят добровольный союз на началах равноправия и в результате всего этого удушливая атмосфера против нас рассеялась, напротив, на Пленуме ЦК нападению подверглись великодержавники — так и говорили Бухарин, Зиновьев, Каменев и другие. Проект принадлежит, конечно, Ленину, но он внесен от имени Сталина, Орджоникидзе и др., которые сразу изменили фронт.

Я прилагаю также собственноручное письмо Ленина, адресованное Каменеву, который все время писал больному зубом Ленину о ходе прений по вопросу о взаимоотношениях.

Я очень жалею, что не могу лично доложить о прениях по этому вопросу, но одно то интересно, что прения продолжались целых 3 часа — это нечто чудовищное на пленумах, где вопросы решаются с кинематографической быстротой.

Прения показали, что известная часть Цека прямо отрицает существование национального вопроса и целиком заражена великодержавническими тенденциями, но эта часть получила такую оплеуху, что не скоро решится снова высунуться из норы, куда ее загнал Ленин (о его настроениях узнай из его письма[57], которое было оглашено в конце заседания, после решения вопроса), смотри не теряй письмо, я еле выпросил у Каменева.

---

[57] იგულისხმება ვ. ი. ლენინის ცნობილი — „ველიკორუსულ შოვინიზმს ვუცხადებ სამკვლრო-სასიცოცხლო ბრძოლას...“ (ვ. ი. ლენინი, თხზ, ტ. 33, გვ. 438.

Да. атмосфера немножко рассеялась, но она может снова сгуститься, если не показать силу и если мы не сумеем поставить дело информации хорошо. Об этом мы с Котэ и Мишей говорили много, наверное они тебе уже говорили, надо серьезно готовиться и собрать все силы, как для Закавказского съезда, так и для общероссийского съезда.

Буду. Москва»[58].

როგორც ვხედავთ, ბუდუ მდივანი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის ოქტომბრის პლენუმის მიერ „ავტონომიზაციის“ პროექტის უარყოფის შემდეგაც არ ურიგდება შექმნილ მდგომარეობას და ახალი ბრძოლისაკენ მოუწოდებს თავის თანამოაზრეებს. თვითონ საზღვარგარეთ გაემგზავრა[59]. ამიერიდან კი ქართველი ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტები“, როგორც ითქვა, ნამდვილად და აშკარად იბრძვიან ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმებისა და სსრ კავშირში ამიერკავკასიის 3 რესპუბლიკის უშუალო შესვლისათვის.

ოქტომბრის პლენუმის შემდეგ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს ამ საკითხზე პირველი ოფიციალური მსჯელობა ჰქონდა 1922 წლის 14 ოქტომბერს. ამ დღეს პრეზიდიუმმა ფილიპე მახარაძის, სერგო ქავთარაძის, მიხეილ ოკუჯავას, ეფრემ ეშბას, პარმენ საბაშვილისა და კოტე ცინცაძის მონაწილეობით (ესწრებოდნენ აგრეთვე მიხა ცხაკაია, მიხეილ ჩიხლაძე, ბესო კვირკელია და არტემ კვირიკაძე) განიხილა კომისიის მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ და დაადგინა: «Предложить комиссии в составе т. т. Окуджава, Кавтарадзе, Эшба и Квиркелия представить к следующему заседанию Президиума ЦК на утверждение мотивированное заявление для ЦК РКП с просьбой распространить на Грузию положение о независимом

---

[58] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი. ფ. 5, აღწ. 2, საქ. 26, ფურც. 29 (დოკუმენტი გადმოგვცა პროფესორმა გ. კ. ყვანიამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ. იგი შემოკლებით გამოქვეყნებულია ს. ე. ხარმანდარიანის დასახ. ნაშრომში, (გვ, 347—348) და გ. კ, ყვანიას წიგნში „ეგრეთ წოდებული“ ნაციონალ-უკლონიზმის „შესახებ“ (თბ,, 1990, გვ. 45—46),

[59] მართალია, ბუდუ მდივანს უკვე ჰქონდა თურქეთში დიპლომატიური მოღვაწეობის გარკვეული გამოცდილება, მაგრამ ამ პერიოდში მისი საქართველოდან „გაწვევა“, საფიქრებელია, „ქართული ოპოზიციის“ შესუსტებასაც ისახავდა მიზნად.

вхождении Украины и Белоруссии в Союзный Совет Совреспублик»[60].

მეტად პრინციპული სჯა-ბაასი გამართა ამ საკითხზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა 1922 წლის 19 ოქტომბერს. ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტთა“ პოზიცია ამ პლენუმზე აშკარად გამოიკვეთა. ამას ნათლად მოწმობს პლენუმის საოქმო ჩანაწერი, რომელიც მკითხველთა ფართო წრისათვის აბსოლუტურად უცნობია. მოვიყვანოთ იგი მთლიანად.

Протокол № 79

Заседания расширенного Пленума ТК КПГ от 19 с/октября, совместно со следующими организациями: члены ЦК КПГ, члены Заккрайкома РКП, члены фракции Закбюро ВЦСПС и Президиума СПСГ, члены райкомов, ответственные организаторы и завед. основными отделами ТК, ЦК и Заккрайкома.

Председательствует тов. Мих. Кахиани.
Секретарь тов. Арустанов,
Присутствует 101 т. т.
Порядок дня: 1. Сообщение Бюро ТК КПГ

Слушали	Постановили
1. Сообщение Бюро ТК и тов. Орджоникидзе о последних постановлениях Пленума ЦК РКП от 6 октября с. г.	1. Заслушав сообщение Бюро ТК и т. Орджоникидзе о последних постановлениях Пленума ЦК РКП по вопросу о создании Союза Социалистических Советских Республик, о финансовой реформе в Закавказье и о профработниках Грузии, Пленум ТК:

[60] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 193, ფურც, 283.

Слушали	Постановили
Тов. Цинцадзе: — «Постановление ЦК РКП совершенно не расходится с мнением ЦК КПГ. На Пленуме ЦК РКП восторжествовала наша точка зрения. Отзыв 7—10 тт. вопрос давно предрешен, мы не возражаем против отзыва, но просили дать ЦК КПГ самому произвести эту переброску».	1) Принимает их к сведению и неуклонному проведению в жизнь.
Тов. Окуджава: — «Противопоставляет Ленина всему ЦК. «Только гениальный ум Ленина отметил неправильное понимание вопроса Пленумом ЦК. По национальному вопросу 1-ая комиссия (Сталин, Орджоникидзе и Мясников) решила применить автономизацию, но т. Ленин настоял на союзе независимых республик. Мнение т. Ленина несомненно склоняется к федерации отдельными республиками, а не через Закавказскую федерацию, ибо смысл постановления ЦК РКП тоже таков, что там восторжествовала точка зрения строения по национально-республиканским признакам, а не по экономическим. Что же касается Закавказской федерации, она не жизненная, в то время, как отдельные республики — Грузия, Армения и Азербайджан живые организмы, естественные образования».	2) Постановляет открыть кампанию в партийных массах в духе этих решений. Единогласно принимается составом Пленума ТК и райкомов. За первое предложение — 62 (общее голосование)
Тов. Орджоникидзе — считает необходимым оглашение мнения т. Буду Мдивани по этому вопросу	

Слушали	Постановили
и просит прочесть письмо к тов. С. Кавтарадзе, ибо Мдивани в Москве утверждал, что он во всем согласен с постановлением ЦК РКП.	
Тов. Кавтарадзе — читает письмо Буду Мдивани, где сказано, что обращение с ними, т. е. с грузинскими делегатами на Пленуме ЦК РКП было держимордовское и только появление т. Ленина разрядило обстановку и сменилось лояльным настроением и Ленин в своем письме обвинял Пленум в великодержавности. Мобилизуйте силы и готовьтесь к Закавказскому и Российскому съезду. О правильной постановке информации я уже говорил с Цинцадзе, Думбадзе и Окуджава.	
Тов. Махарадзе: — «Мы не возражаем против объединения, но нужно считаться с грузинским народом, перед которым мы ответственны. Все дело в подходе, необходимо подходить осторожно, а не рубить с плеча, ибо мы не можем гарантировать спокойствие в случае форсированного проведения этого вопроса, а нас Заккрайком хочет вести галопом.	
Федерация Закавказских Республик — это труп, ибо она создана искусственным путем и Вам не удастся гальванизировать его.	
Такая же история случалась с Закавказским Комиссариатом, который рассыпался по этой же причине.	
Создание Закфедерации — это создание бюрократического аппарата».	

Слушали	Постановили
Предложение тов. Эшба: «Постановление ЦК РКП от 6 октября приветствовать, предоставив возможность ЦК КПГ ходатайствовать перед ЦК РКП об изменении пункта постановления по вопросу о вхождении в СССР не через Закавказскую федерацию, а непосредственными республиками, в частности Грузии».	2. За предложение тов. Эшба — 27

Председатель подпись

Секретарь подпись[81]

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ეშბას „უკლონისტურ“ წინადადებას საერთო კენჭისყრის დროს 101 კაციდან მხოლოდ 27-მა დაუჭირა მხარი (როგორც ჩანს 12 კაცმა კენჭისყრაში საერთოდ არ მიიღო მონაწილეობა, ან თავი შეიკავა). ეს ფაქტი ძნელად ასახსნელია. პლენუმის მონაწილენი ხომ უმთავრესად ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი კომუნისტები იყვნენ. მაშ რატომ უნდა წასულიყვნენ ისინი სსრ კავშირში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის უშუალო შესვლის წინააღმდეგ? კიდევ მეტი. პლენუმის მონაწილეთა უმრავლესობამ (62 კაცმა). ე. ეშბას წინადადების უარყოფით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ფაქტობრივად საკითხის დაყენებაც კი აუკრძალა. რაში იყო საქმე? რატომ მიიჩნიეს ეს ნაციონალიზმად? ნუთუ პლენუმის მონაწილეთა უმრავლესობას არ ანაღვლებდა ის, რომ შექმნილ ვითარებაში უკრაინისა და ბელორუსიის რესპუბლიკები უფრო მაღალ სახელმწიფოებრივ სტატუსს ილებდნენ ვიდრე საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი? რა დაშავდებოდა, თუ ამიერ-

[81] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 17, აღწ. 1, საქ. 102, ფურც. 26.

კავკასიის რესპუბლიკებიც მოითხოვდნენ სსრ კავშირში უშუალო შესვლას და მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსს? რატომ გახდა ეს ძნელად გასაგები? განა ეს ანტიინტერნაციონალიზმი იქნებოდა? არ პყოფნიდათ ეროვნული თვითშეგნება? არ უწყოდნენ რასა იქმოდნენ? იქნებ იმიტომ, რომ ბრმად ენდობოდნენ, ან ვერ გაბედეს დაპირისპირებოდნენ იოსებ სტალინს, სერგო ორჯონიკიძეს, ალექსანდრე მიასნიკო

ტეტის 1922 წლის 5—6 ოქტომბრის პლენუმის შემდეგ, საზღვარგარეთ გამგზავრების წინ (ითქვა, რომ ამ წერილმა მისი შინაარსის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ იგი წაკითხულ იქნა თბილისის კომიტეტის პლენუმზე, დაკარგა „კერძო წერილის ხასიათი")[62].

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ფილიპე მახარაძის, ეფრემ ეშბას, მიხეილ ოკუჯავას, პარმენ საბაშვილის, სერგო ქავთარაძის, კოტე ცინცაძის, ალექსანდრე გეგეჭკორის, ლადო დუმბაძის (ესწრებოდა როგორც საქ. კპ ცკ-ის წევრი) და სხვათა მონაწილეობით 1922 წლის 20 ოქტომბერს მაინც დაადგინა, რომ გაგზავნოს მოსკოვში კომისია (დელეგაცია) მალაქია ტოროშელიძის, კოტე ცინცაძისა და ეფრემ ეშბას შემადგენლობით, რომელსაც უნდა ალეძრა შუამდგომლობა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წინაშე, რათა „სსრ კავშირში ბელორუსიისა და უკრაინის დამოუკიდებლად შესვლის დებულება გავრცელებულიყო საქართველოზეც"[63].

ეს დადგენილება, რომელიც ფაქტობრივად პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირდაპირი გამოწვევა იყო, ძვირად დაუჯღათ ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებს". სულ მალე მოვლენები ისე განვითარდა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი იმავე შემადგენლობით მორიგ სხდომებს ეეღარ გამართავს. მას არ დაითხოვენ, არც დაშლიან, მაგრამ ორი დღის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თვით ჩაიდენს კომუნისტური პარტიის ისტორიაში გაუგონარ აქციას — იგი გადადგება.

მანამდე კი საქართველოში იმ დროს შექმნილი პოლიტიკური ვითარების ნათლად წარმოსადგენად, მოვიგონოთ მამია ორახელაშვილის გამოსვლა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მეორე კონფერენციაზე (1922 წლის ნოემბერი), ვნახოთ, თუ როგორ აფასებდნენ, რა ინტერპრეტაციას აძლევდნენ პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობას 1922 წლის სექტემბერ-ოქტომბერში. კონფერენციაზე მამია ორახელაშვილმა თქვა: «Когда выдвинулся вопрос о более тесном военном, хозяйств(енном) и внеш-торговск

---

[62] იხ. უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 64, აღწ. 2, საქ. 145, ფურც. 20.

[63] პოლიტიკურ პარტიათა არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 193, ფურც. 322.

(ом) объединении Сов. Республик, ЦК Грузии высказался против и за сохранение всех атрибутов независимости республик. С этим мнением была отправлена в Москву целая комиссия. Но Пленум ЦК РКП единогласно принял постановление о Союзе Соц(иалистических) Сов(етских) Республик и представитель Груз(инского) ЦК снял свое предложение. Партия высказалась за конфедерацию существующих Сов(етских) республик и их местных объединений: РСФСР, Белоруссия, Украина и Закавк(азская) федерация — вот участники великого союза Сов(етских) Республик.

Но это обстоятельство не положило конец местническим и самостийным тенденциям товарищей из ЦК Грузии. Эти тенденции прорвались теперь в ином направлении: вхождение в Союз республик не через Закавк(азскую) федерацию, а непосредственно, как республика Грузии, подобно Белоруссии и Украине. Твердое решение верховного органа партии о сохранении и незыблемости Закфедерации оспаривалось, причем в ход пускались средства, в лучшем случае вытекавшие из глубочайшего заблуждения, в худшем — преступной попытки изобразить ЦК РКП расколовшимся по этому вопросу. В обоих случаях — картина была из самых отвратительных. Вернувшиеся из Москвы товарищи в своих докладах делали негодные попытки изобразить положение в ЦК РКП таким образом: большинство Цека решает такие вопросы наскоком, в два счета, по великодержавнической шпаргалке, за то тов. Ленин страшно осторожен и даже труслив в решении таких вопросов. Он не сходится с остальными; приблизительно такую же осторожную позицию занимает и тов. Каменев: позиция представителя Цека Украины тов. Петровского целиком совпала с «нашей», т. е. позицией ЦК Грузии и т. п. Вывод: вопрос еще не решен, вопрос может и должен быть пересмотрен, и пересмотрен в смысле самостоятельного вхождения Грузии в Союз, а не через Закфедерацию.

Цека Грузии выбрало авторитетную комиссию для выработки «мотивированного мнения» о необходимости такого самостоятельного вхождения, т. е. тем самым — необходимости упразднения Закавк(азской) федерации. Была неудавшаяся попытка в этом смысле обработать общественное мнение партии и с этой целью Президиумом ЦК КПГ было назначено в Тифлисе несостоявшееся собрание 138, т. н. ответ(ственных) работников, приглашенных по групповому признаку и полуконспиративным путем (в список не попали, например, Секретарь Заккрайкома — он же член Цека КПГ, ни секретарь

и члены Бюро Тифл(исского) комитета и т. д. — за то оказались намеченными много чисто технических работников определенной группы).

18 октября состоялся пленум Заккрайкома, который единогласно принял к неуклонному исполнению решения ЦК РКП и единогласно же постановил повести кампанию в парт(ийных) и беспарт(ийных) массах в духе этих решений. Несмотря на это, выступления в антипартийном духе продолжались с удвоенной энергией, особенно на собрании ответств(енных) работников, созванном Тифлисским Комитетом, на котором громадным большинством прошла резолюция поддержки партийного решения. На этом заседании... выяснилось очень многое и знаменательное: например, один из солидных руководителей ЦК КПГ солидно доказывал, что при полном единстве экономики Закавказья утопией было бы стремление создать здесь, в крае конгломерата национальностей, политическое объединение, что опыт Закавказского сейма (меньшевиков, муссаватистов и дашнаков) показал невозможность сожительства народов Закавказья в одних политических рамках, что Закавк(азская) федерация — труп который нельзя, да и не к чему гальванизировать, что мы-мол склоняемся и должны склоняться к мелкой буржуазии, что интересы «народа» должны диктовать нам линию поведения, если не как коммунистам, то как советским работникам и т. п. После таких неомарксистских откровений цепляться за т. т. Ленина, Каменева и вообще за кого-либо из марксистов было верхом скандальной путаницы или скандального же упорства по взятой линии уклона к национальному»[64].

მამია ორახელაშვილის ამ გამოსვლაში ბევრი საინტერესო ფაქტობრივი მასალაა დამოწმებული. იგი ძირითადად ემთხვევა ჩვენ მიერ წინა გვერდებზე დოკუმენტურად მოთხრობილ ისტორიულ სინამდვილეს. ისიც ჩანს, რომ ე. წ. „უკლონისტები“ ფრაქციული ბრძოლის მეთოდებსაც მიმართავდნენ (თუმცა არაა დადასტურებული, რომ ასეთ ხერხებს არც სამხარეო კომიტეტი ერიდებოდა). მაგრამ აქ ეს როდია მთავარი. ჩვენს ყურადღებას აქ, უწინარეს ყოვლისა, იპყრობს პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელის მრწამსი, მისი კონცეფცია, რომელიც დიამეტრულად განსხვავდება.

---

[64] Вторая партийная конференция коммунистических организаций Закавказья. თბილისი, 1922, გვ. 9—10.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იმ თვალთახედვისაგან, ჩვენც რომ შედარებით სამართლიანად მიგვაჩნია: ვამბობთ „შედარებით", რადგან ქართველი ხალხისათვის დამოუკიდებლობის დაკარგვის პირობებში სსრ კავშირში მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით შესვლაც, თუმცა ნაკლები, მაგრამ, მაინც ბოროტება იყო.

შემდეგ ჩვენ ვნახავთ, რომ არცთუ მთლად საფუძვლიანი აღმოჩნდება ციტირებული დოკუმენტის ავტორის ირონია საქართველოს კომპარტიის იმდროინდელი ცენტრალური კომიტეტის ე. წ. „უკლონისტ" წევრთა პოზიციისადმი ვ. ი. ლენინის, ლ. ბ. კამენევისა და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ზოგიერთი სხვა წევრის ჯეშმარიტი დამოკიდებულების შესახებ.

ამჯერად კი დავკმაყოფილდეთ იმის აღნიშვნით, რომ არგუმენტები, რომლებიც სსრ კავშირის შექმნის შემდეგ ამიერკავკასიის ფედერაციის შენარჩუნების მომხრეებს მოჰყავდათ, არცთუ ისე ძნელად გასაბათილებელი იყო. ეს იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარეები გულღია დიალოგს, გულწრფელ დისკუსიას გამართავდნენ და დემაგოგიას თავს დააღწევდნენ. საერთოდ კი ჩვეულებრივ შემთხვევაში ძნელია ახსნა, თუ ზოგიერთმა ქართველმა კომუნისტმა რატომ გახადა საკამათოდ ის, რომ საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით შესულიყო სსრ კავშირში თუ დამოუკიდებელ მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით. დღეს ეს პარადოქსულად ჩანს. არც თავის დროზე იყო ეს ადვილად გასაგები. აქ ხომ საქმე ეხებოდა უმჯობესი გზის ძიებას, რისთვისაც თითქოს ამერიკის აღმოჩენა არ იყო საჭირო. ამ შემთხვევაში, როგორც იტყვიან, შავისაგან თეთრი უნდა გაერჩიათ. გვიჭირს ზუსტად ავხსნათ, რამ გამოიწვია აზრთა ასეთი პოლარიზება ამ საკითხში? რატომ მოხდა, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი ამიერკავკასიის ფედერაციაში ეროვნული მშვიდობიანობის დამყარების, მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღორძინების უებარ საშუალებას, პანაცეას ხედავდა, მეორე კი მას ზედმეტ რგოლად და, რაც მთავარია, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სუვერენულ უფლებათა შელახვად მიიჩნევდა. საბჭოურ სინამდვილეში მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის ამიერკავკასიის ფედერაციას ფაქტობრივად მართლაც არ შეუქმნია დამატებითი სიძნელეები, მაგრამ განა ეს გამოდგებოდა იმის საკომპენსაციოდ, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა ზოგიერთ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, შედარებით დაბალი

სახელმწიფოებრივი სტატუსი მიიღეს? გარდა ამისა, მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის მქონე ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის თუ უფრო მეტი არა ნაკლები პირობები იქნებოდა? თუნდაც ეროვნული მშვიდობიანობის დაცვის ფუნქციას, სურვილის შემთხვევაში, ამიერკავკასიის ფედერაციაზე კარგად საერთო-საკავშირო სახელმწიფო ვერ შეასრულებდა?

მამია ორახელაშვილი, მაგალითად, ფართოდ განათლებულ მარქსისტად და კომუნისტურ პარტიაში ჭკუასაკითხავ კაცად ითვლებოდა. მისთვის საქართველოს ინტერესებიც არ უნდა ყოფილიყო უცხო. კომუნისტური პარტიის ერთიანობა ხომ მისი მუდმივი საზრუნავი იყო. შეცდომისაგან თავისუფალი ვინ არის, მაგრამ მამია ორახელაშვილისათვის დამახასიათებელი იყო საკითხისადმი დინჯი, მრავალმხრივი მიდგომა, დაკვირვებულობა, პრინციპულობა (იქნებ, სწორედ ამ უკანასკნელი თვისების გამო შეეწირა იგი ოცდაჩვიდმეტს ასე უმოწყალოდ). ამიტომაც არის გასაკვირი, როგორ ვერ ხედავდა ის სსრ კავშირში ამიერკავკასიის რესპუბლიკების უშუალო შესვლის უპირატესობას. სერგო ორჯონიკიძე? ალექსანდრე მიასნიკოვი? შალვა ელიავა? (ამ კონტექსტში არაფერს ვამბობთ იოსებ სტალინზე).

იქნებ ზემდგომი პარტიული ინსტანციის გადაწყვეტილებათა სავალდებულობის პრინციპს ვერ უღალატეს. მაგრამ იმავე ზემდგომი პარტიული ინსტანციის აზრის შემუშავებაში სომ თვითონვე აქტიურობდნენ. რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხზე ერთ-ერთი უმთავრესი კონსულტანტი, ცხადია, იოსებ სტალინი იყო. ეჭვს გარეშეა, ამ საკითხზე მისი აზრი განმსაზღვრელი იქნებოდა. იგი კი თავგამოდებით იბრძოდა ამიერკავკასიის ფედერაციის შენარჩუნებისათვის სსრ კავშირის შექმნის შემდეგაც. რატომ? მიაჩნდა, რომ ფედერაციის გაუქმება ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის ტრაგედია იქნებოდა? მას ნამდვილად ასე სწამდა? საეჭვოა. ამ ეჭვის საფუძველს ის ქმნის, რომ საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციის“ პროექტი, რომელიც მისი ხელიდან გამოვიდა, როგორც ზემოთ ვნახეთ, არ გულისხმობდა ამიერკავკასიის ფედერაციის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ცნობილია მისი სხვადროინდელი გამონათქვამებიც, რომლებიც მოწმობენ, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმება და სსრ კავშირში საქართველოს უშუალო შესვლა 1936 წლამდე დიდი ხნით ადრე მიაჩნდა შესაძლებლად.

დავიმოწმოთ ერთი დოკუმენტი. ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ცდილობდა გარკვეული მოლაპარაკება გაემართა მენშევიკ-ლიდერებთან. მიზანი გასაგებია — მენშევიკთა ჩაბმა საბჭოთა მშენებლობაში და ანტისაბჭოთა გამოსვლების თავიდან აცილება. და აი, 1924 წლის აგვისტოს ამბების შემდეგ გადარჩენილ მენშევიკ ლიდერებთან მოსალაპარაკებლად სუზდალში, ტაშკენტსა და შუა აზიის სხვადასხვა რაიონებში, სადაც ქართველი მენშევიკები იმყოფებოდნენ პატიმრობასა და გადასახლებაში, გაიგზავნა სპეციალური დელეგაცია მ. ძამანაშვილის, კ. მაჭარაძისა და დ. მიქელაძის შემადგენლობით. დელეგაციის მუშაობის შედეგები აღწერილია მოხსენებით ბარათში, რომელიც 1925 წლის 10 მაისით არის დათარიღებული. მასში აღნიშნულია, რომ პატიმარი მენშევიკები ერთ-ერთ საკითხად ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმებასა და სსრ კავშირში საქართველოს უშუალოდ შესვლას აყენებენ. მენშევიკთა ეს წინადადება დელეგაციამ იოსებ სტალინსაც გააცნო. „პირველ აპრილს, — წერენ ისინი, — ამხანაგ სტალინთან გვქონდა ხანგრძლივი ბაასი, ორნახევარი საათი დავრჩით მასთან. პირველყოვლისა გავუკეთეთ მოკლე მოხსენება მუშათა კომისიის მუშაობის შესახებ. ბევრ ღირსშესანიშნავ საკითხებზედ გვქონდა ბაასი. მართალია, დიდი დრო წავართვით ამ შესანიშნავ და დიდ ადამიანს, მაგრამ ამ ბაასმა ჩვენზედ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. დავრწმუნდით ჩვენი გზის სისწორეში და მიზანშეწონილობაში. ამ გზით საქართველო უფრო აღორძინდება ეროვნულ-კულტურულად. ეს გზა უფრო დააჩქარებს საქართველოს მთლიანობის აღდგენას და დაცვას. ამხანაგმა სტალინმა გულღიად გვითხრა: „მართალია ჩვენ ზიანი მივაყენეთ საქართველოს, მაგრამ უნდა გამოსწორდეს უსათუოდ. ჩვენ ვებრძოდით ანტანტის იმპერიალიზმს, რომელიც საქართველოს უკან იყო. ზიანის მიყენება მოხდა ჩვენდა უნებურად. ამხ. სტალინს პრინციპულ საკითხად არ მიაჩნია საბჭოთა საქართველოს უშუალოდ სსრკ-ში შესვლა“. დაბოლოს იოსებ სტალინს უთქვამს: „თუ ეს (უშუალო დაკავშირება) ეხლა ვერ მოხერხდა შემდეგში უსათუოდ გადაწყდება. მხოლოდ შესაძლებელია ამ სამ რესპუბლიკისათვის რაიმე დამაკავშირებელი ორგანო იქნეს საჭირო. მისი მოვალეობა იქნება უფ-

რო სადაო საკითხების მოწესრიგება, მაგრამ ამას შესწავლა და გამორკვევა უნდაო"[65].

ჩვენ გვჯერა, რომ ამ ბარათში ძირითადად სწორადაა გადმოცემული დელეგაციასთან ი. ბ. სტალინის საუბრის შინაარსი. საინტერესოა ასეთი დეტალიც. ბარათის იმ ადგილას, სადაც ნათქვამია: „ამხ. სტალინს პრინციპულ საკითხად არ მიაჩნია საბჭოთა საქართველოს უშუალოდ შესვლა სსრკ-ში", თავდაპირველად (გადასწორებამდე) ეწერა: „ამხ. სტალინი მომწიფებულად თვლის საბჭოთა საქართველოს უშუალოდ შესვლას სსრკ-ში". ორთავე ვარიანტის აზრი ძირითადად ერთი და იგივეა — იოსებ სტალინს არა სწამს ამიერკავკასიის ფედერაციის აუცილებლობა და შესაძლებლად მიაჩნია მისი გაუქმება. ცოტა ხნით გაჭიანურების შემდეგ გააუქმებს კიდეც. მაშ რატომ თავის დროზე არ დაუჭირა მხარი სწორ წინადადებას? მას ხომ თავიდანვე ყველაფერი კარგად ესმოდა. იქნებ საქმის ინტერესებს ჯგუფური ინტერესები ანაცვალა, რაც შიდაპარტიული ბრძოლის ლოგიკით იყო განპირობებული.

6. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაგდომა — უნიკალური შემთხვევა ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში

1922 წლის შემოდგომისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დაპირისპირება უკიდურეს წერტილამდე მივიდა, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1922 წლის 20 ოქტომბრის პლენუმზე მომხდარმა ამბებმა. ამ პლენუმზე სერგო ორჯონიკიძემ შოვინისტებად მონათლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები (ფილიპე მახარაძე, მიხეილ ოკუჯავა, სერგო ქავთარაძე, კოტე ცინცაძე და სხვ.) იმის გამო, რომ პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილების საწინააღმდეგოდ, მათ გაბედეს და სსრ კავშირში საქართველოს უშუალოდ შესვლა მოითხოვეს. პლენუმზე გა-

---

[65] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. 1, საქ. 210. ფურც. 57—58.

დაწყდა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის თანამდებობიდან მ. ს. ოკუჯავას მოხსნის საკითხი.[66]

კოტე ცინცაძემ, სერგო ქავთარაძემ, ფილიპე მახარაძემ, ლადო დუმბაძემ, სილიბისტრო თოდრიამ, ეფრემ ეშბამ და პარმენ საბაშვილმა განაწყენებულებმა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მოქმედებით, განსაკუთრებით, სერგო ორჯონიკიძის უხეშობით, გადაწყვიტეს ინფორმაცია მიეწოდებინათ ვ. ი. ლენინისათვის. ამ მიზნით ისინი 20 ოქტომბერსვე გვიან ღამით პირდაპირი მავთულით დაუკავშირდნენ მოსკოვს და „განსაკუთრებით მნიშვნელოვან და გადაუდებელ საქმეთა გამო" აპარატთან გამოიძახეს ლ. ბ. კამენევი, ნ. ი. ბუხარინი, ან ა. ს. ენუქიძე.

ვ. ი. ლენინთან პირდაპირ დალაპარაკებას მოერიდნენ გვიანი ღამე იყო: მოსკოვთან საუბარი შეწყდა ღამის 2 საათსა და 55 წუთზე მოსკოვის დროით. ე. ი. ფაქტობრივად 21 ოქტომბერს.

ი. ბ. სტალინს გვერდი აუარეს, ეს არ იყო შემთხვევითი. მათ კარგად იცოდნენ, რომ ი. ბ. სტალინი ამ პერიოდში მთლიანად და სავსებით იწონებდა რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და მისი ხელმძღვანელის პოზიციას, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკლონისტური შემადგენლობის მოთხოვნას სსრ კავშირში რესპუბლიკის უშუალოდ შესვლის შესახებ. ამდენად გ. კ. ორჯონიკიძის წინააღმდეგ გალაშქრება ფაქტობრივად ი. ბ. სტალინის წინააღმდეგ გამოსვლაც იყო. ამიტომაც არ ჰქონდათ ი. ბ. სტალინის იმედი, გრძნობდნენ, რომ იგი ე. წ. ქართველ „ნაციონალ-უკლონისტებს" ვ. ი. ლენინთან კეთილ სიტყვას არ შეაწევდა; რაც შეეხება ლ. ბ. კამენევსა და ნ. ი. ბუხარინს, მათი მეტი ნდობა ჰქონდათ, მიაჩნდათ ისინი ველიკორუსული შოვინიზმის

---

66 მ. ს. ოკუჯავას ნაცვლად არჩეულ იქნა ბ. ბ. ლომინაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად ბ. ბ. ლომინაძე რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ იყო რეკომენდებული. იგი პეტროგრადიდან ჯერ კიდევ 1922 წლის 4 ოქტომბერს გამოიწვიეს. 17 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა: «Согласно рекомендации ЦК РКП ввести т. Ломинадзе третьим секретарем ЦК, возложив на него заведывание Агитпропом ЦК, одновременно ввести в состав членов ЦК» პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ, 14, აღწ, 1; საქ: 193; ფურც: 293): რამდენიმე დღის შემდეგ კი ბ. ბ, ლომინაძე ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (პასუხისმგებელი) ხდება,

წინააღმდეგ მებრძოლებად და ბუდუ მდივნის პოზიციის მხარდამჭერებად (ამის საფუძველს სერგო ქავთარაძისადმი ბუდუ მდივნის ზემოციტირებული წერილიც იძლეოდა).

აპარატთან ა. ს. ენუქიძე გამოცხადდა. მანვე მიიღო ლ. ბ. კამენევისა და ნ. ი. ბუხარინისათვის გადასაცემად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოჩამოთვლილი შვიდი წევრის (კ. ცინცაძე და სხვ.) ხელმოწერილი ბარათი, რომელიც გ. კ. ორჯონიკიძის ლანძღვა-გინებას შეიცავდა. ბარათში ნათქვამია:

«Безвыходное положение, создавшееся здесь, в Грузии, заставляет нас побеспокоить Вас. Просим передать все нижеследующее тов. Ленину; мы убеждены, что его и Ваше абсолютно авторитетное решение положит конец той анархии и разрухе, которая сейчас принимает катастрофический характер. Самодурству Орджоникидзе нет никокого предела,,, Начался разгром ЦК КП(б) Грузии, Окуджава снят; мы уже не в состоянии нести ответственности и завтра на Пленуме ЦК заявим об этом. Словом Советская власть в Грузии никогда не находилась в таком угрожающем положении, как в данный момент. Все это создано Орджоникидзе,,,»

საინტერესოა თვით ა. ს. ენუქიძის დამოკიდებულება ამ კონფლიქტისადმი, რაც მისი პასუხიდანაც ჩანს: «Все сообщенное Вами, за поздним временем, я передам завтра утром указанным Вами товарищам, также и Сталину. Надеюсь завтра же Вам будет сообщен должный ответ. Все, что Вы сообщили, очень печально и вижу по тону телеграммы, что отношения между верхами работников чрезвычайно обострились. Лично же я думаю, что если у Вас действительно среди наших парторганизаций и среди рабочих масс наблюдаются разброд и дезорганизация, то почва для этого подготавливалась усилиями большинства членов ЦК КП Грузии».

ა. ს. ენუქიძე ფაქტობრივად გმობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა უმრავლესობის პოზიციას. არც მას მიაჩნია მიზანშეწონილად საქართველოს უშუალოდ შესვლა სსრ კავშირში. ისიც ი. ბ. სტალინისა და გ. კ. ორჯონიკიძის პოლიტიკას ამართლებს, ასეთივე აზრს იცავს ა. ს. ენუქიძე რკპ (ბ) XII ყრილობაზეც, რასაც ქვემოთ შევეხებით.

ა. ს. ენუქიძეს თბილისიდან ასე უპასუხეს: «Если Вы лично считаете, что почва для этой дезорганизации и разброда организаций была подготовлена большинством ЦК КП Грузии, то **ЦК в Грузии здесь не место**[67] и просим раз навсегда положить конец этой инквизиции, которой мы подвергаемся в продолжение полутора лет со стороны Орджоникидзе. Мы утверждаем, что эта почва, если она и была кем-либо подготовлена, то со стороны Орджоникидзе. До сих пор мы персонально вопроса о ком-либо не ставили. Сейчас чаша терпения переполнена, и для спасения от окончательного разложения нашей партии и Советской власти в Грузии, в этой политически—скандальной стране, мы этот вопрос поставили. Если кто-нибудь усомнится в нашей правоте, то мы просим от высших наших организаций и старых наших товарищей вопрос о наших взаимоотношениях передать высшему партийному расследованию. Ты, товарищ Авель, не можешь представить себе, до каких чудовищных размеров доходит травля старых товарищей в Грузии, и не только в Грузии, но и в России».

დიალოგი ა. ს. ენუქიძემ დაამთავრა: «Повторяю, все, что я Вам передал, это есть мое личное мнение и за мои слова члены ЦК РКП ни в малейшей степени не ответственны. Как бы я ни уважал старых товарищей, я обязан Вам сказать ту правду, которую я чувствовал и которую я наблюдал, будучи этой осенью в Грузии. До свидания»[68].

მკითხველი ხედავს, რომ აბელ ენუქიძემ გულწრფელად, პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გამოთქვა თავისი პრინციპული აზრი. იგი არც იმას მოერიდა, რომ პირში თქმით შეიძლებოდა ძველი პარტიული მეგობრები გაენაწყენებინა. ამ მხრივ აბელ ენუქიძის ზნეობრივი პოზიცია უმწიკვლოა. მაგრამ ერთია ადამიანის ზნეობრივი პოზიცია და მეორე — მისი ეროვნული მრწამსი, ეროვნული თვითშეგნების დონე (თუმცა კარგად გვესმის, რომ ასეთი დაყოფა პირობითია). აბელ ენუქიძეს ასე არ უნდა გაჭირვებოდა ეროვნული პოლიტიკის ნიუანსებში გარკვევა. ნუთუ ძნელი მისახვედრი იყო, რომ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის იმ კონკრეტულ

---

67 ხაზგასმული სიტყვები ასეა დედანში.

68 ქართველი უკლონისტებისა და ა. ს. ენუქიძის 1922 წლის 20 ოქტომბრის სატელეფონო (პირდაპირი მავთულით) საუბრის ტექსტი ციტირებულია ს. ვ. ხარმანდარიანის დასახ. წიგნიდან გვ. 351—352.

სიტუაციაშიც კი უფრო სამართლიანი იქნებოდა სსრ კავშირში უშუალოდ შესვლა, ვიდრე ამიერკავკასიის ფედერაციაში ყოფნა და მისი საშუალებით სხვა რესპუბლიკებთან გაერთიანება. აბელ ენუქიძემ ამ საუბრის დროს დაახლოებით ერთი თვის წინანდელი ამბავიც გაიხსენა. შემოდგომაზე იგი მართლაც იყო საქართველოში და დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 15 სექტემბრის სხდომას, რომელმაც საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციის" პროექტი დაიწუნა. მან კი მხარი დაუჭირა ამ პროექტს. განა ქართველ ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტთა" ეს და სხვა მსგავსი მოქმედება შეიძლებოდა ისეთ საქციელად მოგვენათლა, რომელსაც არეულ-დარეულობა და დეზორგანიზაცია შეჰქონდა (ან კიდევ საამისო ნიადაგს ამზადებდა) მუშათა მასებში? აბელ ენუქიძემ კი სწორედ ეს უსაყვედურა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკლონისტურ შემადგენლობას.

20 ოქტომბრის შემდეგ მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. ა. ს. ენუქიძემ, ბუნებრივია, 21 ოქტომბერს დილითვე გადასცა ლ. ბ. კამენევსა და ნ. ი. ბუხარინს თბილისიდან პირდაპირი მავთულით მიღებული ბარათი, მას გაეცნო ი. ბ. სტალინიც, რომელმაც იმავე დღესვე (15 საათზე) უდეპეშა პარტიის ამიერკავკასიის საშხარეო კომიტეტს, პირადად გ. კ. ორჯონიკიძესა და მ. დ. ორახელაშვილს, რომ რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ა. ს. ენუქიძის მეშვეობით მიიღო „უკლონისტების ბარათი".[69]

ეს „უკლონისტების ბარათი", უფრო ზუსტად, მისი ტონი (უმთავრესად გ. კ. ორჯონიკიძის ლანძღვა) მოსკოვში არ მოიწონეს. ზოგიერთი გაღიზიანდა კიდეც. იგი ოფიციალურად დაგმეს თვით ვ. ი. ლენინმა, ლ. ბ. კამენევმა, ნ. ი. ბუხარინმა, არაფერს ვამბობთ ამ საკითხისადმი ი. ბ. სტალინის დამოკიდებულებაზე.

ბარათის ავტორებს მიაჩნდათ, რომ მათი ინფორმაციის შემდეგ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი დაგმობდა ორჯონიკიძის შეცდომებს, გაკიცხავდა მას, არ დაუშვებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადადგომას და ამით კონფლიქტსაც ბოლო მოეღებოდა. ეს ასე არ მოხდა. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი, რასაკვირველია, აქტიურად ჩაერია საქმეში, მაგრამ კონფლიქტს მაინც არაფერი ეშველა. ეს ჩარევა ამ ეტაპზე მხოლოდ და მხოლოდ ამიერკავ-

---

[69] ციტირებულია ს. ვ. ხარმანდარიანის დასახ. წიგნიდან, გვ. 352.

კასიის სამხარეო კომიტეტის სასარგებლოდ მოხდა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ „ბარათი“ მისი ავტორების ტაქტიკური შეცდომა გამოდგა. მან არათუ ვერ განმუხტა დაძაბული მდგომარეობა, არამედ კიდევ უფრო გაამწვავა იგი. „ბარათი“ საბედისწერო აღმოჩნდა არა მარტო მისი ავტორებისათვის, არამედ იმ ბრძოლისათვისაც, რომელსაც ეს ჯგუფი ეწეოდა რესპუბლიკის შედარებით მაღალი სუვერენიტეტის მოსაპოვებლად. საქმე ის არის, რომ ე. წ. „უკლონისტებს“ სსრ კავშირში საქართველოს უშუალო შესვლისათვის ბრძოლაში ვ. ი. ლენინის, ლ. ბ. კამენევისა და ნ. ი. ბუხარინის იმედი ჰქონდათ. ამ მოღვაწეთა ზოგიერთ იმდროინდელ გამონათქვამს თუ გავიხსენებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ „უკლონისტების“ ვარაუდი არც თუ ისე უსაფუძვლო იყო. მაგრამ ერთია ვარაუდი, ხოლო სხვაა ის რეალური ვითარება, 20—22 ოქტომბერს რომ შეიქმნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ვ. ი. ლენინის, ლ. ბ. კამენევისა და ნ. ი. ბუხარინის საპასუხო დეპეშებმა იმედი გადაუწურეს „უკლონისტებს“ (საქმის ასე შეტრიალებაში“. (?!) სავარაუდოა, როლი ი. ბ. სტალინისა, რომელსაც არ გაუჭირდებოდა ბუდუ მდივნის ჯგუფის წევრები დაეხატა როგორც პარტიული ორგანიზაციებისა და მშრომელი მასებისგან გარიყული ჭირვეული პოლიტიკანები). თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბრძოლის გაგრძელების შანსი რამდენადმე მაინც რჩებოდა.

საპასუხო დეპეშა ვ. ი. ლენინმა 21 ოქტომბერს საღამოთი გამოგზავნა. იგი აღნიშნავდა:

„გაოცებული ვარ პირდაპირი მავთულით მიღებული იმ ბარათის უხამსი ტონით, რომელიც ხელმოწერილია **ცინცაძისა** და სხვების მიერ და რატომღაც გადმომცა ბუხარინმა და არა ცეკას ერთ-ერთმა მდივანმა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველა უთანხმოება ამოწურული იყო ცეკას პლენუმის იმ რეზოლუციებით, რომელშიც არაპირდაპირ ვმონაწილეობდი მე და პირდაპირ მონაწილეობდა **მდივანი,** ამიტომ გადაჭრით ვგმობ **ორჯონიკიძის** მიმართ გამოთქმულ ლანძღვა-გინებას და დაჟინებით მოვითხოვ, რომ თქვენი კონფლიქტი წესიერი და ლოიალური ტონით გადაეცეს გადასაჭრელად რკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, რომელსაც გადაეგზავნა კიდეც პირდაპირი მავთულით მიღებული თქვენი ცნობა“.[70]

---

[70] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 45, გვ. 722.

ამ დეპეშასთან დაკავშირებით, ორ მომენტზე გვინდა შევჩერდეთ: 1) ვ. ი. ლენინი ტუქსავს კოტე ცინცაძესა და სხვებს არა მარტო ბარათის უხამსი (неприличный) ტონისა და სერგო ორჯონიკიძის ლანძღვის გამო, არამედ იმის გამო, რომ ეს ბარათი მას ნ. ი. ბუხარინმა გადასცა და არა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის რომელიმე მდივანმა. რატომ აქცევს ვ. ი. ლენინი ყურადღებას ამ ერთი შეხედვით არცთუ ისე მნიშვნელოვან მომენტს? განა რაიმე შეიცვლებოდა იმით, რომ ეს ბარათი, ვთქვათ, ი. ბ. სტალინს, ან ცენტრალური კომიტეტის რომელიმე სხვა მდივანს გადაეცა მისთვის? განა ასე მკაცრად იყო რეგლამენტირებული ყოველივე ეს? ალბათ არა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვ. ი. ლენინმა გამოიცნო ბარათის ავტორების ტაქტიკური ნაბიჯი, კერძოდ ის, რომ მათ გარკვეული მოსაზრებით გვერდი აუარეს ი. ბ. სტალინს. ასე უფრო ადვილად აპირებდნენ ფონს გასვლას — ი. ბ. სტალინის გვერდავლით, ლ. ბ. კამენევისა და ნ. ი. ბუხარინის შემწეობის ზემოქმედება მოეხდინათ ვ. ი. ლენინზე. საფიქრებელია, ამის გამო გაკიცხა ვ. ი. ლენინმა ბარათის ავტორები და ამის გამოც აღმოჩნდა ვ. ი. ლენინის დეპეშაში ნ. ი. ბუხარინთან დაკავშირებული ფრაზა. მაგრამ, საკითხავია, დეპეშაში გამოთქმულია მხოლოდ და მხოლოდ ვ. ი. ლენინის პირადი აზრი, თუ აქ საქმე გვაქვს სხვათა (თუნდაც ი. ბ. სტალინის) აზრისა და სურვილების გათვალისწინებასთანაც. ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი საფუძველს მოკლებული არ არის. ქვემოთ ვნახავთ, რომ ლ. ბ. კამენევიცა და ნ. ი. ბუხარინიც, ამ ინციდენტთან დაკავშირებით, ერთგვარ უხერხულობას გრძნობენ.

2) ვ. ი. ლენინი პარტიის ამიერკავკასიის საშხარეო კომიტეტისაგან განსხვავებით, არ გმობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადებას სსრ კავშირში საქართველოს უშუალოდ შესვლის შესახებ. მართალია, დეპეშიდან არც ის ჩანს, რომ ვ. ი. ლენინი მხარს უჭერს ამ წინადადებას, მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ ვ. ი. ლენინს შესაძლებლად მიაჩნია ამ საკითხზე არსებული კონფლიქტის განხილვა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიც ხომ ფაქტობრივად ამას მოითხოვდა.

ვ. ი. ლენინის დეპეშა თბილისში 21 ოქტომბერს გვიან საღამოთი მოვიდა. მანამდე კი ამ დღესვე (21 ოქტომბერს) ჩვეულებრივ შეიკრი-

ბა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი,[71] რომელმაც ძირითადად ორ საკითხზე იმსჯელა. დაციმოწმოთ საოქმო ჩანაწერი:

Слушали	Постановили
1. Доклад т. Цинцадзе о результатах поездки специальной комиссии от ЦК Грузии в Москву для информации ЦК РКП о положении в Грузии, В докладе своем т. Цинцадзе коснулся и вопроса о постановлении Пленума ЦК РКП об организации Союза Соц. Сов. Республик	1. Доклад в целом принять к сведению. 2. Постановление Пленума ЦК РКП о федерации Советских республик полностью принять к сведению и неуклонному руководству. 3. Ходатайствовать перед ЦК РКП о непосредственном вхождении Грузии в Союз Соц. Сов. Республик (за 9, пр. 3). 4. В случае удовлетворения со стороны ЦК РКП ходатайства ЦК КПГ о непосредственном вхождении Грузии в Союз Соц. Сов. Республик: а) Существование Закавказского Союзного Совета считается излишним. б) Вопрос о введении закавказских дензнаков может отпасть. в) По вопросу же об оставлении грузбон или введении взамен их совзнаков иметь особое суждение.

[71] პლენუმს ესწრებოდნენ ფ. ე. მახარაძე, (თავმჯდომარეობდა), პ. ა. საბაშვილი, ე. ა. ეშბა, ა. ა. გეგეჭკორი, მ. დ. ორახელაშვილი, ს. ი. ქავთარაძე, ლ. დ. ღოღობერიძე, ს. ე. თოდრია, მ. ს. ოკუჯავა, შ. ზ. ელიავა. და ლ. ვ. დუმბაძე. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ა. ი. რიკოვმა და გ. კ. ორჯონიკიძემ, სხვა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა.

Слушали	Постановили
1. Запрос т. Орджоникидзе об исполнении постановлений ЦК РКП по поводу: а) об отозвании тт. Сванидзе, Квиркелия, Какабадзе и Гамбарова в распоряжении ЦК РКП; б) о конструкции секретариата СПСГ	а) Постановление ЦК РКП об отозвании т. т. Сванидзе, Какабадзе, Квиркелия и Гамбарова принять к сведению (за 5). б) По вопросу о конструкции секретариата СПСГ иметь суждение на продолжение сего заседания Пленума, который за поздним временем отлагается на завтра в 1 ч. дня.

Секретарь ЦК САБАШВИЛИ[72]

როგორც ვხედავთ, 21 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა იმსჯელა იმ საკითხებზე, რომლებიც ყველაზე მეტ ყურადღებას იპყრობდნენ იმ დღეებში. მთავარი ადგილი აქ კვლავინდებურად სსრ კავშირში საქართველოს უშუალოდ შესვლის მოთხოვნას უკავია. პლენუმს ესწრებოდნენ გ. კ. ორჯონიკიძეცა და ა. ი. რიკოვიც, მაგრამ არც ერთ მათგანს არ გამოუმეღავნებია თავიანთი დამოკიდებულება ამ მოთხოვნებისადმი (ყოველ შემთხვევაში ოქმში არაა დაფიქსირებული). საგულისხმოა ისიც, რომ პლენუმზე ოფიციალურად სიტყვაც არავის დაუძრავს გ. კ. ორჯონიკიძის უხეშობაზე, არც ცენტრალური კომიტეტის გადადგომაზე, თუმცა, როგორც ვიცით, წინა ღამით მოსკოვთან პირდაპირი მავთულით საუბრისას ცენტრალური კომიტეტის წევრებმა განაცხადეს, ხვალინდელ პლენუმზე პასუხისმგებლობას მოვიხსნითო;

ვითომ გადაიფიქრეს? იქნებ პლენუმის სხდომა გაუჭიანურდათ და ეს საკითხი მეორე დღისათვის გადადეს? გვიან დროის გამო პლენუმის სხდომა რომ მეორე დღის პირველი საათისათვის გადაიტანეს,

---

[72] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ: 14, აღწ. 1, საქ: 190; ფურც. 18.

ეს საოქმო ჩანაწერიდანაც ჩანს.[73] მაგრამ ეს არ უნდა იყოს მთავარი მიზეზი. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები მოსკოვიდან პასუხს ელოდებიან. ეს პასუხი, როგორც ითქვა, 21 ოქტომბერს გვიან საღამოს შეიღეს,[74] მაგრამ იგი მთლად დამაიმედებელი არ იყო, უნდა ვიგულისხმოთ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ვ. ი. ლენინისაგან სხვანაირ პასუხს ელოდნენ. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, სსრ კავშირში საქართველოს უშუალოდ შესელის საკითხის დაყენებას (ოღონდ ლოიალური ტონით) ვ. ი. ლენინი არ გმობდა. ე. ი. პარტიებს წესების ფარგლებში ბრძოლის გაგრძელების გარკვეული შანსი მაინც რჩებოდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკანდასახევი გზა მოჭრილად მიიჩნია და 1922 წლის 22 ოქტომბრის პლენუმზე განიხილა პრეზიდიუმის განცხადება და დაადგინა: «1. Констатируя наличие ряда тактических расхождений между ЦК и Заккрайкомом в течение почти всей работы ЦК Грузии в вопросах подхода к местным условиям.

2. Что ЦК Заккрайкомом фактически отстранен от руководства партийно-профессиональной работы в Грузии (снятие ответственного секретаря ЦК, назначение секретариата СПСГ, пересмотр личного состава профсоюзов и т. д.).

3. Фактическое недоверие Заккрайкома Центральному Комитету, углубленное систематической травлей почти всех членов ЦК (официальное заявление т. Орджоникидзе, что верхушка партии — шовинистична и представляет гниль, которую следует обновить — на заседание Пленума Заккрайкома от 20 октября, — и заявление его о шовинизме и меньшевистском уклоне на заседании Пленума ЦК от 22 октября).

4. В результате всего этого получается дезорганизация и разложение нижестоящих организаций, как партийных, так и профессиональных, что, разумеется, отражается и на советской работе.

---

[73] აქვე დავძენთ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 21 და 22 ოქტომბრის ორი ოქმი ერთი და იმაეე ნომრით (15) არის გაფორმებული (იხ. პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი,, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 190, ფურც. 18—19.

[74] გვიძნელდება დავადგინოთ, იცოდნენ თუ არა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ვ. ი. ლენინის დეპეშის შინაარსი 27 ოქტომბრის პლენუმის მიმდინარეობის დროს.

При создавшемся положении ЦК не может в дальнейшем нести ответственности за плодотворность работы, и единственным выходом из этого положения считает — сложить свои полномочия, довести об этом до сведения Заккрайкома и ЦК РКП и просить санкцию.

Вменить всем членам ЦК КПГ и присутствующим означенное постановление до получения санкции хранить в строжайшей тайне»[75].

კენჭისყრაში მონაწილეობდა 12 კაცი: ფ. ვ. მახარაძე, მ. ს. ოკუჯავა, პ. ა. საბაშვილი, ე. ა. ეშბა, მ. დ. ორახელაშვილი, ა. ა. გეგეჭკორი, კ. მ. ცინცაძე, ს. ე. თოდრია, მ. გ. ტოროშელიძე, ლ. ე. დუმბაძე, შ. ზ. ელიავა და კ. კაკაბაძე. ამათგან პრეზიდიუმის წინადადებას ცენტრალური კომიტეტის გადადგომის შესახებ მხარი არ დაუჭირა მ. დ. ორახელაშვილმა, რომელმაც პლენუმზე სპეციალური განცხადებაც გააკეთა ამ საკითხთან დაკავშირებით. მ. დ. ორახელაშვილის განცხადებას შეუერთდა შ. ზ. ელიავა. ცენტრალური კომიტეტის გადადგომას ფაქტობრივად მხარი არ დაუჭირა მისმა კიდევ ერთმა წევრმა ა. ა. გეგეჭკორმა (თავი შეიკავა??).[76] ამრიგად, ცენტრალური კომიტეტის გადადგომას მხარი დაუჭირა მისმა 9 წევრმა. პლენუმს ესწრებოდნენ გ. კ. ორჯონიკიძე და ა. თ. მიასნიკოვი.

21, 22, 23 ოქტომბერს მოსკოვიდან დეპეშა დეპეშას მოსდევდა. თბილისში მათ ძირითადად ორი ადრესატი ჰყავდა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და გ. კ. ორჯონიკიძე. ვ. ი. ლენინისა (კ. მ. ცინცაძეს და ს. ი. ქავთარაძეს) და ი. ბ. სტალინის (გ. კ. ორჯონიკიძე) 21 ოქტომბრის დეპეშებს ჩვენ უკვე გავეცანით. 22 ოქტომბერს ი. ბ. სტალინმა კიდევ ერთი დეპეშა გამოუგზავნა გ. კ. ორჯონიკიძეს: «Мы намерены покончить со склокой в Грузии и основательно наказать Грузинский ЦК. Сообщи, кого мы должны еще перебросить из Грузии, кроме отозванных четырех. По моему мнению, надо взять решительную линию, изгнать из ЦК все и всякие пережитки национализма»[77].

ეს დეპეშა ერთხელ კიდევ ადასტურებს ი. ბ. სტალინის დამოკიდებულებას ქართული ეროვნული საკითხისადმი. რკპ(ბ) ამიერკავ-

---

75 პოლიტიკურ პარტიათა არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 190, ფურ. 19.

76 იქვე, საქმე 2, ფურც. 293.

77 ციტირებულია ს. ვ. ხარმადარიანის დასახელებული წიგნიდან გვ. 353—354,

კასიის სამხარეო კომიტეტის, პირადად გ. კ. ორჯონიკიძის შეცდომაზე მითითებასა და მოთხოვნას სსრ კავშირში საქართველოს უშუალოდ შესვლის შესახებ (იმ ეტაპზე ხომ რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ძირითადად ამ საკითხზე ჰქონდათ უთანხმოება) ი. ბ. სტალინი კინკლაობად და ქართულ ნაციონალიზმად მიიჩნევს, რისთვისაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს „საფძვლიანად დასჯას" უპირებს.

შემდეგ ი. ბ. სტალინი ეკითხება გ. კ. ორჯონიკიძეს, მიიღო თუ არა ვ. ი. ლენინის დეპეშა და ამასთან დაკავშირებით თავისებურ შეფასებას აძლევს ვ. ი. ლენინის პოზიციას: «Он взбешен «акедан» и крайне недоволен грузинскими националистами» — აცნობებდა ი. ბ. სტალინი გ. კ. ორჯონიკიძეს ვ. ი. ლენინის შესახებ იმავე დეპეშით, 23 ოქტომბერს გ. კ. ორჯონიკიძე ი. ბ. სტალინს სწერდა: «По-моему, их надо оставить и создать новый ЦК». ი. ბ. სტალინის პასუხმაც არ დააყოვნა; «удовлетворить ходатайство нынешнего ЦК Компартии Грузии о его уходе в отставку» ვიდრე ცენტრალური კომიტეტი ... Компартии Грузии о его уходе в отставку» ввиду явного несоответствия «задачам лояльного и своевременного проведения в жизнь директив ЦК РКП»[78].

23 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში კ. მ. ცინცაძისა და ფ. ე. მახარაძის სახელზე (ასლები: გ. კ. ორჯონიკიძესა და მ. დ. ორახელაშვილს) ლ. ბ. კამენევისა და ნ. ი. ბუხარინის დეპეშა მოვიდა. ისინი წერდნენ: «Из нашего выступления против великорусского национализма отнюдь не следовала защита грузинского национализма. Вы должны знать, что постановление Пленума о вхождении в Союз Закавказской Федерации должно быть точно выполнено и может быть вновь рассмотрено лишь новым Пленумом, если того захочет ЦК. Тон вашей открытой записки — грубое нарушение партийных нравов. Советуем прекратить склоки и работать на базисе Цекинских решений»[79].

---

78 გაზ. „პრავდა", 1988 წლის 12 აგვისტო. გ. კ. ორჯონიკიძისადმი ... ბ. სტალინის მიერ 22 ოქტომბერს გაგზავნილი დეპეშის იმ ტექსტში, რომელიც ... მანდარიანის დასახ. ნაშრომშიც არის ციტირებული (გვ. 354). აკლია რუსული ტრანსკრიპციით გადმოცემული ქართული სიტყვა „акедан" და სიტყვის „национа-листами" ნაცვლად ეკითხულობთ «национаппами».

79 უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 85, აღ. 18, საქ. 339, ფურც. 1.

რა შეიძლება ითქვას ამ დეპეშის შესახებ? უწინარეს ყოვლისა ის, რომ მისმა ავტორებმა ყური აუწიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს. კაცმა რომ თქვას, 20 ოქტომბერს თბილისიდან მოსკოვში პირდაპირი მავთულით გადაცემული ღია ბარათის ტონის გამო ისინი იქნებ იმსახურებდნენ კიდეც ამას. მაგრამ საიდან აიღეს ლ. ბ. კამენევმა და ნ. ი. ბუხარინმა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მათ „ქართული ნაციონალიზმის დაცვა „სთხოვა. ნუთუ იმათაც, ი. ბ. სტალინის მსგავსად, სსრ კავშირში საქართველოს უშუალოდ შესვლის მოთხოვნა ქართული ნაციონალიზმის გამოვლინებად მიიჩნიეს. ასეც რომ ყოფილიყო, მათ ხომ ვ. ი. ლენინისათვის ბარათის გადაცემა სთხოვეს და არა საკითხის გადაწყვეტა. საერთოდ, რატომ დასჭირდათ ლ. ბ. კამენევსა და ნ. ი. ბუხარინს ორი დღის შემდეგ გამოეგზავნათ საპასუხო დეპეშა? ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში მათ „ქართული ნაციონალიზმის“ ქომაგობა დასწამეს (თუნდაც ხუმრობით, გადაკვრით, ქარაგმულად. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ხომ პირდაპირ მავთულთან სწორედ ლ. ბ. კამენევი და ნ. ი. ბუხარინი გამოიძახეს), რის შემდეგ ისინი თავის დაზღვევის მიზნით, იძულებული არიან გაემიჯნონ ამ „ნაციონალიზმს“. არც ეს ვარაუდი უნდა იყოს საფუძველს მოკლებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ლ. ბ. კამენევისა და ნ. ი. ბუხარინის ერთობლივ დეპეშაში (ისევე როგორც ვ. ი. ლენინის დეპეშაში) შესაძლებლად არის მიჩნეული სსრ კავშირში საქართველოს უშუალოდ შესვლის საკითხის ხელახლა განხილვა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე.

როგორ შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადადგომას პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტები?

უნდა ითქვას, რომ ამ ფაქტს მათი არავითარი შეშფოთება არ გამოუწვევია. ყასიდად უსაყვედურეს შეუფერებელი ნაბიჯი გადადგითო, მაგრამ სინამდვილეში გაეხარდათ კიდეც. თითქოს შეეშინდათ ვაი თუ სიტყვა უკან წაიღონო და პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმმა 22 ოქტომბერსვე (რამდენიმე საათის შემდეგ) დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადადგომა. პრეზიდიუმის სხდომას ფ. ე. მახარეძეც ესწრებოდა. პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტე-

ტის ახალ პასუხისმგებელ მდივანს ბ. ბ. ლომინაძეს, სასწრაფოდ შესდგომოდა მუშაობას, ხოლო ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს — შეერჩია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა და აუცილებელი ცვლილებები მოეხდინა საქართველოს სსრ რესპუბლიკის საბჭოთა აპარატში.[80]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადადგომა ოპერატიულად დაამტკიცა რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმაც. ამის შესახებ 24 ოქტომბერს შეატყობინა ი. ბ. სტალინმა გ. კ. ორჯონიკიძეს და მ. დ. ორახელაშვილს. რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელიც პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ იყო რეკომენდებული.[81]

ამრიგად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადადგომა უმტკივნეულოდ დაამტკიცა ორივე უმაღლესმა პარტიულმა ინსტანციამ. მათვე შეარჩიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა ბესო ლომინაძის მეთაურობით. ამ შემადგენლობას პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტთან ბუნებრივია, აღარავითარი სერიოზული უთანხმოება აღარ ჰქონია. და ეს ბუნებრივი ჩანს, რადგან, ჯერ ერთი, თანამოაზრეები იყვნენ, მეორე, უთანხმოებისათვის რაიმე საფუძველიც რომ გაჩენილიყო, საქართველოს კომპარტიის წინა შემადგენლობის გამოცდილება გაკვეთილის როლს შეასრულებდა.

1922 წლის 25 ოქტომბერს შედგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობის პირველი პლენუმი. მას უკვე ბ. ბ. ლომინაძე თავმჯდომარეობდა. პლენუმს ცენტრალური კომიტეტის ყოფილი წევრებიც დაესწრნენ: ფ. ე. მახარაძე, მ. ს. ოკუჯავა, ლ. ე. დუმბაძე, კ. მ. ცინცაძე, ე. ა. ეშბა და კ. კაკაბაძე (კანდიდატი), მაგრამ საკითხების განხილვისას რაიმე განცხადება არ გაუკეთებიათ. პლენუმი, შეიძლება ითქვას, უმთავრესად ორგანიზაციულ ხასიათს ატარებდა, მაგრამ მისი დადგენილებები სხვა მხრივაც არის საინტერესო და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მთლიანად გავეცნოთ

---

80 პოლიტიკურ პარტიათა არქივი (ქ. თბილისი), ფ. 13, აღწ. 1, ნაწ. 1, საქ. 6, ფურც. 312.

81 უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 64, აღწ. 1, საქ. 146, ფურც. 208.

მათ. აი, რა საკითხებზე იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 25 ოქტომბრის პლენუმმა.[82]

Слушали	Постановили
1. Информационное сообщение т. Орахелашвили о постановлениях ЦК РКП и об утверждении нового ЦК КПГ в составе: т. т. Цхакая, Орахелашвили М., Элиава, Ломинадзе, Кахиани, Сабашвили, Курулов, Гегечкори, Тактакишвили, Кочетков, Мамулия, Стуруа Вано, Гогия, Долидзе, Лордкипанидзе, Ханоян. кандидатов: Кванталиани, Джатиев, Джорбенадзе, Туманов, Вашакидзе Валериан, Матикашвили, Жожикашвили, Вашадзе Алексей, Гейден.	1. Принять постановление ЦК РКП к сведению и к неуклонному выполнению. 2. Новому ЦК и его Президиуму приступить немедленно к работе. 3. Созвать на 30-е октября Пленум нового ЦК. 4. Созвать на 1-е ноября совещание секретарей парткомов. 5. Поручить Президиуму ЦК выработать обращение к организациям КПГ по поводу сложения старым ЦК своих полномочий. Это обращение ни в коем случае не рассылать, а передать членам ЦК, кандидатам и особо уполномоченным зачитывать его на Пленумах Уездкомов,либо на партконференциях. 6. Считать вопрос о разногласиях внутри КПГ и между бывшим ЦК и Заккрайкомом РКП окончательно исчерпанным решениями ЦК РКП. Не допускать по этим вопросам никаких дискуссий в партии, тем более не допускать апелляций организациям КПГ или к отдельным членам партии со стороны бывших членов ЦК или отдельных членов партии. 7. Предложить всем бывшим членам ЦК до решения ЦК-том вопроса о их дальнейшей работе продол-

82 პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 190, ფურც. 20.

Слушали	Постановили
	жать выполняемую ими работу в советских организациях. 8. Поручить Президиуму ЦК подготовить к ближайшему заседанию Пленума ЦК вопрос о персональных изменениях в составе руководящих работников в центральных советских органах. 9. Настоящее постановление ЦК КПГ не подлежит разглашению среди партийных масс.
2. О Президиуме ЦК.	Президиум утвердить в следующем составе: т. т. Цхакая М., Орахелашвили, Ломинадзе, Кахиани, Элиава, Курулов и Гегечкори. Кандидаты: Струуа Вано, на время отсутствия Цхакая ввести Струуа в президиум.
3. Об аннулировании мандатов на IV конгрессе Коминтерна.	Аннулировать мандаты т. т. Цинцадзе, Пирцхалава и поручить Президиуму наметить новых кандидатов.

Секретарь ЦК: Б. Ломинадзе

როგორც ვხედავთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალ შემადგენლობაში ძველი შემადგენლობიდან 4 კაცი დარჩა: მ. დ. ორახელაშვილი, შ. ზ. ელიავა, ა. ა. გეგეჭკორი, და პ. ა. საბაშვილი (ეს უკანასკნელი ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებს“ უჭერდა მხარს). ძველ შემადგენლობას აეკრძალა ყოველგვარი დისკუსია სსრ კავშირში საქართველოს უშუალოდ შესვლისა და საერთოდ გადადგომასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ახალმა შემადგენლობამ ეს საკითხი უკვე ამოწურულად მიიჩნია. სინამდვილეში ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ ძველი შემადგენლობა ერთ გაბრძოლებას კიდევ აპირებდა. ამის საბაბს ისინი, როგორც ითქვა, ვ. ი. ლენინის, ლ. ბ. კამენევისა და ნ. ი. ბუხარინის დეპეშებში ხედავდნენ.

25 ოქტომბერს ფილიპე მახარაძე, სერგო ქავთარაძე, კოტე ცინცაძე, ლადო დუმბაძე, პარმენ საბაშვილი, მიხეილ ოკუჯავა, მალაქია ტოროშელიძე, ეფრემ ეშბა და სილიბისტრო თოდრია გზავნიან დეპეშას: «В Москву, Сталину, для тов. Ленина»: «Глубокоуважаемый Владимир Ильич, мы выражаем искреннее сожаление за огорчение, которое причинили Вам... Мы приветствуем Ваше решение передать разбор этого конфликта Секретариату ЦК РКП (б), куда мы на днях направили все материалы»[83].

2 დღის შემდეგ, 27 ოქტომბერს ლ. ბ. კამენევსა და ნ. ი. ბუხარინსაც უპასუხეს (ასლი ი. ბ. სტალინსაც გაუგზავნეს): «Мы удивлены, о какой защите грузинского национализма говорится в Вашем письме, очевидно, у Вас неправильная информация. Что касается нашей резкой записки — мы признаем, что резкости не следовало бы допускать, но она вызвана была слишком тяжелой атмосферой. Ваш товарищеский совет прекратить склоку и работать — мы всецело принимаем и вместе с тем заявляем, что в последнее время удалось изгнать всякую склоку, интриганство из грузинской организации и оздоровить ее. Мы громогласно заявляем, что в создавшейся склоке мы абсолютно не причем»[84].

ეს დეპეშები თავისთავად იმითაცაა საინტერესო, რომ ქართველმა ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებმა“ ვ. ი. ლენინსაც, ლ. ბ. კამენევსა და ნ. ი. ბუხარინსაც პასუხები უკვე ი. ბ. სტალინის მეშვეობით გაუგზავნეს (ჯკუა ისწავლეს), ვ. ი. ლენინს ბოდიშს უხდიან წინანდელი ბარათის მკვეთრი ტონის გამო, ამ ტონს გმობენ ლ. ბ. კამენევისა და ნ. ი. ბუხარინისათვის გაგზავნილ დეპეშაშიც, მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ ისინი კვლავ აპირებენ ბრძოლის გაგრძელებას არა პარტიულ თანამდებობათა დაბრუნებისათვის (თანამდებობებიდან თავიანთი ნებით წავიდნენ), არამედ სსრ კავშირში რესპუბლიკის უშუალო შესვლისათვის. იმ დღეებში დანამდვილებით ჯერ კიდევ არავინ იცოდა, თუ საკითხი საბოლოოდ როგორ გადაწყდებოდა. ასე რომ, ბრძოლისათვის დრო კიდევ რჩებოდა. ამიტომაც ცდილობდნენ ე. წ. ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები“, რომ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი უფრო ღრმად ჩასწვდომოდა ამ საკითხს. მათ ყოველნაირად სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

---

[83] ციტირებულია ს. ვ. ხარმანდარიანის დასახ. წიგნიდან, გვ. 356.

[84] იქვე.

ვ. ი. ლენინთან სპეციალური ოფიციალური დელეგაციის გაგზავნაც კი დააპირეს, მაგრამ შემდგომი ამბების გამო (უმთავრესად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადადგომის გამო) ვერ მოახერხეს. აქ, შესაძლებელია, ი. ბ. სტალინის სათანადო დაინტერესებულობამ, აგრეთვე ბუდუ მდივნის საქართველოში არყოფნამ (უცხოეთში დიპლომატიურ სამუშაოზე გაგზავნამ) და ამ საქმისაგან მისმა დროებით ჩამოშორებამაც ითამაშეს გარკვეული როლი.

ყოველ შემთხვევაში, სულ რაღაც ერთი თვის წინ, 1922 წლის სექტემბერში, ვ. ი. ლენინს, როგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი წარგზავნილის — ბუდუ მდივნის პოზიცია საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების ცალკეულ საკითხებში ანგარიშგასაწევად მიაჩნდა. ერთხელ კიდევ დავიმოწმოთ თუნდაც ვ. ი. ლენინის ის წერილი, რომელიც 1922 წლის 26 სექტემბერს გაუგზავნა ლ. ბ. კამენევს (რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის): „ეს ჩემი წინასწარი პროექტია. მდივანთან და სხვა ამხანაგებთან საუბრების საფუძველზე დავუმატებ და შევცვლი“[85] — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი.

ვინ იცის, ბუდუ მდივანთან ხელმეორედ შეხვედრისა და საუბრის შემდეგ ვ. ი. ლენინს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიცია იქნებ ამ შემთხვევაშიც ანგარიშგასაწევად მიეჩნია.

ყველაფერი ეს მხოლოდ ვარაუდებია. მოვლენათა მსვლელობა ი სულ მალე ნათელს გახდის, რომ სსრ კავშირში საქართველოს უშუალოდ შესვლისათვის ბრძოლა უპერსპექტივო იყო. იგი უკვე წააგეს ქართველმა ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებმა“. წააგეს იმის გამო, რომ მათ წინ აღიმართა ი. ბ. სტალინის უდიდესი ავტორიტეტი, ორგანიზატორული ძალა და, რაც მთავარია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი შემადგენლობისადმი მისი განაწყენებულობა (უმთავრესად, „ავტონომიზაციის პროექტთან“ დაკავშირებით). ი. ბ. სტალინის უზარმაზარი ორგანიზატორული ძალა, იდეური თუ პოლიტიკური ბრძოლის ძირეული მეთოდები, ქართველ ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებს“, ისევე როგორც ბევრ სხვას, ჯერ კიდევ კარგად არ ჰქონდათ შეცნობილი. იმ დღეებში მათ ალბათ, გ. კ. ორჯონიკიძისადმი ი. ბ. სტალინის 1922 წლის 22 ოქტომბრის ზემოციტირებული

---

[85] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 42, გვ. 484.

დეპეშის („საქართველოს ცეკას საფუძვლიანი დასჯის“ შესახებ) შინაარსიც არ იცოდნენ. ეს დეპეშა კი ბევრის მომასწავებელი იყო.

სულ მალე ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტების“ წინააღმდეგ „მსუბუქი რეპრესიები“ (პარტიულ ორგანიზაციებში დამუშავება, საქართველოდან გაწვევა და სხვ.) დაიწყება. ე. წ. „უკლონისტები“ კონტრკამპანიას გამართავენ. ბრძოლაში მაზრათა პარტორგანიზაციებიც ჩაებმებიან. აქა-იქ საქართველოს კომპარტიის საგანგებო ყრილობის მოწვევასაც მოითხოვენ, ზოგიერთ პარტიულ ფორუმზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი შემადგენლობის მხარდასაჭერად რეზოლუციებსაც სთავაზობდნენ (რომლებსაც, ცხადია, უარყოფდა აბსოლუტური უმრავლესობა), მაგრამ პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალმა შემადგენლობამ, შესაშური ორგანიზატორული მუშაობა გასწიეს რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობის გარშემო პარტიული მასალების დასარაზმავად. ეს ნათლად დადასტურდა ცენტრალური კომიტეტის გადადგომის პირველივე დღეებში, როცა პარტიულმა ორგანიზაციებმა, მისმა ძირეულმა უჯრედებმა რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობის მოწოდების თანახმად, დაგმეს ცენტრალური კომიტეტის ძველი შემადგენლობის პოლიტიკური ხაზი. მაგალითად, რაიონული პარტიული ორგანიზაციების კრებები თბილისში 25 ოქტომბერს ჩატარდა. პირველ რაიონში მოხსენება გ. კ. ორჯონიკიძემ გააკეთა, მის წინააღმდეგ ფ. ე. მახარაძე გამოვიდა. მეოთხე რაიონში მომხსენებელი ბ. ბ. ლომინაძე იყო. მას მ. კ. ცინცაძე და ე. ა. ეშბა დაუპირისპირდნენ. ყველა რაიონში ხმის უმრავლესობით დაგმეს ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტები“ (პირველ რაიონში — ერთხმად, მეორეში — 6 თავი შეიკავა; მესამეში — ერთმა თავი შეიკავა; მეოთხეში — რეზოლუციას, რომელშიც დაგმობილი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი შემადგენლობის პოლიტიკური ხაზი, მხარი დაუჭირა 275 კაცმა, წინააღმდეგ მისცა ხმა 200 კაცმა).[86]

საქართველოს კომპარტიაში ამ დროს შექმნილი მდგომარეობა თავისებურადაა შეფასებული წერილში, რომელიც გ. კ. ორჯონიკიძემ 1922 წლის 28 ოქტომბერს გაუგზავნა ვ. ი. ლენინს:

---

86 მოყვანილია ს. ე. ხარმანდარიანის დასახ. წიგნიდან, გვ. 357.

«Дорогой Владимир Ильич!

По приезде из Москвы, несколько дней я остался в Бак,, где сделал доклад на общегородской конференции Бакинской организации. Конференция единогласно одобрила как работу крайкома, так и последнее решение Пленума ЦК РКП о Союзе республик. Но что случилось в Тифлисе. Здесь, вернувшиеся из Москвы товарищи (Цинцадзе, Думбадзе, Окуджава и др.) повели бешенную агитацию как против Цека, так и против нас. Пробовали (неразборчиво) собрание ответственных работников (список был составлен Думбадзе, причем в этот список не вошли ни секретарь Заккрайкома, он же член Цека Грузии Орахелашвили, ни секретарь Тека Кахиани, ни Элиава и многие др.), но это им не удалось. т. к. Тека и секретарь Заккрайкома запротестовали и потребовали созыва собрания в партийном порядке. Я приехал 18. X. на 19 было созвано собрание Пленума Тека с ответственными работниками, на котором я сделал только информационный доклад, в котором совершенно не касался спорных вопросов. подчеркнув, что со всеми решениями Пленума тов. Мдивани согласен и соответствующее письмо написал из Москвы (прощаясь с тов. Мдивани в Москве, он мне сказал, что никаких разногласий между нами больше нет, все кончено. Уверив меня, что написал с таким содержанием письмо Кавтарадзе и т. д.). Кавтарадзе мне (не разборчиво). что письмо Мдивани у него в кармане и ни одного слова похожего на то, что я говорил, в письме нет. После меня выступили с возмутительными речами Окуджава. Цинцадзе, Махарадзе, которые бессовестно спекулировали на Вашу записку к Каменеву, противопоставляя Вас, Каменева и Бухарина Цека. После их выступлений я потребовал прочтения письма Мдивани, надеясь, что написал то, о чем со мной говорил. Письмо высылаю Вам. Из него Вы увидите, как он передает все, что было в Москве и что предлагает. Посылаю Вам еще также другой документ — постановление Совнаркома Грузии от 29 сентября 22 года. Из него Вы увидите. если прочтете подчеркнутые места, как думают грузинские коммунисты оградить грузинскую независимость. По моему глубокому убеждению. эта группа товарищей совершенно определенно подпала под влияние грузинской националистической интеллигенции. Их уход только оздоровит партию и поможет установить настоящие добрососедские отношения с армянами и азербайджанцами. Их политика, если бы она восторжест-

вовала, привела бы к полному банкротству соввласти в Закавказье. Без национального мира нельзя сделать здесь ни одного шага вперед. Политика же Мдивани+Махарадзе — политика воинствующего грузинского национализма. Если они довели даже Нариманова до того, что он предложил выразить им на заседании Заккрайкома порицание, то, я думаю, ясно для всех, как далеко они зашли. Их отставка не страшна. Это буря в стакане воды. Не беспокойтесь, никаких восстаний на этой почве не будет. Будет маленькая склока в партии, но это не страшно: пошумят, поголдят и замолчат. В Тифлисе они биты. В провинции отправились товарищи. Все сделаем. Придется убрать отсюда Махарадзе, Кавтарадзе. Мдивани, от них толку не будет.

Привет Надежде Константиновне.

Крепко жму Вашу руку.

Ваш С. Орджоникидзе.

28[87]—IX—22 г. Гор. Тифлис»[88].

რამდენიმე კომენტარი ამ წერილთან დაკავშირებით:

1. წერილში მოთხრობილი ფაქტები, მათი ავტორისეული შეფასებისაგან განსხვავებით, ძირითადად სწორია. ზოგი რამ ჩვენ ზემოთ დოკუმენტურადაც ვაჩვენეთ.

2. წერილის ზოგიერთი ადგილი აშკარად ტენდენციური და დემაგოგიურია. მაგალითად, გ. კ. ორჯონიკიძე ცდილობს დაარწმუნოს ვ. ი. ლენინი, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადადგომა ხელს შეუწყობს სომხებსა და აზერბაიჯანელებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას. ვინც ამ პერიოდის ისტორიას ასე თუ ისე იცნობს, ის უთუოდ დაადასტურებს, რომ ორჯონიკიძის ეს განცხადება არა მარტო ტენდენციური და დემაგოგიური, არამედ ცილისმწამებლურიცაა. განა რა გააკეთეს ისეთი (ან რის გაკეთებას აპირებდნენ) ე. წ. „უკლონისტებმა“, რაც სომხებთან და აზერბაიჯანელებთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას

---

[87] დედანში კარგად იკითხება, რომ წერილი დაწერილია 1922 წლის ოქტომბრის 20-იან რიცხვებში, მაგრამ ავტორის გაურკვეველი ხელის გამო, ჯერს ზუსტი თარიღის დადგენა. ყველაზე სწორ სავარაუდო რიცხვად მაინც 28 უნდა მივიჩნიოთ.

[88] დოკუმენტი უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრში გამოაელინა და გადმოგვცა პროფესორმა გ. ყვანიამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ. მასვე ეკუთვნის წერილის პირველი არასრული პუბლიკაციაც. პროფ. გ. ყვანიას აზრით, წერილის დაწერის თარიღი 27 ოქტომბერია.

უშლიდა ხელს? იქნებ სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიული ტერიტორიების მითვისება სცადეს? ჩვენ ხომ ვიცით, რომ მათ რესპუბლიკის ისტორიული ტერიტორიის იმ ნაწილის შემოერთებაც ვერ მოახერხეს, რომელიც ადრე, სხვადასხვა მიზეზთა გამო სხვა რესპუბლიკათა შემადგენლობაში აღმოჩნდა. უფრო მეტიც, იქნებ არა სიხარულით, არამედ იძულებით, მაგრამ მათ ხომ საბოლოოდ მაინც მოაწერეს ხელი იმ დოკუმენტებს, რომელთა ძალითაც ეს ისტორიული ქართული მიწები მოძმე რესპუბლიკათა შემადგენლობაში დარჩა? კიდევ რაღა უნდა გაეკეთებინათ სასაზღვრო საკითხის ე. წ. „ინტერნაციონალისტური პრინციპით" გადაწყვეტისა და სომხეთსა და აზერბაიჯანთან „კეთილმეზობლური ურთიერთობის" დამყარებისათვის? ან იქნებ საქართველოში მცხოვრები სომხებისა და აზერბაიჯანელების დისკრიმინაცია სცადეს? იქნებ საქართველოს საზღვრებზე კორდონების დაწესება მწვავე აუცილებლობით არ იყო ნაკარნახევი? რაც შეეხება სსრ კავშირში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის უშუალო შესვლის მოთხოვნას — იმ დღეებში პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის უთანხმოების უმთავრეს საკითხს — განა ვინმეს მოუვა აზრად სერიოზულად ამტკიცოს, რომ ეს მოთხოვნა (თუკი იგი განხორციელდებოდა) სომხებთან და აზერბაიჯანელებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას შეუშლიდა ხელს? განა მოძმე სომხეთი და აზერბაიჯანი საქართველოზე ნაკლებ უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებული სსრ კავშირში უშუალო შესვლითა და მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის მიღებით? აქ ყველაფერს განსაზღვრავს ის, თუ როგორ გვესმის ინტერნაციონალიზმი, ნაციონალიზმი და რის საფასურად უნდა მიიღოს ამა თუ იმ ხალხმა „კეთილმეზობლური ურთიერთობის" გარანტიები.

დემაგოგიურია გ. კ. ორჯონიკიძის ის განცხადებაც, რომ მდივნისა და მახარაძის პოლიტიკა მებრძოლი ქართული ნაციონალიზმის პოლიტიკაა:

ფილიპე მახარაძე — ქართული მებრძოლი ნაციონალიზმის ერთ-ერთი ლიდერი... დაიჯერებს ნეტავ ვინმე ამას?

შემდეგ, როგორც ზემოთ ვნახეთ, იმის გამო, რომ პარტიის თბილისის კომიტეტის გაფართოებულ პლენუმზე, ფილიპე მახარაძემ, მიხეილ ოკუჯავამ და კოტე ცინცაძემ სსრ კავშირში საქართველოს უშუალოდ შესვლის წინადადება წამოაყენეს, ცნობილმა აზერბაიჯა-

ნელმა მოღვაწემ ნარიმან ნარიმანოვმა მათი პარტიული გაკიცხვა მოითხოვა. ნარიმან ნარიმანოვი ზოგიერთ საკითხში თვითონაც არ ეთანხმებოდა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს. მაგრამ ამ შემთხვევაში რახან თვით ნარიმან ნარიმანოვმა მოითხოვა ე. წ. ქართველი „უკლონისტების“ დასჯა, სერგო ორჯონიკიძის აზრით, ეს აღნიშნულ ქართველ მოღვაწეთა „მებრძოლი ნაციონალიზმის“ უცილობელი დამამტკიცებელი საბუთია. ყოველ შემთხვევაში, წერილის ავტორი ცდილობს ასეთად წარმოაჩინოს ეს ფაქტი ვ. ი. ლენინთან.

რა არის ეს? უბრალო დასმენა ვ. ი. ლენინთან? რასაკვირველია, არა. სერგო ორჯონიკიძეს ეს არ სჭირდებოდა. აქ არის თავდაცვა. თავდაცვა იმ მომენტში, როცა „ყოფნა-არყოფნის“ საკითხი წყდებოდა. ეს არის ცდა, თავიდან აიცილოს ბრალდებები, რომლებსაც ე. წ. „უკლონისტები“ უყენებდნენ სერგო ორჯონიკიძეს საერთოდ, და კერძოდ, 20 ოქტომბერს მოსკოვში პირდაპირი მავთულით გადაცემულ ბარათში. ხომ შეიძლებოდა იმის დაშვება, რომ ვ. ი. ლენინი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიციას გაამართლებდა. განა ასე არ მოხდა ი. ბ. სტალინის, გ. კ. ორჯონიკიძისა და სხვათა „ავტონომიზაციის“ პროექტის განხილვისას, როცა ვ. ი. ლენინმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოსაზრება ანგარიშგასაწევად ჩათვალა? არსებობდა გარანტია, რომ კვლავ ასე არ მოხდებოდა? ამიტომ გ. კ. ორჯონიკიძის აზრით, შველა მხოლოდ და მხოლოდ იმაში იყო, თუ ვ. ი. ლენინს დაარწმუნებდა მდივან-მახარაძის ჯგუფის უკიდურეს ნაციონალიზმში. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა საფიქრებელში ჩაეგდო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი და ვ. ი. ლენინი პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის არსებული კონფლიქტის განხილვისას. ნაციონალიზმში ეჭვმიტანილი მოღვაწეების მხარდაჭერა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ცხადია, გაუჭირდება. საქმეში ღრმად ჩაწვდომისათვის კი დრო იყო საჭირო. გ. კ. ორჯონიკიძე ყოველი გზით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მისი უხეშობა მდივან-მახარაძის ჯგუფის ნაციონალიზმით იყო გამოწვეული.

3. გ. კ. ორჯონიკიძე არწმუნებს ვ. ი. ლენინს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადადგომა არავითარ საფრთხეს არ შექმნის, რომ ამ ნიადაგზე, საქართველოში არავითარი

აჯანყება (!) არ მოხდება, ცოტას წაიკინკლავებენ, იხმაურებენ (!) ილაყბებენ (!) და დაწყნარდებიანო.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ აბუჩადამგდებ ტერმინოლოგიას, რომელსაც გ. კ. ორჯონიკიძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დახასიათებისას იყენებს, წერილის ახლახან დამოწმებული ადგილი სინამდვილეს შეეფერება. საქართველოში მაშინ არავითარი აჯანყება „ამ ნიადაგზე" არ ყოფილა. მაგრამ საკითხავია, რატომ სჭირდება გ. კ. ორჯონიკიძეს ყოველივე ამის მტკიცება, საიდან გაჩნდა ამ აჯანყების შიში? ჩვენთვის ცნობილი დოკუმენტების მიხედვით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აჯანყებით არ იმუქრებოდა. იქნებ თვით ვ. ი. ლენინს გაუჩნდა ასეთი შიში, რაც შემდეგ გ. კ. ორჯონიკიძეს გაანდო, ხოლო ეს უკანასკნელი ამშვიდებს ვ. ი. ლენინს, მსგავსი არაფერი მოხდებაო. გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით, რადგან ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებიდან არც ეს ჩანს.

ასეა თუ ისე, გ. კ. ორჯონიკიძე ყველანაირად ცდილობს დაარწმუნოს ვ. ი. ლენინი, რომ ე. წ. „უკლონისტების" გადადგომას არავითარი სერიოზული გართულება არ მოჰყვება და უფრო უკეთესი იქნება, თუ ბევრ მათგანს საერთოდ მოაცილებენ კიდეც საქართველოს.

გავიხსენოთ, საქართველოდან „ნაციონალ-უკლონისტების" გაწვევის საკითხს ი. ბ. სტალინი გ. კ. ორჯონიკიძისათვის 22 ოქტომბერს გაგზავნილ დეპეშაშიც აყენებდა. გ. კ. ორჯონიკიძე, როგორც ვნახეთ, ვ. ი. ლენინისათვის 28 ოქტომბერს გაგზავნილ წერილშიც ადასტურებს საქართველოდან ფილიპე მახარაძის, სერგო ქავთარაძისა და ბუდუ მდივნის გაწვევის აუცილებლობას (ბუდუ მდივანი ჯერ კიდევ არ იყო დაბრუნებული უცხოეთიდან).

„ურჩ" მოღვაწეთა გაწვევა, ძირითადი სამუშაოდან მათი ჩამოცილება (თუნდაც მოჩვენებითი დაწინაურება) ერთობ დამახასიათებელი იყო საბჭოთა რეჟიმისათვის. ი. ბ. სტალინი თვითონ იყო ასეთი „კომბინაციების" ავტორი. მაგალითად, მისი აზრით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადამდგარ წევრთა მოსკოვში გაწვევა „უმტკივნეულოდ" ჩაივლიდა, თუკი მახარაძე «...можно было провести в Президиум союзного ЦИКа, а Кавтарадзе в члены ЦИКа, или кандидатом к Филиппу, или что-нибудь в этом роде».

«При этой комбинации. — აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი, — отзыв Цинцадзе прошел бы для внешнего мира незаметным».

«Недурно было бы. кроме того, — განაგრძობს ის, —разложить фракцию национал-коммунистов, оторвав от нее Филиппа»[89].

ყოველივე ეს საჭირო იყო თურმე საქართველოში „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ იდეების დანერგვისათვის.

ქართველ კომუნისტთა ერთი ჯგუფის (გ. კ. ორჯონიკიძის მომხრეთა) მთელი ტრაგედია ის იყო, რომ მას თავისებურად (არასწორად) ესმოდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები. სწორედ ამის გამო იყო, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლები ძალიან ხშირად რუსული ველიკოდერჟავული პოლიტიკის გამტარებლებად გვეელინებოდნენ. ხდებოდა ისეც, რომ ზოგიერთები თავიანთი პოზიციის შენარჩუნების გარანტიას სწორედ ამ ცუდად გაგებული პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრიციპებისა და რუსული ველიკოდერჟავული პოლიტიკის ერთგულებაში ხედავდნენ. ეს ისეთ საფარად მიაჩნდათ, რომელიც მათი აზრით, ააღვილებდა ნებისმიერი მოწინააღმდეგის დამარცხებას.

სწორედ ამ პოლიტიკისადმი ი. ბ. სტალინისა და გ. კ. ორჯონიკიძის ერთგულებიდან იღებდა სათავეს ქართველ კომუნისტთა ე. წ. „ნაციონალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლაში დაშვებული ბევრი სამწუხარო დანაშაულის ტოლფასი შეცდომა. აქ გარკვეული როლი შეასრულა ი. ბ. სტალინისა და გ. კ. ორჯონიკიძის უაღრესად ახლო მეგობრულმა ურთიერთობამ, ი. ბ. სტალინისადმი გ. კ. ორჯონიკიძის უანგარო ერთგულებამ, რაც დიდი ხნის მანძილზე გრძელდებოდა, თუმცა, როგორც ვიცით, საბოლოოდ ვერც ამან იხსნა გ. კ. ორჯონიკიძე იმ ხვედრისაგან, რაც ბევრ მოღვაწეს დაატყდა თავს 30-იანი წლების მეორე ნახევარში. თუ სადმე სამართალია, გ. კ. ორჯონიკიძე ნამდვილად კი უნდა ეხსნა ი. ბ. სტალინს ამ მძიმე ხვედრისაგან, მაგრამ მარტო ის აღმოჩნდა ასეთ მდგომარეობაში? საერთოდ ი. ბ. სტალინისა და გ. კ. ორჯონიკიძის — ამ ორი უშიშარი პროფესიული რევოლუციონერის, მთელს ქვეყანაში და მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მოღვაწის — წინააღმდეგობრივი და ტრაგიკული ამბებით აღსავსე ცხოვრების გზა ობიექტურად არის შესაფასებელი. მისგან სამომავლო გაკვეთილები უნდა გამოვიტანოთ.

---

89 გაზ. „პრავდა“, 1988 წლის 12 აგვისტო.

საბოლოო ანგარიშით პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობის პოლიტიკურ ხაზს მხარი დაუჭირა რესპუბლიკის ყველა სამაზრო პარტიულმა ორგანიზაციამ. 31 ოქტომბერს გ. კ. ორჯონიკიძე ი. ბ. სტალინს სწერდა: «Среди партийных масс вызывает недоумение только уход Махарадзе, а об остальных не только никто не возражает, но считают, что давно надо было их повыгонять»[90].

სერგო ორჯონიკიძე აქაც არ ღალატობს თავის ტერმინოლოგიას.

7. კონფრონტაცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველ და ახალ შემადგენლობებს შორის. საქართველოს შესვლა სსრ კავშირის შემადგენლობაში

ცხოვრებამ სერიოზული გამოცდის წინაშე დააყენა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელმაც მიზნად დაისახა პარტიის ერთიანობის აღდგენა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება. აუცილებელი იყო პარტიულ მასებში ნამდვილი ავტორიტეტის მოხვეჭასა და გაზრდაზე ზრუნვაც, რაც ერთობ ძნელი იყო საოკუპაციო რეჟიმის პირობებში. საქმე ისაა, რომ ცენტრალური კომიტეტის ძველ შემადგენლობაში იყვნენ არა მარტო პარტიის უძველესი წევრები, არამედ ისეთი მოღვაწეები, რომელთა თეორიული თუ პრაქტიკული რევოლუციური საქმიანობა საყოველთაოდ იყო ცნობილი საქართველოსა და მთელი კავკასიის ბოლშევიკურ წრეებში. მართალია, პარტიის უძველესი წევრები ახალ შემადგენლობაშიც იყვნენ (4 წევრი ძველი შემადგენლობიდან დარჩა, დაემატნენ: ძიხა ცხაკაია, ვანო სტურუა და სხვ.), მაგრამ პარტიულ მასებზე გავლენის თვალსაზრისით, ახალი შემადგენლობა, რასაკვირველია, პირველ ხანებში ბევრად უთმობდა ძველს (განსაკუთრებით პროვინციაში). ასე ფიქრობდნენ პარტიული (ბოლშევიკური) მასები. რაც შეეხება თვით ქართველ ხალხს, იგი ერთსაც და მეორესაც, სავსებით სამართლიანად, კოლაბორაციონისტებად მიიჩნევდა. ახალ შემადგენლობას განსაკუთრებით უნდა ეზრუნა მასების სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვისათვის ისიც უნდა გაეთვალისწინებინათ,

---

[90] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 85, აღწ. 24, საქ. 85, ფურც. 1—6; საქ. 82, ფურც. 1.

რომ ძველ ხელმძღვანელობას თავისი მმართველობის პერიოდში (მთლიანობაში აღებული წელიწადი და 8 თვე) სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის არც ერთი სერიოზული გართულება ან კონფლიქტი არ ჰქონია მასებთან. მართალია, შემდეგ, ძველი შემადგენლობის კამპანიური კრიტიკის დროს, პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა ასეთ „გართულებებსაც" გამოუნახავენ ძველ ხელმძღვანელობას. ბევრ ბრალდებასაც წაუყენებენ მას (მაგალითად, აგრარული რეფორმის საკითხში და სხვ.), მათგან ზოგი სამართლიანი იქნება, ზოგიც უსამართლო, მაგრამ აქ მთავარი სხვაა, კერძოდ ის, რომ შექმნილ ვითარებაში საჭირო გასდა ძველი ხელმძღვანელობის განქიქება, მისი ავტორიტეტის შელახვა. პოლიტიკური ბრძოლის, დღესაც დაუძლეველი, ეს წესი კიდევ უფრო ძლიერი იყო მაშინ.

ძველ შემადგენლობას ხალხის თვალში, თუ შეიძლება ასე ითქვას, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პლუსი ჰქონდა. მან თავი გამოიჩინა შედარებით გონივრული ეროვნული პოლიტიკის გატარებისათვის ბრძოლაში და სწორედ ამ ბრძოლამ მიიყვანა იგი გადადგომამდე; ახალ ხელმძღვანელობას, თუ მას ავტორიტეტის მოპოვება სურდა, არ უნდა უგულებელეყო ეროვნული ინტერესები. ცხადია, იგი ვერ წამოაყენებდა იმ მოთხოვნებს, რომელთა გამოც ძველ ხელმძღვანელობას უთანხმოება ჰქონდა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტთან, რადგან პირველი გაკვეთილი, რაც მათ ძველი ხელმძღვანელობის გამოცდილებიდან უნდა გამოეტანათ და პირველი პირობა, რომელიც მათ, ალბათ, რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს დაუდეს (ცხადია, არაოფიციალურად), ის იყო, რომ აღარ დაეყენებინათ სსრ კავშირში საქართველოს უშუალო შესვლის საკითხი („ავტონომიზაციის" პროექტი უკვე უგულებელყოფილი იყო).

ბევრი რამ იმაზეც იყო დამოკიდებული, თუ როგორ მოიქცეოდა ცენტრალური კომიტეტის გადამდგარი შემადგენლობა. იგი რომ სსრ კავშირში საქართველოს უშუალოდ შესვლისათვის ბრძოლას გააგრძელებდა, ცხადი იყო (რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ამ საკითხის კიდევ ერთხელ განხილვის შესაძლებლობას ხომ არ გამორიცხავდნენ არც ვ. ი. ლენინი, ლ. ბ. კამენევი და ნ. ი. ბუხარინი), მაგრამ მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რა ფორმა მიეცემოდა ამ ბრძოლას, შეეცდებოდნენ თუ არა ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტები" ამ ბრძო-

ლაში სამაზრო პარტიული ორგანიზაციების ჩაბმას. თუ ისინი ამ გზას აირჩევდნენ, მაშინ, ცხადია, რამდენადმე გართულდებოდა ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობის გარშემო პარტიული ორგანიზაციების დარაზმვა. სულ მალე ცნობილი გახდა, რომ ძველმა შემადგენლობამ მუშაობის არალეგალურ ფორმასაც მიმართა. მისი წარმომადგენლები სპეციალური დავალებებით მიემგზავრებოდნენ მაზრებში და ცდილობდნენ პარტიული ორგანიზაციების გადმობირებას. გურიის მაზრაში, მაგალითად, ჩასულან ბათუმიდან, თბილისიდან და სათანადო „რეზოლუციის გამოტანაც მოუხერხებიათ". ამის შესახებ მ. დ. ორახელაშვილს გურიიდან წერილიც გაუგზავნეს, რომელსაც გარკვეულ წრეებში იმ დროს გაბატონებული წარმოდგენების კვალი ეტყობა. „ცენტრში არ ვიცი და პროვინციას აშკარაა, რომ ჩვენს პარტიაში გავლენას პოულობს და გაბატონებას ლამობს წერილბურჟუაზიული ელემენტები. ამიტომ, მორიგ საკითხად უნდა დაისვას მასთან სასტიკი ბრძოლის აუცილებლობა ნამდვილი პროლეტარული ელემენტების საშუალებით, აქ უკან დახევა აღარ შეიძლება, ამ შემთხვევაში არ უნდა შეგვაშინოს თუნდაც ხმების უმრავლესობამაც"[91] — აღნიშნულია წერილში. გურიაში საიდუმლო კრების ჩატარების თაობაზე აცნობეს აგრეთვე საშა გეგეჭკორს. ამ კრებაზე აურჩევიათ „სამეული (რამიშვილი, თედორე დოლიძე და ჩეჩელაშვილი), რომელსაც დაევალა სათანადო ზომების მიღება".[92]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, 1922 წლის 14 ნოემბრის, სხდომაზე ოფიციალურად აღინიშნა, რომ „ნაციონალ-უკლონისტების მნიშვნელოვანი ნაწილი არალეგალურ მუშაობას ეწეოდა. მათ მაზრებში დაუგზავნიათ თავიანთი რწმუნებულები, რომლებიც აგიტაციას ეწეოდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობის წინააღმდეგ და ცენტრალური კომიტეტის ძველი, გადამდგარი შემადგენლობის ხელმძღვანელობაში დაბრუნების სასარგებლოდ, აგრეთვე პარტიის ახალი ყრილობის მოწვევისათვის. ზოგიერთ მაზრაში უკლონისტებმა სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. 1922 წლის 2 ნოემბერს ოზურგეთის სამაზრო კომიტეტის წევრთა და პასუხისმგებელ მუშაკთა

---

91 პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 234, ფურც. 113.

92 იქვე, გვ. 112.

კრებამ უნდობლობა გამოუცხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალ შემადგენლობას, მოითხოვა ცენტრალური კომიტეტის ძველი შემადგენლობის დაბრუნება და საგანგებო ყრილობის მოწვევა. 1922 წლის 13 ნოემბერს „ნაციონალ-უკლონისტებმა“ თბილისში ჩაატარეს არალეგალური თათბირი ზოგიერთ სამაზრო და რაიონული კომიტეტის მდივნებთან. თათბირზე მიიღეს საპროტესტო რეზოლუცია რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წინაშე მდეგ და მოითხოვეს საგანგებო ყრილობის მოწვევა.[93]

„ნაციონალ-უკლონისტების“ არალეგალური მუშაობის დამადასტურებელ კიდევ ორ დოკუმენტს მოვიყვანთ უცვლელად. ეს გახლავთ იმ დროს სიღნაღის სამაზრო გამწმენდი კომისიის წევრის მოსე ვარამაშვილის წერილები სერგო ორჯონიკიძესა და მამია ორახელაშვილს (სტილი დაცულია).

„კომუნისტური სალამით ამხ. სერგო. ამასწინათ გადმოვუგზავნეთ ამხ. მამიას სიღნაღის მაზრის კომიტეტის წევრის ინფორმაცია, თუ რანაირ მუშაობას აწარმოებენ ფ. მახარაძის ჯგუფი. რასაკვირველია ვერაფერს გახდებიან, ვინაიდან მთელი მაზრა ჩვენია, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ რაღაც არალეგალურ ჯგუფურ მუშაობას აწარმოებენ, მოსდით შიკრიკები თბილისიდან და სხვ. ამისათვის უნდა იქნას სათანადო ზომები მიღებული. ვინაიდან სამაზრო პარტკომი მათ ხელში არის, ე. ი. მდივანი მათი არის. ყოფილი ცეკას წევრი მოსე ვარამაშვილი. ახლა სამაზრო გამწმენდი კომისიის წევრი.

ქ. სიღნაღი.

ამ ბარათს მოგიტანთ საოლქო კონფერენციის დელეგატი ამხ. ჯანკიევი, მოუსმინეთ მას. იგი დაწვრილებით გადმოგცემთ. იგი ჩვენია.

მოსე ვარამაშვილი 8/XI-22 წელს“.[94]

ამავე პერიოდს ეკუთვნის მოსე ვარამაშვილის ქვემომოყვანილი წერილიც:

„კომუნისტური სალამი ამხ. მამია. ამასწინათ გადმოგიგზავნეთ მოკლე ინფორმაცია ამხ. ნიკო აივაზოვის ხელით, სიღნაღის მაზრის შესახებ. ხომ კარგად გახსოვთ შარშან სიეზდის შემდეგ ფ. მახარაძემ

---

93 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 94.

94 პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 24, ფურც. 23.

დაიწყო ინტრიგები, რადგანაც მე მას არცროდის ვემხრობოდი, იმის შემდეგ გადმოგზავნეს რამდენიმე განსაკუთრებული კომისიები პარტიული მუშაობის შესახებ, მაგრამ დეფექტები ვერავითარი აღმოაჩინეს. და ბოლოს გადაეწყვიტათ, რომ მოვეხსენით სიღნაღის მაზრიდან და გადამიყვანეს ცეკას განკარგულებაში. მაგრამ ამ ხანში ვიყავი გამწმენდ კომისიაში დანიშნული აქვე და კიდეც ახლა ვმუშაობ, რასაც დავამთავრებ ერთი კვირის განმავლობაში. ფ. მახარაძეს და თ. კალანდაძეს სურდათ, რომ სიღნაღის მაზრა ჩაეგდოთ ხელში და არ ყოლოდათ მოწინააღმდეგე მაზრა. ეს კი შეასრულეს, რომ მომხსნეს მე, მაგრამ ის საღი აზროვნება მე ვერ ამაგლიჯეს გულიდან რასაც ვთესამდი. ეს დაამტკიცა ვ. სტურუას აქ ყოფნის დროს მომხდარ თათბირმა, რომლის დროს დიდი უმრავლეს ხმით იქნა (მიღებული) კრაევეი კომიტეტის ერკაპეს რეზოლუცია. რაკი ამ მხრივ დამარცხება განიცადეს, მიყვეს ხელი არალეგალურად ჩურჩულ-კურკურს, ასე იგი ჩემ მოადგილემ დათიკო მახარაძემ, სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე თათეიშვილმა, პოლიტბიუროს გამგე გეგელიამ დაიწყეს უჩუმრათ მუშაობდა, ორჯელ ცენტრიდან მოუვიდათ შიკრიკი ვიქტორ ცინცაძე, რომელთანაც ქონდათ უჩუმარი თათბირები და ჩვენგან არავის არ შეგვატყობინეს, ეტყობათ, რაღაც მუშაობაში არიან, ცინცაძე აქედან გაემგზავრა ორჯერვე თელავშიც. მე მგონი, რომ იქაც სათანადო ძალის დასადებათ ამხ. მათიკაშვილის სახით.

მთელი მაზრის ამხანაგნი გაკვირვებულნი არიან თუ ასე გაკოტრდებოდნენ, მაგრამ ერთი კი ფაქტია იმაში, რომ მათ არავითარი გავლენა არ აქვთ მაზრის ფარგლებში, მხოლოდ სარგებლობენ თავიანთი ადგილების მხრივ და ზოგიერთებს ტყუილათ აწერინებენ ხელს, რათა მოითხოვენ ძველი ცეკას აღდგენას და სიეზდის მოწვევას. ამას აკეთებენ შანტაჟისტურათ, ამახინჯებენ სამაზრო კომიტეტის დადგენილებას და სხვ.

ერთი სიტყვით, საჭიროა საჩქაროთ ზომები იქნას მიღებული ფ. მახარაძის ჯგუფების წინააღმდეგ. ესენი კი არიან პარტკომის მდივანი დათიკო მახარაძე, მოსე ცინცაძე, მისი თანაშემწე, სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე თათეიშვილი და პოლიტბიუროს გამგე გეგელია. ესენი არიან მთელი ჯგუფი ჩვენ წინააღმდეგ და ავრცელებენ ათასნაირ ინსინუაციებს ერკაპეზე, ისე როგორც წმინდა წყლის ნაციონალისტებს შეშვენის. ყოვლად დაუშვებელია ასეთი საქციელი ამ

პატარა ჯგუფის მიერ, რომელიც ყოველ მხრივ გაკოტრებულია ლოთიეით.

საოლქო, ყრილობაზედ ვგზავნით ამხ. ჯანკიევს, რომელიც არის ჩვენი და პირადათ გადმოგცემთ დაწვრილებით საქმის გარემოებას. ბოდიშს ვიხდი, ვინაიდან რაიონში მივეჩქარები სამუშაოზე კომისიათ.

პატივისცემით მოსე ვარამაშვილი. ქ. სიღნაღი.[95]

წერილები არ გამოირჩევა სტილური თუ რედაქციული დახვეწილობით (კაცმა რომ თქვას, ამაზე ყურადღების გამახვილება უხერხულიცაა, მაგრამ, აღვნიშნავ, რახან ისინი მთლიანად მოვიყვანეთ), მათში აშკარად იგრძნობა „ფ. მახარაძის ჯგუფის" მიერ მოხსნილი და განაწყენებული კაცის ტენდენციურობა. მიუხედავად ამისა, ეს წერილები მნიშვნელოვანია ისტორიული ფაქტის დასადგენად, კერძოდ, სიღნაღის მაზრაში ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტთა" ჯგუფის არალეგალური მუშაობის დასადასტურებლად. ამასთან ირკვევა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველ შემადგენლობას სიღნაღის სამაზრო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში მხარდამჭერებიც ჰყავდა. ასე იყო ზოგიერთ სხვა მაზრაშიც, რასაც ის მოჰყვა, რომ უკვე ნოემბერში თანამდებობიდან გადააყენეს პარტიის რამდენიმე სამაზრო კომიტეტის მდივანი: სიღნაღისა — დავით მახარაძე, შორაპნისა — ვიქტორ სიხარულიძე, ლეჩხუმისა — გორგასლიძე; გაათავისუფლეს აგრეთვე პარტიის თელავის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, აღმასკომის თავმჯდომარე ბრაიტმანი. ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტური" საქმიანობისათვის ადრე გაათავისუფლეს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მდივნები ოდილავაძე და კაკაბაძე, ხელმძღვანელი პარტიული თანამდებობიდან გადამდგარ პირებს თანდათან ატოვებინებდნენ ცენტრალურ საბჭოთა აპარატში მათ მიერ დაკავებულ პოსტებსაც. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი მხარს უჭერდა პარტიის ამიერკავკასიის საშხარეო კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობის ასეთ ღონისძიებებს.

ორჯონიკიძემ რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში დააყენა საკითხი საქართველოდან ფ. ე. მახარაძის, ს. ი. ქავთარაძისა და კ. მ.

---

95 პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. საქ. 24, ფურც. 122.

ციცაძის გაწვევის შესახებ. იმას მიაჩნდა, რომ თუ ამ სამ კაცს ჩამოაშორებდა საქართველოს, მაშინ აქ სიმშვიდე დამყარდებოდა. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი, კერძოდ, ი. ბ. სტალინი საკმარისად არ თვლის გ. კ. ორჯონიკიძის ერთპიროვნულ აზრს და ითხოვს სასწრაფოდ შეატყობინონ ამ საკითხზე რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აზრი". 18 ნოემბერს კი ი. ბ. სტალინი წინადადებას აძლევს გ. კ. ორჯონიკიძეს, რომ ამიერკავკასიის საბჭოების პირველ ყრილობამდე ნუ ვიჩქარებთ საქართველოდან ფ. ე. მახარაძის, კ. მ. ცინცაძისა და ს. ი. ქავთარაძის გაწვევასო (საგამოცდო ვადასავით დაუწესეს), უფრო მეტი, ფ. ე. მახარაძე და ს. ი. ქავთარაძე სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრებადაც აირჩიეთო.[97]

არქივმა შემოგვინახა ჯერჯერობით დაუდგენელი ავტორის ხელნაწერი, რომელსაც აქ გთავაზობთ. იგი ხელს შეგვიწყობს იმდროინდელი დაძაბული მდგომარეობის შეცნობაში. დოკუმენტში ნათქვამია:

„მუშაობას თავი დაანება ცეკას წევრებმა და შემდეგმა პირებმა: 1) ფ. მახარაძე 2) დუმბაძე, 3) ქავთარაძე, 4) ცინცაძე, 5) მ. ოკუჯავა, 6) თოდრია, 7) მდივანი, 8) კალანდაძე, 9) საბაშვილი, 10 ეშბა, 11) ტოროშელიძე, 12) ბროცკი, 13) ერქომაიშვილი, 14) ხუტულაშვილი, 15) აგნიევი (ს. კომ. მოადგილე), 16) კ. ოკუჯავა, (ჩ. თ. მოადგ.), 17) ვაშაძე (რ. ტ. თავმჯდომარე).

ასახლებენ საქართველოდან:

1) ოკუჯავა მიშა, 2) კვირკელია ბესო, 3) გაბაროვი, 4) ციციკვაძე, 5) ოდელილიძე, 6) კუტულოვი, 7) კაკაბაძე, 8) სვანიძე.

გადააყენეს თანამდებობიდან:

1. კ. ცინცაძე, მის ადგილზე დანიშნა გეგეჭკორი,* 2) ტალახ.ძე.

დანიშნულია ახალ ცეკაში:

1) ლომინაძე (მდივნად), 2) ორახელაშვილი, 3) ორჯონიკიძე, 4) ელიავა, 5) კახიანი.

---

96 უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 558, აღწ. 1, საქ. 2461, ფურც. 1.

97 პოლიტიკური პარტიების არქივი, (ქ. თბილისი), ფ. 13, აღწ. 1, ნაწ. 1, საქ. 6, ფურც. 345.

* იგულისხმება: წიფწიკაძე, ოდილავაძე, გეგეჭკორი.

ჩვენ წინააღმდეგ არიან.

1) ორჯონიკიძე, 2) ორახელაშვილი, 3) გეგეჩკორი, 4) ლომინაძე, 5) ელიავა, 6) კახიანი, 7) კავკაზსკი, 8) რუბენ"[98].

მკითხველი უსათუოდ მიხვდება, რომ ავტორი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი შემადგენლობის წარმომადგენელი, ან მისი თანამოაზრეა. დასახელებულ მოღვაწეთა, ანუ შეიძლება ასე ითქვას, პერსონალური განაწილება, ცხადია, ზუსტი და სრულყოფილი არ არის. ჩვენთვის, უმთავრესად საყურადღებოა ტერმინოლოგია, რომელსაც ავტორი იყენებს: „ასახლებენ საქართველოდან", „ჩვენ წინააღმდეგ არიან" და სხვ., რაც ფრაქციული ბრძოლის არსებობის კიდევ ერთ საბუთად უნდა მივიჩნიოთ.

მდგომარეობა ჯვლავ დაძაბული რჩებოდა. პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის თანხმობით არ წყვეტენ რეპრესიებს ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტების", მიმართ, არც ეს უკანასკნელნი ანებებენ თავს ფრაქციულ მუშაობას. მთელ იმედებს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ სსრ კავშირში საქართველოს უშუალო შესვლის საკითხის ხელმეორედ განხილვაზე ამყარებენ. მასვე უგზავნიან წერილებს, რომლებშიც დაგმობილი იყო რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის საქმიანობა. ასე, მაგალითად, 1922 წლის 2 ნოემბერს ფ. ე. მახარაძემ პირადად ლ. ბ. კამენევს, ხოლო შემდეგ რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა წერილები, რომლებიც შეიცავდა საჩივრებს გ. კ. ორჯონიკიძის წინააღმდეგ (ხაზგასმული იყო გ. კ. ორჯონიკიძის უხეშობა). 9 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი შემადგენლობის თანამოაზრემ ილიკო წივწივაძემ რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს ჩააბარა ფილიპე მახარაძის, კოტე ცინცაძის, სერგო ქაფთარაძის, მალაქია ტოროშელიძის, სილიბისტრო თოდრიას, პარმენ საბაშვილის, ლადო დუმბაძის, თედორე კალანდაძის, მიხეილ ოკუჯავას, ეფრემ ეშბას და ბესარიონ გოგიას ხელმოწერილი განცხადება, რომელშიც გაკრიტიკებული იყო პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის საქმიანობა. განცხადებაში ყურადღებას იპყრობს ფრაზა: «Мы— по Ленину, они за военный коммунизм».

---

98 პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. საქ. 24, ფურც. 127.

ავტორები სთხოვენ რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, შეისწავლოს საკითხი და უზრუნველყოს საქართველოს კომპარტიის ყრილობის დაუყოვნებლივი მოწვევა. ამავე თვეში რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს (ასლი ვ. ი. ლენინს) გაეგზავნა 437 ქართველი კომუნისტის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელშიც მოწონებული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი შემადგენლობის პოლიტიკური ხაზი. ნოემბერშივე ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტთა" თანამოაზრეებმა ნიკოლოზ (კოლია) ოკუჯავამ (მიხეილ ოკუჯავას ძმამ) და კირილე კაკაბაძემ რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიმართეს თხოვნით: «защитить их от постоянных угроз и невыносимых оскорблений со стороны потерявшего совесть Орджоникидзе»[99].

ასეთივე ხასიათის დოკუმენტებს განეკუთვნება აგრეთვე ფილიპე მახარაძის მოხსენება, რომელიც მან ჯერ კიდევ 1922 წლის 16 სექტემბერს გაუგზავნა ვ. ი. ლენინს ამიერკავკასიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. საგულისხმოა, რომ მოხსენება დაიწერა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ „ავტონომიზაციის" პროექტის დაწუნების მეორე დღესვე. მოხსენებაში მითითებული იყო პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა და საქართველოს რესპუბლიკურ ორგანოებს შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობაზე, სამხარეო კომიტეტის მიერ აღებულ არასწორ კურსზე. „მემარცხენე" კომუნისტები, აღნიშნავდა ფილიპე მახარაძე, პარტიული დისციპლინის წესით თავს გვახვევენ აშკარად აბსურდულ გადაწყვეტილებებს. მოხსენებაში კონკრეტულად დასახელებული იყო ერთიანი საამიერკავკასიო საბჭოთა ფულის ნიშნის შემოღების მაგალითი. ცალკეული დიდგავლენიანი პასუხისმგებელი მუშაკები, ნათქვამია მასში, ანგარიშს არ უწევენ არც საშინაო და არც საერთაშორისო ვითარებას, ცდილობენ გაუსწრონ მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას. მათ იცოდნენ, რომ ერთიანი საამიერკავკასიო ფულის ნიშნის შემოღება (იგულისხმება ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ფულის ნიშანთა უნიფიცირება) გააუარესებდა საქართველოს მდგომარეობას (არც სხვა რესპუბლიკებს გამოადგებოდა), მაგრამ შეგნებულად მიდიოდნენ ამაზეო. «Должен откровенно сказать., что Грузию нельзя мерить ни азербайджанским, ни туркестанским аршином, но есть «левые» коммунисты. для которых никакой разницы не

---

[99] ვ. ხარმანდარიანის დასახ. წიგნიდან, გვ. 369.

существует. Более подробно по всем этим вопросам доложит Буду Мдивани, который в данном случае вполне выражает мнение как партийной, так и беспартийной массы. Еще раз извиняюсь за беспокойство и все мы ждем Ваших мудрых советов»[100].

ასკვნიდა ფილიპე მახარაძე.

ამ დოკუმენტიდან შეიძლება ნაწილობრივ მაინც წარმოვიდგინოთ, თუ რა საკითხებზე ჰქონდათ საუბარი ვ. ი. ლენინსა და ბუდუ მდივანს 1922 წლის 27 სექტემბერს. ამ შეხვედრის შედეგებზე ჩვენ ზემოთ ზოგადად ვისაუბრეთ. ვ. ი. ლენინთან მაშინდელი შეხვედრის შემდეგ ბუდუ მდივანი საქართველოში საზღვარგარეოიდან მხოლოდ ნოემბერში დაბრუნდა. 17 ნოემბერს იგი დაესწრო პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომას, სადაც განაცხადა, რომ საქართველოს კომპარტიაში ერთიანობის დასამყარებლად აუცილებელია დაუყოვნებლივ შეწყდეს რეპრესიები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი შემადგენლობის მიმართ და მოწვეულ იქნეს საქართველოს კომპარტიის ყრილობაო[101]. პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა ცნობად მიიღო ბუდუ მდივნის ეს განცხადება.

როგორც ვხედავთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი შემადგნლობის წარმომადგენლები დაასლოებით ერთსა და იმავე საკითხებს აყენებდნენ. მათ შორის მთავარი, ცხადია, სსრ კავშირში საქართველოს უშუალო შესვლის მოთხოვნა იყო, მაგრამ ამჯერად ყურადღების ცენტრი ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და მისი ხელმძღვანელის გ. კ. ორჯონიკიძის უხეშობასა და მასთან კოლეგიური მუშაობის შეუძლებლობაზე გადაჰქონდათ. უნდოდათ დაერწმუნებინათ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი კავკასიიდან გ. კ. ორჯონიკიძის გაწვევის მიზანშეწონილობაში. მიაჩნდათ, რომ თუ მას თავიდან მოიცილებდნენ, შემდეგ სხვა საკითხების მოგვარებაც

---

100 უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ტრი, ფ. 461, აღწ. 1, საქ. 31005. (იხ. ხარმანდარიანის დასახ. წიგნი, გვ. 298).

101 უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 64, აღწ. 2, საქ. 145, ფურც. 22; პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 13, აღწ. 1, საქ. 6, ფურც. 345.

გაადვილდებოდა. თუმცა უკვე კარგად ჩანდა, რომ სსრ კავშირში საქართველოს უშუალო შესვლის საკითხის დადებითად გადაწყვეტის შანსი დღითი დღე მცირდებოდა, მცირდებოდა იმიტომ, რომ ამ მოთხოვნას სამართლიანად არ თვლიდნენ თვით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა, პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი. სსრ კავშირში საქართველოს უშუალო შესვლის მოთხოვნას მხარი არ დაუჭირა საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიული მასების აბსოლუტურმა უმრავლესობამაც. ერთადერთი იმედი იყო ვ. ი. ლენინი, რომელსაც, ცხადია, შეეძლო შეებრუნებინა საქმე, თუ მოინდომებდა და, ამასთან, ჯანმრთელობა ხელს არ შეუშლიდა. ეს იმედი ასულდგმულებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველ შემადგენლობას, რომლისთვისაც შეიძლებოდა ასეთი საკითხიც დაესვა: გადადგომის შემდეგ ვისი სახელით (და რა უფლებით) გამოდიოდა ივი? ცხადია, ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებს“ უფლება ჰქონდათ ელაპარაკათ ცალკეულ რიგით კომუნისტთა ერთი ჯგუფის სახელით. ამ ვითარებას არ შეიძლებოდა გარკვეული დაღი არ დაესვა ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტთა“ ბრძოლის ფორმებზე. 1922 წლის დამლევისათვის აშკარა იყო, რომ „ნაციონალ-უკლონისტებმა“ ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმებისათვის ბრძოლა წააგეს, თუმცა ისინი ფარ-ხმალს არ ყრიდნენ.

უმოქმედოდ არ იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობაც, რომელმაც რესპუბლიკის მაზრებსა და რაიონებში ფართოდ გაშალა პოლიტიკური კამპანია, სსრ კავშირის შექმნისა და მასში ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით საქართველოს სს რესპუბლიკის შესვლის შესახებ. პარტიულ ორგანიზაციებში, წარმოებებსა და დაწესებულებებში იმართებოდა კრებები, რომლებზეც მსჯელობდნენ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 6 ნოემბრისა და რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1922 წლის 18 ოქტომბრის პლენუმების შედეგებზე. „ნაციონალ-უკლონისტების“ წინააღმდეგობის მიუხედავად, პარტიული ორგანიზაციებისა და წარმოება-დაწესებულებათა კრებები იღებდნენ რეზოლუციებს სსრ კავშირის შექმნისა და მასში ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით საქართველოს შესვლის შესახებ. ასეთი რეზოლუციები მიიღეს ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების II სამხარეო კონფერენციამ (1922 წლის 11 ნოემბერი), თბილისის საქალაქო საბ-

ჯოს პლენუმმა (1922 წლის 4 დეკემბერი) და მრავალმა სხვა ორგანიზაციამ.

ერთია, რას ფიქრობდა საოკუპაციო რეჟიმში მყოფი ქართველი ხალხი, ან სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, მაგრამ ქართველ კომუნისტებს შორის თვით სსრ კავშირის შექმნის საკითხი საკამათოდ არავის გაუხდია. ქართველ კომუნისტთა შორის, როგორც ვნახეთ, კამათი მხოლოდ იმაზე იყო, საქართველო ცალკე, მოკავშირე რესპუბლიკის სახით შესულიყო სსრ კავშირში, თუ ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით. თვით იდეა სსრ კავშირის შექმნისა, რა კუთხითაც არ უნდა მივუდგეთ მას, მაინც წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან იგი შემოთავაზებული იქნა ი. ბ. სტალინის „ავტონომიზაციის პროექტის" სანაცვლოდ. ამ ორ პროექტს შორის პრინციპული განსხვავება იყო. ჯერ ერთი, „ავტონომიზაციის პროექტის" მიხედვით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები უნდა შესულიყვნენ რუსეთის სფს რესპუბლიკაში მხოლოდ ავტონომიური უფლებების შენარჩუნებით, სსრ კავშირში კი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები შედიოდნენ როგორც თანაბარსტატუსიანი საბჭოთა რესპუბლიკები (მოკავშირე რესპუბლიკები), რომლებიც საკავშირო სახელმწიფოს ქმნიდნენ; მეორე, „ავტონომიზაციის პროექტის" მიხედვით, ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები ცალ-ცალკე უნდა შესულიყვნენ რუსეთის სფს რესპუბლიკაში როგორც ავტონომიური რესპუბლიკები, სსრ კავშირში კი ეს რესპუბლიკები შედიოდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის გზით.

ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის მეშვეობით სსრ კავშირში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შესვლის საკითხი საბოლოოდ გადაწყვიტა ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობამ, რომელიც 1922 წლის 10 დეკემბერს გაიმართა. ს. ორჯონიკიძის მოხსენების შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ სსრ კავშირის შექმნა და მასში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შესვლა ამიერკავკასიის ფედერაციის გზით დროული და აუცილებელი ღონისძიებაა. ყრილობამ აირჩია საბჭოების სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატები: ი. სტალინი, მ. ცხაკაია, ს. ორჯონიკიძე, ა. მიასნიკოვი, ს. კიროვი და სხვები, რომელთაც დაევალათ ხელის მოწერა საკავშირო ხელშეკრულებაზე.

ამავე პერიოდში მიმდინარეობდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკების საბჭოების ყრილობები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს სსრ კავშირის

შექმნას. საბჭოების ყრილობების მიერ რესპუბლიკებში არჩეულმა უფლებამოსილ დელეგატთა კონფერენციამ მ. კალინინის თავმჯდომარეობით 1922 წლის 29 დეკემბერს განიხილა და მოისმინა სსრ კავშირის შექმნის შესახებ „დეკლარაციისა" და „ხელშეკრულების" პროექტები, ხოლო მეორე დღეს, 1922 წლის 30 დეკემბერს გაიხსნა საბჭოების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა. მოხსენებით სსრ კავშირის შექმნის შესახებ ყრილობაზე გამოვიდა ი. ბ. სტალინი. ყრილობამ მ. ფრუნზეს წინადადებით დაამტკიცა „დეკლარაციისა" და „ხელშეკრულების" პროექტები.

„დეკლარაცია" და „ხელშეკრულება" საფუძვლად დაედო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციას, რომელიც განიხილა და მოიწონა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის II სესიამ 1923 წლის 6 ივლისს. სსრ კავშირის კონსტიტუცია განიხილა და მოიწონა საქართველოს საბჭოების II ყრილობამ 1924 წლის 3 იანვარს. სსრ კავშირის კონსტიტუცია საბოლოოდ დაამტკიცა საბჭოების სრულიად საკავშირო IV ყრილობამ 1924 წლის 31 იანვარს. სრულიად საქართველოს საბჭოების IV ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ახალი ტექსტი ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკისა და სსრ კავშირის კონსტიტუციების შესაბამისად შეტანილი ცვლილებებით.[102]

ამრიგად, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის იდეა ყველა საბჭოთა რესპუბლიკის კომპარტიებმა მოიწონეს. საბჭოების პირველმა სრულიად საკავშირო ყრილობამ კი ხორცი შეასხა ამ იდეას. საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციის" პროექტის უკუგდებასა და სსრ კავშირის შექმნაში თავიანთი წვლილი ქართველმა ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებმაც" შეიტანეს. მათ კარგად ესმოდათ თავიანთი დამსახურება ამ საქმეში, თუმცა არასოდეს გაუზვიადებიათ იგი. ბოლომდე გამარჯვებულად ისინი მაინც ვერ ჩათვლიდნენ თავს, რადგან კვლავ მოუგვარებელი რჩებოდა ერთი პრინციპული საკითხი, რომელიც ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკას ეხებოდა. როგორც ვნახეთ, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 6 ოქტომბრის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო დადგენილებებისა და საბჭოების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობის გადაწყვეტილების თანახმად, სსრ კავში-

---

[102] იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 102—104.

რის შემადგენლობაში საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ცალ-ცალკე კი არ შედიოდნენ, არამედ ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით. ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი რუსეთის სფს რესპუბლიკის, უკრაინისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით არ სარგებლობდნენ. ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის შემადგენლობიდან მათ ცალმხრივი აქტით გამოსვლის უფლება არ ჰქონდათ. ამიტომაც იყო, რომ „ნაციონალ-უკლონისტები" ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის გაუქმებასა და სსრ კავშირში საქართველოს უშუალოდ შესვლას მოითხოვდნენ. რკპ (ბ) ცენტრალური და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტები, აგრეთვე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის შენარჩუნებას აუცილებლად მიიჩნევდნენ.

8. „ძერჟინსკის კომისია"

რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა და ქართველ „ნაციონალ-უკლონისტთა" შორის არსებული კონფლიქტი უკვე მთელი პარტიის ყურადღებას იპყრობდა. რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სასწრაფო ზომები მიიღო მის „მოსაგვარებლად". მიზანშეწონილად იქნა ცნობილი საქართველოში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სპეციალური კომისიის გამოგზავნა. ამას ხომ თვით ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებიც" მოითხოვდნენ. საქართველოში კომისიის გამოგზავნის ინიციატივა ლ. ბ. კამენევსა და ნ. ი. ბუხარინს ეკუთვნის. ჯერ კიდევ 1922 წლის 9 ნოემბერს ი. ბ. სტალინმა შეატყობინა ლ. ბ. კამენევს, რომ არ არის წინააღმდეგი საქართველოში კომისიის გაგზავნისა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომისიის შემადგენლობის შერჩევას, მასში ობიექტური და კომპეტენტური ხალხის შეყვანას. თუმცა, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს არ უჭირდა თავის გავლენის ქვეშ მოექცია კომისიის ნებისმიერი წევრი. თავდაპირველად კომისიის თავმჯდომარეობა ან წევრობა სთხოვეს ა. ს. ენუქიძეს, მაგრამ მან უარი განაცხადა. ამის შესახებ რკპ (ბ) XII ყრილობაზე იგი ამბობდა: «Сначала было предложено мне поехать туда (საქართველოში—ლ. თ.) в качестве председателя или члена комиссии, но я заявил, что я не-

давно вернулся из Грузии, знал положение вещей, знал этих товарищей, с которыми, кстати сказать, я связан дружбой и годами прежней работы, и у меня было уже определенное отношение к этим вопросам. Я политику товарищей уклонистов считал неправильной. Я тогда отказался от поездки туда и выставил против моей поездки некоторые соображения личного характера»[103].

კომისიის წევრებად წარმოშობით არარუსი მოღვაწეები შეარჩიეს. იმ დროს სოხუმში სამკურნალოდ იმყოფებოდა ფ. ე. ძერჟინსკი, რომელიც, ი. ბ. სტალინის აზრით, კომისიის თავმჯდომარის შესანიშნავი კანდიდატურა იყო. ფ. ე. ძერჟინსკის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. იგი ერთ-ერთ აღიარებულ ხელმძღვანელად ითვლებოდა. ფ. ე. ძერჟინსკის პოლონური წარმომავლობა თითქოს იმის გარანტიას იძლეოდა, რომ მისთვის უცხო არ იქნებოდა ე. წ. „ნაციონალების" გულისტკივილი, რომ იგი უფრო მეტის გულისყურით მოეკიდებოდა ველიკოდერჟავნიკული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას. როგორც ქვემოთ ვნახავთ, იმედები არ გამართლდა. ფ. ე. ძერჟინსკიმ კომპეტენტური და მიუდგომელი შემმოწმებლის როლი ვერ შეასრულა, რისთვისაც თვით ვ. ი. ლენინის საყვედურიც დაიმსახურა.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ საქართველოში გამოსაგზავნი კომისია 1922 წლის 24 ნოემბერს გამოჰყო შემდეგი შემადგენლობით: ფ. ე. ძერჟინსკი (თავმჯდომარე), ვ. ს. მიცკიავიჩუს — კაპსუკასი (ლიტველი, საბჭოთა ლიტვის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე — 1918 წლის დეკემბერი — 1919 წლის თებერვალი) და ლ. ს. სოსნოვსკი. კომისიის შემადგენლობა გამოკითხვის წესით დაამტკიცეს. საინტერესოა თვით ხმის მიცემის პროცედურაც. რკპ (ბ) იმავე XII ყრილობაზე ა. ს. ენუქიძე ამბობდა, რომ როცა შერჩეულ იქნა კომისია ფ. ე. ძერჟინსკის ხელმძღვანელობით «Ленин специально тогда меня спрашивал: «По-вашему, эта комиссия подходящая?» Я чистосердечно ответил и сейчас подтверждаю, что комиссия была весьма подходящая и авторитетная»[104].

---

[103] Двенадцатый съезд РКП (б) 17—25 апреля 1923 года. Стеногр. отчет. М., 1968, зз. 590.

[104] Там же, зз. 590.

მიუხედავად ამისა, 24 ნოემბერს პოლიტბიუროს წევრთა გამოკითხვის წესით ხმის მიცემის დროს ვ. ი. ლენინმა კენჭისყრისაგან თავი შეიკავა.[105] ი. ბ. სტალინმა, ლ. ბ. კამენევმა, მ. ი. კალინინმა, გ. ვ. ზინოვიევმა განაცხადეს — „თანახმა ვარ", ლ. დ. ტროცკიმ — „წინააღმდეგი არა ვარ."[106]

კომისიის შემადგენლობაზე აზრი გამოუთქვამს პ. გ. (ბუდუ) მდივანსაც. ამას ვიტყობთ ი. ბ. სტალინის შემდეგი წერილიდან (1922 წლის 25 ნოემბერი): «Ввиду возражения со стороны тов. Мдивани против кандидатуры тов. Сосновского в состав комиссии тов. Дзержинского по рассмотрению заявления тов. Мдивани и других — секретариат предлагает заменить тов. Сосновского тов. Мануильским»[107], 25 ნოემბრის ხელმეორედ კენჭისყრაში ვ. ი. ლენინს მონაწილეობა არ მიუღია[108]. ამავე დღიდან (25 ნოემბრიდან) ვ. ი. ლენინს „აბსოლუტური დასვენების კვირეული" დაუწესეს[109].

ძნელია ზუსტად ითქვას, თუ რატომ შეიკავა ვ. ი. ლენინმა თავი კენჭისყრისაგან, მაგრამ კომისიის შემადგენლობით რომ კმაყოფილი არ იყო, ეს აშკარად ჩანს, თუმცა არც წინააღმდეგ მისცა ხმა.

ფ. ე. ძერჟინსკი სოხუმიდან 28 ნოემბერს ჩამოვიდა თბილისში. დ. ზ. მანუილსკი და ვ. ს. მიკიავიჩუს-კაპსუკასი 29 ნოემბერს გამოემგზავრნენ მოსკოვიდან. კომისია მთელი შემადგენლობით 4 დეკემბერს შეუდგა მუშაობას. მან ორივე მხარეს მოუსმინა.

პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის კურსის ერთ-ერთი მთავარი დამცველი და გ. კ. ორჯონიკიძის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მარჯვენა ხელი მ. ორახელაშვილი იყო. ამ ორი მოღვაწის პოზიციამ, საფიქრებელია, გადამწყვეტი როლი შეასრულა შესასწავლი საკითხისადმი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიის („ძერჟინსკის კომისიის") დამოკიდებულების საბოლოოდ განსაზღვრაში. არქივმა შემოვინახა ძერჟინსკის კომისიის სხდომაზე მ.დ. ორახელაშვილის ზეპირი მოხსენების კონსპექტი. იგი ასეა დასათაურებული: «Конспект моего устного

[105] იხ. Ленин В. И. Полн. собр. соч., ტ. 45, გვ. 702.

[106] იხ. ს. ვ. ხარმანდარიანის დასახ. წიგნი, გვ. 370.

[107] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 558, აღწ. 1, საქ 5183.

[108] იხ. Ленин В. И. Полн. собр. соч., ტ. 45. გვ. 703.

[109] იქვე.

доклада комиссии ЦК РКП (б) тт. Дзержинскому, Мануильскому. Манчкиавус-Капсукас (1922)», „კონსპექტი“ საკმაოდ ერცელია. იგი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ რა საკითხებს შეეხო მ. დ. ორახელაშვილი ძერჟინსკის კომისიის სხდომაზე და რა ბრალდებები წაუყენა მან ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებს“. დოკუმენტში ვკითხულობთ: «В основе разногласия между товарищами из Цека Грузии и Заккрайкомом (Кавбюро ЦК РКП) лежат не личные отношения отдельных работников, а противоположность двух линий.

1) Линия тт. Махарадзе, Мдивани и др. — сохранение независимости — формальной и фактической — Грузии со всеми атрибутами суверенитета. Полная автономия ЦК Грузии в партийном отношении и полная самостоятельность советских и профессиональных органов Грузии.

2) Линия Заккрайкома (Кавбюро ЦК РКП) — Советская независимость Грузии — тактический этап первого периода Советизации Грузии, диктуемый той обстановкой, которую наша партия получила здесь в наследство в результате 3-х летнего разгула шовинистич-(еского) правительства меньшевиков, опиравшегося лишь на националист(ическую) интеллигенцию, верхи буржуазно-помещичьих слоев и предрассудки тонкой верхушки рабочего класса»[110].

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის (იგულისხმება ძველი შემადგენლობა) უთანხმოებას საფუძველად უდევს არა ცალკეულ მუშაკთა პირადი ურთიერთობანი, არამედ მათი ურთიერთგანსხვავებული, საპირისპირო ხაზი, თუმცა ისიც უეჭველია, რომ შექმნილ ვითარებაში პირადი ურთიერთობებიც თამაშობდნენ გარკვეულ როლს. დოკუმენტის ავტორი კი ყურადღებას არ ამახვილებს ამ მომენტზე, რადგან სურს დაარწმუნოს კომისია, რომ საჩივრები გ. კ. ორჯონიკიძის უხეშობაზე (კომისიას ეს საკითხიც უნდა გაერკვია) საფუძველმოკლებულია. შემდეგ ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებს“ ოფიციალურად არასოდეს არ მოუთხოვიათ პარტიული მხრივ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სრული დამოუკიდებლობა როგორც ეს აღნიშნულია დოკუმენტში. ასეთი ბრალდება პარტიის XII ყრილობაზეც გაისმა, მაგრამ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კო-

---

[110] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი). ფ. 13, საქ. 191, ფურც. 2.

მიტეტს მსგავსი დადგენილება არასოდეს მიუღია. მ. დ. ორახელაშვილი არ კმაყოფილდება პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხაზის ზოგადი მოწონებით და საქართველოს საბჭოთა დამოუკიდებლობას მოურიდებლად განმარტავს როგორც საქართველოს გასაბჭოების პირველი პერიოდის ტაქტიკურ ეტაპს. არ შეიძლება არ შევამჩნიოთ ავტორის გულისტკივილი იმის გამოც, რომ ეს „ტაქტიკური ეტაპი" თურმე საქართველოში მენშევიკური მთავრობის სამწლიანი ბატონობის შედეგად გახდა აუცილებელი მხოლოდ და მხოლოდ.

«Учитывая все это, — განაგრძობს ავტორი, — в период, когда Советская власть еще не привилась и не окрепла, не охватила организационно все стороны жизни, мы должны были и шли на такие уступки, как амнистия всем антисоветским партиям, даже меньшевикам. Делая такие временные уступки, мы ни на минуту не забывали, что раздельное, самостоятельное существование Советских республик, особенно же Закавказья, невозможно (см. хотя бы доклад т. Орджоникидзе на краевом парт(нйном) совещании в июне 21 г.)».

მ. დ. ორახელაშვილი სწორად ახასიათებს პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხაზს ამ საკითხში, მაგრამ გ. კ. ორჯონიკიძის დასახელებული მოხსენება და მასში წამოყენებული არგუმენტები გამოდგება კი იმის საბუთად, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს განცალკევებულად, დამოუკიდებლად არსებობა არ შეეძლოთ? აქ ხომ საბჭოთა დამოუკიდებლობა უნდა ვიგულისხმოთ აუცილებლად? განა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველ შემადგენლობას ოდესმე მოუთხოვია საქართველოს არასაბჭოთა დამოუკიდებლობა? ქვეყანამ იცის, რომ ასეთი რამის მოთხოვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველ შემადგენლობას არ შეეძლო. ისინი ხომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის „დაუჩაგვრელობის", მისი შედარებით მაღალი სახელმწიფოებრივი სტატუსის, გარანტიებს ეძიებდნენ. ამ საკითხთან არც ისეთი „დროებითი ხასიათის დათმობები" იყო კავშირში, როგორსაც მენშევიკური პარტიის ამნისტია წარმოადგენდა. ანდა რატომ იყო ეს ამნისტია დროებითი ხასიათისა. ვთქვათ და მენშევიკები გულწრფელად ჩაბმულიყვნენ საბჭოთა მშენებლობაში, მაშინაც დროებითი იქნებოდა მათი ამნისტია? ეს ხომ კიდევ უფრო მეტად შეარყევდა კომპარტიის ავტორიტეტს, რასაც ასე „უფრთხილდებოდა" მ. დ. ორახელაშვილი.

შემდეგ მ. დ. ორახელაშვილი კომისიას მოახსენებს იმ პირველი ნაბიჯების შესახებ, რომლებიც ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სამეურნეო ღონისძიებების გაერთიანებისათვის გადაიდგა: რკინიგზების გაერთიანება, რკინიგზელთა ერთიანი პროფესიული ორგანოს შექმნა, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა პროფკავშირების გაერთიანება და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოში შესვლა და სხვ. ამ ღონისძიებებს, ვკითხულობთ „კონსპექტში", ყოველგვარი მერყეობის გარეშე, მხურვალედ მიესალმნენ მუშათა მასები, ხოლო პროფესიული კავშირების ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი, კერძოდ,... ოდილავაძე, ნ. კიკნაძე და სხვები, რომლებიც ამჟამად მდივან-მახარაძის ჯგუფის აქტიური წევრები არიან, წინააღმდეგობას უწევდნენ ასეთ გამაერთიანებელ ნაბიჯებსო. ახლა ამ ჯგუფის წევრები ამტკიცებდნენ, რომ ისინი გაერთიანების წინააღმდეგი არ იყვნენ, მაგრამ რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში მათ მიერ გაგზავნილი დოკუმენტები საწინააღმდეგოს მეტყველებენ, ისინი წინ ალუდგნენ ამიერკავკასიის ეკონომბიუროს შექმნასაცო. ასეთივე პოზიციებს იცავდნენ ამ ჯგუფის ცალკეული წარმომადგენლები საგარეო ვაჭრობის, საბაჟოების, სასაზღვრო და საკონტროლო პუნქტების საკითხთა გადაჭრისას, რის გამოც საგარეო პარტიული თათბირის (1921 წლის ივლისი) რეზოლუციაში, რომელიც ი. ბ. სტალინმა შეადგინა, პირველად იქნა დაფიქსირებული „ნაციონალიზმისაკენ გადასვლა («Уклон в сторону национализма»).[111]

კომუნისტთა წრეში ყოველივე ეს სერიოზულ ბრალდებებად ითვლებოდა. „ძერჟინსკის კომისიისათვის" მ. დ. ორახელაშვილის მოსსენების ეს ნაწილიც საკმარისი აღმოჩნდებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი შემადგენლობის ნაციონალისტობისა და მისი პრეტენზიების უსაფუძვლობის დასამტკიცებლად.

მამია ორახელაშვილის „კონსპექტში" ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის პროცესი. აღნიშნულია, რომ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს პლენუმს, რომელზეც გადაწყდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საკითხი, სხვებთან ერთად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებიც ესწრებოდნენ. დადგენილება მოიწონეს სომხეთსა და აზერბაიჯანში. მხოლოდ საქართველოს კომპარტიის „ვერხუშკა"

---

111 პოლიტიკური პარტიების არქივი. (ქ. თბილისი), ფ. 13, საქ. 191. ფურც. 2.

ბუდუ მდივნის მეთაურობით (ფილიპე მახარაძე მოსკოვში იყო) გამოვიდა ფედერაციის წინააღმდეგ და ფორმალურ საბაბს ეძებდა ფედერაციის იდეის დისკრედიტაციისათვის. ფედერაცია შეიქმნა, — განაგრძობს ის, — არა „ზემოდან ბრძანების“ წესით, არამედ საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღო ფართო პარტიულმა და უპარტიო მასებმა: თბილისში ჩატარდა 30 ხალხმრავალი მიტინგი, პროვინციაში— 25. ფედერაციის იდეას აღფრთოვანებით შეხვდნენ. მიუხედავად ამისა, ბუდუ მდივანი და მისი მომხრეები, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ ამ კამპანიაში, ცდილობენ გააყალბონ მისი შედეგები და მოსკოვს აჯანყებით აშინებენო.

საქართველოს წითელი არმიის შექმნის საკითხიც, „კონსპექტი“ ავტორის აზრით, ისე არ წყდებოდა, როგორც ეს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისათვის გაგზავნილ ფილიპე მახარაძის 1921 წლის 6 დეკემბრის წერილშია წარმოჩენილიო. ამასთან დაკავშირებით, ავტორი იმოწმებს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1921 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებას, სადაც ნათქვამია:

«1. Оформить военные отношения РСФСР с Азербайджаном, Арменией и Грузией путем военной конвенции, которая фактически предоставила бы Ревсовету Республики всю полноту прав в отношении постановки военного дела в трех закреспубликах во всех отношениях. Поручить т. Орджоникидзе лично провести эту конвенцию с необходимой энергией в короткий срок, обеспечив заранее решение партийным путем. 2. Немедленно приступить к объединению национальных и общегосударственных военных складов с целью включения в систему общегосударственного военного снабжения. Военная конвенция, разумеется, должна закрепить это объединение. Установить численность национальных войск и военных учреждений трех республик в 30 тыс. едоков, по 10 тыс. на республику. Не допускать в этом отношении самочинных изменений».

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კპ ცენტრალურ კომიტეტთა თანხმობით 1921 წლის 8 დეკემბერს გაფორმდა კონვენცია, რომელსაც ხელს აწერდნენ რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლეგრანი, ხოლო ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან ნარიმანოვი, მიასნიკოვი და მდივანი. მახარაძე და მისი „ახლანდელი მეგობრები“ კი, — განაგრძობს ავტორი, — ყოველივე ამას წარმოაჩენენ როგორც ორჯონიკიძისა და „გამყიდველი“ ელიავას პირად სურვილს.

ავტორმა მოახსენა ძერჟინსკის კომისიას, რომ დღესაც ძალაში რჩება საქართველოს საბჭოების პირველ ყრილობაზე სერგო ორჯონიკიძის მიერ გაკეთებული განცხადება: თანახმა ვართ შევინარჩუნოთ ქართული არმიის ნაწილები ნებისმიერი რაოდენობით, მაგრამ ერთი აუცილებელი პირობით — ისინი უნდა შევიდნენ რუსეთის წითელი არმიის შემადგენლობაში. ითქვა, რომ ამის წინააღმდეგია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარი ჯიქია, რომელმაც მოინდომა შეექმნა 40-ათასიანი ქართული არმია, რომელიც დაექვემდებარება რსფსრ საერთო სამხედრო სარდლობას მხოლოდ ოპერატიული თვალსაზრისით.

მამია ორახელაშვილის „კონსპექტში" ჩამოთვლილია ის ცნობილი „ბრალდებები", რომლებსაც სერგო ორჯონიკიძის მომხრეები უყენებდნენ „ნაციონალ-უკლონისტებს", დახასიათებულია ამ უკანასკნელთა პოზიციები ერთიანი საამიერკავკასიო ფულადი ნიშნების შემოღების, კორდონებისა და მოქალაქეობის შესახებ დეკრეტების მომზადების, მიწის რეფორმის, არალეგალურად მომუშავე მენშევიკებისადმი დამოკიდებულებისა და ბევრ სხვა საკითხში.[112] ამ „ბრალდებათა" უსაფუძვლობის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი და ამჯერად მათზე აღარ შევჩერდებით.

ძერჟინსკის კომისიის სხდომები 1922 წლის 4—7 დეკემბერს მიმდინარეობდა. მან, ბუნებრივია, „ნაციონალ-უკლონისტებსაც" მოუსმინა. მოსკოვში დაბრუნებამდე, ვიდრე კომისია თბილისში მუშაობდა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს იგი „ნაციონალ-უკლონისტებს" უჭერდა მხარს. 5 დეკემბერს თავისი მოსაზრებანი გააცნო კომისიას სერგო ქავთარაძემ. იგი ასე გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებებს:

«На заседании комиссии Дзержинского, которое состоялось в его же вагоне на Тбилисском вокзале, мне было поручено выступить с объяснениями по существу наших местных разногласий. Я рассказал все, что у нас наболело и накипело на душе... Я видел, с каким вниманием слушали члены комиссии, а особенно Дзержинский. Я читал в его глазах одобрительное понимание и доброе расположение к нам. Когда же я кончил, он, задумавшись, сказал: — Может быть, меня ждет то же самое, когда в Польше будет Советская власть... мо-

---

[112] იხ. პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 13, აღწ. 1. საქ. 191, ფურც. 2—5.

жет тоже обвинят в польском шовинизме или, как вас, в «уклонизме».

У нас не осталось ни малейшего чувства сомнения, недоверия, настороженности по отношению к нему. Радостное настроение охватило нас от впечатления, что комиссия поняла все правильно, она увидела нашу правду, мы получили в ее лице опору, защиту, руку помощи»[113].

მცდარი აღმოჩნდა სერგო ქავთარაძის თბილისური შთაბეჭდილება. მოსკოვში ყველაფერი სხვანაირად წარმოჩნდა. «Когда меня в Москве вызвали на заседание Политбюро, —განაგრძობს იგი, — где в порядке дня стоял и наш вопрос, доклад комиссии Дзержинского, я шел в Кремль, не чувствуя земли под ногами, с такой легкостью, с какой никогда в жизни не ходил. Я вошел в зал заседания и сразу обвел взглядом всех. Владимира Ильича не было. Председательствовал Каменев. Сталин стоял сзади президиума и посмотрел на меня, прищурив один глаз... Я предвкушал, с каким чувством удовлетворения я уйду отсюда, как я сообщу все товарищам и какой это вызовет общий радостный подъем настроения и энергии у всех и каким эхом прокатится по всей Грузии. Слово для доклада по грузинскому вопросу было предоставлено Дзержинскому. Прошло не более одной минуты, и мне вдруг показалось, что кто-то бахнул меня дубиной по лбу, и все помутилось в глазах. — Что ж это такое? Этого не может быть.. Я мысленно протер глаза... Да, это был факт: докладчик выступал в роли обвинителя и осыпал нас уже давно известными по Грузии эпитетами и названиями: антипартийная группировка, мелкобуржуазные националисты, противники национальной политики партии, раскольники, изоляционисты и прочие перла великорусского шовинизма. Он смотрел в упор на меня теми же ясными глазами, как и в Тбилиси. Я посмотрел вокруг, ища лицо с выражением сочувствия... и напоролся на Сталина, который все время ходил в одном углу взад и вперед, куря трубку. Он посмотрел на меня и лукаво улыбнулся. Улыбка была не злая. Она скорее выражала насмешливое сожаление. Говорят, когда крокодил пожирает свою жертву, у него выступают слезы... Одна мысль буравила мозг: как это возможно, что... представитель партии говорил одно в Тбилиси и совершенно противоположное в Москве...

პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი) ფ. 8, აღწ. 15, საქმე 284, ფურც. 686.

Он был искренен и правдив в Тбилиси, а здесь его обработал Сталин, пропустив через свою давильню»[114]».

ეს რაც შეეხება ძერჟინსკის კომისიის შესახებ სერგო ქავთარაძის ზოგად შთაბეჭდილებებს. კომისიის 1922 წლის 5 დეკემბრის სხდომაზე (თბილისში) კი სერგო ქავთარაძემ ასეთი განცხადებაც გააკეთა:

«Основным вопросом этих разногласий был вопрос о независимости окраин и в частности Грузии, Грузия имеет большое значение для Антанты... Она — преддверие к бакинской нефти... в ней силен меньшевизм и потому здесь нужна вывеска независимости, которую нельзя так поспешно перекрашивать... Вопрос о независимости Грузии для нас не может быть принципиальным вопросом. Мы знаем, что это тактический вопрос»[115].

აქედან ნათლად ჩანს, თუ რატომ იცავდნენ „ნაციონალ-უკლონისტები" საქართველოს საბჭოურ დამოუკიდებლობას. აშკარაა, ისინი ტაქტიკის საკითხად, ფაქტობრივად ანტანტისათვის თვალისასახვევ „აბრად" მიიჩნევდნენ მას.

ბუნებრივია, სხვადასხვა მიზეზების გამო, ძერჟინსკის კომისიის სხდომაზე, სხვა პარტიულ ინსტანციებშიც, „ნაციონალ-უკლონისტები", რომლებიც წმინდა წყლის ბოლშევიკები იყვნენ, ამ საკითხს სხვანაირად ვერ დააყენებდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნული მიდგომა სწორ, პრინციპულ პოზიციად, ცხადია, ვერ ჩაითვლება.

ასევე, პატარა ერების მომავალზე იმდროინდელი მარქსისტული წარმოდგენების გავლენა იგრძნობა ძერჟინსკის კომისიის სხდომაზე ფილიპე მახარაძის შემდეგ განცხადებაშიც:

«В конце концов все мелкие национальности сольются, но насильственно это делать не нужно. А у нас национальный вопрос разрешается в порядке партдисциплины, а не в порядке партобсуждения»[116].

ძერჟინსკის კომისია ქართული წითელი არმიის მშენებლობის საკითხებზე არსებული უთანხმოებითაც დაინტერესდა. ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები" ბრალს სდებდნენ სერგო ორჯონიკიძესა და

პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 8, აღწ. 15, საქ. 284, ფურც. 686—688.

[115] ციტ. ს, ე, ხარმანდარიანის და სახ, წიგნის მიხედვით, იხ. გვ. 368.

უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 5, აღწ. 2, საქ. 32, ფურც. 69.

მის მომხრეებს, რომ მათ „არ მოინდომეს ნამდვილი ქართული წითელი არმიის შექმნა". „ჩვენ ნებას არ გვრთავდნენ ჩამოგვეყალიბებინა არმია და საქართველოს ამ რიცხვმრავალ ნაციონალისტებს წითელი არმია ადევნინეს, როგორც საოკუპაციო არმია" «Нам не разрешали формировать армию и дали этим многочисленным националистам Грузии травить Красную Армию, как оккупационную»[117].

— განუცხადა ლევან აღნიაშვილმა კომისიას. შემდეგ იმავე ლ. აღნიაშვილმა კომისიისათვის 1922 წლის დეკემბერს წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნა: „ნაცვლად საქართველოს წითელი არმიისა გამოგვივიდა საქართველოს ნომრიანი ბრიგადა კავკასიის ცალკე არმიის შემადგენლობაში" («Вместо грузинской Красной Армии получилась номерная грузинская бригада в составе ОКА»)[118].

დავიმოწმოთ კიდევ ერთი ადგილი ლ. აღნიაშვილის მოხსენებიდან: „ქართულ ნაწილებს ბოლო დრომდე ჰქონდათ ეროვნული განსხვავებული ნიშნები — ქვეით ჯარს ნაბდის ქუდები ეხურათ, ცხენოსნებს — სვანური. ახლა არმიის სარდალმა ბრძანა, ყველა ქართველმა ბუდიონის ქუდი დაიხუროსო... ეს კარგი მასალაა შოვინიზმის გასავითარებლად... მეფის რეჟიმის დროსაც კი ეროვნულ პოლკებს ნება ჰქონდათ ეროვნული ტანსაცმელი ეტარებინათ" («Грузинские части до последнего момента имели национальные отличия — пехота носила тушинки (головной убор), кавалерия — сванки. Теперь командарм приказал носить всем грузинам буденовки... Это хороший материал для развития шовинизма... Даже при царском режиме национальным полкам разрешалось носить национальные костюмы»)[119].

საქართველოს საგანგებო კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ კოტე ცინცაძემ ძერჟინსკის კომისიას უამბო საგანგებო კომისიის ჯარებში არსებულ მდგომარეობაზე. დავიმოწმოთ რამდენიმე ადგილი მისი გამოსვლიდან: „...ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ჯარების მოწყობის საკითხზე საშინლად შევეტაკეთ მე და ამიერკავკასიის საგანგებო კომისია. მე და ადგილობრივმა ორგანიზაციამ დავიჩემეთ, საგანგებო კომისიის ჯარებში ადგილობრივი ელემენტი უნდა შედიოდესო".

---

[117] იქვე, ფ. 30.

[118] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 5, აღწ. 2. საქ. 32, ფურც. 30.

[119] იქვე, ფურც. 77.

„რაზმებში ადგილობრივი მოსახლეობიდან არცერთი კაცი არ იყო... მთელმა ჩემმა ჯაპანწყვეტამ ამ მხრივ ფუჭად ჩაიარა. მე ჩემი პასუხისმგებლობით შევუერთე რაზმებს რამდენიმე ათეული ქართველი... ნაწილებში ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ჯარების მეთაურები და უფროსები მათ ისე ეპყრობოდნენ, რომ ყველა გადეზერტირდა... ჯარების უფროსმა ივანოვსკიმ ბათუმში დეპეშა გამომიგზავნა, სამარიდან შევსება მივიღეთ 1345 კაცი ველიკორუსი და მაცნობე რამდენი კაცით გჭირდებათ შევსება, ამასთან ეროვნული ელემენტი გაითვალისწინეთ. დეპეშაში განმარტებული იყო, თუ ვინ უნდა დაგვეთხოვა ბატალიონიდან, მათ შორის ყველა ქართველი“.

„ამისათვის მე ნაციონალისტად მომნათლეს... ვინ დაითვლის, რამდენი ასეთი შეცდომა მოსდიოდათ იმ ამხანაგებს, ვინც ადგილობრივ პირობებს არ იცნობდა“.

„გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებში მთელი საქმის წარმოება და ადგილებთან ურთიერთობა რუსულ ენაზე იყო“.

„ბათუმის საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ხრუცკიმ განაცხადა: ახლა ისეთი კურსია აღებული, რომ საგანგებო კომისიიდან ყველა ქართველი შეიძლება დაითხოვო.“

„თბილისის ბევრ დაწესებულებაში რუსული ენა შემოიქვეთ, რკინიგზაზე რუსული ენა შემოიღეს.“

„თბილისს მოკალათებული ძველი შავრაზმული ჩინოვნიკობა ყველა მოვლენას ისეთ შეფასებას აძლევს, რომ საქართველოს ბოლო მოეღო, ერთიანი განუყოფელი რუსეთი იქნებაო.“[120]

(«После объединения жел. дорог в конце октября 21 года увольняется ряд грузинских рабочих, якобы за сокращением штатов (дорога выдает многим увольняемым прекрасные аттестации, с мест несутся жалобы на незаменимость увольняемых), а в ноябре правление Зак. жел. дор. (Миронов) посылает телеграмму в Ростов с требованием «ввиду крайней необходимости» прислать 12—14 тысяч железнодорожников, в том числе сторожей и ассенизаторов»:

«Далее была отчаянная схватка между мною и Закчека относительно вопроса об организации войск Закчека. Я и местная организация настаивали на том, чтобы в войсках чека ввести местный элемент». «Ни одного человека из ту-

---

[120] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 5, აღწ. 2, საქ. 32, ფურც. 77—78.

земцев в отрядах не было... Все мои усилия в этом направлении остались безрезультатными. Я на свой страх и риск влил в отряды несколько десятков грузин... Обращение с ними в частях со стороны командиров и начвойск Закчека довели их до того, что они дезертировали все... Начвойск Ивановский телеграфировал в Батум: Получено из Самары пополнение в 1345 человек великороссов. Сообщите, сколько нужно вам пополнения, принимая во внимание национальный элемент. В телеграмме разъяснялось, кого нужно удалить из батальона, в том числе всех грузин».

«За это я был крещен именем националиста... Кто может перечислить, сколько было таких ошибок со стороны товарищей, незнакомых с местностью».

«В объединенных наркоматах все делопроизводство и сношения с местами идет на русском языке».

«Т. Хруцкий Зампред Батумской ЧЕКА заявил: Теперь такой курс, что всех грузин можно исключить из ЧЕКА».

«Во многих учреждениях, существующих в Тифлисе, вводят русский язык. На жел. дороге русский язык внедрен».

«Старое черносотенное чиновничество, которое сидит в Тифлисе, расценивает все события таким образом, что, мол, Грузии конец. Будет единая неделимая Россия»[121],

დავუმატოთ რამდენიმე ადგილი ძერჟინსკის კომისიის სხდომაზე ფილიპე მახარაძის გამოსვლიდან:

„ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი ლედორი სახკომსაბჭოს გამოცემულ ყველა დეკრეტს აუქმებს“;

„ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობას რესპუბლიკათა ყრილობების გვერდის ავლით იწვევენ. ამით რესპუბლიკათა ცაკებს სამუშაოს არიდებენ და ფიქციად აქცევენ“;

„კავბიურომ მიზნად დაისახა ჩვენი საგარეო სახის, ჩვენი დამოუკიდებლობის ანულირება. უმაღლესმა პარტიულმა ხელისუფლებამ დაიწყო აშკარად ჩარევა ჩვენს საქმეებში საბჭოთა ხაზითაც. ჩვენ მაშინ ვამბობდით: პარტიული ხაზით ნებისმიერი მითითება მოგვეცით. ჩვენ მათ შევასრულებთ, მაგრამ ნუ დაარღვევთ ჩვენს საბჭოთა ფორმას“.

„ამიერკავკასიის ფედერაციის სამოკავშირეო საბჭო მოითხოვდა, რომ საქართველოში მისი დადგენილებები არა საქართველოს სახკომ-

[121] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. აღწ. 2, საქ. 32, ფურც. 77—78.

საბჭოს და ცაკის, არამედ უშუალოდ სამოკავშირეო საბჭოს სახელით. განეხორციელებინათ. ზოგჯერ სამოკავშირეო საბჭოს განკარგულებას საქართველოს ცაკს და სახკომსაბჭოს ისე უგზავნიდნენ, რომ სამოკავშირეო საბჭოს თავმჯდომარის კი არა, პრეზიდიუმის თუნდაც ერთი წევრის ხელმოწერაც კი არ ჰქონდათ".[122]

«Нач. Закавк. ж. д., Ледор, отменяет все декреты, изданные Совнаркомом»;

«Закавказский съезд Советов созывается через голову республиканских съездов. Республиканские ЦИКи этим отстраняются от работы и превращаются в фикцию».

«Со стороны Кавбюро наметилась эта линия аннулирования нашего внешнего облика, нашей независимости. Высшая партийная власть начала открыто вмешиваться в наши дела уже по советской линии. Мы говорили тогда: давайте нам какие угодно указания по партийной линии. Мы будем их выполнять, но не нарушайте нашу советскую форму».

«Союзный Совет Закфедерации требовал, чтобы его постановления проводились в Грузии не от имени СНК и ЦИКа Грузии, а непосредственно от имени Союзного Совета. Распоряжения Союзного Совета присылались иногда в Грузинский ЦИК и СНК без подписи Председателя Союзного Совета или хотя бы одного из членов Президиума»[123].

ზემოთქმულთან დაკავშირებით, ვ. ი. ლენინის ერთი ციტატა უნდა დავიმოწმოთ: „უნდა შემოვიღოთ უმკაცრესი წესები ეროვნული ენის ხმარების შესახებ ჩვენს კავშირში შემავალ სხვა ეროვნებიან რესპუბლიკებში და განსაკუთრებით გულმოდგინედ შევამოწმოთ ეს წესები. ეჭვი არ არის, რომ სარკინიგზო სამსახურის ერთიანობის საბაბით, ფისკალური ერთიანობის საბაბით და სხვ. ჩვენში, ახლანდელი ჩვენი აპარატის არსებობისას, ჭეშმარიტად რუსული თვისების უამრავი ბოროტმოქმედება (ხაზგასმა ჩვენია — ლ .თ.) იპოვის გზას".[124]

სწორედ „ჭეშმარიტად რუსული თვისების ბოროტმოქმედებას გმობდნენ ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები", რაც აშკარად ჩანს ძერჟინსკის კომისიის მასალებიდანაც, სხვათა შორის, ნიშანდობლი-

---

122 უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 5, აღწ. 2, საქ. 32, ფურც. 69, 78.

123 იქვე.

124 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 694—695.

ვია, ისიც, რომ ვ. ი. ლენინის მიერ გამოყოფილმა სამუშაო ჯგუფმა (ლ. ა. ფოტიევა, მ. ი. გლიასერი და ნ. პ. გორბუნოვი) საკითხების მიხედვით დაალაგა ძერჟინსკის კომისიის მასალები და ვ. ი. ლენინისათვის წარსადგენ „მოხსენებაში" განყოფილება, რომელშიც თავმოყრილი იყო ლევან აღნიაშვილის, კოტე ცინცაძისა და ფილიპე მახარაძის ზემოაღნიშნული გამონათქვამები (რუსი ჩინოვნიკებისა და ამიერკავკასიის ფედერალური ორგანოების ქართველი ხალხისა და საქართველოსადმი უპატივცემულო დამოკიდებულების შესახებ), ასე დაასათაურა: „ჯეშმარიტად რუსული თვისების ბოროტმოქმედების ზოგიერთი ნიმუში"[125].

ძერჟინსკის კომისიამ 1922 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წარუდგინა მოხსენება, რომელშიც მოწონებული იყო რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური ხაზი. ამით კომისიამ მთლიანად გაამართლა გ. კ. ორჯონიკიძე და დაგმო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის „ნაციონალ-უკლონისტური" შემადგენლობის პოზიცია.

«Политическая линия, проводившаяся сначала Кавбюро, а потом Заккрайкомом, и, в частности, т. Орджоникидзе, вполне отвечала директивам ЦК РКП и была вполне правильной», — ნათქვამია კომისიის დასკვნაში.

კომისიამ უსაფუძვლოდ მიიჩნია გ. კ. ორჯონიკიძის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება, რომ იგი „სამხედრო კომუნიზმის" „ტაქტიკას" მიმართავდა, ნაჩქარევად, ზემოდან წყვეტდა საკითხებს, ანგარიშს არ უწევდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს, არ ამზადებდა საზოგადოებრივ აზრს. კომისიის აზრით, ყველა ძირითად საკითხს, განსაკუთრებით ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხს სამხარეო კომიტეტი პარტიული და საბჭოთა წესით ახორციელებდა, ამ მუშაობაში მას მხოლოდ „ნაციონალ-უკლონისტები" უშლიდნენ ხელს.

ძერჟინსკის კომისიის დასკვნიდან: «Обвинения Заккрайкома и нового ЦК Грузии в «руссотяпстве», недостаточном внимании к национальному вопросу Грузии... ни на чем не основаны. Комиссия констатирует, что все конфликты на почве «руссотяпства» и «колонизаторских тенденций» Заккрайком рассматривал с полным вниманием и принимал против них энергичные меры».

---

[125] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 5, აღწ. 2. საქ. 32, ფურც. 77.

«Кавбюро и Заккрайком, следуя директивам ЦК РКП, в частности, т. Ленина, принимая во внимание особенные условия закавказских республик, особенно Грузии, вполне сознательно пошли на некоторые уступки по отношению к националистически настроенным массам и интеллигенции».

«Заккрайком в общем и целом поступает правильно, ведя борьбу против линии ЦК Грузии старого состава».

კომისიის მუშაობაზე რომ სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნას, აღნიშნულს დაეუმატოთ კომისიის წევრთა რამდენიმე პირადი გამონათქვამი. თვით ფელიქს ძერჟინსკი კომისიის სხდომაზე ამბობდა:

«Они («уклонисты») не коммунисты до мозга костей. Обосновать наличия национализма в крестьянстве они не умеют и фактов не дали. Условия национализма создают они сами, а потому они очень опасны для партии».

დიმიტრი მანუილსკის აზრით კი:

«Дальнейшее пребывание здесь тов. Махарадзе и других из верхушки гибельно для нашей партии. Необходимо снять верхушку для оздоровления партии Грузии и дать этим возможность изжить атаманщину — этот культ личности»[126].

აი, ძირითადად, ასეთი შინაარსისა იყო ძერჟინსკის კომისიის დასკვნა, რომელიც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წარედგინა.

თუ რამდენად შეესაბამებოდა კომისიის დასკვნა სინამდვილეს, წინა პარაგრაფებში მოხმობილი მასალებიდანაც ჩანს.

საქმეში ჩახედული კაცი უთუოდ შეამჩნევს, რომ ძერჟინსკის კომისიამ გვერდი აუარა განცხადებებს გ. კ. ორჯონიკიძის მიერ შეუწყნარებლობის ატმოსფეროს დანერგვისა და ეთიკური ნორმების დარღვევის კონკრეტული ფაქტების შესახებ. კიდევ მეტი. ძერჟინსკის კომისიამ უყურადღებოდ, ოფიციალური პოლიტიკური შეფასების გარეშე დატოვა ს. ორჯონიკიძის მიერ ა. კობახიძისათვის „სილის გარტყმის“ ფაქტი, რომელიც თავისთავად გასმაურდა, ვ. ი. ლენინის ყურამდე მივიდა და მისი დიდი აღშფოთებაც გამოიწვია. ა. კობახიძეს ს. ორჯონიკიძისათვის „სტალინის ვირი“ უწოდებია. ს. ორჯონიკიძის „ბიომექანიკაც“ (ვ. ი. ლენინის გამოთქმა) ამას მოჰყოლია. ამ ფაქტის

უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 5, აღწ. 2, საქ. 32, ფურც. 85—88.

თაობაზე. კობახიძეს რკპ (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიისათვის უცნობებია. ყოველივე ამის შესახებ ძერჟინსკის კომისიამაც იცოდა. თვით ს. ორჯონიკიძეს ამის გამო გარკვეული შიშიც ჰქონდა. ი. ბ. სტალინს მისი დამშვიდება უხდებოდა. იგი ურჩევდა ს. ორჯონიკიძეს: «Еще раз проверить сообщения об агрессивных действиях грузин и дать официальную справку по этому делу за подписью всех знакомых с делом людей... и ждать распоряжений из Москвы... Будь осторожным и не преувеличивай опасность»[127].

ს. ორჯონიკიძისა და კობახიძის ინციდენტს შეესწრო რსფსრ სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (ა. ი. რიკოვი), რომელიც მაშინ თბილისში იმყოფებოდა. მოვუსმინოთ მას:

«В Центральную контрольную Комиссию РКП.

В Тифлисе на квартире т. Орджоникидзе, в моем присутствии разыгрался следующий инцидент:

Для свидания со мной в квартиру т. Орджоникидзе пришел член РКП и мой товарищ по ссылке в Сибири Акакий Кобахидзе. Во время общего разговора т. Кобахидзе упрекнул Серго Орджоникидзе в том, что у него есть какая-то лошадь и что товарищи, стоящие на верху, в том числе и т. Орджоникидзе, в материальном отношении обеспечены гораздо лучше, чем другие члены партии. В частности, был какой-то разговор о влиянии новой таможенной политики в Батуме на рост дороговизны. Одну из фраз повидимому относительно того, что Серго Орджоникидзе на казенный счет кормит какую-то лошадь, Акакий Кобахидзе сказал Серго на ухо. Вслед за этим между ними разыгралась словесная перебранка, во время которой т. Орджоникидзе ударил Кобахидзе. При вмешательстве моем и моей жены инцидент на этом был прекращен и т. Кобахидзе ушел с квартиры. После этого Серго Орджоникидзе пережил сильное нервное потрясение, кончившееся истерикой.

По существу инцидента я считаю, что т. Орджоникидзе был прав, когда истолковал как жестокое личное оскорбление те упреки, которые ему сделал т. Кобахидзе. Нервное же потрясение и истерика т. Орджоникидзе, которую я наблю-

---

[127] გაზ. „პრავდა“, 1988 წლის 12 აგვისტო.

дал, на мой взгляд, свидетельствуют о том, что в результате внутрипартийных разногласий и склоки нервы даже лучших членов грузпартии истрепались настолько, что приводят к оскорблениям[128] действием.

Л. И. Рыков. 7-го февраля 1923 г.»[129].

ეს დოკუმენტი ძერჟინსკის კომისიის მასალებში ცოტა მოგვიანებით მოხვდა. როგორც თვით წერილის სათაურიდან ჩანს, იგი არც იყო ამ კომისიისათვის განკუთვნილი. თუმცა კომისიამ იცოდა ამ ინციდენტისა და კობახიძის წერილის შესახებ, მაგრამ მაინც არ გამოიძია იგი.

1923 წლის 22 თებერვალს სერგო ორჯონიკიძეს ასეთი ბარათი გაეგზავნა: «Товарищ Орджоникидзе,

Товарищ Ленин поручил нам (Горбунову, Фотиевой и Гляссер) изучить все имеющиеся материалы по грузинскому вопросу для доклада ему.

Обращаемся к Вам с просьбой дать, если Вы считаете нужным, для Владимира Ильича письменное пояснение по трем пунктам:

1. — Об инциденте, происшедшем между Вами и Кобахидзе.

2. — Письмо т. Окуджава.

3. — Письмо т. Какабадзе.

Последние два письма прилагаются. Они переписаны в одном экземпляре. Просьба написать объяснение на обратной стороне этих писем или же, во всяком случае, вернуть их»[130].

სერგო ორჯონიკიძემ 22 თებერვალსვე სამივე საკითხს „მოუარა". მასსა და კობახიძეს შორის მომხდარი ინციდენტის თაობაზე. ვ. ი. ლენინის აპარატიდან მიღებული ბარათის უკანა მხარეს მიაწერა: «Что касается инцидента с Кобахидзе, я бы предложил запросить ЦКК и тов. Рыкова; очевидца этого инцидента, — так будет объективнее. С. Орджоникидзе. 22/П—23 г.»[131].

---

128 ასეა დედანში. უნდა იყოს, ალბათ, «оскорбительным».

129 უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 5, აღწ. 2, საქ. 32, ფურც. 59.

130 იქვე, ფ. 5, აღწ. 2, საქ. 32, ფურც. 62.

131 იქვე.

ა. ი. რიკოვის აზრს უკვე ვიცნობთ.

ძერჟინსკის კომისიას არ უმსჯელია ნიკოლოზ (კოლია) ოკუჯავას შემდეგ წერილზე:

«Комиссия Ц. К. Р. К. П.

14 ноября с. г. я явился на квартиру к тов. Орджоникидзе по его требованию к часам десяти вечера; там же сидели предзакчека т. Могилевский, предгрузчека т. Кванталиани и заместитель Берия предтогчека т. Кавтарадзе и личный секретарь т. Орджоникидзе.

На вопрос последнего, почему сбежали бандиты, я ответил, что этот вопрос для меня неожиданный, после этого он начал рассказывать историю их примирения и план уничтожения, но он, сильно раздраженный, не давал мне высказаться и ежеминутно спрашивал, почему сбежали бандиты. Начал угрожать мне преданием суду, арестом и т. д. Я ответил, что очень хорошо будет, если это дело будет передано суду, но я уверен, что буду оправдан, ибо моей вины здесь нет. Ни одного шага я не делал без ЦК партии, как старого, так и нового состава, без предзакчека и т. д. Тогда он схватил мраморный пресс, который лежал там же на столе, замахнулся и хотел ударить в голову мне, держа в другой руке открытый перочинный нож (быть может, случайно), обращенный острием ко мне. «Я тебя расстреляю... (ругательство), отпустил бандитов, чтобы фракционные выводы найти, чтобы сказать теперь, что мы справлялись с делом, а при вас все рушится, да. Я тебе покажу». После этого он снова замахнулся прессом. Присутствующие молчали и ни одного движения никто не делал. После некоторой паузы я сказал: «Тов. Орджоникидзе, я одиннадцать лет член партии, с пятого класса гимназии, будучи 15-ти лет, начал странствовать по тюрьмам и судам. За два месяца своей работы в должности предчека заслужил только благодарность, ибо часто, минуя ЦК., производил массовые аресты антисоветских партий по всей стране, производил массовые расстрелы и т. д., аппарат и работу, унаследованную от Котэ, продолжил без заминки, без минусов, за что, как другие, так и Вы лично хвалили, как в частной беседе, так и на районных собраниях. И неужели сейчас я стал контрреволюционером, напускаю на свою советскую власть бандитов? Это бесчеловечно, если не сказать больше». Тогда он вновь замахнулся прессом и крикнул: «Наплевать мне на твои одиннадцать лет, я тебя арестую,

подлеца и т. д. и т. п.» Такой кошмар продолжался около двух часов. Я вынужден был молчать, чтобы не размозжили мне голову или не обратиться самому к такой мере, которая была бы чревата и слишком чревата, как для него и для меня, так и для партии. Еще раз повторяю, что с 15-ти летнего возраста начал тюремную «карьеру», не раз приходилось сидеть в охранке, в жандармском управлении, в полицейском участке, в милиции, в военном суде (у военного следователя) и т. д., но никогда нигде я не подвергался такой пытке и таким истязаниям, никогда так не обезличивали меня и не оплевывали мою политическую работу и принадлежность к компартии, как Орджоникидзе. Подробную историю об этих бандитах я не описываю, так как мне передали, она вам известна.Коля Окуджава»[132].

როგორც ვხედავთ, წერილის ავტორი, მისსავე სიტყვებს თუ დავუჯერებთ, არ გამოირჩეოდა ჰუმანურობით, მაგრამ მის მიერ აღწერილი ფაქტები, ცხადია, ძერჟინსკის კომისიის სპეციალური მსჯელობის საგანი უნდა გამხდარიყო მაინც. კომისიამ გვერდი აუარა მათ.

სერგო ორჯონიკიძემ კოლია ოკუჯავას წერილზე ასეთი მინაწერი გააკეთა: «Плод гнусной склоки. Для проверки можно допросить упомянутых в этом письме товарищей.

С. Орджоникидзе.

P.S. Все эти нелепые слухи, рожденные в атмосфере фракционной драки, невольно напоминают мне травлю, поднятую против тов. Сафарова в связи с аналогичными слухами об его деятельности $1^1/_2$ года тому назад, правда, слухами более тяжкого характера. Надеюсь в самом непродолжительном времени здоровье Владимира Ильича даст мне возможность подробно и всесторонне выяснить все эти и другие вопросы в личной беседе с ними.

С. Орджоникидзе. 22 II—23 г.»[133]

გავეცნოთ კ. კაკაბაძის წერილსაც, რომელიც ს. ორჯონიკიძის პოლიტიკური ბრძოლის სათაკილო მეთოდებს ეხება. იგი წერს:

«В марте месяце с. г., когда тов. Орджоникидзе был вызван в Москву, он обратился ко мне со следующим:

---

[132] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 5, აღწ. 2, ს. 32, ფურც. 64—65.

[133] იქვე, ფ. 5, აღწ. 2, საქ. 32, ფურც. 65.

«Перенести вопрос о Буду Мдивани на рабочих собраниях и вынесите ему недоверие, называя его спекулянтом, духанщиком и т. д., чтобы окончательно дискредитировать его в глазах масс.

Я ему ответил, что группировки, которые, к сожалению, были созданы на первом съезде Компартии[134] Грузии, нужно изжить, а не усугублять и считаю совершенно недопустимым ставить вопрос на рабочих собраниях о недоверии к главе правительства.

На мое такое не только инертное отношение к группе Мдивани, но сильное желание изжить группировки, т. Орджоникидзе заявил, что он все это предлагает в целях упрочения группы «филиппистов»[135], а то он лично, конечно, считает ниже своего достоинства считаться с этим духанщиком и съест его в 24 часа»[136].

სერგო ორჯონიკიძემ კ. კაკაბაძის წერილს მიაწერა: «Могу только сказать — гнусная ложь. С. Орджоникидзе. 22 II—23 г.»[137].

ძერჟინსკის კომისიამ ამ ფაქტებზე სათანადო რეაგირება არ მოახდინა. მართალია, ძერჟინსკი მოითხოვდა, რომ ამ ფაქტებთან („სილის გარტყმის", პარტიულ და უპარტიოთა კრებებზე „ნაციონალ-უკლონისტების" დისკრედიტაციის, მათი ლანძღვა-გინების, კენჭისყრის დროს დაშინებისა და ა. შ.) დაკავშირებული ყველა დოკუმენტი საქმისთვის დაერთოთ, მაგრამ, როგორც ჩანს, კომისიამ ყოველივე ეს ფრაქციული ბრძოლის ჩვეულებრივ გამოვლენად მიიჩნია და დაკმაყოფილდა კომისიის სხდომაზე ა. თ. მიასნიკოვის შემდეგი განცხადებით:

«Я остановлюсь на документах. Документы с жалобой на гов. Орджоникидзе. Если Серго называл их дураками и кри-

---

[134] ტექსტში — «Коминтерна».

[135] ფილიპე მახარაძე და ბუდუ მდივანი თავდაპირველად განსხვავებულ პოზიციებზე იდგნენ. 1921 წლის ზაფხულში ბუდუ მდივანმა ფილიპე მახარაძე შეცვალა საქართველოს რევკომის თავმჯდომარის თანამდებობაზე. ფილიპე მახარაძე მოსკოვში გაიწვიეს სამუშაოდ. რამდენიმე თვის შემდეგ ძველ ბოლშევიკთა ერთი ჯგუფის თხოვნით იგი მოსკოვიდან დააბრუნეს. საქართველოს კომპარტიის I ყრილობაზე (1922 წლის იანვარი) ფილიპე მახარაძე ბუდუ მდივნისაგან განსხვავებულ პოზიციას იცავდა, მაშინვე გაჩნდა გამოთქმები: „ფილიპისტები" და „ბუდისტები".

[136] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 5, აღწ. 2, საქ. 32, ფურც. 66.

[137] იქვე.

чал на них, что и было, то в этом они виноваты сами, позволяя ему это делать»[138].

ამასთან დაკავშირებით, სკეპტიკური იყო კომისიის სხდომაზე სერგო ქავთარაძის განცხადება: «Пока здесь есть политическая палка, «пока здесь бьют по мордам», как любит выражаться Орджоникидзе, никакого примирения быть не может»[139].

ძერჟინსკის კომისიის ოქმებში დაფიქსირებულია სერგო ორჯონიკიძის შემდეგი თვითდახასიათებაც: «По существу обвинений, направленных против моей персоны. Я человек резкий, особенно, когда надо проводить политическую линию Ц. К. Р. К. П. Нервы мои выдержали здесь очень много»[140],

რაც შეეხება ს. ორჯონიკიძესა და ა. კობახიძეს შორის მომხდარ ცნობილ ინციდენტს, ს. ორჯონიკიძე აცხადებს, რომ ეს ინციდენტი კერძო ხასიათისა იყო და მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა ფრაქციულ ბრძოლასთან.[141]

ასევე სათანადო რეაგირების გარეშე დატოვა კომისიამ „ნაციონალ-უკლონისტების“ მალაქია ტოროშელიძისა და კოტე ციცაძის მიერ რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილი (უთარიღო) წერილი, რომელშიც სხვათა შორის აღნიშნული იყო: «Тов. Орахелашвили высказывал, якобы, сожаление о тов. Махарадзе и проводил аналогию с Плехановым, который, мол, был велик во всемирном масштабе, однако стал изменником. Этим он определенно решил участь т. Махарадзе. Он же характеризовал борьбу со старыми цекистами как гражданскую войну, которую нужно вести самым решительным образом»[142].

1922 წლის 12 დეკემბერს თბილისიდან მოსკოვში დაბრუნების პირველსავე დღეს ფ. ე. ძერჟინსკი ვ. ი. ლენინს შეხვდა და 45 წუთი ესაუბრა მას. ბუნებრივია, საუბარი, ძირითადად, კომისიის მუშაობას შეეხებოდა. ცოტა მოგვიანებით, 1923 წლის იანვარში, ვ. ი. ლენინი მის მდივანს ლ. ა. ფოტიევას ეტყვის: „ჩემი ავადმყოფობის წინ ძერჟინსკი მესაუბრა კომისიის მუშაობისა და „ინციდენტის“ შესახებ

---

138 უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 5, აღწ. 2, საქ. 32, ფურც. 74.

139 იქვე, ფურც. 69.

140 იქვე, ფურც. 76.

141 იქვე.

142 უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ 5, აღწ. 2, საქ. 32, ფურც. 75.

იგულისხმება ორჯონიკიძის მიერ კობახიძისთვის სილის გარტყმის ფაქტი — ლ. თ.) და ამან ძალზე მძიმედ იმოქმედა ჩემზე. («Накануне моей болезни Дзержинский говорил мне о работе комиссии и об «инциденте», и это на меня тяжело повлияло»).

ვ. ი. ლენინის ავადმყოფობის ისტორიაში აღნიშნულია, რომ მეორე დღეს, ე. ი. 13 დეკემბერს მას განუმეორდა ორი უმძიმესი შეტევა. ვ. ი. ლენინს დროებით აეკრძალა მუშაობა, სხდომებზე გამოსვლა. 14 დეკემბერს ვ. ი. ლენინი ვარაუდობდა, ეკარნახა წერილი ეროვნულ საკითხზე. განზრახვა ვერ განახორციელა. 15 დეკემბერს ღამით მკვეთრად გაუარესდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. კარნახის უფლება მაინც შეინარჩუნა. 27 ან 28 დეკემბერს ვ. ი. ლენინი შეადგენს სიას იმ საკითხებისა, რომლებიც მას მაშინ ყველაზე მეტად აინტერესებდა. ჩამონათვალში დასახელებულია თემაც „ეროვნული საკითხისა და ინტერნაციონალიზმის შესახებ (საქართველოს პარტიაში უკანასკნელ კონფლიქტთან დაკავშირებით)“[143]. («О национальном вопросе и об интернационализме (в связи с последним конфликтом в грузинской партии)».

30 დეკემბერს, სრულიად საკავშირო საბჭოების პირველი ყრილობის გახსნის დღეს ვ. ი. ლენინმა უკარნახა დასაწყისი თავისი ნაშრომისა „ეროვნებათა საკითხის ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ. ამ ნაშრომის კარნახი ვ. ი. ლენინმა 1922 წლის 31 დეკემბერს დაამთავრა.

შემთხვევითი როდი იყო, რომ ვ. ი. ლენინმა ამ ნაშრომის კარნახი სწორედ პირველი ყრილობის გახსნის დღეს დაიწყო. თითქოს ჩქარობს, რაღაც მოსასწრები აქვს, სურს გავლენა მოახდინოს პოლიტიკური მოვლენების განვითარებაზე. საქმე ის არის, რომ სწორედ ამ ყრილობაზე წყდებოდა სსრ კავშირის შექმნის საკითხი, რაც მას თავიდანვე აღელვებდა. ადრე ამ საკითხის ირგვლივ, როგორც ვნახეთ, კარდინალური მნიშვნელობის შენიშვნებიც გააკეთა, მაგრამ დარწმუნებული არ იყო, რომ ყველაფერი მისი მითითებების შესაბამისად გაკეთდებოდა.

„მე, მგონი, ძალიან დამნაშავე ვარ რუსეთის მუშების წინაშე იმისათვის, რომ საკმაოდ ენერგიულად და საკმაოდ მკვეთრად არ ჩავერიე ყბადაღებულ საკითხში ავტონომიზაციის შესახებ, რომელსაც

---

[143] გაზ. „პრავდა“. 1988 წლის 12 აგვისტო.

ოფიციალურად, მგონი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საკითხი ეწოდება"[144] — ასე იწყებს ვ. ი. ლენინი თავის ნაშრომს „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის" შესახებ".

«Я, кажется, сильно виноват перед рабочими России за то, что не вмешался достаточно энергично и достаточно резко в пресловутый вопрос об автономизации, официально называемый, кажется, вопросом о союзе советских социалистических республик», — так начинает В. И. Ленин свою работу «К вопросу о национальностях, или об «автономизации»).

ვ. ი. ლენინის ამ გამონათქვამიდან აშკარად ჩანს, რომ იგი უკმაყოფილოა იმით, რაც საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებასთან დაკავშირებით ხდებოდა იმ დროს. მას მიაჩნია, რომ საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება შეიძლებოდა ყველა რესპუბლიკისათვის მისაღები ფორმით განხორციელებულიყო, თუკი იგი უფრო „ენერგიულად" და „მკვეთრად" ჩაერეოდა „ყბადაღებული ავტონომიზაციის" საკითხში.

ვ. ი. ლენინი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ მისი ავადმყოფობის დროს ი. ბ. სტალინის „ავტონომიზაციის პროექტს" მხოლოდ გარეგნული სახე შეუცვალეს და მას „ოფიციალურად" მგონი (?!—ლ. თ.) „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საკითხი ეწოდებაო".

ვ. ი. ლენინი იქვე განმარტავს, თუ რამ შეუშალა ხელი უფრო აქტიურად ჩარეულიყო საქმეში. აქ უმთავრესია მისი ავადმყოფობა, რის გამოც იგი ვერ დაესწრო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის ოქტომბრისა და დეკემბრის პლენუმებს, რომლებზეც სწორედ ამ საკითხებზე იყო მსჯელობა.

„მე მხოლოდ ის მოვასწარი, — განაგრძობს ვ. ი. ლენინი, — რომ ვესაუბრე ამხ. ძერჟინსკის, რომელიც კავკასიიდან ჩამოვიდა და მიამბო, თუ როგორ დგას ეს საკითხი საქართველოში. მე მოვასწარი აგრეთვე გამოვლაპარაკებოდი ამხ. ზინოვიევს და გამომეთქვა მისთვის ჩემი შიში ამ საკითხის გამო. იმაში, რაც მაცნობა ამხ. ძერჟინსკიმ, რომელიც სათავეში ედგა ცენტრალური კომიტეტის მიერ ქართული ინციდენტის „გამოსაკვლევად" გაგზავნილ კომისიას, მე მხოლოდ ძალიან დიდი საშიშროება დავინახე. თუ საქმე იქამდე მივიდა, რომ ორჯონიკიძემ შეტოპა და ფიზიკურ ძალადობას მიმართა, რაც ამხ. ძერ-

---

[144] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 36, გვ. 688. (В. И. Ленин. ПСС, т. 15, гв. 356).

ჟინსკიმ მაცნობა, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა ჯაობში ჩავცვივდით ჩვენ. ეტყობა, „ავტონომიზაციის“ მთელი ეს წამოწყება სრულიად არასწორი და უდროო იყო“.[145]

ამრიგად, ძერჟინსკის კომისიამ ს. ორჯონიკიძესა და ა. კობახიძეს შორის მომხდარ ინციდენტს სათანადო პოლიტიკური შეფასება არ მისცა, მაგრამ მისმა თავმჯდომარემ ვ. ი. ლენინს ეს ფაქტი არ დაუმალა. ჩვენ კვლავაც გვექნება საშუალება ვნახოთ, თუ როგორი იყო ვ. ი. ლენინის რეაგირება ამ ინციდენტზე. გარდა ამისა, აშკარად ჩანს, რომ ვ. ი. ლენინს 1922 წლის 30 დეკემბერსაც „სსრ კავშირის შექმნის საკითხი“ „ავტონომიზაციის საკითხად“ მიაჩნია. ვ. ი. ლენინი შემთხვევას არ უშვებს ხელიდან დაადასტუროს, რომ „ავტონომიზაციის“ წამოწყება არასწორი და უდროო იყო.

ვ. ი. ლენინი ეკამათება ოპონენტებს, რომლებიც „აპარატის ერთიანობის საჭიროებით“ ამართლებდნენ რესპუბლიკათა სახალხო კომისარიატების გაერთიანების იმჟამად აღიარებულ მოდელს. ამასთან დაკავშირებით, ვ. ი. ლენინი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს იმდროინდელ საბჭოთა აპარატს და აღნიშნავს: „ასეთ პირობებში ძალიან ბუნებრივია, რომ „კავშირიდან გასვლის თავისუფლება“, რითაც ჩვენ თავს ვიმართლებთ, ფარატინა ქაღალდი აღმოჩნდება, რომელიც ვერ შეძლებს დაიცვას რუსეთის სხვატომელები იმ ჯეშმარიტად რუსი კაცის, ველიკორუსი შოვინისტის, არსებითად, ნაძირალისა და მოძალადის თავდასხმისაგან, როგორიც არის ტიპური რუსი ბიუროკრატი. უეჭველია, რომ საბჭოთა და გასაბჭოებული მუშების სრულიად უმნიშვნელო პროცენტი ჩაიძირება შოვინისტური ველიკორუსული ვიგინდარების ამ ზღვაში, როგორც ბუზი რძეში“.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის შექმნის პროექტში გათვალისწინებული იყო რესპუბლიკებში ისეთი სახალხო კომისარიატების გამოყოფა, რომლებიც, ვ. ი. ლენინის სიტყვებით, „უშუალოდ ეროვნულ ფსიქოლოგიას, ეროვნულ განათლებას შეეხებიან“. ვ. ი. ლენინის აზრით, შექმნილ ვითარებაში ეს არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ნამდვილად დაეცვათ „სხვატომელები ჯეშმარიტად რუსი დერჟიმორდისაგან“.

ვ. ი. ლენინის აზრით, „აქ საბედისწერო როლი შეასრულეს სტალინის აჩქარებულობამ და ადმინისტრატორულმა გატაცებამ, აგრეთვე

---

[145] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 45.

მისმა გაბოროტებამ ყბადაღებული „სოციალ-ნაციონალიზმის“ წინააღმდეგ. ვშიშობ აგრეთვე, რომ ამხ. ძერჟინსკიმაც, რომელიც კავკასიაში იყო ამ „სოციალ-ნაციონალების“ „დანაშაულობათა“ საქმის გამოსაკვლევად, აქ გამოამჟღავნა მხოლოდ თავისი ჯეშმარიტად რუსული განწყობილება (ცნობილია, რომ გარუსებული სხვატომელები ყოველთვის გადაამლაშებენ ხოლმე ჯეშმარიტად რუსული განწყობილების მხრივ) და რომ მთელი მისი კომისიის მიუდგომლობას საკმაოდ ახასიათებს ორჯონიკიძის მიერ „სილის გარტყმა“.

შემდეგ. „ვფიქრობ, რომ, — განაგრძობს ვ. ი. ლენინი, — არავითარი პროვოკაციით, არავითარი შეურაცხყოფითაც კი არ შეიძლება გამართლდეს ეს რუსული სილის გარტყმა და რომ ამხ. ძერჟინსკის გამოუსწორებელი ბრალი მიუძღვის იმაში, რომ იგი ამ სილის გარტყმას ზერელედ მოეპყრო... ორჯონიკიძეს არ აქონდა იმ გაგულისების უფლება, რომელზეც ის და ძერჟინსკი მიგვითითებდნენ. ორჯონიკიძე, პირიქით, ვალდებული იყო მოქცეულიყო ისე თავდაჭერილად, როგორც არც ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე ვალდებული არ არის მოიქცეს, მით უფრო „პოლიტიკურ“ დანაშაულში ბრალდებული“.

1922 წლის 30 დეკემბერს, როცა ვ. ი .ლენინის ეს ნაშრომი იწერებოდა, სრულიად საკავშირო საბჭოების პირველი ყრილობის მონაწილენი „სსრ კავშირის შექმნის ლენინური გეგმის“ ხორცშესხმას ზეიმობდნენ. არც ერთ მათგანს წარმოდგენა არ ჰქონდა იმაზე, რომ ვ. ი. ლენინი ყრილობის დღეს ასე მკვეთრად დაუპირისპირდებოდა ი. ბ. სტალინს, ფ. ე. ძერჟინსკის, გ. კ. ორჯონიკიძეს („გარუსებულ სხვატომელებს“). ვ. ი. ლენინი ბრალს სდებს ამ სამეულს, რომ მათ არ დაიცვეს ქართველ კომუნისტთა ერთი ჯგუფი („ნაციონალ-უკლონისტები“) რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, პირადად გ. კ. ორჯონიკიძის „რუსული“ ძალმომრეობისაგან. ისინი, პირიქით, მხარს უჭერდნენ დიდმპყრობელური პოლიტიკის გატარებას კავკასიაში, უსაფუძვლოდ ნათლავდნენ პოლიტიკურ ოპონენტებს ნაციონალისტებად და ანტიინტერნაციონალისტებად.

ამასთან დაკავშირებით, ვ. ი. ლენინი განმარტავს, თუ როგორ უნდა გვესმოდეს ინტერნაციონალიზმი. მისი აზრით, დაუშვებელია საერთოდ ნაციონალიზმის საკითხის აბსტრაქტული დაყენება. აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ მჩაგვრელი ერის ნაციონალიზმი და ჩაგრული ერის ნაციონალიზმი, დიდი ერის ნაციონალიზმისა პატარა ერის ნაციონალიზმის მიმართ, — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, —

ჩვენ „დიდი ერის ნაციონალები“, თითქმის ყოველთვის, ისტორიულ პრაქტიკაში დამნაშავენი აღმოვჩნდებით ხოლმე უამრავ ძალადობასა და შეურაცხყოფაში.

„...საკმარისია მხოლოდ გავიხსენოთ ჩემი მოგონებანი ვოლგიდან იმაზე, — წერს ვ. ი. ლენინი, — თუ ჩვენში როგორ აბუჩად იგდებენ სხვატომელებს, თუ როგორ უწოდებენ პოლონელს უსათუოდ „პოლიაჩიშკას“, თუ როგორ ამასხარავებენ თათარს უსათუოდ „კნიაზის“ შერქმევით, უკრაინელს — როგორც „ხოხოლს“, ქართველსა და დანარჩენ კავკასიელ სხვატომელებს როგორც „კაპკაზსკი ჩელოვეკს“.

ის, რასაც აქ ამბობს ვ. ი. ლენინი ინტერნაციონალიზმზე, გასაგებია, სწორია, უსათუოდ მისაღებია. მაგრამ რატომ არ ფიქრობდა ვ. ი. ლენინი ასე 1921 წლის თებერვალში, როცა მისი უშუალო მითითებით რუსის ჯარმა საქართველო დაიპყრო. როგორ, ნუთუ მასაც სჯეროდა საკუთარი გამონაგონისა, რომ წითელი არმია რუსეთის იმპერიის აღდგენის მიზნით არარუს ხალხებს რომ იპყრობდა, ამით ინტერნაციონალურ მოვალეობას იხდიდა მათ წინაშე? ქართველებისათვის „კაპკაზსკი ჩელოვეკის“ შერქმევა არ შეიძლება და ეს დასაგმობია, სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, მაგრამ მათი ძალით დაპყრობა დასაშვებია? ამ დაპყრობის უშუალო თანამონაწილე ხომ ვ. ი. ლენინიც იყო.

არა, ნამდვილად ძნელია ამ ორ პოზიციას შორის თანამიმდევრული ლოგიკური კავშირი დავინახოთ, მაგრამ ფაქტია, რომ ორივე პოზიცია ლენინისეულია.

ვ. ი. ლენინი მარქსისტია და მისთვის მთავარია ეროვნული საკითხისადმი „პროლეტარული დამოკიდებულება“. ეს ნათლად ჩანს ამ ნაშრომიდანაც. მას მიაჩნია, რომ ასეთი „დამოკიდებულება“ ვერ გამოიჩინეს ი. ბ. სტალინმა, ფ. ე. ძერჟინსკიმ და გ. კ. ორჯონიკიძემ ქართველი ხალხისადმი. ამიტომაც მათ მოდერნიზებული საბჭოთა იმპერიის მეთაურის სასტიკი კრიტიკა დაიმსახურეს.

თუ არა „ნაციონალ-უკლონისტებისა“ და მთელი ქართველი ხალხისადმი გამოქომაგება, სხვანაირად როგორ გავიგოთ ვ. ი. ლენინის შემდეგი სიტყვები: „...ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში, ქართველი ერის მიმართ, ჩვენ გვაქვს იმის ტიპური მაგალითი, სადაც საქმისადმი ჭეშმარიტად პროლეტარული დამოკიდებულება მოითხოვს ჩვენგან უაღრეს სიფრთხილეს, თავაზიანობასა და დამთმობლობას. ის ქართველი, რომელიც უგულვებელყოფს საქმის ამ მხარეს, ათვალწუნებით წა-

მოისერის ბრალდებას „სოციალ-ნაციონალიზმში“ (მაშინ როდესაც ის თვითონ არის ნამდვილი და ჯეშმარიტი არა მარტო „სოციალ-ნაციონალი“, არამედ უხეში ველიკორუსი დერჟიმორადაც), ეს ქართველი, არსებითად, არღვევს პროლეტარული კლასობრივი სოლიდარობის ინტერესებს, რადგან არაფერი ისე არ აფერხებს პოლეტარული კლასობრივი სოლიდარობის განვითარებას და განმტკიცებას, როგორც ეროვნული უსამართლობა, და არაფერს ისე მწვავედ არ განიცდიან „შეურაცხყოფილი“ ნაციონალები, როგორც თანასწორობის გრძნობას და ამ თანასწორობის დარღვევას, თუნდაც დაუდევრობით, თუნდაც ხუმრობის სახით...“

რას გვთავაზობს ვ. ი. ლენინი? დაიშალოს სსრ კავშირი? არავითარ შემთხვევაში. იმ ეტაპზე, ვ. ი. ლენინის აზრით, სსრ კავშირი უნდა დარჩეს და განმტკიცდეს კიდეც. მომავლისათვის კი ვ. ი. ლენინი სხვანაირ გეგმას სახავდა: „...წინასწარ არასგზით არ უნდა ვთქვათ უარი იმაზე, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ... საბჭოების შემდგომ ყრილობაზე უკან დაებრუნდეთ, ე. ი. დავტოვოთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი მხოლოდ სამხედრო და დიპლომატიური მხრივ, ყველა სხვა მხრივ კი აღვადგინოთ ცალკეული სახალხო კომისარიატების სრული დამოუკიდებლობა“.

რა არის ეს? კონფედერაცია? დათანხმდებოდნენ კი „ველიკოდერჟავნიკები“ რესპუბლიკათა ასეთ გაერთიანებაზე? ყოველ შემთხვევაში, ქართველ „ნაციონალ-უკლონისტებს“ ნამდვილად მოეწონებოდათ ვ. ი. ლენინის ეს წინადადება.

ვ. ი. ლენინი ქართველ „ნაციონალ-უკლონისტთა“ პოზიციას მხარს არ უჭერდა, იგი მხოლოდ ს. ორჯონიკიძის მიერ ა. კობახიძისათვის სილის გარტყმას გმობდაო — ამტკიცებდა საბჭოური ისტორიოგრაფია ათეული წლების მანძილზე. თუ არა მხარდაჭერა, აბა სხვა რა არის ვ. ი. ლენინის ეს განცხადება:

„...საჭიროა სამაგალითოდ დაისაჯოს ამხ. ორჯონიკიძე (ამას მით უფრო გულისტკივილით ვამბობ, რომ პირადად ვეკუთვნი მისი მეგობრების რიცხვს და ვმუშაობდი მასთან ერთად საზღვარგარეთ ემიგრაციაში), აგრეთვე დამატებით ან ხელახლა გამოკვლეულ იქნას ძერჟინსკის კომისიის მთელი მასალა იმისათვის, რომ გამოსწორდეს ის დიდძალი უმართებულობა და მიკერძოებული განსჯა, რაც იქ უეჭველად მოიპოვება. პოლიტიკური პასუხისმგებლობა მთელი ამ ჯეშმა-

რიტად ველიკორუსულ-ნაციონალისტური კამპანიისათვის უნდა დაეკისროთ, რა თქმა უნდა, სტალინსა და ძერჟინსკის".[146]

ძერჟინსკის კომისიის ამოცანა კონფლიქტის მოგვარება იყო. კომისიამ თავისი მისიის შესრულება ვერ შეძლო. მან ცალსახად დაუჭირა მხარი რკბ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს (შემდეგ — ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის) პოზიციას, რითაც კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა ს. ორჯონიკიძის მომხრეებსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველ (გადამდგარ) შემადგენლობას შორის. ყველაფრიდან ჩანდა, რომ „ნაციონალ-უკლონისტებს" ბრძოლა წაგებული ჰქონდათ, თუმცა ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდნენ, შთელ იმედებს ვ. ი. ლენინზე ამყარებდნენ. არც ი. ბ. სტალინი იყო გულხელდაკრეფილი. იგი ყოველნაირად ცდილობდა დაეჩქარებინა, ვ. ი. ლენინის გამოჯანმრთელებამდე მოესწრო, ძერჟინსკის კომისიის მოხსენებისა და წინადადებების დამტკიცება პოლიტბიუროს სხდომაზე. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიურომ 1923 წლის 13 იანვარს დაამტკიცა ძერჟინსკის კომისიის დასკვნა, რომელიც აშკარად ამართლებდა ს. ორჯონიკიძეს. ამ დროისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი შემადგენლობის გადადგომა ჯერ კიდევ არ იყო ოფიციალურად სანქციონირებული რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ, თუმცა ვიცით, რომ ამასთან დაკავშირებით იყო ი. ბ. სტალინის სატელეფონო ზარი, (პირღაპირი მავთული) თუ დაშიფრული დეპეშა, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს გადაწყვეტილება და ა. შ. 13 იანვარს კი ორგბიურომ დაადასტურა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი შემადგენლობის გადადგომა. მოტივაცია ძერჟინსკის კომისიისეული იყო, რაც ჩვენთვის ცნობილია: «Ввиду выраженного собранием ответственных работников Грузии и общегородским собранием Тифлиса недоверия ЦК Компартии Грузии в его нынешнем составе и ввиду явного несоответствия нынешнего ЦК его задачам лойяльного и своевременного проведения в жизнь директив ЦК РКП».

ორგბიუროს დასკვნა დასამტკიცებლად პოლიტბიუროს გადაეცა. მისი სხდომა 1923 წლის 25 იანვარს შედგა. პოლიტბიურომ დაადგინა:

---

[146] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 36, გვ. 688—695; (В. И. Ленин. ПСС, т. 45. гв. 356—362).

«Смену состава ЦК Грузии и советских учреждений в Грузии, как вызванное обстановкой на Кавказе и ходом борьбы в грузинской партии, утвердить. Равным образом утвердить решение Оргбюро от 21. XII—22 г. о переводе на работу вне Грузии т. т. Цинцадзе, Мдивани, Махарадзе и Кавтарадзе. Смена эта ни в коем смысле не лишает доверия в глазах ЦК тех товарищей, которые вышли в отставку с ответственных постов в Грузии, в частности, и тех, которые переведены на работу вне Грузии».[147]

როგორც ვხედავთ, პოლიტბიუროს ძერჟინსკის კომისიის დასკვნა მთლიანად, დაამტკიცა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან გ. ზინოვიევის[148] სიტყვებით, ძერჟინსკის კომისიას ამ საკითხზე თავისი აზრი ჯერ კიდევ მოსკოვიდან გამგზავრებამდე ჰქონდა. ე. ი. კომისიის მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მან წინასწარ იცოდა, თუ ვინ უნდა გაემტყუნებინა და ვინ გაემართლებინა. ამასთან არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ პოლიტბიუროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი, გადამდგარი შემადგენლობის „გულის მოსაგებად“ ყასიდად აღნიშნა, რომ „ნაციონალ-უკლონისტები“ კვლავაც ისარგებლებენ რკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ნდობით.

ი. ბ. სტალინმა, ბუნებრივია, კარგად იცოდა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი შემადგენლობა უკმაყოფილო დარჩებოდა პოლიტბიუროს 25 იანვრის დადგენილებით და საქმე ამით არ დამთავრდებოდა. „საქართველოს საკითხი“ შეიძლებოდა მთელი პარტიის მსჯელობის საგანი გამხდარიყო. ამიტომ, 1923 წლის 25 იანვარსვე პოლიტბიუროს მიიღო გადაწყვეტილება საგუბერნიო და საოლქო კომიტეტებისათვის სპეციალური წერილით მიემართათ, რომელშიც გაანალიზებული იქნებოდა საქართველოს კომპარტიაში არსებული კონფლიქტი და მისი გამომწვევი მიზეზები. წერილი, 1923 წლის 5 თებერვლის თარიღით, მართლაც დაგზავნეს. იგი სტალინისეულ შეფასებას შეიცავდა. რაც შეეხება ცალკეულ ფაქტებს, ისინი წერილში სწორად იყო კონსტატირებული. მასში, მაგალითად, ნათქვამია, რომ კონფლიქტი კაებიუროსა და „ნაციონალ-უკლონის-

---

147 უახლესი ისტორიის მასალების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 5, აღწ. 2, საქ. 32, ფურც. 18.

148 იქვე, ფურც. 70.

ტებს“ შორის პირველად საქართველოს კომპარტიის I ყრილობაზე (1922 წლის იანვარი) გამოვლინდა. სწორედ ამ ყრილობამ დააფიქსირა ქართველ კომუნისტთა ერთი ჯგუფის ნაციონალისტური გადახრა. ყრილობამ უნდობლობა გამოუცხადა ამ ჯგუფს და ახლად არჩეულ ცენტრალურ კომიტეტში, ბ. მდივნის გარდა, ამ ჯგუფის არც ერთი წევრი არ აირჩია. ფ. მახარაძე მაშინ არ თანაუგრძნობდა ბ. მდივნის ჯგუფს.[149] პირიქით, ყრილობაზე მან ამ ჯგუფის წინააღმდეგ გაილაშქრა. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროო თხოვდა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს, უცვლელად დაემტკიცებინა ყრილობაზე არჩეული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა, მაგრამ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი არ დაეთანხმა კავბიუროს და ი. ბ. სტალინის წინადადებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალ შემადგენლობაში შეიყვანა „უკლონისტთა“ ჯგუფის ის წარმომადგენლებიც, რომლებიც ყრილობამ არ აირჩია ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში: კ. ციწინაძე, ს. ქავთარაძე, მ. ტოროშელიძე. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიზანი იყო, — აღნიშნულია წერილში, — მიეცათ საშუალება ბ. მდივნის ჯგუფისათვის, მუშაობის პროცესში აღმოეფხვრათ უთანხმოება. 1922 წლის თებერვლის ბოლოს კონფლიქტი გამწვავდა იმასთან დაკავშირებით, რომ ბუდუ მდივნის ჯგუფი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის „აბსოლუტური აუცილებლობის“ შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების წინააღმდეგ გამოვიდა.

„მშვიდობიანობის ინტერესებიდან გამომდინარე“, რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, როგორც წერილშია აღნიშნული, კვლავ ბ. მდივანს დაუჭირა მხარი. მაგრამ კონფლიქტი მაინც არ შესუსტდა. ბ. მდივნის ჯგუფი ბოროტად იყენებდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ნდობას და აშკარად აყალიბებდა საქართველოს კომპარტიაში საკუთარ ფრაქციასო. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიურომ ი. ბ. სტალინისა და ვ. მ. მოლოტოვის წინადადებით, 1922 წლის აპრილში მიიღო ახალი დადგენილება ამიერკავკასიის ფედერაციის შესახებ, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თუ საქართველოს კომპარტიაში სასწრაფოდ არ შეწყვეტდნენ „სკლოკას“ და ჯგუფურ ბრძოლას, დამნაშავენი პარტიიდან გაირიცხებოდნენ. ბ. მდივნის ჯგუფმა ეს გაფრთხი-

---

[149] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე ბ. მდივნის ჯგუფს მართლაც მოგვიანებით შეუერიდა.

ლება არად ჩააგდო. მან კიდევ უფრო გააღრმავა ნაციონალისტური გადახრა და მიზნად დაისახა «подчеркнуть в угоду грузинским буржуазным националистам обособленность Грузии от прочих закавказских республик и РСФСР». ბ. მდივნის ჯგუფი ყველა საშუალებით ცდილობს ფედერაციის იდეის დისკრედიტაციას და კონფლიქტი ქრონიკულ ხასიათს იღებსო. კონფლიქტმა კულმინაციურ წერტილს მიაღწია რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის ოქტომბრის პლენუმის შემდეგ. ბ. მდივანმა მოსკოვში განაცხადა, რომ იგი ეთანხმება ამ პლენუმის გადაწყვეტილებას. მიუხედავად ამისა, ბ. მდივნის ჯგუფმა კონფლიქტის საკითხებზე მსჯელობა თბილისის პარტიული და საქართველოს პასუხისმგებელ მუშაკთა კრებებზე გადიტანა, ჯგუფს უმცირესობამ დაუჭირა მხარი. 1922 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გადადგა. 22 ოქტომბერსვე, საღამოს, რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიიღო ეს გადადგომა და რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს დასამტკიცებლად შესთავაზა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა. 26 ოქტომბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიურომ დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადადგომა და მისი ახალი შემადგენლობა. 1922 წლის 11 ნოემბერს ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა კონფერენციამ ერთხმად მოიწონა რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზი, გადაჭრით დაგმო საქართველოს კომპარტიის „ვერხუშის“ ნაციონალისტური გადახრა. რამდენიმე დღით ადრე, კერძოდ, 9 ნოემბერს ს. ორჯონიკიძემ აცნობა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რომ აუცილებელია საქართველოდან გაიწვიონ ფ. მახარაძე, კ. ცინცაძე და ს. ქავთარაძე, რადგანაც ისინი საკუთარ ფრაქციას ქმნიანო. ნოემბრის შუა რიცხვებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალმა პრეზიდიუმმა მოითხოვა, რომ საქართველოდან გაიწვიონ ყველა ხელმძღვანელი „ამ ანტიპარტიული მუშაობისა, რომელიც ხრწნის ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს“. ამავე დროს ფ. მახარაძე, ბ. მდივანი და სხვები სთხოვენ რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს, გამოყოს სპეციალური კომისია საქმის გამოსაძიებლად. რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სწორედ ამის გამო გამოჰყო კომისია ძერჟინსკის მეთაურობით, რომელმაც მოიწონა რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტე-

ტის საქმიანობა და აუცილებლად მიიჩნია საქართველოდან ფ. მახარაძის, ს. ქავთარაძის, ბ. მდივნისა და კ. ცინცაძის გაწვევა. ამრიგად, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დილემის წინაშე აღმოჩნდა: «или отозвать Заккрайком и новый состав ЦКГ, вступив в конфликт с большинством Закавказской организации, либо отозвать четырех уклонистов», — აღნიშნულია წერილში.[150]

ასეთია მოკლედ იმ წერილის შინაარსი, რომელიც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1923 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ დაუგზავნა პარტიის საგუბერნიო და საოლქო კომიტეტებს.

ეს წერილი, ი. ბ. სტალინის აზრით, დაეხმარებოდა პარტიას, გარკვეულიყო საქმის არსში, სწორად მიეჩნია ძერჟინსკის კომისიის დასკვნა და ამ საკითხზე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილება.

ყოველივე ეს კეთდებოდა იმ შემთხვევისათვის, თუ ვ. ი. ლენინი ჩაერეოდა საქმეში „ნაციონალ-უკლონისტების" სასარგებლოდ და დააყენებდა საკითხს პოლიტბიუროს დადგენილების გადასინჯვის შესახებ. ამ დადგენილების ავტორი თუ ინიციატორი ძერჟინსკისთან ერთად, სტალინიც იყო. მისი გადასინჯვა ი. ბ. სტალინს დიდ უხერხულობაში ჩააყენებდა არა მარტო იმიტომ, რომ იგი ქართველ „ნაციონალ-უკლონისტებთან" ბრძოლაში დამარცხდებოდა, არამედ, და უმთავრესად, იმიტომ, რომ ი. ბ. სტალინის ინიციატივით მიღებული პოლიტბიუროს დადგენილების გადასინჯვა საგრძნობლად შელახავდა მის ავტორიტეტს, შეასუსტებდა მისი როგორც პოლიტიკური მოღვაწის პოზიციებს, რაც თანამდებობებისათვის კრემლში იმ დროს გაჩაღებულ ბრძოლის პირობებში, შეიძლება, საბედისწეროც აღმოჩენილიყო მისთვის.

საქმე ისაა, რომ ამ დროს ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს შორის უაღრესად დაძაბული ურთიერთობა იყო. ვ. ი. ლენინს უკვე ნაკარნახევი ჰქონდა მისი ცნობილი ფრაზა:

„ამხ. სტალინმა, როცა ის გენერალური მდივანი გახდა, თავის ხელში მოაქცია განუზომელი ძალაუფლება, და მე დარწმუნებული არა

---

[150] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 5, აღწ. 2, საქ. 32, ფურც. 19.

ვარ, შეძლებს თუ არა იგი ყოველთვის საკმაოდ ფრთხილად გამოიყენოს ეს ძალაუფლება". [151]

ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ვ. ი. ლენინს უკვე შეუფერებლად მიაჩნია ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე. ეს 1922 წლის 24 დეკემბერს ითქვა. 1923 წლის 4 იანვარს კი ვ. ი. ლენინი დაამატებს „სტალინი ძალიან უხეშია, და ეს ნაკლი, რომელიც სავსებით ასატანია ჩვენს, კომუნისტების, წრეში და ურთიერთობაში, აუტანელი ხდება გენერალური მდივნის თანამდებობაზე. ამიტომ მე წინადადებით მივმართავ ამხანაგებს, რომ მოიფიქრონ ამ ადგილიდან სტალინის სხვაგან გადაყვანის საშუალება და დანიშნონ ამ ადგილზე სხვა ადამიანი, რომელიც ყველა სხვა მხრივ განსხვავდება ამხ. სტალინისაგან მხოლოდ ერთი უპირატესობით, სახელდობრ, უფრო ლმობიერია, უფრო ლოიალურია, უფრო თავაზიანი და უფრო ყურადღებიანია ამხანაგებისადმი, ნაკლებ ჯირეულია და ა. შ. [152]

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბება, რის მიზეზიც კვლაც „ქართული საქმე" გახდება. როგორც ვნახეთ, ვ. ი. ლენინი უნდობლად მოეკიდა ძერჟინსკის კომისიის დასკვნას, ამიტომ მან გადაწყვიტა თვითონ შეესწავლა „ქართულ საქმესთან" დაკავშირებული ყველა მასალა და თავისი აზრი გამოეთქვა ამ საკითხზე. ამასთან დარწმუნებული იყო, რომ „საქართველოს საკითხს" (ძერჟინსკის კომისიის დასკვნას), პოლიტბიუროს სხდომაზე უიმისოდ არ გაიტანდნენ. პოლიტბიუროს სხდომაზე კი ეს საკითხი ისე განიხილეს (1923 წლის 25 იანვარს), რომ ვ. ი. ლენინს არც არაფერი შეატყობინეს. მოტივი? ავადმყოფ ლენინს „უფრთხილდებოდნენ", ცდილობდნენ არ გადაეტვირთათ მიმდინარე საქმეებით (ამის თაობაზე პოლიტბიუროს სპეციალური დადგენილება არსებობდა).

პოლიტბიუროს სხდომის წინადღეს, 1923 წლის 24 იანვარს, ვ. ი. ლენინმა გამოიძახა მისი ერთ-ერთი მორიგე მდივანი ლ. ა. ფოტიევა (რსფსრ სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მდივანი), რომელსაც დაავალა მოსთხოვოს ფ. ე. ძერჟინსკის ან ი. ბ. სტალინს მასალები „ქართული საქმის" გამო. როგორც ცნობი-

---

151 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 36, გვ. 675 (В. И. Ленин, ПСС, т. 45, стр. 345).
152 ი ქ ვ ე, თხზ., ტ. 36, გვ. 677.

ლია, ლ. ა. ფოტიევას, ვ. პ. გორბუნოვთან (რსფსრ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი) და მ. ი. გლიასერთან (რსფსრ სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მდივანი) ერთად, ევალებოდა დახმარებოდა ვ. ი. ლენინს „საქართველოს საკითხის“ ღრმად შესწავლასა და ყრილობაზე გამოსასვლელად მოხსენების მომზადებაში. მორიგე მდივნების დღიურში[153] ლ. ა. ფოტიევა აღნიშნავს, რომ მოხსენება სჭირდება ვ. ი. ლენინს „პარტიული ყრილობისათვის“. იმავე დღიურში ლ. ა. ფოტიევას ასეთი ჩანაწერია: „ის, რომ საკითხი პოლიტბიუროში დგას, მან როგორც ჩანს, არ იცოდა“[154]. «О том, что вопрос состоит в Политбюро, он по-видимому не знал»![155]

ვ. ლენინის მორიგე მდივანთა დღიური უნიკალური მნიშვნელობის დოკუმენტია. იგი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ რა საკითხებით იყო დაინტერესებული 1922 წლის 21 ნოემბრიდან 1923 წლის 6 მარტამდე ვ. ი. ლენინი, რომელიც ამ პერიოდში ავადმყოფობის გამო ფაქტობრივად ჩამოშორებული იყო დიდი პოლიტიკისაგან.

ამ დღიურის გარეშე შეუძლებელია გავერკვეთ ჩვენთვის საინტერესო საკითხშიც — ვ. ი. ლენინის დამოკიდებულება ქართველი „ნაციონალ-უკლონისტებისადმი“ და ძერჟინსკის კომისიის დასკვნისადმი, პარადოქსულად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, რომ საბჭოთა იმპერიის ლიდერი, რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის ერთ-ერთი უმთავრესი ინიციატორი ვ. ი. ლე-

---

153 ვ. ი. ლენინის მორიგე მდივანთა დღიური შეიცავს ლენინის დავალებების, მის მიერ მნახველთა მიღებისა და სხვა ფაქტების ჩანაწერებს 1922 წლის 21 ნოემბრიდან 1923 წლის 6 მარტამდე. ჩანაწერები მორიგე მდივანთა დღიურში შეპქონდათ ლ. ა. ფოტიევას, მ. ი. გლიასერს, მ. ა. ვოლოდიჩევას (რსფსრ სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მდივნის თანაშემწე), ალილუევას, ს. ა. ფლაქსერმანსა (რსფსრ სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მდივნები) და შ. მ. მანუჩარიანცს (ვ. ი. ლენინის ბიბლიოთეკარი).

დღიურისათვის იყენებდნენ გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო დავთარს. მასში იყო ოთხი გრაფა: რიცხვი, ვისი მორიგეობაა, დავალებანი, შესრულების აღნიშვნა. თავფურცელზე ასეთი წარწერაა: „გთხოვთ ამ დღიურში ჩაწეროთ მორიგეობის საათებში მიღებული ყველა დავალება და ყველა მომხდარი ამბავი, ამასთან, აღნიშნოთ, შესრულდა თუ არა დავალებანი. 21. XI—22 წ.“ (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 42, გვ. 715).

154 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., 42, გვ. 555.

155 В. И. Л е н и н, ПСС, т. 45, гв. 476.

ნიში სიცოცხლის ბოლო პერიოდში ესოდენ გულისხმიერ დამოკიდებულებას იჩენს „საქართველოს საკითხისადმი“. დღიური ცხადყოფს, რომ ბოლო სამი თვის მანძილზე, როცა ვ. ი. ლენინს წერა ან კარნახი შეეძლო, მას ყველაზე მეტად „საქართველოს საკითხი“ აწუხებდა. უფრო მეტი. შეიძლება ისიც ითქვას, რომ სწორედ ამ საკითხის მისებურად მოგვარების შეუძლებლობამ მოუსწრაფა ვ. ი. ლენინს სიცოცხლე.

რატომ იყო ვ. ი. ლენინი ასე დაინტერესებული „საქართველოს საკითხით?“ თქმა იმისა, რომ ვ. ი. ლენინს საქართველოს წინაშე რუსეთის დანაშაულის გამოსწორება უნდოდა, ალბათ, სწორი არ იქნება. ვ. ი. ლენინი საბჭოთა იმპერიის სიმშვიდესა და მის განმტკიცებაზე ზრუნავდა. საქართველოს მაგალითზე იგი მთელი იმპერიის მომავალს ხედავდა და არ უნდოდა მსგავსი კონფლიქტები იმპერიის სხვა რეგიონებშიც წარმოშობილიყო. ამას კი ნამდვილად შეუწყობდა ხელს ველიკორუსული შოვინისტური პოლიტიკის დაუოკებელი გატარება. ამიტომ მიაჩნდა მას, რომ საჭირო იყო მეტი გულისხმიერებისა და დამთმობლობის გამოჩენა ქართველ კომუნისტთა ერთი ჯგუფისადმი (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის „ნაციონალ-უკლონისტური“ შემადგენლობისადმი), რომელიც ბოლშევიზმს არ ღალატობდა, სსრ კავშირის გარეშე საქართველოს არსებობა მიზანშეუწონლად მიაჩნდა, მაგრამ, ამავე დროს, ძალით გასაბჭოებული საქართველოსათვის უფრო მეტ საბჭოურ სუვერენულ უფლებებს მოითხოვდა. გარდა ამისა, სავარაუდოა ისიც, რომ „საქართველოს საკითხის“ გამოყენებას ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლაშიც აპირებდა.

ვავიმოწმოთ ზოგიერთი დამახასიათებელი ადგილი ვ. ი. ლენინის მორიგე მდივნების დღიურიდან, რომლებიც უშუალოდ „ქართულ საქმესთან“ არიან დაკავშირებული.[156] დღიურში პირველი ჩანაწერი 1922 წლის 21 ნოემბრით არის დათარიღებული. 2 დეკემბერს ნ. ს. ალილუევამ დღიურში ასეთი ჩანაწერი გააკეთა. „დარეკა გორბუნოვმა და გვთხოვა ვლადიმერ ილიას ძისათვის პირველი შესაძლებლობისთანავე გადაგვეცა, რომ 1 დეკემბერს რიკოვი ჩქარი მატარებლით წამოვიდა

---

[156] დღიური მთლიანად გამოქვეყნებულია ვ. ი. ლენინის თხზულებათა 42-ე ტომში, იხ. გვ. 529—567.

თბილისიდან, უნდა გადავცეთ, რადგან ვლადიმერ ილიას ძეს ეს ძალიან აინტერესებს". [157]

იმავე 2 დეკემბერს საღამოთი დღიურში ჩაიწერა: „ვლადიმერ ილიას ძემ გვთხოვა გვეკითხა ბელენკისათვის, როდის ჩამოვლენ (ზუსტად) რიკოვი და ძერჟინსკი. ეს ძალიან აინტერესებს. ბელენკისთვის არ მიკითხავს".

3 დეკემბერს დილით ს. ა. ფლაქსერმანმა დღიურში აღნიშნა: „შევატყობინე ვლადიმერ ილიას ძეს: ბელენკის ცნობა რიკოვისა და ძერჟინსკის ჩამოსვლის შესახებ..."

დღიურის გრაფაში „შესრულება" აღნიშნულია: „ბელენკიმ გვაცნობა, რომ ძერჟინსკი თბილისიდან წამოვა დაახლოებით 8 დეკემბერს, გზად რევიზიისათვის გაჩერდება ხოლმე და მოსკოვში იქნება დაახლოებით 13 დეკემბერს, რიკოვი თბილისიდან წამოვიდა 2 დეკემბერს, აქ იქნება 4 დეკემბერს დილით. (რიკოვის შესახებ კიდევ შეამოწმებს და დარეკავს). ბელენკიმ ერთხელ კიდევ დარეკა და თქვა, რომ რიკოვი დღეს საღამოს 6 ს.-ზე იქნება, უნდოდა ერთხელ კიდევ შეემოწმებინა და დაერეკა. იკითხა ხაზზე".

ბელენკიმ 3 დეკემბერსაც შეატყობინა ვ. ი. ლენინის მდივნებს თბილისიდან უკვე წამოსული რიკოვის ბაქოდან გამგზავრების თარიღი. 4 დეკემბერს ვ. ი. ლენინმა კვლავ სთხოვა მდივნებს, ზუსტად გაეგოთ როდის ჩამოდის რიკოვი.

რატომ შეაწრიალა ასე ვ. ი. ლენინმა თავისი მდივნები და სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თანამშრომელი ა. ი. ბელენკი იმის დასაზუსტებლად, თუ როდის ჩამოვლენ თბილისიდან ა. ი. რიკოვი და ფ. ე. ძერჟინსკი? თუ გავითვალისწინებთ იმას, რა საქმესთან დაკავშირებით იყო ფ. ე. ძერჟინსკი ჩამოსული თბილისში, ადვილი გასაგებია ვ. ი. ლენინის ასეთი დაინტერესება ფ. ე. ძერჟინსკისთან სასწრაფოდ შეხვედრით. რაც შეეხება ა. ი. რიკოვს, ისიც ხომ ამ პერიოდში იყო თბილისში და „ქართული ინციდენტის" უნებლიე მონაწილეც გახდა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1923 წლის 24 იანვარს ვ. ი. ლენინმა გამოიძახა ლ. ა. ფოტიევა და დაავალა გამოეთხოვა ფ. ე. ძერჟინსკისა ან ი. ბ. სტალინისაგან საქართველოს საკითხზე მასალები. მეორე დღეს, 25 იანვარს, ვ. ი. ლენინმა იკითხა: „მიღებულია თუ არა მასალები".

---

[157] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 42, გვ. 539.

ლ. ა. ფოტიევას ჩანაწერში ვკითხულობთ: „ძერჟინსკი მხოლოდ შაბათს ჩამოვა და ამიტომ ჯერ არ შემეძლო მეკითხა. შაბათს ვკითხე ძერჟინსკის, მითხრა, მასალები სტალინთან არისო. გავუგზავნე წერილი სტალინს, იგი მოსკოვში არ აღმოჩნდა. გუშინ, 29 იანვარს, სტალინმა დარეკა, რომ პოლიტბიუროს გარეშე მასალების მოცემა არ შეუძლია. მკითხა, ზედმეტს ხომ არაფერს ვეუბნები ვლადიმერ ილიას ძეს, საიდან არისო მიმდინარე საქმეების კურსში? მაგალითად, მისი სტატია მუშვლეხინის შესახებ გვიჩვენებს, რომ მან იცის ზოგიერთი გარემოებაო. ვუპასუხე — არ ვეუბნები და არავითარი საფუძველი არა მაქვს ვიფიქრო, რომ საქმის კურსშია-მეთქი. დღეს ვლადიმერ ილიას ძემ გამომიძახა, რათა შეეტყო პასუხი, და მითხრა, ვიბრძოლებ იმისათვის, რომ მასალები მომცენო“.

30 იანვარს ექიმმა ვ. ი. ლენინს განუცხადა, 30 მარტს ყრილობაზე გამოსვლის უფლებას ვერ მოგცემ, მაგრამ ამ დროისათვის ფეხზე იქნები, ხოლო 1 თვის შემდეგ გაზეთების კითხვის ნებას მოგცემო. ვ. ი. ლენინმა ამის შესახებ იმავე დღეს მოუთხრო ლ. ა. ფოტიევას და როცა საქართველოს შესახებ კომისიის საკითხს დაუბრუნდა, სიცილით თქვა: „ეს ხომ გაზეთები არ არის, მაშასადამე, ახლაც შემიძლია ვიკითხო“[158].

1923 წლის 1 თებერვალს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ნება დართო ვ. ი. ლენინს, მიეღო ძერჟინსკის კომისიის მასალები. ამ საკითხზე სპეციალურად მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია: Строго секретно.

Российская Коммунистическая партия (большевиков). Центральный Комитет.

Отдел Бюро секретариата

№ 22527/с. т. т. Фотиевой, Гляссер, Горбунову «I» февраля 1923 г.

---

158 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 42, გვ. 539, 541—542, 555—557.

Выписка из протокола заседания Политбюро ЦК РКП от 1/II—23 г., № 46.

Слушали:	Постановили:
24. Заявление т. т. Фотиевой, Гляссер и Горбунова о выдаче им материалов грузинской комиссии для изучения по поручению тов. Ленина.	24. а) Разрешить секретариату ЦК материалы выдать. б) Вопрос о докладе т. Ленину результатов отложить до заключения проф. Форстера.

Секретарь Цека И. Сталин[159].

პოლიტბიუროსაგან ძერჟინსკის კომისიის მასალები რომ მიიღო, ვ. ი. ლენინმა მითითება მისცა ლ. ა. ფოტიევას, რისთვის მიექცია ყურადღება და საერთოდ როგორ ესარგებლა ამ მასალებით. ამასთან ვ. ი. ლენინმა თქვა: „თავისუფალი რომ ვიყო (ჯერ წამოცდა, შემდეგ კი სიცილით გაიმეორა: თავისუფალი რომ ვიყო), თვითონვე გავაკეთებდი ყოველივე ამას ადვილად“[160].

ვ. ი. ლენინის ვარაუდით, ამ მასალების დამუშავებას 4 კვირა დასჭირდებოდა.

1923 წლის 1 თებერვალს ლ. ა. ფოტიევამ ვ. ი. ლენინის შემდეგი მითითებანი ჩაიწერა: „1) რატომ დააბრალეს საქართველოს კომპარტიის ძველ ცენტრალურ კომიტეტს უკლონიზმი. 2) რა ედებოდათ მათ ბრალად, როგორც პარტიული დისციპლინის დარღვევა. 3) რატომ აბრალებენ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დათრგუნვას. 4) დათრგუნვის ფიზიკური წესები („ბიომექანიკა“). 5) ცენტრალური კომიტეტის (რკპ (ბ)-ისა. — რ ე დ.) ხაზი ვლადიმერ ილიას ძის არყოფნისა და ვლადიმერ ილიას ძის ყოფნის დროს. 6) კომისიის დამოკიდებულება. განიხილა თუ არა მან მხოლოდ ბრალდებანი საქართველოს კომპარტიის

---

159 Российский центр хранения и изучения документов новейшей истории, ф. 5, оп. 2, д. 32, л. 36.

160 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 42, გვ. 557.

ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ, თუ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წინააღმდეგაც? განიხილა თუ არა მან „ბიომექანიკის“ შემთხვევები? 7) ნამდვილი მდგომარეობა (საარჩევნო კამპანია, მენშევიკები, დათრგუნვა, ეროვნული შუღლი)“[161].

საქართველოს საკითხზე ვ. ი. ლენინს შემდეგაც ჰქონდა საუბრები მორიგე მდივნებთან. მივყვეთ დღიურს:

„3 თებერვალი (ლ. ა. ფოტიევას ჩანაწერი).

ვლადიმერ ილიას ძემ 7 ს.-ზე გამომიძახა რამდენიმე წუთით. იკითხა, გადავხედეთ თუ არა მასალებს. ვუპასუხე, რომ მხოლოდ ზერელედ და რომ მასალები არც იმდენი აღმოჩნდა, რამდენიც გვეგონა. იკითხა, იდგა თუ არა ეს საკითხი პოლიტბიუროში. ვუპასუხე, რომ უფლება არა მაქვს ვილაპარაკო ამაზე. მკითხა: „თქვენ სწორედ და სპეციალურად ამაზე გაქვთ აკრძალული ლაპარაკი?“ „არა, საერთოდ არა მაქვს უფლება ვილაპარაკო მიმდინარე საქმეებზე“ „მაშასადამე, ეს მიმდინარე საქმეა?“ მივხვდი, რომ გავები. გავიმეორე, რომ ლაპარაკის უფლება არა მაქვს-მეთქი. მითხრა: „ამ საქმის შესახებ ჯერ კიდევ ძერჟინსკისაგან ვიცი, ჩემს ავადმყოფობამდე. კომისიამ გააკეთა მოხსენება პოლიტბიუროში?“ „დიახ, გააკეთა, პოლიტბიურომ საერთოდ დაამტკიცა მისი გადაწყვეტილება, რამდენადაც მახსოვს“. მითხრა: „მაშ, ვფიქრობ, რომ გააკეთებთ თქვენს რელაციას სამიოდე კვირის შემდეგ და მაშინ მივმართავ წერილით“. ვუპასუხე: იქნებ ვერ მოვასწრო 3 კვირაში“. მოვიდნენ ექიმები...“[162]

„5 თებერვალი, საღამო (მ. ი. გლიასერის ჩანაწერი).

მკითხა, უკვე დაიწყეთ თუ არა საქართველოს კომისიის მასალების გარჩევა და რა ვადაში ვარაუდობთ ამ სამუშაოს დამთავრებასო. ვუპასუხე, რომ ჩვენ მასალები გავინაწილეთ და დავიწყეთ კითხვა, რაც შეეხება ვადას, იმედი გვაქვს დავამთავრებთ იმ ვადაში, რომელიც თქვენ მოგვეცით-მეთქი, ე. ი. სამ კვირაში. იკითხა, როგორ აპირებთ მასალების კითხვასო. ვუთხარი, ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ საჭიროა ყოველმა ჩვენგანმა ყველაფერი წავიკითხოთ მეთქი. „ეს თქვენ ერთხმად გადაწყვიტეთ?“ — „დიახ“. ვლადიმერ ილიას ძემ დაიწყო გამოანგარიშება, რამდენი დრო დარჩა ყრილობამ-

---

161 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 42, გვ. 727.

162 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 42, გვ. 558.

დე. როცა ვუთხარი, რომ ერთი თვე და 25 დღე დარჩა-მეთქი, მითხრა, ეს ვადა, შეიძლება ითქვას, საკმარისია, მაგრამ თუ დამატებით ცნობები დაგვჭირდა, შეიძლება არ გვეყოს, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მოსაზრებას, რომ კავკასიაში ჩასვლას უფრო მეტი დრო დასჭირდებაო. მკითხა, რამდენს მუშაობთ თითოეული თქვენგანიო, და თქვა, რომ, თუ გაგიჭირდათ, შეგიძლიათ მუშაობაში ჩააბათ ვოლოდიჩევა და შუშანიკ მანუჩარიანციო. შემდეგ მკითხა, ფორმალური ხომ არ არის თქვენი გადაწყვეტილება, რომ ყველამ ყველაფერი წაიკითხოთ. ვუპასუხე, რომ ეს გადაწყვეტილება არსად ჩაგვიწერია, და ვკითხე, ამის საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ-მეთქი. მითხრა, ცხადია, მინდა, რომ თქვენ ყველამ ყველაფერი წაიკითხოთ, მაგრამ ჩვენი კომისიის დავალებანი ხომ ფრიად გაურკვეველიაო. ერთი მხრივ, მას არ სურს მეტისმეტად გაგვსარჯოს, მაგრამ, მეორე მხრივ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მუშაობის დროს საჭირო გახდება ამ დავალებათა გაფართოება. შესაძლოა, დამატებითი მასალების მიღება მოგვიხდეს. იკითხა, სად ინახავთ მასალებს, როგორ სარგებლობთ, შეადგენთ თუ არა მთელი მასალების მოკლე კონსპექტს და გადაბეჭდავთ თუ არა მანქანაზეო („ხომ არ გაგიძნელდებათ ეს?"). დასასრულ, ვლადიმერ ილიას ძემ დაასკვნა, რომ უახლოესი კვირის მანძილზე გადავწყვეტთ, რამდენი დრო დაგვჭირდება და რა ფორმით დავამუშავებთ ამ მასალებს, ხოლო დამუშავების დროს ვიხელმძღვანელებთ იმით, რომ საჭირო იქნება ყველა მონაცემის ზოგადი მიმოხილვის შედგენა იმ საკითხებზე, რომლებიც კომისიამ დასახა, აგრეთვე იმ საკითხებზეც, რომლებსაც ვლადიმერ ილიას ძე მოგვაწვდის მუშაობის დროს".

„7 თებერვალი (ლ. ა. ფოტიევას ჩანაწერი).

გამომიძახა ვლადიმერ ილიას ძემ. მელაპარაკა 3 საკითხზე.

2) საქართველოს კომისიის შესახებ. მკითხა, რა მდგომარეობაშია მუშაობა, როდის დაამთავრებთ კითხვას, როდის შეიკრიბებითო და სხვ.".

„14 თებერვალი, საღამო (ლ. ა ფოტიევას ჩანაწერი). კვლავ

გამომიძახა. ლაპარაკი უჭირდა, ეტყობა, დაიღალა. ლაპარაკობდა კვლავ თავისი დავალების სამ პუნქტზე. განსაკუთრებით დაწვრილე-

ბით იმაზე, რაც მას ყველაზე მეტად აწუხებს, ე. ი. საქართველოს საკითხზე. გვთხოვა დაგვეჩქარებინა. მოგვცა ზოგიერთი მითითება".

ამ დღეს, გარდა აღნიშნულისა, ლ. ა. ფოტიევამ ჩაწერა ვ. ი. ლენინის შემდეგი მითითებანი: „გადაკვრით ვუთხრა სოლცს[163], რომ იგი (ვ. ი. ლენინი. — რედ.) დაჩაგრულის მხარეზეა. ვაგრძნობინო რომელიმე დაჩაგრულს, რომ იგი მათს მხარეზეა.

3. მომენტი: 1. არ შეიძლება ჩხუბი. 2. საჭიროა დათმობანი. 3. არ შეიძლება დიდი სახელმწიფო პატარას შევადაროთ.

იცოდა თუ არა სტალინმა? რატომ არ მოახდინა რეაგირება?

სახელწოდება „უკლონისტები" შოვინიზმისა და მენშევიზმისაკენ გადახრისათვის დიდმპყრობელთა სწორედ ამ გადახრას ამტკიცებს...[164]

ვ. ი. ლენინის ამ გამონათქვამებს კომენტარები თითქოს არ სჭირდება. აშკარაა, რომ ვ. ი. ლენინი იცავს ქართველ „ნაციონალ-უკლონისტებს „გარუსებულ უცხოტომელ" სტალინისა და ძერჟინსკისაგან, ის დარწმუნებულია, რომ ძერჟინსკის კომისია ზერელედ და სუბიექტურად მოეკიდა დაკისრებულ მოვალეობას, რითაც კომისიამ მძიმე შეცდომა დაუშვა. ამ შეცდომის გამოსწორება თვითონ მოიწადინა.

ჯერ კიდევ 1923 წლის 6 თებერვალს ი. ბ. სტალინმა თავისი თანაშემწის ა. ნაზარეტიანის მეშვეობით განკარგულება მისცა მ. ი. გლიასერს: დაუყოვნებლივ გააცანით ლენინს ცენტრალური კომიტეტის წერილი საგუბერნიო და საოლქო კომიტეტისადმი[165] 25 იანვარს პოლიტბიუროს მიერ ქართული საქმის გამო მიღებულ გადაწყვეტილებასთან, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციის შესახებ წერილთან დაკავშირებით.

როცა მ. ი. გლიასერმა შეახსენა, რომ ექიმები ნებას არ გვაძლევენ გავაცნოთ ვ. ი. ლენინს მიმდინარე საქმეები, ხოლო ზოგადი მოხსენება ვლადიმერ ილიას ძისათვის ძერჟინსკის კომისიის მასალების გამო მხოლოდ სამი კვირის შემდეგ იქნებაო მზად, ი. ბ. სტალინმა თქვა, შეიძლება დავიცადოთ, მაგრამ ქართული საქმის შესახებ ლენინის ინფორმირება საჭიროა აუცილებლად მხოლოდ აღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად[166].

---

163 ა. ა. სოლცი — რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის წევრი.

164 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 42, გვ. 560—566, 729.

165 ამ წერილის შინაარსს ჩვენ უკვე გავეცანით.

166 იხ. გაზ. „პრავდა", 1988 წლის 12 აგვისტო.

3 მარტს ვ. ი. ლენინმა მიიღო ნ. პ. გორბუნოვის, ლ. ა. ფოტიევასა და მ. ი. გლიასერის მოხსენებითი ბარათი და დასკვნა ქართული კონფლიქტის გამო კომისიის მასალების შესახებ. ისინი ისე იყო დაბეჭდილი, რომ ვ. ი. ლენინისთვის სამუშაო შეემსუბუქებინათ. ტექსტი დაყოფილია რამდენიმე დამოუკიდებელ კარად, მათი სახელწოდებანი განსაზღვრულია საკითხებით, რომლებიც ვ. ი. ლენინმა დასვა. დასკვნა მოცემულია ძირითადი ტექსტის მარჯვენა მხარეს, რომელიც დატოვებული იყო ამისათვის დიდ მინდორზე. დანართში არის მთელი რიგი დამატებითი დოკუმენტები, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ საქმესთან:

1. ლ. ა. ფოტიევას ბარათი იმის შესახებ, რომ ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში სოლცის ცნობის თანახმად, დაიკარგა ვ. ი. ლენინისათვის მის მიერ გამოთხოვილი ა. კობახიძის განცხადება.

2. განცხადების ნაცვლად, სოლცის რჩევით დართული იყო ა. ი. რიკოვის წერილის პირი, რომელიც მოწმე იყო თბილისში გ. კ. ორჯონიკიძის ბინაში მომხდარი ინციდენტისა. მართალია, რიკოვს არ გაუგია, თუ რა უთხრა ა. კობახიძემ ს. ორჯონიკიძეს, მაგრამ ამტკიცებდა: შეურაცხყოფას პირადი ხასიათი ჰქონდაო.

3. ნ. ო. ოკუჯავას წერილში აღწერილი იყო რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელთან კიდევ ერთი მეტად დაძაბული საუბრის ეპიზოდი.

4. კ. კაკაბაძის განცხადება იმის შესახებ, რომ ს. ორჯონიკიძე სთავაზობდა მას გაელაშქრა ბ. მდივნის წინააღმდეგ, რომელსაც „მედუქნეს" უწოდებდა.

5. არის ს. რ. ორჯონიკიძის ნამდვილი პირადი ახსნა-განმარტებანი, რომელიც უარყოფდა ყველა ბრალდებას, აცხადებდა მათ ფრაქციულობით წარმოშობილ სიცრუედ.

6. ვ. ი. ლენინის არყოფნის დროს, ცენტრალურ კომიტეტში განწყობილების შესახებ წარმოდგენას იძლეოდა გ. ე. ზინოვიევთან ლ. ა. ფოტიევას საუბრის ჩანაწერი:

„სერგო გათავხედდა, სტალინი კი იმის ნაცვლად, რომ იგი დაეშოშმინებინა, მხარს უჭერდა. სერგო 20 პროცენტით არის დამნაშავე. ...ცენტრალური კომიტეტის (იგულისხმება რკპ(ბ) ცენტრალური კო-

მიტეტი — ლ. თ.) ავტორიტეტი რომ არა, მახარაძეს უმრავლესობა ეყოლებოდა პარტიაში (იგულისხმება უმრავლესობა საქართველოს კომპარტიაში—ლ. თ.). ისახება კომპრომისი (სამისა სტალინთან). მათ ყრილობაზე (საქართველოს კომპარტიისა—ლ. თ.) გზავნიან ორ ავტორიტეტიან ამხანაგს—კუიბიშევს და ბუხარინს ან კამენევს. ორჯონიკიძის ხაზს არ ეთანხმებიან: ზინოვიევი, ტროცკი, ბუხარინი, კამენევი (მერყეობს). კომპრომისი — დააბრუნონ უკლონისტთა ნაწილი (წინათ საქართველოდან გამოწვეულნი — ლ. თ.).

ზინოვიევი — ორჯონიკიძე უნდა დავტოვოთ.

სტალინი —შეიძლება ერთი წლით გაიგზავნოს თურქესტანში".[167]

ვ. ი. ლენინის მორიგე მდივანთა დღიურში 1923 წლის 14 თებერვლიდან 5 მარტამდე ჩანაწერები არ არის. 5—6 მარტის ჩანაწერები კი მთლიანად „ქართულ საქმეს" ეხება.

1923 წლის 5 მარტს მ. ა. ვოლოდიჩევა დღიურში ჩაწერს: „ვლადიმერ ილიას ძეს გამომიძახა დაახლოებით 12-ზე. მთხოვა ჩამეწერა ორი წერილი: ერთი ტროცკისადმი, მეორე სტალინისადმი; პირველი პირადად გადამეცა ტელეფონით ტროცკისათვის და მეთქვა, რომ რაც შეიძლება მალე გამოეგზავნა პასუხი, მეორე მთხოვა ჯერჯერობით გადამედო, მითხრა დღეს რაღაც ცუდად გამომიდისო. თავს კარგად ვერ გრძნობდა".[168]

ტროცკისა და სტალინისადმი გაგზავნილ რომელ წერილებზეა საუბარი ამ ჩანაწერში? ლ. დ. ტროცკისადმი გაგზავნილი წერილი უშუალოდ ეხება „ქართულ ინციდენტს", „საქართველოს საკითხს". საქმე ისაა, რომ ამ დროისათვის ვ. ი. ლენინი უკვე იცნობდა ძერჟინსკის კომისიის მასალებს, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ქართველ „ნაციონალ-უკლონისტთა" მიმართ დაშვებულია შეცდომა. ცხადი გახდა ისიც, რომ მარტის დამდეგამდე დასახული რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მისი მონაწილეობა ავადმყოფობის გამო პრობლემატური იყო. სავარაუდოა, რომ ვ. ი. ლენინმა იცოდა ლ. დ. ტროცკის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი და ამიტომაც მი-

---

[167] გაზ. „პრავდა", 1988 წლის 12 აგვისტო.

[168] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 42, გვ. 566.

მართა მას სპეციალური წერილით, რომელშიც სთხოვდა, თავს ედო „საქართველოს საქმის“ დაცვა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. აი, ეს წერილიც:

„ლ. დ. ტროცკის

სრულიად საიდუმლოდ

პირადად

პატივცემულო ამხ. ტროცკი!

ძალიან გთხოვთ იკისროთ საქართველოს საქმის დაცვა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე. ამ საქმეს ახლა სტალინი და ძერჟინსკი „დევნიან“, და მე არ შემიძლია დავენდო მათს მიუკერძოებლობას. მთლად პირიქითაც კია. თქვენ რომ დათანხმდებოდეთ იკისროთ მისი დაცვა, მე შემეძლება გულდამშვიდებული ვიყო. თუ თქვენ რაიმე მიზეზით ვერ დათანხმდებით, დამიბრუნეთ მთელი საქმე. ამას ჩავთელი იმის ნიშნად, რომ თქვენ თანახმა არა ხართ.

უდიდესი ამხანაგური მოკითხვით ლენინი.

ნაკარნახევია ტელეფონით.

1923 წლის 5 მარტს“[169].

როგორც ითქვა, ვ. ი. ლენინის ეს წერილი ლ. დ. ტროცკის ტელეფონით წაუკითხა მ. ა. ვოლოდიჩევამ. მანვე ჩაიწერა მისი პასუხი, რომ ავადმყოფობის გამო არ შეუძლია იკისროს ასეთი ვალდებულება, მაგრამ ლ. დ. ტროცკიმ იქვე დასძინა, რომ რადგან სწრაფი გამოჯანმრთელების იმედი ჰქონდა, სთხოვდა „გაეგზავნათ მისთვის ეს მასალები (თუ ისინი ვინმეს არ სჭირდებოდა) გასაცნობად, და თუ ჯანმრთელობა ნებას მომცემს, მათ წაიკითხავს. გარდა ამისა, მ. ა. ვოლოდიჩევამ ჩაწერა: „თქვა, რომ დოკუმენტებს აბსოლუტურად არ იცნობს, რომ იგი ელაპარაკა მახარაძეს, მდივანს, მოუსმინა ორჯონიკიძეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, და თუ ოდნავ მაინც მერყეობდა, იგი დარწმუნდა, რომ ჩადენილი იყო დიდი შეცდომები“.

ახლა დავიმოწმოთ ლ. დ. ტროცკისა და მ. ი. გლიასერის საუბრის ტექსტი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის თებერვლის პლენუმის დროს;

---

169 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 45, გვ. 756 (ამ წერილისათვის დართულ ცალკე ფურცელზე მდივანს წაუწერია, „ამხანაგო ტროცკი! ვლადიმერ ილიას ძმ ითხოვა, წერილს, რომელიც თქვენ ტელეფონით გადმოგეცათ, თქვენ საყურადღებოდ დაეუმატოთ, რომ ამხ. კამენევი საქართველოში მიდის ორშაბათს, და გეთხოვს შეეტყოთ, ხომ არა გსურთ რაიმე გაგზავნოთ იქ თქვენი სახელით. 1923 წლის 5 მარტი).

„გლიასერი: ამხ. ტროცკი! თქვენ ეროვნულ საკითხზე კამათის დროს თქვით, რომ თუ გქონდათ ეჭვი ქართული კონფლიქტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს (მხედველობაშია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1923 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება — ლ. თ.). ახლა (კამათის დროს) განგიმტკიცდათ აზრი, რომ ეს გადაწყვეტილება მცდარი იყო და ორჯონიკიძის ხაზი კავკასიაში არასწორი. სწორად გაგიგეთ თუ არა?

ტროცკი: მთლად არ მესმის, რატომ სვამთ ამ კითხვას: განა აქ იწერება კამათის ოქმი? ვთქვი დაახლოებით შემდეგი რამ: თუ რაიმე ეჭვი მეპარებოდა ორჯონიკიძის პოლიტიკისა და პოლიტბიუროს გადაწყვეტილების სისწორეში, ახლა ეს ეჭვი ასკეცად გამიძლიერდა (ორჯონიკიძის სიტყვის შემდეგ)“.[170]

როგორც ვხედავთ, ლ. დ. ტროცკის საკმაოდ გამოკვეთილი პოზიცია ჰქონია „ქართული საქმის“ მიმართ. ამიტომ, ბუნებრივად ჩანს, რომ ვ. ი. ლენინმა სწორედ მას სთხოვა „ქართული საქმის“ დაცვა.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის საცნობარო აპარატში მითითებულია იმ მიზეზებზე, რომელთა გამო ლ. დ. ტროცკიმ ვერ მოახერხა ვ. ი. ლენინის თხოვნის შესრულება. ამავე საკითხთან დაკავშირებით. გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მომენტი, რომლის შესახებ ლ. დ. ტროცკი ლაპარაკობს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრებისა და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სახელზე 1923 წლის 24 ოქტომბერს გაგზავნილ წერილში, რომელშიც მოთხრობილია იმის თაობაზე, თუ რა შესთავაზა ლ. დ. ტროცკიმ ვ. ი. ლენინს, როცა მისი 1923 წლის 5 მარტის ჩვენთვის უკვე ცნობილი წერილი მიიღო და რა პასუხი მიიღო მისგან.

«Когда я предложил т. Ленину через его секретаря (т. Ленин тогда уже был тяжко болен и ему были запрещены личные свидания) показать эту его записку и его статью от 30 дек., присланную им мне в секретном порядке членам Политбюро, чтобы добиться перемены курса в национальном вопросе наименее безболезненным путем, т. Ленин формально запретил мне это с мотивировкой, которую я уже вынужден был однажды привести на заседании Президиума XII съезда.

---

[170] გაზ. „პრავდა“ 1988 წლის 12 აგვისტო,

«Ни в коем случае, — передал мне В. И. Ленин через секретаря, — Он (речь шла о т. Каменеве, который отправился в Грузию) расскажет все Сталину, а Сталин пойдет на гнилой компромисс и обманет»[171].

— წერს ლ. დ. ტროცკი. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

რაც შეეხება ვ. ი. ლენინის მიერ 1923 წლის 5 მარტს ნაკარნახევ წერილს ი. ბ. სტალინისადმი, მისი შინაარსი ასეთია:

(„ამხანაგ სტალინს

სრულიად საიდუმლოდ
პირადად,

პირი ამხ. კამენევსა და ამხ. ზინოვიევს

პატივცემულო ამხ. სტალინ!

თქვენ გამოიჩინეთ უხეშობა, ტელეფონთან გამოუძახეთ ჩემს ცოლს და გამოლანძღეთ იგი. თუმცა მან თანხმობა გამოგიცხადათ დაივიწყოს ნათქვამი, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს ფაქტი მისი მეშვეობით ცნობილი გახდა ზინოვიევისა და კამენევისათვის. მე არ ვაპირებ ასე იოლად დავივიწყო ის, რაც ჩადენილია ჩემს წინააღმდეგ, ხოლო მე რომ ჩემს წინააღმდეგ ჩადენილად მიმაჩნია ისიც, რაც ჩემი ცოლის წინააღმდეგ ჩაიდინეს, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ამიტომ გთხოვთ აწონ-დაწონოთ, თანახმა ხართ უკან წაიღოთ ნათქვამი და ბოდიში მოიხადოთ, თუ ამჯობინებთ გაწყვიტოთ ჩვენს შორის ურთიერთობა“.

23 წლის 5 მარტი

პატივისცემით ლ ე ნ ი ნ ი“.[172]

რამ აიძულა ვ. ი. ლენინი ეკარნახა ასეთი წერილი? საქმე ისაა, რომ მას საფუძვლად დაედო შემდეგი ფაქტი: მას შემდეგ, რაც ვ. ი. ლენინმა ექიმების თანხმობით, 1922 წლის 21 დეკემბერს ნ. კ. კრუპსკაიას უკარნახა წერილი ლ. დ. ტროცკისადმი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხზე, ი. ბ. სტალინმა, რომელსაც რპკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 18 დეკემბრის დადგენილებით, პერსონალური პასუხისმგებლობა ჰქონდა დაკისრებული, დაეცვა ექიმების მიერ ვ. ი. ლენინი-

---

[171] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 13, აღწ. 2, საქ. 560, ფურც. 38.

[172] В. И. Ленин, ПСС, ტ. 43. 329—330.

სათვის დაწესებული რეჟიმი, გალანძღა ნ. კ. კრუპსკაია და საკონტროლო კომისიითაც დაემუქრა მას იმის გამო, რომ მან (ნ. კ. კრუპსკაიამ) ვ. ი. ლენინის კარნახით ჩაიწერა ზემოაღნიშნული წერილი. ამასთან დაკავშირებით ნ. კ. კრუპსკაიამ 1922 წლის 23 დეკემბერს ლ. ბ. კამენევს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი: «Лев Борисович, по поводу коротенького письма, написанного мною под диктовку Влад. Ильича с разрешения врачей. Сталин позволил себе вчера по отношению ко мне грубейшую выходку. Я в партии не один день. За все 30 лет я не слышала ни от одного товарища ни одного грубого слова, интересы партии и Ильича мне не менее дороги, чем Сталину. Сейчас мне нужен максимум самообладания. О чем можно и о чем нельзя говорить с Ильичем, я знаю лучше всякого врача, т. к. знаю, что его волнует, что нет, и во всяком случае лучше Сталина». ნ. კ. კრუპსკაია ითხოვდა დაეცვათ იგი «от грубого вмешательства в личную жизнь, недостойной брани и угроз».

«В единогласном решении Контрольной Комссии, которой позволяет себе грозить Сталин, я не сомневаюсь, но у меня нет ни сил, ни времени, которые я могла бы тратить на эту глупую склоку. Я тоже живая и нервы напряжены у меня до крайности. Н. Крупская»[173].

ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის (მეხუთე გამოცემის) 54-ე ტომის რედაქტორის აზრით, ნ. კ. კრუპსკაიამ ყოველივე ამის შესახებ მოუთხრო ვ. ი. ლენინს 1923 წლის მარტის დამდეგს, რასაც მოჰყვა მისი 1923 წლის 5 მარტის ზემოციტირებული წერილი ი. ბ. სტალინისადმი.[174]

როგორც ვ. ი. ლენინის და მ. ი. ულიანოვა წერდა მოგვიანებით, კერძოდ, 1926 წელს, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმისადმი გაგზავნილ წერილში, ი. ბ. სტალინმა ბოდიში მოიხადა[175].

თვით მ. ა. ვოლოდიჩევა, რომელსაც ვ. ი. ლენინმა 1923 წლის 5 მარტს უკარნახა ი. ბ. სტალინისათვის გადასაცემი ტექსტი, ასე აგვიწერს ი. ბ. სტალინის მიერ ამ წერილის გაცნობის მომენტს: «Сталин прочел письмо стоя, лицо его оставалось спокойным. Отчеканивая каждое слово, он сказал:

173 В. И. Ленин. ПСС, т. 54, გვ. 674—675.

174 იხ: იქვე, გვ. 675.

175 იქვე.

— Это говорит не Ленин, это говорит его болезнь... Тут же Сталин продиктовал короткий ответ Владимиру Ильичу, в котором, в частности, говорилось: «Если бы моя жена поступила неправильно, и Вы должны были бы ее наказать, то я не счел бы себя вправе вмешиваться. Но поскольку Вы настаиваете, — я готов извиниться перед Надеждой Константиновной»[176].

აი, ასეთი ბოდიში მოუხადა ნ. კ. კრუპსკაიას ი. ბ. სტალინმა იგი ვ. ი. ლენინსაც გადაწვდა. ამ კერძო შემთხვევაში იქნებ არცთუ უსაფუძვლოდ...

ვ. ი. ლენინის ეპისტოლური მემკვიდრეობა წყდება 1923 წლის 6 მარტს. ამ დღეს მან უკანასკნელი წერილი უკარნახა მორიგე მდივანს. იგი მთლიანად „ქართულ საქმესა“ და ძერჟინსკის კომისიის მუშაობის შედეგებს ეხებოდა.

„სრულიად საიდუმლოდ

ამხ. მდივანს, ამხ. მახარაძეს და სხვ.

პირი — ამხ. ტროცკისა და ამხ. კამენევს

პატივცემულო ამხანაგებო!

სულითა და გულით თვალყურს ვადევნებ თქვენს საქმეს. აღშფოთებული ვარ ორჯონიკიძის უხეშობით და იმით, რომ მას მფარველობენ სტალინი და ძერჟინსკი. ვამზადებ თქვენთვის ბარათებსა და სიტყვას.

პატივისცემით ლენინი

23 წლის 6 მარტი“[177]

ეს წერილი მრავალ მხრივ იპყრობს ყურადღებას: 1) იგი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ვ. ი. ლენინი მხარს უჭერდა ქართველ „ნაციონალ-უკლონისტებს“. 2) ვ. ი. ლენინი ამ ბარათის ასლს უგზავნის ლ. დ. ტროცკისა და ლ. ბ. კამენევს, რომელნიც აგრეთვე არ იწონებდნენ გ. კ. ორჯონიკიძის პოლიტიკას ამიერკავკასიაში. 3) ვ. ი. ლენინი ქართველი „ნაციონალ-უკლონისტების“ დასაცავად სიტყვას ამზადებდა.

---

176 გაზ. «Советская культура», 21 января 1989 г. იხ. წერილი: г. Волкова (Стенографистка Ильича).

177 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 757—758.

ვიმეორებთ, ეს წერილი უკანასკნელი დოკუმენტია, რომელიც ვ. ი. ლენინმა უკარნახა.

ვ. ი. ლენინმა ვერ შეძლო მოემზადებინა წერილი და სიტყვა „საქართველოს საკითხზე". 10 მარტს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა.

ვ. ი. ლენინის პ. (ბ) გ. მდივნისა და ფ. ე. მახარაძისადმი 6 მარტს საიდუმლოდ გაგზავნილი წერილი ი. ბ. სტალინისათვის მაშინვე გამხდარა ცნობილი. ამის თაობაზე 1923 წლის 7 მარტს ი. ბ. სტალინი გ. კ ორჯონიკიძეს სწერდა:

«Дорогой Серго! Я узнал от т. Каменева, что Ильич посылает тт. Махарадзе и другим письмецо, где он солидаризируется с уклонистами и ругает тебя, т. Дзержинского и меня. Видимо, имеется цель надавить на волю съезда Компартии Грузии в пользу уклонистов. Нечего и говорить, что уклонисты, получив это письмецо, используют его вовсю против Заккрайкома, особенно против тебя и т. Мясникова. Мой совет: 1. Никакого давления не делать Заккрайкому на волю большинства Компартии Грузии, дать этой воле, наконец, полностью проявиться, какова бы она ни была; 2. Добиться компромисса, но такого компромисса, который может быть проведен без грубого воздействия на большинство ответственных работников Грузии, т .е. компромисса естественного, добровольного...»[178]

ი. ბ. სტალინის ეს წერილი მიგვანიშნებს, რომ:

1. ი. ბ. სტალინისათვის არ არის უცნობი ვ. ი. ლენინის „საიდუმლო ქმედებანი."
2. ი. ბ. სტალინი აღიარებს, რომ ვ. ი. ლენინი თავის „პისმეცოში" სოლიდარობას უცხადებს ქართველ „ნაციონალ-უკლონისტებს".
3. ი. ბ. სტალინს დიდად არ აღელვებს ვ. ი. ლენინის ეს წერილი, რომელიც ფ. ე. ძერჟინსკის, გ. კ. ორჯონიკიძისა თვით მის წინააღმდეგ არის მიმართული და გეგმას უსახავს გ. კ. ორჯონიკიძეს, როგორ უნდა მიაღწიოს გამარჯვებას საქართველოს კომპარტიის III ყრილობაზე.

---

[178] ციტ.: ს. ვ. ხარმანდარიანის დასახ. წიგნის მიხედვით. გვ. 398.

4. ი. ბ. სტალინი ანგარიშს აღარ უწევს ვ. ი. ლენინის აზრს და რუსული შოვინიზმის სამსახურში ჩამდგარ ქართველ კომუნისტთა უმრავლესობის იმედით, ვ. ი. ლენინისა და ქართველ „ნაციონალ-უკლონისტთა“ საწინააღმდეგო ღონისძიებებს სახავს.

ამრიგად, ძერჟინსკის კომისიამ არათუ ვერ ჩააცხრო ქართველ „ნაციონალ-უკლონისტთა“ და რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს შორის არსებული კონფლიქტი, არამედ კიდევ უფრო გაამწვავა იგი.

მალე საქართველოს ახალი კომისია მოევლინება ლ. ძ. კამენევისა და ვ. ვ. კუიბიშევის ხელმძღვანელობით.

მეხუთე თავი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია

20-იანი წლების პირველ ნახევარში, და შემდგომაც, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციას საქართველოში, რაც, თავისთავად ცხადია, უაღრესად რთული იყო, უმთავრესად, რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის მძიმე შედეგები განაპირობებდა. რუსის ჯარის მიერ ხელმეორედ დაპყრობილ ქართველ ხალხს 3 წლიანი თავისუფლება არ ეთმობოდა და იმედიც ჯერ კიდევ გადაწურული არ ჰქონდა. ამას ადასტურებს დამპყრობლის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის ახალ-ახალი გამოვლენები, რასაც ადგილი ჰქონდა ოკუპაციის პირველსავე წელს.

1921 წლის შემოდგომაზე აჯანყდა სვანეთი. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, რუსთა მცირე რაზმი განაიარაღეს და სვანეთში შემავალი გზები შეკრეს. მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა. სვანები შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდნენ წითელი არმიის ნაწილებს, რომლებიც რეგულარულად იგზავნებოდნენ სვანეთის აჯანყების ჩასაქრობად. წითელმა არმიამ სვანებთან ბრძოლაში დიდძალი მსხვერპლი განიცადა მოკლულთა და დაჭრილთა სახით.[1] აჯანყებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა მთელს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. მან გამოძახილი ევროპაშიც პოვა და უცხოეთის პრესაც აალაპარაკა.[2] აჯანყებული სვანეთი რეპრესიებისაგან ზამთარში დიდმა თოვლმა იხსნა, მაგრამ 1922 წლის გაზაფხულზე რუსის ჯარმა აჯანყებულთა წინააღმდეგ დამსჯელი ოპერაციები განახორციელა, რაც ცნობილი გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრანტული მთავრობისათვის, პირადად ნოე ჟორდანიასათვის.

---

[1] იხ. „თავისუფალი საქართველო", 1921 წლის 20 დეკემბერი, № 14, გვ. 19.

[2] იხ. ვლასა მგელაძე, რუსეთის მობრუნება საქართველოში, თბ., 1991, გვ. 37.

გენუის კონფერენციაზე[3] შვეციისა და შვეიცარიის დელეგატებმა 1922 წლის 21 აპრილს ბელგიის, საფრანგეთის, იაპონიის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, პოლონეთის და რუმინეთის დელეგატებს გააცნეს ნოე ჟორდანიას შემდეგი დეპეშა:

«Только что получил телеграмму, извещающую о военных операциях, которые ведутся в грузинских провинциях—Сванетия, Лечхуми и Рача войсками советского русского правительства. В то время, как 9-ая армия подвигается от Кавказа к Северу, 11-ая идет со стороны Кутаиси, окружая области, где народ, восставший в 1921 году, прогнал большевистских чиновников и восстановил демократическое правительство. Кровь льется в большей части в Западной Грузии. Положение в остальной части страны становится все более и более натянутым, можно опасаться самой серьезной катастрофы. От имени грузинского народа прошу вас обратиться к конференции с этим вопросом. Конференция могла бы положить конец пролитию крови, потребовав от русской делегации немедленного прекращения враждебных действий и применения к Грузии параграфа 6-го постановлений, выработанных в Каннах. Президент национального правительства Грузии Ной Жордания»[4].

ზემოჩამოთვლილ ქვეყანათა დელეგატებმა დაავალეს სხდომის თავმჯდომარეს შანცერს (კონფერენციის პირველი კომისიის თავმჯდომარე), რომ სქართველოში მომხდარი ამბების შესახებ ეცნობებინა გენუის კონფერენციაზე წარგზავნილ რუსეთის დელეგაციისათვის, რათა რუსეთის მთავრობას მიელო ზომები საქართველოში სისხლისღვრის შესაწყვეტად.

გენუის კონფერენციის თავმჯდომარემ ლ. ფაქტამ 1922 წლის 27 აპრილს ყოველივე ამის თაობაზე სპეციალური წერილი გაუგზავნა გენუის კონფერენციის პრველი კომისიის თავმჯდომარეს შანცერს, რომელმაც შემდეგ იგი გადასცა რუსეთის დელეგაციას, პირადად გიორგი ჩიჩერინს[5].

---

[3] გენუის კონფერენცია მიმდინარეობდა 1922 წლის აპრილ-მაისში. მისი მიზანი იყო ევროპის ეკონომიკური აღდგენის საშუალებათა გამონახვა. კონფერენციაზე მიწვეული იყო საბჭოთა რუსეთიც. ქართულ ისტორიოგრაფიაში გენუის კონფერენცია ერთ-ერთმა პირველმა გააშუქა პროფ. იოსებ ჩიქავამ. (იხ. მისი...

[4] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 13, აღწ. 1, საქ. 28. ფურც. 6.

[5] იქვე.

რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩიჩერინმა პასუხი არ დააყოვნა. 1922 წლის 20 აპრილს მან გენუის კონფერენციის პირველი კომისიის თავმჯდომარეს შანცერს საკმაოდ ვრცელი განმარტება მისცა. ჩიჩერინის საპასუხო წერილის მთლიანად დამოწმება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, მაგრამ იმის თქმა კი აუცილებელია, რომ იგი, ეს წერილი, არნახული ცინიზმის ნიმუშია. თურმე გენუის კონფერენციის დელეგატებს საერთოდ არ ჰქონდათ ამ საკითხზე მსჯელობის უფლება, სვანეთსა და სხვა ადგილებში თურმე არავითარი აჯანყება არ შომხდარა, საბჭოთა რუსეთს თურმე არც მე-9 და არც მე-11 არმია არ ჰყოლია და ყოველივე ეს „კერძო პირის" ნოე ჟორდანიას გამონაგონია[6].

გენუის კონფერენციაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი ოფიციალურად არ მიუწვევიათ. ეს განაპირობა საბჭოთა რუსეთის პოზიციამ, რომელსაც ევროპის სახელმწიფოები, სხვადასხვა მიზეზების გამო მაშინ მეტ ანგარიშს უწევდნენ. თუმცა ნოე ჟორდანიას მთავრობა და ქართული ემიგრაცია ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ გენუის კონფერენციაზე სათანადო ადგილი დაეჭირა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას.

ჯერ კიდევ 1922 წლის 5 თებერვალს ქ. პარიზში გ. ვეშაპელის თავმჯდომარეობით გაიმართა პარიზში მცხოვრებ ქართველთა კრება, რომელსაც საქართველოდან გახიზნული ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი დაესწრო. კრებამ განიხილა საკითხი გენუის კონფერენციაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლების დაშვების შესახებ. ამასთან დაკავშირებით იმსჯელეს საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გიორგი ჩიჩერინის ნოტის თაობაზე, რომელიც სწორედ ამ საკითხს ეხებოდა. სახალხო კომისარი დაუშვებლად მიიჩნევდა გენუის კონფერენციაზე ნოე ჟორდანიას მთავრობის წარმომადგენლის მოწვევას. მისი აზრით, გენუის კონფერენციას საერთოდ არ უნდა ემსჯელა საქართველოს საკითხზე, ხოლო რაც შეეხება მის წარმომადგენელს, ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ საბჭოთა საქართველოს მთავრობის მეთაური ბუდუ მდივანი, რომელიც შეყვანილი იყო საბჭოთა რუსეთის დელეგაციაში.

---

[6] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 13, აღწ. 1, საქ. 28, ფურც. 7—8.

ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა კრებამ მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამია:

1. გენუის კონფერენციის მიზანი — ზავი და ევროპის ეკონომიკური აღდგენა — აუცილებლად მოითხოვს კავკასიის ერთა ეროვნული უფლებების აღდგენას.

2. საქართველო, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს და დღეს იურიდიულად არის ცნობილი როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა, დაშვებულ უნდა იქნეს გენუის კონფერენციაზე.

3. „საქართველოს კომისარი" ბ-ნი ბუდუ მდივანი, რომელიც როგორც ჩიჩერინის ნოტაშია აღნიშნული, ჩარიცხულია რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დელეგატთა შორის გენუის კონფერენციაზე დასასწრებად, არის არა საქართველოს წარმომადგენელი, არამედ ბოლშევიკური რუსეთის აგენტი, როგორიც ის იყო წარსულ წელს მის ოფიციალურ წარმომადგენლად ანგორაში. მართლაც საბჭოთა კომისრები საქართველოში, რომელთაც მეთაურობს ბ-ნი მდივანი, წარმოადგენს მხოლოდ კომუნისტურ ორგანიზაციას, რომელიც შემოვიდა საქართველოში რუსეთის საბჭოთა ჯარებთან ერთად და დღევანდლამდე განაგებს ქართველ ხალხს, ამავე უცხო საოკუპაციო ჯარების საშუალებით. ქართველები იბრძვიან ბოლშევიკების წინააღმდეგ, რასაც ისიც ადასტურებს, რომ უკანასკნელ საბჭოთა არჩევნებს ყველა პოლიტიკურმა პარტიამ. (ს—დ. ს.—ფ., ეროვნ. დემოკრ. და სხვ.) საერთო ბოიკოტი გამოუცხადა. ბოლშევიკების ტირანიას მუშებმა გაფიცვით უპასუხეს, გლეხებმა — იარაღით ხელში.

4. საქართველოს ერთადერთ წარმომადგენლად გენუის კონფერენციაზე, როგორც ეს სწორად აღნიშნა საფრანგეთისა და ბელგიის წარმომადგენლებმა კანის კონფერენციაზე, შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ არჩეული მთავრობა ნოე ჟორდანიასი, რომელიც რუსის არმიის შემოსევის შემდეგ საზღვარგარეთ წამოვიდა და ამჟამად ქ. პარიზში იმყოფება, სადაც საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტიის თანხმობით ხელმძღვანელობს ქვეყნის განთავისუფლების საქმეს, რაც საშუალებას მისცემს საქართველოს, მიაღწიოს თავის ისტორიულ

მიზანს — სათანადო ადგილი დაიჭიროს ევროპის ხალხთა შორის[7]. მსგავსი კრება ქ. ბერლინის ქართველობამაც ჩაატარა და დადგენილებაც ანალოგიური მიიღო.

გაზეთმა „თავისუფალმა საქართველომ" (გამოდიოდა ქ. პარიზში 1921—192.. წწ.) რამდენიმე მასალა მიუძღვნა თემას „საქართველოს საკითხი გენუაში". ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, სტატია „გენუის კონფერენციაზე (საკუთარი კორესპონდენტისაგან)", რომელიც გაზეთის 1922 წლის 21 მაისის ნომერში დაიბეჭდა, ამცნობდა მკითხველებს: „სვანეთის აჯანყებამ და საზოგადოთ პოლიტიკურმა მოძრაობამ საქართველოში უკვე მიიქცია გენუის კონფერენციის ყურადღება". ავტორი ახასიათებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის საქმიანობას გენუის კონფერენციასთან დაკავშირებით. აღნიშნავს, რომ ნოე ჟორდანიამ ჯერ კიდევ პარიზიდან მიმართა დეპეშით გენუის კონფერენციის თავმჯდომარეს, დელეგაციათა მეთაურებს, რომელთაც სთხოვდა, მიეღოთ ზომები სვანეთში სისხლისღვრის შესაჩერებლად. შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია თვით გენუაში ჩავიდა და იქ გასწია ნაყოფიერი მუშაობა, როგორც დელეგაციებში, ისე პრესაში. „აქ არსებობს კონფერენციიდან გამოყოფილი ცალკე კომისია რუსეთის საქმეებისათვის, რომელსაც თავმჯდომარეობს იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრი შანცერი, ხოლო მონაწილეობას იღებენ გარდა იტალიისა, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, ბელგიის, შვეიცარიის, შვეციის, პოლონეთისა და რუმინეთის პირველი დელაგაციები. აი ამ კომისიაში შვეციის დელეგატმა და პრემიერმა ბრანტინგმა წაიკითხა ჩვენი თავმჯდომარის დეპეშა და დაიცვა იქ მოყვანილი აზრი. მას მხარი დაუჭირა შვეიცარიის დელეგატმა ბოტამ, ხოლო საფრანგეთის დელეგატმა ბარტუმ წინადადება შეიტანა მინდობოდა შანცერს, თავმჯდომარეს, ნაბიჯი გადაედგა რუსეთის დელეგაციის წინაშე. მას მხარი დაუჭირა ლლოიდ ჯორჯმაც. შანცერმა, თანახმად ამ მინდობილობისა, მისწერა ჩიჩერინს წერილი, სადაც მოყვანილია ჩვენი თავმჯდომარის დეპეშა და მოითხოვა შეეჩერებინა მას სისხლის ღვრა და რეპრესიები საქართველოში. ჩიჩერინი, როგორც გავიგეთ, ყოყმანობდა პირველად, მაგრამ როცა დაინახა პრესის ახმაურება

---

7 იხ.: „თავისუფალი საქართველო", 1922 წლის 20 ოქტომბერი, № 17, გვ. 12—13.

და მითქმა-მოთქმა თვით კონფერენციის წრეებში, იძულებული გახდა წერილობით გაეცა პასუხი შანცერისათვის" — აღნიშნავს სტატიის ავტორი. შემდეგ სტატიაში გადმოცემულია ჩიჩერინის ნოტის შინაარსი და დასაბუთებულია მისი უსუსურობა, იგრძნობა გარკვეული საყვედურიც გენუის კონფერენციის მონაწილე ევროპის სახელმწიფოთა მიმართ: „აქ ყველა დელეგატს ის აკერია ენაზე, რომ კონფერენცია ვერ შეეხება პოლიტიკურ კითხვებს, თუმცა, როგორც პრესიდან იცით, მხოლოდ ამ კითხვებს ანდომებენ აქ ყველაზე მეტ დროს. საქართველოს მოუწვევლობის ნამდვილი მიზეზი ის იყო, რომ ეს წმინდა პოლიტიკური კითხვა არისო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დელეგაცია არ ილებს კონფერენციაზე პირდაპირ მონაწილეობას, საქართველოს საკითხი ყველას თვალში ეჩხირება, როგორც უდიდესი ბოროტება მოსკოვის ბატონების მიერ ჩადენილი."[8]

საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანას, გენუის კონფერენციაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის მიწვევას და სხვა მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებს ეხებოდა აკაკი ჩხენკელის 1922 წლის 11 აპრილის მემორანდუმი, რომელიც გენუის კონფერენციას გადაეცა. საქართველოს დაპყრობა საბჭოთა ჯარებისაგან, ნათქვამია „მემორანდუმში", 1921 წლის თებერვალ-მარტში, როცა სრული სიმშვიდე იყო რუსეთსა და საქართველოს შორის, დაგმობილია მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მიერ. „ეს უხეში და სრულიად უსაბუთო შემოსევა მოახდინა იმ სახელმწიფომ, რომელიც ცდილობს ახლა გენუის კონფერენციაზე მიღებულ იქნას ევროპიელთა ოჯახში". რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა, რომ წინასწარ იყო მოფიქრებული, ამის უამრავი საბუთი არსებობს და მათი განმეორება ზედმეტი იქნებოდა, „მით უფრო, რომ კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებმა, რომელთაც წარმომადგენლები ჰყავდათ თფილისში შემოსევის დროს — კარგათ იციან საქმის ნამდვილი მსვლელობა... მიიღეს რა გენუაში თანამშრომლობის უმთავრეს პრინციპათ მეექვსე მუხლი კანნის პროგრამისა: „თავის შეკავება" ყოველგვარ ძალადობისაგან მეზობელ სახელმწიფოთა მიმართ „დიდი სახელმწიფონი მთელი კაცობრიობის აზრის წინაშე ვალდებულნი არიან გააუქმონ ის მდგომარეობა, რომელიც ფორმალურად (პირდაპირ) ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ პრინციპს". თუ გენუის კონფე-

---

8 „თავისუფალი საქართველო", 1922 წლის 21 მაისი, № 22, გვ. 2—3.

რენციას, რომელმაც უნდა აღადგინოს კეთილი განწყობილება ხალხთა შორის, სურს ერთგული იყოს მის მიერვე საზეიმოდ განცხადებულ პროგრამისა, მისი მოვალეობაა მოითხოვოს დაუყოვნებლივი ჯარის გაყვანა საქართველოდან, ოკუპაციის რეჟიმის მოსპობა და საქართველოს ხალხის თავისუფლების აღდგენა. დაბოლოს აკაკი ჩხენკელი მოითხოვდა: „... მოსკოვის მთავრობას, ისევე როგორც თბილისში ოკუპანტების მიერ დაყენებულ პირებს უარი ეთქვას საქართველოს წარმომადგენლობაზე. თუ კონფერენციაზე მსჯელობა იქნება პოლიტიკურ ან ეკონომიკურ საკითხებზე, რომელნიც ეხებიან საქართველოს, — უნდა მოუსმინოთ ლეგალურ წარმომადგენლობას. თუ კონფერენცია იცნობს მოსკოვს, როგორც რუსეთის ნამდვილ მთავრობას, საქართველოს ტერიტორია სრულიად გამოყოფილი უნდა იყოს რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებიდან".[9]

1922 წლის 3 მაისს კი იმავე აკაკი ჩხენკელმა გენუის კონფერენციის თავმჯდომარეს ლ. ფაქტას გადასცა ნოტა, რომელშიც ვკითხულობთ: „... საქართველოს მთავრობას პატივი აქვს სთხოვოს კონფერენციას:

1) „შეუვალობის" შეთანხმების პროექტის მიღების შემდეგ, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული აუცილებლობა იმ რეჟიმის მოსპობისა, რომელიც წარმოიშვა საქართველოს შელახვით 1921 წელს.

2) საბჭოთა მთავრობის ცნობა და მათი დაშვება ზემოაღნიშნული შეთანხმების ხელმოსაწერად უნდა დაკავშირებულ იყოს საქართველოს საკითხის მოწესრიგებასთან და

3) იშუამდგომლოს, რომ საქართველოს უფლება მიეცეს შემდეგ შეუერთდეს აღნიშნულ შეთანხმებას".[10]

გენუის კონფერენციას საქართველოდანაც გაეგზავნა მიმართვა, რომელიც ცნობილია საქაართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსის მემორანდუმის სახელით. მიმართვაში აღწერილი იყო ის უმძიმესი მდგომარეობა, რომელიც საქართველოში შეიქმნა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ და წამოყენებული იყო მოთხოვნა: «1. Чтобы русские оккупационные войска были немедленно удалены с территории Грузии и чтобы грузинское имущество было гарантировано от всякого насилия, принудительной оценки и чужеземного расхищения.

2. Чтобы грузинской нации была дана возможность сво-

---

[9] გაზ. „თავისუფალი საქართველო", 1922 წლის 21 მაისი, № 22, გვ. 4—5.
[10] იქვე, გვ. 5.

бодно организовать свою жизнь, так как она найдет нужным, укрепить те формы своего политического и социального существования, которые лучше других подойдут к ее духу, ее стремлениям, ее обычаям и ее национальной культуре.

Мы питаем твердую надежду, что высокочтимая конференция, поставившая себе задачей урегулировать величайшие проблемы человечества и восстановить в этом мире справедливость и свободу, не отвергнет существенные требования маленькой Грузии, изложенные нами здесь, и освободит ее от унизительного рабства и господства насилия, жертвой коего она является»[11].

კათალიკოს-პატრიარქის ამბროსის მემორანდუმის ამბავი, ბუნებრივია, ცნობილი გახდა თბილისში, რამაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სახკომსაბჭოსა და თვით საგანგებო კომისიის ყურადღება მიიპყრო. 1922 წლის 30 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად იმსჯელა კათალიკოს-პატრიარქის ამბროსის მიმართვის თაობაზე და გადაწყვიტეს შეესწავლათ ამ საქმესთან დაკავშირებული მასალები და გადაეწყვიტათ კათალიკოს-პატრიარქის ამბროსის „კანონიერ პასუხისგებაში“ მიცემის შესახებ[12]. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის სექტემბრის პლენუმმა კვლავ იმსჯელა კათალიკოს-პატრიარქის საკითხზე. იუსტიციის სახალხო კომისარიატმა მას ბრალი დასდო ანტისაბჭოთა საქმიანობასა და საეკლესიო ფასეულობათა გადამალვაში. პლენუმის დადგენილებით „ამბროსის საქმე გადაეცა საქართველოს უმაღლეს სასამართლოს“[13].

გენუის კონფერენციას სხვა დოკუმენტებიც გაეგზავნა. დელეგატთა ნაწილი თანაგრძნობასაც უცხადებდა ქართველ ხალხს, რომელსაც რეალურად არავინ დახმარებია. რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება ხელს არავის აძლევდა. არათუ საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანაზე, სვანეთში სისხლის ღვრის შეწყვეტაზეც ვერ იმოქმედა რეალურად გენუის კონფერენციამ.

ბოლშევიკურმა რეჟიმმა სვანეთის აჯანყება ძალით ჩააქრო. მაგ-

---

11 პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 13, აღწ. 1, საქ. 28, ფურც. 4 (დაიბეჭდა გენუაში გამომავალ გაზეთში „კაფარა“, 1922 წლის 5 მაისს).

12 იხ. პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 189, ფურც. 11.

13 იქვე, საქ. 490, ფურც. 1.

რამ ქართველ ხალხს ქედი არ მოუდრეკია. 1922 წლის ზაფხულში სვანეთის გზას ხევსურეთი დაადგა. ამ აჯანყებებმა კიდევ უფრო გაართულეს საქართველოს კომუნისტური პარტიის მდგომარეობა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის განსაზღვრისათვის აუცილებელია გავაანალიზოთ საქართველოში იმ დროს მოქმედი ყველა პოლიტიკური პარტიის საქმიანობა, მათი დამოკიდებულება რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებისადმი. საქმე ის არის, რომ ძალდატანებითი გასაბჭოების მომენტისათვის საქართველოში მმართველი კომუნისტური პარტიის გარდა, რამდენიმე ანტისაბჭოთა პარტია მოქმედებდა. ესენია: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (მენშევიკების პარტია), საქართველოს გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები ანუ „სხიველები", სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირი. ზოგიერთ პარტიას თავისი ახალგაზრდული ორგანიზაციაც ჰყავდა: „ახალგაზრდა მარქსისტები", „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატები", „ახალგაზრდა ფედერალისტები". საქართველოში იმ დროს მოქმედებდნენ აგრეთვე სომხური ეროვნული ორგანიზაცია „ჰნჩაკ", დაშნაკური „მიუციუნ", „ახალგაზრდა დაშნაკთა ორგანიზაცია", „ებრაულ ახალგაზრდათა ორგანიზაცია" და სხვ.[14] წინასწარ უნდა ითქვას, რომ მმართველი კომუნისტური პარტია მაშინ ქართველი ერის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის ნებას გამოხატავდა. ერის უმეტესი და საუკეთესო ნაწილი არაკომუნისტურ პარტიებში იყო გაერთიანებული.[15] სწორედ ეს მეტნაკლებად ძლიერი პარტიული წრეები უქმნიდნენ საქართველოს კომუნისტურ პარტიას პრობლემებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მართალია, არაკომუნისტურ პარტიათა გავლენიანი წრეების ნაწილი საქართველოში რუსის ჯარის შემოსვლის შემდეგ საზ-

---

[14] იხ. ნ. გ. ჯ ო რ ჯ ი კ ი ა, საქართველოს სოციალისტური პარტიები 1921—1925 წლებში. სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერი). თბ., 1992, გვ. 1—2. (ნაშრომი ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში). ნ. ჯორჯიკიას გამოკვლევაში თითქმის ამომწურავად და ობიექტურად არის გაშუქებული საქართველოს სოციალისტური პარტიების საქმიანობა 1921—25 წლებში და მისი მონაცემები გამოყენებული იქნება წინამდებარე ნაშრომში.

[15] ი ქ ვ ე.

ღვარგარეთ წავიდა და იქ ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მაგრამ ადგილზეც ბევრი დარჩა და ხელისუფლების მხრიდან თანდათან, მზარდი რეპრესიების მიუხედავად, ლეგალური თუ არალეგალური ანტისაბჭოთა საქმიანობის ფართო ასპარეზიც გაიჩინეს. თავდაპირველად ისინი მოქმედების ტაქტიკის განსაზღვრას შეუდგნენ. ამისათვის აუცილებელი იყო პოლიტიკური შეფასება მიეცათ საბჭოთა საქართველოში მიმდინარე პროცესებისათვის, უწინარეს ყოვლისა — რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შედეგად საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოებისათვის.

საქართველოს საბჭოთა მთავრობასაც, ბუნებრივია, აინტერესებდა მტრულ პოლიტიკურ პარტიათა პოზიციების დაფიქსირება. სწორედ ამის მიხედვით შეიმუშავებდა იგი თავის ტაქტიკასაც. თუ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა პოლიტიკური პარტიებისაგან იმის გარანტიას მიიღებდნენ, რომ ისინი ლოიალობას გამოიჩენდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, მაშინ, უნდა ვიგულისხმოთ, ამ პარტიების წინააღმდეგ რეპრესიების განხორციელებასაც საჭიროდ არ მიიჩნევდნენ. გარკვეული დოკუმენტების საფუძველზე შეიძლება ისიც კი ვიფიქროთ, რომ საბჭოთა მთავრობამ სცადა კიდეც მტრული პოლიტიკური პარტიების შემორიგება. გავიხსენოთ საქართველოს რევკომის 1921 წლის 25 თებერვლის დეკრეტი ამნისტიის შესახებ, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საქართველოს სსრ მთავრობა მოკლებულია შურისძიების გრძნობას თავისი ყოფილი მოწინააღმდეგეების მიმართ. 1921 წლის 12 მარტს კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შესაძლებლად მიიჩნია რევოლუციური კომიტეტის შემადგენლობაში შეეყვანათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ყოფილი წევრები, თუ მენშევიკური ან სხვა პოლიტიკური პარტიები ოფიციალურად აღიარებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას.[16]

თუმცა საბჭოთა მთავრობამ კარგად იცოდა, რომ მენშევიკები, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები, რომელნიც ვერ შეურიგდებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, ამ წინადადებას არ მიიღებდნენ. გარდა ამისა, ცნობილია საბჭოთა მთავრობის სხვა აქციები, რომლებიც ადასტურებენ მის შეურიგებლობას არაკომუნისტური ორგანიზაციებისადმი. ამის შესახებ იწერებოდა ოფი-

---

16 იხ. პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 4.

ციალურ პრესაშიც. არაკომუნისტურ ორგანიზაციებთან ურთიერთობას უპერსპექტივოდ მიიჩნევდა, მაგალითად, გაზეთი „კომუნისტი". 1921 წლის 1 აპრილის მოწინავეში იგი წერდა, რომ არ შეიძლება არსებობდეს მოწინააღმდეგე პარტიებთან ურთიერთობის სხვა ფორმა, გარდა „მათთან დაუნდობელი სამკვდრო-სასიცოცხლო ომის წარმოებისა მომავალში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წარსულში".

ამას მოჰყვა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დადგენილება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „სცნობს რა საჭიროდ ძირიანად აღმოფხვრას ყოველგვარი კონტრრევოლუციური მოქმედება, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი საყოველთაოდ აცხადებს, რომ მუშათა და გლეხთა მთავრობა იძულებული იქნება მიმართოს რეპრესიებს იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც შენიშნულ იქნებიან მშრომელთა გარშემო ისეთი მავნებელი ატმოსფეროს შექმნაში, რომელსაც უარყოფითი გავლენა აქვს საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის ყველა მიზნის განხორციელებაზე".[17]

საქართველოს საგანგებო კომისიამ 1921 წლის 15 აპრილს გამოსცა ბრძანება, რომელშიც „მე-3 კომუნისტური ინტერნაციონალის ნიადაგზე არმდგომ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების საყურადღებოდ განაცხადა, რომ „ყოველნაირი კრება, თათბირი, სხდომა და სხვა ამგვარი თბილისში შეიძლება გაიმართოს საქართველოს საგანგებო კომისიის ნებართვით, ხოლო გუბერნიებში სათანადო რევკომის ან საგანგებო კომისიის განყოფილების პოლიტიკური ბიუროს მიერ და ამიტომ ნებართვის მისაღებად საჭიროა რამდენიმე დღით ადრე, არა უგვიანეს სამი დღისა შეტანილ იქნას წერილობითი განცხადება და უნდა აღინიშნოს: 1. ვინ მართავს კრებას, თათბირს; 2. კრების განსახილველი საგნები; 3. ადგილი კრებისა. 4. დრო კრებისა. ყველა კრებები, თათბირები და სხვა ამგვარი ზემოაღნიშნული ორგანოების ნებადაურთველად გამართულნი, გაუფრთხილებლად დაშლილ იქნება, ხოლო მათი ინიციატორები დატუსაღებულნი და სამართალში მიცემულნი, როგორც არსებული წესწყობილების წინააღმდეგ შეთქმულნი".[18]

ამრიგად, საბჭოთა სინამდვილე ფაქტობრივად ფიქციად აქცევდა საქართველოს რევკომის მიერ 1921 წლის 25 თებერვალს გამოცხადებულ ამნისტიას. ამას კარგად გრძნობდნენ ანტისაბჭოთა პარტიები,

---

[17] გაზ. „კომუნისტი", 1921 წლის 6 აპრილი.

[18] გაზ. „კომუნისტი", 1921 წლის 19 აპრილი.

რომელნიც ახალი ვითარების შესაბამის სამოქმედო ხაზს სახავდნენ. ზოგიერთი მათგანი უკიდურესი რადიკალიზმის გზას დააღგ›, ზოგიერთმა კი გარკვეული პირობებით საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობაც სცადა.[19]

საქართველოს კომუნისტური პარტიის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა შორის ყველაზე ძლიერი და მრავალრიცხოვანი მენშევიკური პარტია იყო. მისი ბევრი წევრი, საქართველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებით, საზღვარგარეთ გაიხიზნა. დარჩენილები კი დაუმორჩილებლობას აცხადებდნენ და საბოლოო ჯამში საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის გზას დაადგნენ. 1921 წლის 10 აპრილს ამ პარტიამ თბილისში 3 000-მდე თავისი წარმომადგენელი შეკრიბა. აქ იყვნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და თბილისის მაზრის კომიტეტების წევრები. მენშევიკთა ეს თათბირი საბჭოთა ხელისუფლების მიერ ნებადართული იყო. უნდა ითქვას, რომ ამ თათბირის გადაწყვეტილება არ შეიძლება რადიკალურად მივიჩნიოთ. ამას მოწმობს მისი რეზოლუცია „მიმდინარე მომენტი და სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა", რომელშიც სწორი, ობიექტური შეფასება აქვს მიცემული საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას. თათბირმა მკაცრად დაგმო საქართველოს ოკუპაცია. ამასთან, პარტიის სახელით თათბირმა განაცხადა, რომ მას მიუღებლად მიაჩნია შეთქმულებითი მეთოდები, ის დგას იდეურ-ლეგალური მოღვაწეობის ნიადაგზე და გადაჭრით აფრთხილებს თავის თანამგრძნობთ და მთელ ხალხს, თავი შეიკავონ შეიარაღებული გამოსვლებისაგან, პარტია მხურვალე მონაწილეობას მიიღებს ყოველგვარ თავისუფალ არჩევნებში და რომ იგი „ახლავე მიიღებს მონაწილეობას ყოველგვარ კულტურულ-ეკონომიკურ-საალმშენებლო მუშაობაში და მოუწოდებს ამხანაგებს და თანამგრძნობთ, უარყონ საბოტაჟი". თუ ეს სიტყვები გულწრფელად იყო ნათქვამი, მაშინ აშკარაა, რომ მენშევიკებს საბჭოთა ხელისუფლებასთან გარკვეული კულტურული და ეკონომიკური თანამშრომლობის სურვილიც გამოუთქვამთ. თათბირის რეზოლუციაში დამოწმებულია საქართველოს რევკომის, მისი პასუხისმგებელი წარმომადგენლების განცხადებები იმის შესახებ, რომ საქართველოს რევკომი დგას საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე, ის საჩქაროდ შექმნის საქართველოს

---

[19] იხ.: ნ. ჯორჯიკიას დასახ. ნაშრ., გვ. 8, 25.

წითელ არმიას, უახლოეს მომავალში მშრომელ მასას მისცემს თავისუფალი არჩევნების უფლებას, საბჭოთა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას ადგილობრივ პირობებს შეუფარდებს, სოციალისტურ პარტიებს ლეგალური საქმიანობის შესაძლებლობას მისცემს და ა. შ. მენშევიკური პარტიის „პოლიტიკური ხაზი, — აღნიშნულია რეზოლუციაში, — ახალ პირობებშიაც საერთოდ იგივე რჩება, როგორიც წინათ იყო... „დემოკრატიის გზით სოციალიზმისაკენ". საქართველოს დამოუკიდებლობა პარტიას კვლავაც მიაჩნია თავისი მოღვაწეობის ერთ-ერთ საფუძვლად".[20]

1921 წლის აპრილში, ცოტა მოგვიანებითაც, ასეთი რამის დაწერისათვის არ სჯიდნენ. თანაც დამოუკიდებელი საქართველოს დეკლარირებას მაშინ კომუნისტებიც არ ერიდებოდნენ. მიუხედავად ამისა, თათბირის რეზოლუციამ საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უკმაყოფილება გამოიწვია. „იქიდან გამომდინარე, რომ მენშევიკური რეზოლუცია და მენშევიკთა მთელი საქმიანობა ახლანდელ მომენტში მოწმობს მათ აშკარა მტრულ დამოკიდებულებას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ცკ აუცილებლად სთვლის ყველა საჭირო ზომების მიღებას მენშევიკთა საქმიანობის დეზორგანიზებისა და პარალიზებისათვის".[21]

სოციალ-დემოკრატები საბჭოთა მთავრობისაგან პარტიული ქონების დაბრუნებასა და პერიოდული გამოცემების ნებართვას ითხოვდნენ. ამ საკითხებზე რამდენიმეჯერ იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. 1921 წლის 22 აპრილს მან უარყო მენშევიკების მოთხოვნა.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს 1921 წლის 2 მაისის დადგენილება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მენშევიკებისათვის გაზეთების გამოცემისა და კრებების ჩატარების უფლების საკითხები შეიძლებოდა დადებითად გადაჭრილიყო მას შემდეგ, რაც სოციალ-დემოკრატები საქართველოს რევკომს წარუდგენდნენ დეკლარაციას, რომელშიც ხაზგასმით იქნებოდა აღნიშნული, რომ საბჭოთა ხელისუფლება ერთადერთი გზაა სოციალიზმისა და კომუნიზმისაკენ, მათ კატე-

---

20 გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი, 1921 წლის 17 აპრილი.

21 პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 5, ფ.12.

გორიული უარი უნდა ეთქვათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ყოველგვარ შეიარაღებულ გამოსვლასა და საქართველოში დასავლეთ ევროპის რაიმე ინტერვენციაზე.[22]

სოციალ-დემოკრატებმა ასეთი დეკლარაცია არ წარუდგინეს საბჭოთა მთავრობას, რამაც ფართო საფუძველი შექმნა მათ შორის დაპირისპირების გაძლიერებისათვის. საბჭოთა მთავრობას საქმეს ურთულებდა ისიც, რომ I-I ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა ქართველ მენშევიკთა 1921 წლის 10 აპრილის რეზოლუციას და გადაწყვიტა „დაიკავოს ურთიერთობა საბჭოთა მთავრობასთან ამ რეზოლუციაში დასახული მიზნის მისაღწევად".[23]

1921 წლის იანვრიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ფაქტობრივად გამოეყვნენ დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები ანუ „სხიველები". 13 თებერვალს მათ გამოაქვეყნეს დეკლარაცია დამფუძნებელ კრებაში დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის შექმნის შესახებ. ახალ ვითარებასთან დაკავშირებით, თავიანთი პოზიციები „სხიველებმა" გამოხატეს 1921 წლის 3 აპრილის საორგანიზაციო კრებაზე (კრებას თავმჯდომარეობდა მუხრან ხოჯოლავა, მომხსენებელი მიმდინარე მომენტის შესახებ — კირილე ნინიძე). „სხიველთა" კრებამ გამოთქვა საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, კერძოდ, არჩევით ორგანოებში მონაწილეობის სურვილი.

საქართველოში შექმნილ ახალ ვითარებასთან დაკავშირებით, თავისი პოზიცია ჰქონდა, ბუნებრივია, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიას. აღსანიშნავია, რომ მისმა ერთმა ჯგუფმა საქართველოს გასაბჭოებისთანავე აუცილებლად მიიჩნია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა. ამ მიზნით მან მიმართა საქართველოს რევკომს, რომელსაც სთხოვდა სოციალისტ-ფედერალისტთა წარმომადგენელი შეეყვანათ მთავრობის შემადგენლობაში და გაეგზავნათ დელეგაცია ყოფილ მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. საქართველოს რევკომმა, ცხადია, უყურადღებოდ არ დატოვა სოციალისტ-ფედერალისტების თხოვნა. რევკომის 27 თებერვლის დადგენილებით, სოციალისტ-ფედერალისტთა თხოვნა დაკმა-

---

22 პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 5, ფურც. 18.

23 გაზ. „კომუნისტი", 1921 წლის 14 აგვისტო.

ყოფილებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი ცნობდნენ არსებულ ხელისუფლებას და საბჭოთა სისტემას.

ამ დროს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში კრიზისი დაიწყო. პარტიის მთავარ ბიუროში შედგა კრება, რომელმაც შექმნა პარტიის დროებითი მთავარი კომიტეტი. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს შალვა ნუცუბიძე, ამხანაგად — თედო ღლონტი. ეს დროებითი კომიტეტი „მემარცხენეთაგან" შემდგარი ორგანო იყო. იგი არ გამოხატავდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტისა და პარტიული მასის აზრს. ეს კარგად გამოჩნდა 1921 წლის 28 მარტის გაერთიანებულ კრებაზე. მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენების გარშემო გამართული ხანგრძლიეი კამათის შემდეგ, დროებითმა მთავარმა კომიტეტმა და მთავარმა კომიტეტმა თავ-თავიანთი რეზოლუციები წარმოადგინეს. კრების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა დროებითი მთავარი კომიტეტის რეზოლუციას, რომელშიც ნათქვამია: მთავარი საბაბი მომხდარი ომისა იყო ორიენტაციის საკითხი და ამ ომს ქართველი ხალხის თვალში ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვის ხასიათი ჰქონდა, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოში ამა თუ იმ სახელმწიფოსთან კავშირის საკითხი შეიძლება დაისვას და გადაიჭრას მხოლოდ საქართველოს მშრომელთა წარმომადგენლობითი სუვერენული ორგანოს მიერ. კრებამ დაადგინა: „1. აღიაროს მომხდარი გადაჭრა ორიენტაციის საკითხისა, როგორც ფაქტი ქართველ მშრომელთა სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა. 2. უარყოს ამ ფაქტის წინააღმდეგ მიმართული ინტერვენციის პოლიტიკა და სხვა რაიმე სახის მილიტარული ნაბიჯები; 3. აღიაროს საბჭოთა სისტემა როგორც ფორმა ქართველ მშრომელთა ეროვნული სუვერენობის და პოლიტიკური ბატონობის განმტკიცებისა; 4. დარაჯად დაუდგეს საბჭოთა სისტემის ნიადაგზე ქართველ მშრომელთა მიერ ეროვნულ თვითგამორკვევას უკვე აღიარებული დამოუკიდებლობის უფლებრივი და შეურყეველი დაცვით; 5. მიიღოს ყოველგვარი მონაწილეობა პოლიტიკურ-ეკონომიკურ აღმშენებლობაში საქართველოს ეკონომიურ პირობებთან შეგუებით და აქტუალური სოციალიზმის გეგმების ცხოვრებაში სრული გატარებით; 6. მხარი დაუჭიროს კომუნისტურ მთავრობას, რამდენადაც ზემოთ აღნიშნული პრინციპები თანამშრომლობის რეალურ საფუძვლად იქცევა და პრაქტიკულ პოლიტიკაში თანდათანობით გატარდება".[24]

---

[24] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წლის 1 აპრილი.

ეს რეზოლუცია ნამდვილად არ გამოიწვევდა საბჭოთა მთავრობის უკმაყოფილებას. მაგრამ ეს ხომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთი ნაწილის აზრი იყო. პარტიის მეორე ნაწილს თავისი აზრი ჰქონდა. 1921 წლის 5 ივნისს გაიმართა სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მეექვსე კონფერენცია, რომელმაც პარტიის მთავარი კომიტეტის რეზოლუცია მიიღო. იგი არ ეთანხმებოდა დროებითი მთავარი კომიტეტის აზრს. რეზოლუციაში ვკითხულობთ: ქართველი ერის სურვილის მიუხედავად, დამოუკიდებლობის მესამე წელს მაინც მოხდა შეიარაღებული შეტაკება საბჭოთა რუსეთის ჯარებთან, რის შედეგადაც საქართველო იმყოფება საოკუპაციო მდგომარეობაში, მიუხედავად ასეთი ღრმა ცვლილებებისა, საქართველოს ფაქტობრივ მდგომარეობაში, საერთაშორისო უფლებრივი თვალსაზრისით საქართველო კვლავ სუვერენული დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რასაც თავის დეკლარაციაში არ უარყოფს არსებული საბჭოთა ხელისუფლებაც; საქართველოს მდგომარეობა საერთოდ და მისი ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან, მათ შორის რუსეთთან, არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნას საქართველოს მშრომელი ხალხის თავისუფალი ნების გარეშე; საქართველოს სოციალური სტრუქტურა, როგორც სოფლის წვრილ მესაკუთრეთა ქვეყნისა, შეეგუება მხოლოდ მშრომელი ხალხის ბატონობას, რომ საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში, პარტიას მისაღებად მიაჩნია საბჭოთა სისტემა, რადგან ამ საშუალებითაც შესაძლებელია მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვა. კონფერენციამ პოითხოვა: „1. აღდგენილ იქნას სუვერენულ სახელმწიფოს ელემენტები— უცხო ჯარის მაგიერ საკუთარი ჯარის შექმნა, დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიის მთლიანობისა და მისი საზღვრებისა, აღდგენა საგარეო წარმომადგენლობისა, მტკიცედ დაცვა სინამდვილეში სახელმწიფო ენის უფლებებისა, საკუთარი ეროვნული ეკონომიური ფინანსური სისტემის შექმნა, საკუთარი ადმინისტრაცია და სხვ. 2. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მასშტაბით წარმოებულ ბრძოლაში საქართველო უკვე ჩათრეულია, პარტიას საჭიროდ მიაჩნია წარმოება ისეთი პოლიტიკისა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩენა; 3. პარტია ამასთანავე უარყოფს ყოველგვარ საბოტაჟს, როგორც ქართველი ხალხის მავნებელს და მოუწოდებს ამხანაგებს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ დამოუკიდებელი ეროვნული რესპუბლიკის ყოველგვარ მუშაობა-

ში, გარდა ისეთისა, რასაც ექნება პოლიტიკური პასუხისმგებლობის ხასიათი“.[25]

როგორც ვხედავთ, 1921 წელს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში გაჩნდა ორი ფრთა: „მემარცხენენი“ და „მემარჯვენენი“. შეიძლება ითქვას, მათ შორის წყალგამყოფი საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება იყო. „მემარცხენეებმა“ ფაქტობრივად სცნეს საბჭოთა ხელისუფლება და დახმარებაც აღუთქვეს მათ. „მემარჯვენეებმა“ უარყვეს საბოტაჟი, მაგრამ ფაქტობრივად უარყვეს საბჭოთა ხელისუფლებაც, აუცილებლად მიიჩნიეს სუვერენული სახელმწიფოს ელემენტების აღდგენა. ამ ორი ფრთის ერთ პარტიაში ყოფნა შეუძლებელი გახდა. „მემარცხენეებმა“ ჯერ კიდევ მეექვსე კონფერენციაზე განაცხადეს, რომ გადიან პარტიიდან. 1921 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მათ თავიანთი პირველი ყრილობა ჩაატარეს და დამოუკიდებელი „საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია“ შექმნეს.

საბჭოთა ხელისუფლებას ლოიალობა გამოუცხადა საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. 1921 წლის 12 აპრილს მის მიერ მიღებულ დეკლარაციაში ნათქვამია: „პარტია სცნობს მშრომელთა ძალაუფლებას და მის განმტკიცებას მთელი ძალღონით ხელს შეუწყობს... მშრომელი ხალხი საქართველოს დამოუკიდებლობას სთვლის რევოლუციის უდიდეს მონაპოვრად და მას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეელევა“[26]. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დეკლარაციას მთელი პარტია არ იზიარებდა. ამას მოწმობს გაზეთ „მაშვრალთა ხმაში“ 1921 წლის 1 ივნისს გამოქვეყნებული მასალა „საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა ცენტრალური კომიტეტის დეკლარაციის გამო“, რომელშიც პარტიის წევრთა ერთი ჯგუფი გმობს ცენტრალური კომიტეტის 12 აპრილის დეკლარაციას, რადგან მასში არ იყო ასახული ის გარემოება, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება „სამხედრო მეთოდით“ დამყარდა და სხვ. აღნიშნული ჯგუფი გავიდა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან.

რესპუბლიკაში ამ დროს მოქმედებდა „საქართველოს რევოლეუციონერ სინდიკალისტთა კავშირი“, რომელიც საქართველოში საბჭოთა

---

25 გაზ. „მაშვრალთა ხმა“, 1921 წლის 16 ივნისი.

26 ვაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წლის 28 აპრილი.

ხელისუფლების დამყარებას ძალმომრეობის აქტად მიიჩნევდა, მაგრამ შექმნილ ვითარებაში კავშირს დაუშვებლად მიაჩნდა საბოტაჟი და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლა.[27]

ამრიგად, საქართველოს სოციალისტური პარტიებიდან ზოგი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ აშკარად მტრულ პოზიციას დააღგა, ზოგმა ლოიალობა გამოუცხადა მას.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციაზე უძლიერეს გავლენას ახდენდა პრესა. იმ არაკომუნისტურ პარტიებს, რომლებმაც, ასე თუ ისე, ლოიალური დამოკიდებულება გამოხატეს საბჭოთა ხელისუფლებისადმი, პირველ ხანებში უადვილდებოდათ საკუთარი გაზეთების გამოცემა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების მე-3 დღეს, 1921 წლის 27 თებერვალს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებმა გამოუშვეს თავიანთი გაზეთის „სოციალისტ-ფედერალისტის" პირველი ნომერი. 26 აგვისტოდან ამ გაზეთს „ტრიბუნა" ეწოდა. 10 აპრილიდან 26 ივნისამდე „სხიველებმა" თავიანთი გაზეთის „ახალი სხივის" 3 ნომერი გამოუშვეს. 1921 წლის 4 აპრილიდან 17 ივნისამდე საქართველოს რევოლუციონერ სინდიკალისტ-მაშვრალთა კავშირის ორგანოს „მაშვრალთა ხმის" რამდენიმე ნომერი გამოვიდა. სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანო „შრომა" 1921 წლის 3 ოქტომბრიდან 4 დეკემბრამდე გამოდიოდა. დასახელებული გაზეთებიდან მხოლოდ „ტრიბუნამ" იარსება 1923 წლის ნოემბრამდე. დანარჩენები უსახსრობის გამო იძულებული ხდებოდნენ შეეწყვიტათ არსებობა. ხელისუფლება კი ასეთ გაზეთებს დახმარებას არ უწევდა[28].

კომუნისტური რეჟიმის პირველ ხანებში ასეთი გაზეთების არსებობა საბჭოთა ხელისუფლების გარკვეულ დემოკრატიზმზე მეტყველებდა და ეს მის სასარგებლოდ მუშაობდა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ჩამოთვლილი გაზეთები ახალ თავსატეხს უქმნიდა ხელისუფლებას. პოლიტიკური პარტიები კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ მთავრობისეულ თითქმის ყველა ღონისძიებას. არაკომუნისტური პარტიები შეუძლებელს მოითხოვდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან — საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის აღდგენას. ყველაზე მეტი უთანხმოება მთავრობასა და ოპოზიციურ პარტიებს სწორედ ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხში ჰქონდათ. „ჯერ

---

27 გაზ. „მაშვრალთა ხმა", 1921 წლის 7 და 17 აპრილი.

28 იხ.: ჯორჯიკიას დასახ. ნაშრ., გვ. 38.

ეროვნება, მერე სოციალიზმი, აი დევიზი ქართველი მშრომელი ხალხისა“ — იუწყებოდა გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“[29]. „საქართველოს საბჭოთა მთავრობამ უნდა ზეიმით ამცნოს ხალხს, რომ ის სდგას 26 მაისის აქტის ნიადაგზე და სავსებით იცავს ქართველი ერის სუვერენობას. ქართველი ხალხი ველარ შეურიგდება თავის სხვა ქვეყნის ნაწილად გადაქცევას. ახალმა მთავრობამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება ქაღალდზე არ უნდა დასტოვოს და საქმედ აქციოს. ასე უნდა მოიქცეს ის თუ სურს, რომ ქართველი მშრომელი მასის განუკვეთელ ნაწილად ითვლებოდეს, და არა მის ზედნაშენად“[30]. ასეთ განაწესს აძლევდა გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“ საქართველოს საბჭოთა მთავრობას. „ქართველი ერი უნდა დარწმუნდეს, რომ მისი ისტორიულ-ეკონომიური სამკვიდრებელი ხელისუფლება, რომ მისი კულტურული ვინაობა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი უფლებები სრულიად უზრუნველყოფილია“ — ვკითხულობთ „ახალი სსივის“ 1921 წლის 24 აპრილის ნომერში. იგივე გაზეთი აღნიშნავდა, რომ ქართველ ერს აშინებს „არა კომუნიზმი, არც საბჭოთა სისტემა და ბოლშევიკობა თავისთავად, არამედ დამოუკიდებლობის დაკარგვა და ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი ჩაგვრა“.[31]

ყველა არაკომუნისტური პარტია ეროვნულ საკითხს აყენებდა წინა პლანზე. „ჩვენი მოვალეობაა დავიცვათ ეროვნული თვისებები და როგორც საუკეთესო თვისებათაგანი რევოლუციონური“[32] — ვკითხულობთ გაზეთ „მაშვრალთა ხმაში“. იგივე გაზეთი წერდა: „არავითარი ეკონომიური შევიწროვება ისე არ შეაწუხებს მშრომელ კლასს, როგორც ეროვნული მეობის შეზღუდვა“[33].

გაზეთი „შრომა“ კი 1921 წლის 3 ოქტომბერს აღნიშნავდა: „ეროვნულმა მომენტმა ყველაფერი დაფარა — ეს აშკარა ფაქტია... დამოუკიდებლობის იდეა საქართველოს მშრომელთ ისე აქვთ ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ ვერც ერთი მთავრობა, რომელიც მთელი თავისი არსებით არ შეეცდება განამტკიცოს საქართველოს ფორმალური და ფაქტიური დამოუკიდებლობა, მშრომელთა ფართო მასების ნდობასა და თანაგრძნობას ვერ მოიპოვებს“.

---

29 გაზ. „სოციალისტ ფედერალისტი“, 1921 წლის 5 მარტი.

30 იქვე, 12 მარტი.

31 გაზ, „ახალი სსივი“, 1921 წლის 26 აპრილი.

32 გაზ. „მაშვრალთა ხმა“, 1921 წლის 10 აპრილი.

33 იქვე, 11 მაისი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი შესანიშნავად გრძნობდა, რომ ეს პუბლიკაციები მის წინააღმდეგ იყო მიმართული. თვითონაც იცოდა, რომ სწორედ ეროვნული საკითხი იყო მისი სუსტი ადგილი. ამ პუბლიკაციების უპასუხოდ დატოვებით ბატონის რისხვას დაიმსახურებდა. ეგეც არ იყოს, „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ ყბადაღებულ იდეათა ერთგულებაც ავალებდა კომუნისტებს, დაეგმოთ არაკომუნისტურ პარტიათა ნაციონალიზმი. 1921 წლის 8 სექტემბერს გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „კარგა ხანია ჩვენგან ჩვენი ნაციონალისტები „ეროვნული პოლიტიკის“ წარმოებას მოითხოვენ“. სტატიის ავტორის აზრით, ეროვნული საკითხი ერთი მთავარი საკითხთაგანია, მაგრამ ის მხოლოდ საკითხია და არა ერთი მთლიანი პოლიტიკა და ამიტომ იგი უნდა განვიხილოთ „ჩვენი მთლიანი კლასობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით და არა პირუკუღმა, როგორც ეს ჩვენს მემარცხენე ნაციონალისტებს სურთ“.

გაზეთ „ტრიბუნას“ რედაქტორმა თედო ღლონტმა მიუღებლად მიიჩნია გაზეთ „კომუნისტის“ პუბლიკაციაში განვითარებული დებულება. იგი წერდა: „ვინც მთავარ ყურადღებას მარტო კლასობრივს აქცევს, ის რევოლუციის ტალღას სცილდება... დღეს რევოლუციონური მხოლოდ დაჩაგრული ერის მუშათა კლასია და არა საზოგადოდ მუშათა კლასი... თანამედროვე იმპერიალიზმის უმთავრესი ლუკმა „კლასი კი არა ერებია... დაჩაგრული ერის იდეოლოგია მუშათა იდეოლოგიაც არის, მაგრამ დაჩაგრული კლასის იდეოლოგია მხოლოდ ნაწილაკია თანამედროვე დიდი რევოლუციების“.[34]

საქართველოს გასაბჭოების დაახლოებით 3 თვის თავზე, 1921 წლის 26 მაისს, ქართველ ხალხს დიდი ეროვნული დღესასწაული—ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის 3 წლისთავი უნდა აღენიშნა.

ეს დღე გამოცდა იყო საქართველოს კომუნისტური მთავრობისათვის. 26 მაისს კომუნისტური პარტია, ცხადია, დღესასწაულად არ მიიჩნევდა, მაგრამ დღესასწაულის ოფიციალურად აკრძალვაც დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. მას სერიოზული გართულებები შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ამიტომ მთავრობამ, როგორც იტყვიან, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და მიიღო გადაწყვეტილება 26 მაისის აღნიშვნის შესახებ. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავდა კომუნისტების მიერ

---

[34] გაზ. „ტრიბუნა“, 1921 წლის 10 სექტემბერი.

26 მაისის, როგორც დამოუკიდებლობის დღის აღიარებას. ამ აქტით კომუნისტური პარტია შეეცადა თავიდან აეცილებინა მშრომელი მასების, განსაკუთრებით ინტელიგენციის რისხვა, რაც, შეიძლება, აშკარა ანტისამთავრობო გამოსვლებში გადაზრდილიყო და მთავრობის მხრიდან რეპრესიების განხორციელების საფუძველიც გამხდარიყო. ამას ნებისმიერი მთავრობა მოერიდებოდა, განსაკუთრებით კი ჯერ კიდევ ისეთი სუსტი და არაპოპულარული, როგორიც მაშინ საქართველოს რევკომი იყო. 26 მაისის აღნიშვნის თაობაზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ჯერ კიდევ 1921 წლის 6 აპრილს იმსჯელა. საყურადღებოა ფორმულირება, რომლითაც ეს საკითხი ბიუროს განსახილველად წარუდგინეს. — „საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 26 მაისის დღესასწაულობის ფორმების შესახებ". მაშასადამე, მსჯელობენ არა დამოუკიდებლობის დღის ღირსეულად აღნიშვნაზე არსებითად, არამედ იმაზე, თუ რა ფორმა მისცენ ამ აღნიშვნას, როგორ მოიცილონ იგი თავიდან. ამას ადასტურებს ბიუროს დადგენილებაც: „მუშები ამ დღეს თავისუფლდებიან სამუშაოდან. მანიფესტაციები და დემონსტრაციები არ დაიშვება. საღამოს დახურულ შენობებში შესდგება მიტინგები, სადაც განიმარტება დამოუკიდებლობის კომუნისტური გაგება"[35].

აშკარაა, კომუნისტურმა პარტიამ სცადა 26 მაისი თავისი მიზნების მისაღწევად გამოეყენებინა. 1921 წლის 23 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადასტურა ამ საკითხზე 6 აპრილს მიღებული დადგენილება და მოიწონა საქართველოს სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის შალვა ელიავას მიერ წითელი არმიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკის ყლობასთვის მიცემული დირექტივა — 26 მაისს არ გამოეყენებინა შეიარაღებული ძალა.

ამ დღესთან დაკავშირებით, კომუნისტურმა პარტიამ მიმართა ხალხს, გაავრცელა სპეციალური თეზისები. პრესაში გამოქვეყნდა 26 მაისისადმი მიძღვნილი წერილები და ა. შ. 1922 წელს კი კომუნისტურ პარტიას, რომელიც თავს შედარებით მყარად გრძნობდა, 26 მაისის აღნიშვნის შესახებ სპეციალური დადგენილება არ მიუღია. 1923 წელს ეკუთვნის სერგო ორჯონიკიძის მკრეხელური განცხადება: „... 26 მაისი მარტოოდენ ისტორიას დარჩება და მასზე შთამომავლო-

---

35 პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 11, ფურც. 19.

ბა იტყვის, ამ დღეს ვინმე ხუმარამ სხვა ხუმარათა სახელმწიფო „დამოუკიდებელ" სახელმწიფოდ ცნოო".[36]

საქართველოს საგანგებო კომისიის ცნობით, 1923 წლის 26 მაისს ანტისაბჭოთა შეიარაღებული გამოსვლა იყო მოსალოდნელი, მაგრამ იგი არ შედგა, დღემ მშვიდად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა „თუ მხედველობაში არ მივიღებთ აქა-იქ სამფერი დროშების იშვიათ ფრიალს. დროშები ამოღებულ იქნა და ინციდენტები ამოიწურა ყოველგვარი გართულების გარეშე".[37]

26 მაისი ყოველწლიურად დაძაბულობას ქმნიდა კომუნისტთა რიგებში. 1924 წლის ამბების შემდეგ, ბუნებრივია, საქართველოში 26 მაისის დღესასწაულის ლეგალური ფორმით აღნიშვნა გამორიცხული იყო. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ამ თარიღის აღნიშვნა ათეული წლების შემდეგ, 80-იანი წლების დამლევიდან დაიწყო.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ქართული საზოგადოებრიობა შეძრა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფამ. ჯერ იყო და საქართველოს განუყოფელი ნაწილი აფხაზეთი დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადდა, დააარსეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელსაც ძირძველი ქართული სოფლებიც შეუერთეს, დაიდო რუსეთ-თურქეთისა (1921 წლის მარტი, ბათუმი) და თურქეთ-ამიერკავკასიის (1921 წლის ოქტომბერი, ყარსი) ხელშეკრულებები, რომელთა ძალით ქართული მიწები თურქეთს გადაეცა, შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაცია (1922 წლის მარტი) და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (1922 წლის დეკემბერი), რომელთა შემადგენლობაში იძულებით გაერთიანებული საქართველოს ინტერესები შეილახა და ა. შ.

„არ ვართ იმაში დარწმუნებული, რომ საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ლახვრად არ ესობა სახელმწიფოებრივი ტერიტორიის ხელუხლებლობის და მთლიანობის დარღვევა, რაც მკაფიოდ აფხაზეთის საკითხში გამოიხატა... უთუოდ ამავე უფლების შერყევასა და უარყოფას გულისხმობს ჩვენი სახელმწიფო ნაციონალური ტერიტორიის გაცემა სხვისთვის სხვის მიერ: ამაში ეჭვი არავის

---

36 Вторая партийная конференция коммунистических организаций Закавказья (Стеногр. отчет), 1992, გვ. 23.

37 პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ., ფურც.

შეუვა, ვინც გადაათვალიერებს რსფსრ და ოსმალეთს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომლის ძალით საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ სხეულს ეჭრება მისი განუკვეთელი ორგანული ნაწილი" — წერდა გაზეთი „ახალი სხივი" 1921 წლის 24 აპრილს.

ყარსის კონფერენციის მიმდინარეობის დროს, კერძოდ, 1921 წლის 14 ოქტომბერს გაზეთი „ტრიბუნა" წერდა: „ყარსის კონფერენციამ უნდა გადასინჯოს მოსკოვის დადგენილება და ართვინ-არდაგანი უნდა დაუბრუნოს თავის პატრონს". ყარსის კონფერენციის დამთავრების შემდეგ კი იგივე გაზეთი აღნიშნავდა: „გარეშე ძალას, თუნდაც რუსეთს, არავითარი უფლება არა ჰქონდა ოსმალეთისათვის გადაეცა ჩვენი მიწა-წყალი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კონფერენციის მთავარი საქმიანობა ამ ხელშეკრულების გადასინჯვაში უნდა გამოხატულიყო და მისი უარყოფით საშუალება მოგვცემოდა სამართლიანი დამოკიდებულების განმტკიცებისა ოსმალეთთან"[38].

გაზეთი „შრომა", 1921 წლის 30 ოქტომბერი: „მეგობრობა, რომელიც დაგვაუძლურებს, კავშირი, რომელიც ომზე საზიანო იქნება, ჩვენთვის ისევე მიუღებელია, როგორც იმპერიალისტური ომი. მეგობრობა ანექსიით ვერ დამყარდება".

გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წლის 14 აპრილი: „აფხაზეთის საკითხი უნდა გადაიჭრას იმ ძალების მიხედვით, რომელნიც სახეს და ტონს აძლევენ აფსაზეთს... ეს ძალა იქნება საქართველო, ქართველობა (მეგრელობა) და ამიტომ ჩვენ ვამბობთ: აფსაზები სავსებით უნდა დაეყრდნონ მხოლოდ და მხოლოდ და უმთავრესად საქართველოს და საქართველოსთან მჭიდრო კულტურულ-სოციალურ აღმშენებლობაში ნახონ ის გეზი, რომლითაც საბოლოოდ უნდა გადაიჭრას მისი აწმყო და მომავალი".

გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წლის 13 ივლისი: „სამაჰმადიანო საქართველო მთელი საქართველოს სასიცოცხლო საკითხია და იგი უარყოფითად გადაიჭრება მხოლოდ მაშინ, როცა ისტორია ინებებს მთელი ქართველი ერის წესის აგებასაც... ყალბად გაგებულ ავტონომიას უნდა ბოლო მოეღოს. ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპი არ შეიძლება მივიტანოთ იქ, სადაც სხვა ერი კი არ გვეგულება, არამედ ჩვენი ერის ნაწილი, მხოლოდ სხვა სარწმუნოების აღმსრულებელი".

---

[38] გაზ. „ტრიბუნა", 1921 წლის 23 ოქტომბერი.

გაზეთი „ტრიბუნა“, 1921 წლის 27 ოქტომბერი: „ოსებიც საქართველოში ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ იმ რაიონებისათვისაც კი, სადაც ისინი ბინადრობენ, სამხრეთ ოსეთად მონათვლა იმ რაიონებისა, სადაც ოსური შოვინიზმი ისწრაფვის, ყოვლად შეუწყნარებელია... რადგან ქართლში ოსები არიან მხოლოდ, ოსეთი კი საქართველოს გარეთ არის... ოსეთი ჩვენი საამაყოა, მაგრამ ოსეთი არა ქართლის ტერიტორიაზე, არამედ კავკასიონის ქედ გადაღმა იყო და არის დღესაც. არავითარი სამხრეთ ოსეთი საქართველოში არ არსებობს, არიან მხოლოდ ქართველთა შორის ჩამოსახლებული ოსები“.

გაზეთი „ტრიბუნა“, 1921 წლის 28 სექტემბერი: „შეუძლებელია ისეთი მთლიანი და საგრძნობი მიდამოს გამოჭრა, სადაც ოსობას შეიქმნიდეთ. მათ ხელში ერთი საპოლიციო უბანიც არ აქვთ სავსებით, რასაკვირველია, ლაპარაკიც შეუძლებელია ოსების ავტონომიაზე როგორც პოლიტიკურ სისტემაზე“. „საქართველოში ჩვენ არა ერთ საზოგადოებას ვნახავთ, განსაკუთრებით ბორჩალოს მიმართულებით, ახალქალაქის და ახალციხის სახით და ყველგან თუ ავტონომიებზე ვილაპარაკებთ, მაშინ დედა საქართველო დაგვრჩება დიოგენის ფარნით საჩხრეკი. ასეთ პოლიტიკას უნდა ვერიდოთ თუნდაც ეს დროებითი ან ტაქტიკური ზომა იყოს“.

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ყოფილა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა შესახებ თავიანთი აზრი არ გამოეთქვათ პოლიტიკურ პარტიებს. ეს აზრი, უმთავრესად, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ იყო მიმართული. თითქმის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ გაილაშქრა ამიერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ, ფედერაციისა, რომლის შექმნა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ დაადგინა 1921 წლის ნოემბერში.

„ჩვენ უფრო მეტად ფედერალისტები ვართ პრაქტიკულად, ვიდრე თეორიულად. მიუხედავად ამისა, დღეს ჩვენ წინააღმდეგი ვართ კავბიუროს მიერ გამოცხადებული ფედერაციისა“ — წერდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთი „ტრიბუნა“ 1921 წლის 16 ნოემბერს.

„დადგენილება გულისხმობს ამიერკავკასიის ერთ მთავრობას, ჩვენ კი ვამბობთ, იქ, სადაც რამდენიმე რესპუბლიკას ჰყავს ერთი მთავრობა, დამოუკიდებლობა აღარ არსებობს, ის გაუქმებულია“ — ვკითხულობთ გაზეთ „შრომაში“ 1921 წლის 20 ნოემბერს.

ქვეყანა, სადაც ასეთი ანტისამთავრობო წერილები იბეჭდება, ცხადია, კლასიკური ტიპის დიქტატორულ სახელმწიფოდ ვერ ჩაითვლება. 1921 წლის საქართველოში დიქტატურა მართლაც არ იყო საბოლოოდ ჩამოყალიბებული სწორედ ამით აიხსნება პრესის ასეთი „თავისუფლება". თუმცა რესპუბლიკის სინამდვილე თვალნათლივ მოწმობდა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან ერთად დიქტატორული რეჟიმიც მკვიდრდებოდა. ამ რეჟიმს თვით კომუნისტური პარტია ნერგავდა. იგი თანამიმდევრულად თავის დიქტატურასაც ამკვიდრებდა. „პარტიის დიქტატურა რომ უდიდესად გაიზარდა საქართველოში თითქმის საზღვარ-დაუდებელი გახდა, ამის დამტკიცება ძლიერ ადვილია. საქართველოს ცხოვრებაში მოხდა მრავალი საყურადღებო საკითხების გადაჭრა: რკინიგზების გაერთიანება, აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება, საზღვრების ახალი გარკვევა და მრავალი სხვა. შეეკითხა ვინმე ამ საკითხზე საქართველოს მშრომელ ხალხს? გაიგო ვინმემ მისი შეხედულება და დამოკიდებულება მათდამი? პასუხი ყველასათვის ნათელია: არავინ შეეკითხა. პარტია სრულიად დამოუკიდებლად სწყვეტს ისეთ საკითხებს, რომლებიც პირველ ხარისხოვანი არიან" — ვკითხულობთ გაზეთ „მაშვრალთა ხმის" 1921 წლის 12 ივნისის ნომერში. ამავე თემას შეეხო გაზეთი „ტრიბუნა" 1921 წლის 17 ნოემბერს: „არის თუ არა პარტიის სრული დიქტატურა და ძალდატანების გამოხატვა მშრომელ ხალხზე? არსებითად ეს არის და ჩვენ არ შეგვიძლია ამის წინააღმდეგ არ ამოვიღოთ ხმა".

როგორც ზემოთ ითქვა, ზოგიერთმა არაკომუნისტურმა პარტიამ (სოციალ-დემოკრატებმა, „სხიველებმა", სოციალისტ-ფედერალისტებმა და სხვ.) თავდაპირველად განაცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში. საბჭოების არჩევნებისათვის მზადება წლის დამლევს დაიწყო. ბუნებრივია, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ არჩევნების ინსტრუქცია შეიმუშავეს. ინსტრუქცია საბჭოთა რუსეთის საარჩევნო წესის მიხედვით იყო შედგენილი. მისი გამოქვეყნების შემდეგ, არაკომუნისტურმა პარტიებმა შეუძლებლად მიიჩნიეს არჩევნებში მონაწილეობის მიღება (გამონაკლისს შეადგენდა საქართველოს მქმარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია).

1921 წლის ნოემბერში საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ, სოციალისტ-ფედერალისტებმა, დამოუკიდებელ სო-

ციალ-დემოკრატთა ჯგუფმა, ეროვნულ-დემოკრატებმა, რადიკალებმა, სოციალისტ-რევოლუციონერთა ორივე ფრთამ გადაწყვიტეს, რომ დაპყრობილ ქვეყანაში, უსაშინელესი ტერორისა და ქართველი ხალხის დარბევის პირობებში ჩატარებულ არჩევნებში, ქართველი ერი, მისი პარტიები მონაწილეობას ვერ მიიღებენ. „მთელი ეს ტერორის სისტემა, რომელიც გამეფებულია საქართველოს ხალხის მიმართ უცხოეთიდან მოყვანილი ლაშქრის მიერ: სიტყვის, ბეჭდვის, კრების თავისუფლების ფეხქვეშ გათელვა, ციხეების გავსება ქართველი მშრომელი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებით — ყველა ეს შეუძლებლად ხდის ქართველი მუშებისა და გლეხების ჭეშმარიტი აზრის საქვეყნოდ გამოთქმას“.[39] — ნათქვამია სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოწოდებაში. ამავე დროს გამოვიდა სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ფურცელი, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევდა არჩევნებში მონაწილეობას შემდეგი მიზეზების გამო: საქართველოში არ არსებობს პირობების პოლიტიკური თავისუფლება, კომუნისტურმა საარჩევნო სისტემამ ხმის უფლება მისცა „უცხო ელემენტებს“, უცხო ქვეყნის ჯარისკაცებს, რომელთაც „არაფერი გაეგებათ ადგილობრივი ინტერესებისა“, ქვეყანაში არსებობს საშინელი ტერორი, არ არსებობს კანდიდატთა სიების წარდგენის წესები, უარყოფილია პროპორციული არჩევნების სისტემა და ა. შ.

მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებმა საბჭოების არჩევნებში მონაწილეობა აუცილებლად მიიჩნიეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ერის ინტერესები შეილახებაო, მაგრამ საარჩევნო ინსტრუქციის ზოგიერთი მუხლი მათაც დაიწუნეს. მაგალითად, ისინი არ ეთანხმებოდნენ იმ მუხლს, რომელშიც ლაპარაკი იყო არჩევნებში მონაწილეობას იღებენ მოქალაქენი განურჩევლად მუდმივი ბინადრობისა. „ჩვენ ეს არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად და არც სამართლიანად. თუ ჩვენ გვაქვს სახელმწიფო და გვაქვს წარმოდგენილი მისი უფლებრივი მდგომარეობა, არ შეგვიძლია უარვყოთ ქვეშევრდომობის პრინციპი არჩევნების დროს. ბოლოს და ბოლოს ჩვენ გარკვევით უნდა ვთქვათ, რომ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მოქმედებს ჩვენი კანონები და ამ

---

[39] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საარქივო დოკუმენტების მიკროფირები, ს. 106—108.

ტერიტორიაზე მუდმივი მცხოვრებნი ჰყავს მას მხედველობაში"[40] — წერდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანო „ტრიბუნა". მიუღებლად მიაჩნდათ ისიც, რომ დეპუტატთა არჩევა უნდა მომხდარიყო საჯაროდ, საზოგადო კრებებზე ხელის აწევით.

წინასაარჩევნო კამპანიამ კიდევ უფრო დაძაბა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია. იმატა დაპირისპირებამ კომუნისტურსა და სხვა პარტიებს შორის. კომუნისტური პარტია ყველაფერს აკეთებდა, რომ საარჩევნო კამპანია მის სასარგებლოდ დამთავრებულიყო. ასეც მოხდა. თბილისის საბჭოში, მაგალითად, 351 დეპუტატი აირჩიეს. მათ შორის იყო 10 მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტი, 37 უპარტიო, დანარჩენი კომუნისტები.[41]

ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ ჩამოყალიბებულიყო ისეთი რეჟიმი, სადაც მუშაობის ნორმალური პირობები მხოლოდ კომუნისტურ პარტიას ექნებოდა. იმ პოლიტიკურ ძალებსაც კი, რომლებიც განსხვავებული მრწამსის გამო, ნებსით თუ სხვა მოსაზრებების გამო, კომუნისტებთან თანამშრომლობის გზას დაადგნენ, გარკვეული უნდობლობით უყურებდნენ. საბჭოთა ხელისუფლების პირველი თვეებიდან საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გაბატონებულ მდგომარეობას კომუნისტური პარტია იკავებდა. ის თანდათან ნამდვილი მმართველი პარტია ხდებოდა. კომუნისტური კადრების ნაკლებ კომპეტენტურობის გამო ეს კიდევ უფრო აუტანელი ხდებოდა.

პოლიტიკისა და ეკონომიკის საკითხებს კომუნისტური პარტია თავის ყრილობებზე წყვეტდა. 1922 წელს საქართველოს კომპარტიამ კონფერენციაც ჩაატარა. ყრილობებსშუა პერიოდში მნიშვნელოვან საკითხებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმები მსჯელობდნენ. საქართველოს კომპარტიის მუშაობის წესი თითქმის არაფრით განსხვავდებოდა რუსეთის კომპარტიაში დამკვიდრებული წესისაგან. ეს იმით იყო განპირობებული, რომ საქართველოს კომპარტია, როგორც ითქვა, რუსეთის კომპარტიის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი იყო.

---

[40] გაზ. „ტრიბუნა", 1921 წლის 11 დეკემბერი, არასოციალისტურ პარტიათა გაზეთებიდან („სოციალისტ-ფედერალისტი", „ახალი სხივი", „მაშვრალთა ხმა", „შრომა", „ტრიბუნა" და სხვ.) დამოწმებული ადგილები ციტირებულია ნ. ჯორჯიკიას დასახელებული ნაშრომების მიხედვით (იხ. გვ. 23—63).

[41] გაზ. „კომუნისტი", 1921 წლის 13 დეკემბერი.

1922—1925 წლებში საქართველოს კომპარტია ყოველწლიურად მართავდა თავის ყრილობებს. ყრილობათა მასალების გაანალიზება აუცილებელია კომუნისტთა საქმიანობის გასააზრებლად. აქ იყო ბრძოლა პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტისათვის. აქ იყო საკმაოდ მძაფრი ბრძოლა ხელისუფლებისათვის.

კომუნისტთა ნებისმიერ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ გადაწყვეტილებას ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიები კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ. არ იყო ერთიანობა თვით საქართველოს კომუნისტთა შორისაც. ეს ნათლად გამოჩნდა საქართველოს კომპარტიის პირველივე ყრილობაზე, რომელიც 1922 წლის 23 იანვრიდან 1 თებერვლამდე მიმდინარეობდა. ყრილობის მომენტისათვის საქართველოს კომპარტიაში 16 ათასი წევრი და კანდიდატი ითვლებოდა. ყრილობამ განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ანგარიში, საქართველოში ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების, მიწის რეფორმის, სოფლის მეურნეობის საკითხები, პროფკავშირების შესახებ, საბჭოთა მშენებლობის მორიგი ამოცანები, ეროვნული საკითხი, პარტიის წმენდის შედეგები, პარტიული მშენებლობის საკითხები.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ანგარიშით ყრილობაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მამია ორახელაშვილი. 1921 წლის აპრილიდან 1922 წლის თებერვლამდე ჩატარდა ცენტრალური კომიტეტის 42 პლენუმი და ბიუროს 92 სხდომა, რაც პარტიის ინტენსიურ მუშაობაზე მიუთითებს. საქართველოს კომპარტიის მუშაობის ხელმძღვანელობის გასაწევად, მიმდინარე საკითხების გადასაწყვეტად, კადრების შერჩევისა და მიღებულ დადგენილებათა შესრულების შესამოწმებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შექმნილი იყო ასეთი სტრუქტურა: 1921 წლის 24 მარტიდან 10 ივნისამდე მოქმედებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო, 10 ივნისიდან 26 ივლისამდე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და სამდივნო, 26 ივლისიდან 27 აგვისტომდე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგბიურო, 27 აგვისტოდან — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი და სამდივნო.

ყრილობამ აღნიშნა, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა ვერ უზრუნველყო ორგანიზაციის პარტიული ხელმძღვანელობა, უთანხმოება

სუფევდა ცენტრალური კომიტეტის წევრებს შორის, რასაც ის მოპყვა, რომ 1921 წლის აგვისტოში ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა დაამტკიცეს. ვერც ახალი შემადგენლობა აღმოჩნდა მონოლითური. ყრილობამ დაგმო ნაციონალური ტენდენციები და გადახრა, რაც თითქოს ცენტრალური კომიტეტის წევრთა ერთმა ნაწილმა გამოამჟღავნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების საკითხში. დელეგატთა უმრავლესობამ დაგმო ბუდუ მდივნის პოზიცია. ყრილობამ ცენტრალური კომიტეტის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა. აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა 26 წევრისა და 7 კანდიდატის შემადგენლობით. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 1 თებერვლის პლენუმმა შეიყვანა: ფილიპე მახარაძე, სერგო ორჯონიკიძე, ბუდუ მდივანი, მიხეილ ოკუჯავა, მამია ორახელაშვილი, პავლე საბაშვილი, სილიბისტრო თოდრია და სხვ.[42], ფაქტობრივად იმდროინდელი საქართველოს კომუნისტური პარტიული ხელმძღვანელობა.

1920 წლის გაზაფხულიდან ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების სამხარეო ხელმძღვანელობას რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურო ანხორციელებდა. ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა პირველმა ყრილობამ (1922 წლის 18—22 თებერვალი) კავბიუროს ნაცვლად შექმნა რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი, რომელშიც აირჩიეს: სერგო ორჯონიკიძე, სერგეი კიროვი, ფილიპე მახარაძე, ალექსანდრე მიასნიკოვი, ნარიმან ნარიმანოვი, მამია ორახელაშვილი.

1922 წელიც მძიმე იყო ქართველი ხალხისათვის, მისი პოლიტიკური პარტიებისათვის, რომელთა წინააღმდეგ რეპრესიები დღითი-დღე მძაფრდებოდა. ჯერ კიდევ 1921 წელს საქართველოს საპყრობილეებში ბევრი პოლიტიკური პატიმარი იჯდა. მათი რიცხვი თანდათან იზრდებოდა. საბაბი მრავალნაირი იყო. 1921 წლის მაისში, მაგალითად, ქ. ქუთაისში უცნობმა პირებმა ბომბი ესროლეს საშა გეგეჭკორს „ორი წუთით გვიან მისი გავლის შემდეგ". მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთთა აზრით ეს აქცია „კომუნისტთა პროვოკაცია" იყო, ის მენშევიკთა დაპატიმრების საბაბად იქცა. ქუთაისსა და ბათუმში ამ ფაქტთან დაკავშირებით, 1000-მდე კაცი დააპატიმრეს. მათ შორის ზ.

---

[42] იხ. Очерки истории Коммунистической партии Грузии, часть вторая, Тб., 1983, გვ. 20—23.

გურული, გ. ფალავა, კ. ჭუმბურიძე, კ. გოგოლაძე, გ. ანჯაფარიძე და სხვ. პატიმრებს თბილისში გზავნიდნენ.[43]

1921 წლის ივლისში ნალჩიკში სამკურნალოდ მყოფი იოსებ სტალინი თბილისში ჩამოვიდა, რათა მონაწილეობა მიეღო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს პლენუმის მუშაობაში. თბილისის პარტიული ორგანიზაციის საერთო კრებაზე 6 ივლისს იოსებ სტალინი გამოვიდა მოხსენებით „კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში". კრება ნაძალადევის მუშათა სასახლეში შედგა. იოსებ სტალინის „მოხსენების გარეგნული ტონი ბოლშევიკისათვის მეტად ზრდილობიანი და რბილი იყო. სხვათა შორის მან განაცხადა, რომ მენშევიკებისათვის მას არასოდეს უწოდებია კონტრრევოლუციონერები. არსებითად კი მთელი მოხსენება მენშევიკების წინააღმდეგ იყო მიმართული" — აღნიშნავდა გაზ. „თავისუფალი საქართველო". თბილისელი მუშები იოსებ სტალინს მოხსენებას აწყვეტინებდნენ რეპლიკებით „ტყუილია". სტალინმა კრებაზე განაცხადა, რომ საფრანგეთის მუშათა კლასი რუსეთის ბოლშევიკებს უჭერს მხარსო. ამასთან დაკავშირებით დარბაზიდან დაიძახეს: „ალბათ ისე, როგორც ჩვენშიო". სტალინის შემდეგ სიტყვით გამოსვლა ერთ-ერთმა კომუნისტმა მოინდომა, მაგრამ აუდიტორიამ მას ამის საშუალება არ მისცა. „ილაპარაკა ალ. დგებუაძემ, რომელმაც მუხლობრივად გაარჩია მომხსენებლის ყველა დებულება. ხალხი მას აღფრთოვანებით შეხვდა. როცა ორატორმა სიტყვა დაასრულა, ვიღაცამ წამოიძახა: აქ ისიდორე რამიშვილია და ვთხოვოთ ილაპარაკოსო. მთელი დარბაზი ფეხზე ადგა და ტაშისცემით შეხვდა ამ განცხადებას. შემდეგ სადღაც კუნჭულში აღმოაჩინეს ისიდორე, ეტაკენ, აიყვანეს ხელში და ისე მიიტანეს ტრიბუნაზე. მან დარბაზის კატეგორიული მოთხოვნით 3 საათი ილაპარაკა. სიტყვას წამდაუწუმ ტაშისცემით აწყვეტინებდნენ.[44]

როგორც ვხედავთ, თბილისელ მუშათა კრებამ იოსებ სტალინს ფაქტობრივად ობსტრუქცია მოუწყო. ძვირად დაუჯდათ ეს მენშევიკებს. იმავე დღიდან დაიწყეს აქტიურ მენშევიკთა დაპატიმრებები. ძვირად დაუჯდა კრება თვით ფილიპე მახარაძესაც, რომელიც მაშინ საქართველოს რევკომის თავმჯდომარე იყო. იგი როგორც „უხერხემლო" და „რბილი" კაცი, რომელმაც ვერ უზრუნველყო კრების

---

43 იხ. „თავისუფალი საქართველო", 1821 წლის 15 მაისი, № 1, გვ. 24.

44 „თავისუფალი საქართველო", 1921 წლის 26 ივლისი, № 4, გვ. 4.

ნორმალურად ჩატარება, მოხსნეს რევკომის თავმჯდომარის თანამდებობიდან, მის ნაცვლად ბუდუ მდივანი დანიშნეს.

ბუდუ მდივანს კომუნისტი-ლიდერები ხშირად აყვედრებდნენ, რომ იგი მენშევიკებისა და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების წარმომადგენელთა მიმართ უფრო ლმობიერი პოლიტიკის გატარების მომხრე იყო. ამას გარკვეული საფუძველიც ჰქონდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბუდუ მდივნის რევკომის თავმჯდომარეობის დროსაც ხდებოდა მენშევიკთა გაუმართლებელი დაპატიმრება. ასე მოხდა, მაგალითად, 1921 წლის 24 ოქტომბერს.

საქართველოში საოკუპაციო რეჟიმის გაძლიერების, ეროვნული ტერიტორიის დაქუცმაცების, ეკონომიკური მდგომარეობის გამწვავების გამო თბილისის მუშებმა ოქტომბრის შუა რიცხვებში გადაწყვიტეს, დელეგაცია გაეგზავნათ საქართველოს რევკომის თავმჯდომარესთან — ბუდუ მდივანთან, რომლისთვისაც უნდა გადაეცათ 5132 მუშის მიერ ხელმოწერილი მემორანდუმი. მემორანდუმი შეიცავდა შემდეგ მოთხოვნებს: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, რუსის ჯარის საქართველოდან გაყვანა, ქართველი მუშების უცხოეთში გასახლების შეჩერება, ქართული ენის დაცვა, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება, პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლება, სოფლებში ეგზეკუციების მოხსნა და ა. შ. 24 ოქტომბერს 9 მუშისაგან შემდგარი დელეგაცია მემორანდუმის გადასაცემად ბუდუ მდივნის მისაღებს ეწვია. წინასწარი შეთანხმებით, დელეგაცია უნდა მიეღო მთავრობის თავმჯდომარეს, მაგრაამ 3 საათის ლოდინის შემდეგ დელეგატებს გამოუცხადა, რომ მეორე დღეს მოსულიყვნენ. „სასახლიდან გამოსვლისას დელეგატებს შემოერტყნენ ჩეკისტები, რომლებმაც ისინი დაიჭირეს და სარდაფში ჩაყარეს. რამდენიმე დღის განმავლობაში ქალაქში არავინ იცოდა დელეგატების ბედი. 29 ოქტომბერს საზოგადოებრივი აზრის დასამშვიდებლად „რევკომის“ თავმჯდომარემ პრესაში განაცხადა, რომ არავითარი დელეგაცია არ გამომცხადებია და არც დაუჭერია მას“.[45]

ამავე დროს, კომუნისტურ გაზეთებში დაიბეჭდა წერილები, რომლებშიც წამოყენებული იყო მოთხოვნა მენშევიკების წინააღმდეგ „ტერორის ზომების“ გამოყენების შესახებ. 31 ოქტომბერს ცნობილი

---

[45] ვ ლ ა ს ა მ გ ე ლ ა ძ ე, რუსეთის მობრუნება საქართველოში, თბ., 1991, გვ. 20—24.

გახდა, რომ მუშათა დელეგაცია მეტეხის ციხეში ჰყავდათ დატყვევებული. ამ ცნობამ მთელი თბილისი შეძრა. 1 ნოემბერს თბილისის 18 ათასამდე მუშა გაიფიცა. 3 ნოემბერს უნივერსიტეტის 2000 სტუდენტმა მიტინგი გამართა. ყოველივე ამას ბოლშევიკურმა რეჟიმმა რეპრესიებით უპასუხა. დააპატიმრეს 2000-მდე კაცი. ამ ფაქტს მთელი ევროპა გამოეხმაურა.[46] დაპატიმრებები საქართველოში მაინც არ წყდებოდა. „ციხე-ჩეკის სარდაფებში სივიწროვე-სიბინძურისა და ცუდი კვებისაგან ტუსაღები ავად ხდებოდნენ, გადამდები სენი ტყვეებს შუსრს ავლებდა. ტიფით ავადმყოფებს მოუვლელობით, უწამლობით სული ხდებოდათ; საგუბერნიო ციხეში ანთება სიცხისაგან ნახევრად შეშლილებს ციხის ფანჯრის რკინის მესრებზე აბამდენ, საშინელ ტანჯვაში სულს ართმევდენ... მთელი ღამის განმავლობაში ჩეკის სარდაფებიდან, ციხეებიდან ტუსაღები გაყავდათ, ხელებგაკრულებს საბარგო ავტომობილებზე ყრიან, ცხენოსანი რაზმით ალყა შემორტყმულებს ორთაჭალისა და საბურთალოს მინდვრებზე ხოცავდენ, ცოცხალმკვდარ დაჭრილებს ერთად მარხავდენ... სხვა მრავალთა შორის ასე გაიტაცეს საგუბერნიო ციხიდან გვარდიის გენერალი მარკოზაშვილი. საგანგებო რაზმის წევრები დახვრიტეს განუსჯელად და გაუსამართლებლად“.[47]

მეტეხის ციხეში ტიფით დაავადდა და გარდაიცვალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი სახმედრო მინისტრი პარმენ ჯიჯინაძე, ძველი კატორღელი სეით რაზმაძე. ქუთაისში შეიპყრეს და დახვრიტეს პოლკოვნიკი ლექვინაძე. გურიაში ძარცვა-გლეჯისათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო დახვრიტეს მამა-შვილი გეგიაძეები, აკეთში ვერაგულად მოკლეს ალფესი გოგუაძე, მისი მამა — საბა. სამეგრელოში ბოლშევიკური რეჟიმის ერთ-ერთი პირველი იყო რუსეთის მთავრობასთან ძველი მებრძოლი, „სოჩის რესპუბლიკის“ (1905წ.) ერთ-ერთი მეთაური აქვსენტი გვათუა, კახეთში — გენერალი სტეფანე ახმეტელაშვილი და ა. შ. ამ დროს მეტეხის ციხეს ვერ ასცდნენ ცნობილი რევოლუციონერები: ისიდორე რამიშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, არსენ წითლიძე და სხვ.[48]

---

[46] იხ. „თავისუფალი საქართველო“, 1921 წლის 30 ნოემბერი, გვ. 10—11, 1921 წლის 20 დეკემბერი, № 14, გვ. 13.

[47] ელასი მგელაძე. რუსეთის მობრუნება საქართველოში, თბ., 1991, გვ. 24—25.

[48] იხ. იქვე, გვ. 24—35.

ქვეყანაში მოსკოვის ინსპირირებით ასეთი რეპრესიები მძვინვარებდა, საქართველოს კომუნისტთა უმრავლესობა კი არავითარ ზომებს არ იღებდა მათს აღსაკვეთად. პირიქით, მას ეს ბუნებრივადაც მიაჩნდა. ყოველ შემთხვევაში, არც პლენუმებზე, არც ყრილობებზე ამის თაობაზე კრინტი არავის დაუძრავს. არაფერი თქმულა ამის შესახებ საქართველოს კომუნისტური პარტიის მეორე ყრილობაზე, რომელიც 1923 წლის 14—18 მარტს მიმდინარეობდა. ამ დროისათვის საქართველოს კომპარტიაში 13.500 კომუნისტი ითვლებოდა. წინა ყრილობასთან შედარებით, კომუნისტთა რაოდენობის შემცირება პარტიის წმენდის შედეგებით უნდა აიხსნას.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, უფრო ზუსტად, საქართველოს კომპარტიაში იმ დროს არსებული კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობის მისაღებად, თბილისში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებით ჩამოვიდნენ ლ. ბ. კამენევი და ვ. ვ. კუიბიშევი. ვ. ი. ლენინის ჯანმრთელობის სერიოზულ გამწვავებასთან დაკავშირებით, ლ. ბ. კამენევი იძულებული გახდა ნაადრეად გამგზავრებულიყო მოსკოვში.

მეორე ყრილობამ იმსჯელა შემდეგ საკითხებზე: ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ანგარიში, კომკავშირის მუშაობის შესახებ, პროფკავშირების მუშაობის შესახებ, მიწის რეფორმის შედეგები, პარტიულ და საბჭოთა მშენებლობაში ეროვნული მომენტის შესახებ და სხვ.

ყრილობამ ამჯერად საკვლევად მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი. აღინიშნა, რომ ცენტრალური კომიტეტის ახალმა შემადგენლობამ ქმედითი ზომები მიიღო საბჭოთა აგრარული რეფორმის დამთავრებისათვის, გააძლიერა ბრძოლა მენშევიკებისა და სხვა პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ. ყრილობამ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მშვიდობიანობის დამყარების ერთადერთ საშუალებად კვლავაც ამიერკავკასიის ფედერაცია მიიჩნია. დელეგატებმა მოიწონეს სსრ კავშირის შექმნა. ითქვა ისიც, რომ საქართველოში ვითარდებოდა სოციალისტური მრეწველობა. მისი ხვედრითი წონა რესპუბლიკის ცენზიან მრეწველობაში ამ დროისათვის 72,5 პროცენტს შეადგენდა.

ყრილობამ აირჩია ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა 27 წევრისა და 15 კანდიდატის შემადგენლობით. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეიყვანეს: ა. გეგეჭკორი, ლ. ქართველიშვილი, მ. კახიანი, გ. ყურულაშვილი, ბ. ლომინაძე,

ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, ი. სტურუა, მ. ცხაკაია, შ. ელიავა, ვ. სუხიშვილი და სხვ[49].

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი უკვე აღარ ითვლება რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტთან დაპირისპირებულ ორგანიზაციად. ეს დადასტურდა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების II ყრილობაზე, რომელიც 1923 წლის 19—23 მარტს მიმდინარეობდა.

მომდევნო ორ წელს საქართველოს კომუნისტებმა კიდევ ორი ყრილობა ჩაატარეს—III ყრილობა — 1924 წლის მაისში, IV ყრილობა — 1925 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ორივე ყრილობამ მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი. არც ამ ყრილობაზე დასმულა საკითხი პოლიტიკური რეპრესიების შეწყვეტის, თუნდაც შენელების თაობაზე. პირიქით, IV ყრილობა, მაგალითად, მაღალ შეფასებას აძლევდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობას ანტისაბჭოთა ფრონტის ლიკვიდაციისათვის, რაც უმთავრესად რეპრესიების მეშვეობით ხდებოდა.

საქართველოს კომპარტიის III და IV ყრილობებმა იმსჯელეს ეროვნულ საკითხზე, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ამოცანებზე. აღებულ იქნა მძიმე მრეწველობის, კერძოდ, სამთომომპოვებელი მრეწველობის უპირატესი განვითარების კურსი. აუცილებლად იქნა მიჩნეული სახელმწიფო დაგეგმვის კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შექმნა. დელეგატების აზრით, მეტი ყურადღება უნდა მიექციათ მარგანეცის, ქვანახშირის, ჩაის, თამბაქოს, ბამბის, აბრეშუმის პარკის, შაქრის ჭარხლის წარმოებისათვის. დაისახა კულაკებისა და „ანტისაბჭოთა ელემენტების“ წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ამოცანა.[50]

ბოლშევიკური რეჟიმი დღითი დღე აძლიერებდა ანტირელიგიურ კამპანიას. ამ მიზნით დიდძალი თანხა იხარჯებოდა. დარწმუნების მეთოდს ხშირად ძალადობით ცვლიდნენ, რაც, უმთავრესად, ეკლესიების დახურვით გამოიხატებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენ-

---

49 იხ.: Очерки истории Коммунистической партии Грузии, часть вторая, Тб., 1983, გვ. 46—48.

50 იქვე, გვ. 57—59, 72—74.

ლობა. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მეორე ყრილობაზე სერგო ორჯონიკიძე ამბობდა: «...Новый ЦК развил антирелигиозную кампанию в Грузии. Я должен вам доложить, что я поражаюсь результатам этой кампании. Представьте себе, что есть уезды (Сенакский), есть такие места, где теперь нет ни одной церкви, там церкви превращены в школы, в больницы, а попы расстриглись».

სერგო ორჯონიკიძე გულდაწყვეტით განაგრძობდა: «Конечно, нельзя сказать, что все грузины стали атеистами, раз церкви закрыты, это еще не значит, что изжита религия; но важно то, что крестьянство само пошло (?!—Л. Т.) на закрытие церквей и изгнало попов, важно, что это первый шаг[51].

ანტირელიგიური ბრძოლის კამპანიამ საქართველოში ასეთი მკრეხელური ფაქტიც დაადასტურა. თვით სერგო ორჯონიკიძის აღიარებით «В Грузии были мощи, недалеко от Кутаиси, в Моцаметском монастыре, там были мощи «Давида и Константина». Кутаисцы собрали со всех уездов стариков-крестьян, собрали духовенство, врачей, вскрыли эти мощи и оказалось, что там была труха испепелившихся костей; принесли их в Кутаис и поставили в здании Совпрофа. На крестьян это произвело колоссальное впечатление»[52].

ასე აბუჩად იგდებდნენ მორწმუნე ხალხის წმიდათა-წმიდას. ორჯონიკიძემ დელეგატთა გასამხიარულებლად არასწორი ინფორმაცია მიაწოდა—ყრილობას სიღნაღის მაზრაში არსებული ეკლესიის თაობაზეც. ეკლესია კომუნისტებს დაუხურავთ და ორჯონიკიძის თქმით «добрая половина монахинь сразу вышли замуж (смех). И все это лишь в результате только пропаганды»[53].

ანტირელიგიური კამპანია, კერძოდ ეკლესიების ძალით დახურვა, დიდ უკმაყოფილებას იწვევდა საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში. მორწმუნენი მოითხოვდნენ სალოცავი სახლების, ეკლესიების გახსნას. საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა გარკვეულ დათმობაზე წასულიყო. საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატში სპეციალური ინსტრუქციაც შეიმუშავეს ეკლესიების გახსნის წესის

---

[51] Второй съезд Коммунистических организаций Закавказья. 19–23 марта 1923 г. Стеногр. отч. 1923, გვ. 22.

[52] იქვე. გვ. 22.

[53] იქვე.

შესახებ. იგი განიხილეს და ძირითადად მოიწონეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის 12—15 სექტემბრის პლენუმზე. პლენუმის დადგენილებით, სამაზრო აღმასკომებს უფლება მიეცათ, გამონაკლისის წესით, ნება დაერთოთ მორწმუნეებისადმი (არანაკლებ 50 კაცისა), გაეხსნათ სალოცავი სახლები. შესაძლებლად იქნა მიჩნეული ცალკეული რელიგიური საზოგადოებების სარგებლობაში გადაეცათ ეკლესიები აუცილებელი საკულტო ქონებით. აიკრძალა სამხედრო და სამისიონერო ეკლესიებისა და მონასტრების დაბრუნება. პლენუმის დადგენილებაში, ამასთან, ნათქვამია: «Признавая совершенно необходимым открытие церквей по требованию верующих (на основе принятого пленумом инструкции), ЦК даст в то же время директиву всем парторганизациям этого частичного открытия церквей в беспорядочное отступление и не развязывать стихию, руководимую антисоветскими элементами настолько, чтобы допускать возможность предъявления требований об открытии всех закрытых церквей, в то же время ЦК считает необходимым во избежание неправильных толкований разъяснить следующее: закрытие ни в коем случае нельзя считать сплошной ошибкой. В основе она имела здоровое политическое движение крестьянских масс, направленное против церкви и религии. ЦК находит только, что парторганизации не сумели в должной мере правильно поставить антирелигиозную пропаганду среди этих масс и часто было допущено административное вмешательство и определенное давление на решения крестьянства, что в некоторых случаях закрытие церквей проводилось голосами верующих. Только в этих пределах были допущены ошибки, подлежащие в наше время исправлению»[54].

ასეთი იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრინციპული დამოკიდებულება რელიგიის საკითხებისადმი 1923 წლის სექტემბრისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის ოქტომბერში არჩეული შემადგენლობის ყველაზე დიდი „დამსახურება“

---

54 პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 490, ფურც. 7.

მაინც ის იყო, რომ იგი გადამჭრელ ზომებს იღებდა „მენშეევიკური და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების ლიკვიდაციისათვის“.[55]

ანტისაბჭოთა პარტიების სალიკვიდაციო მუშაობა ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობის არჩევამდეც დაიწყო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა 1922 წლის 17 თებერვალს დაადგინა: „წინადადება მიეცათ პარტკომებს საკუთარი პასუხისმგებლობით გაანთავისუფლონ ყველა მენშევიკი და მემარჯვენე ფედერალისტი 48 საათის განმავლობაში“[56]. 21 თებერვალს კი პრეზიდიუმმა მოიწონა საქართველოს საგანგებო კომისიის გეგმა, რომელიც ანტისაბჭოთა პარტიების წინააღმდეგ რეპრესიებს ეხებოდა.[57] 1922 წლის 26 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა სპეციალურად იმსჯელა „26 მაისთან დაკავშირებით ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობისა და მათთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“. პრეზიდიუმის დადგენილებაში ვკითხულობთ. „... ეს მომენტი ცნობილ იქნეს შესაფერისად ანტისაბჭოთა პარტიების წევრთა რუსეთში გადასასახლებლად და ეთხოვოს რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს პრინციპული თანხმობა მასზე“.[58]

მოსკოვიდან თანხმობა მიიღეს და დაიწყეს ბოლშევიკური რეჟიმის მოწინააღმდეგე ქართველ მოღვაწეთა (უმთავრესად მენშევიკების) დაპატიმრება, მათი რუსეთის საპყრობილეებში გაგზავნა. ყოველივე ეს კეთდებოდა ანტიბოლშევიკური ფრონტის შესუსტების მიზნით, მაგრამ არც ეს მიიჩნიეს საკმარისად. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტეს საქართველოშიც დაეწყოთ რუსეთსა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გაჩაღებული კამპანია, რაც „ანტისაბჭოთა პარტიების თვითლიკვიდაციის“ პროცესის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ კამპანიას დასაბამი მისცა რკპ (ბ) მეთორმეტე კონფერენციამ (1922 წლის აგვისტო), რომელმაც დასახა ესერებისა და მენშევიკების, როგორც პოლიტიკური პარტიების ლიკვიდაციის ამოცანა.

საქართველოში „ანტისაბჭოთა პარტიების თვითლიკვიდაციის“ პროცესი 1923 წლის დამდეგიდან დაიწყო. კომუნისტურ პრესაში ქვეყნდებოდა ანტისაბჭოთა პარტიების ცალკეულ წევრთა განცხადებები

---

[55] Второй съезд Коммунистических организации Закавказья, გვ. 22.

[56] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი, ფ. 14, საქ, 192, ფურც. 172.

[57] იქვე, ფურც. 198.

[58] იქვე, ფურც. 530.

საკუთარი პარტიიდან გასვლის შესახებ. დამახასიათებელია, რომ ასეთ განცხადებებს პოლიტპატიმრებიც აკეთებდნენ. საკუთარი პარტიიდან გამსვლელთა უმრავლესობა აცხადებდა, რომ გმობს თავის პარტიას, სტოვებს მას, დგება საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე და აქტიურად იმოღვაწეებს საბჭოთა ხელისუფლების საკეთილდღეოდ. ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები სტოვებდნენ საკუთარ პარტიას და საერთოდ ხელს იღებდნენ ყოველგვარ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე (ყოველ შემთხვევაში, სიტყვით ასე აცხადებდნენ). ზოგიც ურჩევდა საკუთარ პარტიას, საერთოდ ენა გამოენახა კომუნისტურ პარტიასთან.[59]

გამარჯვებულის როლში მყოფი კომუნისტური პარტია კი ადვილად როდი თანხმდებოდა სხვა პარტიებთან თანამშრომლობაზე. მან განსაზღვრა მისთვის მისაღები ერთადერთი გზა ანტიკომუნისტურ პარტიებთან თანამშრომლობისა — ამ პარტიების მიერ საკუთარი მსოფლმხედველობისა და ტაქტიკის სრული უარყოფა, მათი დაშლა.

პირველი იერიში მენშევიკურ პარტიაზე იქნა მიტანილი. ანტისაბჭოთა პარტიებს შორის, იგი ყველაზე მრავალრიცხოვანი და ძლიერი იყო. კომუნისტურ პარტიას ყველაზე მეტ სირთულეს სწორედ ეს პარტია უქმნიდა. მისი დაშლა უმთავრეს ამოცანად იქნა მიჩნეული. ცდილობდნენ ამ პროცესისათვის პარტიის თვითლიკვიდაციის სახე მიეცათ, რასაც თავიანთი განცხადებებით ანტისაბჭოთა პარტიების, კერძოდ, მენშევიკური პარტიის წევრებიც უწყობდნენ ხელს. მათი განცხადებები ბლომად იბეჭდებოდა პრესაში. პარტიას ზოგი შეგნებულად ტოვებდა, ზოგი დაშინებით, ზოგიც კარიერისტული მიზნებით. პარადოქსულია, მაგრამ ანტისაბჭოთა პარტიების „თვითლიკვიდაციის“ პროცესს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობდა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური თეზისები შეიმუშავა „მენშევიკური პარტიიდან გამოსულ წევრთა შორის სამუშაოდ“, რომლის თანახმად, ყოფილ სოციალ-დემოკრატებს ეკრძალებოდათ დამოუკიდებელი კრებების მოწვევა, „მუდმივი ბიუროების“ ან სხვა ორგანოების შექმნა. იქვე ნათქვამია, რომ ყოფილ სოციალ-დემოკრატთა კრებები შეიძლება მოწვეულ იქნეს მხოლოდ კომპარტიის საოლქო და სამაზრო კომიტეტების ნებართვით.

---

[59] იხ.: გაზ: „კომუნისტი“, 1923 წლის 25 მარტი.

ამასთან, სოციალ-დემოკრატიული პარტიის სალიკვიდაციო კონფერენციების ჩასატარებლად საინიციატივო ჯგუფის შექმნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სანქციით უნდა მომხდარიყო. თეზისებში პირდაპირ იყო ნათქვამი: კომუნისტური პარტიის „ძირითადი მახლობელი ამოცანაა სამაზრო კონფერენციების მოწვევა, რომლებმაც საძირკველი უნდა ჩაუყაროს სრულიად საქართველოს ყრილობის მოწვევას, რომელმაც ლიკვიდაცია უნდა უყოს მენშევიკურ პარტიას“.[60]

სოციალ-დემოკრატიული პარტიის სალიკვიდაციო კონფერენციები მთელს საქართველოში ჩატარდა. 1923 წლის აგვისტოში თბილისში ოფიციალურად გაიმართა სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობა, რომელმაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია დაშლილად გამოაცხადა. ამით დამთავრდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის „თვითლიკვიდაციის“ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი. პარტიიდან გავიდა 12000 კაცი. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავდა მენშევიკური პარტიის სრულ ლიკვიდაციას. მისი ნაწილი იატაკქვეშეთში განაგრძობდა მუშაობას, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობდა. იგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის სალიკვიდაციო კონფერენციებს „დამპყრობლების მიერ მოწვეულ ყალბ კონფერენციებად“ მიიჩნევდა. ამ კონფერენციებმა და „ნაძალადევმა ხელწერილებმა, — წერდა არალეგალური ცენტრალური კომიტეტის არალეგალური ორგანო „ჩვენი ერთობა“ თავის 1923 წლის აგვისტოს გამოშვებაში, — ფეხზე დააყენა ჩვენი ორგანიზაციები. ჩვენ ყველა ადგილებიდან მოგვდის მასობრივი ხელმოწერები, სადაც დაგმობილია ჯალათების ველურობა და დადასტურებულია ბრძოლის ხაზი, რომელიც აღებული აქვს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს... გარდა კოლექტიური ხელწერილებისა და რეზოლუციებისა, რედაქციას მოსდის მრავალი წერილი ცალკე პირებისაგან, უმთავრესად იმათგან, ვისაც ძალათ მოაწერინეს ხელი. წერილების ავტორნი სთხოვენ ამხანაგებს „ნუ ჩასთვლიან მათ მოღალატეებად და კვლავაც იგულონ მებრძოლებად“.[61]

---

60 პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 27, ფურც. 71.

61 სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საარქივო დოკუმენტების მიკროფირები, საქ. 1309.

არალეგალური ცენტრალური კომიტეტის დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ე. წ. თვითლიკვიდაციის კამპანიის დროს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცალკეულ რიგით წევრებს („მასას") ჩეკა „ძალით მიერეკებოდა კრებებზე და მუდამჟამს აშინებდა დაჭერებით".[62]

სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტი ვერ გატეხა რეპრესიებმა. იგი საქართველოს კომუნისტური პარტიის მიერ ჩატარებულ ნაძალადევ, ყალბ აქციად მიიჩნევდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის „თვითლიკვიდაციის" პროცესს და არ. ცნობდა მის შედეგებს.

საერთაშორისო რეზონანსი მიიღო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტის წინადადებამ, რომლითაც მან 1923 წლის ივლისში მიმართა საქართველოს. კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს, სოციალისტურ ინტერნაციონალს, ამსტერდამის პროფესიულ ინტერნაციონალს, კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტს. „1. შესდგეს თანასწორი რაოდენობით კომისია დასავლეთის კომუნისტებისა და სოციალისტებისაგან", — მოითხოვდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტი, „ამ კომისიამ გამოარკვიოს საქართველოში შექმნილი მდგომარეობა და ხალხის ნამდვილი სურვილი; 2. მოეწყოს რეფერენდუმი ან მუშებისა და გლეხების დაკითხვა, რომელთაც ხალხთა კონსტიტუციის ძალით არჩევის უფლება აქვს; 3. დაკითხვის დროს კენჭის ყრა უნდა იყოს ფარული. თუ კომუნისტების მხარეზე აღმოჩნდება ხალხის თუ გინდ ერთი მესამედიც, მენშევიკები ხელს იღებენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ყოველგვარ მოქმედებას. და აგიტაციაზე, როგორც საქართველოს საზღვრებში, ისე მის გარეთ, 4. კომისიამ აღგილობრივ უნდა გამოარკვიოს საბჭოთა ხელისუფლების აგენტების თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედებანი; 5. ამ ბოროტებათა შესახებ მსჯელობის გამოტანა დე მიენდოს მარტო დასავლეთის კომუნისტების წარმომადგენლებს; 6. თუ კომუნისტები არ მიიღებენ ხმების ერთ მესამედს, უნდა იქნას აქედან გაყვანილი რუსე-

---

[62] იხ. სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საარქივო დოკუმენტების მიკროფირები, საქ. 1309.

თის ჯარი და ხსენებული კომისიის თვალყურის გდებით მოწვეულ იქნას თავისუფლად არჩეული საბჭოების ყრილობა".[63]

როგორც ვხედავთ, არალეგალური ცენტრალური კომიტეტი 1923 წლის ივლისში ფაქტობრივად იმასვე მოითხოვდა, რაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის 1921 წლის 10 აპრილის რეზოლუციაში იყო დაფიქსირებული. წინადადების ავტორები შეუძლებელს მოითხოვდნენ. აშკარა იყო, რომ მათს სამართლიან მოთხოვნებს ანგარიშს არავინ გაუწევდა. კომუნისტები კი მათ აინუნშიც არ აგდებდნენ. გაზეთ „კომუნისტის" იმავე ნომერში, რომელშიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნული წინადადებები გამოქვეყნდა, ვკითხულობთ: „საბჭოთა ხელისუფლება ასეთი სასაცილო პრეტენზიების განსახილველად ვერ მოიცლის. ხალხის მტრებს ის სულ სხვა ენით ელაპარაკება — „რკინის" და „სისხლის ენით".[64]

და მართლაც, საქართველოში რუსეთიდან გადმონერგილი საბჭოთა ხელისუფლება მსოლოდ „რკინისა" და „სისხლის" ენით ელაპარაკებოდა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. ეს „ენა" ყველაზე ძვირად სოციალ-დემოკრატებს დაუჯდათ. ბოლშევიკური რეჟიმი მათ მიმართ იყენებდა სასჯელის ყველა ზომას: სამსახურიდან განთავისუფლება, დაპატიმრება, გადასახლება, დახვრეტა. რეპრესიებს ვერ ასცდნენ სოციალ-დემოკრატები „თვითლიკვიდაციის" კამპანიის დროსაც. ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელშიც გაშუქებულია საქართველოს საგანგებო კომისიის მუშაობა 1923 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე, ნათქვამია: „10 მაისს ჩატარდა რესპუბლიკური მასშტაბის მეორე ოპერაცია. აყვანილ იქნა 1198 კაცი, რომელთაგან 1000 კაცი განთავისუფლებულ იქნა კოლექტიური განცხადებით პრესის საშუალებით პარტიიდან გასვლის შესახებ".[65]

საქართველოს საგანგებო კომისია, ბუნებრივია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თანხმობით მუშაობდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა 1923

---

[63] გაზ. „კომუნისტი", 1923 წლის 27 ივლისი.

[64] იქვე.

[65] პოლიტიკური პარტიების არქივი, ფ. 14, აღწ. 2, საქ. 28, ფურც. 814.

წლის 27 მარტს დაადგინა: „დაევალოს ჩეკას გააგრძელოს და გააძლიეროს რეპრესიები ანტისაბჭოთა პარტიების მოღვაწეთა მიმართ“.[66]

ანტისაბჭოთა პარტიების „თვითლიკვიდაციის“ კამპანიის დროს, მენშევიკურ პარტიას, შიშით იყო, ადმინისტრირებით, თუ ნებაყოფლობით, საგრძნობი ნაწილი ჩამოშორდა. გაჩნდა ახალი პარტიული ფენა— ყოფილი მენშევიკები, რომლებთან ურთიერთობას სათანადო ადგილი უნდა დაეკავებინა კომუნისტური პარტიის იდეოლოგიურ მუშაობაში. 1923 წლის სექტემბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად იმსჯელა „მენშევიზმის ლიკვიდაციისა და კომპარტიის ამოცანების შესახებ“ და სათანადო დადგენილებაც მიიღო.[67] პლენუმის მიერ დამტკიცებულ თეზისებში დადასტურებული იყო მენშევიკური პარტიის ლიკვიდაცია და განსაზღვრული იყო ყოფილ მენშევიკებთან საქართველოს კომპარტიის მუშაობის ამოცანები. ყოფილ მენშევიკებს განსაკუთრებულ შემთხვევებში ეძლეოდათ კომპარტიაში შესვლის უფლება, დასაშვებად იყო მიჩნეული ყოფილი მენშევიკების გამოყენება საბჭოთა და პროფკავშირულ სამუშაოებზე. თეზისებში მითითებული იყო, რომ კომუნისტებს უნდა გაეძლიერებინათ იდეოლოგიური მუშაობა ისეთ ყოფილ მენშევიკებთან, რომლებსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ საბოლოოდ დაგმობილი მენშევიკური მრწამსი, როგორც ზოგად, ისე კერძო ხასიათის საკითხებში (დიქტატურა თუ დემოკრატია, დამოკიდებულება ტერორისადმი და ა. შ.)[68].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის სექტემბრის პლენუმმა სპეციალურად იმსჯელა აგრეთვე ეროვნული დემოკრატების, მემარცხენე ფედერალისტებისა და მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერების შესახებ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ერთ-ერთ მთავარ ანტისაბჭოურ ძალას წარმოადგენდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში ეროვნული დემოკრატები არ ამჟღავნებდნენ ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის სურვილს. ჯერ კიდევ 1921 წლის 15—16 მარტს ბათუმში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სამაზრო ორგა-

---

[66] პოლიტიკური პარტიების არქივი, ფ. 14, აღწ. 2, საქ. 492, ფურც. 20.

[67] იქვე, საქ. 490, ფურც. 8—9.

[68] იქვე, საქ. 491ა, ფურც. 8—10.

ნიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით დაადგინა, დაეშალათ პარტია, ხელი აეღოთ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, მონაწილეობა მიეღო ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ მშენებლობაში. აღნიშნული დადგენილება ეროვნულმა დემოკრატებმა გააცნეს ბათუმის დროებითი რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარეს სერგო ქავთარაძეს. მაგრამ შემდეგ პრესაში არ გამოქვეყნებულა.[69]

მიუხედავად ამ გადაწყვეტილებისა, ეროვნული დემოკრატები სულ მალე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში ჩადგნენ, სხვა არაკომუნისტურ პარტიებთან ერთად მონაწილეობდნენ ანტისაბჭოთა გამოსვლებში. მაგრამ 1923 წელს დაწყებულ ანტისაბჭოთა პარტიების „თვითლიკვიდაციის" პროცესს ვერც ეროვნულ-დემოკრატები ასცდნენ. 1923 წლის 3 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა შესაძლებლად მიიჩნია ეროვნულ-დემოკრატთა ერთი ჯგუფის დეკლარაციის გამოქვეყნება პრესაში.[70] იგი გაზეთ „კომუნისტის" 1923 წლის 8 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა. მასში ნათქვამია: „ჩვენ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები ვდგამთ გადამჭრელ ნაბიჯს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სრული ლიკვიდაციისაკენ კონფერენციის მოწვევის მიზნით".

ეროვნული დემოკრატების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის სექტემბრის პლენუმის ზემოაღნიშნულ დადგენილებაში ვკითხულობთ:

«1. Во всех официальных выступлениях считать, что партия национал-демократов распущена самым фактом опубликования декларации бывшего ЦК НД.

2. Не созывать ни местных (районных, или уездных), ни всегрузинской конференции для ликвидации этой партии.

3. Не препятствовать созыву по одному разу на местах и в Тифлисе общих собраний бывших национал-демократов, причем собрания должны проходить под строгим контролем и руководством наших парторганизаций.

---

69 იხ. გ. ჯანგველაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903—1923 წწ.), თბ., 1974, გვ. 377.

70 პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 530, ფურც. 377.

4. После общих собраний все организационные бюро и инициативные группы на местах и в центре распустить.

5. Парторганизациям использовать все возможности для вовлечения всех бывших национал-демократов в борьбу с теми, кто остался еще в партии национал-демократов... Применять к ним меры репрессии так же, как и к членам национал-демократической партии»[71].

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი საგანგებო კომისიამ დააპატიმრა. მის ნაცვლად ამ პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტი მოქმედებდა. შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაპატიმრებული ცენტრალური კომიტეტი საყურობილიდან გამოუშვეს და მასვე ჩაატარებინეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სალიკვიდაციო ყრილობა.

დადგენილებაში „მემარცხენე ფედერალისტების შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის სექტემბრის პლენუმმა აღნიშნა: «1. Центральный комитет считает необходимым и своевременным в настоящий момент приступить к ликвидации партии левых федералистов.

2. Эта ликвидация должна итти в направлении: а) возобновления и усиления идейной борьбы нашей партии с левыми федералистами, при одновременном усилении репрессий по отношению к правым федералистам; б) убеждения и склонения руководителей левых федералистов к тому, чтобы они сами взяли инициативу самоликвидации партии путем созыва конференции на местах, где организации имеются, а также и всегрузинской конференции.

3. Руководство делом ликвидации партии должен взять на себя Главный комитет партии левых федералистов, который должен работать под контролем представителей нашей партии.

4. После ликвидации партии и роспуска всех организаций левых федералистов признать возможным принять в нашу партию из них только тех руководителей — рабочих и интеллигентов одиночек, которые еще до советизации Грузии вели борьбу с правыми элементами партии и теперь целиком разделяют программу и тактику нашей партии.

Отдельных левых федералистов использовать на советской работе.

---

71 პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 490, ფურც. 8.

5. Признать возможным до окончательной самоликвидации партии левых федералистов сохранение их органа «Трибуна» при условии контроля со стороны представителей нашей партии при том непременном условии, что руководители партии согласятся с предложениями ЦК.

6. При проведении самоликвидации признать совершенно недопустимым применение со стороны наших парторганизаций каких-либо репрессивных мер или воздействия по отношению к левым федералистам»[72].

ამ პლენუმმა ფაქტობრივად გადაწყვიტა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ბედი. ამ პარტიის მთავარმა კომიტეტმა 1923 წლის 8 ნოემბერს მოიწვია პარტიის მეორე ყრილობა, რომელმაც მიიღო დადგენილება კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანების შესახებ.

როგორც ითქვა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის სექტემბრის პლენუმმა სპეციალური დადგენილება მიიღო მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის შესახებაც. მასში ნათქვამია: «ЦК констатирует, что партия левых социалистов-революционеров не существует и предлагает всем парторганизациям не считаться с заявлениями отдельных лиц, если таковые будут подаваться»[73].

მემარცხენე სოციალ-ფედერალისტებისაგან განსხვავებით, ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ, კერძოდ, მენშევიკებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა და სხვებმა, „თვითლიკვიდაციის" მიუხედავად, არალეგალური ცენტრალური კომიტეტები შექმნეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის 15—18 დეკემბრის გაფართოებულმა პლენუმმა სპეციალურად იმსჯელა „მენშევიკთა არალეგალური ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ". პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია: «Грузменьшевизм за последние годы претерпел резкое перерождение в своей социально-классовой природе. Ни в какой мере он не может рассматриваться как партия рабочего класса. Объективно он представляет теперь политическую организацию исключитель-

---

[72] პოლიტიკური პარტიების არქივი, (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1; საქ. 490, ფურც. 9.

[73] იქვე.

но буржуазных и полубуржуазных элементов населения Грузии: городского мещанства, националистической интеллигенции, торговой, спекулянтской буржуазии. Грузменьшевизм сознательно смотрит на себя не как на классовую организацию рабочих и крестьян, а как организацию национальную с единственной программой борьбы за свержение советской власти и восстановление буржуазного строя.

Реакционно перерожденный грузменьшевизм, как метод борьбы с советским строем, практикует авантюризм, вплоть до политической и технической связи с уголовным бандитизмом внутри, и домогательствами иностранной империалистической интервенции во вне»[74].

პლენუმმა ასეთი ამოცანა დასახა: «...Не дать оформиться организациям меньшевиков, продолжая применение к ним решительных репрессивных мер, каковые меры, как и раньше, должны быть дополнением к общей интенсивной политической работе среди беспартийных рабоче-крестьянских масс и созидательному советскому хозяйственному строительству»[75].

ამავე დადგენილებით ფილიპე მახარაძესა და მამია ორახელაშვილს დაევალათ დაეწერათ ბროშურები მენშევიკების შესახებ. ფილიპე მახარაძეს, მიხა ცხაკაიას, ნიკო კიკნაძეს და მამია ორახელაშვილს სახელდახელოდ უნდა გამოექვეყნებინათ საგაზეთო სტატიები 1923 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პოპულარიზაციის მიზნით.[76]

გაფართოებულმა პლენუმმა მოისმინა სპეციალური ინფორმაცია ყოფილ მენშევიკთა შორის მუშაობის შესახებ. ლაპარაკი იყო იმაზე, თუ რა წესით მიიღონ ყოფილი მენშევიკები კომუნისტურ პარტიაში. გარკვეულ შემთხვევებში, ყოფილ მუშა მენშევიკებისთვის აწესებდნენ შელავათს — კომუნისტურ პარტიაში მიიღებდნენ საკანდიდატო სტაჟის გავლის გარეშე. ჩვეულებრივ კი მათ საერთო წესით იღებდნენ

---

74. პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 490, ფურც. 13.

75 იქვე.

76 იქვე.

კომუნისტურ პარტიაში. გარკვეული ამოცანები დაუსახეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ყოფილ მენშევიკთა შორის მუშაობის კომისიას. მაზრებში ყოფილ მენშევიკთა შორის მუშაობისათვის უნდა ეხელმძღვანელათ თვით ყოფილ მენშევიკთა იმ წარმომადგენლებს, რომლებიც უკვე კომპარტიაში იყვნენ გაერთიანებული. პლენუმმა მიზანშეწონილად მიიჩნია მიეღოთ ზომები მაზრებში ყოფილ მენშევიკთა ორგანოს „სიმართლის ხმის" ფართოდ გავრცელებისათვის.[77]

საქართველოს ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების „თვითლიკვიდაციის" პროცესი 1923 წლის შემოდგომამდე გრძელდებოდა. პოლიტიკური პარტიების „თვითლიკვიდაციასთან" ერთად, დაშლილად ცხადდებოდა ამ პარტიათა ახალგაზრდული ორგანიზაციები, კერძოდ, „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია", ახალგაზრდა ეროვნული დემოკრატების, ახალგაზრდა მემარჯვენე და მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციები. აღსანიშნავია, რომ ანტისაბჭოთა პარტიების „თვითლიკვიდაციის" პროცესს უშუალოდ წარმართავდა საქართველოს კომუნისტური პარტია, ამიტომაც პოლიტიკური პარტიები არ ცნობდნენ „თვითლიკვიდაციის" კამპანიის შედეგებს და განაგრძობდნენ არალეგალურ საქმიანობას. თუმცა ისიც ფაქტი იყო, რომ „თვითლიკვიდაციის" პროცესში პოლიტიკურ პარტიებს წევრთა საგრძნობი ნაწილი ჩამოშორდა.[78] ამან საბჭოთა ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის გარკვეული თვითდამშვიდება გამოიწვია. მიიჩნიეს, რომ ანტისაბჭოთა პარტიებს, კერძოდ, მენშევიკებს, ნიადაგი გამოეცალათ საქართველოში. ასე ფიქრობდა თვით ლ. დ. ტროცკიც ერთ-ერთ გამოცემაში, რომელიც საქართველოს კომპარტიის III ყრილობის (1924 წლის მაისი) დელეგატებს დაურიგდათ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბესო ლომინაძე წერდა: «Троцкий, бывший недавно в Тифлисе, так определил положение в Грузии: «В 22-м году Сталин мне говорил «нужно перепахать Грузию вдоль и поперек, чтобы уничтожить в ней влияние меньшевизма». Теперь эту работу можно

---

[77] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), აღწ. 1, საქ. 490, ფურც. 14.

[78] დაწერილებით არაკომუნისტური, კერძოდ, სოციალისტური პარტიების „თვითლიკვიდაციის" შესახებ იხ. ნ. ჯორჯიკიას დასახ. ნაშრ. გვ. 93—107.

считать законченной. Грузия в достаточной мере перепахана, чтобы в ней мог еще держаться меньшевизм»[79],

მცდარი აღმოჩნდა ეს აზრი. არაკომუნისტური პარტიების „თვითლიკვიდაციის“ მიუხედავად, ანტისაბჭოთა ძალების, კერძოდ მენშევიკების, გავლენა ჯერ კიდევ ძლიერი იყო საქართველოში. მათ ხელი არ აუღიათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე. ეს ნათლად დაადასტურეს 1924 წლის აგვისტოს ამბებმა.

---

[79] Материалы к политическому отчету ЦК КПГ к II съезду КПГ только для членов съезда), თბილისი, 1924, გვ. 5.

პირთა საძიებელი*

აგნიევი, 305
ათა თურქი (ქემალ ფაშა), 187, 261
აივაზოვი ნ. 302
აკირტავა ნ. 66, 77
აკოპიანი ა. 32
ალექსი (ეგზარქოსი), 59
ალილუევა ნ. 346
ამბროსი (პატრიარქი), 369, 370
ანჩაბაძე ზ. 115
ანჯაფარიძე გ. 392
არაგვისპირელი შ. 32
არუსტანოვი, 263
აღა-მადი-ოღლი ს. ა. 215, 232, 237, 238
აფანასიევა ა. 222
აღნიაშვილი ლ. 322, 326
აღნიაშვილი პ. 66
ახმეტელაშვილი სტ. 334
აჯბა ხაჯიბ, 64

ბარნოვი ვ. 32
ბარტუ, 367
ბაჩანა, 32
ბახუტოვი, 204
ბეკზადიანი, 98, 123
ბელენკი, 250, 348
ბერია ლ. 82, 330
ბოლქვაძე ი. ბ. 139, 222
ბოტა, 367
ბრაიტმანი, 304
ბრანტინგი, 367
ბროცკი, 305
ბუნიათ-ზადე, 34, 150
ბუხარინი ნ. ი. 261, 275, 276, 278—280, 285, 286, 289—291, 293—300, 312, 355

ბაბაშვილი ეკ. 32
გამახარია ჯ. 65, 75, 82
გამბაროვი, 305
განეცკი ი. 111
გაჯიევი მ. 105
გაჯინსკი, 98
გეგელია, 303
გეგეჭკორი ევგ. 10
გეგეჭკორი ა. 44, 57, 162, 189—191, 222, 268, 281, 284, 288, 289, 301, 305, 306, 391, 395
გეგიაძე, 394
გვათუა ავქ. 394
გინზბურგი, 205
გიორგაძე ა. 162
გლიასერი მ. ი. 326, 329, 346, 349, 350, 351, 353, 354, 356
გოგია ბ. 222, 288, 306
გოგოლაძე ა. 392
გოგუა კალ. 169
გოგუაძე ალ. 394
გოგუაძე ს. 394
გოიხბარგი ა. გ. 16, 17
გოლიცინი, 59
გორბუნოვი ნ. პ. 326, 329, 346, 347, 349, 350, 354

---

*შემდგენელი ა. კაჭარავა

გორგასლიძე, 304
გურული ზ. 169, 398
გუსეინოვი, 98

ღადიანი შ. 32
დალაქიშვილი ლ. 115
დგებუაძე ალ. 169, 392
დეედარიანი გ. 162, 223
დენიკინი, 60, 63, 84
დიოგენი, 386
დიუბეკი, 50
დოლიძე თ. 288, 301
დუმბაძე ე. 140, 146, 151
დუმბაძე ლ. 57, 222, 232, 249, 250, 252, 265, 268, 275, 281, 284, 287, 290, 293, 305, 306

ეგოროვი ა. ი. 39, 40, 41, 76
ევდოშვილი ირ. 32
ელიავა შ. 12, 13, 24, 33, 56, 57, 69, 76, 91, 92, 100, 104, 111, 137, 139—142: 144, 158, 162, 171, 222, 231, 272, 281, 284, 288, 289, 293, 305, 306, 383, 396
ელისაბედაშვილი გ. 23; 24, 28
ემხუარი არ. 60
ენუქიძე აბ. 57, 109, 110, 199, 223, 275—278; 312, 313
ენფინჯიანცი, 50
ერისთავი—ხოშტარია ან. 32
ერქომაიშვილი, 305
ესაიაშვილი ვ. 16
ეშბა ეფ. 57, 66, 68, 69, 75, 76, 80, 222, 262, 266, 268, 275, 281, 284, 287, 290, 292, 305

ჟანდერველდე, 178
ვაჟა-ფშაველა, 32
ვარამაშვილი მ. 302, 304
ვაშაძე, 223, 305
ვაცეკი ი. 162
ვედენბაუმი ე. გ. 59
ვეშაპელი გ. 366
ვლადიმირსკი ბ. ფ. 123
ვოლოდიჩევა მ. ა. 346, 355, 356, 359

ზინოვიევი გ. ე. 24, 122, 244, 255, 314, 335, 341, 354, 355, 359

თათეიშვილი, 303
თალაკვაძე, 223
თაქთაქიშვილი, 288
თვარაძე ენ. 115
თოდრია ს. 40, 57, 97, 105, 202, 203, 222, 281, 284, 290, 305, 306, 391
თუმანიანი ო. 32
თუმანოვი ს. 57

იანსონი ლ. თ. 215, 237
ივანოვი ვ. 65
ივანოვსკი, 323
იუსუპოვი ა. რ. 109

კავკაზსკი ი. 306
კაკაბაძე კ. 57, 282, 284, 287, 304, 305, 307, 329, 331, 332, 354
კაკუბავა რ. ა. 63
კალანდაძე თ. 222, 223, 305, 306
კალინინი მ. ი. 122, 169, 255, 258, 311, 314
კამენევი ლ. ბ. 176, 203, 212, 241—250; 253—256; 258, 261, 269, 270, 271, 275, 276, 278—280: 285, 286, 289—291; 293, 300, 306, 312, 314, 320, 355, 358—360, 362, 395
კამბუსკასი, 313, 314
კანდელაკი, 104
კარახანი დ. მ. 212
კარტოზია ს. 77
კაუცკი კ. 178
კაჭარავა ი. 118, 145
კახიანი მიხ. 44, 57, 162, 223, 263, 288, 289, 293, 305, 306, 395

კვანტალიანი, 330
კვარაცხელია, 223
კვირიკაძე არ. 262
კვირკველია ბ. 24, 93, 94, 223, 262, 305
კიკნაძე ნ. 317, 408
კიროვი ს. მ. 64, 65, 75, 97, 99, 101, 145, 149, 160, 162, 171, 217, 218, 223, 233, 234, 259, 310, 391
კლდიაშვილი დ. 32
კობახიძე ა. 327, 328, 333, 334, 336, 389, 354
კოჩეტკოვი, 288
კრესტინსკი ნ. ნ. 212
კრუპსკაია ნ. 294, 358, 359, 360
კუიბიშევი ვ. ვ. 176, 203, 215, 237, 240, 355, 362, 395
კულიჩენკო მ. ი. 223, 224
კურსკი დ. ი. 212
კურულოვი, 305
კუხალეიშვილი ს. 75

ლაკობა ნ. 57, 66, 69, 74, 79, 80
ლალაევა ა. 44
ლევრანი, 75, 318
ლედორი, 324
ლეკიშვილი ს. 13
ლენინი ვ. ი. 13, 14, 16—18; 33—37; 55, 66—69: 81, 82, 105, 108, 110, 111, 118, 120—122; 125, 127—134; 145, 149, 160, 172, 173, 175, 179, 182, 201, 203, 211, 217, 218, 225, 229, 230—234; 236—251; 253—257; 259—261; 264, 267, 270, 271, 275, 278—280; 283, 286, 287, 289—292: 296, 297, 300, 306—309; 313—315; 320, 325—327; 329, 331, 333—340; 344—354: 356, 359—362; 395
ლექვინაძე, 394
ლისოვსკი, 139
ლომაშვილი ფ. 115
ლომინაძე ბ. 177, 275, 287—289; 292, 305, 306, 395, 409
ლომოური ნ. 32
ლორთქიფანიძე გრ. 95, 96, 109, 288
ლუკაშინი ს. დ. 220

მაზნიაშვილი გ. 109
მათიკაშვილი, 303
მაკდონალდი რამზეთ, 178, 179
მამულია ს. 57, 162, 288
მანელიშვილი ალ. 96, 97
მანთაშოვი, 199
მანუილსკი დ. 215—217: 236, 314, 327
მანუილოვსკი, 314
მანუჩარიანცი შ. მ. 346, 352
მარი, 72
მარკოვი, 76
მარშანია დ. 64
მასლოვი, 84
მაჭარაძე კ. 273
მახარაძე ფ. 14—20; 22, 24, 38, 54, 57, 103—105; 137, 138, 153, 162, 171, 182, 186, 188, 190—192; 196, 197, 202, 222, 231, 262, 265, 267, 268, 274, 275, 281, 284—287: 290—297; 299, 302—308; 318, 321, 326, 327, 332, 333, 341—344; 355, 356, 361, 391, 392, 395, 408
მახარაძე დ. 303, 304
მგელაძე ელ. 9; 10, 363, 393
მგალობლიშვილი ს. 32
მდივანი ბუდუ, 19, 22, 40, 76, 103—105; 107, 117, 136—148; 150, 152, 153, 171, 186, 195, 197, 201, 203, 215, 217, 222, 224, 232, 236—239; 243, 245, 247, 250, 252, 259, 260, 262, 265, 267, 276, 279, 291, 293, 294—297; 302, 305, 308, 314, 315,

318, 332, 341—344; 354—356, 361, 365, 366, 391, 393
მეგრელი დუტუ, 32
მელხესტი, 114
მესხი სერ. 32
მიასნიკოვი ალ. 98, 105, 123, 124, 137, 160, 162, 171, 202, 215, 232—234: 237, 249, 250, 252—254; 260, 264, 267, 272, 284, 310, 332, 361, 391
მინდიანი, 90
მიროტაძე დ. 222
მირონოვი, 76, 323
მიქელაძე დ. 273
მიცკიავიჩუსი ვ. ს. 313, 314
მნაცაკანიანი ა. ნ. 124
მოგილევსკი ს. 162, 330
მოლოტოვი ვ. მ. (სკრიაბინი), 122, 125, 126, 133, 160, 237, 249, 253—255; 260, 342
მრაველიანი, 75, 102, 152
მუზიკანტსკი, 65
მურადიანი ვ. 98
მღვიმელი შიო, 32

ნაზარეტიანი პამაიაკ, 19, 20, 24, 57, 74—76; 139, 146, 156, 236, 240, 353
ნარიმანოვი ნარიმან, 27, 34, 105, 162, 296
ნასარიძე დ. 222
ნენაროკოვი ა. მ. 252
ნინიძე კ. 376
ნუცუბიძე შ. 377

ოდილავაძე, 151, 204, 205, 304, 305, 317
ოკუჯავა მიხ. 40, 139—143; 186, 188, 191, 192, 222, 232, 249, 250, 252, 262, 265, 267, 268, 274, 275, 281, 284, 287, 290, 295, 305—307: 391

ოკუჯავა ნ. 44, 104, 223, 305, 307, 329—331; 354
ორახელაშვილი მარიამ, 104, 162
ორახელაშვილი მამია, 13, 20, 24, 44, 50, 52, 57, 92, 100, 101, 103, 104, 109, 123, 127, 128, 139—142; 146, 160, 162, 164, 171, 181, 186, 190, 191, 222, 268, 270, 272, 278, 281, 284, 285, 287—289; 293; 301, 302, 305, 306, 314—317; 319, 333, 390, 391, 396, 408
ორჯონიკიძე გ. კ. (სერგო), 12, 13, 18—20: 22, 23, 33—36; 38—41; 50, 56, 57, 64, 75, 79, 100, 107, 117, 119, 124—127; 130, 137, 139, 142, 143, 145, 147—150, 156, 160, 162, 163, 172, 176, 181, 186, 191—193; 196, 197, 201—203; 215, 217, 218, 223, 232, 234, 237, 244, 249, 252—254, 256, 260, 261, 263, 264, 267, 272, 274—287: 291, 292, 294—299; 302, 304—310; 314—316: 318, 319, 321, 326—333; 335—340; 343, 354—357; 361, 362; 383, 391, 397
ოქუაშვილი არაქელა, 23, 57, 223

პეტროსკი გ. ი. 215, 232, 236, 238, 240, 269
პიატკოვი გ. ლ. 258
პლეხანოვი გ. ვ. 333
პოპოვი პ. ი. 130

ჭვანია გ. 176, 262, 294
ელობა, 383
ეორდანია ნოე, 10, 12, 363—367
ეურაველიოვი, გ. ვ. 22
ეღენტი თ. 54

რაზმაძე სეით, 394
რაკოსკი ს. გ. 212, 215, 216, 232, 236, 240
რამიშვილი ის. 63, 301, 392, 394
რასულ-ზადე, 98
რიკოვი ა. ი. 212, 245, 255, 258, 281, 282, 328—330; 347, 348, 354
რუბენ, 306

საბაშვილი პ. 222, 231, 262, 268, 275, 281, 284, 288—290; 305, 306, 391
საფაროვი, 331
საღარია ბ. ე. 82
საჯაია ა. 65
სეილანოვი, 50
სერებრიაკოვი, 192, 193
სერებრიაკოვსკი, 34
სერებროვსკი ა. პ. 130
სვანიძე ალ. 19, 57, 97, 102, 105, 109, 202, 223, 282, 305
სვერდლოვი ვ. 65
სიხარულიძე ვიკ. 304
სკლიანსკი ე. მ. 212
სოკოლნიკოვი ა. 201, 214, 223, 232, 236
სოკოლნიკოვი გ. ი. 215, 237, 242, 252
სოლცი ა. ა. 353, 354
სოსნოვსკი ლ. ს. 313, 314
სტალინი ი. ბ. 17, 18, 20, 23, 35—38; 41, 56, 66—69; 82, 85, 102, 120, 122, 123, 125, 127, 132—134; 136, 137, 144—149; 153, 156, 160, 172, 176, 193—195; 197, 207, 208, 213—218; 221, 223, 224, 231—234: 237—246; 248, 249, 252—261: 264, 267, 272—275; 278—280; 283—287; 290, 291, 297—299; 305, 310—313; 317, 320, 321, 327, 328, 335—338; 340—342; 344, 345, 347, 348, 350, 353—356; 358—362; 392, 409
სტურუა ივ. 57, 162, 288, 289, 299, 303, 396
სულთან-ზადე (მიქაელიანი), 129
სუხიტაშვილი დ. პ. 222
სუხიშვილი ვ. 396

ტალახაძე, 375
ტოროშელიძე მ. 57, 69, 140, 222, 268, 284, 290, 305, 306, 333, 342
ტროცკი ლ. დ. 122, 255, 314, 355—358: 360, 409

ულიანოვა მ. ი. 246, 359
ურკარტი ლ. 256

ფაიკი ო. 98
ფაღავა გ. 392
ფერსტერი, 350
ფიგატნერი, 75, 76, 104
ფირცხალავა, 289
ფლაქსერმანი ს. ა. 346, 348
ფომინი ვ. ვ. 17
ფოტიევა ლ. ა. 233, 326, 329, 333, 345, 346, 348—354
ფრუმკინი მ. ი. 136
ფრუნზე მ. ვ. 139, 220, 311
ფუკსი ვ. 198
ფუტკარაძე ი. 86

ქავთარაძე ს. 38, 57, 69, 77, 104, 137, 139—143, 146, 162, 171, 190, 261, 262, 264, 267, 268, 274, 275, 276, 281, 284, 290, 293, 294, 297, 304, 305, 306, 319, 320, 321, 333, 341—344
ქართველიშვილი ლ. 395
ქიაზიმ-ბექირ-ფაშა, 111
ქიქოძე გ. 32

ღამბაროვი, 139, 282
ღლონტი თ. 47, 50, 57, 163, 377, 381
ღოღობერიძე ლ. 44, 76, 104, 139, 140, 162, 223

ყარალაშვილი მ. ს. 222
ყიფიანი კ. 32
ყურულაშვილი გ. 44, 50, 57, 395
ყურულოვი, 288, 289

შავრინი, 75
შანცერი, 364, 365, 367
შახტატინსკი ბ. 121, 122, 123
შევალიე ი. 198
შეინმანი ა. ლ. 106
შელია კ. 105
შერვაშიძე ალ. 63
შერვაშიძე ვ. 60, 62
შიბაევი, 199
შურღალაშვილი, 146

ჩერეიაკოვი ა. გ. 215, 237, 238
ჩიჩელაშვილი, 301
ჩიჩერინი გ. ვ. 69, 106—108; 123, 125, 258, 365, 366
ჩიხლაძე, 223, 262
ჩოდრიშვილი მიხ. 57, 162
ჩხეიძე, 223
ჩხენკელი აკ. 368, 369

ცაგურია მ. 65
ცინცაძე კ. 57, 104, 139, 146, 171, 186, 189, 201, 222, 231, 250, 251, 252, 262, 264, 265, 267, 268, 274, 275, 279—281; 284, 285, 287, 289, 290, 292, 293, 305, 306, 322, 326, 333, 341, 342, 343
ცინცაძე ვიკ. 303
ცინცაძე მოსე, 303
ცხაკაია მიხ. 12, 23, 57, 129, 162, 223, 262, 288, 289, 299, 310, 396, 408

ძამანაშვილი მ. 273
ძერჟინსკი ფ. ე. 40, 312, 313, 315, 317, 319, 320, 321, 324—340; 344, 345, 348—351; 353, 356, 360—362

წივწივაძე ილ. 305, 306
წითლიძე არ. 394
წულუკიძე, 223

ჭავჭავაძე ილ. 32, 182, 227
ჭანკიევი, 302
ჭიჭინაძე პ. 394
ჭუმბურიძე კ. 329

ხარმანდარიანი ს. კ. 98, 122, 133, 205, 219, 262, 277, 278, 284, 290, 307, 308, 321
ხანოიანი, 288
ხახუტაიშვილი დ. 84, 85
ხიმშიაშვილი თ. 57
ხოჭოლავა მ. 376
ხოჯაევი ა. (ხორეზმი), 215, 237
ხოჯაევი ფ. 237
ხრუცკი, 323, 324
ხუნდაძე ს. 47, 55, 57
ხუტულაშვილი, 305

ჯავახიშვილი ივ. 371
ჯათიევი ალ. 57, 92
ჯანგველაძე გ. 405
ჯელალ-ოღლი-ვერგერი, 102
ჯიბლაძე სილ. 394
ჯიბლაძე ვლ. 169
ჯიქია ვ. 38, 39
ჯორჯი ლოიდ, 367
ჯორჯიკია ნ. 371, 374, 380, 389, 409
ჯუღელი, 223

ჰიუსმანსი, 178

გეოგრაფიული

ადიღე, 72
ავსტრალია, 244
აზია, 165, 244, 245, 255, 256
აზერბაიჯანი, 8, 34, 35, 77—79; 81, 82, 96, 98—101: 105, 106, 111—114, 121, 123, 127, 129—131; 134, 135, 148, 152, 154, 156, 160, 162, 164, 166, 168—170, 173—175, 186, 187, 189, 193—195; 199, 219, 220, 231, 236, 241, 242, 253—256; 258, 264, 266, 271, 277, 295
აკეთი, 394
ალავერდი, 96
ამერიკა, 199: 244
ამიერკავკასია, 6, 40, 41, 49, 54, 55, 76—78; 81, 82, 88, 97, 98, 100—102; 111, 113—149: 157—177: 179—182; 185, 186, 194, 195, 200, 204, 205, 211, 214, 217, 221, 227, 229, 231, 234, 238, 239, 244, 253 — 260; 262, 263, 265—274, 278, 281—287; 295, 296, 299, 300, 302, 304—312; 314—318; 322—324: 326, 337, 340, 342, 343, 350, 351, 354, 360, 361
ამსტერდამი, 402
არდაგანი (ართვინი, არტაანი), 106, 113, 114, 385
არჯევანის ქედი, 99
აფხაზეთი, 17, 57—82; 88, 89, 95, 188, 384, 385, 387
აშშ, 136
აჭარა, 22, 53, 57, 78, 83—86; 89
ახალი ათონი, 196
ახალქალაქი, 99, 102—104; 169, 183, 380
ახალციხე, 183, 187, 386

ბათუმი, 17, 24, 34, 44, 53, 54, 68, 85, 106, 107, 109—112; 130, 131, 143, 154, 187—189: 192, 194, 198—201; 214, 250, 300, 323, 324, 328, 384, 391, 404, 405
ბაქო, 125, 130, 161, 170, 175, 187, 198, 199, 200, 259; 293
ბაშკირეთი, 72, 123
ბელგია, 363, 366
ბელორუსია, 165—167; 172, 174, 176, 214, 219, 220, 236, 241, 253, 254, 257, 258, 260, 263, 266, 268, 269, 312,
ბერლინი, 106, 179, 366,
ბორჩალო, 114, 183, 386,
ბორჩხა, 114
ბრიტანეთი, 198—200; 364, 367
ბურიატ-მონღოლეთი, 72
ბუხარა, 129, 236

ბაგრა, 61, 65, 96
გარეჯი, 114
გენუა, 19, 55, 364, 370
გორი, 57, 95, 183

გორკი, 231
გურია, 300, 394

დავით-გარეჯი, 96
დაღესტანი, 72, 81, 122
დონი, 71, 72, 165
დუშეთი, 89, 95, 144

ევროპა, 36, 174, 178, 244, 245, 255, 256, 363; 365, 366, 376 394
ეკატერინოდარი (კრასნოდარი), 63
ელდარი, 114
ერევანი, 123, 124, 205, 220, 224
ერზერუმი, 108
ერმოლოვკა (ლესელიძე), 115
ერუშეთი, 96
ესტლანდია (ესტონეთი), 129, 130

ვენა, 178
ვიატკა, 71
ვოლგისპირეთი, 72, 180, 183, 196
ვორონცოვ-ლორე, 114
ვოტი, 72

ზანგეზური, 169
ზაქათალა, 100, 106, 114, 169
ზემო ნიქოზი, 93
ზემო ხვითი, 93
ზუგდიდი, 57

თათრეთი, 72, 123, 249
თბილისი, 9, 12, 18, 24, 25, 28, 33, 37, 44, 45, 47—54; 57, 65, 96, 97, 114, 124, 138, 145, 158, 160, 175, 182, 183, 194—196; 205, 214, 244, 261, 266—270; 277, 278, 280, 284, 286, 292, 294; 300, 305, 309, 318—324, 328, 333, 340, 343, 348, 354, 366, 368
თელავი, 303, 304
თერგის ოლქი, 180
თურქეთი, 22, 63, 67, 83—85; 97, 106—117; 122, 124, 153, 165, 166, 187, 214, 262, 384
თურქესტანი (თურქმენეთი), 72, 123, 172, 175, 187, 249, 355

იაკუტია, 72
იაპონია, 364, 367
ინგლისი, 36, 106, 107, 122, 136, 178, 198, 199
იტალია, 364, 367

კავკასია, 15, 16, 18, 22, 37, 39, 40, 41, 42, 59, 61, 69, 71, 78, 89, 107, 117, 119, 122, 123, 124, 129, 130, 148, 149, 150, 153, 156, 157, 165, 184, 185, 186, 187, 192, 194, 195, 299, 308, 322, 335, 337, 341, 352, 357, 364, 365, 366
კავკავი, 188
კაზახი, 100
კანი, 364, 366, 368
კარელია, 72
კასრანი, 90
კახეთი, 394
კონსტანტინოპოლი, 62, 107, 111, 113, 192

ლაგოდეხი, 196
ლატვია, 111, 129, 130
ლეჩხუმი, 89, 304, 364
ლიტვა, 313
ლოკ-ლალვარი, 114
ლორე, 100, 101, 102, 103, 105, 106, 169

მაკრიალი, 114
მანგლისი, 196
მაჯახელა, 114

მესოპოტამია, 187
მთის რესპუბლიკა, 72, 81, 122
მოლითი, 99
მონასტერი (სოფ.), 90
მოსკოვი, 13, 14, 17—19; 22, 32, 37—40; 68, 71, 95, 96, 98, 106, 108, 109, 113, 126, 127, 151, 153, 165, 168, 185, 192, 201, 205, 213, 217, 235, 236, 239, 249, 260, 265, 267—269: 275, 278, 281, 284, 286, 290, 293, 296, 297, 314, 318—320; 328, 331, 333, 348, 368, 369, 385, 395, 399
მოწამეთა, 397

ნალჩიკი, 392
ნახიჭევანი, 78, 112, 169
ნოეოროსიისკი, 17, 188

ოზურგეთი, 57, 301
ოირატი, 72
ოლთისი, 98
ორენბურგი, 71
ოსმალეთი, 183, 385

პარიზი, 118, 365, 367
პეტროგრადი, 71, 72, 275
პილენკოეო (განთიადი, აფხაზეთი), 114, 115
პოლონეთი, 129, 130, 167, 364, 367

ჟ —

რაჭა, 95, 89, 364
როსტოვი, 17, 185, 188, 323
რუმინეთი, 129, 130, 138, 167, 364
რუსეთი, 6—12; 15—18: 20—22, 25, 28, 32—34; 36, 37, 40, 41, 42, 45, 52, 56, 58, 59, 60, 64—67; 71—76: 79, 81—84; 87, 88, 95, 98, 106—111; 114—119; 121—126; 135, 136, 145, 148, 154, 155, 161, 162, 166, 167, 168, 170, 172—174; 176, 178, 179, 180, 183, 185, 187, 189, 199, 201, 204—213; 215, 218, 220, 221, 225, 226, 227, 230, 234, 238, 239, 241—244; 248, 250, 253—255; 257, 261, 265, 277, 299, 308, 310, 317—319; 322—327; 332—336: 338, 341, 346, 347, 363—369; 374, 378, 384, 385, 387, 389, 392, 394, 399, 402, 403,

საბერძნეთი, 187, 189
სამარა, 323, 324
სამაჩაბლო, 87
სამეგრელო, 89, 394,
სამხრეთ ოსეთი, 57, 58, 77, 78, 86, 89—92; 94, 95, 384, 386
სარიყამიში, 98
სარფი, 115
საფალავანდო, 87
საფრანგეთი, 214, 364, 366, 392
საქართველო, 6—9; 11—50: 52—58; 60—97; 99—121; 124, 127, 129—133; 135—140, 143—148; 150, 151, 154—160: 162, 165—188; 190—208; 214, 219, 221—231; 233, 236, 237, 239; 241, 242, 246, 249, 253—256, 258—264; 266, 268—289; 291—313; 315—327: 332, 334, 335, 340—343; 346—348; 350—353, 355, 356, 361—410
საჯავახო, 110, 111
სენაკი, 57, 397
სვანეთი, 363—367, 370
სვერი, 90
სიღნაღი, 57, 96, 114, 302—304; 397
სომხეთი, 8, 55, 67, 77—79; 81, 82, 96, 98—104; 106, 107, 111—

114;, 123, 124, 127, 129—131: 134, 135, 148, 149, 152—156; 160, 162, 164, 166, 168, 169, 170, 173—175; 186, 187, 189, 193, 194, 195, 219, 220, 231, 236, 241, 242, 250, 253—256; 258, 264, 266, 271, 277, 295, 310, 312, 317, 318

სოჭი, 61
სოხუმი, 17, 59, 62, 63, 65, 80, 188, 313
სპარსეთი, 187,
სუზდალი, 169, 273

ტაბაწყური, 99
ტაშკენტი, 273
ტაჯიკეთი, 172, 175
ტომსკი, 255
ტუაფსე, 108

უზბეკეთი, 165, 175
უკრაინა, 13, 126, 165—167: 172, 174, 175, 214, 216, 219, 220, 236, 240, 241, 244, 253, 254, 257, 258, 260, 263, 266, 268, 269, 312
ურალი, 71
უფა, 71

ფინეთი, 129; 130
ფოთი, 17
ფოცხოვი, 96

ქავთარეთი, 115
ქემერტი, 90
ქვემო ნიქოზი, 93
ქვემო ხვითი, 93
ქორდი (სოფელი), 93
ქსნის საერისთავო, 87
ქუთაისი, 24, 57, 59, 109, 110, 364, 391, 394, 397

ღ —

ყაბარდო-ბალყარეთი, 72
ყაგიზმანი, 98
ყაზახი, 114
ყალმუხეთი, 72
ყარაიაზი, 12, 96, 100, 101
ყარაბახი, 78, 169
ყარაჩაი-ჩერქეზეთი, 72
ყარსი, 98, 106, 111, 113, 114, 115, 124, 384, 385
ყაფლანი (სოფელი), 90
ყიზილ-კილისი, 99
ყირგიზეთი, 72, 165
ყირიმი, 72, 129, 165, 166, 196
ყუბანი, 59, 63, 71, 72, 165, 166

შავშეთი, 96
შვეიცარია, 364, 367
შვეცია, 364, 367
შიდა ქართლი, 87, 88
შორაპანი, 57, 95, 250, 304
შორეული აღმოსავლეთი, 129
შუა აზია, 129, 273
შულავერი, 22

ჩათმა, 114
ჩუვაშეთი, 72

ცეკარო, 114
ცსინვალი, 91, 93

ძარწემი, 92

წ—

ჭ—

ხერსონი, 185
ხივა, 154, 236
ხიზაბავრა, 99
ხრამის რაიონი, 102, 103, 104

ჯავა, 90

შინაარსი

რედაქტორისაგან 3

პირველი თავი საბჭოთა სახელმწიფოებრიობის შექმნა საქართველოში 6

მეორე თავი ავტონომიური ერთეულების ჩამოყალიბება საქართველოში 58

მესამე თავი საქართველო ამიერკავკასიის სს რესპუბლიკათა ფედერაციულ გაერთიანებაში 116

მეოთხე თავი -- სსრ კავშირის შექმნა და საქართველოს სს რესპუბლიკის შესვლა მის შემადგენლობაში . . . 209

მეხუთე თავი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია . 363

საძიებელი (შემდგენელი ა. კაჭარავა) . . . 411

გამომცემლობის რედაქტორები: აზა კაჭარავა-კერესელიძე,
იზაბელა მიქაძე
სამხატვრო რედაქტორი იზა ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ფრიდონ ბუდაღაშვილი
კორექტორი ცირა მოლოდინი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.06.99
საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/16
პირ. ნაბეჭდი თაბახი 26,5
სააღრ.-საგამომც. თაბახი 22,87
შეკვეთა № 317 ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1.